სიტყვიერ უნესენტი

ქართული ანბანის ოსტატები

ირაკლი ბოლქვაძე

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1969

н (нор)
839·6—31
უ 489

ნორვეგიელი მწერლის სიგრიდ უნსეტის კალამს ეკუთვნის მრავალი რომანი. მათ შორის ისტორიული ტრილოგია „კრისტინი, ლავრანსის ასული“. ამ ნაწარმოებისათვის მწერალს მიენიჭა ნობელის პრემია.

რომანი დაწერილია შუა საუკუნეების ნორვეგიელ ხალხზე. ამ ხალხის ყოველდღიური ცხოვრება, ვისაც არასოდეს არა სდგმია ბატონყმობის უღელი, სავსეა სიდიადით, პოეზიით, შინაგანი ტრაგიზმით, რაც დიდ სულიერ დაძაბვას მოითხოვს. მის გმირებს ახასიათებთ კეთილშობილება და უანგარობა, ვაჟკაცობა და პირდაპირობა.

თარგმანი ნინო ქუჩუკაშვილისა

7—3—4
286—69 ადგ.

ანიკელი ნაწილი

[illegible]

I

სიუნდბიუდელი ივარ უმცროსი იესლინგის სიკვდილის შემდეგ, 1306 წელს, მემკვიდრეობის გაყოფის დროს სილის[1] მამული მის ქალს რაგნფრინდსა და მის მეუღლეს ბიერგიულფის ვაჟიშვილს, ლავრანსს, ერგოთ. მანამდე ისინი ფოლუს[2] ცხოვრობდნენ ოსლოს მახლობლად, მამულ სკუგში და აქედან გადასახლდნენ იორიუნდგორდში; იორიუნდგორდი სილის გორაკებსა და სერებზეა შეფენილი[3].

ლავრანსი, ნორვეგიაში ლაგმანის[4] ვაჟიშვილების გვარით ცნობილი წინაპრების შთამომავალი იყო. ამათი მამა-პაპანი შვედები ყოფილან და პირველი ვინმე ესტგეტელი ლაგმანი ლავრენტიუსი დასახლებულა ნორვეგიაში, სწორედ ის, ვინც ვრეტეს მონასტრიდან ბიელბუელი იარლის[5] და, ბენგტა გაიტაცა და ნორვეგიას შეაფარა თავი. ლავრენტიუსი მეფე ხოკონ მხცოვანის კარზე ცხოვრობდა და მისი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა; მამული სკუგიც მეფემ უბოძა. ლავრენტიუსს ბევრი არ დასცალდა, რვა წელიწადი იცხოვრა ნორვეგიაში და მოარულისაგან გარდაიცვალა, ხოლო მისი ქვრივი, ვისაც ხალხმა ხელმწიფა შეარქვა, სამშობლოში წავიდა და ნათესა-

---

[1] სილი — ადგილია გიუდბრანდსდალის ხეობაში, ეს ხეობა სამხრეთ ნორვეგიის ცენტრალურ ნაწილს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ სკვრის.

[2] ფოლუ — ადგილია, ოსლოზე უფრო სამხრეთით მდებარეობს.

[3] ნორვეგიულ ყველა საკუთარ სახელებში მახვილი მუდამ პირველ მარცვალზე მოდის: კრისტინი, ლავრანსი, ივარი, იესლინგი, სიუნდბიუ, რაგნფრიდი და ა. შ.

[4] ლაგმანი — ამორჩეული, ან დანიშნული მოხელე, თვალყურს ადევნებდა კანონების შესრულებას და გასამართლების უფლებაც ჰქონდა.

[5] იარლი — სკანდინავიაში მეფის შემდეგ უმაღლესი წოდება იყო.

ვებს შეურიგდა. შემდგომ კი მდიდარ უცხოელს გაჰყვა ცოლად. მას ლავრენტიუსთან შვილები არა ჰყოლია, ამიტომ სკუგი მემკვიდრეობით ლავრენტიუსის ძმას — კეტილს ერგო წილში. სწორედ ამ კეტილის შვილი, ბიერგიულფი იყო ლავრანსის მამა.

ლავრანსი ახალგაზრდა მოეკიდა ოჯახს. როცა სილში გადასახლდა, ოცდარვა წლისა იყო, ცოლი კი სამი წლით უფროსი ჰყავდა. ჭაბუკობაში სამეფო რაზმში ემსახურა და კარგი აღზრდაც მიეღო, მაგრამ ცოლი რომ შეირთო, სამსახურს თავი დაანება და თავის მამულში დასახლდა, რადგან რაგნფრიდი, ცოტა არ იყოს, უცნაური, თან კუშტი ხასიათის ქალი იყო და სამხრეთ ნორვეგიელებს ვერ შეეთვისა. ხოლო მას შემდეგ, რაც რაგნფრიდს უბედურება დაატყდა თავს და სამი ძუძუთა ვაჟიშვილი გამოეცალა ხელიდან, არავისი გული აღარა ჰქონდა და უცხო ხალხს ერიდებოდა. ვგონებ, სწორედ ამიტომ გადმოსახლდა ლავრანსი გიუდბრანდსდალის ხეობაში, რომ მისი ცოლი უფრო ახლო ყოფილიყო თავის ნათესავ-მეზობლებთან. როცა გიუდბრანდსდალის ხეობაში გადმოსახლდნენ, ერთი შვილიღა ჰყავდათ, პატარა კრისტინი.

იორიუნდგორდშიაც თავისთვის ცხოვრობდნენ კარჩაკეტილები და მისვლა-მოსვლა არავისთანა ჰქონდათ. რაგნფრიდი, ეტყობა, დიდად არა ფეთდებოდა თავისი ნათესავებისთვის და სტუმრადაც იმიტომ თუ წავიდოდა, რომ მიუსვლელობა უზრდელობაში არ ჩამოერთმიათ. თუმცა, აქეთ-იქით სასიარულოდ არც ეცალათ, რადგან ლავრანსი და რანგფრიდი ძალიან მორწმუნე და ღვთისმოშიშები იყვნენ. ერთგულად დადიოდნენ ეკლესიაში, თავშესაფარს არ უჭერდნენ და ღამეს ათევინებდნენ ღვთისმსახურებსა და ეკლესიის საქმეებზე მოსიარულე ხალხს, ჩრდილოეთით, ნიდაროსისაკენ[1] მიმავალ პილიგრიმებს და დიდის პატივით ექცეოდნენ თავიანთი მრევლის მღვდელს; იგი რუმიუნდგორდის მამულში ცხოვრობდა და იმათი ყველაზე ახლო მეზობელი იყო. იმ მხარეში მცხოვრებნი კი ფიქრობდნენ, ღვთისმსახურება ისედაც ძვირი გვიჯდება — ეს საეკლესიო მეათედი, ეს ქონებრივი და ფულადი შესაწირავი; მართლა და მართლა, მარხუ-

---

[1] ნიდაროსი — ამჟამად ტრონჰეიმი, იმ დროში ნორვეგიის ყველაზე დიდი ქალაქი. იქ იყო ნორვეგიის შფარველის წმინდა ტაძარი და არქიეპისკოპოსის რეზიდენცია.

ლობასა და ლოცვას ხომ არ უნდა გადავუვეთ და მღვდლებსა და ბერებს წარამარა ათასი რამ სახლში ვუზიდოთო.

ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, ხალხს ლავრანსისა და რაგნფრიდის დიდი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა, მეტადრე ლავრანსისა; ღონიერი, გულადი, უწყინარი, მშვიდი, სამართლიანი, დინჯი და თავაზიანი ადამიანი იყო და მარჯვე — ხელხვავიანი მხვნელ-მთესველისა და ჩინებული მონადირის სახელი ჰქონდა გავარდნილი. სადაც კი მოახელებდა, მოუკლავს არ გაუშვებდა, მგელს, დათვსა თუ სხვა მავნე ნადირს. სულ რამდენიმე წელიწადში თავის მამულს კიდევ ბევრი მიწები მიუმატა, მაგრამ კეთილი მეპატრონე და ხელგაშლილი დამხმარე იყო თავისი მეწილეებისა.

რაგნფრიდი კი ისე იშვიათად გამოდიოდა ხალხში, რომ მალე დაივიწყეს და ხსენებითაც კი თითქმის აღარავინ ახსენებდა. პირველ ხანებში თავის ხეობაში დაბრუნებულ რაგნფრიდს გაკვირვებულები უყურებდნენ. რანგფრიდი ჯერ ისევ იმ დროიდან ახსოვდათ, როცა მშობლებთან ცხოვრობდა სიუნდბიუში. იმის სილამაზე თავის დღეში არავის უთქვამს, მაგრამ მაშინ ბედით კმაყოფილი და მხიარული ჩანდა; ახლა კი ისე გამოცვლილიყო და ისე დაბეჩავებულიყო, რომ ადამიანი ადვილად იფიქრებდა, ქმარზე სამი წლით კი არა, კაი ათი წლით უფროსი იქნებაო. ასეთ გამოცვლას ხალხი შვილების სიკვდილს აბრალებდა, მწუხარებამ ძალიან დაუჩაგრა გული, თორემ ბევრ სხვა ქალზე უკეთესად ცხოვრობს, — სიმდიდრე იმას არ აკლია და პატივისცემა და, როგორც ეტყობა, ქმართანაც ტკბილად არისო. ლავრანსი ქალების ამყოლი არ იყო და რა საქმეც უნდა ყოფილიყო, ცოლს ეკითხებოდა რჩევას, ნასვამსაც კი ერთი ურიგო სიტყვა არ უთქვამს და ფხიზელი უფრო რას ეტყოდა ურიგოს. თან არც ისეთი ხნიერი იყო რანგფრიდი, რომ შვილი აღარ მისცემოდა, თუკი უფლის ნებაც იქნებოდა.

ლავრანსსა და რანგფრიდს უჭირდათ ყმაწვილი, ჯან-ღონიანი ბიჭების შოვნა. ყველა გაურბოდა იორიუნდგორდში მუშაობას, ქალი იქნებოდა თუ კაცი, დიასახლისის კუშტი ხასიათიც აფრთხობდა და ისიც, რომ ამ ოჯახში მეტისმეტად გულმოდგინედ ინახავდნენ ყველა მარხვას. თუმც, აქ მაინც კარგად ცხოვრობდა ხალხი, სადაც იშვიათად გაიგონებდა ადამიანი მკვახე სიტყვას და არც ლუკმა ეყვედრებოდა ვისმე, გარდა ამისა, ლავრანსიცა და რაგნფრიდიც მუდამ

მხარში უდგნენ და მაგალითის მიმცემები იყვნენ ყოველგვარ მუშაობაში. ოჯახის უფროსი თავისებურად მხიარული კაცი იყო, და ზოგჯერ ცეკვა-თამაშშიც აჰყვებოდა ხოლმე სხვებს, სიმღერასაც კი შემოსძახებდა, როცა მთვარიან ღამეში ეკლესიის გორაზე თავს მოიყრიდნენ ახალგაზრდა გოგო-ბიჭები და ერთი ამბავი ჰქონდათ. მაგრამ მაინც იორიუნდგორდში მუშაობას უფრო ხანში შესულები ეტანებოდნენ. ამ მამულში მუშაობა მოსწონდათ და დიდხანსაც შერჩებოდნენ ხოლმე იქაურობას.

ერთხელ, მაშინ შვიდი წლისა იქნებოდა კრისტინი, ლავრანსი მთაში თავის საზაფხულო საძოვრებზე—სეტერზე[1] აპირებდა წასვლას და ბავშვის წაყვანაც მოინდომა.

მოწმენდილი დილა გათენდა. ზაფხული ძალაში შედიოდა. კრისტინი სხვენზე[2] იყო, ზაფხულობით იქ ეძინათ ხოლმე. მზის კაშკაშა შუქი დაინახა და ისიც გაიგონა, ეზოში მამა მეწილეებს ელაპარაკებოდა. ყველაფერი ისე ახარებდა კრისტინს, ვიდრე დედა აცმევდა, ერთ ადგილზე ვერ მოისვენა. თავის დღეში არა ყოფილიყო მთაში. ნამდვილი მთა რასაცა ჰქვია. გზად კი გადაევლო ტყიანი ქედი ვოგში მიმავალს, როცა ცოტა ხნით სტუმრად მიჰყავდათ ხოლმე დედის მშობლებთან სიუნდბიუში[3], ან როცა რაგნფრიდი და შინაურები ახლომახლო ტყეებში წავიდოდნენ კენკრის მოსაკრეფად და კრისტინიც მიჰყავდათ. ამ კენკრისას თხელ ლუდს აყენებდა რანგფრიდი, სელშავისა და შტოშისას კი მეავე დურდოს აკეთებდა და დიდმარხვაში კარაქის მაგივრად პურზე წასმულსა სჭამდნენ.

დედამ ოქროსფერი თმა ზევით აუვარცხნა კრისტინს და ძველ, პატარა, ლურჯ ქუდქვეშ მოუქცია, ბაბთები შეუკრა და ლოყაზე აკო-

---

[1] სეტერი — ალპური საძოვრები, იქ მწყემსებს ქოხებიც აქვთ ჩადგმული.

[2] ძველად ნორვეგიაში ზაფხულობით სტაბიურის სხვენზე ეძინათ, სტაბიურს ორსართულიანს აშენებდნენ, შედგმული იყო ოთხ ქვაზე ან ხიმინჯებზე. ქვემოთ ინახავდნენ სანოვაგეს; წინ სხვენის შესასვლელთან დერეფანი იყო, სადაც გადაუხურავი კიბით უნდა ასულიყვნენ.

[3] გინუდბრანდსდალის ხეობა როგორც ბუნებრივად არის დაყოფილი სერებით, საეკლესიო სამრევლოებიც თითქმის ასევეა დაყოფილი. სილის ჩრდილოეთით მაღლა ხეობაში აქონდა მამული სიუნდბიუ ვოგის მიდამოებში, სილის სამხრეთით კი მამული იორიუნდგორდი მდებარეობდა. სამრევლო სამრევლოს მისდევდა და ქალაქ ხამარამდე იყო გაჭიმული ეს ხეობა.

ცა. კრისტინი მამისკენ გაფრინდა. ლავრანსი უკვე ცხენზე იჯდა; გოგონა აიტაცა, უნაგირზე ბალიშივით დაკეცილი ლაბადა დაუდო და უკან შემოისვა. კრისტინი ბიჭურად გადააჯდა ბალიშს და მამის სარტყელს ხელები ჩაავლო, დედას გამოემშვიდობნენ, კარგად ყოფნა უსურვეს, და, ის იყო უნდა დაძრულიყვნენ, რომ რანგფრიდმა დერეფნიდან კრისტინის ლაბადა ჩამოარბენინა, ლავრანსს მისცა და შეეხვეწა, ბავშვისთვის თვალი არ მოეშორებინა, კარგად მოევლო.

მზე კაშკაშებდა, ღამე კი, ეტყობა, კარგა ეწვიმა: საითაც გაიხედავდი, ხეობისკენ ჩხრიალით მოექანებოდა ნაკადულები, დაბლა ჩამოსული ნისლი მთის ძირებში ნაგლეჯ-ნაგლეჯად მიიზლაზნებოდა. ქედზემოდან კი კაი ამინდის მომასწავებელი თეთრი ღრუბლები ლაჟვარდი ცისკენ მიცურავდნენ და ლავრანსიცა და იმისი მუშებიც ამბობდნენ, ამინდს ისეთი პირი უჩანს, ცხელი დღე გამოვაო. ლავრანსმა კარგად შეიარაღებული ოთხი მუშა წაიყვანა თან, რადგან ამ დროს მთაში შეიძლებოდა ათას ოხერსა და ავაზაკს გადაჰყროდა კაცი: თუმც, მგზავრებს რა ხიფათი უნდა შეხვედროდათ — ბევრნიც იყვნენ და არც შორი გზა ჰქონდათ გასავლელი. კრისტინი ყველასთან შეჩვეული იყო და უყვარდა კიდეც; ესენი იყვნენ—სამი ხანში შესული კაცი, მეოთხე კი ჯერ ისევ ბავშვი — ფინსბრეკენელი გიურდის ვაჟი — არნე — კრისტინის საუკეთესო მეგობარი. არნე ლავრანსის ცხენს მისდევდა უკან, კრისტინს დაჰპირდა, ყველაფერს გეტყვი, რაც გზად შეგვხვდებაო.

მგზავრებმა რუმიუნდგორდის შენობებს შუაში გაუარეს და მამა ეირიკს მიესალმნენ. მღვდელი ეზოში იდგა და თავის ქალს — ეს ქალი იყო და მამა ეირიკის მთელი ოჯახი — ერთი შულო ახლადშეღებილი ღაზლის გულისთვის თავზე ცეცხლს აყრიდა: წინა დღეს გასაშრობად გაეტანა, ჩამოღება დავიწყებოდა და წვიმას სულ გაეფუჭებინა.

მღვდლის კარ-მიდამოს გვერდით, გორაზე, პატარა, მაგრამ კარგად შოვლილი ლამაზი ეკლესია იდგა. ეკლესია ახლახან გაეფისათ. ლავრანსმა და იმისმა მუშებმა სასაფლაოს ალაყაფის კართან აღმართულ ჯვარს რომ გაუარეს, ქუდები მოიხადეს და თავები დახარეს, მერე ლავრანსი უნაგირზე შემოტრიალდა და მამა-შვილმა ხელი დაუქნია რაგნფრინდს, ის ჯერ კიდევ არ მოჰფარებოდა თვალს, ისევ სახლის წინ მდელოზე იდგა და იმანაც დაუქნია თეთრი თავშლის ყური.

კრისტინი თითქმის ყოველ ცისმარე დღე აქა თამაშობდა, ეკლესიის

გორაზე და სასაფლაოზე; დღეს, როცა ასეთი გრძელი გზა ედოთ წინ, ნაცნობი ადგილები, დედმამისეული სახლი, ხეობა კარ-მიდამოებით და შიგ ჩადგმული სახლებით იმის თვალში სულ შეიცვალა და გადასხვაფერდა. იორიუნდგორდის ეზოში, ღობის იქით, ერთმანეთზე მიშენებული შენობები თითქოს დაპატარავდნენ და უფრო ულამაზოც მოეჩვენა. მდინარე ბრჭყვიალით მიიკლაკნებოდა, რაც უფრო შორდებოდნენ სახლს, ვიწრო ხეობა უფრო გაიშალა, გამოჩნდა შემაღლებული ამწვანებული მდელოები, ჩაჭაობებული დაბლობები, ტყიან მთის კალთებზე შეფენილი კარ-მიდამოები თავისი ნახნავებითა და სახნავ-სათესი მინდვრებით, ჩახრამული, რუხი კლდეების ძირას.

კრისტინმა იცოდა, შორს, დაბლა, იქ, სადაც მთები თითქოს ერთმანეთს ეკვრიან და ცისკიდურს ჰკრავენ, ლოპტსგორდის მამული იყო. აქა ცხოვრობდა ორივე თეთრწვერა მოხუცი, სიგიურდი და იონი; იორიუნდგორდს სტუმრად მოსული მოხუცები მუდამ ეთამაშებოდნენ და ეხუმრებოდნენ კრისტინს. კრისტინს უყვარდა იონი. ის ხიდან საუცხოო ლამაზ ნადირებს გამოუთლიდა ხოლმე, ერთხელ ბეჭედიც კი აჩუქა. უკანასკნელად კი, სამებობას, კოხტად გამოთლილი და ლამაზად შეფერადებული პატარა რაინდი მოუტანა, კრისტინს ეგონა — ასეთი მშვენიერი რამ ჩემთვის ჯერ არავის უჩუქებიაო. ლოგინშიაც კი არ იშორებდა, მაგრამ დილით რაინდი მუდამ საწოლის [1] საფეხურზე გამოჭიმული ხვდებოდა; კრისტინს მშობლებთან ერთად ეძინა. მამა ეუბნებოდა, იყივლებს თუ არა მამალი, რაინდი მყისვე წამოხტება ხოლმეო. მაგრამ კრისტინმა მშვენივრად იცოდა, ჩაეძინებოდა თუ არა, დედა ააცლიდა სათამაშოს. — ერთხელ გაიგონა, როგორა თქვა დედამ, ღამე რომ ქვეშ მოუყვეს, გვერდს ატკენს და ან რა სასიამოვნოა მაგარ სათამაშოზე წოლაო. ლოპსტგორდელი სიგიურდისა კი ეშინოდა კრისტინს და ეჯავრებოდა კიდეც, იმიტომ, რომ მუხლზე შეისვამდა თუ არა, მაშინვე იმას ეტყოდა, როცა გაიზრდები, შენთან დავწვებიო. ორი ცოლი ამოიჭამა და ირწმუნებოდა, მესამესაც გავისტუმრებ საიქიოს და მაშინ კრისტინს რაღა დაუშლის მეოთხე ცოლად გამომყვესო. ამის თქმაზე კრისტინი ტირილს ამოუშვებდა ხოლმე, ლაე-

---

[1] ოთახის კედელში ნახევრად შედგმული ხის საწოლები ყუთსა ჰგავდა. საწოლებს ან ფარდა ჰქონდა გარშემო, ან კარით იკეტებოდა. საწოლზე ხის საფეხურებით ადიოდნენ.

რანსი კი სიცილით ამბობდა, არა მგონია, მარგიტმა ასე მალე განუტე-
ვოს სული, მაგრამ, ღმერთმა ნუ ქნას, მარგიტმა ჩვენი ჭირი წაიღოს
და სიგიურდი მოვიდეს შენს სათხოვნელად, მე მაინც უარით გავის-
ტუმრებ, ფიქრი ნუ გაქვს და ნურაფრისა გეშინიაო.

ეკლესიის ჩრდილოეთით, ასე, ისრის გასროლის მანძილზე, გზის
პირას დიდი სიპი ლოდი იდო, გარშემო აყრილი ვერხვითა და არყით
დაბურული. აქ უყვარდათ ბალღებს ეკლესიანობის თამაში და მამა
ეირიკის უმცროსი შვილიშვილი თომასი აქა სწირავდა, პაპას ბაძავ-
და, ვითომ აიაზმის წყალს ასხურებდა იქაურობას და პირჯვარსა სა-
ხავდა, როცა აქა-იქ ლოდის ამოღრუტნულებში წვიმის წყალი ჩად-
გებოდა ხოლმე. შარშან შემოდგომაზე კი ბავშვებს შავი დღე
დაადგათ ამ თამაშობისათვის. თომასმა ჯერ კრისტინსა და არნეს გა-
დასწერა ჯვარი — არნე ისევ ბავშვი იყო და იხელთებდა თუ არა
დროს, სიხარულით მირბოდა გოგო-ბიჭებში სათამაშოდ; იქვე, თა-
ვისთვის, გოჭი დაღრუტუნებდა, არნემ გოჭი დაიჭირა და ბავშვებმა
მოსანათლად გაარბენინეს. თომასმა გოჭს ტალახითა სცხო მირონი,
პატარა ორმოში ჩამდგარ გუბეში ამოავლო და დაიწყო თავისი პაპის
გამოჯავრება. ლათინურად ლოცვას ამბობდა, თან მრევლს ლანძღავ-
და, ცოტასა სწირავენ ეკლესიასაო; ბავშვებმა ხარხარი ატეხეს, იმა-
თაც გაგონილი ჰქონდათ უფროსებისაგან — ეირიკი მეტისმეტად ხარ-
ბი კაციაო. რაც უფრო სიცილით იფხრიწებოდნენ ბავშვები, მით
უფრო მეტს ეშმაკობდა თომასი; მერე შარი მოუდო, ეს ბავშვი დიდ
მარხვაშია ჩასახული და ამ ცოდვის ჩადენისათვის მღვდლისა და ეკ-
ლესიის სასარგებლოდ საურავი უნდა გადაიხადოთო. ამის თქმაზე
მოზრდილი ბიჭები გიჟებივით ახარხარდნენ, ხოლო კრისტინს, რო-
მელსაც გოჭი ჩაეხუტებინა, ისე შერცხვა, სირცხვილისაგან კინაღამ
ატირდა. ამ ჟრიამულსა და სიცილში შინისაკენ მომავალი ეირიკი წა-
მოადგათ თავზე, მოსანათლად თუ ჯვრის დასაწერად ყოფილიყო სად-
ღაც. მიხვდა თუ არა, რასაც ეშმაკობდნენ ბალღები, ფათიფუთით
ჩამოხტა ცხენიდან და ისეთმა გავეშებულმა მიაჩეჩა ხელში ბარძიმი
ბენტეინს, თავის უფროს შვილიშვილს, — ისიც თანა ჰყოლოდა პა-
პას, — რომ ბერნტეინს, ცოტას გაწყდა, ხელიდან არ გაუვარდა ვერ-
ცხლის ბარძიმი. მღვდელი კი თავშეყრილ ბავშვებს დაერია და ვინც
ხელში მოხვდა, ყველანი მიბეგვა. კრისტინს გოჭი ხელიდან გაუსხლ-

ტა, ჭყვიტინით გზაზე გავარდა და ნათვლის გადასაფარებელი გაითრია, ამის დანახვაზე ხუცესის ცხენები დაფრთხნენ. მღვდელმა გოგო ისე დააჯაჯგურა, რომ წააქცია, და წაქცეულს ახლა წიხლიც ჩაეზილა. კრისტინს კიდევ კარგა ხანს სტკიოდა თეძო. ლავრანსმა რომ ეს გაიგო, იფიქრა, ეირიკს მეტისმეტი მოსვლია, რომ ბავშვს ასე უდიერად მოჰქცევია, კრისტანს ხომ ჯერ არაფერი ესმისო, და რაგნფრიდს უთხრა, მღვდელს მოველაპარაკებიო, მაგრამ რაგნფრიდი შეეხვეწა, თავი გაენებებინა და არაფერი ეთქვა მღვდლისთვის, კრისტინმა დააშავა და რაც ეკუთვნოდა, კიდეც მიიღო, არ უნდა ჩარეულიყო ამ შემბილწველ თამაშშიო! ლავრანსს მართლაც აღარ უხსენებია ეს ამბავი, მაგრამ არნე კი, თავის დღეში რომ არ გაუწკეპია, ისე გაწკიპა.

ამიტომ იყო, ახლა, ლოდს რომ ჩაუარეს, არნემ კრისტინს სახელო მოსწია. მაგრამ ლავრანსი აქ იყო და თქმა ვერაფრისა გაბედა, ჯერ დაიმანჭა, მერე გაიღიმა და წელქვეეით ხელი დაიკრა. კრისტინს ძალზე შერცხვა და თავი ჩაღუნა.

მგზავრები ხშირ ტყეს შეუყვნენ. გზა ხამერის მთის ძირში მიიკლაკნებოდა; ხეობა თანდათან შევიწროვდა და ჩამოიბურა, მდინარე ღრიალებდა და მოჰქუხდა. როცა უცებ გამოჩნდებოდა, ხედავდნენ ციცაბო კლდეებში როგორ მოგრიალებდა ყინულივით ცივი, კამკამა, მწვანედ აქაფებული ლოგენი. აქეთ-იქით ფოთლოვანი ტყით დაბურული მთები აზიდულიყვნენ; ჩამოპირქუშებული ხეობა შიშსა ჰგვრიდა, აყუდებული მთები სულს უხუთავდა ადამიანს, ხეობიდან სიცივე სცემდა. მგზავრებმა მდინარეზე გადებულ მორებზე შეაყენეს ცხენები და გაღმა ნაპირზე გავიდნენ, ტყე გალიეს და ქვემოთ პატარა მდინარე როსტოზე გადებული ხიდიც გამოჩნდა. ხიდის ცოტა ქვემოთ, მდინარის ღრმა მორევში, წყლის კაცი ბინადრობდა; არნეს, ის იყო, უნდა ეამბნა წყლის კაცზე კრისტინისათვის, მაგრამ ლავრანსმა დაუტია, არამც და არამც მაგისთანა რამეზე აქ არაფერი წამოგცდეესო. როდესაც ხიდთან მივიდნენ, ლავრანსი ჩამოქვეითდა, ხელი ჩაავლო ღვარს და ცხენი ისე წაიყვანა, მეორე ხელი კი შვილს შემოხვია წელზე, რომ არ გადმოვარდნილიყო.

გაღმა ნაპირზე ბილიკი ისეთ ციცაბო კლდეზე მიიკლაკნებოდა, რომ დანარჩენებიც ჩამოქვეითდნენ და ისე აუყვნენ ბილიკს; კრისტინი ლავრანსმა უნაგირზე გადასვა და ბავშვმა უნაგირის ტახტს ჩა-

ავლო ხელი — ამგვარად, ნება მისცეს, მარტო მჯდარიყო გიულდსვეინზე.

რაც უფრო მაღლა ადიოდნენ მგზავრები, ქედებს იქით ხან ერთი რუხი კლდე და თოვლით დაზოლილი ლურჯი მთა გამოჩნდებოდა, ხან მეორე. ტოტებშუა ახლა უკვე ხედავდა კრისტინი შორს, უღელტეხილის ჩრდილოეთით, ძირს დაფენილ დაბას. არნე უჩვენებდა მამულებს, ამ სიშორიდან სცნობდა და ეუბნებოდა, რომელი ვისი მამული იყო და რა ერქვა.

სულ მაღლა რომ ავიდნენ, ტყეში ჩადგმულ ერთ პატარა სახლს მიადგნენ. ღობესთან შეაყენეს ცხენები და ლავრანსი სახლის პატრონებს შეეხმიანა. დიდხანს გუგუნებდა მთებში გამოძახილი. ამ ძახილზე ორი კაცი გამოჩნდა, საკერებლებივით აქა-იქ გაფანტულ დახნულ პატარა ნაკვეთებშუა მარდად მორბოდნენ თავქვე ლავრანსის შესაგებებლად. ამ სახლის პატრონის შვილები იყვნენ — დაოსტატებული ფისის მხდელები; ლავრანსს უნდოდა ისინი დაექირავებინა და შინ წაეყვანა ფისის გამოსახდელად. ვაჟები რომ მოვიდნენ, იმათი დედაც სახლიდან გამოვიდა და მგზავრებს დიდი ბადიით სარდაფიდან ცივ-ცივი რძე გამოუტანა გასაგრილებლად, მართლაც, ძალიან ჩამოცხა, როგორც კაცები ვარაუდობდნენ.

— შენი ქალიც თან წამოგიყვანია, — მიესალმა დიასახლისი და უთხრა ლავრანსს. — აბა, მაჩვენე ერთი, როგორი გოგოა! ბაფთები გაუხსენი და ქუდი მოხადე: ამბობენ, მშვენიერი თმა აქვსო!

ლავრანსმა თხოვნა შეუსრულა ქალს და კრისტინს მხრებზე გაშლილი თმა უნაგირამდე დაეფინა. ხშირი თმა შემოსული თავთავივით ოქროსფრად უბზინავდა. ქალმა, სახელად ისრიდი ერქვა, კრისტინს თმაზე ხელი ჩამოუსვა:

— ჰო, ახლა კი ვხედავ, ხალხს ქება არ გადაუჭარბებია. მართალი უთქვამს, შენს პატარა ქალზე — ნამდვილი ვარდია, რაინდის ასული გეგონება. ამასაც შენსავით სათნო თვალები აქვს, — იესლინგებისა არაფერი სცხია. ღმერთმა ბედნიერი გყოს ამ შენი შვილით, ლავრანს, ბიერგიულფის ვაჟიშვილო! თან რა მოხდენილად ზიხარ გიულდსვეინზე, ნამდვილ სამეფო კარის მსახურსა ჰგავხარ! — გაეხუმრა ლავრნასს ისრიდი, თან ტოლჩა ეჭირა, რითიც კრისტინი რძესა სვამდა.

გოგონა სიხარულისაგან გაწითლდა; იცოდა, იმის მამა, მართლაც,

ულამაზეს კაცად ითვლებოდა მთელ მაზრაში. თავის მუშებში რაინდსა ჰგავდა, თუმცა გლეხურად ეცვა, როგორც შინ იცვამდა ხოლმე სამუშაო დღეებში. შინ მოქსოვილი მწვანე მაუდის კაი განიერი, მოკლე, ოდნავ გულამოღებული ხიფთანიდან პერანგი უჩანდა, ხამი ტყავის შარვალი და ჩექმები, თავზე კი — ძველებური განიერფარფლებიანი მოთელილი ნაბდის ქუდი ეხურა. სამკაულებიდან ერთადერთ ვერცხლის სადა ბალთას ხმარობდა სარტყელზე და პატარა გულსაბნევს პერანგის საკინძთან, ეს იყო და ეს, ამ სამკაულების გარდა, ყელზე ჩამობმული ოქროს ძეწკვი უჩანდა. ამ ძეწკვს ლავრანსი არც დღე იშორებდა, არც ღამე; ძეწკვზე მსხვილი, მთის ბროლით მოჭედილი ოქროს ჯვარი ეკიდა. ჯვარი იხსნებოდა, შიგ სკიოვდელი ელინის სუდარის პატარა ნაკუწი და თმა იდო, ლაგმანის ვაჟიშვილები თავის წინაპრად ამ წმინდანი ქალის ერთ-ერთ ასულს თვლიდნენ, ხოლო როცა ლავრანსი ტყეში, ან სამუშაოდ მიდიოდა, ჯვარს მუდამ პერანგის ქვეშ ტიტველ მკერდზე ჩაიცურებდა ხოლმე, რომ არ დაჰკარგოდა.

მაგრამ ამ უშნო, ჯაჯა ტანსაცმელშიაც ლავრანსი ბევრ სადღესასწაულოდ გამოწყობილ რაინდსა და რაზმელზე უფრო კეთილშობილი ჩამომავლობისა ეგონებოდა კაცს. ლამაზად მოყვანილი ვაჟკაცი იყო. მაღალი, მხარბეჭიანი და თეძოებვიწრო; კოხტა თავი ლამაზად ედგა კისერზე, არც ძალიან გამხდარი იყო, არც ძალიან მსუქანი, ოდნავ მოგრძო მიმზიდველი სახე ჰქონდა, ლამაზი ნიკაპი, კარგი ტუჩ-კბილი, თეთრი პირის კანი, ღაჟღაჟა ლოყები, ნაცრისფერი თვალები და ხშირი, სწორი აბრეშუმივით ქერა თმა.

ლავრანსი ისევ იდგა და ისრიდს ელაპარაკებოდა იმის ოჯახის საქმეებზე, ტურდისიც იკითხა, ისრიდის მოკეთე იყო, ამ ზაფხულს ლავრანსის საძოვრებზე მუშაობდა მთაში. ტურდისს სწორედ ახლახან მოელოგინა და ისრიდი თურმე მარჯვე შემთხვევას ელოდა, რომ საიმედო მგზავრებს გაჰყოლოდა, იმათთან ერთად გაევლო ტყე, და ბიჭი ბარში ჩაეყვანა მოსახათლავად. - ლავრანსმა უთხრა, ჩვენ გამოგვყევი: ხვალ საღამოსვე გავბრუნდებით უკან; მოუნათლავი ბავშვით ჩვენთან გირჩევნია მგზავრობა, ამდენ კაცებში ვინ რას გერჩის, და ბავშვსაც მშვიდობიანად ჩაიყვანო.

ისრიდმა მადლობა გადაუხადა.

— მართალი გითხრა, ვიცოდი ამას მეტყოდი, აქ, მთის საძოვრებ-

ზე შეხიზნულმა გაჭირვებულმა ხალხმა, ვიცით, როცა მთაში ამოდიხარ, რითაც შეგიძლია, მუდამ კარგი მეგობარივით გვეხმარები.

ისრიდი სახლისკენ გაიქცა ბოხჩისა და ლაბადის წამოსაღებად.

ლავრანსს უყვარდა ხეობის განაპირა მაღალ მთებში იჯარით აღებულ ახოებზე მცხოვრებ მდაბიო ხალხში ყოფნა; იმათთან მუდამ მხიარულად იყო, მუდამ ხუმრობდა. ხან აქაური ტყის ნადირის ზნესა და ჩვეულებაზე ელაპარაკებოდა, ხან თვალუწვდენელ ზეგნებზე მოხეტიალე ირმებზე, ხან ამისთანა ადგილებში ჩაბუდებულ ათასნაირ ავსულებზე. მუდამ ეშველებოდა სიტყვითაც და საქმითაც, მკურნალობდა იმათ ავადმყოფ საქონელს, დასდევდა სამჭედლოებსა და მშენებლობაზე; თავის გოლიათურ ღონესაც კი არ იშურებდა, როცა მეტისმეტად მძიმე ქვა იყო ამოსაბრუნებელი ან ღრმად გადგმული ფესვები იყო ამოსაძირკვი — სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ ღარიბ ხალხს ასე ახარებდა ლავრანსს ბიერგიულფის ვაჟიშვილის და მისი წითელი ულაყის გიულდსვეინის დანახვა — გიულდსვეინი ლამაზი ჭრელთვალება ცხენი იყო, მის ბეწვს ვასვასი გაჰქონდა, თეთრი ფაფარი და თეთრი კუდი ამშვენებდა. ისეთი ღონიერი და ისეთი ფიცხი ცხენი იყო, მთელ ხეობაში ამ ცხენზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ლავრანსს ბატკანივით ემორჩილებოდა და ლავრანსიც ხშირად იტყოდა ხოლმე, ჩემი ცხენი უმცროსი ძმასავით მიყვარსო.

ლავრანსს განზრახული ჰქონდა, მთაში ავიდოდა თუ არა, ჯერ ხეიმხეუგენის კოშკი ენახა. ამ ერთი საუკუნის წინ თუ უფრო ადრეც, ომისა და ამბოხებების მძიმე წლებში, ახლომახლო ხეობებში მცხოვრებმა გლეხებმა მთის წვერებზე სათვალთვალო კოშკები ააგეს, როგორც კოშკურებია ნავმისადგომებთან სანაპიროების გაყოლებით; მაგრამ მთის წვერებზე აგებული კოშკები არაფერ შუაში იყო სახელმწიფო დაცვასთან. გლეხთა გილდიები[1] თვითონ ინახავდნენ წესსა და რიგზე ამ კოშკებს და „ძმები“ რიგრიგობით პატრონობდნენ და შეაკეთებდნენ ხოლმე.

მგზავრები მწყემსების პირველ ხუტორამდე რომ მიეიდნენ, ლავრანსმა საპალნიანი ცხენის გარდა ყველა ცხენები საბალახოდ გაუშვა,

---

[1] გლეხთა გილდიები — ურთიერთდახმარებისა და დაცვის მიზნით გაერთიანებული მესაკუთრე გლეხობისა და მეწილეთა კავშირები. მღარეელად ისიზი რომელიმე წმინდანს ირჩევდნენ.

თვითონ კი ციცაბო ბილიკს დაადგნენ და აღმართს შეუყვნენ. ტყე კარგა შეთხელდა. ტანკენარი, უსიცოცხლო, ძვალივით გადათეთრებული ფიჭვები გადამხმარები იდგნენ ჭაობებში; საითაც გაიხედა კრისტინმა, ყველგან ნაცრისფერი სალი კლდეები აყუდებულიყო. მგზავრები გაჭირვებით მიიწევდნენ წინ ქვიან აღმართზე, ფეხქვეშ ეფხვნებოდათ ნიადაგი. ზოგან ზედ ბილიკზე მოჩხრიალებდა ნაკადული და ლავრანსი იძულებული იყო გზადაგზა ხელში აეყვანა ბავშვი. გრილი ქარი ძალუმად უბერავდა, მოცვი მწიფდა, ბუჩქები ლურჯად იყო მოქცეული, და თუმცა ლავრანსმა უთხრა, მოცვის საკრეფად არა გვცალიაო, არნე მაინც ხან წინ გაუსწრებდა, ხან უკან რჩებოდა, კრისტინს მოცვის ტოტებს უმტვრევდა და თან ეუბნებოდა: დაბლა, ტყეში რომ საძოვრები მოჩანდა, ვისი საძოვრებია. იმ დროს მთელი ხიოვრინგსვანგენი ტყიანი იყო.

ბოლოს, მოტიტვლებულ, მომრგვალებულ მწვერვალს მიადგნენ, ცაზე გამოიკვეთა ძელებისგან დადგმული უზარმაზარი შენობა, და კლდის უკან მოყუდროვებული სადარაჯო ქოხი.

უფსკრულის პირას მისულებს მძლავრად შემოუბერა ქარმა და ტყლაშუნი აუყენა მათ ტანსაცმელს; კრისტინს ეგონა, მწვერვალზე მობინადრე სულდგმული გამოეშურა ჩვენს მოსასალმებლადო. ქარი ქროდა და ზუზუნებდა. კრისტინი და არნე ხავსმოკიდებულ ქვიან ვაკობზე დაწინაურდნენ და გამოშვერილ კლდეზე დასხდნენ. კრისტინი დასცქეროდა თვალწინ გადაშლილ სივრცეს და თვალს ვერ აშორებდა. თავის დღეში არ ეგონა, თუ ქვეყანა ასეთი თვალუწვდენელი და დიდი იქნებოდა.

ქვემოთ, სადამდისაც კი თვალი მისწვდებოდა, ხშირი ტყეებით აჯაგრული მთები მოჩანდა. გოლიათებივით წამოყუდებულ უზარმაზარ მთებშუა გაჭრილი ხეობა დიდ ორმოსა ჰგავდა, ხოლო აქეთ-იქით ხეობები — პაწაწკინა ორმოებს. ორმოები ურიცხვი იყო და მაინც მთები სჭარბობდა ხეობებს. საითაც გაიხედავდი, ტყეების ზემოდან ქარაგოზის ყვითელი ცეცხლით გადატრუსული რუხი კლდეები აზიდულიყვნენ. შორს კი, ცის კიდურზე ამ რუხი კლდეების უკან, ლურჯ მთებზე აქა-იქ თოვლი იდო და ძლივს გაარჩევდა თვალი თოვლი იყო თუ ლეგა, ცისფერი და ქათქათა ზაფხულის ღრუბელი. აქვე, გვერდით, ტყის გადაღმა, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ერთმანეთს მიჰკვროდნენ მოლურჯო კლდოვანი ქედები, ხრამებში ზვინებად იდგა ახლად-

დადებული თოვლი. კრისტინი მიხვდა, სწორედ ეს მთებია, „ტახებს" რომ ეძახიანო. მართლაც, იტყოდი, ტახების კოლტი გაშლილა, ზურგი შეუქცევიათ ხეობისათვის და აქეთ მოდიანო, არნემ უთხრა კრისტინს, ამ მთების ძირამდე ცხენით სულ ცოტა, ნახევარი დღის სავალიაო.

კრისტინს კი ეგონა, გადავალ თუ არა ჩვენს მთებს, თვალწინ გადამეშლება კიდევ ერთი ხეობა, სწორედ ისეთი, როგორიც ჩვენი ხეობაა, ზედ გაფანტული კარ-მიდამოებით, სახლ-კარითა და სხვა შენობებით. ახლა კი გულმა დაჰკრა, როცა დაინახა რა შორიშორს ცხოვრობდა ხალხი. დაბლა, ხეობის ძირში, ყვითელი და მწვანე ლაქები, მთებზე აყრილ ტყეების შუაგულში პაწაწკინა მინდვრები და მინდვრებზე ნაცრისფერი წერტილებივით გაფანტული ქოხები მოჩანდა. კრისტინმა დაიწყო ქოხების დათვლა, ოცდათექვსმეტამდე მივიდა, და თავი გაანება, ანგარიში აერია, მაგრამ მაინც ადამიანთა საცხოვრებელი ბინები ნამცეცისოდენაც არა ჩანდა ამ უზარმაზარ უდაბნოში!

კრისტინმა იცოდა, რომ გაუვალ ტყეებში მგლები და დათვები დათარეშობენ, ქვების ქვეშ კი ტროლები[1], მთის ალქაჯები და ყველანაირი ქვესკნელის ჟიჟმატობა ბინადრობს; შიშმა აიტანა, იმათ რა დათვლისო და დაუთვლელადაც ხომ იცოდა, რომ მონათლულ ხალხზე ბევრად მეტნი იყვნენ. შეშინებული ხმამაღლა უძახდა მამას, მაგრამ ხმა ქარს მიჰქონდა — ლავრანსი მუშებთან ერთად ზევით მიაგორებდა უზარმაზარ ლოდებს, კოშკურის ძელების ხიმინჯებისათვის შესადგმელად.

სწორედ ამ დროს ისრიდი მივიდა ბავშვებთან, კრისტინი დასავლეთისაკენ გაახედა და ვოგეს ხეობა დაანახვა. არნემ კი რუხი მთა უჩვენა, სადაც ახლომახლო დაბათა მცხოვრებნი ორმოებში იტყუებდნენ ირმებს და სადაც ყორით აშენებულ ქოხებში მეფის მსახურები, შავარდნების დამჭერნი ცხოვრობდნენ. — თვითონ არნეც ხშირად ფიქრობდა, ამ ხელობისთვის მოეკიდა ხელი და, გარდა შავარდნების დაჭერისა, ამ ფრინველის გაწვრთნა-გაწაფვაც ესწავლა და ნადირობი-

---

[1] ტროლი — სკანდიხავიური ხალხური თქმულებებით ზებუნებრივი არსებანი, გოლიათები, ან ჯუჯები არიან, ჩვეულებრივ მტრულად ეკცევიან ადამიანს.

სათვის შეეჩვია — ახლაც ისე აიქნია ხელი, თითქოს შავარდენი აფრინაო.

ისრიდმა თავი გადაიქნია:

— რა ცხოვრებაა იმათი ცხოვრება, არნე, გიურდის ვაჟიშვილო, დედაშენს ეგღა უნდა, რომ შენ შავარდნის დაჭერას მიჰყო ხელი! იქ მაგ ხელობის კაცი თავს ვერ დაიჭერს, ძალაუნებურად უკეთურ ხალხს, ან უფრო უარეს ვინმეს გადაეკიდება.

სწორედ ამ დროს ლავრანსიც მივიდა იმათთან და ბოლო სიტყვებს მოჰკრა ყური.

— დიახ, — დაუდასტურა ლავრანსმა, — იქ მრავალი მობეგრეა, რომელიც არც ვალს იხდის და არც საეკლესიო გადასახადს!..

— შენ ხომ, რაღა არ გინახავს, ლავრანს, — უთხრა ისრიდმა, — ისეთ მიუვალ მთებში ადიხარ!..

— ჰ-ო! — ლავრანსმა ცოტა დააყოვნა პასუხი, — ეგებ არც იხდიან, მაგრამ მაგისთანა რამეზე, მე მგონი, ლაპარაკი არა ღირს. უფლებაწართმეულნი [1], ვისაც ხეობაში მშვიდობიანი ცხოვრება აეკრძალა, მთაში მაინც უნდა ვაცხოვროთ მშვიდობიანად; უნდა გითხრათ, ხშირად მინახავს ყვითლად მბზინავი თავთავი და მშვენიერი მდელოები ისეთ ადგილებში, სადაც ბევრს აზრადაც არ მოუვა თუ იქ ნაყოფიერი მინდვრებია; მსხვილრქოსანის ნახირსაც წავწყდომივარ და ცხვრის ფარებსაც, მაგრამ, მართალი გითხრა, ვერ გეტყვი, ხალხს ეკუთვნოდა თუ სხვას...

— ოჰიმე! — ამოიოხრა ისრიდმა, — მთაში რომ პირუტყვი დაიკარგება საძოვრებიდან, ხალხი მგლებისა და დათვების სახსენებელსა წყევლის; მაგრამ მთაში იმათზე უარეს ავაზაკებსაც შეხვდება ადამიანი.

— შენ ეგრე გგონია? — ჩაფიქრებულმა უთხრა ლავრანსმა და შვილს თავზე ხელი გადაუსვა. — ერთხელ, „ტახებს“ იქიდან, სამხრეთისაკენ მივდიოდი და გზაზე სამ პატარა ბიჭს გადავეყარე მთაში, უფროსი კრისტინზე დიდი არ იქნებოდა; ქერა ბიჭები იყვნენ, ბეწვის

---

[1] უფლებაწართმეულნი ეწოდებოდა სისხლის აღების, ან სხვა ბოროტებისათვის კანონგარეშე გამოცხადებულ ხალხს, XII — XIII საუკუნეებში. გლეხთა ომების წინ და სამოქალაქო ომების შემდგომ წლებში მთაში თავს აფარებდნენ გლეხები და მეწილეები, რომელნიც გაურბოდნენ ფეოდალურ ჩაგვრას.

ქურთუკები ეცვათ. ჯერ მგლის ლეკვებიკით დაკრიჭეს კბილები, მერე კი მოჰკურცხლეს და დამემალნენ. ნურავის გაუკვირდება, თუ საწყალი იმათი მამა მოინდომებს ერთი-ორი ძროხა მიულალოს თავის შვილებს...

— ჰო, მგელსა და დათვსაც ჰყავს ლეკვები,—გაჯავრებულმა მიუგო ისრიდმა, — შენ კი არც იმათა ზოგავ და არც იმათ ლეკვებს. მაგრამ იმათთვის ხომ არც კანონები უსწავლებიათ, არც ქრისტიანული სარწმუნოება შეუსისხლხორცებიათ, როგორც იმ ღვთისგარეგნებისთვის, ვისაც შენ მუდამ კარგს უსურვებ...

— შენა გგონია, ელოცავ, რაკი წყევლა-კრულვას არ ეუთვლი?— უთხრა ლავრანსმა და ჩაეცინა. — მაგრამ, მაგას თავი დავანებოთ, წავიდეთ, ვნახოთ, საგზლად რა გამოგვატანა დედაშენმა. — ხელი ჩაავლო ლავრანსმა კრისტინს და წაიყვანა, მერე ოდნავ დაიხარა მისკენ და ჩუმად უთხრა: იმ სამი ბიჭის დანახვაზე შენი პატარა ძმები მომაგონდა, კრისტინ!

დარაჯის ქოხში შეიხედეს, იქაურობა ჩახუთული იყო და შმორის სუნიც იდგა. კრისტინმა კედლების გასწვრივ მარტო მიწაში გამოჭრილი საწოლები დაინახა, ქოხის შუაგულში კერა, ფისით სავსე კასრები და კონებად შეკრული კვარისა და არყის ქერქები. ლავრანსმა გადაწყვიტა, სჯობია, სუფთა ჰაერზე ვჭამოთო, და, ქოხის ცოტა ქვემოდან ფერდობზე შეფენილ არყნარში, ერთი კოხტა, ლამაზი მდელო ამოირჩიეს:

ცხენს საპალნე მოხადეს და ყველანი ბალახზე წამოწვნენ. რაგნფრინდის გამოტანებულ საგზლის ტოპრაკში რა არ ელაგა: ახალი გამომცხვარი პურები და ლავაშები, კარაქი, ყველი, ქონის ნაჭრები, ირმის შაშხი, ღორის ხორცი და მოხარშული ძროხის მკერდი, გერმანული ლუდით სავსე ორი ხელადა და პატარა კასრით თაფლუჭიც კი ჩაედგა. მუშაობა გახურდა — ერთი ხორცსა სჭრიდა, მეორე არიგებდა, ხალვდანმა კი, ის ყველაზე უფროსი იყო კაცებში, ცეცხლი დაანთო. ტყეში ცეცხლაპირას უფრო არხეინად არის კაცი.

ისრიდი და არნე ჩადუნას და ჯუჯა არყსა გლეჯავდნენ და ცეცხლს აყრიდნენ, ცეცხლში შიშინითა და ტკაცატკუცით იწვოდა ნორჩი ფოთლები და თეთრად ჩაფერფლილ ფოთლებს ფაფარივით წამომდგარი ცეცხლის წითელი ალი იტაცებდა; სქელი შავი ბოლი ბოლქვებად ადიოდა მოკრიალებული ცისკენ. კრისტინი შესცქეროდა

ცეცხლს და ასე ეგონა, ცეცხლსაც უხარია გარეთ გავარდნა და თავის ნებაზე განავარდებაო. აქ, ღია ცის ქვეშ, ცეცხლი უფრო თამამად იყო, გარეთ სულ სხვაა, შინ კი ერთ ჭაპანწყვეტაშია — საჭმელიც უნდა მოხარშოს და ოთახიც გაანათოსო.

კრისტინი მამას მიყრდნობოდა, ხელი მის მუხლზე გადაედო და ისე იჯდა; მამა, რაც კი რამ საუკეთესო და გემრიელი იყო, რამდენიც მოესურვებოდა, აწოდებდა შვილს, ლუდსაც სთავაზობდა და თაფლუქსაც ერთგულად უმარჯვებდა.

— ბავშვს ისე მოეკიდება, რომ საძოვარზე ველარ ჩავა. — სიცილით თქვა ხალვდანმა. მაგრამ ლავრანსმა ამის პასუხად ლოყებზე ხელი მოუთათუნა კრისტინს, ეს იყო და ეს.

— მერე რა, ცოტანი ხომ არა ვართ, ხელით ვერ ჩავიყვანთ! ამის დალევა კი მხოლოდ არგებს; შენც დალიე, არნე; ჯერ მოზარდები ხართ და ღვთის ნაბოძები ვნებას კი არ მოგიტანთ, დედის რძესავით შეგერგებათ, სისხლსა სწმენდავს, მაგარი ძილი იცის და არც სისულელესა და უგუნურებას ჩაადენინებს ადამიანს...

კაცებიც ყლურწავდნენ, რამდენიც სულსა და გულს ეამებოდა, იმათ არც ისრიდი ჩამორჩა. — ახლა იქ მსხდომთა ლაპარაკი, ცეცხლის ტკაცატკუცი და შიშინი შორიდან წამოსული გუგუნივით ესმოდა კრისტინს — თავი ნელ-ნელა დაუმძიმდა, გარშემო ყველანი აქეზებდნენ ლავრანსს, ეამბნა უცნაური თავგადასავლები, რაც ნადირობის დროს გადახდენოდა. მაგრამ ლავრანსს ხმა ვერ ამოაღებინეს. კრისტინი კი დიდ განცხრომაში იყო და საჭმელსაც გულიანად შეექცეოდა...

მამას ხელში ახალი გამომცხვარი ქერის პურის ნატეხი ეჭირა, გულს თითებით ასორსლებდა, პატარ-პატარა ცხენებს აკეთებდა, ხორცს ოდნავ წააციცქნიდა, პურის ცხენზე შესვამდა და თავის მუხლზე შიგ კრისტინის პირისაკენ მიაჭენებდა. მაგრამ კრისტინი ისე იყო მოქანცული, პირის გაღებაც კი ეზარებოდა, აღარც დაღეჭვა შეეძლო, — უცებ მიწაზე გულაღმა გადავარდა და დაეძინა.

კრისტინმა თვალები გაახილა. ბნელაში იწვა, მამასთან თბილად ჩახუტებული. — მამას კრისტინისთვისაც თავისი ლაბადა წაეხურა და თავისთვისაც. კრისტინი წამოჯდა, სახიდან ოფლი მოიწმინდა, ქუდი

მოიხადა და ნიავს მიუშვირა თავი, რომ გაოფლიანებულ თმაში ნიავს გაევლო.

ალბათ, დიდი დრო გავიდა. მზე უკვე ყვითლად ანათებდა და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაც გრძელი ჩრდილები გაწოლილიყო, ჩამიჩუმი არსაიდან იყო. სიო არ იძვროდა, ბუზები და კოღოები გუნდგუნდად დაჰბზუოდნენ მძინარეებს. კრისტინი თაგვივით გატრუნული იჯდა, კოღოებისაგან დაკბენილ ხელებს იფხანდა და თან აქეთ-იქით იყურებოდა; ზემოთ აზიდულ მომრგვალებულ კლდის წვერზე მოდებული ხავსი მზის სხივებში თეთრი ხალიჩასავით ქათქათებდა და აქაიქ გაფანტული ქარაგოზები ყვითლად იპყიტებოდნენ. ხოლო ძელების კოშკს თოვლ-წვიმისაგან რუხი ფერი დასდებოდა და უცხო ნადირის ჩონჩხივით ცისკენ აზიდულიყო.

კრისტინი შიშმა აიტანა, ყველას არხეინად ეძინა ამ კაშკაშა მზეში. ზოგჯერ შინაც კი გაღვიძებია ღამე, მაგრამ შინ სულ სხვა იყო. ბნელოდა ხოლმე, კრისტინი მაინც მყუდროდ იწვა დედისა და ძელურ კედელზე გაკრული ხალიჩის შუა. იცოდა, ოთახის დარაბა დახურულია, ურდულები ჩაგდებული და ღამის წყვდიადისა და ავდრისაგან იფარავს. ფშვინვა ესმის ბეწვგადაფარებულ ყურთუკებზე ნებივრად და მშვიდად მძინარე დედ-მამისა. აქ კი თეთრი და შავი ნაცრის გარშემო მიწაზე მოკრუნჩხული და მოკუნტული ხალხი, ვინ იცის, მკვდრებიც არიან, ვინ პირქვე იწვა, ვინ გულაღმა, თან მუხლები აეყაყვათ, ამ მძინარე ხალხის უცნაური ხვრინვა შიშსა ჰგვრიდა კრისტინს. მამაც მძიმედ ხვრინავდა, ხოლო ხალვდანის ხვრინვას იქაურობა მიჰქონდა. არნე გვერდზე იწვა, სახეზე ხელი აეფარებინა, ქერა, მბზინავი თმა მანანაზე გადაჰყროდა; სუნთქვა არ ისმოდა, ისე ჩუმად ეძინა, კრისტინს გული გაუსკდა, ხომ არ მოკვდაო; წინ გადაიხარა და ჯაჯგური დაუწყო, არნეს არ გაღვიძებია, მძინარემ გვერდი იბრუნა, ეს იყო და ეს.

კრისტინმა უცებ გაიფიქრა, ეგებ ერთი დღე და ღამეც გავიდა, რაცა გვძინავს და, ვინ იცის, ახლა მეორე დღე გათენდაო. შეეშინდა და ახლა მამას დაუწყო ნჯღრევა. მაგრამ არც იმას გაღვიძებია, ძილში რაღაც წაიბუტბუტა და ისევ ხვრინვა ამოუშვა. თვითონ კრისტინსაც დამძიმებული ჰქონდა თავი. მაგრამ აღარ იცოდა, ძილი მიებრუნებინა თუ არა. ცეცხლთან მიცუცქდა და ჩინჩხვრით გაქექა — ნაცარში კიდევ ღვიოდა ნაკვერჩხალი. კრისტინმა, რაც იქვე იპოვა, მანანა და კა-

წაწები მოაგროვა და ნაღვერდალს დააყარა, უფრო მსხვილი ფიჩხის მოსაძებნად შორს წასვლა ვერ გაბედა.

უცებ, სულ ახლოს, ტყეში, რაღაცამ ჭახანი მოიღო და გუგუნი გაისმა. კრისტინს შიშისაგან გააცია და გული გადაუქანდა. ამ დროს ხეებში ვეებერთელა, წითური რაღაც დაინახა: არყნარის ნორჩ ტყეში გაშვებული გულდსვეინი არყებსა და ბუჩქებს ლაწალუწით მიამტვრევდა და მინდვრისაკენ მიიწევდა; ცხენი შედგა და დიდრონი ჭროლა თვალებით მიაშტერდა გოგოს. კრისტინს ისე გაუხარდა ცხენის დანახვა, რომ მაშინვე ფეხზე წამოხტა და ულაყთან მიირბინა. არნეს ქურანაც იქვე ძოვდა და სასაპალნე ცხენიც. უცებ კრისტინს შიშმა გაუარა და გული დაიარხეინა; ცხენებთან მივიდა და სამივეს გავაზე ხელები დაუტყაპუნა, გულდსვეინმა თავი დასწია, რომ გოგო მისწვდომოდა, ცხვირზე ხელი მოესვა და მოყვითალო ქერა მოკლედ შეკრეჭილი „ქოჩორი“ მოეჩეჩა. ულაყმა ხელები დაუყნოსა და რბილი ცხვირი წაჰკრა რამდენჯერმე ხელში.

ცხენები მშვიდად წიწკნიდნენ ბალახს და ასე წიწკვნა-წიწკვნით არყის ჭალაში ჩავიდნენ, კრისტინიც იმათ მიჰყვა; ასე ეგონა, თუ გულდსვეინთან ახლოს ვიქნები, არაფერი შემაშინებსო: ულაყი ხომ დათვსაც კი ერეოდა. გარშემო მოცვის ხშირი ბუჩქები გაბარდულიყო. პატარა გოგოს წყალი სწყუროდა და უგემური პირი ჰქონდა; ლუდს ვეღარ მიიკარებდა, ხილით პირის გასველება კი ღვინოსავით ესიამოვნა. ყორეზე ქვებშუა ამოხეთქილ ჟოლოს მოჰკრა თვალი. კრისტინი გულდსვეინს ფაფარში სწვდა და მოსწია, წამომყევიო; ულაყიც მორჩილად გაჰყვა უკან. ნელ-ნელა მთის კალთაზე შეფენილ ხშირ ტყეში შევიდა კრისტინი, ცხენიც, დაუძახებდა თუ არა, მისდევდა, სხვა ცხენებიც გულდსვეინს გამოებნენ კუდში.

უცებ კრისტინს ნაკადულის რაკრაკი და ჩქაფუნი მოესმა; ჩუხ-ჩუხის ხმას მიჰყვა, მართლაც, იქვე ნაკადული მოჩხრიალებდა. დიდ სიპ ქვაზე გაწვა და გაოფლიანებული, კოღოებისაგან დაკბენილი სახე და ხელები დაისველა. ღრმა, ჩაშავებულ მორევს ჩასცქეროდა, სწორედ პირდაპირ, წყალგაღმა ნორჩი არყებისა და ტირიფის ბუჩქების უკან კედელივით აღმართულიყო კლდის ქარაფი. სარკეს არა ჰგავს! კრისტინი გადაიხარა და წყალში დაიწყო ცქერა. უნდოდა გაეგო, მართალი თქვა თუ არა ისრიდმა, მამასა ჰგავსო?

კრისტინი იღიმებოდა, თავს აქნევდა და სულ უფრო დაბლა და

დაბლა იწევდა წყლისკენ, სანამ თავისი ქერა თმა არ შეახო წყალში გამოსახულ ბავშვის თმასა და დიდრონთვალება პირმრგვალ სახეს.

იქაურობა ღალანებდა მშვენიერი პირისფერი ყვავილით — ამ ყვავილს კატაბალახას ეძახიან,— აქ, მთის ნაკადულის პირას, უფრო წითლად ღვიოდა და უფრო ლამაზი იყო, ვიდრე იმათი მდინარის ნაპირებზე. კრისტინი ყვავილებს კრეფდა და ბალახის ღეროებით ჰკრავდა, ვიდრე ლამაზი, გაქუჩქუჩებული ყვავილების გვირგვინი არ დაწნა. გვირგვინი თავზე დაიდგა და მორევისაკენ მოკურცხლა, უნდოდა, ენახა, როგორ უხდებოდა გვირგვინი, — საცეკვაოდ მიმავალ შეღერებულ გოგოსავით მოირთო.

სიპ ქვაზე გაწვა და წყალში ჩაიხედა, მისი მუქი გამოსახულება ფსკერიდან ზევით-ზევით იწევდა და სულ უფრო მკაფიოდ ჩანდა, რაც უფრო უახლოვდებოდა, — უცებ სარკესავით მდინარეში დაინახა, წყალგაღმა, არყებშუა ვიღაც უცხო დგას და მისკენ მოიწევს, კრისტინმა სწრაფად წამოიწია მუხლებზე და იქით გაიხედა. ჯერ მოეჩვენა, თითქოს არავინ იყო, ზღუდესავით აყუდებულიყო კლდე და კლდისძირას დარაჯებივით დამდგარიყვნენ ხეები. მაგრამ უცებ ფოთლებში ისევ ვიღაცის სახეს მოჰკრა თვალი,— იქ, სელივით ქერა ქუჩქუჩათმიანი ფერმკრთალი ქალი იდგა, გულდსვეინივით დიდრონი, ღია ნაცრისფერი თვალები და მკრთალი ვარდისფერი ნესტოები ჰქონდა. რაღაც პრიალა ფოთოლივით მწვანე ეცვა. ბალთებითა და ბრჭყვიალა ძეწკვებით მორთულ მაღალ მკერდამდე შტოები ფარავდა.

კრისტინმა თვალი ვერ მოაშორა ამ მოჩვენებას; აგერა, ხელიც ასწია, ოქროს ყვავილებისაგან დაწნული გვირგვინი დაანახვა — დაუქნია და ანიშნა, ჩემთან მოდიო.

კრისტინმა დამფრთხალი გულდსვეინის შეშინებული ფრუტუნი გაიგონა და იქითკენ მიტრიალდა — ულაყი ყალყზე იდგა და ისე ჭიხვინებდა, კრისტინს ყურებში გასწვლა. ცხენი უცებ შეტრიალდა და, მიწამ ზანზარი დაიწყო, ისეთი ჭენებით წავიდა აღმართში. ის ორი ცხენიც გულდსვეინს მიჰყვა ქვიან ღორღზე. ქვის ნატეხები ხრიალით მოდიოდა თავქვე, დამფრთხალი ცხენები ლაწალუწით მიამტვრეედნენ ტოტებსა და ფესვებს.

ახლა კი განწირული ხმით შეჰკივლა კრისტინმა:

— მამი! — ყვიროდა ის. — მამი!..

ფეხზე წამოხტა და ცხენებს გამოუდგა, უკან მოხედვას ვერა ბედავდა, ძლივს აფოფხდა ციცაბო ქვიან ფერდობზე, კაბის კალთაზე ფეხი დაიდგა და კინაღამ დაგორდა, მაგრამ თავი შეიმაგრა, ისევ წამოდგა, დაკაწრული ხელებით ქვებს ეჭიდებოდა, გადაყვლეფილი, გასისხლიანებული მუხლებით მიფოფხავდა და ხან მამას ეძახდა, ხან გულდსვეინს, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, და თვალებს უვსებდა. გულს კი ისეთი ბაგიბუგი გაჰქონდა, თითქოს გულის ფიცარს უნდა შეასკდესო; შიშისაგან გულგახეთქილს ცრემლები ახრჩობდა.

— მიშველე, მამი, მიშველე!

უცებ ზემოდან მამის ხმა მოესმა და ისიც დაინახა, რა კამარებით ჩამორბოდა ლავრანსი მზის შუქით თეთრად გადაქათქათებულ ხრამზე; ნორჩი არყები და ვერხვები გარინდებულები მწკრივ-მწკრივად იდგნენ, მხოლოდ ფოთლები ლივლივებდნენ ვერცხლისფრად, მთაზე შეფენილ გაჩახჩახებულ ტყეში ისეთი სიწყნარე იყო, ჩამიჩუმი არ ისმოდა. მამა კი ქვევითკენ მორბოდა და თან შვილს ეძახდა; კრისტინს ღონე წაერთვა და მიწაზე ჩაჯდა, რაკი იცოდა, ახლა აღარაფერი იყო საშიში.

— ყოვლად წმინდაო მარიამ! — ლავრანსმა ბავშვთან ჩაიჩოქა და შვილი გულში ჩაიკრა; ფერი აღარ ედო, ბაგე უცნაურად მობრეცოდა, სახეშეშლილი მამის დანახვაზე კრისტინს უფრო შეეშინდა; თითქოს მხოლოდ ახლა მიხვდა, რა განსაცდელსაც გადაურჩა.

— შვილო, ჩემო შვილო! — ლავრანსმა ხელი მოხვია კრისტინს, დახედა მის დასისხლიანებულ ხელებს, ჩამოშლილ თმაზე დადგმული გვირგვინი დაინახა, ხელი მოჰკიდა გვირგვინს, — ეს რა არის, აქ საიდან გაჩნდი, შვილო, კრისტინ?

— გულდსვეინს გამოვყევი, — ქვითინებდა მამის მკერდს მიკრული კრისტინი.—ძალიან შემეშინდა, ყველას გეძინათ, მერე გულდსვეინი დავინახე... მერე კი ვიღაც იდგა წყალთან, ხელს მიქნევდა და თავისკენ მიძახდა.

— ვინ გიძახდა, კაცი იყო?

— არა, ქალი; ოქროს გვირგვინს მიქნევდა — მე მგონი, მთების ქალი იყო, მამი...

— უფალო იესო ქრისტე, — თავისთვის ჩაილაპარაკა ლავრანსმა, ბავშვს პირჯვარი გადასახა და თავადაც გადაიწერა.

ალმართში ასვლას ეშველებოდა ლავრანსი, ვიდრე ამწვანებულ

ფერდაზე გამოვიდოდნენ. მერე კი ხელში აიყვანა. მამას კისერზე შემოხვეოდა კრისტინი და გულამოსკვნილი ტიროდა. ლავრანსმა ბევრი უშალა, ნუ ტირიო, მაგრამ ვერა და ვერ დააშოშმინა.

მალე მუშები და ისრიდიც შემოეხვივნენ, როცა ისრიდმა გაიგო, რა შეემთხვა გოგოს, ხელი ხელს შემოჰკრა.

— რა თქმა უნდა, მთების ქალი იყო, მაშ სხვა ვინ იქნებოდა. ალბათ, ამ ლამაზი ბავშვის შეტყუება და კლდეში ჩაკეტვა უნდოდა, ეგრე იქნება!..

— გაჩუმდი! — მკვახედ გააწყვეტინა ლავრანსმა. — მაგისთანა რამეზე ტყეში არ ვარგა ლაპარაკი, არც უნდა გვეხსენებინა, ვინ იცის, ქვებქვეშ ვინა ზის და ვინ გვიგდებს ყურს!

ლავრანსმა პერანგის შიგნით შებმული ძეწკვი შეიხსნა, ჯვარი და წმინდა ნაწილები ყელზე ჩამოჰკიდა კრისტინს და კაბის ქვეშ ჩაუცურა.

— თქვენ კი ყველამ ენას კბილი დააჭირეთ, — უთხრა ისრიდსა და მუშებს. — რაგნფრიდმა გაგებითაც არ უნდა გაიგოს, რა განსაცდელს გადაურჩა შვილი.

ტყეს შეყოლიებული ცხენები დაიჭირეს და ჩქარი ნაბიჯით დაღმართს ჩაუყვნენ საძოვრისაკენ, სადაც მწყემსების ქოხი იდგა, დანარჩენი ცხენები იქ სძოვდნენ. მერე ყველანი ცხენებს მოასხდნენ და იორიუნდგორდის სეტერისაკენ გასწიეს—სეტერამდე შორს არ იყო.

მზე ჩასასვლელად ემზადებოდა, სეტერში რომ მივიდნენ; პირუტყვი შეერეკათ კიდეც ბაკში და ტურდისი და მწყემსები ძროხებსა სწველიდნენ. მგზავრებს ცხელ-ცხელი ფაფა დაახვედრეს — მწყემსებს დღისით სადარაჯო კოშკურასთან დაენახათ მგზავრები და ელოდნენ.

ახლაღა დაშოშმინდა კრისტინი და გაჩუმდა. ხელზე უჯდა მამას და არაჟანიან ფაფას მამის კოვზითა სჭამდა.

მეორე დღეს სეტერიდან კარგა მოშორებით ტბაზე უნდა წასულიყო ლავრანსი, იქ ცხოვრობდნენ ლავრანსის მწყემსები, ისინი ხარებს უვლიდნენ. კრისტინიც თან უნდა წაეყვანა; მაგრამ ვეღარ გაბედა და კრისტინს უთხრა: ვერ წაგიყვან, ქოხში უნდა დარჩეო.

— ტურდის, ისრიდ, აბა, თქვენ იცით, ჩვენს მოსვლამდე კარები

და სახათურები[1] კარგად დახურეთ, — მაშინ აღარც კრისტინის შიში გექნებათ და არც იმ პატარა ურჯულოსი, აკვანში რომ გიწევს.

ტურდისი ისე იყო შეშინებული, ქორფა ბავშვით მთაში დარჩენას ვეღარა ბედავდა; და თუმცა ახალმოლოგინებულს ჯერ კიდევ ეკრძალებოდა ეკლესიაში შესვლა, მაინც არჩია ახლავე ბარში ჩასულიყო და იქ დარჩენილიყო. ლავრანსმა მოუწონა, ჭკვიანურად გიფიქრია, ხვალ საღამოს ჩვენ წამოგვყევიო. თან ივარაუდა, იორიუნდგორდში ერთი ხანში შესული ქვრივი ქალი მუშაობს და ტურდისის მაგივრად აქ იმას გამოვგზავნიო.

ტურდისმა ძელსკამზე მოთიბული სურნელოვანი ბალახი გაშალა და ზედ ბატკნის ტყავები დაფინა; კრისტინი ბალახის საამო, მაგარმა სუნმა დაათრო და საძილედ მოსწყდა კინწი, ვიდრე მამა „მამაო ჩვენოსა“ და „Ave Maria“-ს უკითხავდა.

— ვინ იცის, კიდევ როდის წამოგიყვან მთაში, — ჩაილაპარაკა ლავრანსმა და შვილს ლოყაზე ხელი მოუთათუნა.

კრისტინმა ხელად თვალები ჭყიტა.

— მამა, განა თან არ წამიყვან, შემოდგომაზე სამხრეთში რომ წახვალ, აკი დამპირდი, წაგიყვანო!..

— შემოდგომამდე კიდევ დიდი დროა, — უთხრა ლავრანსმა; ცხვრის ტყავებში ჩაფუთნულ კრისტინს მაშინვე ტკბილად ჩაეძინა.

II

ბიურგიულფის ვაჟიშვილი ლავრანსი მუდამ ზაფხულს მიდიოდა სამხრეთისკენ ფოლუს, მამულის დასახედად. ყოველი გამგზავრება ფოლუში კრისტინის ცხოვრების წლების საყედ გამოდგებოდა — უმამოდ გატარებული რამდენიმე სევდიანი კვირა და სიხარული, როცა მამა ჩამოვიდოდა და ლამაზ საჩუქრებს ჩამოიტანდა ხოლმე, უცხოურ ქსოვილებს—ქსოვილები კრისტინის ზანდუკში ჩალაგებულ

[1] სახლებს ფანჯრები არა ჰქონდა და შუქი კერის ზემოთ გაკრული ბანიდან ჩამოდიოდა, ღამე ამოკრილ ადგილას ფიცარს იფარებდნენ ან დარაბით ხურავდნენ.

მზითვს ემატებოდა — ლეღვს, ქიშმიშს, ოსლოურ თაფლის კვერებსა და ათას ამბებს, რომელთა მოსმენა არ მოსწყინდებოდა ადამიანს!

კრისტინი ფიქრობდა, მამაჩემს წელს სულ სხვა მგზავრობა ელისო. წასვლას ყოველდღე სდებდნენ; ლოპსგორდელი მოხუცები მალმალე ჩამოდიოდნენ და ყველანი დიდხანს უსხდნენ მაგიდას. ბჭობდნენ, რა პირობებით მტკიცდება მემკვიდრეობა, ბჭობდნენ მამაპაპეულ მამულებზე, რა უფლებით შეუძლიათ ნათესავებს მამულების გამოსყიდვა, და რა ძნელია ამ სიშორიდან მამულის მოვლა-პატრონობა, მსჯელობდნენ ოსლოელმა საეპისკოპოსომ და მეფის კარმა რამდენი მუშახელი მოსწყვიტა მეზობელი ოლქების მეურნეობასო. უფროსებს კრისტინთან სათამაშოდ არ ეცალათ და მალმალე სამზარეულოში ისტუმრებდნენ მოახლე გოგოებთან.

კრისტინის დედის ძმამ სიუნდბიუელი ივარის ვაჟიშვილმა, ტრონდმა, ჩამოსვლას მოუხშირა, მაგრამ იმას არც წინათ უყვარდა ბავშვთან ხუმრობა და არც მიალერსება იცოდა.

ნელ-ნელა კრისტინიც მიხვდა, საქმე როგორც იყო. სილში გადმოსული ლავრანსი სულ იმასა ცდილობდა, ამ მაზრის რაც შეიძლება მეტი მიწები ჩაეგდო ხელში. სწორედ გიუდმიუნდის ვაჟიშვილმა ანდრესმაც ლავრანსს შესთავაზა, დედის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ დედისეულ მამულს ფორმოს სკუგზე გაგიცვლიო, სკუგი რაინდისთვის უფრო დასამხრისი იყო, მეფის რაზმში მსახურობდა და ხეობაში იშვიათად თუ მოხვდებოდა ხოლმე. ლავრანსს ენანებოდა საგვარეულო, მეფის ნაჩუქარი, მამული — სკუგი მეფეს ლავრანსის ერთ-ერთი წინაპრისათვის ებოძებინა. თუმც ამ მამულის გაცვლა ბევრნაირად იქნებოდა მისთვის ხელსაყრელი. მაგრამ ლავრანსის ძმას ოსმიუნდსაც უნდოდა სკუგის გამოსყიდვა, — ამჟამად ხადელანდში ცხოვრობდა, სწორედ სკუგის მახლობლად მისცეს იმის ცოლს მზითვში მამული და ჯერ არავინ იცოდა, ხელს აიღებდა თუ არა ოსმიუნდი მამაპაპეულ მიწა-წყალზე.

ამიტომ უთხრა ერთხელ ლავრანსმა რაგნფრიდს, წლეულს მინდა, კრისტინიც წავიყვანო სკუგში, მინდა ნახოს ის კარ-მიდამო და სახლი, სადაც დაიბადა და სადაც მისი წინაპარნი ცხოვრობდნენ, მით უმეტეს, თუ ისე მოხდა, რომ ეს მამული სხვის მფლობელობაში გადავიდაო. რაგნფრიდს უარი არ უთქვამს ქმრისთვის, ბავშვს უნდა

სცოდნოდა, სად დაიბადა, მაგრამ, რა თქმა უნდა, თან ეშინოდა პატარა ბავშვი ასეთ შორ გზაზე გაეტანებინა; თვითონ კი ვერ გაჰყვებოდა.

რაც წყლის პირას მთების ქალი ნახა, ისე იყო შეშინებული კრისტინი, დედის კალთას არა შორდებოდა; იმათი დანახვისაც კი ეშინოდა, ვინც მათთან ერთად იყო იმ დღეს მთაში და ის ამბავი იცოდა. კრისტინს უხაროდა, რომ მამამ იმ მოჩვენებაზე ლაპარაკიც კი აუკრძალა ყველას.

დრო გავიდა, კრისტინმა იფიქრა, ვითომ რა იქნება, ამაზე ვილაპარაკოო. გულში უამბო კიდეც ვიღაცას ყველაფერი, ვის, თავადაც არ იცოდა, ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ, რაც დრო გადიოდა, მით უფრო ნათლად აგონდებოდა ის დღე და ცოცხლად უდგებოდა თვალწინ ის მზეთუნახავი... და საოცარია, მუდამ, როცა კრისტინს მთების ქალზე ფიქრი წაიღებდა, უფრო უძლიერდებოდა სკუგში წასვლის სურვილი და სულ უფრო და უფრო ეშინოდა, ვაითუ მამამ აღარ წამიყვანოსო.

ძლივს, ერთ დილით, კრისტინს სტაბიურის სხვენზე ეძინა. თვალი რომ გაახილა, დაინახა, კარებწინ მოხუცი გიუნხილდი და დედა ისხდნენ და მამის ნანადირევ ციყვის ტყავებს სინჯავდნენ. გიუნხილდი ქვრივი ქალი იყო, მამულიდან მამულში დადიოდა და ლაბადებს, ქურქებსა და სხვა ამისთანებს სარჩულად ბეწვს უდებდა. კრისტინმა იმათი ლაპარაკიდან გაიგო, რომ ახლა მასაც შეუკერავენ ახალ ქურქს, შიგნიდან ციყვის ბეწვს დაუდებენ, გარედან კი კვერნის ბეწვით მოურთავენ. რაკი მიხვდა კრისტინი, ალბათ, მამა სამხრეთისაკენ მიდის და მეც თან მივყავარო, საწოლზე შეხტა და სიხარულისაგან ყიჟინა დასცა.

დედა კრისტინთან მივიდა და ლოყაზე მოუთათუნა ხელი.

— გიხარია, შვილო, რომ უჩემოდ ასე შორს მიდიხარ?

რაგნფრიდმა იგივე გაუმეორა გამგზავრების წინა დილითაც. ის იყო ირიჟრაჟა, როცა ადგნენ, გარეთ ისევ ბნელოდა, შენობებს შუა ხშირი ნისლი იდგა, კრისტინს უნდოდა გაეგო, როგორი ამინდი იყო და კარიდან გარეთ გაიხედა — ფარნებსაც ნისლი ეხვია, ღია კართან ჯანღი ბოლივით ირეოდა. ვიღაც წინ და უკან დარბოდა — თავლებიდან ფარდულებისაკენ და ფარდულებიდან თავლებისკენ, ქალებს სამზარე-

ულოდან მოჰქონდათ ცხელ-ცხელი ფაფით სავსე ქვაბები, ქვაბებს ოხშივარი ასდიოდა. თაბახებით მოხარშული ხორცი და ღორის მკერდი შემოიტანეს. — ნოყივრად და მაძღრისად უნდა ეჭამათ, ვიდრე გზას გაუდგებოდნენ ამ სუსხიან დილას.

თასმებს უჭერდნენ გზაში წასაღებ ბარგიბარხანით გატენილ ტყავის ტომრებს, ისევ ხსნიდნენ და, რაც დავიწყებოდათ, აწყობდნენ. რაგნფრიდმა ერთხელ კიდევ გაუმეორა ლავრანსს, რასაც აბარებდა, მოაგონა ყველა ნათესავი და მეზობელი, ვისაც გზად ჩაუვლიდნენ, არ დაივიწყო ამას და ამას მოკითხვა გადაეცი და იკითხე ესა და ეს როგორ არისო.

კრისტინი ვეღარ ისვენებდა, შერბოდ-გამორბოდა და მერამდენედ ეთხოვებოდა შინაურებს.

— კრისტინ, მაშ გიხარია, ეგრე შორს რომ მიდიხარ და ამდენი ხნით მშორდები? — ჰკითხა დედამ. კრისტინს გული დაუმძიმდა, ცუდ გუნებაზე დადგა, იფიქრა, ნეტავ დედას ეს სიტყვები არ ეთქვაო. მაგრამ ისეთი პასუხი მისცა, რომ დედას გული არ დასწყვეტოდა.

— არა, საყვარელო დედა, შენგან წასვლა კი არა, მამას რომ მივდევ, ის მიხარია!

— ეგ მეც ვიცი, მამაშენთან ერთად წასვლა გიხარია, — უთხრა რაგნფრიდმა და ამოიოხრა. შვილს აკოცა და კაბა გაუსწორა.

ძლივს, ყველანი ცხენებზე შესხდნენ, მთელი ქარავანი მზად არის; კრისტინი ლავრანსის ბებერ მურვინზე ზის, მურვინი ჭკვიანი და საიმედო ცხენია, არსად გადასჩეხავს. რაგნფრიდმა ვერცხლის თასი მიაწოდა ქმარს, რომ ერთი კიდევ დაელია და მომაგრებულიყო გამგზავრების წინ, მერე შვილს მუხლზე დაადო ხელი და შეეხვეწა, დედის დარიგება არ დაივიწყოო.

ცრიატი დილა იყო, როცა ცხენოსნები კარ-მიდამოდან გავიდნენ. რძესავით თეთრ ნისლში გახვეულიყო მიდამო. მაგრამ დიდი დრო არ გასულა, ნისლი შეთხელდა, ლეჩაქივით შემოხვეული ნისლიდან მზემ გამოიჭვრიტა და თეთრ ნისლშიც გამოჩნდა ნამიანი, ხასხასა მწვანე ბალახით აბიბინებული ახალი მოთიბული მდელოები, გადამხმარი ნაქერალი, შეყვითლებული ხეები. მთებში აქა-იქ ისევ წითლადა ღვიოდა ცირცელი, კლდეები ლურჯ ცას ებჯინებოდნენ და ნისლში ეხვეოდნენ; აგერა, ნისლი გაიგლიჯა და ტყიან ფერდობებზე ნაგლეჯ-ნაფლეთებად გაცურდა ჯგუფად მდგარი ხეების შუა; მგზავრები თავქვე დაეშვნენ,

კაშკაშა მზე მაღლა წამოვიდა. კრისტინი ყველაზე წინ მიდიოდა, მამის მხარდამხარ.

ხამარს საღამოთი ჩავიდნენ, იქაურობა ჩამობურულიყო და წვიმდა. კრისტინი მამამ წინ შეისვა ცხენზე; გოგონა ისე იყო მოქანცული, ყველაფერი ერთმანეთში ერეოდა — გზიდან ხელმარჯვნივ ტბა ოდნავ ლაპლაპებდა. გამოჩნდა ჩამუქებული ხეები, ხეებიდან წვეთები ცვიოდა, ქვეშ რომ გაივლიდი. გზის გასწვრივ, ნაცრისფერ სველ მინდვრებზე ალაგ-ალაგ ახლო-ახლო დადგმული სახლები ბუნდოვნად მოჩანდა.

კრისტინი დღეებს აღარა თვლიდა — ასე ეგონა, დასასრული აღარ ექნება ჩვენს მგზავრობასო. გზად გაიარეს ნათესავ-მეგობრებთან, ვიდრე თავქვე მიჰყვებოდნენ ხეობას; კრისტინმა გაიცნო ბავშვები, მათ დიდ მამულებში იკუნტრუშა, უცხო ოთახებში, თავანებსა და ეზოებში ინავარდა. ბევრჯერ ჩაიცვა თავისი წითელი აბრეშუმისმკლავებიანი საგარეო კაბა. კარგ ამინდში მგზავრები გზის პირებში ისვენებდნენ; არნე კაკალს უკრეფდა გოგონას, სადილის შემდეგ კი დასაძინებლად აწვენდნენ ტანისამოსით გატენილი ტყავის ტომრებზე. ერთ მამულში აბრეშუმის პირგადაკრული ბალიშები დაუწყეს თავქვეშ; ერთხელ კი მწირთა შესაფარებელ სახლში გაათიეს ღამე. რამდენჯერაც გაეღვიძა კრისტინს, იმდენჯერ გაიგონა, რომ გვერდით ოთახში ვიღაც ქალი ნელი ხმით შესაბრალისად ტიროდა. თვითონ მას კი ყოველღამ, მამის განიერ ზურგს უკან მიყუჟულს, მშვიდად ეძინა.

კრისტინს უცებ გაეღვიძა და ვერ გაეგო, სად იყო. უცნაური წკარუნი და გუგუნი ძილშიაც ესმოდა და გაღვიძებულსაც ისევ ჩაესმა ყურში, ლოგინში მარტო იწვა, კერაში ცეცხლი გუზგუზებდა.

გოგონამ მამას დაუძახა, ლავრანსი კერასთან იჯდა, მყისვე წამოდგა და ისა და ვიღაც სქელი დედაკაცი მივიდნენ ბავშვთან.

— სადა ვართ, მამილო? — ჰკითხა კრისტინმა მამას.

ლავრანსს გაეცინა.

— ხამარში მოვედით, ეს კი — მარგრეტია, ფარტეინ მეწუღის ცოლი, მიესალმე და ჭკვიანად იყავი — გეძინა, როცა აქ მოვედით. ახლა კი მარგრეტი გიშველის ჩაცმას.

— განა უკვე დილაა? — ჰკითხა კრისტინმა. — მე კი მეგონა, შენც დაწვებოდი დასაძინებლად! არა, მირჩევნია, შენ ჩამაცვა, — სთხოვა მამას, მაგრამ ლავრანსმა მკაცრად უთხრა, სჯობია, მარგრეტს გადაუხადო მადლობა, ჩაცმა მაგან უნდა გიშველოსო.

— უყურე ერთი, უყურე, რა მოგიტანა საჩუქრად!

აბრეშუმის ყაითნიანი წითელი ფეხსაცმელი იყო. ქალს გაეღიმა გახარებული ბავშვის დანახვაზე და ძირს არ ჩამოუშვია, მიწის იატაკზე ფეხშიშველა ფეხით არ დადგესო, პერანგი და წინდები ისე ჩააცვა.

— რა გუგუნებს, — ჰკითხა კრისტინმა, — ეკლესიის ზარიკით, თითქოს ბევრი, ბევრი ზარებია?

— ჩვენი ზარები გუგუნებენ, — გაეცინა მარგრეტს. — განა არ გაგიგონია, რა დიდი ტაძარია ჩვენს ქალაქში? სწორედ იქ მიდიხართ ახლა. ჯერ ჩვენი ტაძრის დიდ ზარს ჩამოჰკრავს, ახლა მონასტერშიაც რეკავენ და წმინდა ჯვრის ეკლესიაშიც!

მარგრეტმა ბავშვს სქელად წაუსვა პურზე კარაქი, რძეში ბლომად ჩაუდო თაფლი და მოურია — ნოყიერი იქნებაო, იმის დრო აღარ იყო, დადინჯებით ეჭამათ.

ქუჩაში ჯერ ისევ ბნელოდა, ღამე ალბათ ყინვამ მოუჭირა. ციცი ნისლი ახლაც ქვალ-რბილში უვლიდა ადამიანს და სახეს უსუსხავდა. მგზავრების და ცხენის ნაფეხურები ყინვისაგან ისე იყო გაყინული, თუჯისგან ჩამოსხმული გეგონებოდა და ახალ თხელ ფეხსაცმელში გამოკვანწულ კრისტინს სიარულის დროს ფეხებსა სტკენდა; ერთგან ყინული ჩატყდა, შუა ქუჩაში წყლის სადინარი არსი გადიოდა — ფეხები დაუსველდა და წაჰყინა. მაშინ ლავრანსმა მხარზე შეისვა და ისე წაიყვანა.

გოგონა თვალებს აცეცებდა სიბნელეში, მაგრამ კარგად არა ჩანდა ქალაქი — ბინდბუნდში მხოლოდ სახლების შავი თავხეები და ხეები გაარჩია. ბოლოს ჭირხლისაგან თეთრად მოქათქათე მდელოზე გამოვიდნენ, ამ მდელოს ბოლოში მონაცრისფრო, მთასავით დიდი შენობა დაინახა, — ამ შენობის გარშემო დიდრონი ქვიტკირის სახლები იდგა. ზოგან სახლებს სასულეები ჰქონდა კედელში დატანებული, საიდანაც შუქი გამოდიოდა. ისევ ატყდა ცოტა ხნით გაჩუმებული ზარების რეკვა და ახლა ისე მძლავრად გუგუნებდნენ, რომ რამდენსაც ჩამოჰკრავდნენ ზარებს, კრისტინს შიშისაგან აკრეოლებდა.

ტაძრის ზღურბლზე რომ შედგეს ფეხი, კრისტინს ეგონა, მთაში შევედიო, ისე ბნელოდა და ისეთმა სიცივემ დაუბერა შიგნიდან. კარებში შევიდნენ თუ არა, დიდი ხნის ჩაგუბებული საკმევლისა და თაფლის სანთლის მძიმე სუნი ცივად ეცა. ძალიან ბნელი და ძალიან მაღალი შენობა იყო. კრისტინმა ბნელაში ვერაფერი გაარჩია, არც გუმბათი ჩანდა სადმე, არც კედლები, წინ კი, სადღაც შორს, საკურთხეველზე სანთლები ენთო. მღვდელი იდგა და მთელ შენობაში მსუბუქ სუნთქვასავით თუ ჩურჩულივით გაისმოდა მისი ხმის გამოძახილი. ლავრანსმა ჯვარედინად მიისხურა აიაზმის წყალი, ბავშვსაც მიასხურა და წინ წავიდნენ; ლავრანსი თუმც ფრთხილად ადგამდა ფეხებს, ფილაქანზე მაინც ისმოდა მისი დეზების წკარუნი. გოგონამ თავის თანამგზავრებთან ერთად უზარმაზარ სვეტებს ჩაუარა და სვეტებშუა რომ შეიხედავდა ხოლმე, ისე ეგონა, თითქოს ნახშირივით შავ გამოქვაბულებში იყურებოდა.

საკურთხეველთან ლავრანსმა მუხლი მოიყარა. კრისტინმაც მამის გვერდით დაიჩოქა. სიბნელეში ნელ-ნელა გაარჩია — სვეტებშუა საკურთხეველზე ოქრო და ვერცხლი ბზინავდა, წინ კი მოოქრულ შანდლებში ანთებული სანთლები ლაპლაპებდნენ. თვალსა სჭრიდა ოქროს სასმისების ელვარება და საკურთხევლის უკან დაკიდებული დიდი მშვენიერი ხატი. კრისტინმა უნებურად კვლავ გაიფიქრა მთის შიგნით არსებულ ქვესკნელის სამეფოზე — ისე წარმოედგინა, რომ იქაც ყველაფერი სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო—ასეთივე დიდებული, მხოლოდ უფრო კაშკაშა შუქით განათებული, და თვალწინ დაუდგა მთების ასული. სწორედ ამ დროს ზევით აიხედა და ხატის თავზე ჯვარზე გაკრული, ცად აზიდული ვეებერთელა ქრისტე დაინახა. ის მკაცრად იყურებოდა, კრისტინი შიშმა აიტანა — ქრისტე ისეთი კეთილი და მწუხარე არა ჩანდა, როგორც იმათ საგვარეულო კოხტა ძელების გაფისულ ეკლესიაში, ჯვარცმული ქრისტე იქ თითქოს მძიმედ ეკიდა, ხელისა და ფეხის გულები მილურსმული ჰქონდა, თავზე გასისხლიანებული ეკლის გვირგვინი ედგა. აქ კი, ხის საფეხურზე, გახევებული ხელები გაეშალა და თავი ზეცისკენ აეწია; ოქროს გვირგვინის ქვეშ თმაც ოქროსფრად უბზინავდა, დამცინავად და კუშტად იყურებოდა.

კრისტინმა სცადა ისევ მღვდლისთვის დაეგდო ყური. მღვდელი ხან კითხულობდა, ხან გალობდა, მაგრამ ჩქარ-ჩქარა კითხულობდა და სიტყვებს ყლაპავდა. შინ კი კრისტინი მიჩვეული იყო, რომ საეკლესიო

მსახურების ყოველი სიტყვა ესმოდა, რადგან მამა ეირიკი ძალიან მკაფიოდ გამოთქვამდა სიტყვებს; გარდა ამისა, მანვე ასწავლა, რას ნიშნავენ ნორვეგიულად წმინდა სიტყვები [1], რომ კრისტინს უფრო ადვილად მიეპყრო მთელი თავისი გულისყური უფლისთვის, როცა ეკლესიაში იყო.

აქ კი ვერ მოეკრიბა გონება; ყოველ წამს სიბნელეში ხან რას დაინახავდა, ხან რას. გათენდა და მაღლა კედელში დატანებული სარკმლებიდანაც ნელ-ნელა შუქი შემოიპარა. იმ ადგილის შორიახლოს კი, სადაც მამა-შვილს მუხლი მოეყარა, ძელებისაგან ნაგები საოცარი რამ აღმართულიყო, ადამიანს სახრჩობელა ეგონებოდა, იმის უკან კი მოთეთრო ქვის ლოდები ეყარა და ვარცლები და ათასნაირი იარაღები ეწყო, — კრისტინმა ფეხის ხმა გაიგონა, ხალხი მიდი-მოდიოდა და რაღაცას უტრიალებდა. ამ დროს კრისტინმა ისევ კედელზე მიკრულ მკაცრ ქრისტე-ღმერთს შეხედა და მოინდომა, მთელი თავისი გულისყური წირვა-ლოცვისთვის მიეპყრო და სხვა არაფერზე ეფიქრა. მაგრამ ისეთი ცივი იყო ფილაქანი, რომ თეძოებამდე შემოეყინა ფეხები და მუხლებმა ღრღნა დაუწყო. ბოლოს კრისტინი ისე დაიღალა, თვალებიღა აუჭრელდა.

აგერ, დაჩოქილი ლავრანსი წამოდგა; წირვა-ლოცვა გათავდა. მღვდელი ლავრანსთან მოვიდა და მიესალმა; კრისტინმა დაინახა მგალობელი ბიჭი საფეხურზე იჯდა და ვიდრე ისინი ლაპარაკობდნენ, კრისტინიც იქვე ჩამოჯდა, ბიჭმა დაამთქნარა და, თავისდა უნებურად კრისტინმაც დაამთქნარა. მგალობელმა ბიჭმა რომ დაინახა, გოგო მიყურებსო, ენა მიაჭირა ლოყას, თვალები გადმოკარკლა და კრისტინისკენ დააელმა. მერე ტანსაცმლის ქვეშიდან ჩანთა გამოიღო და ფილაქანზე გადმოალაგა, რაც კი რამ ეწყო შიგ—ანკესები, ტყვიის ნაჭრები, თასმები და ერთი წყვილი კამათელი. თან მალ-მალე კრისტინს ეღიმებოდა. კრისტინი გაოცებული უყურებდა ბიჭს.

ამ დროს მღვდელმა და ლავრანსმა თვალი შეასწრეს ბავშვებს. მღვდელს გაეცინა და ბიჭს დაუტია, ახლავე სკოლისკენ მოუსვიო; ლავრანსმა კი შუბლი შეიკრა და კრისტინს ხელი ჩასჭიდა.

ეკლესიაში შუქმა იმატა, კრისტინს ძილი მოერია, მამას ჩამოეკიდა

---

[1] მხედველობაში აქვთ კათოლიკური ღვთისმსახურების (წირვა-ლოცვის) ლათინური სიტყვები.

მკლავზე და ასე მისდევდა, ვიდრე ლავრანსი და მღვდელი ძელური ხაგებობის ქვეშ დადიოდნენ და ლავრანსი ეპისკოპოს ინგიალდის საალმშენებლო სამუშაოებზე ესაუბრებოდა.

ნელი ნაბიჯით გაიარეს მთელი ეკლესია და ტაძრის კარიბჭეში გავიდნენ. იქიდან ქვის კიბე ადიოდა დასავლეთის კოშკში. დაღლილი კრისტინი კიბეზე ძლივს მიათრევდა ფეხებს. მღვდელმა შეაღო ლამაზი სააღმსარებლოს კარი, ლავრანსმა უთხრა კრისტინს, შენ კიბეზე ჩამოჯექი და აქ დამიცადე, ვიდრე მე აღსარებას ვეტყვი, მერე შენც შემოდი და წმინდა თომასის კიდობანს ემთხვიეო.

ამ დროს სააღმსარებლოდან მონაცრისფრო-წითელ ანაფორიანი ბერი გამოვიდა. წამით შეღვა, ბავშვს გაუღიმა, გასჯინიდან რამდენიმე ტომარა და ჯვალო გამოიღო და კიბის თავზე დაფინა.

— ამაზე დაჯექი, და ისე ფღარ შეგცივა, — უთხრა კრისტინს ფეხშიშველა ბერმა და კიბეზე დაეშვა.

კრისტინს ეძინა, როცა ბატონი მარტეინი, — ასე ერქვა მღვდელს, — სააღმსარებლოს კარიდან გამოვიდა და გოგონას მხარზე ხელი დაადო. ქვემოდან — ეკლესიიდან, საამური გალობა ისმოდა, ხოლო სააღმსარებლოს საკურთხეველში სანთლები ენთო. მღვდელმა კრისტინს ანიშნა, მამის გვერდით დაჩოქილიყო, საკურთხეველიდან ოქროს კიდობანი აიღო და კრისტინს წასჩურჩულა, შიგ კანტერბორგელი წმიდა თომასის[1] გასისხლიანებული ტანისამოსის ნაკუწიაო და წმინდანის სურათზე მიუთითა, მის ფეხებს ემთხვიეო.

როცა ქვევით ჩავიდნენ, ეკლესიიდან დიდებული და საამური მუსიკის ხმა გამოდიოდა. ბატონმა მარტეინმა უთხრა, ორგანზე დამკვრელი ვარჯიშობს, მოსწავლე ბიჭები კი გალობენო, მაგრამ ამის მოსასმენად არ ეცალათ, ლავრანსს შიოდა — აღსარების წინ პირში ნაწილი არ ჩაედო. კანონიკების მწირთა მისაღებ სახლში უნდა წასულიყვნენ და იქ ეჭამათ პური.

დილის მზემ ოქროს ვარაყით შემოსა მიოსენის ტბის გაღმა ციცაბო ნაპირები. ჩამუქებულ ლურჯ ფიქვნარში გაყვითლებული დამჭკნარი ფოთლები ისე ჩანდა, თითქოს ოქროს მტვერი შეუყრიათო. ტბაზე აქოჩრილი და აქაფებული ტალღები ერთმანეთს მისდევდა. ცივი ქარი

---

[1] იგულისხმება კენტერბერელი თომას ბეკეტი (1118 — 1170), ინგლისელი პოლიტიკური და საეკლესიო მოღვაწე.

უბერავდა, შემოდგომის შეჭრილებული ფოთლები ცვიოდა და ღობეთვილულ ფერდობს ეფინებოდა.

ეპისკოპოსის მამულსა და წმინდა ჯვრის ძმათა სახლის შუა მგზავრებს რამდენიმე ცხენოსანი შემოხვდა. ლავრანსმა ცხენოსნებს გზა დაუთმო, გულზე ხელი მიიდო და სალმის დროს ისე მოიკეცა, ქუდით კინაღამ გზა მოგავა; კრისტინი მიხვდა ბეწვის ლაბადიანი ბატონი, ალბათ, თვითონ ეპისკოპოსიაო და იმანაც მოწიწებით, თითქმის მიწამდე ჩაიკეცა, ისეთი რევერანსი გაუკეთა.

ეპისკოპოსმა ცხენი შეაყენა და მისალმებაზე სალმითვე უპასუხა; ლავრანსს ხელით ანიშნა, მასთან მისულიყო და პატარა ხანს ელაპარაკა. ლავრანსი მალე მოვიდა მღვდელთან და შვილთან და უთხრა:

— ეპისკოპოსმა სადილად დამპატიჟა. რას იტყვი, მამაო მარტეინ, ხომ არ შეუძლია, ძმობის რომელიმე მუშას ფარტეინ — მეწუღესთან მიიყვანოს ჩემი ქალი და ჩემს მსახურებს უთხრას, ხალვდანმა გიულდსვეინი წამოიყვანოს და აქ მომგვაროს, ვიდრე სერობა დაიწყება.

მღვდელმა უთხრა, ეგ ძნელი საქმე არ არისო. მაგრამ ამ დროს ის ფეხშიშველა ბერი წამოდგა წინ, კრისტინს რომ კოშკის კიბეზე გამოელაპარაკა, თავი დაუკრა ლავრანსს და უთხრა:

— ჩვენს მწირთა მისაღებ სახლში ერთი კაცი ცხოვრობს, იმას მაინც საქმე აქვს იმ მეწუღესთან, და შეუძლია შენი დავალებაც ვადასცეს, ბიერგიულფის ვაჟიშვილო ლავრანს; შენს შვილს კი, როგორც უნდა, ან იმას გაჰყვეს, ან მონასტერში დარჩეს, ვიდრე დაბრუნდები. ჭამით კი მე ვიზრუნებ, მშიერი არ დატოვონ.

ლავრანსმა ბერს მადლობა გადაუხადა, თან უთხრა:

—სინდისი მქენჯნის, ძმაო ედვინ, რომ ასე უნდა შეწუხდეთ ჩემი შვილის გულისთვის...

— ძმა ედვინს ყველა ბავშვი, ვისაც კი მოახელებს, იქ, მწირთა მისაღებ სახლში მიჰყავს, — თქვა სიცილით მამა მარტეინმა. — სხვა თუ არაფერი, მსმენელები მაინც გაუჩნდება-ხოლმე, როცა ქადაგებს...

— რა, თქმა უნდა, თქვენისთანა ნასწავლ კაცებს ვერ შეეთავაზებ ხამარში ჩემი ქადაგების მოსმენას, — მიუგო ბერმა გულუბრყვილო ღიმილით, — მე მხოლოდ ბალღებისა და გლეხკაცების მქადაგებლად ვვარგივარ, მაგრამ, განა ვინმე აუკრავს პირს კალოზე მომუშავე ხარს!

კრისტინმა ვედრებით ახედა მამას; ძმა ედვინთან წასვლას არაფერი ერჩივნა. მაშინ ლავრანსმა ბერს კიდევ გადაუხადა მადლობა და ისა და მღვდელი უკან გაჰყვნენ ეპისკოპოსის ამალას, კრისტინმა კი ხელი მისცა ბერს და ორივენი მონასტრისაკენ დაეშვნენ. ზედ ტბასთან იყო აშენებული ხის სახლები. აქვე იდგა თეთრი ქვიტკირის ეკლესიაც.

ძმა ედვინმა ხელზე ოდნავ მოუჭირა ხელი კრისტინს, ერთმანეთს შეხედეს და ორივეს გაეცინა. ბერი მაღალი იყო, გამხდარი და ძალზე წაკუზული; გოგონამ თავისდაუნებურად გაიფიქრა, გრძელ, გაწვრილებულ, დანაოჭებულ კისერზე მობმული თავი ბებერ წეროს მიუგავსო, ისეთი პატარა წოწოლა თავი ჰქონდა, თან კინკრიხო მოტვლეპილი და გალაპლაპებული, კინკრიხოს გარშემო გვირგვინივით შემოვლებოდა გაბურძგვნილი ჭაღარა თმა, დიდი ნისკარტა ცხვირი აჯდა. მაგრამ სახეში ისეთი რამა ჰქონდა, შეხედავდა თუ არა, ბერის ჩამოგრძელებულ, ღრმა ნაოჭებისაგან დაღარულ სახეს, კრისტინს უხაროდა. ბებრული გაწყალებული ცხვრისფერი თვალების კილოები დასწითლებოდა, ქუთუთოები კი მოყავისფრო და აპკივით გათხელებული ჰქონდა; ნაოჭები სხივებივით ეშლებოდა თვალის უპეებიდან, დამჭკნარი ყბები მოწითალო ძარღვებს დაეფარა და ნაოჭებს დაესერა, ნაოჭები თხელ ტუჩებსაც მოხვეოდა გარშემო, — მაგრამ ედვინს თითქოს მხოლოდ იმიტომ დაღმეჭოდა სახე, რომ მუდამ ხალხს უღიმოდა. კრისტინს ეგონა, ჩემს დღეში არ მინახავს, ამ ბერივით მხიარული და ალერსიანი კაცი; თითქოს კარგი და რაღაც იდუმალი სასიხარულო რამ იცოდა, და სწორედ ეს უნდოდა გაეგო გოგოს, მამა ედვინი პირს დააღებდა თუ არა სალაპარაკოდ.

ღობეს ჩაუარეს და ვაშლის ბაღისკენ წავიდნენ, ვაშლის ხეებს თითო-ოროლა ქარვასავით ყვითელი და წითლად დაბრაწული ვაშლიღა ება. თეთრით მორთულ შავანაფორიანი ორი ბერი-მქადაგებელი ბაღში ცერცვის დამჭკნარ კლერტებსა ხვეტავდა.

მონასტერი ბევრით არაფრით განსხვავდებოდა, რომელიც გნებავთ გლეხური სახლისაგან და მწირთა მისაღები სახლი, სადაც ბერმა კრისტინი შეიყვანა, გლეხის ღარიბულ სახლს უფრო ჰგავდა, ვიდრე მონასტერს, მხოლოდ აქ მრავლად იდგა საწოლები. ერთ-ერთ საწოლზე მოხუცი კაცი იწვა, კერასთან კი ქალი იჯდა და ქორფა ბავშვს ჩვრებში ახვევდა; ქალს გვერდით ორი ცოტა მოზრდილი გოგო-ბიჭი უდგა.

შევიდნენ თუ არა ედვინი და კრისტინი, კაციცა და ქალიც ორივენი აწუწუნდნენ — ჩვენთვის სადილი ჯერაც არ უჭმევიათო.

— ჩვენთვის არავინ გაინძრევა მეორე ჯერი საჭმლის მოსატანად, ისე გამოდის, ვიდრე შენ მთელ ქალაქს მოივლი, ჩვენ მშიერები უნდა დავიხოცოთ!

— ნუ ჯავრობ, სტეინიულვ. — უთხრა ბერმა. — მოდი, კრისტინ, მიესალმე; უყურეთ, რა კოპწიად მორთული ლამაზი გოგო დარჩება დღეს მთელი დღე ჩვენთან და ჩვენთან ერთადაც ისადილებს.

ბერმა უამბო კრისტინს, ბაზრობიდან შინისკენ მიმავალი სტეინიულვი გზაზე ავად გახდა და ნება მისცეს აქ, მონასტრის სახლში წოლილიყოო; რადგან საავადმყოფოს შენობაში ერთი ამის ნათესავი ქალი ცხოვრობს, ისეთი ბოროტი ყოფილა, იმის გულისთვის არ მოინდომა სტეინიულვმა საავადმყოფოში დაწოლაო.

— მაგრამ მე ვატყობ, აქაც მალე მოსწყინდებათ ჩემი შენახვა, — თქვა გლეხმა, — როცა შენ აქედან წახვალ, ძმაო ედვინ, ჩემს მოსაცლელად არავის ეცლება და მაშინ, ალბათ, ისევ საავადმყოფოში მიკრავენ თავს.

— რას ამბობ, ვიდრე მე ჩემს სამუშაოს მოვრჩები ეკლესიაში, შენ ჩიტივით იქნები, — უთხრა ძმა ედვინმა. — მერე შენი ვაჟიშვილიც ჩამოვა და წაგიყვანს... — ედვინმა კერიდან ცხელი წყლით სავსე ქვაბი გადმოდგა. კრისტინს მისცა, დამიჭირეო და ვიდრე ის სტეინიულვს უტრიალებდა, ქვაბი კრისტინს ეჭირა. მოხუცი ცოტა გუნებაზე მოვიდა, სწორედ ამ დროს ბერმაც შემოაღო კარი და მდგმურებს საჭმელი და სასმელი შემოუტანა.

ვიდრე ჭამას შეუდგებოდნენ, ძმა ედვინმა ლოცვა წაიკითხა და სტეინიულვის საწოლზე ჩამოჯდა, რომ თავისი ხელით ეჭმია იმისთვის; კრისტინი ქალს მიუჯდა გვერდით და ბიჭს დაუწყო ჭმევა; ბიჭი ფაფიან ჯამს ხეირიანად ვერც კი სწვდებოდა, ისე პატარა იყო, და როცა კოვზსა ყოფდა ლუდიან ფინჯანში, სულ ზედ იწუწავდა. ხადელანდელი ქალი ქმარ-შვილით ჩამოსულიყო თავისი ძმის — აქაური მონასტრის ბერის სანახავად, მაგრამ ბერი ქალაქში არ დახვედროდა, ახლომახლო სამრევლოებში შესაწირის ასაკრეფად წასულიყო და ქალი ძალიან წუხდა, ახლა აქ უნდა ვიყურყუტოთ და დრო ტყუილუბრალოდ დავკარგოთო.

ძმა ედვინმა ალერსიანად გაუბა ლაპარაკი ქალს; არ გეკუთვნის

იმის ლაპარაკი, დროსა ვკარგავო, როცა აქ, საეპისკოპოსო ხამარში ცხოვრობ. გაიხედე, რამდენი კარგი ეკლესიაა, ბერები და კანონიკები დღედაღამ სწირავენ და ლოცვებსა გალობენ, — ქალაქიც რა ლამაზია, თუმც ოსლოზე ცოტა პატარაა, ოსლოზე ლამაზია, სახლებიც სულ ბაღებშია ჩაფლულიო.

— გაზაფხულზე ჩამოვედი და ნეტავ გენახა, აქაურობა რა მშვენივრად იყო აყვავებული; მთელი ქალაქი თეთრი ყვავილებით იყო გადაპენტილი! ახლა, როცა ასკილიც აყვავდა...

— ოჰ, ნეტა, მე რაში მეკნაჭება ეგეები! — გაჯავრებულმა მიახალა ქალმა. — აქ წმიდა ადგილები უფრო მეტია, ვიდრე წმიდანი ხალხი, მე კი ეგრე მგონია და...

ბერს ჩუმად ჩაეცინა და თავი გადააქნია — მერე თავისი სალოგინე გადააქოთა, კარგა ბლომად ამოიღო ვაშლი და მსხალი და ბავშვებს გაუნაწილა. კრისტინს თავის დღეში არ ეჭამა ამისთანა გემრიელი ხილი. რამდენიც ჩაკბიჩა, იმდენი ტუჩებიდან წურწურით ჩამოუვიდა წვენი.

ამასობაში, ძმა ედვინის ეკლესიაში წასვლის დროც მოვიდა და კრისტინს უთხრა, თუ გინდა, შენც წამომყევიო. ედვინმა და კრისტინმა ცერად გადაჭრეს მონასტრის ეზო და გვერდითი კარიდან პატრონიკეზე ავიდნენ.

ჯერ არც ეს ეკლესია დაემთავრებინათ, აქაც ხარაჩოები იდგა, იქ სადაც გვერდითი ეკვდრები ტაძრის შუაგულს უერთდებოდა. ეპისკოპოსმა ინგიალდმა ბრძანა, პატრონიკე გაელამაზებინათ, უამბობდა ძმა ედვინი კრისტინს. ეპისკოპოსი ძალიან მდიდარია და მთელ თავის სიმდიდრეს ქალაქის ეკლესიების შეკეთებას და გამშვენიერებას აწდომებს, შესანიშნავი მოძღვარი და სათნო ადამიანიაო. წმიდა ულავის მონასტრის ძმები-მქადაგებელნიც ნასწავლი, პატიოსანი და მშვიდი, თავდაჭერილი ხალხია. ღარიბი მონასტერია, მაგრამ კარგად მიმიღეს, — მე ხომ მუდმივად ოსლოში, მინორიტების[1] მონასტერში, ვცხოვრობ, მაგრამ ნება დამრთეს ცოტა ხანი აქ, ხამარის დიოცეზზე, ვიცხოვროო.

— ახლა აქეთ წავიდეთ, — უთხრა და ხარაჩოების ქვეშ მიიყვანა

---

[1] მინორიტები — კარდაკარ მოსიარულე ბერების ორდენია, იგივეა, რაც ფრანციისკანელები არიან.

კრისტინი, მისადგმელი კიბით ზევით ავიდა და რამდენიმე ფიცარი გაასწორა. კვლავ ძირს ჩამოვიდა და ბავშვს ზევით ასვლა უშველა.

კრისტინმა ზემოთ აიხედა და დაინახა, რომ შუქი საოცრად ციგლიგებდა და ხან აქ, ხან იქ სისხლივით წითელი და ლუდივით ყვითელი, ლურჯი, ყავისფერი და მწვანე ლაქები ეფინებოდა რუხი ქვის კედელს. კრისტინს უკან უნდოდა მოხედვა, მაგრამ ბერმა წასჩურჩულა:

— უკან არ მიიხედო!

ხოლო როცა უკვე მაღალ ფიცარნაგზე იდგნენ, ძმა ედვინმა ფრთხილად მოატრიალა გოგო. კრისტინს სუნთქვა შეეკრა, ისეთი წარმტაცი სანახაობა გადაეშალა თვალწინ.

პირდაპირ, ტაძრის შუაგულის სამხრეთით, სურათი ისე ბრწყინავდა, თითქოს, ერთიანად მოელვარე ქვებით იყო მოჭედილი. ამ სურათიდან გამომკრთალი სხივების ჭრელი შუქი ეცემოდა კედელს. კრისტინი და ბერი ამ ელვარების შუაგულში იდგნენ; კრისტინს ხელები ისე ჰქონდა წითლად შეღებილი, თითქოს ღვინოში ამოუვლიაო, ბერის სახე ერთიანად მოოქროვილი გეგონებოდა, მუქი ანაფორიდან თვალს ესიამოვნებოდა, ისეთნაირად ირეკლებოდა სურათის ფერები. კრისტინმა გაოცებულმა შეხედა ბერს, მაგრამ ბერმა მხოლოდ თავი დაუქნია და გაუღიმა.

თითქოს სადღაც შორს იდგნენ ბერი და კრისტინი და შორიდან გაჰყურებდნენ ცათა სასუფეველს. შავი ზოლების ბადეში კრისტინმა თანდათან ვაარჩია უფალი ქრისტე. მას ძვირფასი ლაბადა ჰქონდა წამოსხმული, ქალწულ მარიამს ცასავით ლურჯი სამოსელი ეცვა, მოელვარე ყვითელ, მწვანე და ლილისფრადშემოსილი წმიდა მამები და ქალწულები გაჩირაღდნებულ სახლების თაღებისა და სვეტების ქვეშ იდგნენ, იმათ გარშემო კი გამჭვირვალე ფოთლებით ამწვანებული ხეთა ტოტები გახლართულიყვნენ...

ბერმა კიდევ ორიოდე ნაბიჯი გადადგა და გოგონაც თან გაიყოლა.

— აქ იდექი, — წასჩურჩულა კრისტინს, — მაშინ პირდაპირ დაგეცემა ქრისტეს ლაბადის შუქი!

ქვევიდან, ეკლესიიდან, ოდნავ სცემდა საკმევლის სურნელება და ცივი ქვების სიგრილე. იქაურობა ჩაბნელებული იყო, მაგრამ მზის სხივები ცერად ატანდა ტაძრის შუაგულის სამხრეთ კედელში დატანებულ სასარკმლეებში. კრისტინი თანდათან მიხვდა, რომ ციური სუ-

რათი, ალბათ, სარკმელში შუშისმაგივრად ჩაესვათ, რადგან სურათი ერთ-ერთ ასეთ სარკმელში იყო ჩადგმული. სხვა სასარკმლეებში ან არაფერი იყო, ან არადა ხის ხარაჩოებში ჩასმული რქის ფირფიტები ჩაედგათ. აგერ, ჩიტი შემოფრინდა, რაფაზე დაჯდა, გადასკუპ-გადმოსკუპდა და ისევ გაფრინდა. პატრონიკეს კედლის იქით კი ისმოდა, ქვაზე როგორ ურტყამდნენ ლითონს. თუმც ყველგან სიჩუმეს დაესადგურებინა, ქარი თუ შემოუბერავდა ხამუშ-ხამუშ და ეკლესიის კედლებში ჩადგებოდა, თითქოს პატარა ხანს შეისვენაო.

— ჰო, ჰო, — თქვა ედვინმა და ამოიოხრა. — ამისთანა რამის გაკეთება არავინ იცის ჩვენში, თუმც, ნიდაროსშიც მისდევენ ფერწერას შუშაზე, მაგრამ სად იმათი მხატვრობა და სად ეს... უცხო მხარეებში კი, სამხრეთში, კრისტინ, დიდ ტაძრებში ამ აღსავლის კარისოდენა ფანჯრებია მოხატული...

კრისტინს მოაგონდა თავიანთ ეკლესიაში მოხატული წმინდანები. იქ იყო ულავისა და კანტერბორგელი თომასის საკურთხეველი, საკურთხეველის აღსავლის კარსა და კედელზე გამოხატული იყვნენ წმინდანები, მაგრამ ახლა როგორი გამოხუნებული და ულამაზო ეჩვენებოდა.

კრისტინი და ძმა ედვინი მისადგმელი კიბით ქვევით ჩამოვიდნენ და ახლა პატრონიკეზე ავიდნენ. იქ მოტიტვლებული იდგა ტრაპეზი ზედ არაფერი ეფარა, ტრაპეზის ქვის ფილზე ჩამწკრივებული იყო ლითონის, ხისა და თიხის ჯამები, ჯამებს გვერდზე ელაგა უცნაური პატარა დანები, რკინის პატარ-პატარა ნაჭრები, ყალმები და ფუნჯები. ძმა ედვინმა უთხრა კრისტინს, ეს სულ ჩემი იარაღებია. ჩემი ხელობა სურათების შეფერადება და ტრაპეზის მოჩუქურთმებაა; და პატრონიკეზე ძელსკამებთან მიდგმული ეს ლამაზი პანელები, სულ ჩემის ხელით არის გაკეთებული. ამ პანელებით მორთავენ ამავე ეკლესიაში მქადაგებელ მამათა საკურთხევლის კარსო.

კრისტინს ნება დართო, ეცქირა, როგორ აურია ერთმანეთში საღებავების ფერადი ფხვნილები და როგორ გალესა ხის ჯამებში; იმის ნებაც მისცა, რომ კრისტინსაც ეშველა და გადაეწყო სხვადასხვა ნივთები კედელთან მდგარ ერთ-ერთ ძელსკამზე. ვიდრე ბერი ერთი სურათიდან მეორე სურათისაკენ მიდიოდა და ფუნჯით ,ვიწრო წითელ ზოლებს ავლებდა წმიდა მამებისა და წმიდა დედების თმაში, რომ თითოეულ მლოცველს დაენახა, კულულებად როგორ იხვეოდა ეს თმა,

კრისტინი კუდიევით უკან დასდევდა, აკვირდებოდა და ყველაფერს ეკითხებოდა, ძმა ედვინიც უხსნიდა, თუ რასა ხატავდა.

ერთ-ერთ ასეთ სურათზე დახატული იყო ოქროს ტახტზე მჯდარი ქრისტე, მას გვერდით უდგნენ წმიდა ნიკოლოზი და წმიდა კლემენტი. სამივენი ერთ თაღქვეშ იყვნენ. აქეთ-იქით კი დახატული იყო წმიდა ნიკოლოზის ცხოვრება. პირველ სურათზე წმიდა ნიკოლოზი ჯერ ისევ ქორფა იყო დახატული დედის კალთაში დაგორებული, დედა აძლევს ძუძუს, მაგრამ ის პირში არ იდებს, რადგან აკვნიდანვე ისეთი წმიდანი იყო, რომ პარასკეობით მხოლოდ ერთხელ სწოვდა. მეორე სურათზე გამოხატული იყო, როგორ სდებს წმიდა ნიკოლოზი ფულით სავსე ქისას სახლის წინ, სადაც სამი ისეთი ღარიბი ქალწული ცხოვრობდა, რომ ქმრები ვერ ეშოვათ. კრისტინმა დაინახა აგრეთვე, როგორ განკურნა რომაელი რაინდის შვილი, დახატული იყო თვითონ რაინდიც. რაინდი გემზე იდგა, ხელში ოქროს წყალში გავლებული თასი ეჭირა. ის შვილის განკურნებისათვის საჩუქრად დაჰპირდა წმიდა ეპისკოპოსს ოქროს საგვარეულო თასს, რომელსაც მთელი ათი საუკუნე ფლობდა იმისი გვარი. მაგრამ რაინდმა წმიდა ნიკოლოზის მოტყუება განიზრახა, ნამდვილი ოქროს თასის მაგივრად უბრალო, ლითონის ოქროთი დაფერილი თასის მიცემა მოინდომა; ამის სამაგიეროდ, მისი ვაჟი, მას ნამდვილი ოქროს თასი ეჭირა ხელში, თასიანად ზღვაში ჩავარდა, მაგრამ წმიდა ნიკოლოზმა წყლიდან უვნებლად გამოიყვანა და ბავშვი სწორედ მაშინ გამოვიდა ნაპირზე, როდესაც მისი მამა წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში იდგა და საჩუქრად ოქროს თასის მაგივრად უბრალო თასის შეწირვას აპირებდა. ყველაფერი ეს ოქროთი და უმშვენიერესი საღებავებით იყო დახატული ფიცარზე.

მეორე სურათზე დახატული იყო ქალწული მარიამი. მას მუსლებზე უზის ქორფა ქრისტე; ქრისტეს ერთი ხელი დედისთვის წაუვლია ნიკაპში, მეორე ხელში კი ვაშლი უჭირავს. გვერდით უდგანან წმიდა სიუნივა და წმიდა კრისტინი, მათ კოხტად მოეხარათ ტანი, თეთრწითელ სახეს ოქროსფერი თმა და ოქროს გვირგვინი უმშვენებდა.

მამა ედვინი მარცხენა ხელს მარჯვენა ხელის მაჯას აშველებდა და ისე გამოჰყავდა გვირგვინებზე ფოთლები და ვარდები.

— გველეშაპი როგორი პატარაა, — თქვა კრისტინმა და წმინდანის გამოსახულებას შეხედა, ვისი მოსახელეც იყო. — ვინ იტყვის, რომ ამ გველეშაპმა ქალწული გადაყლაპა.

— ვერც გადაყლაპავდა, — მიუგო ძმა ედვინმა. — მართლაც, მაგაზე დიდი არ იყო გველეშაპი. გველეშაპები და ყველა მაგ ჯურის ეშმაკის მსახურები მხოლოდ გვეჩვენება დიდებად, ვიდრე გულში მათი შიში გვაქვს; მაგრამ, უკეთუ ადამიანი მხურვალედ ევედრება ღმერთს, ისე რომ მისი გულმოდგინე ლოცვა ძალას აძლევს მას, მაშინ ეშმაკის ძლიერება ისე გაცამტვერდება ხოლმე, რომ ყოველი მისი ნიარაღი მცირდება და ძალას ჰკარგავს. — გველეშაპები და ბოროტი სულები იკუნტებიან და ჯუჯებზე, კატებსა და ყვავებზე დიდრონი არ არიან! ხომ ხედავ, მთა, რომელშიც წმინდა სიუნივა იყო მომწყვდეული, ისეთი პატარაა, რომ ქალწულს შეუძლია ერთიანად თავისი ლაბადის კალთაში გამოახვიოს.

— განა მღვიმეებში არა ცხოვრობდნენ წმიდა სიუნივაც და სელიელი მამებიც? — ჰკითხა კრისტინმა. — მაშ, ეგ ტყუილია?

ბერმა თვალი ჩაუკრა კრისტინს და კვლავ გაეღიმა.

— ეგ მართალიც არის და ტყუილიც! ასე ეგონა ხალხს, ვინც მათი წმიდა სხეულები ჰპოვა. ისიც მართალია, რომ ასე ეგონათ თვით სიუნივას და სელიელ მამებსაც, რადგან ისინი იყვნენ თავმდაბალნი და ფიქრობდნენ მხოლოდ იმაზე, რომ ეს ქვეყანა ყველა ცოდვილ ხალხზე ძლიერია, ხოლო იმას კი არა ფიქრობდნენ, რომ ისინი ამ ქვეყანაზე უფრო ძლიერნი არიან, იმიტომ, რომ სძულდათ იგი. მაგრამ ეს რომ სცოდნოდათ, მაშინ აიღებდნენ და, რაც მთებია, ყველას კენჭებივით ჩაუძახებდნენ ზღვაში! არავის და არაფერს არ შეუძლია მოგვიტანოს ვნება, შვილო ჩემო, გარდა იმისა, რომ შიში ვვაქვს ღმერთისა და გვიყვარს იგი.

— თუ ადამიანს არც ეშინია და არც უყვარს ღმერთი? — თავზარდაცემულმა ჰკითხა კრისტინმა.

ბერმა ქერა თმაში მოჰკიდა ხელი გოგონას, ალერსიანად გადაუწია თავი და თვალებში ჩახედა; ბერს ლურჯი თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი.

— ამქვეყნად არ არის ადამიანი, ვისაც ღმერთი არ უყვარდეს და არ ეშინოდეს მისი; უკეთუ ჩვენ უღირსად ვცხოვრობთ და უღირსად ვკვდებით, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი გული შუაზე გაუყვია ღმერთის სიყვარულს, ეშმაკის შიშსა და ამქვეყნიურ ცხოვრებასა და ხორციელ სიყვარულს. ამიტომაც, თუ რომელიმე ადამიანს არ ექნებოდა ლტოლვა ღვთისა და ღმერთის არსებისადმი, ის განცხრომით იქნებოდა

ჯოჯოხეთში, მხოლოდ ჩვენ ვერ გავიგებდით, რომ ამ ადამიანმა მიიღო სწორედ ის, რაც მის გულსა სურდა. ცეცხლის მხურვალება არ დასწვავდა, უკეთუ სიგრილის ნატვრაში არ იქნებოდა, არც გველის ნაკბენის ტკივილი შეაწუხებდა, თუ მისთვის უცხო იქნებოდა ლტოლვა მოსვენებისაკენ!

კრისტინი სახეში შესცქეროდა ბერს. მაგრამ ბერის ნათქვამი არცერთი სიტყვა არ ესმოდა. ძმა ედვინი კი განაგრძობდა:

— უფალმა თავისი ყოვლის სიყვარულის წყალობით დაინახა, რომ ათასად გვეგლიჯება გული, ჩამობრძანდა ჩვენთან და ჩვენს შორის ცხოვრობდა, რომ თვით ეგემნა ხორცშესხმულად ეშმაკის ცთუნებანი, როდესაც ის გვაცთუნებს მეუფეობით, ფუფუნებითა და ათას საშიხელებას გვექადნება, როდესაც ათას უბედურებას გვატეხავს თავს, გვქირდავს და წვეტიანი ლურსმნებით ჭრილობებს გვაყენებს ხელფეხზე. აი, ასე გვიჩვენა გზა და ასე შეგვაცნობინა მისი ჩვენდამი სიყვარული...

ბერმა შეხედა ბავშვის დინჯ, გულისყურით სავსე სახეს — უცებ წყნარად გაეცინა და სულ სხვა ხმით უთხრა:

— იცი, ვინ გაიგო პირველმა, უფალმა ინება დაბადებაო? ვინა და მამალმა გაიგო, ჩემო კარგო: ვარსკვლავი დაინახა და თქვა, — იმ დროში ყველა ნადირმა იცოდა ლათინური ლაპარაკი, — ჰოდა, აიღო და დაიყივლა:

„Christus natus est“![1]

უკანასკნელი სიტყვები ისეთნაირად მიამსგავსა ბერმა მამლის ყივილს, რომ კრისტინს კინაღამ სული შეუგუბდა სიცილისაგან. რა კარგი იყო ახლა ეს გულიანი გაცინება, რადგან ყველაფერი უცნაური, რაზედაც ლაპარაკობდა ძმა ედვინი, მოწიწების ღირსი იყო, მაგრამ მძიმედ დააწვა გოგონას გულზე.

თვითონ ბერსაც გაეცინა:

— დიახ! და როცა ეს ხარმა გაიგონა, დაიზმუვლა: „Ubi, ubi, ubi?“[2]

თხა კი აკიკინდა: „Betlem, Betlem, Betlem!“[3]

---

[1] იშვა ქრისტე! (ლათინ.)

[2] სადა, სადა, სადა? (ლათინ.)

[3] ბითლემ, ბითლემ. ბითლემ! (ლათინ. დამახინჯებულია)

ცხვარს კი ისეთი სულის სიმწარით მოუნდა ღვთისმშობლისა და მისი ძის ნახვა, რომ მაშინვე აბღავლდა: „Eamus, eamus!“ [1]

ახალი დაბადებული თივაზე მიწოლილი ხბო კი ფეხზე წამოხტა და „Volo, Volo, Volo!“[2] — დაიზმუვლა.

ეს, ალბათ, ჯერ არ გიგიგონია, არა? — მეც სწორედ ეგრე მგონია! ვიცი, თქვენი მამა ეირიკი, იქ, თქვენთან მთაში, ღირსეული და სწავლული მღვდელია, მაგრამ ეს მაინც არ იცის, იმიტომ, რომ ამას ვერ ისწავლი, ვიდრე პარიზს არ მოინახულებ...

— მაშ, თქვენ პარიზშიაც იყავით? — ჰკითხა გოგონამ.

— ღმერთმა გაკურთხოს, პატარა კრისტინ, პარიზშიაც ვყოფილვარ და სხვა ადგილებშიაც, მთელი ქვეყნიერება მომივლია; მაგრამ მაინც უნდა დამიჯერო, რომ მე ეშმაკის შიში მაქვს და მრავალი რამ კი მიყვარს და მრავალი რამის სურვილი მკლავს, როგორც ყოველ სულელს. მაგრამ რაც ძალა და ღონე მაქვს, ჯვარს ვეჭიდები, მეტი რა გზაა, უნდა მოვებღაუჭო, როგორც ზღვაში ჩავარდნილი კნუტი ებღაუჭება ფიცარს.

— შენ კი კრისტინ, — განა არ გინდა, შესწირო ეგ მშვენიერი თმა და ემსახურო ღვთისმშობელს, როგორც ის ქალწულები ემსახურებიან, აქ რომ დავხატე?

— ჩემს დედ-მამას ჩემს მეტი შვილი არა ჰყავს, — მიუგო კრისტინმა, — და ასე მგონია, მე უთუოდ გამათხოვებენ. დედაჩემს სკივრები და ზარდახშები უკვე მზადა აქვს ჩემი მზითვით.

— ეგრეა, დიახ! — თქვა ედვინმა და შუბლზე ხელი გადაუსვა გოგონას. — ჩვენს დროში ამგვარად სწყვეტს ხალხი თავისი შვილების ბედს! უფალი ღმერთისთვის იმეტებენ კოჭლს, ბრუციანს, მახინჯსა ან ხეიბარ გოგოებს და ღმერთსვე უბრუნებენ მოჭარბებულ შვილებს, როცა ჰგონიათ ღმერთმა მეტისმეტად ბევრი შვილები გვაჩუქაო. თან უკვირთ კიდეც, მონასტერში მცხოვრები მამები და ქალწულები რატომ ყველანი წმინდანები არ არიანო!

ძმა ედვინი საკურთხეველში შევიდა, კრისტინიც შეიყვანა და აჩვენა თაროზე გამწკრივებული მონასტრის წიგნები; ამ წიგნებში მშვე-

---

[1] წავიდეთ, წავიდეთ! (ლათინ.)

[2] მინდა, მინდა, მინდა! (ლათინ.)

ნიერი სურათები იყო. მაგრამ როცა საკურთხეველში ვიღაც ბერი შემოვიდა, მამა ედვინმა უთხრა, ვირის თავი მინდა გადავხატო და წიგნში იმას ვეძებდიო. მერე კი თავი გადაიქნია, და თვითონვე ჰკიცხავდა თავის თავს.

— ახლა, ხომ ხედავ, კრისტინ, რას ნიშნავს შიში! მაგრამ აქ, მონასტერში, ისე დაჰკანკალებენ თავიანთ წიგნებს! მე რომ ჭეშმარიტი რწმენითა და სიყვარულით ვიყო გამსჭვალული, მაშინ არ დავდგებოდი და ტყუილებს არ ვეტყოდი ძმა ოსიულვს! მაშინ სხვა ძალა მექნებოდა და, აი, ამ ბეწვის ხელჯაგებს ავიღებდი და იმ მზის სხივებს დავაჭერინებდი!

კრისტინი და ბერი, მართალია, მწირთა მისაღებ სახლში წავიდნენ და იქ ისადილეს, მაგრამ კრისტინმა თითქმის მთელი დღე ეკლესიაში გაატარა, თვალს არ აშორებდა ედვინის მუშაობას, თან ემუსაიფებოდა. და როცა ლავრანსი შვილის წასაყვანად მოვიდა, ორივეს, ედვინსაც და კრისტინსაც, მხოლოდ მაშინ მოაგონდათ, რაც ლავრანსმა დააბარა და, რაც დიდი ხანია, მეწუღესთვის უნდა ეთქვათ.

კრისტინს ამ გრძელი მგზავრობიდან ყველაზე ცოცხლად ხამარში გატარებული დღეები აგონდებოდა. მართალია, ქალაქი ოსლო ხამარზე დიდი იყო, მაგრამ მას შემდეგ რაც სავაჭრო ქალაქი ნახა, ოსლომ ისე აღარ გააოცა. ვერც სკუგზე იტყოდა იორიუნდგორდივით ლამაზიაო; თუმც, აქ უფრო მშვენიერი შენობები იდგა და კრისტინს უხაროდა, რომ აქ არ უნდა ეცხოვრა. კარ-მიდამო ფერდობზე იყო შეფენილი, დაბლა დაბურული ტყით გარშემორტყმული ბოტნფიორდი ჩანდა, ნაცრისფერი და სევდიანი; გაღმა ნაპირიც ტყიანი იყო, სახლებს უკანაც ტყე იყო და ხის კენწეროებს თითქოს ზედ ეხურა ცა. აქ ვერა ნახავდი ისეთ მაღალ ციცაბო მთის კალთებს, როგორც იორიუნდგორდში, სადაც მთის კალთებს, თითქოს მაღლა ეჭირათ ცა და შეევიწროვებინათ ცის კიდური, ამგვარად, ქვეყანა არც მეტისმეტად დიდი გეჩვენებოდა, არც მეტისმეტად პატარა.

შინ რომ ბრუნდებოდნენ, ციოდა; ახლოვდებოდა ქრისტეს შობა და როცა მგზავრები ხეობის აღმართებს შეუდგნენ, უკვე თოვლი იდო; მარხილები ითხოვეს და კარგა დიდი გზა მარხილებით გამოიარეს.

რაც შეეხება მამულის გაყიდვას, საქმე ასე გადაწყვიტეს, ლავრანსმა სკუგი თავის ძმა ოსმიუნდს გადასცა და როგორც ლავრანსს, ისევე იმის ჩამომავალს, უფლება ჰქონდა მამული გამოესყიდა.

III

კრისტინის ამ შორეული მგზავრობის შემდეგ, გაზაფხულზე, რაგნფრიდს გოგონა შეეძინა. რა თქმა უნდა, დედასაც და მამასაც ვაჟი ერჩივნათ, მაგრამ მალე შეურიგდნენ ამას და მხურვალედ შეუყვარდათ პატარა ულვხილდი. ულვხილდი ძალიან ლამაზი, საყვარელი, ცქრიალა და კარგი ხასიათის ბავშვი იყო. რაგნფრიდს ისე შეუყვარდა თავისი ახლადშეძენილი შვილი, რომ, მეორე წელიწადში იყო ბავშვი და ისევ ძუძუს აწოვებდა; ამიტომ ეირიკის რჩევით ახლა ისე მკაცრად აღარ ინახავდა მარხვას და არც ისე ხშირად დადიოდა მწუხრის ლოცვაზე, ვიდრე ბავშვს ძუძუს არ გააშვებინებდა. ამის წყალობით და იმიტომაც, რომ გულს უხარებდა ულვხილდის ცქერა, რაგნფრიდი კვლავ ვარდივით გაიფურჩქნა და ლავრანსი ფიქრობდა, ჩემი ცოლი, რაც ჯვარი დავიწერეთ, ასეთი მხიარული, ასეთი დამშვენებული და ხალხის მოყვარული ჯერ არ მახსოვსო.

კრისტინიც გრძნობდა, რომ პატარა დის გაჩენამ დიდი ბედნიერება შემოიტანა ოჯახში. აზრად არასდროს მოსვლია, თუ იმათი სახლი, ასეთი ჩაყურსებული, დედის პირქუში ხასიათის წყალობით იყო; მას ეგონა, სწორედ ასე უნდა ყოფილიყო, დედა სჯიდა და ჭკუას არიგებდა, მამა კი ეთამაშებოდა და ეხუმრებოდა. ახლა კი დედაც ბევრად უფრო ალერსიანად და ღიმბიერად ექცეოდა, უფრო ლაღად იყო გაშვებული და უფრო ხშირადაც უალერსებდა, კრისტინი ვერ მიხვდა, რომ დედას ახლა დრო აღარა რჩებოდა კრისტინის ყურადღების მისაქცევად და დასატუქსად. კრისტინსაც, როგორც სხვა ყველას, შეუყვარდა ულვხილდი, უხაროდა, როცა ხელში დასაჭერად აძლევდნენ, ანდა აკვანს არწევინებდნენ; ხოლო როცა ულვხილდმა ცოცვა დაიწყო, მერე ფეხიც აიდგა, და ენაც ამოიდგა, უფრო ერთობოდა კრისტინი ბავშვთან, რადგან ახლა ერთადაც შეეძლოთ ეთამაშათ.

ასე მშვიდობიანად და უდარდელად გაატარეს იორიუნდგორდის ბინადრებმა სამი წელიწადი. არც სხვა რამეში მოსცარვიათ ხელი.

ლავრანსი აშენებდა და აუმჯობესებდა მამულს. საცხოვრებელი სახლები, საძროხეები და თავლები დაძველებულიც იყო და პირუტყვსაც ვეღარ იტევდა, როცა ლავრანსი აქ გადმოსახლდა, იმიტომ, რომ იესლინგები თაობიდან თაობამდე იჯარით აძლევდნენ ამ მამულს.

ზაფხული იყო, სამებობა ახლოვდებოდა. სიუნდბიუელი ივარის ძე ტრონდი თავისი ცოლით გიურიდით და სამი პატარა ვაჟიშვილით სტუმრად ეწვია ლავრანსს. ერთ დილას უფროსები სტაბიურის დერეფანში ისხდნენ და მუსაიფობდნენ, წვრილფეხობა კი დაბლა ეზოში თამაშობდა. ლავრანსი ის იყო, ახალი სახლის აშენებას შეუდგა და ბავშვები ეზოში დახროვილ მშენებლობისათვის მოტანილ ძელებზე დაფოფხავდნენ და დაძვრებოდნენ. იესლინგების ერთ-ერთმა ბიჭმა ულვხილდს გაარტყა, ულვხილდმა ტირილი ამოუშვა; ტროსდი ადგა, დაბლა ჩავიდა, ბიჭს ყბაში ლაზათიანად უთავაზა, ულვხილდი კი ხელში აიყვანა. ულვხილდზე ლამაზი და ცუგრუმელა ბავშვის წარმოდგენა შეუძლებელი იყო და ბიძას ძალიან შეაყვარა თავი, თუმცა, ტრონდი, საერთოდ, ბავშვების დიდი მოყვარული არ გახლდათ.

ამ დროს ეზოში ერთი მწყემსი შემოვიდა და დიდი შავი ხარი შემოიყვანა; ბრაზიანი და ურჩი ხარი ხელიდან გაეშვა მწყემსს. ტროსდი ძელებზე შეხტა, ჯერ უფროსი ბავშვები არეკა ძელებზე, ულვხილდი კი ისევ ხელში ეჭირა და თან უმცროს ბიჭს თავისკენ ეწეოდა. ამ დროს ტრონდს ფეხქვეშ ძელი დაუცურდა და ხელიდან გაუვარდა ულვხილდი, ჩაგორებულმა ძელმა ბავშვი ქვეშ დაიტანა და ზურგზე გარდიგარდმო გაეხირა.

ლავრანსმა თვალის დახამხამებაზე ჩაირბინა დერეფნიდან და იგი გაჩნდა; შვილთან მიიჭრა და ძელს დასწვდა ასაწევად, სწორედ ამ დროს ხარი ეცა ლავრანსს, ლავრანსმა რქებში ჩაავლო ხელი, მაგრამ ხარმა რქები ამოჰკრა და მიწაზე დაანარცხა, ლავრანსი ახლა ნესტოებში სწვდა ხარს, მიწიდან წამოსწია და იქამდე არ გაუშვა ხელი, სანამ შეშინებული ტრონდი გონს არ მოვიდა, სახლებიდან გამოცვივნილი მოჯამაგირეები არ შემოეხვივნენ, ხარს ქამანდი არ ესროლეს და არ შეჰკრეს. რაგნფრიდი შვილთან ჩაჩოქილიყო და ძელის წამოწევას ცდილობდა; — ამ დროს ლავრანსმა იმდენად წამოსწია ძელი, რომ რაგნფრიდმა როგორც იყო ძელის ქვეშ მოყოლილი ბავშვი გამოიყვანა და ხელში აიტაცა.

ბავშვი დედის ხელის მიკარებაზე გულსაკლავად ატირდა, რაგნფრიდი კი ხმამაღლა აქვითინდა:

— ცოცხალია, მადლობა ღმერთს, ცოცხალია!

დიდი სასწაული მოხდა, რომ სასიკვდილოდ არ დაიტანა ბავშვი, ძალი ისეთნაირად დაეცა, რომ ერთი წვერით ბალახში ქვას მიებჯინა და ამან გადაარჩინა. ლავრანსი რომ ფეხზე წამოდგა, პირიდან სისხლი წამოუვიდა, ტანისამოსი მკერდზე ერთიანად შემოეფხრიწა ხარს რქებით.

ტურდისი მოვარდა და ბეწვის საბანი მოარბენინა; იმან და რაგნფრიდმა საბანზე ციმციმ დააწვინეს გოგონა, მაგრამ ულვხილდი ოდნავ მიკარებაზეც კი საშინლად იტანჯებოდა, დედამ და ტურდისმა იმ სახლში წაიყვანეს, სადაც ზამთრობით ცხოვრობდა ოჯახი.

გაფითრებული კრისტინი უძრავად იდგა დახროვილ ძელებზე; ბიჭები ტირილით ეკვროდნენ მას. მოჯამაგირეები და მუშები ეზოში შეყრილიყვნენ, დედაკაცები მოთქმით ტიროდნენ. ლავრანსმა უბრძანა, შეეკაზმათ გულდსვეინი და კიდევ ერთი ცხენი; მაგრამ როცა არნემ შეკაზმული ცხენები მოიყვანა და ლავრანსმა შეჯდომა სცადა, შეჯდომის მაგივრად, მიწაზე დაეცა. მაშინ არნეს უბრძანა, ცხენი გაექუსლა და მღვდელი მოეყვანა, ხალვდანს კი — სამხრეთისაკენ წასულიყო ექიმბაშის მოსაყვანად, მდინარეების შესართავთან რომ ცხოვრობდა.

კრისტინმა დაინახა, მამას მიწისფერი დაედო, სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა და ცისფერი ტანისამოსი ნელ-ნელა წითლად შეეღება. ლავრანსი უცებ ზეზე წამოიჭრა, მოჯამაგირეს ხელიდან ცული გამოსტაცა და იქითკენ გაქანდა, სადაც რამდენიმე კაცს ისევ ეჭირა ხარი. რქებშუა ცულის ყუა ისე დაარტყა, რომ ხარი ჩააჩოქა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, იმდენი ურტყა, სანამ სისხლი და ტვინი შადრევანივით არ ამოასხმევინა. ამასობაში, ლავრანსს ისეთი ხველა აუვარდა, რომ ჩაბჟირებული გულაღმა დაეცა ბალახზე, ტრონდმა და ერთმა მოჯამაგირემ ასწიეს და სახლში შეიყვანეს.

კრისტინს ეგონა, მამა მოკვდაო; დაწიოკებული, სირბილით ფეხდაფეხ მისდევდა და გულგაგლეჯილი სასოწარკვეთილი ეძახდა მამას.

ულვხილდი მშობლების საწოლზე დააწვინეს, იმ ოთახში, სადაც ზამთრობით ცხოვრობდნენ; რაც საწოლზე ბალიშები ეწყო, სულ ძირს გადმოყარეს, რომ ბავშვი გაჭიმული წოლილიყო. გეგონებოდა, უკვე მკვდარიაო, ისე იყო გაშოტილი. მაგრამ ბავშვი განუწყვეტლივ მძიმედ

კენესოდა, ხოლო მისკენ დახრილი მწუხარებისაგან გაგიჟებული დედა სხვა ვერაფერსა შველოდა, მხოლოდ აშოშმინებდა და უალერსებდა.

მეორე საწოლზე ლავრანსი იწვა. ის წამოდგა და ბარბაცით მივიდა ცოლთან, უნდოდა ენუგეშებინა და გაემხნევებინა, მაგრამ რაგნფრიდი უცებ ფეხზე წამოიჭრა და შეჰყვირა:

— არ მომეკარო, არ მომეკარო! იესო მაცხოვარო, იესო მაცხოვარო, რატომ იქვე არ მომკალი!.. ბოლო აღარ უჩანს ჩვენს უბედურებას, რაც მე შემირთე...

— განა შენი... ჩემო ძვირფასო ცოლო! განა შენი ბრალია ეს უბედურება, — უთხრა ლავრანსმა და მხარზე ხელი დაადო. ქმრის ხელის შეხებაზე ქალი შეკრთა და გამხდარ, შავგვრემან სახეზე ღია ნაცრისფერი თვალები აუელვარდა.

— შენს ცოლს, ალბათ, იმის თქმა უნდა, ეს უბედურება ჩემი ძმის ბრალიაო, — მკვახედ უთხრა ივარის ვაჟიშვილმა ტრონდმა ლავრანსს. დამ სიძულვილით შეხედა და ასეთი პასუხი მისცა:

— ტრონდმა იცის, მე რის თქმაც მინდა!

კრისტინი შემოვარდა და მშობლებთან მიიჭრა, მაგრამ ორივემ ხელი ჰკრა და მოიშორა. ამ დროს ტურდისმა ცხელი წყალი შემოიტანა ქვაბით, ალერსიანად მხრებში ხელი მოჰკიდა გოგოს და უთხრა:

— ჩვენს ოთახში გაიქეცი, კრისტინ; აქ ხელს შეგვიშლი.

ტურდისს უნდოდა ეშველა რამე, საწოლის საფეხურზე ჩამომჯდარ ლავრანსისათვის, მაგრამ ლავრანსმა არ მოინდომა, მე საიმისო არაფერი დამშავებიაო.

— მე კი არა, თუ შეგიძლიათ, ცოტათი მაინც შეუმსუბუქეთ ტანჯვა ულვხილდს. ღმერთო, შენ გვიშველე, ქვასაც კი აატირებს, ისე გულსაკლავადა კვნესის!

— არა, ბავშვის ხელის მოკიდებას როგორ გავბედავთ, ვიდრე მღვდელი არ მოვა, ან ექიმბაში-ინგეიერდი, — მიუგო ტურდისმა.

ამ დროს არნეც შემოვიდა და უთხრა, მამა ეირიკი შინ არ იყოო... რაგნფრიდი ენაჩავარდნილი იდგა და ხელებს იმტვრევდა. ბოლოს ხმა ამოიღო:

— ხეუგელ ფრუ ოსხილდთან გაგზავნეთ ვინმე, ის მოიყვანოს. არაფერს დავეძებ, ოღონდ ულვხილდი გადამირჩეს.

კრისტინისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. საწოლის თავთან

სკამი იდგა, იმ სკამზე ასულიყო, ფეხები აეკეცა და თავი მუხლებზე დაედო.

კრისტინს თითქოს ვიღაცის ულმობელი ხელები შემოეჭდო გულზე. ფრუ ოსხილდს მოიყვანენ აქ! დედამ ხომ თავი მოიკლა და ოსხილდი არ მოაყვანინა არც მაშინ, როცა თვითონ სიკვდილის პირას იყო ულვხილდის ლოგინობაზე, არც მაშინ, როცა კრისტინი ისე დაიგდო ციებამ. ფრუ ოსხილდი კუდიანიაო, ამბობდა ხალხი, — ოსლოს ეპისკოპოსმა და ტაძრის კაპიტულმა [1] გაასამართლეს იგი. უთუოდ აწამებდნენ ახ დასწვავდნენ, ისეთი დიდი გვარის ქალი რომ არა ყოფილიყო, და დედოფალი ინგებიერგი [2] დასაცით არა ჰყოლოდა დაახლოებული, მაგრამ ხალხი ლაპარაკობდა, პირველი ქმარი მოწამლა, მეორე, ეხლანდელ ქმარს კი, ბატონ [3] ბიორნს თილისმა გაუკეთა, თორემ ისეთი ახალგაზრდა იყო, ქმრად კი არა, შვილად უფრო შეჰფეროდაო. ფრუ ოსხილდს შვილებიცა ჰყავდა, მაგრამ ისინი არასოდეს არ მოდიოდნენ დედის სანახავად. და ასეთ დიდგვაროვან ხალხს, როგორც ბიორნი და ოსხილდი იყვნენ, მთელი თავიანთი სიმდიდრე ხელიდან გამოეცალათ და აზნაურებივით უნდა ეცხოვრათ დოვრეს მთებში. ხეობაში მცხოვრები კარგი გვარისა და შეძლებული ხალხი არ იკარებდა იმათ, არც თვითონ ეკარებოდნენ. მაგრამ ხალხი ჩუმ-ჩუმად დადიოდა ფრუ ოსხილდთან დახმარებისა და რჩევისათვის, ხოლო ღარიბები დღისით-მზისით მიდიოდნენ თავიანთი მწუხარების შესაჩივლად და სატკივრებისაგან მორჩენას სთხოვდნენ; ისინი ამბობდნენ, ფრუ ოსხილდი კეთილი ადამიანიაო, მაგრამ იმათაც ეშინოდათ ოსხილდის.

კრისტინი ფიქრობდა, დედაჩემი მუდამ ასეთი ღვთის მლოცველია და არა სჯობდა ახლა შველა უფლისთვის და ქალწული მარიამისათვის ეთხოვნაო. თვითონაც სცადა ელოცა და შეევედრებოდა, მეტადრე წმიდა ულავს, იცოდა, ის კეთილი იყო, შვებას აძლევდა მრავალ ავადმყოფს, დაჭრილსა თუ დამტვრეულს, მაგრამ ვერა და ვერ მოეკრიბა

---

[1] კათოლიკურ ეკლესიაში ეპისკოპოსის კათედრასთან არსებულ სასულიერო პირთა კოლეგია.

[2] ალბათ მხედველობაში ჰყავთ დანიელი ინგებიერგი, მეფე მაგნუს მეოთხის (1263 — 1280) ცოლი.

[3] ტიტული „ბატონი" სახელის წინ ეძლეოდა იმას, ვინც რაინდად იყო აღყვანილი; რაინდის ცოლის სახელის წინ იხმარებოდა ტიტული „ფრუ".

გონება, რომ აზრი და ფიქრი ლოცვისკენ მიემართა და ლოცვა ეთქვა.

მშობლები მარტონი დარჩნენ ოთახში. ლავრანსი ისევ მიწვა საწოლზე, რაგნფრიდი კი იჯდა და ავადმყოფ შვილს ჩასცქეროდა სახეში, დროდადრო შუბლსა და ხელებს სველი ცხვირსახოცით უწმენდავდა და ბაგეს ღვინით უსველებდა.

ამასობაში კარგა დრო გავიდა. ტურდისმა ბევრჯერ შემოიხედა, მთელი სულითა და გულით უნდოდა მიხმარებოდა, მაგრამ, რამდენიც შემოვიდა, იმდენი გაისტუმრა რაგნფრიდმა. კრისტინი უხმოდ ტიროდა და გულში ლოცულობდა, თან სულ იმ კუდიან ქალზე ფიქრობდა და გაფაციცებით ელოდა, როდის შემოვიდოდა ოსხილდი მათ სახლში.

სამარისებურ სიჩუმეში უცებ გაისმა რაგნფრიდის ხმა:

— გძინავს, ლავრანს?

— არა, — პასუხი გასცა ქმარმა,—ყურს ვუგდებ, როგორა სუნთქავს ულვხილდი. ღმერთი არ გასწირავს თავის უმანკო კრავს, და არც ჩვენ უნდა შევბედოთ და ამაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს! მაგრამ გული შემიჭამა წოლამ და ამ მოლოდინმა...

— ღმერთმა მომიძულა,—თქვა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა რაგნფრიდმა, — მომიძულა, ჩემი ცოდვებისათვის! ჩემს ვაჟიშვილებს რა უჭირთ იქ, სადაც ახლა არიან, ამაში როგორ შევბედავ დაეჭვებას, ახლა კი, უეჭველია, ულვხილდის აღსასრულის ჟამმაც დაჰკრა, ხოლო მე, მე მომიძულა ღმერთმა, იმიტომ, რომ ჩემი გული — ასპიტთა ბუდეა, ცოდვებითა და სევდით სავსე!..

ამ დროს ვიღაცამ მოსწია ურდულს — შემოვიდა მამა ეირიკი, გაშალა თავისი გოლიათური ტანი და ბოხი, გულიდან წამოსული ხმით თქვა:

— ღმერთმა შემწეობა ნუ მოუშალოს ამ ოჯახს!

მღვდელმა წამლებით სავსე ყუთი საწოლის საფეხურთან დადგა, კერასთან მივიდა და ხელებზე თბილი წყალი გადაივლო, უბიდან ყელზე ჩამოკიდებული ჯვარი ამოიღო, ლათინურად რაღაც წაიბუტბუტა და ოთახის ოთხივე კუთხეს პირჯვარი გადასახა. მერე სახურავში გაკეთებული ბოლის გასასვლელი გააღო და ხელად გაშუქდა ოთახი. ეირიკი ულვხილდთან მივიდა და დახედა.

კრისტინს შეეშინდა, მღვდელი დამინახავს და გამაგდებსო. ისეთი თვალი ჰქონდა, იმის თვალს არფერი გამოეპარებოდა. მაგრამ ის აქეთ-იქით არ იყურებოდა, ყუთიდან ბოთლი ამოიღო, კარგად დაჩენილ

მატყლის ფთილაზე ცოტაოდენი სითხე დაასხა და ულვხილდს პირზე და ცხვირზე დააფარა.

— ესეც ასე, ახლა მალე დაუამდება ტკივილები,— თქვა მღვდელმა, ლავრანსთან მივიდა და ახლა ლავრანსს მიუტრიალდა. ვიდრე მღვდელი ლავრანსს სინჯავდა, ლავრანსმა უამბო, თავს როგორ დაატყდათ ეს უბედურება, მას ორი ნეკნი ჰქონდა ჩამტვრეული და ფილტვები დაშავებული; მაგრამ მღვდელმა თქვა მაინცა და მაინც ძალიან საშიში არაფერიაო.

— ულვხილდი როგორღა არის? — ნაღვლიანად ჰკითხა მღვდელს ლავრანსმა.

— როცა გავსინჯავ, მაგას მაშინ გეტყვი; — მიუგო მღვდელმა — შენ კი სტაბიურში დაწექი, მაშინ უფრო ხალვათად და მშვიდად იქნებიან ბავშვის მომვლელები.

ეირიკმა ლავრანსის მკლავები მხრებზე შეიწყო, თვითონ ქვემოდან შეუგდო ხელები და ოთახიდან გაიყვანა. კრისტინს უნდოდა, მამას გაჰყოლოდა უკან, მაგრამ გამოჩენისა ეშინოდა.

უკან შემოსულ ეირიკს ლაპარაკი არ გაუბამს რაგნფრიდისათვის. პირველ ყოვლისა, ტანისამოსი გაუჭრა ულვხილდს და გახადა. ბავშვი ახლა ისე აღარა კვნესოდა და თითქოს მიბინარებული იწვა. მღვდელმა ფრთხილად გაუსინჯა ბავშვს სხეული და ხელ-ფეხი.

— რაო, ნუთუ ჩემი გოგონა ისე ცუდად არის, რომ შენც არ იცი როგორ უშველო, ამიტომა ხარ გაჩუმებული? — შიშისაგან გაუბედავად ჰკითხა რაგნფრიდმა მღვდელს.

მღვდელმა წყნარად მიუგო.

— ეტყობა, მძიმედ აქვს დაშავებული ზურგი. მე მგონი, ყველაფერი ღმერთსა და წმიდა ულავს უნდა მივანდოთ. მე კი ბევრი არაფერით შემიძლია შველა.

რაგნფრიდმა ცხარედ მიუგო:

— მაშ, უნდა ვილოცოთ! მშვენივრად იცი, რასაც მოისურვებ, მე და ლავრანსი არაფერს დავიშურებთ, ოღონდ ღმერთს შეგვავედრე, ულვხილდი გადაგვირჩინოს!

— სასწაული მოხდება, თუ ცოცხალი გადარჩა და არც დასახიჩრდა, — უთხრა მღვდელმა.

— განა შენ არა ჰქადაგებ, მუდამ შეიძლება მოხდეს სასწაულიო, თუ, შენც არა გჯერა, რომ შეიძლება მოხდეს სასწაული და ჩემი შვი-

ლი განიკურნოს? — უთხრა მღვდელს რაგნფრიდმა წელანდელივით სულშეგუბებულმა.

— მართალია, — მიუგო მღვდელმა, —სასწაულები, რა თქმა უნდა, ხდება, მაგრამ ღმერთი ყველას ვედრებას როდი ისმენს, ჩვენ არ ვიცით, ჩვენთვის მიუწვდომელია მისი ზრახვანი. მაგრამ, შენ როგორა გგონია, განა უარესი არ იქნება, ეს ლამაზი გოგო გადაგირჩეს, მაგრამ სამუდამოდ ხეიბარი ან მახინჯი დარჩეს?

რაგნფრიდმა თავი გაიქნია და უხმოდ ატირდა.

— მე იმდენი შვილები დამეხოცა, მღვდელო, — ამის სიკვდილს ველარ ავიტან.

— ყველაფერს ვიღონებ, რაც ჩემს ხელთ არის, — მიუგო მღვდელმა, — ლოცვითაც ვილოცებ, რაც ძალა შემწევს. შენ კი უნდა გამაგრდე, რაგნფრიდ, და უდრტვინველად გაუძლო რასაც გარგუნებს ღმერთი.

— ჩემ შვილებში არც ერთი არა მყვარებია ისე, როგორც ეს პაწია მიყვარს; თუ ამასაც წამართმევს ღმერთი, ამას კი, ალბათ, ველარ გაუძლებს ჩემი გული!

— ღმერთი იყოს შენი შემწე, რაგნფრიდ ივარის ასულო, — უთხრა მამა ეირიკმა და თავი გადააქნია. — შენ თითქოს გინდა შენი მარხულობისა და ლოცვის სამაგიეროდ ისმინოს ღმერთმა შენი ლოცვა! რაო, გიკვირს, რომ ლოცვამ დიდად არ გიშველათ?

რაგნფრიდმა გამომწვევად შეხედა მღვდელს და უთხრა:

— უკვე გავგზავნე კაცი, ფრუ ოსხილდის მოსაყვანად.

— ჰო, შენ იცნობ იმას, მე კი არ ვიცნობ. — უთხრა მღვდელმა.

— უულვხილდოდ მე რა მაცოცხლებს, — ამოიგმინა რაგნფრიდმა წელანდელივით სასომიხდილმა. — თუ ღმერთი არ უშველის, მაშინ ფრუ ოსხილდსა ვთხოვ შველას. თუ არა და, ეშმაკს მიეყიდი სულს, ოღონდ შვილი გადამირჩინოს!

სახეზე შეეტყო მღვდელს, მრისხანე პასუხი მოადგა პირზე, მაგრამ თავი შეიმაგრა. კვლავ დაიხარა და კვლავ გასინჯა გოგონა.

— ხელ-ფეხი გასცივებია, — უთხრა რაგნფრიდს მღვდელმა, — ცხელი წყალი შემოუწყეთ დიდრონი ქოთნებით და ფრუ ოსხილდის მოსელამდე ხელი აღარ ახლოთ.

კრისტინი გულაღმა ჩუმად გაწვა გრძელ სკამზე და თავი მოიმძინარა, შიშისაგან მის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა — ბევრი არაფერი გა-

უგია მღვდლისა და დედის ნალაპარაკევიდან, მაგრამ ამ ლაპარაკმა თავზარი დასცა, თუმცა კარგად იცოდა, იმის გასაგონი არ იყო ეს ლაპარაკი.

რაგნფრიდი წამოდგა წყლის მოსატანად და უცებ ტირილი წასკდა.

— მაინც ილოცე ჩვენთვის, მამაო ეირიკ!

პატარა ხნის მერე რაგნფრიდი ოთახში შემობრუნდა და ტურდისიც თან შემოჰყვა. მღვდელი და ქალები ულვხილდს შემოეხვივნენ, ამ დროს კრისტინიც დაინახეს და ოთახიდან გამოისტუმრეს.

ეზოში გასულ კრისტინს დღის შუქმა თვალები მოსჭრა. მას ეგონა, დაღამებულიც იქნებოდა, ვიდრე ის ბნელ საზამთრო ოთახში იჯდა, აქ კი რუხ სახლებს მზის შუქი ადგა და შუადღის კაშკაშა მზის სხივებში აბრეშუმივით ბზინავდა ბალახი. თხმელის ნაყარის ზოგან შავი, ზოგან ოქროსფერი გადახლართული ტოტების უკან მდინარე ბრჭყვიალებდა, ეორიუნდგორდთან დიდრონ ლოდებზე მოჰქუხდა და იქაურობას ახმიანებდა. ცამდე აზიდული ფრიალო კლდეები მტრედისფერ ნისლში გახვეულიყო. თოვლი დნებოდა და მთებიდან ჩუხჩუხით მოექანებოდნენ ნაკადულები. გარეთ ნეტარებით აღსავსე გაზაფხულს მძლავრად მოეკიდებინა ფეხი, შინ კი უიმედობა დასადგურებულიყო და კრისტინი თავისდა უნებურად ატირდა.

კარმიდამოზე არავინა ჩანდა, სამოახლოდან კი ლაპარაკის ხმა გამოდიოდა. სადაც მამამ ხარი მოკლა, იქაურობა სისხლით მოირწყო და მიწა დაეყარათ. კრისტინი მოუსვენრად იყო, არ იცოდა, რა გაეკეთებინა, და ახალი სახლის კედელზე ავიდა, ჯერ ორ-სამ გვირგვინზე იყო კედელი აყვანილი, იქ იმისი დის ულვხილდის სათამაშოები ეყარა; კრისტინმა სათამაშოები მოხვეტა და ორმოში შეინახა, სულ ქვედა ძელსა და სარკმელს შუა, ბოლო დროს ულვხილდი ერთთავად ჭირვეულობდა, კრისტინის სათამაშოები სულ მე მომეციოთ და კრისტინი, ზოგჯერ ბრაზობდა ამაზე. ახლა კი ფიქრობდა, ნეტა ულვხილდი მორჩეს და სულ იმას მივცემ, რაც კი სათამაშოები მაქვს, ერთიც აღარ მინდაო, და ამან ცოტა ნუგეში მისცა.

მოაგონდა ხამარელი ბერი — იმას კი სწამდა, რომ შეიძლება ყველასათვის მოხდეს სასწაული. მაგრამ მამა ეირიკს მაინცა და მაინც არა სჯეროდა, არც მის მშობლებსა სჯეროდათ სასწაულისა, კრისტინი

კი მიჩვეული იყო, ყველაზე მეტად თავისი მშობლებისათვის დაეჯერებინა. თითქოს ცა ჩამოენგრა, და საზარელი რამ დაატყდა თავს, როცა პირველად გაიგო, თურმე შეიძლება, ხალხი ბევრ რამეზე სულ სხვადასხვანაირად ფიქრობდესო; მარტო ბოროტი ხალხი კი არა, მამა ედვინიც — ისე არა ფიქრობს, როგორც მამა ეირიკი, დედა ისე არა ფიქრობს, როგორც მამა; უცებ იგრძნო, ისინიც სხვადასხვა აზრისა იყვნენ ბევრ რამეზე...

საღამო ხანსღა წაადგა ტურდისი კუთხეში მიძინებულ ბავშვს და თავისთან წაიყვანა — კრისტინს დილიდან არაფერი ეჭამა. ტურდისი და რაგნფრიდი მთელი ღამე ულვხილდს უსხდნენ, კრისტინი ტურდისმა თავის საწოლში ჩააწვინა, სადაც იმის ქმარს იონსა და იმის ვაჟიშვილებს ეივინდსა და ორმს ეძინათ. იმათი სხეულის სუნმა, იონის ხვრინვამ და ბავშვების თანაბარმა სუნთქვამ ტირილი მოჰგვარა კრისტინს და ჩუმად აქვითინდა. განა დიდი ხანია, გუშინაც, როგორც ყოველ ღამ, დასაძინებლად დაწვა საკუთარ დედ-მამასთან და პატარა ულვხილდთან ერთად, — ახლა კი თითქოს ვიღაცამ დაანგრია, ააოხრა და ქარს მისცა იმათი ბუდე, თვითონ კრისტინი კი დარჩა უსაფარო, გამოტყორცნილი იმ ფრთებიდან, რომელთა ქვეშაც მუდამ მყუღროდ იყო შეყუჟული. ის ტიროდა, ვიდრე არ დაეძინა, მარტოდმარტოს და უბედურს ამ უცხო ხალხში...

მეორე დილით გაიგო კრისტინმა, რომ მისი განრისხებული დედის ძმა იურიუნდგორდიდან წასულიყო მთელი თავისი ჯალაბობით; ტრონდმა დას ჭკუაზე შემცდარი, გიჟი და გადარეული დედაკაცი უწოდა, ლავრანსს კი მჩვარი და სულელი, ვერ მოთოკა და ლაგამი ვერ ამოსდო თავის ცოლსო. კრისტინს ალმური ავარდა სიბრაზისაგან, მაგრამ თან შერცხვა კიდეც, მშვენივრად ესმოდა, დიდი უზრდელობა ჩაიდინეს, რომ დედამ სახლიდან დაითხოვა თავისი უახლოესი ნათესავები და პირველად თავის სიცოცხლეში გუმანით ბუნდოვნად მიხვდა, რომ იმის დედის თავს რაღაც იყო, და ის ისეთი არ არის, როგორც სხვა ქალები არიან.

ვიდრე კრისტინი ამ ფიქრებში იყო, — მოახლეც მოვიდა და უთხრა, მამაშენთან წადი სტაბიურშიო.

მაგრამ, როცა კრისტინი სხვენში ავიდა, სულ დაავიწყდა მამასთან

შესულიყო, იმიტომ რომ, ღია კარის პირდაპირ შიგ კაშკაშა შუქში ტანმორჩილი ქალი იჯდა — კრისტინი მიხვდა, სწორედ ეს იყო ის კუდიანი, თუმც კუდიანი თავის დღეში ასეთი არ წარმოედგინა.

მაღალზურგიან სავარძელში, — ქვემოთ ოთახიდან ამოეტანათ,—ქალი ბავშვივით ჩაკარგულიყო. წინ მაგიდა ედგა, მაგიდას კრისტინის დედის საუკეთესო ფოჩებიანი სუფრა ეფარა. ღორის მკერდი და ნანადირევი ეწყო ვერცხლის ლარნაკზე; მაგიდაზე დიდი თასი დაედგათ ღვინით, ხოლო სტუმარი ლავრანსის საკუთარი ვერცხლის თასითა სვამდა ღვინოს. ჭამა გაეთავებინა და ის იყო კოხტა თხელ ხელებს იწმენდდა დედის საუკეთესო პირსახოცით, თვით რაგნფრიდი კი მის წინ იდგა და წყლით სავსე სპილენძის თასი ეჭირა ხელში.

ფრუ ოსხილდმა პირსახოცი მუხლებზე დაიდო, ბავშვს გაუღიმა და მშვენიერი ხმით უთხრა:

— აბა, მოდი ჩემთან! — რაგნფრიდს მიუბრუნდა და დააყოლა: — ლამაზი შვილები გყავს, რაგნფრიდ.

სახე ერთიანად დანაოჭებული ჰქონდა. ამავე დროს ბავშვივით ნაზი და მოვარდისფრო თეთრი, და ასე გეგონა ხელი რომ დაგესვა, კანიც ნაზი და სრიალა უნდა ჰქონოდა. ყმაწვილი ქალივით ნორჩი ტუჩები წითლად უღეიოდა; დიდრონი მოთაფლისფრო თვალები უბრწყინავდა. თეთრი წმინდა ტილოს თავსაბური ლოყებზე შემოეხვია და ნიკაპქვეშ ოქროს შესაკრავით დაემაგრებინა; თავსაბურის ზემოდან მუქი ლურჯი შალის წამოსასხამი მოეგდო; წამოსასხამი განივრად ეცეემოდა ბეჭებზე და დაბლა ეშვებოდა ტანზე კოხტად მოყვანილ მუქ ტანისამოსზე. თავიდან ფეხებამდე კოხტა, კელაპტარივით ქალი იყო, კრისტინმა ალღოთი უფრო იგრძნო, ვიდრე გაიფიქრა, რომ ამისთანა ლამაზი და ამისთანა დიადი ქალი თვალით არ უხილავს, როგორც ეს მოხუცი კუდიანია, ვინც შერისხული ჰყავთ ამ მიდამოებში მცხოვრებ დიდებულთ.

ფრუ ოსხილდს კრისტინის ხელი თავის ბებრულ ფაფუკ ხელში ეჭირა; ბავშვს მეგობრულად, ხუმრობით დაუწყო ლაპარაკი, მაგრამ კრისტინს ენა ჩაუვარდა. მაშინ ფრუ ოსხილდმა სიცილით ჰკითხა რაგნფრიდს:

— რაო, ჩემი ხომ არ ეშინია?

— არა, არა! — თითქმის შეჰყვირა კრისტინმა. ფრუ ოსხილდს ამაზე უფრო გაეცინა და რაგნფრიდს უთხრა:

— ჭკვიანი თვალები აქვს ამ შენს გოგოს და კარგი ღონიერი ჩელები, ეტყობა, სიზარმაცე ამისთვის უცხო ხილია. ჩემი წასვლის მერე. დამხმარე დაგჭირდება ულვხილდის მოსავლელად. ამიტომ, ნება მიეცი კრისტინს მომეხმაროს ხოლმე, ვიდრე აქა ვარ, — კაი მოზრდილი გოგოა, თერთმეტისა იქნება, არა?

ესა თქვა ფრუ ოსხილდმა და გავიდა. კრისტინს უნდოდა უკან გაჰყოლოდა, მაგრამ ამ დროს ლავრანსმა დაუძახა. ის უძრავად იწვა ზურგზე და მთელი ბალიშები მაღლა აწეულ მუხლებქვეშ ჰქონდა შეწყობილი. ფრუ ოსხილდს ეთქვა, ასე გაუნძრევლად იწექი ზურგზე, დაშავებული მკერდი მაშინ უფრო მალე მოგიშუშდებაო.

— მალე მორჩებით, მამავ, ხომ მართალია? — ჰკითხა კრისტინმა. — ლავრანსმა შეხედა შვილს. გოგონას ჯერ არ მიემართა მამისთვის თქვენობით და მან დინჯად უპასუხა:

— მე რა მიჭირს, შენი და იკითხე, იმას რა ეშველება.

— მაშა, — მიუგო კრისტინმა და ამოიოხრა.

კრისტინი ცოტა ხანს იდგა საწოლთან. მამას ხმა აღარ ამოუღია. კრისტინმაც არ იცოდა, რა ეთქვა. და როდესაც ლავრანსმა პატარა ხნის მერე უთხრა, დედასთან და ფრუ ოსხილდთან გაიქეცი, კრისტინი ფიცხლავ გარეთ გავარდა, ეზო გადაჭრა და საზამთრო სახლისაკენ მოკურცხლა.

IV

ფრუ ოსხილდმა თითქმის მთელი ზაფხული იორიუნდგორდში გაატარა. თავისთავად მოხდა, რომ ოსხილდთან რჩევის საკითხავად იორიუნდგორდში მომსვლელი ხალხი არ გამოლეულა. კრისტინმა ყური მოჰკრა, მამა ეირიკი ამაზე ბრაზობსო და გუმანით მიხვდა, რომ არც იმის მშობლებს ეჭაშნიკებოდათ ამ ხალხის მისვლა-მოსვლა. მაგრამ თავიდან იშორებდა ამგვარ ფიქრებს. არც ის ადარდებდა, თავი როგორ დაეჭირა ფრუ ოსხილდთან, ეს კი იყო, გვერდიდან არა შორდებოდა, არც იმისი ლაპარაკი ღლიდა და არც იმისი ცქერა ბეზრდებოდა.

ულვხილდი ისევ გაუნძრევლად იწვა მშობლების დიდ საწოლში. ისე დაკარგა ფერი, რომ ტუჩებსაც კი მიტკლისფერი დაედო, თვალები ჩაუშავდა. მშვენიერ ოქროსფერ თმას დიდი ხნის დაუბანლო-

ბისაგან მქაფარი ოფლის სუნი ასდიოდა, ჩაუმუქდა და ძველებურად აღარ ეხვეოდა, ბზინვა დაეკარგა და თავზე ძველ ჩაშმორებულ თივასავით ედო. ბავშვს ეტყობოდა მოღლილი იყო, დატანჯული, მაგრამ მოთმინებით იტანდა ყველაფერს, სუსტი ღიმილი ეფინებოდა სახეზე, როცა კრისტინი საწოლზე დაუჯდებოდა, ლაპარაკს გაუბამდა და ათასნაირ ნაშვენიერ საჩუქრებს აჩვენებდა, ულვხილდს არც მშობლები აკლებდნენ საჩუქრებს და იმ ოლქში მცხოვრები მეგობარ-ნათესავებისაგანაც უხვად მოსდიოდა. დედოფლებიც იყო, ფრინველებიც და ნადირიც, პატარა შაშის სათამაშო, ათასნაირი მორთულობა, ხავერდის ქუდები და ჭრელი ბაფთები. კრისტინი ყველაფერს ზარდახშში უნახავდა ულვხილდს, ბავშვი თავისი ჭკვიანი თვალებით შესცქეროდა უფროს დას, დაქანცული ამოიოხრებდა და დასუსტებულ ხელს უშვებდა მთელ ამ განძეულს.

სიხარულით უბრწყინავდა ულვხილდს სახე, ფრუ ოსხილდი რომ მის ლოგინთან მივიდოდა. ხარბადა სვამდა იმისი ხელით მომზადებულ გამაგრილებელ და ძილისმომგვრელ სასმელებს, არა წუწუნებდა, როცა ის დასტრიალებდა და სმენადქცეული, სიამოვნებით უსმენდა, როცა ოსხილდი უკრავდა ლავრანსის არფაზე და მღეროდა — ოსხილდმა ბევრი უცხო სიმღერა იცოდა, რომელიც ხეობაში არ გაეგონათ.

კრისტინსაც ხშირად უმღეროდა ოსხილდი, როცა ულვხილდს ეძინა. და ზოგჯერ თავისი სიყმაწვილის ამბებსაც მოიგონებდა ხოლმე, როცა სამხრეთ ნორვეგიაში ცხოვრობდა და მეფე მაგნუსის, მეფე ეირიკის [1] და იმათი ცოლების კარზე იყო ხოლმე.

ერთხელ, როცა ერთად ისხდნენ და ფრუ ოსხილდი ძველ ამბებს იგონებდა, კრისტინს უნებურად წამოსცდა ის, რაზეც ხშირად უფიქრია:

— მიკვირს, მუდამ ასეთი მხიარული ხართ, როცა ისე იყავით შიჩვეული... — უცებ ენაზე იკბინა კრისტინმა და გაწითლდა.

— შენ იმის თქმა გინდა, რომ ყველაფერს გამოსალმებული ვარ? — წყნარად გაეცინა ოსხილდს და განაგრძო: — ოდესღაც მეც მიქროდა ქარი, მეც მიცხოვრია ბედნიერად, კრისტინ, და არც ისეთი სულელი ვარ, ვიწუწუნო: თუმცა ახლა არაჟანმოხდილი რძე და მაწონი უნდა ვიკმარო, სამაგიეროდ, ისე გამოვცალე ჩემი წილი ღვინო

---

[1] მეხედველობაში ჰყავთ ეირიკ II (1280 — 1299), მაგნუს IV ძე.

და ლუდი, წვეთი არ დამიტოვებია. შეიძლება დიდხანს იცხოვრო ბედნიერად, თუ გონივრულად და წინდახედულად მოიქცევი და ბრძნულად მოიხმარებ, რაც შენს ხელთ არის; ეს იცის ყველა ჭკვიანმა ადამიანმა და სწორედ ამიტომ მე მგონი ამით უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დიდი ბედნიერება ძვირად უჯდება ადამიანს. ხალხი სულელს უწოდებს იმას, ვინც გაანიავებს მამის დანატოვარ ქონებას, ოღონდ მხიარულად გაატაროს თავისი სიყმაწვილე. ამისთანა საქციელი ყველას ისე შეუძლია განსაჯოს, როგორც მოესურვება! მაგრამ მე ნამდვილ სულელსა და უგუნურს ვუწოდებ იმას, ვინც წინდაუსედავია, გონს გვიან მოდის და რეგვენზე რეგვენი და სულელზე სულელია, ვისაც იმედი აქვს, თავის გვერდზე ისევ იხილოს ძველი მეინახეები, როცა მამის დანატოვარი ქონება გაანიავა... და აღარაფერს აგულებენ...

— ულვხილდი ხომ არაფერმა შეაწუხა? — ალერსიანად ჰკითხა ოსხილდმა შვილის საწოლთან მჯდარ რაგნფრიდს, რომელიც თავისდა უნებურად მოურიდებლად გაინძრა.

— არა, მშვიდადა სძინავს, — უთხრა რაგნფრიდმა და კერასთან მიმსხდარ ოსხილდთან და კრისტინთან მივიდა, ბოლის ასასვლელის ლატანს მოეჭიდა და ფრუ ოსხილდს შეხედა.

— მაგას კრისტინი რას გაიგებს, — უთხრა ოსხილდს.

— რა თქმა უნდა, — მიუგო ფრუ ოსხილდმა. — მაგრამ ლოცვებსაც ხომ მანამ სწავლობდა, სანამ ლოცვების გაგებას შეიძლებდა! ისეთ ქამს, როცა ადამიანს ესაჭიროება ლოცვები, ან კეთილი რჩევა, აღარც ლოცვების სწავლის თავი აქვს და არც გაგების ხალისი.

რაგნფრიდი ჩაფიქრდა და შავი წარბები შეჭყარა. ასეთ წუთებში მისი ღრმად ჩამჯდარი ჭროღა თვალები, მუქი, ხშირი ტყით დაფარული მთის ფერდობების ძირში რომ ტბებია, იმ ტბებს ემსგავსებოდნენ — პატარაობისას მუდამ ასე ეგონა კრისტინს ან ეგებ ვინმემ თქვა ეს და გაეგონა. ფრუ ოსხილდი ნაზი ღიმილით უყურებდა რაგნფრიდს. რაგნფრიდი კერის ნაპირზე ჩამოჯდა, ტოტი აიღო და გაღვივებულ ნაკვერჩხალში შეუკეთა.

— მაგრამ ვინც მამის დანატოვარი ქონება უვარგის საქონელს მიაფშვნიტა, მერე კი ისეთი განძი ჰპოვა, რომ მის დასასაკუთრებლად სიცოცხლეს არ დაიშურებდა, განა თქვენის აზრით ის არ უნდა ნანობდეს ჩადენილ უგუნურებას?

— ვისაც გატეხვისა ეშინია, ხელში ნუ აიღებს რაც გასატეხია, რაგნფრიდ, — მიუგო ფრუ ოსხილდმა. — და ვინც მზად არის სიცოცხლე გასწიროს, დაე, გასწიროს და მერე ვნახოთ, რას მოიპოვებს...

რაგნფრიდმა ცეცხლიდან მოკიდებული ტოტი გამოიღო, ალი ჩააქრო და გავარვარებულ წვერს ხელი მიაფარა, თითებს შუა სისხლივით წითლად გაუკაშკაშდა ხელი.

— ეჰ, ყველაფერი ცარიელი სიტყვებია, სიტყვები და მხოლოდ სიტყვები, ფრუ ოსხილდ!

— და არც ბევრი რამ არის ისეთი ამ ქვეყნად, რაც ღირდეს ასე ძვირად დაისვას ადამიანმა, რაგნფრიდ, — უთხრა ოსხილდმა, — საკუთარი სიცოცხლის ფასად...

— არა, არის, — მგზნებარედ მიუგო რაგნფრიდმა. — ჩემი ქმარი. — ოდნავ გასაგონად წაიჩურჩულა.

— რაგნფრიდ, — ჩუმად უთხრა ოსხილდმა, — მრავალ გასათხოვარ ქალს უმსჯელია ეგრე, როცა გულით ეწადა, შეეყვარებინა თავი კაცისთვის და თავის ქალწულობა მიუტანა მსხვერპლად. მაგრამ განა არ წაგიკითხავს, რამდენმა კაცმა და რამდენმა ქალწულმა შესწირეს ღმერთს ყველაფერი, რაც ებადათ, და მონასტრებში წავიდნენ ან ფეხშიშველნი დაადგნენ უდაბნოს გზას, მერე კი თავში იცემდნენ, ეს რა ჩავიდინეთო? რა თქმა უნდა, საღმრთო წიგნებში იმათ უგუნურებს უწოდებენ... და ვგონებ ცოდვა იქნებოდა გვეფიქრა, ამ მორიგებაში ღმერთმა მოატყუა ისინიო.

დადუმებული რაგნფრიდი ერთხანს გაუნძრევლად იჯდა. მაშინ ფრუ ოსხილდმა კრისტინს უთხრა:

— წამო, კრისტინ, სწორედ კარგი დროა, ნამი მოვაგროვოთ ულვხილდის პირის დასაბანად.

მთვარის შუქში ეზო ალაგ შავად, ალაგ თეთრად მოჩანდა. ბაკი გაიარეს და რაგნფრიდმა კომბოსტოს ნათესთან რომ ალაყაფის კარი იყო, იმ კარამდე მიაცილა ისინი. კრისტინი ხედავდა, დედა კარს მიყუდებული იდგა, ტანწერწეტი, შავგვრემანი, და გამოსცქეროდა დიდრონი, ყინულივით ცივი კომბოსტოს ფოთლებიდან ცვარს როგორ ბერტყავდა კრისტინი მამის ვერცხლის თასში.

ფრუ ოსხილდი გაჩუმებული გვერდით მისდევდა კრისტინს. ის მხოლოდ იმიტომ წამოჰყვა, კრისტინი არაფერმა შეაშინოს, არ ვარგა, ასეთ ღამეში ბავშვის სახლიდან მარტო გამოშვებაო. მაგრამ ცვარს უფრო მეტი განკურნების ძალა ჰქონდა, თუ მას უმანკო ქალი შეაგროვებდა.

როცა დაბრუნდნენ, დედა აღარ დახვდათ ჭიშკართან. კრისტინი სიცივისაგან ძაგძაგებდა, ვერცხლის თასი რომ მიაწოდა ხელში ფრუ ოსხილდს. ფეხსაცმელი დასველებოდა და გაყინულმა გოგონამ სტაბიურისკენ მოუსვა, სადაც ახლა იმასა და მამას ეძინათ, ის იყო ფეხი უნდა შეედგა საფეხურზე, რომ დერეფნის ქვემოთ ჩრდილიდან რაგნფრიდი გამოვიდა. ფინჯანი მოჰქონდა სასმელით, სასმელს ორთქლი ასდიოდა.

— ცოტა ლუდი შეგითბე, შვილო, — უთხრა დედამ.

გახარებულმა კრისტინმა მადლობა გადაუხადა დედას და ლუდი მოსვა. ამ დროს რაგნფრიდმა ჰკითხა:

— კრისტინ, ლოცვებსა და იმ სხვა რამეში, რასაც ფრუ ოსხილდი გასწავლის, ცოდვა ან ღვთის უარმყოფელი ხომ არაფერი ურევია?

— არა, ამას ვერავინ იფიქრებს, — მიუგო გოგონამ. — ყოველ ლოცვაში ქრისტეს, ქალწული მარიამისა და სხვა წმინდანთა სახელებია მოხსენიებული...

— მაინც რა გასწავლა? — კვლავ ჰკითხა დედამ კრისტინს.

— რა მასწავლა და... ათასნაირი ბალახების ცნობა... სისხლის, მეჭეჭების და სნეული თვალების შელოცვა... შელოცვა, რომ ჩრჩილი არ გაჩნდეს ტანსაცმელში, თაგვი საკუჭნაოში. ან რომელი ბალახი უნდა მოიწყვიტოს მზეში, რომელ ბალახს წვიმაში მოწყვეტილსა აქვს ძალა. მაგრამ ამიკრძალა ლოცვები ვისმეს ვუთხრა. ლოცვა ძალას დაკარგავს და აღარ გასჭრისო. — სასწრაფოდ დააყოლა.

დედამ ცარიელი ფინჯანი გამოართვა, კიბეზე დადგა, უცებ შვილს ხელები მოხვია, გულში მაგრა ჩაიკრა და კოცნა დაუწყო... კრისტინმა იგრძნო, დედას ლოყები სველი ჰქონდა და უხურდა.

— ღმერთმა დაგიფაროს, შვილო, და ყოვლად წმინდა ქალწულმა გიხსნას ყოველგვარი ბოროტებისაგან! მე და მამაშენს შენს მეტი აღარავინ დაგვრჩენია, აღარავინ შეგვარჩინა ჩვენმა უბედურმა ბედმა.

ძვირფასო, ჩემო ძვირფასო, შენა ხარ მამაშენის ერთადერთი სიხარული და მუდამ გახსოვდეს ეს...

რაგნფრიდი საზამთრო ოთახში წავიდა, ტანთ გაიხადა და ჩუმად შეუწვა ულვეხილდს. ხელი თავქვეშ ამოუდო ბავშვს, და სახით შვილის სახეს მიეკრო, ულვეხილდის სითბომ გაათბო და მისი გაოფლილი ბუმბულივით თმის მაგარი სუნი ეცა.

ულვეხილდს მშვიდად, გულის ძილით ეძინა, მუდამ ასე ეძინა, როცა ფრუ ოსხილდი საღამოობით წამალს დაალევინებდა ხოლმე. ზეწრის ქვეშ გაშლილი მარცვლოვანი ბალახების სუნი ადამიანს დაბნიდავდა. მაგრამ რაგნფრიდს მაინც დიდხანს არ მიჰკარებია ძილი, მთვარე ადგა სასულე თვალში ჩადგმულ რქის ფირფიტას და ის ჭერზე დაცემულ ნათელ ლაქას მიშტერებოდა.

მოშორებით, მეორე საწოლში, ფრუ ოსხილდი იწვა, მაგრამ რაგნფრიდმა არასოდეს არ იცოდა, ეძინა თუ ეღვიძა ფრუ ოსხილდს. თავის დღეში ერთი სიტყვა არ წამოსცდენია ფრუ ოსხილდს თუ ოდესღაც, ძველად იცნობდნენ ერთმანეთს ისა და რაგნფრიდი. ესა სცებდა შიშის ზარს რაგნფრიდს და, ასე ეგონა, თავისდღეში არა ვყოფილვარ ასე უბედური და ჩემს სიცოცხლეში ჯერ ასე არ მომწურვია შიშისაგან გული, როგორც ახლა მეწურებაო, — თუმცა იცოდა, ლავრანსი ძველ ჯანზე დადგებოდა და ულვეხილდიც სიკვდილს გადარჩენილი იყო.

ფრუ ოსხილდს ართობდა კრისტინთან მუსაიფი და რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო დამეგობრდნენ. ერთხელ, ბალახების შესაგროვებლად წასული ფრუ ოსხილდი და კრისტინი მთის ფერდობზე, კლდოვანი ხრამის ძირში მწვანე მდელოზე ისხდნენ და ფორმოს კარ-მიდამოს გადაჰყურებდნენ. კარ-მიდამოზე წითელი ქურთუკით იცნეს გიურდის ვაჟი — არნე; ისინი ერთად მოვიდნენ ცხენებით და ახლა არნე ცხენებსა ჰყარაულობდა, სანამ ფრუ ოსხილდი და კრისტინი ბალახებს შეაგროვებდნენ მთაზე შეფენილ ჭალაში.

ვიდრე მდელოზე ისხდნენ, კრისტინმა უამბო ფრუ ოსხილდს, როგორა ნახა მთების ქალი. რამდენი წელიწადია, აღარ გახსენებია კრისტინს ეს ამბავი, მაგრამ უცებ ყველაფერი თვალწინ დაუდგა. და როცა ამას უამბობდა ფრუ ოსხილდს, უცებ მოეჩვენა, თითქოს ფრუ ოს-

ხილდი მთების ქალს მიამსგავსა, — თუმცა მშვენივრად იცოდა, ისინი ერთმანეთს არა ჰგავდნენ.

კრისტინმა რომ თავისი ამბავი დაასრულა, ფრუ ოსხილდი ერთ ხანს გაჩუმებული იჯდა და დაბლა ჩასცქეროდა ხეობას; ბოლოს უთხრა:

— მაშინ ბავშვი ყოფილხარ და ჭკვიანურად კი მოქცეულხარ, რომ გაექეცი. მაგრამ განა არასოდეს არ გაგიგონია იმათზე, ვისაც მთების ასულის მიწოდებული ოქრო გამოურთმევიათ და მერე იმ ოქროთი ტროლიც კი ქვად გადაუქცევიათ?

— გამიგონია მაგისთანა ზღაპრები, — მიუგო კრისტინმა, — მაგრამ ჩემს სიცოცხლეში ვერ გავბედავდი ოქრო გამომერთმია, მე მგონი, ეს ულამაზო საქციელია.

— კარგია, როცა ადამიანი ვერა ბედავს იმის ჩადენას, რაც ულამაზოდ მიაჩნია, — უთხრა ფრუ ოსხილდმა და ჩაეცინა. — სამაგიეროდ, არც ის არის კარგი, როცა ადამიანს რამე ულამაზოდ ეჩვენება მხოლოდ იმიტომ, რომ გამბედაობა არა ჰყოფნის ამის ჩასადენად. ამ ზაფხულს ძალიან აიყარე ტანი, კრისტინ, — უცებ უთხრა კრისტინს ფრუ ოსხილდმა. შენ იცი, რა ლამაზი გოგო დადგები?

— დიახ, — მიუგო კრისტინმა, — ჩემზე ამბობენ, მამასა ჰგავსო.

ფრუ ოსხილდს ჩუმად ჩაეცინა.

— ჰო, ასეა თუ ისე, შენთვის სჯობია ლავრანსსა ჰგავდე, ხასიათითაც და გარეგნობითაც. აფსუსი კი იქნება, თუ აქ, ამ ხეობაში გაგათხოვებენ. ადამიანმა ცხვირი არ უნდა აუკრას არც გლეხურ ჩვევებს, არც ხუტორის ჩვეულებებს, მაგრამ ყველა ამ დიდებულ ხალხს[1] მთაში ისეთ დიდ ვინმეებად მიაჩნიათ თავი, რომ მათი საკადრისი არავინა ჰგონიათ ნორვეგიის მთელ მიწა-წყალზე! ალბათ უკვირთ, როგორ შემიძლია სვებედნიერად ვიცხოვრო, რაკი მათი სახლის კარი ჩემთვის დაკეტილია. მაგრამ ზარმაცები და ამპარტავნები არიან, თვითონ არ უნდათ ახალი ზნე-ჩვეულების შემოღება და ყველაფერს

---

[1] დიდებელი (ნორვეგიულად სიტყვა-სიტყვით: დიდი) ხალხიო რომ ამბობს. მხედველობაში ჰყავს როგორც რაინდები, ისევე დიდგვაროვანი და მდიდარი აზატი გლეხები (ბონდები), ისინი იარაღს ატარებდნენ და ხშირად ფეოდალურ მეურნეობასაც მისდევდნენ.

სვერეს[1] მეფობის დროს ჩამოვარდნილ ძველ შუღლს აბრალებენ. ეგ ტყუილია, — პაპიშენის მამა შეურიგდა მეფე სვერეს და საჩუქრების მიღებას არა თაკილობდა მისგან, მაგრამ ბიძაშენმა რომ მოინდომოს ჩვენი მეფის ამალაში შესვლა და მეფის სამსახური, კაი შალაშინი დასჭირდება, გარეგნულადაც და თავის დაჭერაშიც, მაგრამ თქვენ ტრონდს ეგ არა ნებავს. შენ კი, კრისტინ, კარგი იქნება, რაინდულად აღზრდილ კურტუაზულ ადამიანზე გაგათხოვონ...

კრისტინი იჯდა და ფორმოს ეზოში წითელ ქურთუკში გამოწყობილ არნეს ზურგს ჩასცქეროდა. ანგარიშს არ აძლევდა თავის თავს, მაგრამ როცა ფრუ ოსხილდი იმ სამყაროზე ჩამოუგდებდა ხოლმე ლაპარაკს, რომელშიც წინათ ტრიალებდა, კრისტინს რაინდები და გრაფები მუდამ ისეთები წარმოედგინა, როგორიც არნე იყო. წინათ კი, როცა ჯერ ისევ პატარა იყო, თავისი მამისნაირები წარმოედგინა.

— ჩემი დისწული, ხიუსაბუელ ნიკულაუსის ვაჟიშვილი ერლენდი, აი, ვინ იქნებოდა შენი შესაფერი საქმრო, — ძალიან ლამაზი ვაჟკაცი დადგა ის ბიჭი. ჩემმა დამ მაგნხილდმა შარშან ამ ხეობაზე ჩაიარა და მეც მინახულა. ვაჟიშვილიც თან ახლდა. მაგრამ იმას საშენოდ ვინ გახდის, თუმცა მე სიამოვნებით გადაგახურავდით საქორწილო ლოგინის გადასაფარებელს, — შენ ხომ ძალიან ბაცი ქერა გაქვს თმა, იმას კი ძალიან შავი, თვალებიც ლამაზი აქვს. მაგრამ, ჩემს სიძეს, თუ არა ვცდები, ის ისეთი კაცია, შეგულებულიც ეყოლება ერლენდისათვის შენზე უკეთესი საცოლე.

— მე რითი ვარ ურიგო საპატარძლო? — ჰკითხა გაკვირვებულმა

---

[1] სვერე (1182 — 1202) თვითმარწმუნემ და ბირკებეინერების („ქალამნიანების") გლეხთა აჯანყების ბელადმა ხელში ჩაიგდო მეფის ტახტი ფეოდალ დიდებულების პარტიასთან და სასულიერო პირებთან (ბაგლერებთან) ბრძოლის დროს და გახდა წინაპარი სამეფო დინასტიისა, რომელიც იმ დროში მართავდა სახელმწიფოს. მისი და მისი მემკვიდრეების დროს ფეოდალებისა და სასულიერო პირთა უფლებები შეკვეცილი იყო. თუმც ფეოდალური დამოკიდებულება ნორვეგიაში მთლიანად შეინარჩუნეს, მაინც სვერეს გამარჯვება იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მეწილეები ყმებად არ იყვნენ, აზატად დარჩენილი გლეხობა კი წოდებრივად გამიჯნული არ იყო ფეოდალებისაგან, მაგრამ XIV საუკუნეში ნორვეგიელ მეფეებს, სვერეს ჩამომავლებს არაფერი ჰქონდათ საერთო გლეხებთან. ნორვეგიელი მეფეების კარი კერა იყო დანიიდან, გერმანიიდან და საფრანგეთიდან შემოსული ფეოდალურ-რაინდული ზნე-ჩვეულებებისა.

კრისტინმა. არასოდეს არა სწყინდა ფრუ ოსხილდის ნათქვამი, მაგრამ ახლა, ასეა თუ ისე, მაინც დამცირებულად და დაჩაგრულად იგრძნო თავი, ფრუ ოსხილდი თითქოს მის მშობლებზე მაღლა აყენებდა თავის თავს.

— მართალია, კარგი საპატარძლო ხარ, — უთხრა ოსხილდმა, — მაგრამ მაინც ძნელი მოსალოდნელია შენი დანათესავება ჩემს გვართან. შენი წინაპარი უცხოელი იყო, კანონგარეშე იდგა, ხოლო იესლინგები იმდენ ხანს ისხდნენ თავიანთ მამულებში და ობს იკიდებდნენ, რომ მალე ამ ხეობის იქით აღარავის მოაგონდება ისინი. მე და ჩემს დას კი ქმრებად წილად გვხვდა სკიულეს[1] ასული დედოფალ მარგრეტის[2] დისწულები.

კრისტინმა პირში შებმა ვერ გაუბედა და ვერ უთხრა, ჩემი წინაპარი კი არ მოსულა ნორვეგიაში, კანონგარეშე გამოცხადებული ჩემი წინაპრის ძმა მოვიდაო. კრისტინი იჯდა, გასცქეროდა ხეობის იქით ჩამუქებულ კლდეს და აგონდებოდა დიდი ხნის წინათ განვლილი დღე, როცა უკაცრიელი ზეგანიდან პირველად დაინახა, რამდენი მთა აყუდებულიყო მის მშობლიურ ხეობასა და უცხო სამყაროს შორის. ამ ფიქრებიდან ფრუ ოსხილდმა გამოიყვანა, კრისტინს უთხრა, შინ წასვლის დროა და არნეს დაუძახეო. კრისტინმა ხელები პირზე მიიწყო, და მანამდე უძახა და ყელსახვევი მანამდე უქნია არნეს, სანამ არ დაინახეს, რომ დაბლა ეზოში, წითელი ლაქა შეინძრა და პასუხად იმანაც ხელი დაუქნია.

გავიდა დრო და ფრუ ოსხილდი თავის სახლში წავიდა, მაგრამ მთელი შემოდგომა და ვიდრე კარგად დაზამთრდებოდა ხშირად ჩამოდიოდა იორიუნდგორდში ულვხილდის სანახავად და რამდენიმე დღე რჩებოდა. გოგონა უკვე წამოაყენეს ლოგინიდან და ფეხზე დადგომას აჩვევდნენ, მაგრამ შეეცდებოდა თუ არა დადგომას, მაშინვე მუხლები ეკეცებოდა. ულვხილდი ერთთავად ტკივილებს უჩიოდა, გადაფითრებული იყო, მალე იღლებოდა, და აწუხებდა ცხენის ტყავისა და ტირიფის წკნელების კორსეტი, რომელიც ფრუ ოსხილდმა შემოაკრა.

---

[1] სკიულე — ბაგლერების პარტიის ბელადი. (იხ. შენიშვნ. გვ. 66).

[2] მარგრეტ — მეფე ხოკონ IV მხცოვანის, სვერეს შვილიშვილის ცოლი.

ამიტომ ფეხზე დგომას დედის კალთაში წყნარად წოლა ერჩივნა. რაგნფრიდს ერთთავად ხელში ეჭირა ავადმყოფი შვილი და მთელ ოჯახს ახლა ტურდისი უძღვებოდა. როგორც დედამ უთხრა, კრისტინი სულ უკან დასდევდა ტურდისს, ხელებში ვარდებოდა და დიასახლისობაში იწაფებოდა.

კრისტინი ფრუ ოსხილდს შეეჩვია, უიმისობას ნაღვლობდა და მოუთმენლად ელოდა ყოველ მის ჩამოსვლას. ხან ფრუ ოსხილდი ბევრს ესაუბრებოდა, ხან კი გოგონა ტყუილად ელოდა, ერთი სიტყვა მაინც ეთქვა — გარდა იმისა, რომ მისვლის დროს მიესალმებოდა და წასელის დროს გამოემშვიდობებოდა, ეს იყო და ეს — ოსხილდი მხოლოდ უფროსებს ემუსაიფებოდა, მეტადრე მაშინ, როცა ქმარიც თან ჩამოჰყვებოდა ხოლმე. ახლა, ზოგჯერ გიუნარის ვაჟი ბიორნიც ჩამოდიოდა. იორიუნდგორდში. ერთხელ შემოდგომაზე ლავრანსიც იყო ხეუგში — ფრუ ოსხილდს წაუღო მკურნალობის გასამრჯელო: საუკეთესო ვერცხლის სურა თავისი ლარნაკით. ლავრანსი ღამეც იქ დარჩა და მერე ძალიან აქებდა ოსხილდის მამულს: ლამაზი მამული და კარმიდამოა, თაოსნიანად უძღვებიან და არც ისეთი პატარაა, როგორც ამბობენ, საცხოვრებელ შენობაში არაფერი აკლიათ და ოჯახური წესებიც ჯეროვანი და თავაზიანი აქვთ, როგორიც სამხრეთ ნორვეგიაში დიდგვაროვან ხალხსა სჩვევიაო. ბიორნზე რა აზრისა იყო, ამაზე სდუმდა ლავრანსი, მაგრამ მუდამ მშვენივრად ხვდებოდა ბიორნს, როცა კი ცოლს ჩამოჰყვებოდა ხოლმე იორიუნდგორდში. ფრუ ოსხილდს კი ლავრანსი საოცრად კარგად ექცეოდა და ამბობდა, რასაც მაგაზე ჩმახავენ, მე მგონი, ბევრი რამ მოჭორილი უნდა იყოს. იმასაც ამბობდა, ამ ოციოდე წლის წინათ კაცებისათვის რომ თავი შეეყვარებინა, არა მგონია ოსხილდს თილისმა დასჭირვებოდაო, — ახლაც კი სამოც წელს მიტანებული კვლავ ბევრ ყმაწვილ ქალსა სჯობდა ისეთი მომხიბლავი და მშვენიერი იყო.

კრისტინი გრძნობდა მართალია დედას ძალიანაც არ ეპიტნავებოდა, რომ ქმარი ასე თავაზიანად ექცეოდა ფრუ ოსხილდს, მაგრამ თავის დღეში ხმას არ იღებდა ფრუ ოსხილდზე, ბიორნზე კი ერთხელ თქვა: მიწაზე მიტკეპნილ ყვითელ ბალახსა ჰგავს, დიდრონ ლოდებქვეშ რომ იზრდებაო და კრისტინმაც გულში გაიფიქრა, მართლაც, ძალიანა ჰგავსო. ბიორნს საოცრად დაჰკარგოდა პეწი — მსუქანი ჩანდა, ფერმკრთალი იყო, მოუქნელი და ოდნავ მელოტიც, თუმც, ბევრით

არაფრით იყო ლავრანსზე უფროსი, და მაინც ეტყობოდა, ოდესღაც ძალიან ლამაზი ვაჟკაცი უნდა ყოფილიყო. კრისტინს ერთხელაც არ მიეცა შემთხვევა დალაპარაკებოდა ბიორნს; იგი საერთოდ დიდი მოლაპარაკე არ იყო, შემოვიდოდა თუ არა ოთახში, დაჯდებოდა და იჯდა და იჯდა ერთ ადგილას, სანამ დასაძინებლად არ წაიდოდნენ. ხარიეითა სვამდა, თუმც სასმელი სულ არ ეკიდებოდა, პირში თითქმის ლუკმას არ ჩაიდებდა და დროდადრო ჩაფიქრებული მიაშტერდებოდა ვიწმე იქ მყოფს, თავისი საოცრად გამორეცხილი თვალებით.

სიუნდბიუელი ნათესავები იმ უბედურების შემდეგ აღარც გამოჩენილან; ლავრანსი კი ერთი-ორჯერ ესტუმრა ვოგეს, მამა ეირიკი ძველებურად დაიარებოდა იორიუნდგორდში; ამრიგად, ის ხშირად ხვდებოდა ფრუ ოსხილდს და, უნდა ითქვას, ერთმანეთში კარგადაც რიგდებოდნენ. ყველა ფიქრობდა, მღვდელი მოსაწონად იქცევაო, თვითონაც ხომ ფრიად დახელოვნებული მკურნალი იყო. ალბათ, სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ დიდრონი მამულების მფლობელი ფრუ ოსხილდს არ მიმართავდნენ რჩევისათვის, ასე იყო თუ ისე, ახდილად მაინც არა სჩადიოდნენ ამას, — მღვდელი საკმაოდ დახელოვნებულ მკურნალად მიაჩნდათ; გარდა ამისა, ვერ გადაეწყვიტათ, როგორ დაეჭირათ თავი იმ ორთან, რომლებიც ასე თუ ისე მოჰკიდეთეს მათ წრეს. მამა ეირიკი კი ამბობდა, ჩვენ ერთმანეთს ლუკმას არ ვეცილებით, რაც შეეხება ფრუ ოსხილდის კუდიანობას, მე ხომ არა ვარ მისი სულიერი მამა; ეგებ ფრუ ოსხილდმა ცოტა უფრო მეტი იცის, ვიდრე საჭიროა სულის საცხონებლად. მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ უმეცარნი კუდიანობას აბრალებენ, თუ ქალი თავის მეზობლებზე ჭკვიანიაო. ფრუ ოსხილდი თავის მხრივ, ძალიან აქებდა მღვდელს და ერთგულად დადიოდა საყდარში, თუ დღესასწაულებში მოუხდებოდა სტუმრობა იორიუნდგორდში.

წელს სევდიანი შობა დაუდგათ იორიუნდგორდელებს — ულვხილდი ჯერაც ვერა დგებოდა ფეხზე. თან სიუნდბიუელი ნათესავებისაც არც ავი ისმოდა არც კარგი. კრისტინმა იცოდა, მაზრაში უკვე მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი და ლავრანსს გულსა სტკენდა ეს მითქმა-

მოთქმა. რანგფრიდს კი სულაც არ ენაღვლებოდა, და კრისტინი ფიქრობდა ეს საძაგლობა�ა.

მაგრამ, ერთ საღამოს, დღესასწაულის ბოლო დღეები იყო, დიდი მარხილით ჩამოვიდა სიგიურდი, ტრონდ იესლინგის ოჯახის მღვდელი, ტრონდს გამოეგზავნა ლავრანსის ცოლ-შვილით სიუნდბიუში დასაპატიჟებლად.

ახლომახლო სამრევლოებში კარგი თვალით არ უყურებდნენ მამა სიგიურდს, იმიტომ რომ, სწორე მოგახსენოთ, ტრონდი კი არა, ის განაგებდა ტრონდის მამულებს და — ასე იყო თუ ისე — ბრალი მუდამ იმას ედებოდა, როცა ტრონდი მკაცრად ან უსამართლოდ მოექცეოდა ვისმეს, და სიმართლე უნდა ითქვას, ტრონდი ულმერთოდ ავიწროებდა გლეხებს. მღვდელმა მშვენიერი წერა და ანგარიში იცოდა, კანონები კარგად ესმოდა — დახელოვნებული მკურნალიც იყო, თუმცა არცთუ ისეთი, როგორც თვითონ ეგონა თავისი თავი. მაგრამ ვინცა ხედავდა, როგორ იქცეოდა, ვერავინ დაიჯერებდა, თუ ის ისეთი ჭკვიანი კაცი იყო; ხშირად სისულელეებს როშავდა. რაგნფრიდსა და ლავრანსს არასოდეს არ მოსწონდათ ის, სიუნდბიუელები კი, რა თქმა უნდა, დიდად აფასებდნენ და როგორც თვითონ მღვდელი, ისე სიუნდბიუელებიც ნაწყენები იყვნენ, რატომ მღვდელს არ გაასინჯეს ულვხილდიო.

რაღაც ეშმაკად, იორიუნდგორდში ჩამოსულ მამა სიგიურდს იქ დახვდნენ ფრუ ოსხილდი ქმრით, ამათ გარდა, მამა ეირიკი, გიურდი და ინგა ფინსბრეკენელები -- არნეს მშობლები — ლოპტსგორდელი მოხუცი იონი და ხამარიდან ჩამოსული ერთ-ერთი მქადაგებელი ძმა ოსგეუთი.

ვიდრე რაგნფრიდი თადარიგსა სწევდა, სუფრა გაეახლებინათ და სტუმრებისთვის საჭმელი მოერთმიათ, ხოლო ლავრანსი მღვდლის ჩამოტანილ წერილებს კითხულობდა, მღვდელმა ულვხილდის გასინჯვა მოინდომა. ულვხილდი უკვე ლოგინში ჩაეწვინათ და ეძინა, მაგრამ მამა სიგიურდმა ბავშვი გააღვიძა და ზურგი და ხელ-ფეხი გაუსინჯა, ჯერ, ალერსიანად ეკითხებოდა რა გტკივაო, მერე კი, რაკი შეატყო, ბავშვს მისი შეეშინდა, ჭოთმინება აღარა ჰყოფნიდა და უკმეხად აძლევდა კითხვებს; სიგიურდი პატარა ტანის, თითქმის ჯუჯა კაცი იყო, და ვეებერთელა, ცეცხლივით წითელი, დიდი პირისახე ჰქონდა. როცა საწოლიდან წამოყენება მოუნდომა ულვხილდს, ფეხზე უნდოდა დაეყე-

ნებინა, შესძლებს თუ არა ფეხზე დადგომასო, ბავშვმა წიოკობა ატეხა. მაშინ ფრუ ოსხილდი წამოდგა, საწოლთან მივიდა, ულვხილდს ბეწვის საბანი დახურა და მღვდელს უთხრა, ნამძინარევი ბავშვი, ფეხებიც რომ არა სტკიოდეს, ფეხზე მაინც ვერ დადგებოდაო.

მღვდელმა დააპირა ხმის ამაღლება — მასაც ხომ კარგ მკურნალად თვლიდნენ, მაგრამ ფრუ ოსხილდმა ხელი მოჰკიდა, საპატიო ადგილთან[1] მიიყვანა, დასვა და უამბო ყველაფერი, როგორა სწამლობდა ულვხილდს, თან ყოველ წვრილმანზე ეკითხებოდა, თქვენ რას იტყვითო. მაშინ ცოტა მოლბა მღვდელი და მოულხინა რაგნფრიდის გაკეთებულ ათასნაირ გემრიელ საჭმელსა და სასმელს.

მაგრამ ღვინო და ლუდი თანდათან მოეკიდა და ისევ აიმრიზა, მიზეზს ეძებდა საჩხუბრად, ჭინჭყლობდა: მშვენივრად იცოდა, იქ მყოფთ არავის ეპიტნავებოდა ის. ჯერ გიურდს გამოელაპარაკა, ხამარელი ეპისკოპოსის ვოგესა სილის მამულების მოურავს. ეპისკოპოსს კი ივარის ვაჟ ტრონდთან ბევრი საჩივრები ჰქონდა. გიურდი არ აჰყვა, მოკლედ აძლევდა პასუხს, გიურდის ცოლი ინგა კი ფიცხი ხასიათისა იყო და გაწიწმატდა, ცხარობდა, ახლა კიდევ ძმა ოსგეუტმაც ეეღარ მოითმინა, ისიც ჩაერია ლაპარაკში და უთხრა:

— ნუ გავიწყდება, მამაო სიგიურდ, რომ ჩვენი ღირსპატივსაცემი ბოძღვარი მამა ინგიალდი შენი მეუფეც არის, ხამარში რაღას არა ლაპარაკობენ შენზე. სიუნდბიუში თავზე გადადის ყველაფერი და იმას აღარა ფიქრობ, მღვდლად იმიტომ კი არ გაკურთხეს, ტრონდს ჯაშუშად დაუდგე და ხელი შეუწყო იმის ყველა უკანონობას, მისივე სულის წასაწყმედად და ეკლესიის ძალაც დაამცირო. განა თავისდღეში არ გაგიგონია, რა მოსდით თავნება და მუხანათ მღვდლებს, ვინც თავიანთი რჩევა-დარიგებებით ხალხს ამხედრებენ თავიანთი სულიერი მამებისა და მეუფეების წინააღმდეგ? ან ის არ იცი, ერთხელ როგორ მიიყვანეს ანგელოზებმა კანტერბორგელი წმიდა თომასი ჯოჯოხეთის კართან და შიგ შეახედეს? იმას ძალიან გაუკვირდა, როცა ვერც ერთი მღვდელი ვერ დაინახა, ვინც მას ებრძოდა, როგორც შენ ებრძვი შენს ეპისკოპოსს. ის იყო, ქებათა ქება უნდა შეესხა უფლის შეწყალები-

---

[1] საპატიო ადგილი ეწოდებოდა ოთახის ერთ-ერთ კედელთან ბალდახინის ქვეშ, ბოძებზე შედგმულ ამაღლებულ ადგილს, სადაც მასპინძელი ან საპატიო სტუმარი იჯდა, დანარჩენები ძელსკამებზე ისხდნენ.

სათვის, ამ წმინდა ადამიანს წრფელად სურდა საუკუნო ცხოვრება და ნეტარება ყველა ცოდვილთათვის, მაგრამ ამ დროს ანგელოზმა ითხოვა ეშმაკს, აბა, ერთი კუდი ცოტა აიწიეო და აი, დიდი ტკაცუნკუცით და თან გოგირდის მყრალი სუნიც ავარდა, გამოცვივდნენ ის მღვდლები და სწავლული კაცები, ვინც ეკლესიის ქონება გაანადგურა. მაშინღა დაინახა წმიდა თომასმა, სად ამოჭყოთ თავი!

— მიჰქარავ, ბერო, — გააწყვეტინა სიგიურდმა. — მეც გამიგონია ეგ საგა, მაგრამ მღვდლები კი არა, კარდაკარ მოსიარულე ბერები გამოცვივდნენ ეშმაკის უკანალიდან, როგორც კრაზანას ბუდიდან!

მუშებზე ხმამაღლა მოხუცი იონი ახარხარდა და დაიძახა:

— მე მგონი, იქ ორივე ჯურისა იყვნენ — მღვდლებიცა და ბერებიც!

— მაშ, ეშმაკს კაი ზორბა კუდი ჰქონია, — თქვა გიუნარის ვაჟიშვილმა ბიორნმა; ფრუ ოსხილდს კი გაეღიმა და უთხრა:

— განა შენ არ გაგიგონია, რომ ყველა სიბოროტეს გრძელი კუდი მისთრევს?

— გაჩუმდი, ფრუ ოსხილდ! — დაუყვირა მამა სიგიურდმა. — ვისა ვისა და შენ კი არაფერი გეთქმის გრძელ კუდზე, რომელიც ყველა ბოროტებას მისთრევს. აქ ისე გამოჭიმულხარ, გეგონება რაგნფრიდი კი არა, შენ იყო დიასახლისი, და, მაინც საოცარია, როგორ ვერ-შოურჩინე შვილი რაგნფრიდს. ან ეგებ უკვდავების წყალი გამოგელია, რომლითაც ოდესღაც ვაჭრობდი? და რომელსაც შეუძლია ნაკუწ-ნაკუწ დაჭრილი ცხვარი გაამთელოს, როცა უკვე ქვაბში იხარშება, და დედაკაცი საქორწილო სარეცელზე ქალწულად აქციოს? მე კარგად ვიცი, ერთი ქორწილის ამბავი, სწორედ ამ სამრეველოში მოხდა, შენ მოუმზადე განსაბანი წყალი შეცდენილ საპატარძლოს...

მამა ეირიკი წამოხტა, მხრებსა და ფეხებში სტაცა ხელი მღვდელს და მაგიდის იქით გადაანარცხა. ჩაფები და ტოლჩები ყირა-ყირა წამოვიდა; საჭმელ-სასმელი სუფრასა და იატაკზე მოღვარა. — ტანისამოსშემოფხრეწილი მამა სიგიურდი კი ძირს გაიშხლართა. ეირიკმა მაგიდას შემოურბინა, უნდოდა, ერთხელ კიდევ ჩაეცხო სიგიურდისათვის, თან ისე სჭექავდა, რომ სუფრაზე ატეხილი აურზაური აღარ ისმოდა:

— ხმა გაკმინდე და მოკუმე ეგ აყროლებული პირი, შე ეშმაკების ხუცესო, შენა!

ლავრანსმა სცადა იმათი გაშველება, ხოლო რაგნფრიდი, რომელ-საც მკვდრის ფერი დაედო, მაგიდასთან იდგა და ხელებს იმტვრევდა. ამასობაში ფრუ ოსხილდიც იმათთან გაჩნდა, ფეხზე წამოდგომა უშველა სიგიურდს, გასისხლიანებული სახე მოსწმინდა, პირში ერთი ფიალა თაფლი ჩაასხა და უთხრა:

— შენი შიშით ადამიანს ვერ გაუხუმრია, არც ეგეთი სიკუშტე ვარგა, მამაო ეირიკ, მით უმეტეს, როცა ყველანი შეზარხოშებულები არიან! აბა, მაშ დასხედით და მე გიამბობთ იმ ქორწილის ამბავს. არც ჩვენს ხეობაში მომხდარა ეგ ამბავი და არც მე ვიყავი ის ბედნიერი. ვინც მაგისთანა წყლის მომზადება იცოდა; მე რომ ისეთი წყლის მომზადება შემძლებოდა, მაშინ მე და ჩემი ქმარი მთებში ჩაკარგულ ჩვენს პაწაწინა მამულში კი არ ვისხდებოდით. მაშინ მე მდიდარი ქალი ვიქნებოდი, მფლობელი მამულებისა, სადმე დიდ სამრევლოებში, ქალაქის, მონასტრებისა, ეპისკოპოსისა და ტაძრის კაპიტულის მახლობლად. — ღიმილით ეუბნებოდა ოსხილდი სამ სასულიერო პირს. — მაგრამ ძველად ვიღაც ნამდვილად ფლობდა მაგ ხელოვნებას, იმიტომ რომ ეგ ამბავი, თუ არა ვცდები, მეფე ინგეს[1] დროს მოხდა, სანეფო ბრატელანდელი ლოდინის ვაჟიშვილი პეტერი გახლდათ; მაგრამ იმისი სამი ცოლიდან რომელი იყო ის საპატარძლო, ამის თქმა არ შეიძლება, რადგან დღესაც ცოცხლები არიან სამივე ცოლის ჩამომავლები. ჰოდა, ამ საპატარძლოს, ალბათ ისე იყო საქმე, რომ სანატრელად გაუხდა უკვდავების წყლის შოვნა; იშოვა კიდეც და განბანიც მოიმზადა სარდაფში. ის იყო, განბანვა დააპირა და მისი საღედამთილოც შემოვიდა, ცხენით ემგზავრა, გზაში ძალიან დაღლილიყო, თან ერთიანად ლაფში იყო თურმე ამოსვრილი, საბანაოდ გამზადებულ წყლის დანახვაზე ხელად ტანთ გაიხადა და ტაშტში ჩააბოტა. უკვე ძალიან მოხუცი ცხრა შვილის დედა ყოფილა, მაგრამ იმ ღამეს ლოდინმა და პეტერმა იგემეს ის, რასაც სულ არ ელოდნენ!

სუფრაზე მსხდომნი ხმამაღლა ახარხარდნენ, გიურდი და იონი კი ჭირვეულობდნენ, გინდა თუ არა, ფრუ ოსხილდმა კიდევ გვიამბოს ამისთანა სასაცილო რამო. მაგრამ ფრუ ოსხილდმა აღარ ინდომა:

— აქ, ჩვენს სუფრაზე ორი მღვდელი და ძმა ოსგეუტი ბრძანდებიან, ჯეელი მოჯამაგირეები და მოახლე გოგოებიც არიან; გავათაოთ

---

[1] ესე იგი, ასი წლის წინათ.

ამისთანა რამეებზე ლაპარაკი, ვიდრე დავამლაშებდეთ და გავიხსენოთ, რომ ახლა შობის დღესასწაულებია.

კაცები ისევ უაყანებდნენ და ყვიროდნენ გვიამბოსო, მაგრამ ქალებმა ფრუ ოსხილდს დაუჭირეს მხარი. რაგნფრიდი ისე გავიდა ოთახიდან, არავის შეუმჩნევია. პატარა ხნის მერე კი კრისტინმა, ის ყველაზე მოშორებით იჯდა მოახლეებში, ქალების სკამზე [1], დასაძინებლად წასვლა დააპირა. კრისტინს იმ სახლში ეძინა, სადაც ტურდისი ცხოვრობდა, რადგან დიდ სახლში ბევრმა სტუმარმა მოიყარა თავი.

გარეთ ქვასა ხეთქავდა, ისეთი ყინვა იყო, და ჩრდილოეთის ელკარება ათასფერად ლივლივებდა და ციალებდა ციცაბო თხემების თავზე. კრისტინის ფეხქვეშ თოვლს ხრაშახრუში გაჰქონდა, სიცივისაგან კბილი კბილს აცემინებდა, ხელები გულზე დაეკრიფა და ისე მირბოდა ეზოზე.

უცებ ძველი ფარდულის ჩრდილში თვალი მოჰკრა, ვიღაც ჩქარი ნაბიჯით ბოლთასა სცემდა, ჰაერში იქნევდა ხელებს, თითებს იმტვრევდა და მაღალი ხმით გოდებდა. კრისტინმა დედა იცნო, შეშინებული მივარდა და ჰკითხა, ავად ხომ არა ხარო.

— არა, არა, — გაჯავრებულმა მიუგო დედამ. — ჰაერზე გამოვედი. წადი, დაწექი, შვილო!

კრისტინი, ის იყო, წასასვლელად მიტრიალდა, რომ დედამ დაბალი ხმით დაუძახა:

— გაბრუნდი და მამაშენთან და ულვხილდთან ერთად დაწექი დიდ ოთახში; ულვხილდი მაგრა ჩაიკარი, მამაშენმა უცაბედად ქვეშ არ დაიტანოს: მოუსვენარი ძილი იცის სიმთვრალეში. მე კი ძველ სტაბიურში ავალ და იქ დავიძინებ ამაღამ.

— უფალო იესო ქრისტე, რას ამბობთ, დედი, — უთხრა კრისტინმა, — იქ რა დაგაძინებთ, ისიც მარტოს, სიცივისაგან მოკვდებით! ან მამაჩემი რას იტყვის, თქვენს ლოგინში რომ არ დაწვეთ?

— მამაშენი ვერაფერსაც ვერ გაიგებს, — მიუგო დედამ კრისტინს, — მგონი ჩაძინებულიც იყო, რომ გამოვედი, ხვალ დილით კი გვიან გაიღვიძებს. წადი და ისე მოიქეცი, როგორც გითხარი.

---

[1] ქალების დასასხდომ ძელსკამებს მოკლე კედლების გასწვრივ დგამდნენ, კაცების გრძელი სკამების გარდიგარდმო.

— იქ ისე შეგცივათ, — წაიბუტბუტა აკანკალებულმა კრისტინმა. მაგრამ დედამ ახლა ცოტა უფრო ალერსიანად უთხრა წასულიყო, თავად კი სტაბიურში ჩაიკეტა.

სტაბიურშიც, როგორც გარეთ, ისე ციოდა და ისე ბნელოდა, როგორც სამარეში. რაგნფრიდმა ხელის ცეცებით მიაგნო საწოლს, თავიდან თავშალი მოიგლიჯა, ფეხსაცმლის თასმები გაიხსნა, ლოგინზე ავიდა და ტყავების ქვეშ შეწვა. ტყავებიც ყინულივით იყო; ასე ეგონა, თოვლის ზვინში შევწექიო. ტყავი თავზედაც წაიხურა, ფეხები აიკეცა, ხელები იღლიებში შეიწყო, ასე იწვა და ხან ნელი ხმითა ტიროდა და მდუღარება ნიაღვარივით ჩამოსდიოდა, ხან ხმამაღლა ქვითინებდა და კბილებს აკრაჭუნებდა. ძლივძლივობით, როგორც იყო, ლოგინი გათბა, თვითონაც ნელ-ნელა ბურანში წავიდა და ასე ნამტირალევს ჩაეძინა.

V

იმ წელიწადს, გაზაფხულზე, როცა კრისტინს თხუთმეტი წელი შეუსრულდა, ლავრანსმა და დიუფრინელი გიუდმუნდის ვაჟიშვილმა ანდრესმა მოილაპარაკეს ხოლედისში მიმდინარე ტინგზე[1] შეხვედროდნენ ერთმანეთს. იქ პირობა დადეს, ანდრესის მეორე ვაჟიშვილი სიმონი ლავრანსის ასულ კრისტინს დანიშნავდა და ანდრესის დედის მამა-პაპეული მამულის — ფორმოს ბატონ-პატრონი გახდებოდა. ხელი ხელს დაჰკრეს და ამით გათავდა. პირობა წერილობით არ შეუკრავთ, რადგან ანდრესს ჯერ სხვა შვილებთან უნდა მოეწესრიგებინა მემკვიდრეობის გაყოფის საქმე. ამიტომ არც ნიშნობა გადაუხდიათ: მაგრამ რაინდი ანდრესი იორიუნდგორდში წავიდა თავისი ვაჟიშვილით ქალის გასასინჯად და მაშინ ლავრანსმა დიდი ნადიმი გადაიხადა.

ამ დროისათვის ლავრანსს უკვე დადგმული ჰქონდა ოროთახიანი ახალი სახლი, ორივე, როგორც დაბლა დიდ, ისე ზემოთა[2] ოთახში აგურით აშენებული ღუმელები იყო. სახლი მდიდრულად და ლამაზად

---

[1] ტინგი — ერთგვარი ვეჩე, ტინგები იყო ადგილობრივი და საოლქო.

[2] ლავრანსის ძველ ოთახში, როგორც მიღებული იყო იმ დროს, შუა ცეცხლს ანთებდნენ და ჭერში იყო ამოკვრილი ბოლის ასასველელი.

მოერთო მოჩუქურთმებული აეჯით და კაი მკვიდრი საოჯახო ნივთებით. ძველი სტაბიურიც გადაეკეთებინა და ბევრი სხვა ნაგებობაც შეეკეთებინა. ლავრანსმა ისე დაიწყო ცხოვრება, როგორც იარაღის მატარებელ რაინდს შეეფერებოდა. ახლა დიდი ქონების პატრონი იყო ლავრანსი, ვინაიდან, რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერში ხელი ემართებოდა და ჭკვიანი და მუყაითი მეურნეც იყო. განსაკუთრებით განთქმული იყო მისი მოშენებული მშვენიერი ცხენები და ყველანაირი ჯიშის შესანიშნავი პირუტყვი. ხოლო ახლა, რაკი ისე მოახერხა, რომ ქალსაც ფორმოში ათხოვებდა დიუფრინის გვარის ჩამომავალზე, ხალხი ამბობდა, ლავრანსმა კეთილად დააბოლოვა თავისი განზრახვა, წადილი შეისრულა, მაზრაში პირველი კაცი გახდაო. თვითონ ლავრანსი და რაგნფრიდიც ძალიან კმაყოფილები იყვნენ, და არც ანდრესი და სიმონი უჩიოდნენ ბედს.

კრისტინს, ცოტა არ იყოს, გული გაუტყდა სიმონის დანახვაზე, ვინაიდან, ბევრი ჰქონდა გაგონილი მის სილამაზესა და თავაზიანობაზე, და ვინ იცის, როგორი წარმოედგინა თავისი საქმრო.

მართალია, სიმონს სახით ვერ დაიწუნებდი, მაგრამ ოცი წლის ვაჟკაცის პირობაზე ცოტა მსუქანი იყო; კისერიც დაბალი ჰქონდა და მრგვალი სახე სავსე მთვარესავით ულაპლაპებდა. მშვენიერი წაბლისფერი ხუჭუჭი თმა ამშვენებდა, ნაცრისფერი, მოკამკამებული თვალები ძალიან ღრმად უსხდა და აღარ უჩანდა მეტისმეტად ფუნჩულა ქუთუთოების წყალობით: ძალიან პატარა ცხვირი, და არც პირის ნახევი ჰქონდა დიდი. ტუჩები წამოშვერილი, მაგრამ არცთუ მახინჯი, და თუმც მსუქანი იყო, მსუბუქად დადიოდა, ცქვიტი, სხარტი, მოქნილი გახლდათ და ჯირითი იყო თუ სხვა რამ, ყველაფერში სიმარჯვეს იჩენდა. სიტყვამოსწრებული იყო და პასუხიც მუდამ მზად ჰქონდა; ლავრანსი ფიქრობდა უფროსებთან საუბარში ეტყობა საღი გონებისაა და არც ცოდნა აკლიაო.

რაგნფრიდს მალე შეუყვარდა სასიძო, ულვხილდიც პირველი ნახვისთანავე მხურვალე სიყვარულით განიმსჭვალა მისდამი, ისიც მართალია, რომ სიმონიც განსაკუთრებული სიყვარულითა და ალერსით ეექცეოდა პატარა ავადმყოფ გოგონას, ხოლო როცა კრისტინი, ცოტად თუ ბევრად, შეეჩვია მის პირმრგვალ სახესა და მის ლაპარაკს, რაც (რო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მოსწონდა სიმონი და უხაროდა, რომ მამამ კარგი საქმრო აურჩია.

დაპატიჟებულ სტუმართა შორის ფრუ ოსხილდიც იყო. მას აქეთ, რაც იორიუნდგორდის მფლობელებმა თავიანთი სახლის კარი გაუღეს ოსხილდს, ახლომახლო მრეველის დანარჩენი დიდგვაროვანი ხალხიც უფრო ხშირად იგონებდა, რომ ოსხილდი წარმოშობით მაღალ წრეს ეკუთვნოდა და ნაკლებს ფიქრობდა მის შელანძღულ სახელზე, ამრიგად, ფრუ ოსხილდი ახლა ერთთავად ხალხში ტრიალებდა. სიმონი რომ ნახა, კრისტინს უთხრა:

— შენთვის შესაფერ კაცზე თხოვდები, კრისტინ; სიმონი დაწინაურდება ცხოვრებაში — ბევრ ზრუნვასა და დავიდარაბას აგაშორებს, და კარგ ქმრობასაც გაგიწევს. მაგრამ, მე რომ მკითხო, მეტისმეტად მსუქანიც არის და გადაჭარბებულად მხიარულიც. ნორვეგიაში ახლაც რომ უწინდებურად იყოს ყველაფერი, ან როგორც სხვა ქვეყნებშია, ხალხი ცოდვის ჩამდენებს თვით უფალ ღმერთზე უფრო მკაცრად არ ექცეოდეს, მაშინ გირჩევდი, ერთი ხმელ-ხმელი სევდიანი მეგობარი გაგეჩინა, ვისთანაც იჯდებოდი და იმუსაიფებდი, და მაშინ ვიტყოდი, კრისტინი სიმონზე უკეთეს ქმარს ვერ ინატრებდა-მეთქი!

კრისტინი გაწითლდა, თუმცა მაინცადამაინც კარგად ვერ მიუხვდა ფრუ ოსხილდის ნათქვამის აზრს. ამასობაში, რაც დრო გადიოდა, იმისი სკივრები მზითვით ივსებოდა და ყოველ ცისმარე დღე კრისტინის ქორწილზე იყო ლაპარაკი, რას წაიღებდა ქმრის ოჯახში, და კრისტინიც სულ უფრო მოუთმენლად ელოდა, სიმონი ჩრდილოეთში ჩამოსულიყო და მალე გადაეხადათ ნიშნობა; ბოლოს, სულ უფრო ხშირად ფიქრობდა დანიშნულზე და უხაროდა, რომ კვლავ ნახავდა მას.

კრისტინი უკვე დაქალდა და ძალიან დამშვენდა. მამას უფრო ჰგავდა, მაღალი იყო, ტანწერწეტი, ჩამოქნილი ხელ-ფეხი ჰქონდა, თან წარმოსადეგიც იყო და ჩათქვირებულიც. პირისახე ოდნავ მოკლე და მრგვალი, რძესავით თეთრი, დაბალი გაშლილი შუბლი, დიდრონი ნაცრისფერი კეთილი თვალები, კოხტად გადაკალმული წარბები. ოდნავ დიდი პირის ნახევი, მაგრამ ბაგეები მარჯანივით წითელი, ნორჩი, ფუნჩულა, კოხტად მოყვანილი და ვაშლივით მრგვალი ნიკაპი. მშვენიერი, ხშირი გრძელი თმა ჰქონდა, მაგრამ არ ეხვეოდა, მუქი ფერი დაჰკრავდა, და ვერ იტყოდი, ქერა იყო თუ ოქროსფერი. ლავრანსს იმის მოსმენას არაფერი ერჩივნა, როცა მამა ეირიკს ცამდე

აჰყავდა კრისტინი და თან ტრაბახობდა კრისტინით — გოგონა ჩემს თვალწინ გაიზარდა, მე ვასწავლე წერა-კითხვა და ძალიან მიყვარს კიდეცო. მაგრამ ლავრანსს მაინცადამაინც არ ეჭაშნიკებოდა, როცა მღვდელი ზოგჯერ მის გოგონას უბიწო ახალგაზრდა, აბრეშუმივით ფერდებიან ფაშატს შეადარებდა ხოლმე.

და მაინც ყველა იმას ამბობდა, ულვხილდს რომ ის უბედურება არ მოსვლოდა, სილამაზით თავის დას ბევრად დაემჯობინებოდაო. ულვხილდის მშვენიერი თეთრი მოვარდისფრო სახე, ვარდ-ზამბახს მოგაგონებდა, ქერა, აბრეშუმივით თმის ფუმფულა ტალღები კულულებად ეყარა ნაზ კისერსა და ვიწრო ბეჭებზე. თვალები იესლინგებისა ჰქონდა: შავ, მოშვილდულ წარბებქვემოდან ღრმად უსხდა წყაროს წყალივით კამკამა ნაცრისფერი-მოცისფრო თვალები; მაგრამ მათი გამოხედვა იესლინგებივით ბოროტი კი არა, ლმობიერი და სათნო იყო. თან ისეთი სასიამოვნო წკრიალა ხმა ჰქონდა, რომ სიხარული ეფინებოდა ადამიანს, როცა მის ლაპარაკს ან სიმღერას ისმენდა; დიდ ნიჭს იჩენდა მწიგნობრობაში, სიმებიანი საკრავების დაკვრის და ჭადრაკის თამაშში, მაგრამ ბეჭები ხელად ეღლებოდა და დიდ ხანს გულს ვერაფერს უდებდა.

რა იმედი იყო, რომ ეს ლამაზი ბავშვი ოდესმე სულ გამოჯანმრთელდებოდა. ულვხილდი ცოტაოდნად გამოკეთდა მას აქეთ, რაც მშობლებმა ნიდაროსში წაიყვანეს. ლავრანსმა და რაგნფრიდმა ფეხით იარეს ნიდაროსამდე, არც მოჯამაგირეები წაუყოლებიათ, არც მოახლეები, მთელი გზა თვითონ მიჰყავდათ ბავშვი საკაცით. ნიდაროსში წასვლის მერე ულვხილდი ისე გამომჯობინდა, რომ ყავარჯნებზე დაბჯენილს შეეძლო სიარული, მაგრამ განა შეიძლებოდა იმედი ჰქონდათ, რომ ულვხილდი ისე გამოკეთდებოდა, რომ გაეთხოვებინათ კიდეც; ამიტომ, როცა დრო მოვიდოდა, მეტი რა გზა ჰქონდათ, მონასტერში წაიყვანდნენ და თავის წილ ქონებასაც თან გაატანდნენ.

ამაზე თავის დღეში არავინა ლაპარაკობდა და თვითონ ულვხილდიც ვერა გრძნობდა, რომ ის სხვა ბავშვებს არა ჰგავდა. მას ძალიან უყვარდა სამკაულები და მოსართავი კაბები, მშობლებიც უარს როგორ ეტყოდნენ რამეზე. პირიქით, რაგნფრიდი რას არ უკერავდა და უქარგავდა ულვხილდს, მეფის ასულივით აცმევდა. ერთხელ, მეწერილმანეებმა ჩამოიარეს და ლეუგარბრუში დარჩნენ ღამის გასათევად. ულვხილდმა ნახა იმათი საქონელი; სხვათა შორის, ქარვასავით

ყვითელი აბრეშუმი ჰქონდათ და გოგონამ მოინდომა უსათუოდ ეს აბრეშუმი ეყიდათ საპერანგედ. ლავრანსი — საერთოდ რომ ვთქვათ, არაფერსა ყიდულობდა სოფელ-სოფელ მოსიარულე ჩუმ-ჩუმად მოვაჭრე მეწვრილმანეებისაგან, იმათ მხოლოდ ქალაქ ადგილებში ჰქონდათ ვაჭრობის უფლება, ახლა კი მთელი თოფი იყიდა. კრისტინსაც აჩუქა ლავრანსმა აბრეშუმი საქორწილო საპერანგედ და იმ ზაფხულს ჰქარგავდა კრისტინი ამ პერანგს. დღემდე მარტო შალის პერანგები და სადღესასწაულოდ ერთი ტილოს პერანგი ჰქონდა. ულვხილდს კი აბრეშუმის სადღესასწაულო საპერანგეც აჩუქეს და კვირა დღეს ჩასაცმელი ტილოს პერანგიც, რომელიც წელზევით აბრეშუმისა იყო.

ბიერგიულფის ძე ლავრანსი ახლა პატარა მამულ ლეუგარბრუსაც ფლობდა. ამ მამულს ტურდისი და იონი უვლიდნენ. იმათთან ცხოვრობდა ლავრანსისა და რაგნფრიდის სულ უმცროსი გოგონა რამბორგი, ძუძუ ტურდისმა აწოვა. რაგნფრიდს, პირველ ხანებში, ბავშვის გაჩენის შემდეგ შვილისკენ თითქმის არ გაუხედია, ამბობდა, ჩემი შვილებისთვის უბედურების მეტი არაფერი მომაქვსო. თუმც ძალიან უყვარდა თავისი პატარა ქალი და იმასა და ტურდისს მუდამ საჩუქრებს უგზავნიდა; მერე და მერე კი მოუხშირა გოგონას სანახავად ლეუგარბრუში სიარულს, მაგრამ საღამო ხანს ამჯობინებდა მისვლას, როცა ეძინა და მძინარე ბავშვთან იჯდა ხოლმე. ლავრანსი და უფროსი გოგონა კი ხშირად მიდიოდნენ ლეუგარბრუს და ეთამაშებოდნენ პატარას; რამბორგი ჯან-ღონით სავსე ბავშვი იყო, მაგრამ დები სჯობდნენ სილამაზით.

ეს ზაფხული უკანასკნელი იყო, რომელიც იორიუნდგორდში გააატარა გიურდის შვილმა არნემ. ეპისკოპოსი გიურდს დაჰპირდა, ჭაბუკს დავეხმარები, ცხოვრებაში გზა გაიკაფოსო. ამიტომ შემოდგომისთვის არნე ხამარში უნდა გადასულიყო საცხოვრებლად.

კრისტინმა იცოდა, რომ არნეს მოსწონდა ის, მაგრამ ჯერ კიდევ ბავშვივით გულუბრყვილო იყო და ამას არც უფიქრდებოდა: ისევ ძველებურად ეჭცეოდა არნეს, როგორც ბავშვობიდან იყვნენ შეჩვეულები. მასთან ყოფნა არა სწყინდებოდა და მუდამ ერთად ცეკვავდნენ ხელიხელჩაკიდებულები, შინ გაიმართებოდა ცეკვა-თამაში თუ ეკლესიის გორაზე და ეცინებოდა კიდეც, დედას რომ არ ეპრიანებოდა

ეს. მაგრამ თავის დღეში ხმა არ ამოუღია არნესთან, არც სიმონზე, არც თავის გათხოვებაზე, შენიშნული ჰქონდა, ამაზე ჩამოვარდებოდა თუ არა ლაპარაკი, არნე ხელად ცხვირს ჩამოუშვებდა ხოლმე.

არნეს ისეთი ხელი ჰქონდა, რას არ გააკეთებდა, და გადაწყვიტა, კრისტინისთვის სამუშაო დაზგა გაეკეთებინა სახსოვრად. უჯრაც მოაჩუქურთმა, სკამიც და დაზგის ჩარჩოც, ახლა კი სამჭედლოში მუშაობდა რკინის სახელურსა და საკეტსა სჭედავდა უჯრისათვის. ერთ მშვენიერ ზაფხულის საღამოს, კრისტინი არნესთან წავიდა და მამის ქურთუკი წაიღო დასაკერებლად. კრისტინი ქვის ზღურბლზე ჩამოჯდა, არნე სამჭედლოში მუშაობდა, კრისტინი თან აკერებდა, თან არნეს ელაპარაკებოდა, ულვხილდიც დას მოჰყვა, იქვე შორიახლოს კოკლა-კოკლაობით დახტოდა თავისი ყავარჯნით და მინდერის პირებში ქვებშუა ამოსულ ეოლოსა ჭამდა.

პატარა ხნის მერე არნე სამჭედლოდან გამოვიდა გახურებული სხეულის გასაგრილებლად და კრისტინის გვერდით უნდა დამჯდარიყო, კრისტინს მუხლებზე საკერავი ედო, ცოტა ჩაიწია და სთხოვა, ფრთხილად დაჯექი, საკერავი მურით არ დამისვაროო.

— მაშ, ახლა ეგრეა საქმე, — უთხრა არნემ. — ჩემს გვერდით დაჯდომას აღარა კადრულობ, გეშინია გლეხის ბიჭმა არ დაგსვაროს?

კრისტინმა გაოცებულმა შეხედა და მიუგო:

— კარგად იცი, რის თქმაც მინდოდა! ტყავის წინსაფარი მოიხსენი, მურიანი ხელები ჩამოიბანე, აქ, ჩემს გვერდით დაჯექი და ცოტა დაისვენე... — უთხრა კრისტინმა და ჩაიწია ადგილის მისაცემად.

მაგრამ არნე კრისტინის წინ ბალახზე წამოწვა; მაშინ კვლავ უთხრა კრისტინმა:

— ნუ ჯავრობ, ჩემო არნე! ნუთუ ფიქრობ, მადლობელი არა ვარ იმ ლამაზი საჩუქრისა, რომელსაც შენ მიკეთებ ან ოდესმე დავივიწყებ, რომ აქ შენზე კარგი მეგობარი მე. არა მყოლია!

— განა მე შენი საუკეთესო მეგობარი ვიყავი? — ჰკითხა არნემ.

— ეგ შენ თვითონაც მშვენივრად იცი, — მიუგო კრისტინმა, — თავის დღეში არც დაგივიწყებ. მაგრამ შენ, შენ ხომ შორს უნდა წახვიდე უცხო ხალხში, ეგებ სიმდიდრეც მოიპოვო, და სახელიც უფრო ადრე მოიხვეჭო, ვიდრე ბგონია, მაშინ ნახავ, შენ ბევრად უფრო მალე დამივიწყებ, ვიდრე მე შენ დაგივიწყებ...

— მაშ არსოდეს არ დამივიწყებ? — ჰკითხა არნემ ღიმილით.

მე უფრო ადრე დაგივიწყებ, ვიდრე შენ დამივიწყებ? ჯერ ისეე რა ბაკშვი ხარ, კრისტინ!

— არც შენა ხარ დიდი! — მიუგო მან.

— მე და სიმონ დარე ტოლები ვართ, — კვლავ დაიწყო არნემ.— და დიუფრინის მფლობელებზე ნაკლებად არც ჩვენ ვიცით მუზარადისა და ფარის ხმარება, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ჩემს მშობლებს ბედმა არ გაუღიმა.

არნემ ერთი ბღუჯა ბალახი მოგლიჯა, ხელები გაიწმინდა, ხელი მოჰკიდა და ლოყით მიეკრო კაბის ქობიდან გამოწეულ კრისტინის ფეხს. კრისტინს უნდოდა ფეხი იქით წაეღო, მაგრამ არნემ უთხრა:

— დედაშენი ლეუგარბრუში წავიდა, მამაშენიც ცხენზე შეჯდა და სადღაც გასწია — კარ-მიდამოდან კი ვერავინ დაგვინახავს. ხომ შეგიძლია ერთხელ მაინც ნება მომცე, ჩემი გულის პასუხი გითხრა.

კრისტინმა მიუგო:

— ეგ ხომ მუდამ ვიცოდით მეცა და შენც. ერთმანეთი რომ შევვყვარებოდა, ჩვენი სიყვარული ფრთებს მაინც ვერ შეისხამდა.

— შეიძლება, კალთაში ჩაგიდო თავი? — ჰკითხა არნემ კრისტინს და პასუხისთვის არ დაუცდია, თავი კალთაში ჩაუდო. ერთი ხელი ყელზე შემოხვია, მეორე ხელით კი მის ნაწნავებს ათამაშებდა.

— ნეტა როგორ მოგეწონება, — უთხრა პატარა ხნის მერე, — სიმონი რომ კალთაში ჩაგიდებს თავს და შენს თმას დაუწყებს ალერსს?

კრისტინს არაფერი უპასუხია. უცებ თითქოს მძიმედ რაღაც დააწვა გულზე... არნეს ლაპარაკი, მის კალთაში ჩადებული არნეს თავი... თითქოს რაღაც კარი შეიღო უცხო სამყაროში და მრავალი, წყვდიადით მოცული უფრო მეტ წყვდიადში მიმავალი გზა დაინახა, დაძმარებული, გულშეკუმშული იჯდა და არ უნდოდა გარკვეულიყო ამ საიდუმლო სამყაროში.

— ცოლიან კაცებს მაგისთანებისთვის არა სცალიათ, — მოულოდნელად სწრაფად მიუგო კრისტინმა, და თითქოს ამით გულზე მოეშვა. წარმოიდგინა, სიმონის მსუქანი, მრგვალი პირისახე, სიმონი ასეთი თვალებით უცქერის, რა თვალებითაც ამოჰყურებდა ახლა არნე. თითქოს მისი ხმაც კი გაიგონა და სიცილი წასკდა.

— სიმონს აზრადაც არ მოუვა მიწაზე წამოწოლილი ჩემს ფეხსაცმელს ეალერსოს'

— სიმონს ეგ რად დასჭირდება? შეუძლია თავის ლოგინში გეთა-მაშოს! — უთხრა არნემ. ამის გაგონებაზე კრისტინმა ერთბაშად იგრძნო, რომ უცებ მოეშვა და ღონე წაერთვა. მოინდომა, კალთიდან გადაეგდო არნეს თავი, მაგრამ არნე მაგრად მიეკრა თავით მის ფეხებს და ჩუმად უთხრა:

— მე კი სულ შენი ფეხსაცმლის, შენი თმისა და შენი თითების ალერსში ვიქნებოდი, კრისტინ და მთელი დღე სულ შენს უკან ვიელიდი, თუნდ ჩემი ცოლი ყოფილიყავი და ყოველღამ ჩემს მკლავზე გძინებოდა.

არნემ ნახევრად წამოიწია, მხრებზე ხელები შემოჰხვია კრისტინს და თვალებში ჩახედა.

— არ ვარგა, ეგრე ნუ მელაპარაკები, — ნელი ხმით უთხრა შემკრთალმა კრისტინმა.

— ჰო, მართალია, — მიუგო არნემ. ფეხზე წამოდგა და ახლა წინ დაუდგა კრისტინს, — შენ მხოლოდ ერთი რამ მითხარი, ნუთუ არ გერჩია სიმონის ადგილზე მე ვყოფილიყავი?

— ოჰ, რა თქმა უნდა, მერჩია... — პატარა ხანს დააყოვნა კრისტინმა პასუხი. — უფრო კი მერჩია, არა მყოლოდა ქმარი... ვიდრე...

არნეს ფეხი არ მოუცვლია ადგილიდან, ისე უთხრა:

— მაშ, ყველაფერს გერჩია მონასტერში მიეცათ შენი თავი, — როგორც ულვხილდს უპირებენ? და სამუდამოდ გაუთხოვარი დარჩენილიყავი?

კრისტინს მუხლებზე ჩამოუცვივდა ერთმანეთში მაგრად გადაჭდობილი ხელები. უცნაურმა და ნეტარმა თრთოლვამ აიტანა; უცებ შეკრთა და თითქოს ერთბაშად მიხვდა, როგორ ებრალებოდა თავისი პატარა და, და თვალები მწუხარების ცრემლით აუვსო ულვხილდზე ფიქრმა.

— კრისტინ, — ჩუმად თქვა არნემ.

სწორედ ამ დროს ულვხილდმა ხმამაღლა შეჰკივლა. ყავარჯენი ქვებშუა ჩასჭედოდა და წაქცეულიყო. არნე და კრისტინი ულვხილდთან მიცვივდნენ, არნემ აიტაცა ბავშვი და კრისტინს მიაწოდა ხელში. ულვხილდს ტუჩი გახეთქოდა და თქრიალით გადმოსდიოდა სისხლი.

კრისტინი ბავშვით ხელში სამჭედლოს კარებში ჩაჯდა, არნემ კი ხის ტოლჩით წყალი მოარბენინა და ერთად დაუწყეს ულვხილდს პირის მობანვა. ულვხილდს მარტო ტუჩი კი არა ჰქონდა გახეთქილი,

მუხლიც გადაყვლეფოდა. კრისტინი ალერსიანად დაიხარა მისი პატარა, სალამურივით გაწვრილებული ფეხისაკენ.

ულვხილდის შესაბრალისი ქვითინი მალე მიწყდა, ახლა უხმოდ და მწარედ ტიროდა, როგორც იციან ტირილი ტკივილების ატანას შეჩვეულმა ბავშვებმა. კრისტინი გულში იკრავდა ულვხილდს და წყნარად არწევდა.

ამ დროს წმინდა ულავის ეკლესიაში მწუხრის ზარი ჩამოჰკრეს.

არნე დაელაპარაკა კრისტინს, მაგრამ კრისტინი დისკენ დახრილი იჯდა და თითქოს არც არაფერი ეყურებოდა და ვერც ვერაფერს ხედავდა; მაშინ შეშინებულმა არნემ ჰკითხა, ულვხილდი მძიმედ ხომ არ დაშავდაო; კრისტინს არნესთვის არ შეუხედია, თავი გააქნია.

პატარა ხნის მერე კრისტინი წამოდგა და ხელში აყვანილი ულვხილდი შინისკენ წაიყვანა. არნე უკან მისდევდა დადუმებული და შემკრთალი; კრისტინი ისეთმა მძიმე ფიქრებმა წაიღო, რომ სახე მთლად გაუქვავდა და ვიდრე მიდიოდა, ზარი სულ რეკავდა და რეკავდა, ზარის ხმა ეფინებოდა მდელოებსა და ხეობას; ზარი ისევ გუგუნებდა, როცა კრისტინი ოთახში შევიდა.

ულვხილდი ლოგინზე დააწვინა, ამ ლოგინში ერთად ეძინათ დებს, მას აქეთ, რაც კრისტინი კარგა მოიზარდა და მშობლებთან ველარა წვებოდა. მერე ფეხსაცმელი გაიხადა და გოგონას მიუწვა გვერდით; გარინდებული იწვა და ყურს უგდებდა ზარის რეკვას, კიდევ დიდხანს იყო ასე გარინდებული, როცა ზარის ხმაც მიწყდა და გოგონასაც ჩაეძინა.

უცებ თავში გაუელვა, რაღა მაშინ ჩამოჰკრეს ზარი, როცა ულვხილდის გასისხლიანებული სახე მეჭირა ხელში, ეგებ ეს იმის ნიშანია, რომ ულვხილდის მაგივრად მონასტერში მე წავიდე, გავხდე მონა უფლისა და ქალწული მარიამისა და მაშინ ბავშვს ეგებ კვლავ მისცეს ღმერთმა ღონე და ჯანმრთელობაო.

მოაგონდა ძმა ედვინის სიტყვები, ახლანდელ დროში მშობლები მხოლოდ სნეულ, ხელუპყარ, ხეიბარ ბავშვებსა სწირავენ ღმერთს, ახ ვისი კარგად გათხოვებაც ძნელიაო. კრისტინმა იცოდა, მისი მშობლები თუმც ღვთის მოშიშნი იყვნენ, ოჯახში მაინც ერთთავად მის გათხოვებაზე იყო ლაპარაკი. ხოლო როცა კრისტინის მშობლები მიხვდნენ, ულვხილდი სამუდამოდ სნეული დარჩებაო, მაშინვე მისი მონასტერში მიცემა გადაწყვიტეს...

მაგრამ თვითონ კრისტინსაც არ უნდოდა მონასტერში წასვლა, და, რაც კი შეეძლო, იშორებდა იმ აზრს, რომ ღმერთი სასწაულს მოახდენს და ულვხილდს განკურნავს, უკეთუ ის მოლოზნად აღიკვეცება. ის ებღაუჭებოდა მამა ეირიკის სიტყვებს, ახლა სადღაა სასწაულებიო... მაგრამ დღეს მაინც გრძნობდა, მართალს ამბობდა მამა ედვინი, თუ ადამიანი ძლიერ იწამებდა ღმერთს, იგი სასწაულებს მოახდენდა. კრისტინს კი არ უნდოდა ერწმუნა ეს, მას ასე ძლიერ არ უყვარდა ღმერთი, ღვთისმშობელი და ყველა წმინდანები, და არც უნდოდა ასე ძლიერ ჰყვარებოდა. მას უყვარდა ეს ქვეყანა, ამქვეყნიური მიწიერი ცხოვრებისაკენ ისწრაფოდა, არ ეთმობოდა და ენატრებოდა იგი...

კრისტინი დაეკონა ულვხილდის რბილ, აბრეშუმივით თმას. გოგონას გულის ძილით ეძინა. უფროსმა დამ, შეშფოთებულმა და შეწუხებულმა ის იყო წამოდგომა დააპირა, მაგრამ ისევ მიწვა. გული სისხლისაგან ეცლებოდა მწუხარებისა და სირცხვილისაგან, მაგრამ ნტკიცედ იცოდა, არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ასეთი სასწაულები ხდება, მამა-პაპათაგან გამოყოლილი ჯანიც ენანებოდა, სილამაზესაც არ უნდოდა ფუჭად ჩაევლო და სიყვარულის ძალაც უნდოდა გამოეცადა.

მაშინ სცადა იმითი ენუგეშებინა თავი, ჩემი მშობლები, მაინც არასოდეს არ მომცემენ ამის ნებას, და არც იმას დაიჯერებენ, თუ ამით რამე ეშველებაო. მე ხომ უკვე დანიშნული ვარ, და ისინი სიმონსაც ვეღარ შეელევიან, ისე შეუყვარდათო. ასე ეგონა, ჩემს დედამამას ჩემი სიყვარული შუაზე გაეყო, რაკი სასიძოთი ასე ამაყობენო: უცებ ზიზღით მოაგონდა სიმონის მრგვალი ღაჟღაჟა პირისახე, ბოცინარი წვრილი თვალები, მოქნილი ნაბიჯი, — ერთთავად ბურთივით ხტისო, — უცებ გაუელვა თავში, მისი ქილიკიანი ლაპარაკი და როცა მის ლაპარაკს უსმენდა, რა უვიცად და სულელად მიაჩნდა თავი. არცთუ ისეთი დიდი ბედნიერებაა, ამისთანა ქმარი შეგხვდეს, და, აიღე დაიღე, ხეობიდან უფრო დაბლა, ბარად, ფორმოში გადასახლდეო... მაგრამ მონასტერში მოლოზნად წასვლას მაინც სიმონზე გათხოვება ერჩია!.. ქვეყანა, რომელიც მთების გადაღმაა, მეფის კარი, გრაფები და რაინდები, ვისზედაც ფრუ ოსხილდი უამბობდა, თვალებში სევდაჩამდგარი ლამაზი ვაჟკაცი და მისი ნაღვლიანი გამოხედვა. ვისაც არასოდეს არ მოსწყინდებოდა ნიადაგ მის გვერდით

ყოფნა... მოაგონდა არნე. მთაში გატარებული იმ ზაფხულის დღეს, გვერდზე გადაბრუნებულს, როგორ ეძინა, აბრეშუმივით ქერა თმა კი მანანაზე გადაჰყროდა. მაშინ ისე ძლიერ, ღვიძლი ძმასავით უყვარდა არნე... კარგი არ იყო, ასე არ უნდა ელაპარაკა არნეს, რაკი იცოდა, ისინი თავის დღეში ერთმანეთისანი ვერ გახდებოდნენ...

რაგნფრიდს ვიღაც გამოეგზავნა ლეუგარბრუდან და შემოეთეალა ამაღამ აქ დავრჩებიო. კრისტინი წამოდგა და დასაწოლად გასდას შეუდგა. კაბის ყაითანი გაიხსნა, მაგრამ უცებ ისევ ჩაიცვა ფეხსაცმელი, ლაბადაში გაეხვია და ეზოში გავიდა.

ზურმუხტისფერი ცა დაჰყურებდა მთის ქედებს. საცაა, მთვარეც ამოვიდოდა და იქ, მთის იქით, სადაც ის იმალებოდა, ზანტად მიცურავდნენ პატარა ღრუბლები და ღრუბელთა ქობა ვერცხლივით ბზინავდა; ცას სულ უფრო და უფრო ემატებოდა შუქი, როგორც ლითონს, რომელიც ნამით იპკურება.

კრისტინი ორღობეში შევიდა და სირბილით აჰყვა აღმართს ეკლესიისაკენ. ეკლესიაში ჩამიჩუმი არ იყო. ჩაშავებული და განმარტოებულ იდგა, კრისტინი შორიახლო აღმართულ ჯვართან მივიდა. ჯვარი წმინდა ულავის სახელზე იყო აღმართული. ოდესღაც მტრისგან გამოქცეულ წმიდა ულავს აქ დაესვენა.

კრისტინმა ქვაზე მუხლი მოიყარა და ერთმანეთში გადაჭდობილი ხელები ჯვრის კვარცხლბეკზე დააწყო.

— წმინდაო ჯვარო, უმკვიდრესო ანძავ, უმშვენიერესო ხეე, სნეულთა წამყვანო ხიდო, განკურნების მშვენიერი ნაპირისაკენ...

ასე ეგონა ლოცვის თქმაზე ეს უცნაური გულზე რკალიერთ მოხვეული სევდა გულიდან მოეხსნა, მოშორდა, ჰაერის რკალებიც წყალზე ასე შორდებიან ერთმანეთს. გულის მღრღნელი მჭმუნვარე ფიქრებიც ნელ-ნელა შეუმსუბუქდა და თვითონაც ნელ-ნელა დამშვიდდა, დაშოშმინდა და მწუხარების ნაცვლად რაღაც ნაღველი ეხვეოდა.

დაჩოქილი იდგა. არ გამოჰპარვია, თუკი რამ გაფაჩუნდა ჩამომდგარ ღამეში, ისე უცნაურად ღმუოდა ქარი, ეკლესიის გადაღმა ჭალაში მდინარე მოშხუოდა, ხოლო აქვე გვერდით ნაკადული მირაკრაკებდა, ლიკლიკით მიიკვლევდა გზას და კრისტინი ახლოს თუ შორს თვალითაც და ყურითაც არჩევდა წყვდიადში ტოტებად მოჩქრიალე

ნაკადს, თუ ცვარივით წვეთ-წვეთად ჩამოვარდნილ წყალს. ქვემოთ, დაბაში მდინარე თეთრად ლაპლაპებდა, მთვარემ მთებშუა გამოანათა და ცვრით დანამული ფოთლები და ქვები ააბრჭყვიალა. მთვარის მკრთალი შუქი მიადგა სასაფლაოს გალავანთან აღმართულ პატარა გაფისულ სამრეკლოს. მერე ისევ მიიმალა, მთას ამოეფარა. ახლა ცა უფრო ხშირი, მოელვარე პატარ-პატარა ღრუბლებით დაიფარა.

გზიდან მოისმა ცხენების ნელი ნაბიჯი და კაცების ლაპარაკი. ისინი წყნარად და ჭშვიდად ჭოსაუბრობდნენ. კრისტინს აქ არავისი შიში არა ჰქონდა, აქვე, თავის სახლის ყურისძირში, სადაც ყველას იცნობდა და გულს შიში არ მიაკარა.

მამის ძაღლები ეცნენ კრისტინს; გატრიალდნენ და შურდულივით გაქანდნენ ისევ ჭალისაკენ, კვლავ მოცვივდნენ და კვლავ ეცნენ კრისტინს. გზაზე არყის ხეებში ლავრანსი გამოჩნდა და შორიდან მიესალმა შვილს. ჩამოქვეითებულიყო და აღვირით მოჰყავდა ცხენი; უნაგირზე ფრინველის მთელი ასხმულა ეკიდა. ხოლო მარცხენა ხელზე მიმინო უჯდა, თავზე ჩაჩჩამოფხატული. გვერდზე ბეჭებში მოხრილი ანაფორიანი ბერი მოსდევდა და კრისტინს ჯერ სახე არც კი გაერჩია, რომ ძმა ედვინი იცნო. კრისტინი იმათკენ წავიდა, სიზმარში ეგონა თავი და არც გაჰკვირვებია ედვინის დანახვა, და როცა ლავრანსმა ჰკითხა, ჩვენი სტუმარი იცანიო, კრისტინს მხოლოდ გაეღიმა.

ლავრანსი ედვინს ზევით, როსტაკის ხიდთან შეხვედროდა და ძლივს დაეყოლიებინა, შინ წამოჰყოლოდა და იმათთან გაეთია ღამე. მაგრამ ძმა ედვინი ჭირვეულობდა, გინდა თუ არა, გომურში უნდა დაეიძინოო.

— ლამის მკბენარმა შემჭამოს, იმდენი მახვევია, უთხრა მან, — მე რა კაი ლოგინში დასაწვენი ვარ.

ბევრსაც ეხვეწა ლავრანსი, ბევრსაც ეცადა, ბერი მაინც თავისაზე იდგა; ჯერ ისიც კი უნდოდა, ეზოში ეჭმიათ, ბოლოს, როგორც იყო, მაინც შეიყვანეს ოთახში; კრისტინმა ღუმელი დაანთო და მაგიდაზე სანთლები დადგა, ვიდრე მოახლეს საჭმელ-სასმელი შემოჰქონდა.

ბერი შიგ კარებში დაჯდა ძელსკამზე და ცივი ფაფისა და წყლის გარდა არაფერი ინდომა ვახშმად. უარი თქვა, როცა ლავრანსმა შესთავაზა, აბანოს გავახურებინებ და ტანისამოსსაც გავარეცხინებო.

ძმა ედვინი იშმუშნებოდა, იქექებოდა და თან ბებრული, გამხდარი სახე ებადრებოდა.

— არა, არა, — ეუბნებოდა ის, — მკბენარი უფრო კარგად სუსხავს ჩემს ურჩ სხეულს, ვიდრე წინამძღვრის შოლტი და საყვედურები! მთელი ზაფხული მთაში გავატარე, კლდის ძირას, — ნება დამრთეს უდაბნოში წავსულიყავი, იქ მემარხულა და მელოცა; ჰოდა, მეც ვიჯექი იქ, და, ასე მეგონა, ახლა კი ნამდვილი წმიდა განდეგილი ვარ-მეთქი. სეტნადალელი ღარიბები კი საჭმელს მიზიდავდნენ და ასე ეგონათ — ეს არის, ჩვენს წინ მართლა ნამდვილი ღვთის მოშიში და უბიწო ბერიაო. „ძმაო ედვინ, — მეუბნებოდნენ ისინი. — ბევრი თქვენისთანა ბერი რომ გვყავდეს, რამდენად უფრო მალე გამოვსწორდებოდით, თორემ ერთთავად ისეთ მღვდლებსა, ეპისკოპოსებსა და ბერებსა ვხედავთ, რომელნიც გეჯასთან მიხვეული გოჭებივით სჭამენ და ეჩხუბებიან ერთმანეთს. მე, მართალია, შთავაგონებდი მათ, ქრისტიანული არ არის ასეთი ლაპარაკი-მეთქი, თან კი გულსა მფხანდა ამისთანების გაგონება, და მეც ელოცულობდი და ისეთის მაღალი ხმით ვგალობდი, ზარივით გაისმოდა ჩემი ხმა მთაში. ახლა ჩემთვის ჭკუის სასწავლებელია, როცა ჩემს საკუთარ ტყავზე ვგრძნობ, როგორა სჭამს და როგორ ებრძვის ერთმანეთს მკბენარი და თავისი ოთახების სისუფთავესა და წესრიგს გადაყოლილი დიასახლისები როგორა ყვირიან — ზაფხულია და ეგ ბინძური მონასტრის ღორი თაელაშიაც კარგად დაიძინებსო. ახლა ჩრდილოეთისაკენ მივდივარ, ნიდაროსში, წმინდა ულავის დღეობაზე, და არ მაწყენს იმის დანახვა, რომ ხალხი მაინცდამაინც თავს არ იკლავს ჩემთან ახლოს მოსასვლელად...

ულვხილდს გაეღვიძა: ლავრანსი მივიდა, ლოგინიდან წამოაყენა და თავის ლაბადაში გაახვია.

— ძვირფასო მამაო, აი, ეს ბავშვია, ამაზე გიამბე. განაპყრე ხელნი შენნი და ამისთვის ილოცე, ისევე, როგორც იმ მელდალელი ბიჭისთვის ლოცულობდი, რომელმაც, ასე გავიგე, სიარული დაიწყოო...

ბერმა ალერსით ნიკაპი აუწია და სახეში შეხედა ბავშვს. მერე მისი პატარა ხელი აიღო და ეამბორა.

— სჯობია, ორივემ ილოცოთ, შენცა და შენმა ცოლმაც, ბიერგიულფის ვაჟიშვილო ლავრანს, რომ ცთუნებამ არ წაგძლიოთ და არ ეცადოთ უფლის ნების დაძლევას ამ ბავშვის გულისათვის. თვითონ უფალმან ჩვენმან, იესო ქრისტემ, დააყენა ეს პატარა იმ ბილიკზე,

რომლითაც ჭეშმარიტად მიაღწევს მყუდროების სავანეს, — თვალებზე გეტყობა, ნეტარო ულვხილდ, მლოცველები და შემწენიცა გყვანან უკეთეს ქვეყანაში.

— მაგრამ გავიგე, მელდალელი ბიჭი მორჩაო, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ლავრანსმა.

— ის ერთადერთი შვილი იყო საწყალი ქვრივი დედაკაცისა და დედა რომ მოჰკვდომოდა, მრეველის გარდა არავინა ჰყავდა საჭმლის მიმწოდებელი და შემმოსავი. მაგრამ ეს ქვრივი დედაკაცი მხოლოდ იმას ეევედრებოდა ღმერთს, ისეთი გული მომეცი, შიში არ მიეკაროსო. და ძალა მომეცი ვიწამო, რომ ყველაფერს ისე წარმართავ, როგორც ჩემი ბიჭისთვის ემჯობინებაო. ხოლო მე იმასთან ერთად ვიმეორებდი ამ ლოცვას, ამის მეტი არაფერი გამიკეთებია.

— ძნელი იქნება ჩვენთვის, ვერც ამის დედა და ვერც მე მაგით გულს ვერ დავიმშვიდებთ. — ჩამწყდარი ხმით მიუგო ლავრანსმა. — ასეთი ლამაზი და ასეთი კარგი მაინც არ იყოს.

— გინახავს, ლისტადში რომ ბავშვი დაიბადა, ხეობის სამხრეთით? — ჰკითხა ბერმა. — ნუთუ მოისურვებდი, შენი შვილიც ისეთი ყოფილიყო?

ლავრანსი შეკრთა და გოგონა გულში ჩაიკრა.

— განა შენ ასე არა გგონია, — კვლავ დაიწყო ძმა ედვინმა, — რომ უფლის თვალში ყველანი ერთნი ვართ, ვისთვისაც სწუხს იგი, რამეთუ დამახინჯებულნი ვართ ცოდვებისაგან? მაგრამ მაინც ასე გვგონია, რომ ამ ქვეყნად არც ისე ცუდად ვცხოვრობთ!

ძმა ედვინი მივიდა კედელთან, იქ მარიამ ქალწული იყო დახატული.

ყველამ მუხლი მოიყარა და ასე მუხლმოყრილნი იყვნენ, ვიდრე ის მწუხრის ლოცვას ამბობდა. რაგნფრიდმა და ლავრანსმა შვება იგრძნეს თითქოს ძმა ედვინმა ნუგეში სცა მათ.

მაგრამ გავიდა თუ არა ბერი ოთახიდან ღამის გასათევის მოსაძებნად, ასტრიდმა, უფროსმა მოახლემ, ძირისძირობამდე დაგავა იატაკი, სადაც იდგა ან იჯდა ბერი და ნაგავი მაშინვე ცეცხლში ჩაწვა.

მეორე დილით კრისტინი ადრიანად ადგა და ლამაზად ამოშანთულ ხის ტაბაკზე რძის ფაფა და პურის ლავაშები დააწყო, — იცოდა,

ბერი თავის დღეში ხორცეულს პირს არ დააკარებდა და თვითონ წაუღო საჭმელი. სახლში თითქმის ჯერ არავინ ამდგარიყო.

ძმა ედვინი ზურგზე შულდაკმოკიდებული ჯოხით ხელში წასასვლელად გამზადებული წანწალაზე იდგა გომურთან. ღიმილით გადაუხადა მადლობა კრისტინს, რად შეწუხდიო უთხრა, ბალახზე დაჯდა და ჭამას შეუდგა; კრისტინი ფერხთით დაუჯდა.

ქასქასით მოვარდა კრისტინის თეთრი ფინია; შორს გაისმოდა მის საყელურზე შებმული ზანზალაკების ჟღარუნი. კრისტინმა ფინია ხელში აიყვანა, ედვინი კი მოუყვა ცხვირწინ თითების ტკაცუნს, პირში ესროდა პურის ლუკმებს და ძალზე აქებდა.

— ამ ჯიშის ძაღლები დედოფალმა ეუფემიამ შემოიყვანა ნორვეგიაში [1], — თქვა მან. — ახლა აქ, თქვენს, იორიუნდგორდში ისეთი მდიდრული გაქვთ ყველაფერი, მნიშვნელოვანი, თუ უმნიშვნელო...

კრისტინი სიამოვნებისაგან გაწითლდა. თვითონაც იცოდა, რომ ჯიშიანი ფინია ჰყავდა და ამით ამაყობდა. იცოდა რომ მთელ მაზრაში არავისა ჰყავდა ოთახის ფინია. მაგრამ ის კი არ იცოდა, თუ მისი ფინია დედოფლის ფინიის ჯიშისა იყო.

— ანდრესის შვილმა სიმონმა გამომიგზავნა ეს ფინია, — უთხრა კრისტინმა ედვინს, თან გულზე მიიკრა, იმან კი პირისახე აულოკა, — კორტელინი ჰქვია.

კრისტინს ის იყო უნდა ეთქვა ბერისთვის, რაც მას აწუხებდა და ეთხოვა რჩევა მიეცა, მაგრამ ახლა აღარ უნდოდა დაჰბრუნებოდა იმ ფიქრებს, გუშინ საღამოს რომ ააფორიაქა. ძმა ედვინი ხომ დარწმუნებულია, ღმერთი ისე წარმართავს ყველაფერს. როგორც ულვხილდისთვის უკეთესია. და რა კარგია, რომ ჯერ გახმაურებულიც არ იყო იმათი ნიშნობა, სიმონმა რომ საჩუქარი გამოუგზავნა. არნეზე არ უნდოდა ეფიქრა — მისი აზრით, ისე არ ექცეოდა არნე, როგორც უნდა მოქცეოდა.

ძმა ედვინმა ჯოხი აიღო და კრისტინს სთხოვა, ყველას მოკითხვა გადაეცი — იმათ აღგომას ვერ მოვუცდი, სიგრილით წასვლა მირჩევნიაო. კრისტინმა ეკლესიამდე მიაცილა ბერი, პატარა მანძილს ტყეზეც გაჰყვა. გამოთხოვებისას ბერმა მშვიდობა უსურვა და დალოცა.

---

[1] ეუფემია — ცოლი ხოკონ V-სა, რომელიც ძაბიხ მეფობდა ნორვეგიაში.

— მეც მითხარით სიტყვა, ძვირფასო მამაო, როგორც ულვხილდს უთხარით, — სთხოვა კრისტინმა ბერს, თან ბერის ხელს ხელს არ უშვებდა.

ბერმა ნიკრესის ქარებისაგან დაკრუნჩხული ფეხშიშველა ფეხი ნამიან ბალახს გაუსვა.

— მინდა შთაგაგონო, შვილო ჩემო, ყურად იღო, თუ რარიგად ზრუნავს უფალი აქ, ამ თქვენი ხეობის მცხოვრებლების დოვლათზე. თქვენში წვიმა იშვიათად იცის, სამაგიეროდ, მრავლად მოგცათ ღმერთმა მთიდან მორაკრაკე ნაკადულები, ხოლო ნამი აცოცხლებს მინდვრებს და მდელოებს. მადლობა შესწირე ღმერთს ყველაფრისათვის, რითაც ხარ მისგან მომადლებული, და ნუ დაემდურები, უკეთუ მოგეჩვენა, რომ სხვა რამ გაკლია ისეთი, რაც ძალიან მოგიხდებოდა, გარდა ყოველი იმისა, რაც ღმერთს შენთვის მოუნიჭებია. მშვენიერი ოქროსფერი თმა გამშვენებს, გულს ნუ დაგაკლდება, თუ ეგ მშვენიერი თმა არ გეხვევა! განა არ გაგიგონია, ერთი დედაბრის ამბავი, იჯდა თურმე, და ტიროდა, უქმე დღე მოდის, შვიდ ბალღს დაუღია პირი, მე კი ღორის ხორცის ერთი პატარა ნაჭერის მეტი არაფერი გამაჩნია და შვიდ მშიერ ბალღს ეგ რას გაუხდებაო? — სწორედ ამ დროს იმის კარზე წმიდა ულავმა ჩამოიარა; განაპყრო ხელი სინის ზემოდან და შესთხოვა ღმერთს, დაეძღო საბრალო ყვინჩილები, მაგრამ როცა დედაკაცმა მაგიდაზე მთელი დაკლული ღორი დაინახა; აწუწუნდა, ამოდენა ხორცისათვის ქვაბები და ჯამები სად მეყოფაო...

კრისტინი შინისაკენ გაიქცა, ფინიაც სირბილით მისდევდა, კისერზე შებმული ზანზალაკების წკარუნით, თან კბილებით კაბის ქობაზე ეწეოდა და ფეხებში ებლანდებოდა.

VI

დღე-დღეზე არნე ხამარში უნდა წასულიყო და დედა და დები ტანისამოსს უმზადებდნენ.

სამხრეთისკენ გამგზავრების წინა დღეს არნე იორიუნდგორდში მოვიდა გამოსამშვიდობებლად, დრო იხელთა თუ არა, კრისტინს წასჩურჩულა, ხვალ საღამოს ხომ არ გამოხვალ გზაზე, რომელიც ლეუგარბრუდან სამხრეთით მიდისო.

— მინდა, უკანასკნელად მარტო დავყო შენთან, — უთხრა მან.— ეგებ გგონია, დიდ რამესა გთხოვ, — ჩვენ ხომ ღვიძლი და-ძმასავით ერთად დავიზარდეთ? — დაუმატა, რაკი დაინახა, კრისტინი პასუხს აგვიანებდა.

მაშინ კრისტინი დაჰპირდა, თუკი მოვახერხე და სახლიდან შეუმჩნევლად გამოვედი, მოვალო.

მეორე დღეს დილით თოვდა, მერე წვიმა წამოვიდა და გზები და მინდვრები ერთიანად ატალახდა. ნისლი ნაგლეჯ-ნაგლეჯად მოცურავდა მთის კალთებზე, ზოგჯერ დაბლაც ჩამოდიოდა, და მთის ძირებში ჩამოსული, თეთრი ბოლივით იხვეოდა.

უცებ ისევ გაფუჭდა ამინდი.

მამა ეირიკმა იორიუნდგორდში შეიარა, ლავრანსისთვის რაღაცრაღაც ქაღალდების შედგენა უნდა ეშველა. ორივენი ძველ კერიან ოთახში გავიდნენ, ამისთანა ამინდში იქ უფრო მეტი სიმყუდროვე იყო, ვიდრე დიდ ოთახში, სადაც ღუმელიდან გამოსული ბოლით ივსებოდა მთელი ოთახი. რაგნფრიდი ლეუგარბრუში იყო რანგბორგთან, ადრე შემოდგომაზე რანგბორგს ცხელება დააწყებინა და ახლა ნელ-ნელა ჯანზე მოდიოდა.

ამიტომ კრისტინს არ გასჭირებია სახლიდან შეუმჩნევლად გასვლა, ცხენის გამოყვანა კი მაინც ვერ გაბედა და ფეხით დაადგა გზას. გზაზე ტალახი, თოვლი და დამჭკნარი ფოთლები ერთმანეთში იყო აზელილი; ნოტიო მიწას შმორისა და მკვდრის სუნი ასდიოდა, ხანდახან კი ქარი წამოუბერავდა და კრისტინს წყლის შხეფებს მტვერივით აყრიდა სახეში. მან თავზე მაგრად ჩამოიცვა კაპიუშონი, ორივე ხელით ლაბადა ჩაბღუჯა და ჩქარი ნაბიჯით გასწია წინ. ცოტა ეშინოდა კიდეც, ყრუდ გაისმოდა მდინარის ღრიალი ნესტიან, დამძიმებულ ჰაერში, ტყვიასავით შავი ღრუბლების ნაფლეთები მოჰქროდნენ მთის ქედებზე. დროდადრო კრისტინი შედგებოდა და ყურს მიუგდებდა ხოლმე, არნე ხომ არ მოდისო.

მალე ცხენის ჯლაყუნი გაიგონა აზელილ, ატალახებულ გზაზე, კრისტინი შედგა, უკაცრიელი ადგილი იყო და გადაწყვიტა, აქ გამოთხოვებაში ხელს არავინ შეგვიშლისო: და ცხენოსანიც წამოადგა თავს; არნე ცხენიდან ჩამოხტა, აღვირში წაავლო ხელი და კრისტინისკენ წამოვიდა.

— რა კარგად მოიქეცი კრისტინ, რომ ამისთანა საძაგელ ამინდსაც არ მოერიდე და მოხვედი, — უთხრა მან.

— შენ იკითხე რომ, ასეთ ამინდში მიდიხარ, — თან იმ სიშორე გზა გაქვს გასასვლელი; სახლიდან ასე გვიან რად წამოხვედი? — ჰკითხა კრისტინმა.

— იონმა მთხოვა, ღამე ლოპტსგორდში გამეთია, — მიუგო აოსემ, — ისიც ვიფიქრე, საღამოთი უფრო ადვილად მოახერხებდი აქ მოსვლას.

პატარა ხანს გაჩუმებულები იდგნენ. კრისტინს ეგონა, დღემდე არ დაკვირვებივარ, თუ არნე ასეთი ლამაზი იყოო; თავზე ყავისფერ შალის მუზარადქვეშ დასახურ ქუდის ზემოდან, სადა ფოლადის მუზარადი ეხურა, რომელიც მაგრად შემოჰკვროდა მის სახეს და ბეჭებზე ეშვებოდა: — ამ მუზარადში ხმელ-ხმელი სახე დახვეწილი და ლამაზი უჩანდა. აბჯრისაგან დაფხაჭნილი ძველი ტყავის ალაგ-ალაგ ჟანგის ლაქებით დაფარული ჯაჭვკურტაკი ეცვა, ამას ჯავშნის ზემოდან იცვამდნენ, — მამის ჯავშანი მშვენივრად ადგა ჭაბუკს, მოხდენილ, მოქნილ, კოხტად შეკრულ ტანზე; გვერდზე მახვილი ეკიდა, ხელში ეჭირა შუბი, დანარჩენი იარაღი უნაგირზე დაეკრა. არნე უკვე მოწიფული ჭაბუკი იყო და ვაჟკაცური იერი ედო.

კრისტინმა მხარზე დაადო ხელი არნეს:

— გახსოვს, არნე, ერთხელ მკითხე, ხომ არა გგონია ანდრესის შვილს, სიმონს რითიმე ჩამოუვარდებიო? ჰოდა, იცი, რას გეტყვი ახლა, ჩვენი განშორების წინ: მე რომ მკითხოს კაცმა, შენ იმდენად სჯობიხარ სილამაზითა და თავაზიანობით სიმონს, რამდენადაც სიმონი გჯობია ჩამომავლობითა და სიმდიდრით, იმ ხალხის თვალში, ვინც ყველაზე მეტად ასეთ რამეებს აქცევს ყურადღებას!

— მაგას რად მეუბნები? — სულშეგუბებულმა ჰკითხა არნემ.

— იმიტომ, რომ ძმა ედვინმა შთამაგონა, მადლობას უნდა ეწირავდეთ უფალს, იმისთვის რაც მისგანა გვაქვს ნაბოძები და არ ვემსგავსოთ იმ დედაკაცს, რომელიც აწუწუნდა, ჭურჭელი არ მეყოფაო, როცა წმიდა ულავმა ერთიათად უქცია საჭმელი, — ამიტომ არ უნდა ჯავრობდე, რატომ იმდენივე სიმდიდრე არ მოგცა ღმერთმა, რამდენიც ხორციელი სილამაზე...

მაშ, ეგ უნდა გეთქვა! — მიუგო არნემ და, რაკი კრისტინს ხმა

არ ამოუღია, უთხრა: — მე კი მეგონა, იმის თქმა გინდოდა, რომ ჩემზე უფრო სიამოვნებით გათხოვდებოდი, ვიდრე სხვაზე...

— რა თქმა უნდა, შენზე უფრო სიამოვნებით გავთხოვდებოდი,— წყნარად მიუგო კრისტინმა, — შენ ხომ უკეთესად გიცნობ...

არნემ მაგრად მოხვია ხელები, ჰაერში აიტაცა კრისტინი, სახე დაუკოცნა და მერე ისევ მიწაზე დააყენა.

— კრისტინ, ღმერთო ჩემო, ჯერ ისევ რა ბავშვი ხარ!

კრისტინს ისევ არნეს მხრებზე ეწყო ხელები და თავდახრილი იდგა. არნემ ოდნავ მაჯის ზემოთ წაავლო ხელებში ხელი და მაგრად მოუჭირა.

— ვხედავ, ჩემო თვალისჩინო, რომ შენ არ გესმის, რარიგ მიკოდავს გულს შენთან განშორება! ჩვენ ხომ ერთ ტოტზე მიბმული ორი ვაშლივით ვიზრდებოდით. მე უფრო ადრე შემიყვარდი, ვიდრე მივხვდებოდი, რომ ოდესმე სხვა გამოჩნდებოდა და შენს თავს წამართმევდა! ვფიცავ ღმერთს, რომელიც სიკვდილს მიეგო ყველას სანაცვლოდ, არ ვიცი, ვიქნები კი ოდესმე ბედნიერი, ან სიმხიარულე მიეკარება ჩემს გულს დღეის შემდეგ?

მწარედ ატირებულმა კრისტინმა სახე მიუშვირა არნეს საკოცნელად.

— ეგრე ნუ ამბობ, ჩემო არნე, — ეხვეწებოდა კრისტინი და თან მხარზე ხელს უსვამდა.

— კრისტინ, — უთხრა წყნარი ხმით არნემ და კვლავ გულში ჩაიკრა. — როგორა გგონია, მამაშენს რომ სთხოვო, — ლავრანსი ისეთი კეთილი ადამიანია, არ დაგაძალებს, თუკი შენი სურვილი არ იქნება, — რამდენიმე წელიწადს მოიცადოს და ნუ გაგათხოვებს; ვინ იცის, როგორ დატრიალდება ჩემი ბედი, ჩვენ ხომ ჯერ ახალგაზრდები ვართ...

— მე უნდა ჩემს მშობლებს დავემორჩილო არნე, — ტიროდა კრისტინი.

მაშინ ველარც არნემ შეიმაგრა ცრემლები.

— არა, შენ არ გესმის, კრისტინ, რა ძვირფასი ხარ ჩემთვის!— არნემ კრისტინის მხარზე ჩამალა სახე. — ეგ რომ გესმოდეს და თავადაც გიყვარდე, მაშინ ლავრანსთან მიხვიდოდი და ხვეწნასა და მუდარას დაუწყებდი...

— ეგ არ შემიძლია, — სლუკუნებდა ყმაწვილი ქალი, — თავის

დღეში ისე არავინ შემიყვარდება, რომ იმის გულისთვის მშობლებს ურჩობა გავუწიო, — ის ხელით ეძებდა არნეს სახეს შალის ქუდისა და მძიმე ფოლადის მუზარადქვეშ. — აგრე ნუ სტირი, არნე, ჩემო ყველაზე ძვირფასო მეგობარო!

— მაშ, ეს მაინც გამომართვი! — უთხრა არნემ ცოტა ხნის მერე და პატარა გულსაბნევი მისცა. — და ზოგჯერ მაინც მომიგონე, მე კი ჩემს სიცოცხლეში არ დაგივიწყებ.

თითქმის ბნელოდა, როცა კრისტინი და არნე უკანასკნელად გამოეთხოვნენ ერთმანეთს. კრისტინი იდგა და გაჰყურებდა არნეს, როცა მან, როგორც იყო, დასძრა ცხენი. მოყვითალო შუქი ატანდა ღრუბლებში და ირეკლებოდა კრისტინისა და არნეს ნაფეხურებში, იქ, სადაც გაევლოთ, ანდა მდგარიყვნენ აშყაპებულ ტალახში. როგორა ცივა, რა დასევდიანებულია აქაურობა, — ფიქრობდა კრისტინი. ლაბადის ქვეშ ყელზე მოხვეული შალი გამოიღო, ნამტირალევი სახე მოიწმინდა, და შინისაკენ გასწია.

დასველებული და გათოშილი კრისტინი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. პატარა ხნის მერე გაიგონა, უკან ვიღაც მოსდევდა, და ცოტა არ იყოს, შიშმა აიტანა. ვინ იცის, ამისთანა ამინდშიც კი საღამო ჟამს ვინმე დაეხეტება შარაგზაზე, მას კი უკაცრიელი და მიყრუებული გზა ჰქონდა გასავლელი. გზის ცალ მხარეს შავი კედელივით აღმართულიყო ციცაბო, კლდოვანი ფერდობი, მეორე მხარეს კი ფიჭვნარით დაფარული ხრამი ჩასდევდა ტყვიისფერ მდინარემდე. ამიტომ ძალიან გაუხარდა კრისტინს, როდესაც გზად მომავალმა სახელი დაუძახა; კრისტინი შედგა და მოუცადა.

მგზავრი მაღალი, გამხდარ-გამხდარი კაცი გამოდგა. ღია ფერის სახელოებიანი მუქი წამოსასხამი ესხა. როცა მიუახლოვდა, კრისტინმა დაინახა, რომ მღვდელივით ეცვა, ზურგზე ცარიელი ტომარა ეკიდა და იცნო კიდეც ბენტეინი იყო. — ხუცესის შვილი, ყველანი ასე ეძახდნენ მამა ეირიკის შვილიშვილს. კრისტინმა მაშინვე შეატყო, ბენტეინი კარგად იყო გამობრუჟული.

— დიახ, დიახ, ერთი მიდის, მეორე მოდის,—სიცილით უთხრა ბენტეინმა, როცა ერთმანეთს მიესალმნენ. — ეს არის, ბრეკენელი არნე შემხვდა, ხოლო შენ, როგორცა ვხედავ, ნამტირალევი მოდიხარ!

ახლა კი, სახე გახსენ და გაიღიმე, ის თუ წაკიდა, მე დავბრუნდი, ჩვენც ხომ ბავშვობიდან მეგობრები ვიყავით. ასე არ არის?

— სოფლისათვის ცუდი სამაგიეროა, თუ მის ბადლად შენ ჩადგები. — მკვახედ მიახალა კრისტინმა. კრისტინს გულში არასოდეს არ ჩაჰქროდა ბენტეინი. — ვაითუ, სხვებიც ასე ფიქრობენ. პაპაშენი რა გახარებული იყო, ბენტეინს ოსლოში ბედმა გაუღიმაო.

— ო, დიახ! — უთხრა ბენტეინმა უშნო ღრეჭით, — მაშ, შენა გგონია, ბედმა გამიღიმა? მეც იქ ისე ვიყავი მოლხენილი, როგორც ღორი პურის ყანაში, კრისტინ; და დაბოლოებითაც სწორედ ისე დაბოლოვდა, — ჯოხის ცემით, ყვირილითა და პანღურით გამომაგდეს! ჰო, ჰო! ჰო, ჰო! პაპაჩემს ხეირი არ ადგას ჩვენგან, თავისი ჩამომავლებისაგან. ეგ კი ეგრეა, მაგრამ, სად მიგეჩქარება!

— მცივა, — მოკლედ მოუჭრა კრისტინმა.

— მერე, როგორა გგონია, მე კი არა მცივა? — მიუგო მღვდელმა. რასაცა ხედავ, ამის მეტი არაფერი მაცვია. ლაბადა გავყიდე, რომ ლუდი და საჭმელი მეყიდა მცირე ხამარში, შენ კი, ალბათ ჯერ არ გაგნელებია ცეცხლი არნესთან გამოთხოვების შემდეგ; მე მგონი, მეც უნდა წამომაფარო ლაბადა. — ხელი წაავლო კრისტინის ლაბადის კალთას, მხარზე გადაიგდო და სველი ხელი კრისტინს წელზე შემოხვია.

კრისტინი სახტად დარჩა, ისე გააოცა მისმა თავხედობამ, რომ უცებ გონს ვერ მოვიდა; უნდოდა ხელიდან გაშვებოდა, მაგრამ ბენტეინს მაგრა ჩაებღუჯა ლაბადა, ლაბადა კი მაგარი ბალთითა ჰქონდა შებნეული. ბენტეინმა კვლავ მოხვია ხელი და საკოცნელად მიეტანა. კრისტინს უნდოდა სილა ეტკიცა, მაგრამ ბენტეინს ბეჭებზე ხელი შემოეხვია და გულში იკრავდა.

— შენ რა, ჭკუაზე ხომ არ შეიშალე? — ხმა არ აუწევია, დაუტია, კრისტინმა და შეებრძოლა. — როგორ მიბედავ, ხელი მომკიდო ისე. თითქოს მე ვინმე... ხვალ მწარედ განანებ მაგას, არამზადავ...

— ჰოო, ხვალ ჭკუაზე იქნები მოსული, — მიუგო ბენტეინმა, — თან პირზე ხელი მიაფარა და სარმა გამოსდო, კრისტინი ცოტას გაწყდა, გულაღმა არ გაიშალა ლაფში.

მაგრამ დაყვირება მაინც აზრად არ მოსვლია კრისტინს. მხოლოდ ახლა მიხვდა, რა მოუნდომა, რა გაუბედა ბენტეინმა და ისეთნაირად გაალმასდა, შიში სულაც გაუქრა; ბრძოლაში შებმული ნადირივით

ბრდღვინავდა და უმკლავდებოდა კაცს, იმან კი ისე დააკრა მიწას, რომ დამდნარმა ყინულივით თოვლმა ტანისამოსში გაატანა, და ცეცლივით გახურებულ სხეულს ცივად მოხვდა.

— ხვალ ჭკუა გეყოფა, კრინტი არ დასძრა დღევანდელ ამბავზე, — ეუბნებოდა ბენტეინი, — ხოლო თუ ამის დაფარვას ვეღარ მოახერხებ, აიღე და არნეს გადააბრალე, — ამას უფრო დაგიჯერებენ!..

უცებ ბენტეინს კრისტინის პირში მოუხვდა თითი, კრისტინმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა უკბინა; ბენტეინმა შეღრიალა და ხელი გაუშვა, კრისტინმა, ელვის სისწრაფით, ცალი ხელი გაინთავისუფლა, ბენტეინს სახე დაუჭირა და გამეტებით დააჭირა თვალზე ცერი. ბენტეინმა სიმწარისაგან დაიღრიალა და მუხლებზე წამოიწია. კრისტინი კატასავით გამოუძვრა მღვდელს, ხელი ჰკრა, გულღმა გადააგდო და ისე მოჰკურცხლა, რომ რამდენიც ფეხს დაჰკრავდა აქეთ-იქით ისვრიდა ტალახს და ერთიანად ლაფში ამოისვარა.

კრისტინს უკან არ მოუხედია, ისე მირბოდა, ეყურებოდა როგორ მოსდევდა ბენტეინი და ისე მიჰქროდა, რომ გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. აქეთ-იქით არ იყურებოდა, თან ჩუმად ვმინავდა, — ნუთუ ვეღარ მიაღწევს ლეუგარბრუს? ძლივს, მივიდა იმ ადგილამდე, სადაც გზა მოხნულ მიწებზე მიდიოდა, და მთის კალთებზე დაბლა შენობებიც დაინახა — მაგრამ უცებ იგრძნო, რომ ამ ყოფაში იქით გაქცევას ვერ გაბედავდა, სადაც დედა ეგულებოდა, — თავიდან ფეხებამდე ერთიანად ტალახში და თიხაში იყო ამოსვრილი, აზელილი ფოთლებიც ზედ აჰკვროდა, კაბა შემოფხრეწოდა...

ცოტაც და, ბენტეინი დაეწევა; კრისტინი დაიკუზა, ორ დიდ ქვას წამოავლო ხელი, და ბენტეინი რომ მოუახლოვდა, ქვები სდრუზა; ერთი მოხვდა და წააქცია. მაშინ კრისტინმა ისევ მოჰკურცხლა და ხიდთანლა შედგა სულის მოსაბრუნებლად.

კრისტინს ხიდის მოაჯირისათვის ჩაეჭიდა ხელი და თავიდან ფეხებამდე კანკალებდა; თვალთ დაუბნელდა და იფიქრა ეს არის უგოწოდ დავეცემიო, მაგრამ უცებ ბენტეინი მოაგონდა — რომ დაეწიოს და აქ იპოვოს? და გამწარებული და სირცხვილისაგან შეძრწუნებული ისევ გაიქცა, თუმც ფეხებს ძლივს მიათრევდა; ახლალა იგრძნო, როგორ ეწოდა და სტკიოდა ფრჩხილებით დაკაწრუ-

ლი სახე, როგორ დაშავებოდა ზურგი, ხელები და ცხარე ცრემლები წასკდა.

კრისტინი ნატრობდა, ნეტავ ჩემს ნასროლ ქვას ბენტეინი იქვე გაეთავებინაო, უნდოდა მიბრუნებულიყო და ძაღლივით ჩაეკლა; ის იყო, დანაზე იტაცა კიდეც ხელი, მაგრამ დანა აღარსად იყო, ალბათ დაეკარგა.

და კვლავ გაუელვა თავში, შინ მისვლას ვერ მივბედავო; მაშინ იფიქრა, რუმიუნდგორდში წასულიყო. და გადაწყვიტა მამა ეირიკთან ეჩივლა.

მღვდელი ჯერ არ დაბრუნებულიყო იორიუნდგორდიდან. სამზარეულოში ბენტეინის დედა გიუნხილდი დახვდა; მარტო იყო და კრისტინმა უამბო, რა გაუბედა და როგორ მოექცა იმისი შვილი. იმაზე კი ხმა არ ამოუღია, თუ არნეს შესახვედრად იყო წასული. გიუნხილდს ეგონა, კრისტინი ლეუგარბრუში იყოო, კრისტინი რომ ამას მიხვდა, იფიქრა, დაე, ასე ეგონოსო და აღარაფერი უთქვამს.

გიუნხილდი თითო-ოროლა სიტყვას თუ ამბობდა, ტირილით კი ძალიანა ტიროდა, როდესაც კრისტინის ტანისამოსი გამორეცხა, და, სადაც დიდად იყო ამოგლეჯილი, ის ადგილები გაკერა. ყმაწვილი ქალი კი ისე იყო აღელვებული, ვერც კი ამჩნევდა, გიუნხილდი ჩუმ-ჩუმად როგორ აპარებდა იმისკენ თვალს.

ხოლო, როცა კრისტინი გამოვიდა, გიუნხილდმაც თავისი ლაბადა აიღო და ეზოში გამოჰყვა ყმაწვილ ქალს, მერე კი თავლისაკენ გასწია. კრისტინმა ჰკითხა გიუნხილდს, საით აპირებდა წასვლას.

— მე მგონი, არ მეკრძალება წავიდე და ჩემი შვილი ვნახო, — მიუგო ქალმა. — ქვით ხომ არ მოკალი, ან ვინ იცის, რა დღეშია...

კრისტინმა იფიქრა, აბა, მე რა პასუხი უნდა გავცე ამაზეო, და მხოლოდ ის უთხრა, შენი შვილი მალე მოშორდეს აქაურობას, მე ხომ თვალით არ დამენახვოსო.

— თუ არა და, ყველაფერს ეუამბობ ლავრანსს, და შენ მშვენივრად იცი, რა დღესაც დააყრის.

ბენტეინი, მართლაც, ერთი კვირაც არ იქნებოდა გასული ამ ამბის შემდეგ, სამხრეთ ნორვეგიაში წავიდა; მამა ეირიკმა წერილი გაატანა ხამარელ ეპისკოპოსთან, სთხოვდა, ჩემს შვილიშვილს საქმე გამოუნახეთ რამე, ან დახმარება გაუწიეთო.

შობის დღესასწაულები იყო. ერთ დღეს, სრულიად მოულოდნელად, იორიუნდგორდში სიმონი ჩამოვიდა ცხენით. ბოდიში მოიხადა, დაუპატიჟებლად გესტუმრეთ და არც ჩვენები ჩამოვიყვანე, მაგრამ მამაჩემი მეფის დავალებით შვედეთში გაემგზავრა, მე კი ცოტა ხანი შინ გავატარე, დიუფრინში, სადაც ჩემი უმცროსი დები და დედაჩემი არიან. დედაჩემი ავად არის და წევს, იქ ყოფნა მომწყინდა და იორიუნდგორდში ამოსვლა მომენატრაო.

რაგნფრიდი და ლავრანსი დიდი მადლობლები იყვნენ. ყველაზე მაგარი ყინვები ახლა იცის და ამ დიდ ყინვებში, ისიც ამისთანა შორ გზაზე როგორ გაბედე წამოსვლაო. რაც უფრო ხშირად ხედავდნენ სიმონს, მით უფრო ძალიან მოსწონდათ. სიმონმა იცოდა, რომ ლავრანსმა და ანდრესმა მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს, კრისტინის და სიმონის ნიშნობა გადაეხადათ, ვიდრე დამარხვდებოდა, თუ ანდრესი ამ დროისთვის მოახერხებდა დაბრუნებას, არა და, აღდგომა გავიდოდა თუ არა, მაშინვე გადაიხდიდნენ.

კრისტინს ძალიან წყნარად და მორიდებულად ეჭირა თავი საქმროსთან, არ იცოდა, რაზე ელაპარაკა. ერთ საღამოს, როცა ყველანი ისხდნენ და სვამდნენ, სიმონმა სთხოვა კრისტინს, გავიდეთ, სუფთა ჰაერზე გავიაროთო. და ზევითა ოთახის კარის წინ, დერეფანში რომ იდგნენ, სიმონმა წელზე ხელი მოხვია კრისტინს და აკოცა, მას სიმონის კოცნა არ გახარებია, მაგრამ არც წინააღმდეგობა გაუწია, იცოდა, ნიშნობას წინ აღარაფერი უდგა. ახლა თავის გათხოვებაზე ფიქრობდა, როგორც ისეთ რამეზე, რასაც თვითონ კი არა ნატრობდა, არამედ რაც გადაწყვეტილიც იყო და უთუოდ მოხდებოდა კიდეც. თუმც მაინც მოსწონდა სიმონი, მეტადრე, როცა მას კი არ ელაპარაკებოდა, სხვებს ემუსაიფებოდა.

მთელი შემოდგომა დიდ დარდში გაატარა კრისტინმა. ტყუილად იკეთებდა გულს, ბენტეინმა ვერაფერი დამაკლოო, მაგრამ მაინც შერცხვენილი იყო და ფიქრობდა, თავი მომეჭრაო.

მორჩა, ახლა სულ სხვა თვალით შეხედავდა ყველაფერს, მას შემდეგ, რაც კაცი შეეხო მას და პატიოსნების შებღალვა მოუნდომა.

მთელ ღამეებს უძილოდ ატარებდა, სირცხვილისაგან იწვოდა, და ერთთავად ამაზე ფიქრობდა. აგონდებოდა, როგორ ეკროდა ბენტეინი, როცა კრისტინი ეჯაჯგურებოდა და სცემდა, აგონდებოდა პირიდან როგორა სცემდა სახეში ლუდის სუნით გაჟღენთილი ცხელი ოხშივარი — და მოსვენებას არ აძლევდა იმის ფიქრი, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, მთელი სხეული უთრთოდა, როცა აგონდებოდა, ბენტეინის ნათქვამი: თუ ის ვერ დამალე, მაშინ არნეს დააბრალებენო. გონებაში ერთ სურათს მეორე სურათი მისდევდა, თუ რა ამბავი დატრიალდებოდა; მართლაც ასეთი უბედურება რომ დასტყდომოდა თავს, და ხალხს გაეგო, რომ ისა და არნე წასვლის წინ შეხვდნენ ერთმანეთს, ანდა მის დედ-მამას ამისთანა რამ გაეფიქრა არნეზე, ან თვითონ არნე რას იტყოდა... არნე ისევ ისეთი ედგა თვალწინ, როგორიც უკანასკნელ საღამოს ნახა, და თავის თავს მის ფერხთით პირქვედამხობილად სთვლიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ შეიძლებოდა მას თან წარეტაცნა იგი და მწუხარებისა და სირცხვილის მორევში ჩაეთრია. ან რა საძაგელ, ამაზრზენ სიზმრებს ხედავდა, საღმრთო წერილშიაც წაუკითხავს, ასეთი სიტყვები „ხორციელი სურვილი“, „ხორცის გვემა“, მაგრამ მაშინ არ ესმოდა ამ სიტყვების მნიშვნელობა. ახლა კი კარგად გაიგო, რომ მასაც და სხვასაც, ყველას ხორცისა და სისხლის ცოდვილი სხეული აქვთ, რომელიც იმონებს სულს და საშინელი ბორკილებით ბოჭავს მას.

მერე წარმოიდგენდა, როგორა ჰკლავს ბენტეინს, ან აბრშავებს. ერთადერთი მისი ნუგეში და სიხარული იმ ოცნებით დატკბობა იყო, თუ როგორ იძიებდა შურს იმ ბნელ ადამიანზე, მუდამ ის ედგა თვალწინ, რაზედაც არ უნდა ეფიქრა. მაგრამ ეს ოცნება დიდხანს ვერ ატკბობდა; ღამღამობით ულვხილდის გვერდზე იწვა და მწარედ ტიროდა ყველაფერზე, რაც ძალადობამ განაცდევინა. ბენტეინმა მაინც შესძლო სულის უმანკოება წაერთმია კრისტინისთვის.

შობის დღესასწაულების მერე პირველ სადაგ დღეს ქალები ყველანი სამზარეულოში ტრიალებდნენ. რაგნფრიდმა და კრისტინმაც თითქმის მთელი დღე სამზარეულოში გაატარეს, საღამო ხანს, მოგვიანებით, როცა ქალები ზოგი პურის ცხობის შემდეგ ალაგებდა იქაურობას, ზოგი კი ვახშამს ამზადებდა, გაფოთებული შემოვარდა ყვი-

რილითა და ხელების სავსავით პირუტყვის მომვლელი დედაკაცი.

— ღმერთო, ღმერთო, გაგონილა ამისთანა უბედურება! გიურდის ვაჟიშვილს არნეს მარხილით მოასვენებენ! უფალო, შენ შეიბრალე გიურდი და ინგა, ეს რა მეხი დაეცათ!

ამ დროს სამზარეულოში ერთი კაცი შემოვიდა, ის ცოტა ქვემოთ გზაზე ცხოვრობდა ერთ პატარა ქოხში, იმას ხალვდანიც შემოჰყვა. სწორედ ამ ორს ენახა, როგორ მოასვენებდნენ მიცვალებულის უსულო გვამს.

დედაკაცები გარშემო შემოეხვიენენ მოსულებს. გარშემო შემოხვეული დედაკაცების უკან, თავზარდაცემული და გადაფითრებული იდგა კრისტინი. ხალვდანი ლავრანსის დაახლოებული მსახური იყო, ივი ბავშვობიდან იცნობდა არნეს და ქვითინით უამბობდა იქ მყოფთ.

ხუცესის შვილს მოუკლავს არნე, ახალწლის წინა საღამოს, ეპისკოპოსის მსახურნი ისხდნენ თურმე და სვამდნენ, ბენტეინიც იქ მისულა; მწერლად უმუშავნია წმინდა მარიამის ეკლესიაში. მსახურებს ჯერ არა სდომებიათ იმის შეშვება, მაგრამ ბენტეინს არნესთვის გაუსსენებია, ჩვენ ხომ ერთი მიწაწყლისანი ვართო; მაშინ არნეს გვერდზე მოუსვამს ბენტეინი და დაუწყიათ სმა. მერე არნესა და ბენტეინს შორის ჩხუბი ატეხილა, და არნე ისეთი გაშმაგებული სცემია ბენტეინს, რომ იმას, იქვე მაგიდაზე დანა დებულა, იმ დანისთვის დაუელია ხელი, და შიგ ყელში დაუკრავს არნესთვის, მერე გულშიაც ჩაუცია რამდენჯერმე, და არნეს, თითქოს მაშინვე სული დაულევიო.

ეპისკოპოსს ეს უბედურება ძალიან ახლო მიუტანია გულთან; პირადად უზრუნია, მიცვალებულისთვის ჩაეცმიათ და უბრძანებია, ამ სიშორე გზაზე მიცვალებული მის საკუთარ მსახურებს წამოესვენებინათ. ბენტეინისთვის ბორკილების დადება უბრძანებია, ეკლესიიდან განუდევნია და თუ ჯერ არ ჩამოუხრჩვიათ, მალე ჩამოახრჩობენო.

სულ ახალ-ახალი ხალხი შემოდიოდა ამბის გასაგებად და ხალვდანს ბევრჯერ მოუხდა გამეორება. ლავრანსმა და სიმონმაც დაინახეს, რომ სახლში რაღაც ჩოჩქოლი და ალიაქოთი ატყდა და ისინიც შემოვიდნენ. ლავრანსი ძალიან ააღელვა ამ ამბავმა; ცხენის შეკაზმვა უბრძანა, ახლავე უნდოდა ბრეკენს წასვლა. და როცა, ის იყო, უნდა გასულიყო, კრისტინის გაფითრებულ სახეს შეასწრო თვალი.

— შენც ხომ რა გინდა წამოსვლა? — ჰკითხა კრისტინს ლავრანსმა.

კრისტინმა ცოტა დააყოვნა პასუხი; ტახში გააკრეოლა, მაგრამ თავი დაუქნია — ხმა კი ვერ ამოიღო, ენა ჰქონდა ჩავარდნილი.

— კი არ შესცივდეს? — თქვა რაგნფრიდმა. — ხვალ ხომ სულის მოსასსენებელ წირვას გადაუხდიან და ხვალ წავალთ ყველანი...

ლავრანსმა ცოლს შეხედა; არც სიმონის სახის გამომეტყველება გამოჰპარვია, კრისტინთან მივიდა და მოეხვია.

— ნუ გავიწყდება, რომ ესა და არნე ერთი ძუძუთი არიან გაზრდილები; ეგებ, კრისტინს უნდა მიცვალებულის მოელაში უშველოს ინგას!

თუმც კრისტინს გული ეწურებოდა სასოწარკვეთილებისა და შიშისაგან, მაინც მადლობელი იყო მამისა და გულზე მალამოსავით მოხვდა იმისი ნათქვამი.

მაშინ რაგნფრიდმა უთხრა, ფაფა ეჭამათ, ვიდრე წავიდოდნენ, რაკი კრისტინიც მამასთან ერთად აპირებდა წასვლას. რაგნფრიდმა მოინდომა ინგასთან ტილოს თახახიანი ზეწარი, ცვილის სანთელი და ახლი გამომცხვარი პური გაეტანებინა და ისიც დააბარა, ინგას უთხარით, მე თვითონაც მოვალ და ხელს წავახმარებო.

ვახშმად რომ ისხდნენ, თითო ლუკმა თუ გაღეჭეს, ყველას კრიჭა ჰქონდა შეკრული, ლაპარაკით კი ბევრი ილაპარაკეს. მოიგონეს, რამდენი განსაცდელი დაატეხა თავს ღმერთმა გიურდსა და ინგას. ხან ზვაკმა დაუნგრია სახლ-კარი და კარმიდამო, ხან წყალდიდობამ წალეკა, უფროსი შვილები ბევრი დაეხოცა, ამრიგად, არნეს დაძმანი ჯერ ისევ ბალღები იყვნენ. ბოლო დროს კი, თითქოს, ბედმა გაუღიმათ, რაც ეპისკოპოსმა გიურდი თავის მმართველად დანიშნა ფინსბრეკენში, ხოლო რაც შვილები შერჩა, ყველანი ლამაზები იყვნენ და კარგ იმედებსაც იძლეოდნენ, მაგრამ დედას ყველას თავს არნე ერჩია...

მამა ეირიკსაც იცოდებდნენ, მღვდელს ყველანი პატივსა სცემდნენ, უყვარდათ და ამაყობდნენ მამა ეირიკით; განსწავლული და კარგი გამოცდილი მღვდელი იყო, და რაც ხანი ეკლესიას ემსახურებოდა, დღესასწაული იყო, — წირვა თუ ლოცვა, ყველაფერს, თავის რიგსა და წესზე ასრულებდა. ახალგაზრდობაში სამხედრო სამსახურში ემსახურა ტურნბერგელ გრაფ ალფასთან, მაგრამ ღმერთი გაუ-

წყრა და ვიღაც დიდი გვარის კაცი შემოაკვდა, ამიტომ ეპისკოპოსთან უნდა შეეფარებინა თავი ოსლოში; როცა ეპისკოპოსმა დაინახა, რა ხიფი ჰქონდა მწიგნობრობისა, მღვდლად დაუწყო მომზადება, და, მტრები რომ არა ჰყოლოდა, ისინი დღესაც არ უსვენებდნენ, და დღესაც გადაკიდებულები იყვნენ ამ ძველისძველ მკვლელობის გამო, რა თქმა უნდა, აქ არ იჯდებოდა ამ პატარა ეკლესიის მღვდლად. მართალია, ფულზე ხარბი იყო, თავის ქისასაც მაგრად უჭერდა ხელს და ეკლესიის ქისასაც. სამაგიეროდ, ახლა ეკლესიას ჭურჭელი, შესამოსი და წიგნები მრავლად მოეპოვებოდა; ეს მისი შვილები ხომ — თავის დღეში კარგი არაფერი უნახავს თავის შთამომავალთაგან, არაფერი, მწუხარებისა და ვარამის გარდა. სოფლის ხალხი უსამართლობად თვლიდა, რომ მღვდლებს ბერებივით ეცხოვრათ, მაშინ, როცა მაინც სჭირდებოდათ სახლ-კარის მიმხედავი მოახლე თავიანთ მამულში. მაშ, როგორ უნდა წასულიყვნენ იოლად, ვინ მიხედავდა იმათ სახლ-კარს, თუ ქალი არ იტრიალებდა ოჯახში! ახლა რამდენი სიარული უხდებოდათ შორსა და მიუვალ ადგილებში, სულ ერთია, რა ამინდიც უნდა ყოფილიყო — დარი იქნებოდა თუ ავდარი. გარდა ამისა, ხალხს ის დროც კარგად ახსოვდა, როცა ნორვეგიაში მღვდლები ცოლიანები იყვნენ. ამიტომ დიდ ცოდვად არ მიაჩნდათ, რომ მამა ეირიკს სიყმაწვილეშივე სამი შვილი შეეძინა იმ ქალთან, ვინც მის სახლ-კარს უვლიდა. მაგრამ ამ საღამოს ხალხი მაინც ამბობდა; ალბათ, ღმერთი სჯის მამა ეირიკს, ბიწიერი ცხოვრებისათვის, იმდენი სიმწარე ნახა თავისი შვილებისა და შვილიშვილებისაგანო! ვიღაცამ ისიცა თქვა, ალბათ, არის რაღაც საფუძველი, რომ მღვდლებს ცოლ-შვილის ყოლა ეკრძალებათ, ახლა, უეჭველია, უსიამოვნება და მტრობა ჩამოვარდება მღვდლისა და ფინსბრეკენელების ოჯახებს შორის, წინათ კი კარგი მეგობრები იყვნენო.

სიმონმა მშვენივრად იცოდა, როგორ იქცეოდა ბენტეინი ოსლოში და ეს უამბო ყველას. ბენტეინი მწერლად დაუდგა წმიდა მარიამის ეკლესიის მღვდელს და ამბობენ, ნიჭიც გამოიჩინაო, ბევრ ქალსაც მოსწონდა, — ისეთი თვალები აქვს, ენასაც ჭალი არ მოედება. ზოგი ლამაზ კაცადაც თვლიდა — უფრო გათხოვილი ქალები, ვინც ფიქრობენ, ქმრებში ბედი არა გვქონდაო, და იმ ჯურის ყმაწვილი ქალებიც, ვისაც ისეთი კაცები უყვართ, ვინც თამამად ექცევა იმათ. სიმონს გაეცინა — თქვენ, რა თქმა უნდა, გესმით, ჰოდა, ბენტეინს ისე

ეშმაკურად ეჭირა თავი, რომ შორს არ შეტოპავდა მაგნაირ ქალებთან; იმათთან ცარიელ ლაპარაკს სჯერდებოდა, ამიტომაც დაიმსახურა უბიწო ადამიანის სახელი. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მეფე ხოკონს, ღვთის მოშიშსა და მაღალი ზნეობის ადამიანს, სურდა, თავისი ხალხი მიეჩვია, რომ სათნოდ და წესიერად მოქცეულიყვნენ — სხვანი თუ არა, ახალგაზრდობა მაინც; სხვებს ისე ადვილად ვერ მოარჯულებდა. ჰოდა, ახლა ასე აქვთ შემოღებული, მეფის კარის მღვდელმა მუდამ იცის, რა ოინებსაც სჩადიან ჩუმ-ჩუმად ყმაწვილი კაცები — ქეიფი იქნება, ბანქოს თამაში, ლოთობა თუ სხვა რამ ამგვარი; თავზეხელაღებულები იძულებული არიან აღსარება უთხრან მღვდელს, ცოდვები მოინანიონ და მერე სასჯელიც მოიხადონ. ორი-სამი ყველაზე თავზეხელაღებული ჭაბუკი კი სულაც გამოაგდეს. ჰოდა, ბოლოს გამოაშკარავდა, რომ მათ შორის ეს მელია— მდივანი ბენტეინიც ერია: ჩუმ-ჩუმად დაძვრებოდა თურმე ყველა ლუდხანებსა და უფრო უარეს სახლებში; ისმენდა ცუდი ქცევის ქალების აღსარებებს და ცოდვებს უტევებდა...

კრისტინი დედის გვერდით იჯდა, არ უნდოდა ვისმეს შეემჩნია რა დღეშიც იყო და ცდილობდა გაეღეჭა რამე, მაგრამ ხელები ისე უკანკალებდა, რამდენიც კოვზი ჩაყო ხალიფაფაში, იმდენი დაეწუწა. ენა ხომ შეშასავით ედო პირში და პურის ერთი ლუკმა ვერ გადაყლაპა, მაგრამ, როცა სიმონმა ბენტეინზე დაიწყო ლაპარაკი, მაშინ კი ვეღარ შესძლო ეთვალთმაქცა, ვითომდა ჭამდა, ორივე ხელი ძელსკამს ჩასჭიდა, რომელზედაც იჯდა, — ისე შეზარა და ისე შეეზიზღა, რომ თავბრუ დაესხა, თითქოს გულისრევაც იგრძნო. და იმას, ბენტეინს ეწადა...: ბენტეინი და არნე, ბენტეინი და არნე... მოთმინება აღარა ჰყოფნიდა, როდის გაათავებდნენ ვახშამს... გაგიჟებით უნდოდა ენახა არნე, არნეს ლამაზი სახე, მუხლი მოეყარა მის ცხედართან, მწუხარებას მისცემოდა და დავიწყებისთვის მიეცა ამ ქვეყნად ყველაფერი.

ჩაცმას რომ შველოდა, დედამ ლოყაზე აკოცა კრისტინს. დედის ალერსს გადაჩვეულ კრისტინს ამ მიალერსებამ მწუხარება შეუმსუბუქა; ერთი წამით დედას მხარზე დაადო თავი, მაგრამ ცრემლი მაინც ვერ გადმოაგდო.

ეზოში გასულმა კრისტინმა დაინახა, რომ კიდევ რამდენიმე კაცი აპირებდა იმათთან ერთად წასვლას — ხალვდანი, ლეუგარბრუელი

ონი და სიმონი თავისი მსახურით. და იმ აზრმა, რომ ორი უცხო ადამიანი უნდა წაჰყოლოდათ თან, აუტანლად ატკინა გული.

იმ საღამოს მწარედ ყინავდა და შორს გაიგონებდა ადამიანი, ფეხქვეშ ისეთი ხრაშახრუში გაჰქონდა თოვლს; ვარსკვლავები მოქუფრულ ცაზე თრთვილივით ბრწყინავდნენ. დიდი გზა არ გაუვლიათ, უცნაური ღრიანცელი, ყიჟინა და თქარათქური მოესმათ, სამხრეთით, გაშლილი მდელოებიდან, გიჟებივით მოაჭენებდნენ ცხენებს,— ცოტაც გაიარეს და დამთხვეული ცხენოსნები იარაღის ჩხარაჩხურით წამოეწივნენ და გადაუსწრეს; მგზავრები მოერიდნენ და გზიდან სქლად დადებულ თოვლში გადაუხვიეს. მაგრამ სახეში მაინც ეცათ დათოვლილი გაოფლიანებული ოხშივარავარდნილი ცხენების სუნი. თუმც ხალვდანი შეეხმიანა აყიჟინებულ მხედრებს — ყმაწვილი ბიჭები იყვნენ, მრევლის სამხრეთით მცხოვრებ მოსახლეთა შვილები, ჯერ ისევ დღესასწაულობდნენ შობას და ცხენები შესაჯიბრებლად გამოეყვანათ: ზოგი ისეთი მთვრალი იყო, ვერაფერი გაეგო და ღრიანცელითა და ფარების ზრიალით ჩაუქროლა მგზავრებს. ორმა-სამმა კი გაიგონა, რაც ხალვდანმა დაუძახა, ცხენები შეაყენეს, ამხანაგებს ჩამორჩნენ, გაყუჩდნენ, ლავრანსის თანამგზავრებს შეუერთდნენ და ხმადაბალი ბაასით მხარდამხარ გაჰყვნენ უკან მიმავალ ცხენოსნებს.

ძლივს, მდინარე სილის გაღმა, მაღლობზე შეფენილი ფინსბრეკენიც გამოჩნდა. შენობებს შუა რაღაც ანათებდა — შუა ეზოში თოვლის ზვინებზე ფისის ჩირაღდნები დაერჭოთ, ალის წითელი შუქი თოვლით გადაქათქათებულ ფერდობებზე ფარფატებდა, ხოლო ჩაშავებულ სახლებზე კი ჩირაღდნების შუქი, გეგონებოდა შემხმარი სისხლიაო. არნეს ერთ-ერთ უმცროს დას ლაბადის ქვეშ გულზე დაეკრიფა ხელები, იდგა ერთ ადგილზე და ხან ერთ ფეხს აიკანჭურებდა, ხან მეორეს. კრისტინმა აკოცა ნამტირალევ, გათოშილ ბავშვს. მას გულზე მძიმე ლოდი აწვა, ფეხები ტყვიასავით ჰქონდა დამძიმებული სტაბიურის სხვენზე რომ ადიოდა, სადაც მიცვალებული ესვენა.

კარებშივე გაიგონეს გალობის ხმა და თვალებში შემოანათა მრავალმა ალაპლაპებულმა სანთელმა. ოთახის შუაგულში ჯოჯგინებზე გადებულ ფიცრებზე ზეწარგადაფარებული კუბო იდგა, ამ კუბოთი

მოესვენებინათ არნე; კუბოს თავთით ახალგაზრდა მღვდელს ხელში ლოცვანი ეჭირა და გალობდა; გარშემო დაჩოქილ ხალხს სახეები სქელ ლაბადებში ჩაემალათ.

ლავრანსმა კუბოსთან დანთებულ სანთელს მოუკიდა სანთელი, ფიცარზე მიაკრა და დაიჩოქა, კრისტინმაც მოუკიდა სანთელს და იმასაც უნდოდა ფიცარზე მიეკრო, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა; მაშინ სიმონმა გამოართვა სანთელი და ფიცარს მიაკრა. ვიდრე მღვდელი გალობდა, მუხლმოყრილი ხალხი ჩურჩულით იმეორებდა ლოცვას.

ყველას პირიდან ოროქლი ამოსდიოდა, ისე ყინავდა სხვენზე.

როცა მღვდელმა ლოცვანი დახურა, ყველანი ფეხზე წამოდგენენ, — ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა, კარგა ბლომა ხალხს მოეყარა თავი, — ლავრანსი ინგასთან მივიდა. ინგა ისე მიშტერებოდა კრისტინს, გეგონებოდა, არ ეყურება, ლავრანსი რას ეუბნებაო. ხელში რაგნფრიდის გამოგზავნილი ზეწარი, სანთლები და პური ეჭირა, მაგრამ თითქოს არც ესმოდა, თუ ხელში ეჭირა რამე.

— მაშ, შენც მოხვედი, კრისტინ? — უთხრა ინგამ უცნაური, ჩახუთული ხმით. — იქნებ გინდა ნახო, როგორი დამიბრუნდა შვილი?

ორი-სამი სანთელი იქით გადადგა, აკანკალებული ხელი კრისტინს იდაყვში წაავლო, მეორე ხელით კი სახეზე დაფარებული ნაჭერი მოჰგლიჯა მიცვალებულს.

არნეს მოყვითალო-მიწისფერი სახე თიხისა გეგონებოდა, ტუჩებზე კი ტყვიის ფერი დასდებოდა; ღიად დარჩენილი პირიდან თანაბარი, წვრილი, პერივით თეთრი კბილები უჩანდა, და თითქოს დაცინვით ელიმებოდა. გრძელ წამწამებშუა გაყინული, შუშასავით თვალები უჩადა, ხოლო ყბები საფეთქლებთან დალიბრული და ჩაშავებული ჰქონდა — ვერ გაიგებდი დაშავებული იყო თუ ლაქები გასჩენოდა გვამს რომ გაუჩნდება ხოლმე.

— იქნებ ახლაც გინდა, აკოცო? — ჰკითხა ინგამ ისევ სულშეხუთულმა, კრისტინიც მორჩილად დაიხარა და ტუჩებით დაეკონა მიცვალებულის ლოყას. ლოყა თითქოს ნამისაგან ნოტიო ჰქონდა და ისე მოეჩვენა, თითქოს გახრწნილი გვამის სუნიც ეცა; ამდენი სანთლების სიცხოველისაგან გვამმა თანდათან ლღობა დაიწყო.

დაჩოქილი კრისტინი კვლავ კუბოს ჩასჭიდებოდა და წამოდგომა არ ძალუძდა. ინგამ უფრო გადახადა სუდარა არნეს, კრისტინმა ლა-

ვიწზემოდან დანით მიყენებული დიდი ჭრილობა დაინახა. ინგა შეკრებილთ მიუბრუნდა და აკანკალებული ხმით უთხრა:

— ჩანს, ხალხი მიჰქარავს, როცა ამბობს, მიცვალებულს ჭრილობა გაეხსნება, თუ ის მიეკარა, ვისი მიზეზითაც მოკვდაო. ახლა აღარც ისეთი მხურვალეა ჩემი ბიჭი და აღარც ისეთი ლამაზი, როგორიც მაშინ იყო, უკანასკნელად, მის შესახვედრად რომ გახვედი გზაზე. გეტყობა, ახლა აღარ გესიამოვნება მისი კოცნა, მაგრამ მაშინ თურმე პირს არ არიდებდი!..

— ინგა, — ინგასთან მივიდა ლავრანსი და შეუტია, — ჭკუაზე შეიშალე, — თუ ჰბოდავ!..

— დიახ, ისეთი დიდი ვინმეები გახდით თქვენ, იორიუნდგორდელები... ძალიან მდიდარი კაცი ბრძანდები, ლავრანს, და ჩემი შვილი, აბა, შენ სად შემოგწვდებოდა, იმის ფიქრსაც ვერ გაბედავდა, მაჰანკლები მოეგზავნა და პატიოსნად ეთხოვა შენი ქალი... და ალბათ თვითონ კრისტინიც ფიქრობდა, არნე რა ჩემი საკადრისიაო, მაგრამ იმისთვის კი არა სწუნობდა ღამე შარა-შარა ედევნა და იმ საღამოს ბუჩქებში ეღლაბუცა იმასთან, როცა არნე გზაზე იდგა ხამარში წასასვლელად გამზადებული: აბა, ჰკითხე ერთი, უარის თქმას თუ გაბედავს აქ, არნეს ცხედართან — და მისი სიკვდილის მიზეზიც თვითონ კრისტინი და მისი თავაწყვეტილობაა...

ვამოძიების დრო არ იყო, და ლავრანსი გიურდს მიუბრუნდა.

— დააოკე შენი ცოლი, თვითონაც არ ესმის, რასა ლაპარაკობს.

ამ დროს კრისტინმა ასწია გაფითრებული სახე და სასოწარკვეთილებით მოავლო ყველას თვალი.

— არნემ მთხოვა გამოდიო და მეც იმიტომ გავედი შესახვედრად იმ საღამოს ხამარში რომ მიდიოდა, მაგრამ ჩვენს შორის არაფერი ყოფილა დასაგმობი და შეუწყნარებელი. — და უცებ, თითქოს ძალა მოიკრიბა და ერთბაშად მიხვდა ყველაფერსო, ხმამაღლა შესძახა:— არ ვიცი, ინგა, შენ რის თქმა გინდა, ნუთუ შენ ცილსა სწამებ არნეს, როცა ის აქ, ჩვენს წინ ასვენია? არნეს თავისდღეში არც ჩემი მოტყუება უფიქრია, და არც ჩემი შეცდენა!..

ინგას ამის თქმაზე ხმამაღლა გაეცინა.

— არა, არნემ კი არა! ხუცესიანთ ბენტეინმა არ გაგათამაშებინა თავი, როგორც არნეს ათამაშებდი! აბა, ერთი გიუნხილდსა ჰკითხე, ლავრანს, იმან ჩამოსწმინდა შენს შვილს ბეჭებიდან ტალახი, ან ჰკი-

თხე ვისაცა გნებავს, ვინც ახალწლის წინა ღამეს ეპისკოპოსის სამოახლოში იყო, როცა ბენტეინმა დაცინვა დაუწყო არნეს, კრისტინი როგორ გაუშვი, და შენ პირში ჩალაგამოვლებული და გაპამპულებული დარჩიო! მე კი, ნება მომცა, იმის ლაბადაში გავხვეულიყავი, ისე გავყოლოდი და უნდოდა მეც შენსავით გავეთამაშებინეო...

ლავრანსი ინგას მხარში სწვდა და პირზე ხელი მიაფარა.

— აქედან მოაშორე შენი ცოლი გიურდ! შენ კი გრცხვენოდეს, ინგა, რომ ამისთანა სისულელეებსა ლაპარაკობ ამ პატიოსანი და ღირსეული ჭაბუკის ცხედართან, მაგრამ ყველა შენი შვილები რომ მკვდრები გესვენონ აქ, მაინც ყურს არ ვათხოვებდი მაგ შენს ლაპარაკს, ჩემი შვილის ცილისწამებას. შენა გიურდ, შენ გამცემ პასუხს იმაზე, რაც ამ შეშლილმა დედაკაცმა დაროშა.

გიურდმა ხელი კი წაავლო ცოლს გასაყვანად, მაგრამ ლავრანსს მაინც უთხრა:

— შენ კი ჯავრობ ლავრანს, მაგრამ არნესა და ბენტეინს მართლა კრისტინზე მოსვლიათ ლაპარაკი იმ საღამოს, როცა ჩემი შვილი სიცოცხლეს გამოასალმეს. შენ, რა თქმა უნდა, არაფერი გაგიგონია, მრევლში კი შემოდგომაზეევე იყო ეს მითქმა-მოთქმა.

სიმონმა მახვილი დაჭრა გვერდზე მდგარ ზანდუკს.

— არა, კეთილო ხალხო, თქვენ სხვა რამ უნდა მონახოთ სალაპარაკოდ ამ მწუხარების სავანეში, და არა ენები მოიქავოთ ჩემს საცოლედ სახელდებულ ქალზე!.. მღვდელო, ნუთუ ვერ დააჩუმებ ამ ხალხს, და ვერ ეტყვი, აქ ისე ეჭიროთ თავი, როგორც მიცვალებულის პატივისცემა მოითხოვს?

მღვდელმა, — კრისტინმა მხოლოდ ახლა გაარჩია საშობაოდ ჩამოსული ულსვოლდელების უმცროსი შვილი, — კვლავ გადაშალა ლოცვანი და ფიცარნაგთან დადგა. მაგრამ ამ დროს ლავრანსმა მუქარით შესძახა, ვინც არ უნდა იყოს, ყველას ვანანებ, ვინც ჩემს ქალზე ილაპარაკაო, ინგამ კი ისევ მწარედ მორთო ტირილი:

— მეც ჩამკალი, მეც ისე ჩამკალი ლავრანს, როგორც შენმა შვილმა ჩაჰკლა მთელი ჩემი სიხარული და ნუგეში წამართვა, მე ჩამკალი და ქორწილი გადაუხადე, შენს ქალსა და მაგ რაინდის შვილს, მაგრამ ხალხმა იცის, რომ შენი ქალი ბენტეინმა შარაგზაზე გაიხადა ცოლად!.. აჰა! — და კრისტინს კუბოს ზემოდან ესროლა ლავრანსის მიტანილი ზეწარი. — არნეს სამარისათვის მოსართავად რაგნფრიდის

გამოგზავნილი ტილო არა მჭირდება! შენ უფრო გამოგადგება კრისტინ, გათხოვილი ქალის მანდილის გასაკეთებლად, ან ჩვრებად შეინახე შენი ნაბიჭვარის გასახვევად, გიუნხილდთან გასწი და ერთად იგლოვეთ იმის ჩამოხრჩობილი ვაჟიშვილი!..

ლავრანსმა, გიურდმა და მღვდელმა ხელი სტაცეს ინგას. სიმონს კრისტინის წამოყენება უნდოდა, ის დაცემულიყო და თავი ფიცარნაგზე დაერტყა. კრისტინმა მოიშორა სიმონის ხელი, დაჩოქილივე გასწორდა წელში და მაღალი ხმით შესძახა:

— ისე მიშველე, უფალო მხსნელო, ჩემო, როგორც ეგ ტყუილია! — ხელი გასწია და სანთლის ალზე დაიჭირა, რომელიც კუბოსთან ყველაზე ახლოს ენთო.

ალი თითქოს ხელისკენ მიიზნიქა და გვერდზე გადაიწია, — კრისტინმა იგრძნო, ყველას მისკენ მოეპყრო თვალები, — ერთბაშად მოეჩვენა, თითქოს ძალიან დიდი ხანია, რაც ალზე უჭირავს ხელი, მწარე ტკივილმა დაუარა ხელისგულში, გულშემზარავად შესწივლა და იატაკზე დაეცა.

ეგონა, გონება დავკარგეო, მაგრამ იგრძნო, რომ სიმონმა და მღვდელმა ასწიეს. ინგა ხამუშხამუშ ისევ რაღაცას წამოიყვირებდა ხოლმე; კრისტინმა დაინახა მამის შეშინებული სახე, გაიგონა, მღვდელი ყვიროდა, არავინ ასეთ დღეში ასეთ განსაცდელში არ უნდა ჩაიგდოს თავი, არ შეიძლება, ამგვარად მოიხმო ღმერთი მოწმედო!.. სწორედ ამ დროს სიმონმა ოთახიდან ხელში აყვანილი გამოიყვანა კრისტინი და კიბეს ჩაჰყვა. სიმონის მსახური თავლისკენ გაიქცა და ჯერ გონს არც კი იყო მოსული, სიმონის ლაბადაში გახვეული კრისტინი რომ სიმონს წინ უჯდა უნაგირზე და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სოფლისაკენ მიაქროლებდა ცხენს.

თითქმის იორიუნდგორდს იყვნენ მიტანებულები, ლავრანსიც დაეწიათ. კარგა ჩამორჩენილი დანარჩენი ცხენოსნები ხათქახუთქით მოჰქროდნენ გზაზე.

— დედაშენთან კრინტი არ დასძრა, — უთხრა სიმონმა კრისტინს, როცა შესასვლელ კართან ცხენიდან ჩამოსვა.—ამ საღამოს მეტისმეტად ბევრი უგუნური და გიჟური ნათქვამი მოვისმინეთ; გასაკვირი არ არის, თუ, ბოლოს და ბოლოს, თვითონ შენც დაკარგე გონება!

რაგნფრიდი დაწოლილიყო, მაგრამ ჯერ არ ეძინა, ისინი რომ შევიდნენ გამოკითხვა დაუწყო, რა და როგორ იყო გლოვის ოთახ-

ში, სადაც მიცვალებული ესვენაო. სიმონმა იდო თავს ყველას მაგივრად პასუხი გაეცა. დიახ, ბევრი სახთელი ენთო და ხალხიც მრავლად იყო. მღვდელიც იყო — ულვსვოლდელი ტურმუდი, მამა ეირიკზე კი თქვეს, ამ საღამოსვე წასულა ხამარში, ასე რომ, თუ რამ საჩოთირო იყო დამარხვასთან დაკავშირებული, ყველაფერი მოგვარდაო.

— ჩვენ უნდა ვაწირვინოთ არნეს სულის მოსახსენებლად, — თქვა რაგნფრიდმა: — ღმერთო, შენ მიეც შემწეობა ინგას, რა მძიმე განსაცდელი არგუნა ღმერთმა ამ კეთილსა და ღირსეულ ქალს!

ლავრანსი ბანს აძლევდა სიმონს; პატარა ხნის მერე სიმონმა თქვა, კრისტინი დაღლილია და დამწუხრებული, დროა ყველანი მოსასვენებლად წავიდეთო.

რაგნფრიდს მალე დაეძინა, ლავრანსმა პატარა ხანს მოიცადა, მერე, რაც ხელში მოხვდა, წამოიცვა, ქალის საწოლთან მივიდა და ნაპირზე ჩამოჯდა. სიბნელეში კრისტინის ხელი იპოვა და ძალიან ალერსიანად უთხრა:

— აბა, ახლა მიამბე, შვილო, რა არის მართალი და რა არის ტყუილი ინგას ნაუბედარში.

კრისტინმა სლუკუნით თავიდან უამბო ყველაფერი, რაც იმ საღამოს მოხდა, არნე რომ ხამარაში მიდიოდა. ლავრანსს გამოკითხვა აღარ დაუწყია. მერე კრისტინმა მამისაკენ მიიწია, კისერზე ხელები შემოხვია და ჩუმად, შესაბრალისი ხმით უთხრა:

— ჩემი ბრალია, მე მოვკალი არნე! ინგამ მართალი თქვა...

— არნემ თავადა გთხოვა, შესახვედრად გასულიყავი, — უთხრა ლავრანსმა და შვილს ტიტველა მხრებზე საბანი წამოუწია. — ყველაფერი ჩემი მოუფიქრებლობის ბრალია, ნება არ უნდა მომეცა ასე ხშირად ყოფილიყავით ერთად, მაგრამ არნე უფრო ჭკვიანი ბიჭი მეგონა... მე არც ერთს არ გამტყუნებთ, მესმის რა ძნელია შენთვის ყველაფერ ამის გადატანა! მაგრამ ჩემს სიცოცხლეში ვერ ვიფიქრებდი, თუ რომელიმე ჩემი ქალი სახელს გაიტეხავდა ჩვენს სამრეველოში... ან დედაშენს რა მოუვა, როცა მის ყურამდე მივა ეგ ამბავი... მაგრამ, რამ გაფიქრებინა, გიუნხილდთან წასვლა, იმის მაგივრად, რომ ჩემთან მოსულიყავი. ეგ როგორ მოგივიდა, ვერ გამიგია, ასე სულელურად რად მოიქეცი?

— არ შემიძლია, მე აქ ვეღარ დავრჩები, — ტიროდა კრისტინი, — თავი აღარ გამომეყოფა... რამდენი უბედურება დავატეხე ყველას — რუმიუნდგორდელებსაც და ფინსბრეკენელებსაც...

— მართალია, — უთხრა ლავრანსმა, — გიურდმა და მამა ეირიკმა უნდა იზრუნონ, რომ ეს ჭორები არნესთან ერთად დაიმარხოს, თუმც, ყველაზე უკეთესად ანდრესის შვილს სიმონს შეუძლია ჩააჩუმოს ყველანი, — უთხრა ლავრანსმა და სიბნელეში შვილს ალერსით ხელი გადაუსვა. — ხომ მართალია, სიმონს დღეს მოსაწონად და ღირსეულად ეჭირა თავი.

— მამი! — კრისტინი მამას მიეკრა და მხურვალედ და შესაბრალისად შეევედრა: — მონასტერში გამგზავნე, მამი! ყური დამიგდე, დიდი ხანია მაგაზე ვფიქრობ, მე რომ ულვხილდის მაგივრად წავიდე მონასტერში, ეგებ ულვხილდი მორჩეს. გახსოვს, ფეხსაცმელი, შემოდგომაზე მძივით რომ ამოვუქარგე ულვხილდს? მწარედ დავიჩხვლიტე და წმინდა ოქროს ძაფმაც სისხლი მადინა თითებიდან ისე დამიჭრა, მაგრამ მაინც ვუქარგავდი — ვფიქრობდი რა ცუდი ვარ, რაკი, არც ისე ძლიერ მიყვარს ჩემი და, რომ მოლოზნად შევიდე და ამით ვუშველო-მეთქი! არნემ ერთხელ მკითხა, როგორც ულვხილდს უპირებენ, შენც მოლოზნად წასვლა ხომ არ გერჩივნაო... მაშინ რომ მოლოზნად წასელაზე თანხმობა მეთქვა, ეს ამბავიც არ მოხდებოდა!..

ლავრანსმა თავი გადაქნია.

— დაწექი ერთი, დაწექი! — უთხრა ლავრანსმა. — შენ თვითონაც არ გესმის, რასა ლაპარაკობ, ჩემო საბრალოვ! სცადე, ეგებ როგორმე დაგეძინოს...

მაგრამ კრისტინს ძილი არ მიჰკარებია, დამწვარი ხელიც სტკიოდა, სასოწარკვეთილება და მწარე ფიქრები ხომ გულს შუაზე უპობდა. რაც ქვეყანაზე ქალებია, ყველაზე ცოდვილიც რომ ვყოფილიყავი, ამაზე უარესი მაინც არაფერი მომივიდოდა; ახლა, რა თქმა უნდა, ყველანი დაიჯერებენ... არა, აქ ვერ დავრჩები, აქ დარჩენა არ ძალმიძსო! — ფიქრობდა კრისტინი და ერთ საზარელ სურათს მეორე მოსდევდა... ხოლო, როდესაც დედაჩემიც გაიგებს ყველაფერს!.. მორჩა, სისხლია დაღვრილი ჩვენსა და სულიერ მამას შორის, შუღლი გაღვივდება ამ კეთილი მეგობრების შუა, ვინც, რაც თავი ახსოვს,

მის გარშემო იყვნენ, მაგრამ რა აუტანელმა, საზარელმა შიშმა მოიცვა, როცა მოაგონდა სიმონი, როგორ არც აცვა, არც აცხელა, ხელი დაავლო და შინ წამოიყვანა, იმის მაგივრად როგორ ლაპარაკობდა და ისე ექცეოდა, თითქოს ის უკვე სიმონის საკუთრება იყო! ნის დედ-მამას უკვე აღარაფერი ეკითხებოდა, თითქოს, ახლა უკვე სიმონს უფრო ეკუთვნოდა, ვიდრე იმათ...

მერე მოაგონდა კუბოს მწოლარე არნე მისი ცივი და კუშტი სახე. მოაგონდა, უკანასკნელად ეკლესიიდან მომაკვლმა რომ დაინახა პირდაღებული, ახალი გათხრილი საფლავი, რომელიც თავის მკვდარს ელოდა. დაფშხვნილი თუჯივით მაგარი, ცივი და რუხი მიწის გოროხები ეყარა თოვლზე, — აი, სად მიიყვანა მან არნე...

უცებ მრავალი წლის წინათ განვლილი ერთი ზაფხულის საღამო მოაგონდა. ფინსბრეკენში იყო, სწორედ იმ ოთახის წინ დერეფანში იდგა, სადაც ახლა მიწასთან გაასწორეს. ეზოში არნე და არნეს ამხანაგები ბურთაობდნენ, ბურთი დერეფანში შემოუვარდათ, როცა არნე ბურთისთვის ამოვიდა, კრისტინმა ბურთი ზურგს უკან დამალა და არ ანებებდა. არნემ წართმევა მოუნდომა და ჯაჯგური დაუწყეს ერთმანეთს, მერე სხვენზე აცვივდნენ და ზანდუკებ შორის დასდევდნენ ერთმანეთს და ერთმანეთის დევნაში ჭერში ჩამოკიდებული ტანისამოსით გატენილ ტყავის ტომრებს ტყაპატუუპი გაჰქონდა იმათ თავებზე, ისინი კი გიჟებივით ხარხარებდნენ...

ახლა გაიგო კარგად, რომ არნე მოკვდა, სამუდამოდ გამოესალმა ამ ქვეყანას და თავის დღეში ვეღარ იხილავს მის ლამაზ, ვაჟკაცურ სახეს, ვერ იგრძნობს მისი გახურებული ხელების შეხებას. ის კი რა ბავშვურად, რა უგულოდ ექცეოდა, თავის დღეში არ უფიქრია, რა იყო არნესთვის მისი დაკარგვა!.. კრისტინი მწარე ცრემლებს ღვრიდა და ფიქრობდა, ჩემი ბრალია, ღირსი ვარ რაც მომივიდა, მაგრამ მაშინვე იქით გაუქანდებოდა გონება, კიდევ რა ელოდა ცხოვრებაში, და ახლა ის ატირებდა, მგონი, მაინც ძლიერ მკაცრად დავისაჯეო...

ყველაფერი, რაც წინა საღამოს ბრეკენს მოხდა, იმ ოთახში, სადაც არნე ესვენა, სიმონმა უამბო რაგნფრიდს. უამბო ის, რაც სათქმელი იყო, ზედმეტი არაფერი წამოსცდენია. მაგრამ კრისტინი ისე გატანჯა მწუხარებამ და უძილო ღამემ, რომ სულ უსაფუძვლოდ ეწყინა და გულიც მოუვიდა სიმონზე, ყველაფერზე ისე ლაპარაკობდა, ვითომდა, არც თუ ისეთი საშინელი რამ მოხდაო. ისიც აბრა-

ზებდა. როგორ იქცეოდნენ მშობლები, ისინი სიმონს ნებას აძლევდნენ, ისე დაეჭირა თავი, თითქოს და ის იყო ამ ოჯახის უფროსი.

— შენ ხომ არა გჯერა, ეგ მოჩმახული ამბები, სიმონ?—შიშით ჰკითხა რაგნფრიდმა.

— არა, — მიუგო სიმონმა. — არცა მგონია, ვისმეს სჯეროდეს.— თქვენ ყველა გიცნობთ, კრისტინსაც იცნობენ და ბენტეინსაც; მაგრამ აქ, ამ მიყრუებულ სამრეველოში, მაშ რაზე ილაპარაკონ; ამიტომ არც არის გასაკვირველი, თუ ხალხმა სალაპარაკო იშოვნა და ენა მოიქავა. მაგრამ ახლა თქვენ უნდა შეაგნებინოთ რომ, ვაითუ ყელზე დაადგეთ კრისტინის პატიოსანი სახელი აქაურ სულელებს... კრისტინი რომ ასე არ შეეშინებინა იმის საქციელს და მაშინვე თქვენთან გამოქცეულიყო ან მამა ეირიკთან წასულიყო — მე მგონია, ის გარყვნილი ხუცესი ბენტეინი სიხარულით დაუდასტურებდა, მხოლოდ და მხოლოდ მინდოდა გავხუმრებოდიო, შენ რომ იმისთვის ხელი მოგეკიდა, ლავრანს!

კრისტინის მშობლებმა კვერი დაუკრეს, ამაში სიმონი, რასაკვირველია, მართალი არისო. მაგრამ კრისტინმა ფეხი დააბაკუნა და შეჰყვირა:

— იმან ხომ წამაქცია!.. მე თვითონაც არ ვიცი, რასა სჩადიოდა,—ისე ვიყავი გაგიჟებული, არაფერი არც მახსოვდა და არც ვიცი... ეგებ მართლაც ასეა, როგორც ინგა ამბობს, — მას აქეთ ერთ ღღესაც აღარა ვყოფილვარ ჯანმრთელად და მხიარულად...

რაგნფრიდმა შეჰყვირა და ხელები გაასავსავა; ლავრანსი ფეხზე წამოიჭრა, სიმონსაც ფერმა გადაჰკრა, გამჭრიახი თვალით დაკვირვებით შეხედა კრისტინს, მივიდა, ნიკაპში ხელი წააკარა და გაეცინა:

— ღმერთმა გაკურთხოს, კრისტინ, — იმას რომ შენთვის რამე ექნა, ნუ გეშინია, არ დაგავიწყდებოდა! გასაკვირველი არაფერია იმ უბედური საღამოს შემდეგ, როცა ისე საძაგლად შეაშინეს, ავადაც ყოფილიყო და დანაღვლიანებულიც; ამას ხომ არაფერი უნახავს სიკეთისა და კეთილმოსურნეობის გარდა. — კრისტინის მშობლებს მიუბრუნდა სიმონი და უთხრა: — ბოროტი ადამიანის გარდა, ვინც მუდამ ცუდს უფრო მალე იჯერებს, ვიდრე კარგს, ყველა აშკარად შეატყობს, რომ კრისტინი უმანკო ქალია, და არა დედაკაცი!

კრისტინმა წვრილ ჯიუტ თვალებში შეხედა საქმროს. და ის იყო,

ასწია კიდეც ხელები — უნდოდა მოხვეოდა; რომ სიმონმა კელავ დაიწყო:

— ნუ გგონია, კრისტინ, რომ ეს ამბავი არასოდეს არ დაგავიწყდება. სულაც არა მაქვს განზრახვა, ახლავე ფორმოში დავსახლდეთ და შენ ხეობიდან არსად გადგა ფეხი. „არავის არა აქვს ერთნაირი ფერის თმა და არც ერთნაირ გუნებაზეა ადამიანი, ავდარსა და კარგ დარში“, უყვარდა თქმა მოხუც მეფე სვერეს, როცა მის მომხრე ბირკებეინერებს უსაყვედურებდნენ, გამარჯვება რად გაამაყებთო...

ლავრანსსა და რანგფრიდს გაეღიმათ — ეცინებოდათ, რომ ყმაწვილი კაცი ბრძენი ეპისკოპოსივით ლაპარაკობდა. სიმონმა კი ისევ განაგრძო:

— მე არ შემფერის ჭკუა გასწავლო მომავალ სიმამრს, მაგრამ, უზრდელობაში ნუ ჩამომართმევ, თუ ერთ რამეს გეტყვი, მე და ჩემი და-ძმები ბევრად უფრო მკაცრად ვეჭირეთ, ნებას არ გვაძლევდნენ თავისუფლად გვერბინა ჩვენს შინაყმებთან და მოჯამაგირეებთან, რასაც კრისტინი ბავშვობიდან არის შეჩვეული. დედაჩემი იტყოდა ხოლმე „ვინც მწყემსების შვილებთან თამაშობს, თმაში მკბენარიც იმას გაუჩნდება“. — ამაში ცოტაოდენი სიმართლე არის.

ლავრანსსა და რაგნფრიდს ამაზე პასუხი არ გაუციათ. კრისტინი კი მიტრიალდა, და წამიერად წამოელილი სურვილი სიმონს მოხვეოდა, სრულიად გაუქრა.

შუადღე იქნებოდა, ლავრანსმა და სიმონმა თხილამურები აიღეს და მთაში წავიდნენ, უნდა ენახათ, მახეში ხომ არაფერი მოხვდაო. კარგი ამინდი იყო, ეზე კაშკაშებდა და არც თუ ძალიან ციოდა. ორივესთვის სასიამოვნო იყო დროებით მაინც გასცლოდნენ შინ დასადგურებულ მუმუნვარებასა და ტირილს, იმიტომ წავიდნენ შორს, მდელოებზევით, მთის მწვერვალზე.

კლდის ძირში, მზეზე წამოწოლილები გემრიელად შეექცეოდნენ სასმელ-საჭმელს, ლავრანსმა არნეზე ჩამოუგდო ლაპარაკი — ძალიან მიყვარდა ის ჭაბუკი. სიმონიც ბანს აძლევდა, აქებდა განსვენებულს და ამბობდა, საკვირველი არ არის თუ კრისტინი თავის ძუძუმტეს სიკვდილსა სწუხსო. ლაპარაკმა მოიტანა და ლავრანსმა უთხ-

რა, მოდი, ნუ დავაჩქარებთ, დავაცადოთ, ვადროოთ, ცოტად თუ ბევრად მწუხარება გულიდან გადაიყაროს და მერე გადავიხადოთ ნიშნობა. კრისტინმა მითხრა, ძალიან მინდა დროებით მონასტერში წასვლაო.

სიმონი უცებ წამოჯდა და გაბმით დაუსტვინა.

— რაო, ჭკუაში არ გიჯდება? — ჰკითხა ლავრანსმა.

— არა, რატომაც არ მიჯდება, — არ დააყოვნა სიმონმა პასუხი. — მე მგონი, ეგ ყველაფერს აჯობებს, ძვირფასო სიმამრო! ერთი წლით გაგზავნეთ მოლოზნებთან ოსლოში — დაე, გაიგოს, როგორ ჭორაობს ხალხი ერთმანეთზე დიდ საზოგადოებაში. მე შორიდან ვიცნობ ზოგიერთ იქაურ ყმაწვილ ქალს, — თქვა და გაეცინა. — ისინი გულშეღონებულები არ გადავარდებიან და დარდისაგან არ დაიხოცებიან, თუ ორი დამთხვეული ყმაწვილი ბიჭი იმათი გულისათვის აკუწავს ერთმანეთს, ის კი არ გეგონოთ, რომ იმათთანა ქალი მინდა ცოლად, მაგრამ მე მგონი, კრისტინს არ აწყენს უცხო ხალხში გარეკვა.

ლავრანსმა რაც დარჩათ საჭმელი, პარკში ჩააწყო და ჭაბუკისთვის არ შეუხედია, უთხრა:

— მე მგონი, შენ კრისტინი გიყვარს...

არც სიმონს შეუხედია ლავრანსისათვის, წყნარად ჩაეცინა.

— თავად იცი, მე ვაფასებ კრისტინს და შენც გაფასებ, — აჩქარებით და დარცხვენით მიუგო სიმონმა, წამოდგა და თხილამურებს დაავლო ხელი. — ჯერ არავინ შემხვედრია, რომ შესართავად კრისტინზე ძალიან მომწონებოდა...

დიდი დრო არ იყო დარჩენილი აღდგომამდის, ხეობაში და მიოსენის ტბაზე ჯერ ისევ მარხილებით გადადიოდნენ, კრისტინი თავის ციცოცხლეში მეორედ გაემგზავრა სამხრეთს. სიმონიც ამოვიდა იორიუნდგორდში, კრისტინს უნდა გაჰყოლოდა მონასტრამდე, ამრიგად, ახლა ბეწვებში ჩაფუთნული კრისტინი მამისა და დანიშნულის თანხლებით მარხილით მისრიალებდა. უკან კი მსახურები და მარხილი მისდევდა. მარხილში მისი ბარგიბარხანით სავსე ზანდუკი იდგა და საჩუქრები, სურსათ-სანოვაგე და ბეწვეულობა ეწყო, ნონესეტერის დედათა მონასტრის იღუმენიასა და მოლოზნებისთვის მისართმევად.

I

აპრილი იწურებოდა, კვირა დილით, ადრიანად, ოსმიუნდის საღ-ღესასწაულოდ მორთულმა ნავმა კუნძულ ხუვედეის[1] შემოუარა. მონასტრის ეკლესიის ზარები რეკავდნენ და გაღმიდან ბანს აძლევ-დნენ ქალაქის ზარები. ხან ქარი შემოუბერავდა და მძლავრად ისმო-და მათი გუგუნი, ქარი ჩადგებოდა და ზარების რეკვაც მიწყდებოდა ხოლმე.

ბაცი, ბუმბულივით ღრუბლები გაშლილიყვნენ უძირო ცის ტიტ-ნობზე. მზე კი ხან აქ გაიბრჭყვიალებდა, ხან იქ, ჭავლით დაფარულ წყალზე. ნაპირებს უკვე გაზაფხულის იერი დასდებოდა, მინდვრებზე თოვლს იშვიათად თუ სადმე მოჰკრავდი თვალს. ბუჩქნარის ნორჩ ბარდებში ლურჯი ჩრდილები ჩამდგარიყო და მზის შუქი ყვითლად დასთამაშებდა. მაგრამ ქედებზე აყრილ მთელ აკერის თემს თითქოს არშიასავით შემოვლებულ ნაძვნარში, აქა-იქ კიდევ მოჩანდა თოვლი, და შორს დასავლეთისკენ ფიორდის გაღმა ლურჯი მთები კიდევ ბევრი თოვლის თეთრი ზოლებით იყო დასერილი.

კრისტინი, ლავრანსი და ოსმიუნდის ცოლი გიურიდი — ნავის ცხვირზე იდგნენ. კრისტინი გაჰყურებდა თვალწინ გადაშლილ ქა-ლაქს. მორუხო-მოყავისფრო ხის შენობებისა და კენწეროებგატიტ-ვლებულ ხეების უკან მოჩანდა ღიაფერის ეკლესიები და ქვიტ-კირის სახლები. ქარი უფრიალებდა კრისტინს ლაბადის კალთებს და კაპიუშონიდან გამოშლილ თმას უწეწავდა.

---

[1] ხუვედეი — კუნძულია, რომელიც მდებარეობს ოსლოფიორდის სიღრმეში, ვიდრე ოსლოს ნავსადგურში შევალთ, ძველად განთქმული იყო თავისი მონასტ-რით.

წინა დღეს სკუგში პირველად გამოუშვეს საქონელი ბოსლებიდან და კრისტინს უცებ მოენატრა მშობლიური სახლი, იორიუნდგორდი. ვინ იცის, ჯერ როდის გამოუშვებენ იქ საქონელს. სიყვარულითა და სიბრალულით მოაგონდა მძიმე ზამთარს გამოვლილი, გამქლეებული, ბნელ ბოსლებში დამწყვდეული ძროხები; ჯერ კიდევ დიდი დრო გავა, ვიდრე ბოსლის კარს გაუღებენ და გარეთ გამოლალავენ. მოაგონდა დედა, ულვხილდი, იმას და ულვხილდს ხომ სულ ერთად ეძინათ ჩახუტულებს, მოაგონდა პატარა რამბორგი... როგორ ნაღვლობდა უიმათობას... ყველანი ენატრება, ცხენებიც, ძაღლებიც, კორტელინიც, ის ხომ ულვხილდს მისცეს, ვიდრე კრისტინი შინ დაბრუნდება. ქანდარაზე წამოსკუპული არახჩინჩამოფხატული მამის მიმინოების ნახვაც კი მოენატრა, ქანდარების გვერდზე კი ცხენის ტყავის ხელთათმანები ჰკიდია, ხელთათმანებს იცვამენ, როცა მიმინოს დაისკამენ ხელზე და იქვეა სპილოს ძვლის პატარა ჯოხები ფრინველის დასაფხანად.

შარშან ზამთარს თავზე გადავლილი საზარელი ამბავი თითქოს დაავიწყდა კრისტინს და ახლა სახლი და იქაურობა აგონდებოდა ისეთი, როგორიც იმ ამბამდე იყო, თან ისიც უთხრეს, მრევლში შენზე ცუდს არავინა ფიქრობსო. მამა ეირიკს არა სჯერა, რაც ხალხმა მოჩმახა, შეწუხებულია და ბენტეინის საქციელით განრისხებულიო, ხოლო ბენტეინი გაქრა ხამარიდან; ამბობდნენ, შვედეთს გაიქცაო. ამრიგად, კრისტინის ოჯახსა და მეზობელ მამულში მცხოვრებთა შორის არ ჩამოვარდნილა ის მძიმე უსიამოვნება, რისაც ისე ეშინოდა კრისტინს.

ოსლოში მიმავალი მგზავრები გზად სიმონის ოჯახს ესტუმრნენ და კრისტინმა სიმონის დედა და და-ძმანი გაიცნო — რაინდი ანდრესი ჯერ ისევ შვედეთს იყო. კრისტინს იქაურობა არ მოეწონა, არც იქაურები მოეწონენ, და თავის თავზე ბრაზობდა, რომ დასაწუნი ვერაფერი უპოვა, და მაინც არ მოსწონდა. იმათკენ მიმავალი თავის თავს უმეორებდა, არავითარი საბუთი არა აქვთ იამაყონ და ჩემს ნათესავებზე მაღლა მიაჩნდეთ თავიო, — არავის გაეგონა ვინ იყო ბირკებეინერი, რეიდარ დარე, ვიდრე მეფე სვერემ დიუფრინელი ლენის მფლობელის ქვრივი არ შერთო. მაგრამ ისინი სულაც არ გამოდგნენ ამპარტავნები, ამპარტავნები კი არა, ერთ საღამოს თვითონ სიმონმა ასე იხუმრა თავის პაპის მამაზე: „ახლა დანამდვილე-

ბით გავიგე, მესავარცხლე ყოფილა პაპაჩემის მამა, და შენ, კრისტინ, ისე გამოდის თითქმის, მეფის ოჯახს უნდა დაუნათესავდეო[1].“ „ენას კბილი დააჭირე, ბიჭო“. — შეუტია სიმონის დედამ. მაგრამ მაინც ყველას მხიარულად გაეცინა. კრისტინს უცნაურად ეტანჯებოდა გული, მამას რომ უყურებდა; სიმონის ქილიკიან ლაპარაკზე მამას მალ-მალე ეცინებოდა და კრისტინი ფიქრობდა, ვინ იცის მამაჩემს თავისი ცხოვრება უფრო მხიარულად გაეტარებინა, ამდენი მწუხარება რომ არ დასტყდომოდა თავსო... მაგრამ ეს კი არ ესიამოვნებოდა, რომ მამას ძალიან უყვარდა სიმონი.

აღდგომა ყველამ სკუგში გაატარა. კრისტინი მალე მიხვდა, მისი ბიძა მკაცრად ექცეოდა თავის გლეხებსა და მოჯამაგირეებს, — კრისტინი შეხვდა ზოგიერთ მის მოჯამაგირესა და მოახლეს, იმათ რაგნფრიდი მოიკითხეს, ლავრანსს კი სიყვარულით იგონებდნენ; ლავრანსის ხელში უკეთესად ვცხოვრობდითო, ოსმიუნდის დედა, ლავრანსის დედინაცვალი ცალკე სახლში, განცალკევებით ცხოვრობდა, არც თუ ისე მოხუცი, მაგრამ ხიზმუხიანი და დაჩაჩანაკებული ქალი იყო. ოჯახში ლავრანსს დედინაცვალზე ლაპარაკი არ უყვარდა. ერთხელ კრისტინმა ჰკითხა, მამა, შენი დედინაცვალი მკაცრად ხომ არ გექცეოდაო, ლავრანსმა მიუგო: — „იმას ჩემთვის არც ავი გაუკეთებია, არც კარგი!“

კრისტინმა მამის ხელი იპოვა და იმანაც ხელზე ხელი მოუჭირა.

— შენ, უეჭველია, მოგეწონება, შვილო, ღირსეულ მოლოზნებთან ცხოვრება, იქ ხელის გასანძრევს გამოგიჩენენ რამეს, სულ შენ სახლსა და ოჯახზე ხომ არ უნდა ინაღვლო!

იალქნებგაშლილი ნავი ზედ ნაპირთან მიცურავდა და ისე ახლოს ჩაუარეს ქალაქს, რომ ნავსადგურებიდან ფისისა და დამარილებული თევზის სუნი სცემდათ. გიურიდი ეუბნებოდა კრისტინს რომელი ეკლესიები იყო, რა შენობები და რა ქუჩები მიჰყვებოდა ზღვის ნაპირიდან ფერდობს. კრისტინი წინათაც იყო აქ ნამყოფი, მაგრამ

---

[1] ნორვეგიაში გამეფებული დინასტიის ფუძემდებელი ბირკებეინერების მეთაური მეფე სვერე მესავარცხლის შვილი იყო, თუმცა თავს მეფის ძად ასაღებდა.

ღარაფერი ახსოვდა. მხოლოდ ხალვარდის ეკლესიის დიდრონი კოშკები მოაგონდა. მთელ ქალაქს დასავლეთის მხრიდან შემოუარეს და მონასტრის ნავსადგურს მიადგნენ.

კრისტინს აქეთ მამა მისდევდა გვერდში, იქით ბიძა, ასე ჩაუარა სხვადასხვა საწყობებსა და მინდვრებზე გაჭრილ გზაზე გავიდა. გიურიდს სიმონისთვის გაეყარა ხელი და უკან მოდიოდნენ. მსახურები ნავთან დარჩნენ, მონასტრის მუშები უნდა მიშველებოდნენ და ბარგი ურიკაზე დაეწყოთ.

ნონესეტერის დედათა მონასტერი და მთელი ლეირანი ქალაქის ხაზში იყო მოქცეული; გზაზე კი მხოლოდ აქა-იქ გაფანტული, ჯგუფ-ჯგუფად აშენებული სახლები ხვდებოდათ. მკრთალ ცის ლაჟვარდში მოლივლივე ტოროლების წკრიალი ისმოდა. მოტიტვლებულ თიხნარ ფერდობებზე ყვითლად აჭყიტავდა ბუჩქ-ბუჩქად ამოსული ვირისტერფას წვრილი ყვავილი. ღობეების ჩაყოლებით კი უკვე მწვანედ ბიბინებდა შარშანდელ ნაბალახარზე ამოსული ნორჩი ბალახი.

როცა ისინი მონასტრის ალაყაფის კარებში შევიდნენ და მთელი ეზოს ირგვლივ შემოვლებულ შუშაბანდში შედგეს ფეხი, ეკლესიიდან ჩამწკრივებულები გამოვიდნენ მოლოზნები: მოლოზნებს უკან ღია კარიდან მუსიკის ხმა და გალობა ისმოდა.

ძალზე დანაღვლიანებულმა კრისტინმა, თვალი გააყოლა უამრავ შავით მოსილ ქალს, თეთრი ტილოს თავსაბურველები ნიკაპამდე ჰქონდათ შემოხვეული. კრისტინმა რევერანსი გაუკეთა მოლოზნებს, ხოლო კაცები თავის დაკვრით მიესალმნენ და ქუდები გულზე მიიდეს. მოლოზნებს უკან მოსდევდნენ ყმაწვილი ქალები, ზოგი ჯერ ისევ ბავშვი იყო — ხამი შალის სქელი კაბები ეცვათ, წელზე თეთრი და შავი დაგრეხილი ქამრები შემოერტყათ; საღად გადავარცხნილ ნაწნავებშიც შავი და თეთრი ყაითნები ჰქონდათ ჩაწნული. კრისტინი ძალიან მორცხვობდა, მაგრამ თავისდა უნებურად მაინც ამაყად გადახედა ყმაწვილ ქალებს, ეშინოდა, სულელი მთიელი გომბიო არ ვეგონოო.

კრისტინი განცვიფრებული შეჰყურებდა ისეთი დიდებული და საუცხოო იყო მონასტერი. შიგნითა ეზოს ირგვლივ რუხი ქვის შენობები მისდევდა; ჩრდილოეთით ეკლესიის გვერდის კედელი გაჭიმულიყო და ახლომახლო სახლებს ზემოდან დასცქეროდა; სახუ-

რავი ორსაფეხურიანი იყო, დასავლეთით ბოლოში კოშკი აღმართულიყო. ეზოში ფილაქანი იყო დაგებული, გარშემო დერეფანი მიდევდა, რომლის სახურავი — ბანი — ლამაზ სვეტებს ებჯინებოდა. ეზოს შიგნით მოწყალე ღვთისმშობლის ქანდაკება იდგა, ღვთისმშობელს თავისი ლაბადა მუხლმოყრილი ხალხისათვის გადაეფარებინა.

ერთ-ერთი თეთროსანი და მივიდა მათთან და სთხოვა, გაჰყოლოდნენ იღუმენიის მისაღებ ოთახში. ფრუ გრუა, გიუტორმის ასული, მაღალ-მაღალი, კარგად შენახული ჭარმაგი მოხუცი იყო. ლამაზი იქნებოდა, წვერი და ულვაში რომ არა ჰქონოდა. გულიდან წამოსული ხმა კაცის ხმას უგავდა, მაგრამ გულთბილად იცოდა შეხვედრა, ლავრანსს უთხრა, შენს მშობლებს ვიცნობდიო, ცოლის ამბავი ჰკითხა, ისიცა ჰკითხა, ამის გარდა, თუ კიდევა გყავს შვილებიო. ბოლოს ალერსიანად მიმართა კრისტინს:

— გაქებენ, გეტყობა ჭკვიანიცა ხარ და კარგადაცა ხარ აღზრდილი, და, რა თქმა უნდა, საბაბს არც ჩვენ მოგვცემ უკმაყოფილონი დავრჩეთ შენი. გავიგე, დანიშნული ყოფილხარ, ამ კარგი გვარის პატიოსან ადამიანზე, სიმონ ანდრესის ვაჟზე, ვისაც აქ, ჩემს თვალწინ ვხედავ: ჩვენა გვგონია, მამაშენისა და შენი მომავალი ქმრის მხრიდან სანაქებოა, რომ ნება დაგრთეს, ცოტაოდენი დრო აქ დაჰყო, მარიამ ქალწულის სახლში და ვიდრე შენ თვითონ შეუდგებოდე ბრძანებების გაცემასა და ოჯახის გაძღოლას, ჯერ თავად უნდა მიეჩვიო სხვისი ბრძანების შესრულებას, მორჩილებას და სხვის მომსახურებას. ახლა კი მინდა, ჭკუის სასწავლებლად ერთი კეთილი რჩევა მოგცე: ეცადე, სიხარული ჰპოვო ლოცვასა და ღვთისმსახურებაში, მაშინ მიეჩვევი, რა გზასაც არ უნდა ადგე, მოიგონო ხოლმე შემქმნელი შენი სათნო ღვთის მშობელი და ყველა წმინდანნი, რომელთაც მოგვცეს საუკეთესო მაგალითები ძლიერებისა, სამართლიანობისა, ერთგულებისა და იმ სიქველისა, რითაც უნდა იყო მომადლებული, როცა შენს მამულსა და ხალხს გაუძღვები და შვილების აღზრდას შეუდგები. და კიდევ: ამ სახლში ისწავლი, რომ ყოველმა ადამიანმა უნდა იცოდეს, თავის დროის ფასი, ვინაიდან აქ ყოველი საათი განკუთვნილია გარკვეული საქმისა და სამუშაოსათვის. ბევრ ყმაწვილ ქალსა და დედაკაცს უყვარს დილდილაობით ლოგინში ნებივრობა, საღამოობით დიდხანს ჯდომა სუფრასთან და უშნო ლაქ-

ლაქი; თუმც შენ თითქოს მაგათთანებს არა ჰგავხარ. აქ ერთ წელიწადში შეგიძლია ბევრი რამ ისეთი ისწავლო, რაც ხელს შეუწყობს შენს ბედნიერებას როგორც აქ, ამ ქვეყნად, ისევე იმ ქვეყნადაც.

კრისტინმა რევერანსი გაუკეთა და ხელზე ემთხვია ფრუ გრუას. მერე ფრუ გრუამ კრისტინს უთხრა, მოლოზნების სასადილო ოთახში გაჰყოლოდა, საოცრად სქელ მოხუც მოლოზანი—დაი პოტენციას. აიცებსა და ფრუ გიურიდს კი სთხოვა, მასთან ერთად ესადილათ და სხვა ოთახში მიიპატიჟა.

მოლოზნების სასადილო ოთახი ლამაზი იყო, ფილაქანით დაგებული იატაკი და შუშებჩასმული, ისრებივით ფანჯრები ჰქონდა, სასადილო ოთახიდან კარი მეორე ოთახში გადიოდა, იქაც, ეტყობა, შუშები იყო ჩასმული ფანჯრებში, კრისტინმა დაინახა, რომ იმ ოთახშიაც ატანდა მზის შუქი.

მოლოზნები უკვე შემოსხდომოდნენ მაგიდას სადილის მოლოდინში — ხანში შესული მოლოზნები — ფანჯრებიანი კედლის გასწვრივ მიწა იყო დაყრილი და დატკეპნილი, ზედ ბალიშები ეწყო და იმაზე ისხდნენ. ყმაწვილი მოლოზნები და უთავშლო ბაცშალისკაბებიანი ყმაწვილი გოგოები — ხის ძელსკამზე ჩამწკრივებულიყვნენ მაგიდის მეორე მხარეს. გვერდზე ოთახშიც სუფრა იყო გაშლილი, მონასტერში მუდმივად მცხოვრებ ბინადართაგან ყველაზე პატივცემულთათვის და ერისკაც-მსახურთათვის; მათ შორის, რამდენიმე მოხუციც ერია. ყველა ამათ თუმც მონასტრის ტანსაცმელი არ ეცვათ, მაინც სადა მუქი ტანისამოსი ემოსათ.

მოლოზანმა დაი პოტენციამ კრისტინს მიუთითა, სად უნდა დამჯდარიყო ხის ძელსკამზე, თვითონ კი მაგიდის ბოლოში იღუმენიის საპატიო ადგილთან დადგა — დღეს იმ ადგილზე არავინ იჯდა.

ყველანი ფეხზე ადგნენ, როგორც მოლოზნების სასადილო ოთახში, ისევე გვერდზე ოთახში და მოლოზნებმა სადილის წინ ლოცვა წაიკითხეს. მერე წინ წამოდგა ახალგაზრდა, ლამაზი მოლოზანი, ორი ოთახის შუა, კარებში საწიგნესთან დადგა და ვიდრე სასადილო ოთახში დები თეთრსნები, ხოლო გვერდით ოთახში ორი უმცროსი მოლოზანი საჭმელ-სასმელს არიგებდნენ, მაღალი ლამაზი ხმით, ერ-

თი არ შეჩერებულა, და არც ენა წაბორძიკებია, წაიკითხა ამბავი, წმინდა თეოდორასი და წმინდა დიდიმისა.

კრისტინი სულ იმის ფიქრში იყო, სუფრაზე ეჩვენებინა თავისი კარგი მიხვრა-მოხვრა და თავის დაჭერა, ყველა დები და ყმაწვილი ქალები კეთილშობილურად იქცეოდნენ, და ისე ლამაზად სჭამდნენ, გეგონებოდა დიდებულ ნადიმზე მოპატიჟებული სტუმრები არიანო. საუკეთესო სასმელ-საჭმელი უხვად მოჰქონდათ; მაგრამ ყველანი თითის წვერებით ცოტ-ცოტას იღებდნენ ლანგრებიდან; საწებელი არავის არც სუფრაზე დაჰქცევია, არც ტანისამოსზე ჩამოუწუწია, თან ყველანი ისე წვრილად სჭრიდნენ ხორცს, რომ პირი არ ესვრებოდათ და ისე ფრთხილად და ფაქიზად სჭამდნენ, ჭლაპაჭლუპს ვერ გაიგონებდა კაცი.

კრისტინს ჭირის ოფლს ასხამდა, ვაითუ სხვებივით ჯეროვნად ვერ მოვიქცეო; გარდა ამისა, თავის ჭრელ ტანსაცმელში ყოფნაც ეჩოთირებოდა, ამ შავსა და თეთრებში ჩაცმულ ქალთა შორის — ასე ეგონა, ყველანი მას უყურებდნენ, და, ცხვრის მსუქან კერძს რომ სჭამდა, მარცხენა ხელის ორი თითით ძვალი ეჭირა, მარჯვენა ხელით კი ხორცსა სჭრიდა და თან ცდილობდა, დანა მსუბუქად და კოხტად ეხმარა, უცებ ყველაფერი გაუსხლტა ხელიდან და სუფრაზე აქეთ პურის ნაჭერი გადავარდა, იქით ხორცი, დანაც წკრიალით დაეცა ფილაქანზე.

სიჩუმეში განსაკუთრებით ძლიერ გაისმა დანის ზრიალი. კრისტინს ცეცხლი მოედო სახეზე. ის იყო, დანის ასაღებად უნდა დაკუზულიყო, რომ ამ დროს მასთან მივიდა დაი თეთროსანი, ის სანდლებით ჩუმად დადიოდა ოთახში, და ყველაფერი წამოუკრიფა; მაგრამ კრისტინმა პირი ვეღარაფერს დააკარა. თან იგრძნო თითიც გასჭროდა და ეშინოდა სუფრა არ გაესვარა, თითი კაბის ნაკეცში შეიხვია, იჯდა და ფიქრობდა ახლა ლამაზი ცისფერი მოსართავი კაბაც გამესვრება, ოსლოში წამოსასვლელად რომ მაჩუქესო, და ამ გაჭირვებაში ჩავარდნილს, სირცხვილისაგან მაღლა ვერ აეხედნა, თავის მუხლებს დასცქეროდა.

მაგრამ თანდათან უფრო მეტის გულისყურით უსმენდა მოლოზნის კითხვას. როდესაც მთავარმა გამგებელმა ვერ გატეხა ქალწულ თეოდორას სიმტკიცე — თეოდორას არც კერპებისთვის უნდოდა მსხვერპლის შეწირვა, არც ნებას აძლევდა, გაეთხოვებინათ იგი, —

მაშინ ბრძანა, თეოდორა საროსკიპოში წაეყვანათ. თუმცა გზად საროსკიპოსკენ მიმავალს იგი არიგებდა, გაიხსენე საკუთარი გაჩენა შენი, და შენი პატივცემული მშობლები, ვისაც სამარადისოდ მოსჭრი თავს და ჰპირდებოდა, ნებას მოგცემენ, მშვიდად იცხოვრო და ქალწული დარჩე, უკეთუ მხოლოდ წარმართ ქალღმერთს, დიანას იწამებო.

თეოდორა შეუპოვრად უპასუხებდა: „უბიწოება კანდელსა ჰგავს, უფლისადმი სიყვარული კი — ცეცხლის ალს. ის ეშმაკი რომ ვიწამო, ვისაც დიანას უწოდებენ, მაშინ ჩემს უბიწოებას ჩამქრალ ან ზეთჩაუსხმელ ჟანგიან კანდელზე მეტი ფასი არ ექნება. შენ ღალადშობილს მიწოდებ, მაგრამ ყველანი ხომ მონებადა ვართ შობილნი, რაკი ჩვენმა წინაპრებმა ეშმაკს მიჰყიდეს სული. ქრისტემ გამომისყიდა, მე. თავისუფალმყო და მე უნდა ვემსახურო მას, ამიტომ არ შემიძლია. ბის მტერზე გავთხოვდეო. ის გაუწევს მფარველობას თავის მტრედს; მაგრამ უკეთუ იგი მოინდომებს და მისი წმინდა სულის ტაძარს. ჩემს სხეულს შეაბღალვინებს, მაშინ ეს მე სირცხვილად და თავისმოჭრად არ ჩამეთვლება, თუკი თანხმობას არ მივცემ, მტრის ხელში ჩავაგდო მისი საკუთრება!“

კრისტინს გულმა დაგადუგი დაუწყო, ამ ამბავმა თითქოს მოაგონა, რაც ბენტეინთან გადახდა, თავზარი დასცა იმის გაფიქრებამ, ვაითუ მე თვითონ შევცოდეო: მაშინ ერთი წამითაც არ მოჰგონებია ღმერთი და არ შეევედრებია, დახმარება გაეწია. დაი ცეცილია გაბაგრძობდა დიდიმის ამბის კითხვას. დიდიმი იყო ქრისტიანი — მეომარი, მაგრამ ვიდრე თეოდორას შეხვდებოდა, ყველას უმალავდა თავის ქრისტიანობას, ზოგიერთი მეგობრის გარდა. და, აი, წავიდა დიდიმი იმ სახლში, სადაც ის ქალი მიიყვანეს, მისცა ფული ამ სახლის პატრონ დედაკაცს, და იგი პირველი შეუშვეს თეოდორასთან. თეოდორა დამფრთხალი კურდღელივით კუთხეში მიიყუჟა, მაგრამ დიდიმი ისე მიესალმა, როგორც დასა და საცოლეს უფლისას თვისას და უთხრა, შენ დასახსნელადა ვარ მოსულიო. პატარა ხანს ესაუბრა, მერე უთხრა: „განა შეუძლია ძმას სიცოცხლე დაიშუროს დის პატიოსნების დასაცავად?“ და ბოლოს თეოდორა მოიქცა ისე, როგორც დიდიმმა სთხოვა: ტანისამოსი გაცვალეს და დიდიმს ნება მისცა, მისთვის თავისი ჯავშანი ჩაეცმია; დიდიმმა თვალებზე ქუდი ჩამოაფხატა, ნიკაპი ლაბადაში ჩაუმალა და უთხრა, როცა გადიოდე,

სახე მოარიდე ხალხს, იმ ჰაბუკივით, ვისაც ერცხვინება ამისთანა სახლიდან გამოსვლაო.

კრისტინს არნე მოაგონდა და ძლივს შეიმაგრა ცრემლები. ის არ განძრეულა, გაშტერებული იყურებოდა წინ და თვალები ცრემლებითა ჰქონდა სავსე, ვიდრე მოლოზანმა ბოლომდე ჩაიკითხა: როგორ წაიყვანეს დიდიმი იმ ადგილისაკენ, სადაც უნდა ეწამებინათ, ხოლო თეოდორა გამოეშურა მთიდან, ჯალათს ფეხებში ჩაუვარდა და შეევედრა ნება მიეცათ, დიდიმის მაგივრად ის მომკვდარიყო. და ეს ორი, ღვთის მოშიში ადამიანი შეკამათდა, პირველს რომელს დაედგა თავზე მოწამებრივი გვირგვინი. მაშინ, ორივეს ერთ დღეს მოჰკვეთეს თავი. და მოხდა ეს 304 წლის ოცდარვა აპრილს ქრისტეს დაბადებიდან, ანტიოქიაში, როგორც ჩაწერა ეს წმინდა ამბროსიმ.

როცა ყველანი სუფრიდან წამოდგნენ, დაი პოტენცია კრისტინთან მივიდა და ლოყაზე ხელი ალერსიანად მოუთათუნა.

— ალბათ უდედობასა ნაღვლობ! — ამის თქმა იყო და კრისტინს ღაპაღუპით გადმოსცვივდა ცრემლები, მაგრამ მოლოზანმა ისე დაიჭირა თავი, თითქოს არც შეუმჩნევია, და კრისტინი იმ ოთახში წაიყვანა, სადაც უნდა ეცხოვრა.

ოთახი ეკლესიის წინ შუშაბანდთან მიდგმულ ერთ ქვიტკირის სახლში იყო, ლამაზი ოთახი გამოდგა, შუშებჩასმული ფანჯარა ჰქონდა. ბოლოში, ვიწრო კედელთან, დიდი ბუხარი იყო. გრძელი კედლის გასწვრივ ექვსი საწოლი იდგა, მეორე კედლის გაყოლებით ყმაწვილი ქალების ზანდუკები ჩაემწკრივებინათ.

კრისტინს უნდოდა ნება დაერთოთ, ერთ პატარა გოგონასთან დაეძინა, მაგრამ დაი პოტენციამ კრისტინთან მსუქანი ქერა ყმაწვილი ქალი იხმო.

— ეს ინგებიერგია, ფილიპუსის ასული, შენ და ეგ ერთად დაიძინებთ. ახლა თქვენ იცით, გაიცანით ერთმანეთი! — ეს უთხრა და წავიდა.

ინგებიერგმა მაშინვე ხელი ჩასჭიდა კრისტინს და ატიკტიკდა. ტანად მაინცდამაინც მაღალი არ იყო, მაგრამ მეტისმეტი მსუქანი, მეტადრე სახეზე, — სულ პაწაწკინა უჩანდა თვალები, ისეთი ფუნჩულა ლოყები ჰქონდა. წმინდა, მოვარდისფრო თეთრი პირის კანი, თმა ოქროსავით ყვითელი და ისეთი ხვეული, რომ სქელი ნაწნავები

ბაგირივით ეგრიხებოდა და ეხვეოდა, წვრილი კულულები ხომ წამდაუწუმ თავსაკრავიდან შუბლზე ეშლებოდა.

ინგებიერგმა მაშინვე ათასი რამ გამოჰკითხა კრისტინს, მაგრამ პასუხისთვის არ მოუცდია: პასუხის მოსმენის მაგივრად თავისთავზე უამბო. მთელი თავისი ნათესავები ჩამოუთვალა, ვინ საიდან ენათესავებოდა — ყველანი სახელგანთქმულები და ძალზე მდიდრები იყვნენ. დანიშვნითაც ერთ ძალიან მდიდარ და ყოვლისშემძლე კაცზე, ეინარზე, აგანესელ ეინარის ვაჟზე იყო დანიშნული, მაგრამ ჩემი დანიშნული ძალიან ბებერია, თან მეორედ დაქვრივებული; ეგ არის ჩემი ყველაზე დიდი მწუხარებაო, უთხრა კრისტინს ინგებიერგმა. თუმცა კრისტინს არ შეუმჩნევია, რომ ინგებიერგი დანაღვლიანებული ყოფილიყო ამით. სიმონ დარეზეც ჩამოუგდო ლაპარაკი, საოცარია, რა დაწვრილებით დაეთვალიერებინა იმ მოკლე დროში, ვიდრე, მოლოზნებთან ერთად ჩაუარა მათ შუშაბანდში. მერე კრისტინის სკივრის დათვალიერება მოინდომა, მაგრამ ჯერ თავისი სკივრი გახსნა და რაც კაბები ჰქონდა, სულ ამოულაგა კრისტინს. ვიდრე იმათ სკივრები ამოაქოთეს, დაი ცეცილია შემოვიდა და ტუქსვა დაუწყო ორივეს, კვირა დღეს ვის გაუგონია კაბების ამოლაგებაო. კრისტინმა კვლავ უბედურად იგრძნო თავი, საკუთარი დედის გარდა იმისთვის თავის დღეში შენიშვნა არავის მიუცია, და უცხო რომ საყვედურს გეტყვის, ეს სულ სხვა რამ ყოფილაო, გაიფიქრა კრისტინმა.

ინგებიერგს აინუნშიაც არ ჩაუგდია ცეცილიას ნათქვამი. საღამოთი, როცა ლოგინში ჩაწვნენ, მანამდე იტიკტიკა, სანამ კრისტინს არ ჩაეძინა. ოთახის ერთ კუთხეში ორ ხანში შესულ თეთროსანს ეძინა; იმათ ყურადღება უნდა მიექციათ, ყმაწვილ ქალებს ღამე პერანგები სცმოდათ, ვინაიდან, წესის მიხედვით, ნებას არ აძლევდნენ, ყველაფერი გაეხადათ, დილით კი ცისკრის ლოცვისთვის ამდგარიყვნენ. მაგრამ, საერთოდ რომ ვთქვათ, ისინი დიდად არ იწუხებდნენ თავს წესრიგი დაეცვათ საძილე ოთახში და თავს ისე იჭერდნენ, ვითომ ვერაფერს ამჩნევდნენ, როცა ლოგინში ჩაწოლილი ქალები რაზე აღარა ლაპარაკობდნენ, ანდა ერთმანეთს უმასპინძლდებოდნენ სკივრებში გადამალული ათასნაირი ტკბილეულით.

როცა მეორე დილით კრისტინი გააღვიძეს, ინგებიერგი უკვე რაღაც გრძელ ამბავს უამბობდა და კრისტინმა გაიფიქრა, ვინ იცის, ამან მთელი ღამე ლაპარაკში გაატარაო.

უცხოელი ვაჭრები, რომლებიც ოსლოში ზაფხულობით ვაჭრობ-
,დნენ, ქალაქში გაზაფხულზევე ჩამოდიოდნენ, ჯვრის დღესასწაუ-
ლისთვის, წმინდა ხალვარდის [1] დღესასწაულამდე ათი დღით ადრე.
ამ დღესასწაულზე მიოსენის ტბასა და შვედეთის საზღვრის შუა
მდებარე ყველა სამრეკლოებიდან იყრიდა თავს მოსახლეობა, ამრი-
გად, დაახლოებით მაისის პირველ ორ კვირას ქალაქში ხალხს ფეხს
ვერ აუქცევდი. ეს დრო ყველაზე ხელსაყრელი იყო უცხოელებისაგან
გვეაჭრა, ვიდრე ჯერ კიდევ ბლომადა ჰქონდათ საქონელი.

დაი პოტენციას ევალებოდა, ნონესეტერისათვის საქონლის შეს-
ყიდვა, და წმიდა ხალვარდის დღესასწაულის წინა დღეს ინგებიერგ-
სა და კრისტინს დაჰპირდა, ხვალ ქალაქში მივდივარ და თქვენც თან
წაგიყვანთო, მაგრამ შუადღე იქნებოდა, მონასტერში ნათესავები
მოუვიდნენ სანახავად დაი პოტენციას, და, რა თქმა უნდა, იმ დღეს
ქალაქში ვეღარ წავიდა. მაშინ, ინგებიერგმა, ბევრი ხვეწნის მერე
ნებართვა გამოსთხოვა დაი პოტენციას ის და კრისტინი მარტო გა-
ეშვა ქალაქში, თუმც ეს მონასტრის წესების დარღვევა იყო. გამცი-
ლებლად იქვე მცხოვრები, მონასტერს შეზიარებული მოხუცი გლეხ-
კაცი გაატანეს; გლეხს სახელად ხოკონი ერქვა.

---

[1] შუა საუკუნეების ნორვეგიაში დროის კალენდარულ ანგარიშს თვალყურს ადევ-
ნებდნენ მხოლოდ სასულიერო წოდების პირნი, მათ ხელთ ჰქონდათ ცხრილები იმ
დღესასწაულისა და მარხვის გამოსაანგარიშებლად, რომელიც ერთ და იმავე რიცხვში
არ მოდის და დამოკიდებულია მთვარის ფაზებსა და სხვ. (მაგალითად, აღდგომა), და
შესაფარდებლად იმ უქმეებთან, რომლებსაც მზის კალენდრით ანგარიშობდნენ. შინა-
ურობაში კი დროს თვეებისა და თვეების რიცხვების მიხედვით კი არ ანგარიშობდნენ,
არამედ დღესასწაულიდან დღესასწაულამდე. უმთავრესი დღესასწაულები, რომლის
მიხედვითაც ერკვეოდა დროში მოსახლეობა იყო: მირქმა უფლისა (2 თებერვალი),
გრიგოლობა (13 თებერვალი) ხარებობა (მარინეობა 25 მარტი), ზაფხულის დადგომის
დღე (14 აპრილი), ხალვარდობა (15 მაისი), ივანობა (21 ივნისი), სელიელ კაცთა დღე
(8 ივლისი), ულავობა (29 ივლისი), ლავრენტობა (10 აგვისტო), ბართლომეობა (24
აგვისტო), ღვთისმშობლის დაბადება (მარინეობა, 8 სექტემბერი), ჯვართამაღლება (14
სექტემბერი), მათეობა (21 სექტემბერი), მიხეილობა (29 სექტემბერი), ზამთრის დად-
გომის დღე (14 ოქტომბერი), სვიმონობა (28 ოქტომბერი), კლემენტობა (23 ნოემბერი)
და ქრისტესშობა (მთელი ერთი კვირა 25 დეკემბრიდან დაწყებული).

კრისტინი უკვე სამი კვირა იყო, რაც ნონესეტერში ცხოვრობდა და ფეხი არსად გაედგა, გარდა მონასტრის ეზო-ბაღებისა. ძალიან გაუკვირდა, როგორ გაზაფხულებულაო მონასტრის გალავანს იქით რომ გავიდა. მინდვრებში აქა-იქ ატეხილი პატარ-პატარა ჭალები ფწვანედ ხასხასებდნენ, ტყის თეთრი ენძელა სქელი ხალიჩასავით დაფენილიყო ხეების ბაც ძირებთან. კარგი ამინდის მომასწავებელი ქათქათა ღრუბლები, ფიორდში გაფანტული კუნძულების ზემოდან მოცურავდნენ, ხოლო გაზაფხულის მსუბუქი ნიავი ჭავლით ჰფარავდა ლურჯ, ცივ წყალს.

ინგებიერგი ხტუნვა-ხტუნვით მხიარულად მიდიოდა, ნორჩ ფოთლებს ბღუჯა-ბღუჯა სხეპავდა, ყნოსავდა და თან ჩუმ-ჩუმად გამვლელებისაკენ აპარებდა თვალს; ხოკონმა დაუტია: მონასტრის ტანსაცმლით მოსილ კეთილშობილ ყმაწვილ ქალს განა შეჰფერის მაგგვარი საქციელი? ხელიხელს უნდა ჩაგეჭიდათ და წყნარად და დინჯად უკან მომყოლოდითო; მაგრამ ინგებიერგი ისევ ისე ატრიალებდა თვალებს და არც ენას ასვენებდა — ხოკონს ცოტა მძიმედ ეყურებოდა. ახლა კრისტინსაც დათა მსახურის ტანსაცმელი ეცვა — ბაცი რუხი შალის კაბა, შალისავე სარტყელი და შუბლზე გაკრული ჰქონდა თავსაკრავი; კაბის ზემოდან უბრალო, მუქი ლურჯი ლაბადა ჰქონდა წამოგდებული, რომლის კაპიუშონიც, თუ წამოიხურავდა, სულ უფარავდა ნაწნავებს. ხოკონს სპილენძის ბუნიკით დამშვენებული კაი მაგარი ჯოხი ეჭირა და ყმაწვილი ქალების წინ მიალაჯებდა. მას გრძელი შავი ხიფთანი ეცვა, მკერდზე ტყვიის agnus Dei[1] ეკიდა, ქუდზე წმიდა ქრისტეფორეს ხატი ჰქონდა გაკეთებული; თეთრი წვერი და თმა ისე გულმოდგინედ გადაევარცხნა, მზეზე ვერცხლივით უბზინავდა.

ქალაქის ზედა მხარე მონასტრის ღელედან ეპისკოპოსის მამულამდე ძალიან მიწყნარებული ადგილი იყო: აქ ვერც დუქნებსა ნახავდი, ვერც სასტუმრო ბაკებს, ხოლო საცხოვრებელი სახლების მეტი წილი კი იმ არემარის სამრეველოების დიდგვაროვან და მდიდარ ხალხს ეკუთვნოდა. ქუჩის მხრიდან მოჩანდა სახლების მუქი ძელების უფანჯრებო კედლები. მაგრამ იმ დღეს აქაც კი ირეოდა

---

[1] კრავი უფლისა (ლათ.) ანგარიზი. კრავის გამოსახულებით, ქრისტეს სიმბოლო.

ხალხი. შინაყმები ჭიშკრებთან დამდგარიყვნენ და გამვლელ-გამომავ-ლელთ ემასლაათებოდნენ.

ეპისკოპოსის სახლთან რომ მივიდნენ, ნემსის ყუნწი არ ჩავარ-დებოდა ისეთი ჭედვა იყო, მოედნის შუაგულში ხალვარდის ეკლე-სიასა და ულავის მონასტერთან მწვანე მდელოზე ფარდულები დაედგათ, და ვიღაც მასხარები გაწვრთნილ ძაღლებს კასრების სალ-ტეებში ახტუნავებდნენ. მაგრამ ხოკონმა ნება არ მისცა ყმაწვილ ქალებს, დამდგარიყვნენ და ეცქირათ. არც ეკლესიაში შეუშვა და კრისტინს უთხრა — დღესასწაულის დღეს უნდა ნახო ეკლესია, მაშინ უფრო კარგი სანახავიაო.

წმიდა კლემენტის ეკლესიასთან ქუჩას რომ ჩაჰყვნენ, ხოკონმა ორივე ქალს ხელები ჩასჭიდა, ისეთი საშინელი ჭედვა და ზედახოცვა იყო; ხალხი ნავსადგურიდანაც მოდიოდა და სავაჭრო ფუნდუ-კებშუა გაყვანილ შუკებიდანაც. ყმაწვილი ქალები მიკლეგორდთან აპირებდნენ გასვლას, სადაც მეწუღეების დუქნები იყო. ინგებიერ-გი არწმუნებდა კრისტინს, შენი ჩამოტანილი კაბები ლამაზებია, წუნს ვერ დასდებს კაცი, სოფლიდან ჩამოტანილი ფეხსაცმელი კი დიდ დღესასწაულებში არ ჩაიცმებაო. ხოლო როცა კრისტინმა უცხოეთიდან ჩამოტანილი ფეხსაცმელი ნახა, ინგებიერგს ერთი და ორი წყვილი კი არა ჰქონდა იქაური ფეხსაცმელი, მიხვდა, ვერ მოისვე-ნებდა, სანამ თვითონაც იმისთანა ფეხსაცმელს არ იყიდდა.

მიკლეგორდი ოსლოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი უბანი იყო; ნავ-სადგურების გასწვრივ შეღმართი ვიდრე მეწუღეების შუკამდე ამ უბანს ეჭირა და ორ დიდ ეზოში ორმოცი სახლი მაინც იდგა. ხოლო ახლა ეზოებში ხამით გადახურული ფარდულებიც დაედგათ; წმიდა კრისპინის ძეგლი ფარდულების ჩარდახებს ზემოდან დაჰყურებდა. ეზოების შიგნით ფუსფუსი და ზედახოცვა იყო — რიგი ყიდულობ-და, რიგი ჰყიდდა, დედაკაცებს ქვაბები და ვედროები დაეჭირათ ხელში და წინ და უკან დარბოდნენ სამზარეულოდან სამზარეულო-ში, ბავშვები კი დიდრონებს ფეხებში ებლანდებოდნენ. ცხენები ზოგი თავლაში შეჰყავდათ, ზოგი ეზოში გამოჰყავდათ, მსახურები კი საქონლით გატენილ ბარდანებს ზოგს დუქნებში ეზიდებოდნენ, ზოგი კი დუქნებიდან გამოჰქონდათ. ზევითა საცხოვრებელი შენო-ბის გასწვრივ გაყოლებულ დერეფნებიდან, სადაც საუკეთესო საქო-ნელი იყიდებოდა, მეწუღეები და მათი შეგირდები ყმაწვილ ქალებს

ჭრელ-ჭრელ ბუზმენტიან ფეხსაცმელს უქნევდნენ და თავიანთი დუქნებისაკენ ეპატიჟებოდნენ.

მაგრამ ინგებიერგი იმ დუქნისაკენ მიეჩქარებოდა, სადაც დიდრეკ მეწუღე ვაჭრობდა. დიდრეკი გერმანელი იყო, ცოლად კი ნორვეგიელი ქალი ჰყავდა და მიკლეგორდში საკუთარი სახლი ჰქონდა.

მოხუცი მეწუღე ვიღაც ბატონს ევაჭრებოდა, მას სამგზავრო ლაბადა ეცვა და წელზე მახვილი ეკიდა; ინგებიერგი არ შემკრთალა, თამამად წარსდგა წინ, თავი დაუკრა ბატონს და უთხრა:

— კეთილო ბატონო, ნებას ხომ არ მოგვცემთ ჯერ ჩვენ ვივაჭროთ? შინ, მონასტერში უნდა დავბრუნდეთ და მწუხრის ლოცვას მივუსწროთ, ეგებ თქვენ უფრო მეტი დრო გაქვთ?

ბატონმა თავი დაუკრა და გვერდზე მიდგა. დიდრეკმა მუჯლუგუნი წაჰკრა გვერდში ინგებიერგს და სიცილით ჰკითხა: დავიჯერო, მონასტერში იმდენსა ცეკვავთ, რომ შარშანდელი ნაყიდი ფეხსაცმელი სულ დაცვითეო? ახლა ინგებიერგმაც წაჰკრა ხელი მეწუღეს და უთხრა: მადლობა ღმერთს, მე ჯერ არ გამცვეთია ფეხსაცმელი, ამ ქალს უნდა იყიდოსო... და წინ გამოსწია კრისტინი, მაშინ დიდრეკმა და იმისმა შეგირდმა დერეფანში მთელი ყუთი ფეხსაცმელი გამოიტანეს და გერმანელმა ამოალაგა და ამოალაგა ერთი მეორეზე ლამაზი ფეხსაცმელი. კრისტინი სკივრზე ჩამოჯდა, დიდრეკმაც ხან ერთი წყვილი გაასინჯა, ხან მეორე — თეთრი ფეხსაცმელიც იყო, ყავისფერიც, წითელი და მწვანეც. ფერად-ფერადად აჭრელებული ხისქუსლიანი ლურჯი ფეხსაცმელიც, სულ უქუსლო, ბალთიანი და აბრეშუმის ყაითნიანი, ორფერი და სამფერი ტყავისგან შეკერილი ფეხსაცმელი. კრისტინი, ვგონებ, უარს არ იტყოდა, ყველა ეყიდა. მაგრამ ფეხსაცმელი ისეთი ძვირი იყო, რომ ნამდვილად შეწუხდა. არც ერთი წყვილი არა ღირდა იმაზე იაფი, რასაც ძროხა ფასობდა იმათ ხეობაში! მამამ წასვლის წინ საფულე მისცა, საფულეში ერთი მარკა ვერცხლის წვრილი მონეტები იყო [1], — ჯიბის ფულად, და

---

[1] სუფთა ვერცხლის მარკა, წონით 216 გრამი იყო და იყოფოდა 8-ერედ, 24 ერტუგად და — 240 პენინგად. ვერცხლის მარკა წვრილი ფულით შეადგენდა დაახლოებით სუფთა ვერცხლის მარკის $^1/_3$—$^1/_5$. მარკის მსყიდველობითი უნარი იმ დროის მიხედვით ძალიან მაღალი იყო.

კრისტინს უთვალავი სიმდიდრის პატრონი ეგონა თავისი თავი. მაგრამ ახლა სახეზე შეატყო ინგებიერგს, ამ ფულით ბევრს ვერაფერს იყიდდა ადამიანი!

ინგებიერგსაც ესიამოვნებოდა ფეხსაცმელების მოზომვა, ხან ერთი ფეხსაცმელი გაისინჯა, ხან მეორე; დიდრეკმა სიცილით უთხრა. გასინჯვაში რა ფული შენ გეხარჯება! ინგებიერგმაც იყიდა ერთი წყვილი წითელქუსლიანი ფოთოლივით მწვანე ფეხსაცმელი — დიდრეკს უთხრა, ამას ნისიად წავიღებ, თქვენ ხომ მეც მიცნობთ და ჩემს მშობლებსაც იცნობთო.

მაგრამ კრისტინმა შეატყო ნისიად მიცემა დიდრეკს მაინცა და მაინც არ ეპიტნავა; ისედაც ჯავრობდა, სამგზავრო ლაბადიანი მაღალ-მაღალი ბატონი დამაკარგვინეთო — ქალებს აღარ ეშველათ და ვეღარ გაათავეს ფეხსაცმლის არჩევა და გასინჯვა. ბოლოს კრისტინმა ლილისფერი თხელი ტყავის მოსირმული და ვარდისფერი ქვებით მორთული უქუსლო ფეხსაცმელი ამოირჩია. არ მოსწონდა მხოლოდ შიგ გაყრილი მწვანე აბრეშუმის შესაკრავები. დიდრეკმა უთხრა, ამას ახლავე გამოგიცვლიო. დუქნის უკანა ოთახში გავიდა და ქალებიც თან გაიყვანა. იქ დიდრეკს ყუთები ედგა აბრეშუმის შესაკრავებითა და ვერცხლის პატარა ბალთებით — სწორედ რომ ვთქვათ, მეწუღეებს ამისთანა საქონლით ვაჭრობის უფლება არა ჰქონდათ; თანაც ბევრი ბაბთა ძალზე განიერი იყო და ფეხსაცმელისთვის არ გამოდგებოდა, ბალთები კი ძალზე დიდრონები.

ყმაწვილ ქალებს სულმა წასძლია და ათასნაირი წვრილმანი ივაჭრეს; ხოლო ვიდრე ისინი და დიდრეკი ტკბილი ღვინით პირს ისველებდნენ და დიდრეკი ხამის ნაჭერში ნავაჭრს უხვევდა, კარგა შეგვიანდა და კრისტინის ქისაც კარგა დამსუბუქდა.

როცა კვლავ გავიდნენ აღმოსავლეთის ქუჩაზე, მზე უკვე ოქროსფერ შუქს აფრქვევდა, ხოლო ქალაქში, გაცხოველებული მოძრაობისაგან ამდგარი მტვერი ცხელი ლუდის თეთრი ორთქლივით ადგა ქუჩას. საუცხოო, თბილი ამინდი იყო: ხალხი გუნდ-გუნდად მოდიოდა ეიკაბერგის[1] მთიდან და თითო იღლია ნორჩი მწვანე ტოტები მოჰქონდა — სადღესასწაულოდ ოთახების მოსართავად. ამის დანახვაზე ინგებიერგმა იფიქრა, კარგი იქნებოდა, ეიტაბრუს ხიდ-

[1] ეიკაბერგი არც თუ მაღალი მთაა ოსლოს სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირა უბანში.

თან გავსულიყავითო — ბაზრობაზე წყალგაღმა საბალახოებზე ჩვეულებრივ ათასნაირი გასართობებია მიმოსები და მასხარებიც არიანო: იმისთვისაც კი მოეკრა ყური, იქ ერთი გემი უცხო ქვეყნების ნადირები უნდა ჩამოიყვანონ, და მდინარის ნაპირზე, ბალაგანებში უნდა აჩვენონო.

მიკლეგორდში ხოკონს გერმანული ლუდი დაალევინეს და ისეთ გუნებაზე დადგა, აღარაფერზე უხირდებოდა, ყმაწვილმა გოგოებმაც აქეთ-იქიდან ხელი გაუყარეს, დაჟინებით ეხვეწებოდნენ გაღმა ნაპირზე წავიდეთო. ხელად დაიყოლიეს მოხუცი და სამივემ ეიკაბერგისაკენ გასწია.

გაღმა, მდინარისა და ციცაბო ხრამებს შუა ამწვანებულ ფერდობებზე აქა-იქ ჩადგმული თითო-ოროლა სახლი მოჩანდა. მინორიტების მონასტერს რომ ჩაუარეს, სირცხვილისაგან გული შეეკუმშა კრისტინს: მოაგონდა, რომ მეტი წილი თავისი ფულისა არნეს სულის მოსახსენიებლად უნდა მიეცა. მაგრამ არ უნდოდა ეს ნონესეტერის მღვდლისთვის ეთქვა, ეშინოდა, გამოკითხვას დამიწყებსო და ფიქრობდა, უკეთუ ძმა ედვინი ახლა მონასტერშია, ეგებ მოვახერხო, ფეხშიშველ ძმათა სავანეში წასვლაო. კრისტინს ძალიან გაუხარდებოდა ბერის ნახვა, მაგრამ არ იცოდა, რაც შეიძლება ზრდილობიანად როგორ მიემართა რომელიმე ბერისთვის და ეკითხა ედვინის ამბავი. ახლა კი ისე ცოტა დარჩა ფული, ეყოფოდა კი სულის მოსახსენიებელი წირვის გადასახდელად? — ეგებ, კელაპტარი მაინც დავანთოო, ფიქრობდა კრისტინი.

უცებ ნაპირზე, მინდვრის მხრიდან საშინელი წიოკობა გაისმა და ქარიშხალივით გადაუარა ერთმანეთზე მიწყვეტილ ხალხის ბრბოს. თავზარდაცემული, შეშინებული ხალხი ბღავილითა და წივილ-კივილით პირდაპირ იმათკენ გამოქანდა და ვიღაცამ, თან გარბოდა, ხოკონსა და ყმაწვილ ქალებს დაუძახა, ავაზები გამოექცათო...

ისინი უკან გაიქცნენ ხიდისკენ და გაიგონეს ხალხი ერთმანეთს უყვიროდა, ერთი ბალაგანი გადაბრუნდა და ორი ავაზა გამოექცათო; ვიღაცამ გვგლიც ახსენა... იმ ალიაქოთსა და ჭყლეტაში ვიღაც ქალს, სწორედ იმათ წინ, პატარა ბავშვი გაუვარდა ხელიდან; ხოკონმა ბავშვს გადაალაჯა, და აღარც განძრეულა, რომ ბავშვი ფეხით არ გაეთელათ; თვალის დახამხამებაზე ხალხმა ბავშვიანად სადღაც შორს გაიტაცა მოხუცი, კრისტინმა და ინგებიერგმა ერთი კი დაი-

ნახეს ხელში ბავშვი ეჭირა მოხუცს, მერე კი თვალი ვეღარსად მოჰკრეს.

ვიწრო ხიდთან ისე მოაწვა ხალხი, რომ ყმაწვილ ქალებს გზიდან მინდორში ამოაყოფინეს თავი, ისინი ხედავდნენ ციცაბო ფერდობიდან როგორ ჩამორბოდა ხალხი მდინარისაკენ. ყმაწვილი ბიჭები ცურვით გადიოდნენ, ხანში შესულები კი ნაპირთან მიყენებულ ნავებში ხტებოდნენ და წამში ნავი ისე ივსებოდა ხალხით, რომ ადამიანს ეგონა საცაა ჩაიძირებაო.

კრისტინი უყვიროდა და ცდილობდა, როგორმე გაეგებინებინა ინგებიერგისთვის, მინორიტების მონასტრისაკენ გავიქცეთო, საიდანაც უკვე გამოცვივდნენ რუხანაფორიანი ბერები და ცდილობდნენ მონასტერში შეეფარებინათ დაფეთებული ხალხი. კრისტინს ისე არ შეშინებია, როგორც მის ამხანაგს, და არც ნადირი დაუნახავთ რაზე. ინგებიერგი კი სულ გადაირია. მაგრამ როცა ბრბო კვლავ აჩოჩქოლდა და ხალხმა ხიდიდან უკან დაიწია, კაცების მთელი რაზმი, მათ ახლომახლო სახლებში მოესწროთ შეიარაღება, ახლა ვინ ქვეითად, ვინ ცხენით, ხალხს მოარღვევდა და გაღმიდან ისევ გამოღმა მოიწევდა. ინგებიერგი, ცოტას გაწყდა ცხენს არ ჩაუვარდა ქვეშ, ერთი გულშემზარავად შეჰკივლა და აღმართში ტყისაკენ გაქანდა. კრისტინი ყველაფერს იფიქრებდა, მაგრამ თუ მის ამხანაგს, ინგებიერგს. ასეთი სირბილი ეცოდინებოდა ამას რა აფიქრებინებდა. თავისდა უნებურად ღორი მოაგონდა, ეზოში რომ დასდევენ და დაარბენინებენ ხოლმე — და ისიც ფეხდაფეხ მიჰყვა ამხანაგს, ერთმანეთი მაინც არ დაკარგოთო.

კარგა ღრმად შეეიდნენ დაბურულ ტყეში, როცა კრისტინი ძლივს დაეწია ინგებიერგს ბილიკზე, ამ ბილიკით ალბათ, ქვეითკენ ტრელაბორგის[1] გზაზე გახვიდოდი. პატარა ხანს გაჩუმებულები იდგნენ, რომ ცოტათი მაინც მოეთქვათ სული; ინგებიერგი სლუკუნებდა, ცრემლებსა ღვრიდა და ამბობდა, რა გამბედვინებს მარტო ამოდენა გზის გავლას მონასტრამდეო.

---

[1] ტრელაბორგის გზა ფიორდის გასწვრივ ეკაბერგის კალთებზე. სამხრეთისაკენ მიდიოდა — სამხრეთ შვედეთისაკენ.

კრისტინმაც იფიქრა, მარტო წასვლა მაინც და მაინც კარგი არ იქნება, ქუჩებში ისეთი არეულობაა; ამიტომ გადაწყვიტა, მოსახლე უნდა მოვძებნოთ, ეგებ იქ ბიჭი დავიჭიროთ, ვინც მონასტრამდე მიგვაცილებსო. ინგებიერგს კი ასე ჰქონდა გაგონილი, ცოტას რომ გავივლით წყლის პირას, საურმე გზა უნდა მიდიოდეს ტრელაბორგისკენ, ხოლო გზის გაყოლებით, როგორც ვიცი, რამდენიმე სახლი დგასო. მაშინ ყმაწვილი ქალები ბილიკს დაადგნენ და თავქვე დაეშვნენ.

ორივენი შეშინებულები და შეშფოთებულები იყვნენ და ასე ეგონათ, დიდხანს ვიარეთო, როცა ძლივს გამოჩნდა სახლი ტრიალ მინდორში. ეზოში, იფნების ქვეშ რამდენიმე კაცი სუფრას შემოსხდომოდა და სვამდნენ; ვიღაც ქალს მოჰქონდა სუფრაზე ტოლჩებით ლუდი. მან გაოცებულმა და მოღუშულმა შეხედა მონასტრის სამოსელში ჩაცმულ ორ ყმაწვილ ქალს. მაგრამ როგორც შეეტყოთ, კაცებიდან არც ერთმა არ მოინდომა გაჰყოლოდა იმათ, როცა კრისტინმა უამბო, რა გასაჭირიც ადგათ. ბოლოს, მაინც წამოდგა სუფრიდან ორი ყმაწვილი ბიჭი და უთხრეს კრისტინს ნონესეტერამდე მიგაცილებთ, თუ ერთ ერტუგს მოგვცემთო.

კრისტინმა ლაპარაკის კილოზე შეატყო, ბიჭები ნორვეგიელები არ უნდა ყოფილიყვნენ, ისე კი, თითქოს, წესიერ ხალხსა ჰგავდნენ. მართალია, ისიც იფიქრა, უსირცხვილოდ ბევრსა გვთხოვენო, მაგრამ ინგებიერგს შიშისაგან გული ჰქონდა გახეთქილი და თვითონაც ფიქრობდა, ამ არეულობაში, ასე გვიან ჩვენ მარტონი ვერ წავალთო, ამიტომ დათანხმდა.

ტყის ბილიკზე გასვლა ვერ მოასწრეს, რომ ბიჭები უფრო ახლოს მიჰყვნენ და ლაპარაკიც გაუბეს. კრისტინს არ ეჭაშნიკა, მაგრამ არ შეიმჩნია და რასაც ეკითხებოდნენ, ყველაფერზე მშვიდად აძლევდა პასუხს. ავაზების გამოქცევის ამბავი უამბო და ისიცა ჰკითხა, სადაურები ხართო; თან ელაპარაკებოდა, თან სულ აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს ელოდა ან ახლა, ან ახლა, ჩემი მსახურები გამოჩნდებიანო, თან სიტყვას ისე უკრავდა, თითქოს ბლომადა ჰყავდა მსახურები. ამის გაგონებაზე ბიჭებმა თანდათან ლაპარაკს უკლეს, ესეც რომ არა ყოფილიყო, კრისტინი ნახევარს ვერ იგებდა, რას ელაპარაკებოდნენ.

ცოტა ხნის მერე კრისტინმა შეამჩნია, რომ იმ გზას ასცდნენ,

რომლითაც ისა და ინგებიერგი მოვიდნენ, — ბილიკი სხვა მიმართულებით, უფრო ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა, და ისე მოეჩვენა, რომ ძალიან ღრმად შევიდნენ ტყეში. გულის სიღრმეში კი ეშინოდა, მაგრამ არ უნდოდა ამაზე ეფიქრა — ძალიან ამხნევებდა ის გარემოება, რომ ინგებიერგიც აქ იყო, იმასთან ერთად, თან ასეთი სუ-ლელიაო, და, თითქოს, მოვალედ ჩათვალა თავისი თავი ორივეს მაგივრად თვითონ გადაეწყვიტა ყველაფერი და ისე მოქცეულიყო. მოფარებით, მამის ნაჩუქარი ჯვარი ამოიღო წმიდა ნაწილებით, ლაბადის ქვეშ ხელში ჩაბღუჯა და გულში მხურვალედ დაიწყო ლოცვა, ღმერთო, მალე შეგვახვედრე ვინმეო, თან ცდილობდა, მთელი თავისი სიმამაცე მოეკრიბა და აინუნში აღარაფერი ჩაეგდო.

ეს გაიფიქრა კრისტინმა და კიდეც დაინახა, რომ ბილიკმა გზაზე გაიყვანა ისინი: ტყეში ამ ადგილას ერთი პატარა მდელო იყო. ქვემოთ, შორს მოჩანდა ქალაქი და ყურე. ღმერთმა არ იცის, ბიჭებმა აქ სად მოიყვანეს — წინასწარი განზრახვით თუ, თვითონაც არ იცნობდნენ აქაურობას; ისინი მაღლა მთაზე იყვნენ, კარგა შორს, ჩრდილოეთისაკენ იეიტაბრუს ხიდიდან, რომელიც აქედან ჩანდა; ეს გზაც, მგონი, სწორედ იქით მიდიოდა.

კრისტინი შედგა, საფულე ამოიღო და ხელისგულზე ათი პენინგი გადაითვალა.

— აბა, კეთილო ხალხო, — უთხრა მან, — ახლა აღარა გვჭირდება გამცილებლები, აქედან ჩვენ თვითონაც გავაგნებთ გზას! გმადლობთ, რომ შეწუხდით, აი, თქვენი გასამრჯელო, როგორც მოვრიგდით. ღმერთმა გაკურთხოთ, კეთილო მეგობრებო!

ბიჭებმა ისეთი სულელური გამომეტყველებით გადახედეს ერთმანეთს, კრისტინს ცოტას გაწყდა, არ გაეღიმა. მაგრამ ამ დროს ერთ ბიჭს საძაგლად ჩაეცინა და უთხრა, ხიდისკენ მიმავალ თავდაღმართზე არავინა ჭაჭანებს და უგუნურება იქნება თქვენი მარტო წასვლაო.

— არა მგონია, გამოჩნდნენ ისეთი გარეწრები, ანდა სულელები, რომ ორ ყმაწვილ ქალს აედევნონ, ისიც მონასტრის ტანსაცმელში ჩაცმულებს: — მიუგო კრისტინმა. — აქედან მარტოებს გვირჩევნია წასვლა! — უთხრა და ფული გაუწოდა.

ბიჭმა კრისტინს მაჯაში წაავლო ხელი, სახე სახესთან ახლოს მიუ-

ტანა და რაღაც უთხრა „Kuß“ და „Beutel“-ზე,[1] — კრისტინი მიხვდა, მაშინ გაუშვებს თუ კრისტინი აკოცებს და საფულესაც მისცემს.

კრისტინს მოაგონდა ბენტეინის სახე, საკოცნელად რომ მიეწოდა და უცებ ისეთმა თავზარდამცემმა შიშმა აიტანა, რომ გული გადაუფერდა და თვალთ დაუბნელდა. მაგრამ ტუჩები მაგრად მოკუმა, გულში ღმერთი და ქალწული მარიამი ახსენა და შველა შესთხოვა, — იმავე წამს ჩრდილოეთის მხრიდან მომავალი ბილიკიდან, თითქოს ცხენების თქარათქურიც მოესმა.

კრისტინმა ბიჭს უცებ ისე ღონივრად შემოსცხო სახეში ქისა, რომ ბიჭი დატორტმანდა — მერე ხელიცა ჰკრა მკერდში და ბიჭი ბილიკიდან პირდაპირ ტყისკენ გადააგდო. მეორე გერმანელმა უკანიდან სტაცა ხელი ყმაწვილ გოგოს, ხელიდან საფულე გამოგლიჯა და ზედ შეაწყვიტა ისე მოსწია ყელზე შებმული ძეწკვი — კრისტინი კინაღამ წაიქცა, მაგრამ მაინც ბიჭს მაგრად ჩააფრინდა და ჯვრის წასართმევად დაეჯაჯგურა. ბიჭი გასხლტომას ცდილობდა — ახლა მძარცველებმაც გაიგონეს ცხენების თქარათქური — ინგებიერგმა თავგანწირულად დაიწივლა და ბილიკზე მომავალმა ცხენოსნებმა ცხენები გამოაქროლეს. მხედრები ტევრიდან გამოვიდნენ: სამნი იყვნენ, ინგებიერგი ტირილით გაიქცა იმათკენ, მხედრები ჩამოქვეითდნენ და კრისტინმა იცნო ბატონი, რომელიც დიდერეკის დუქანში ნახეს; მან მახვილი იშიშვლა, ქეჩოში ჩააელო ხელი გერმანელს, ვისაც კრისტინი ისევ ეჯაჯგურებოდა და მახვილის პირი სიბრტყლივ მიაყოლა. მხედრის თანამგზავრები კი ცხენდაცხენ ჭენებით მიჰყვნენ მეორე ბიჭს, დაეწივნენ, დაიჭირეს და იმდენი სცემეს, სანამ ცემით არ დააოსეს.

კრისტინი კლდეს მიეყრდნო, ახლა აიტანა კანკალმა, როცა საფრთხემ გაიარა, მაგრამ ისე არ იყო შეშინებული, როგორც გაოცებული, რა მალე ისმინა ღმერთმა ჩემი ვედრებაო და უცებ ინგებიერგს შეხედა: კაპიუშონი კეფისკენ გადაეწია, ლაბადა მხრებიდან გადაეგდო და მკერდზე არხეინად გადმოეყარა ქერა ნაწნავები. ამის დანახვაზე კრისტინს სიცილი წასკდა — ძალა გამოეცალა და რაკი

---

[1] ძველ გერმანულ ენაში საკმაოდ იყო სიტყვები, რომლებიც ძველ ნორვეგიულ სიტყვებს ჰგავდა და კრისტინი ათასში ერთ რაპეს თუ მიხვდებოდა გერმანულად ნათქვამს. აქ მოტანილი ორი გერმანული სიტყვა ნიშნავს „მაკოცე“ და „ქისაა“.

სიცილის შემაგრება ველარ შესძლო, ხეს მოეჭიდა; თითქოს ძვლებში ტვინის მაგივრად წყალი ჩასდგომოდა, ისეთი სისუსტე იგრძნო. თავით ფეხამდე თახთახებდა სიცილისა და ტირილისაგან.

ბატონი მივიდა მასთან და ფრთხილად დაადო მხარზე ხელი.

— თქვენ, ალბათ, უფრო ძლიერ შეგეშინდათ, ვიდრე შეიმჩნიეთ! — უთხრა ალერსიანად, — მაგრამ თავი უნდა გაიმაგროთ, თქვენ, საფრთხეში ჩავარდნილი, ისე მამაცურად მოიქეცით...

კრისტინმა თავი დაუკრა, ამის მეტი ვერაფერი მოახერხა. ბატონს ლამაზი ჭრელი თვალები უმშვენებდა მოგრძო შავგვრემან სახეს. კუპრივით შავი თმა კარგა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი შუბლზე და ყურებს უკან.

ინგებიერგმა მოასწრო თმის გასწორება; უცნობთან მივიდა და მადლობა გადაუხადა ნატიფი, დახვეწილი სიტყვა-პასუხით. ისევ კრისტინის მხარზე ედო ხელი, ბატონმა ისე გასცა პასუხი ინგებიერგს.

— ეს ჯეელები კი, — უთხრა თავის მსახურებს, რომელთაც გერმანელები ეჭირათ (როსტაკის რომელიღაც გემიდანა ყართო, ასე ეთქვათ), — მეტი რა გზაა, ქალაქში წავიყვანოთ და იქ დილეგში ჩავამწყვდიოთ. მაგრამ ჯერ ეს ყმაწვილი ქალები მივაცილოთ მონასტრამდე! თასმები გექნებათ რამე, ამათ შესაკრავად...

— თქვენ გინდათ თქვათ — ქალების შესაკრავად, ერლენდ? — ჰკითხა ერთ-ერთმა თანამგზავრმა. — ორივენი ახალგაზრდები იყვნენ, კარგად ჩაცმულები და ჯერაც არ დაშოშმინებულიყვნენ ჩხუბის მერე.

მათმა ბატონმა წარბები შეჰკრა ერა, ის იყო, მკვახედ უნდა მოეჭრა, მაგრამ ამ დროს კრისტინმა ბატონს ხელი დაადო სახელოზე.

— გაუშვით, ძვირფასო ბატონო! — კრისტინი ოდნავ შეკრთა.— არც მე და არც ჩემს დას სასიამოვნოდ არ დაგვრჩება, ამ ამბის ირგვლივ რომ მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი ატყდეს.

უცნობმა შეხედა კრისტინს, ტუჩი ჩაიკვნიტა და თავი დაუქნია, ნიშნად იმისა, ნათქვამს მიგიხვდიო. მერე ორივე ტყვეს შუბი სიბრტყივ კინწში ისე შემოჰკრა რომ ძირს ტყაპანი მოადინეს.

— აბა მოუსვით, — უთხრა და ორივეს ახლა პანღური ამოჰკრა, იმათაც, თავქუდმოგლეჯილებმა მოკურცხლეს. ბატონი კვლავ ქა-

ლებს მიუტრიალდა და ჰკითხა, ცხენებით წამოსვლას ხომ არ ინებებთო.

ინგებიერგს უარი არ უთქვამს, და ერლენდმა თავის ცხენზე შესვა, მაგრამ ინგებიერგმა შეატყო, რომ იმ უნაგირზე თავს ვერ დაიმაგრებდა და მაშინვე მიწაზე ჩამოცურდა. ბატონმა ახლა კრისტინს შეხედა, კრისტინმა უთხრა, შინ დაჩვეული ვარ ცხენზე ვაქურად ჯდომასო.

ბატონმა კრისტინს მუხლებქვეშ შეუგდო ხელი და უნაგირზე შესვა. — ნეტარმა და ტკბილმა ჟრუანტელმა დაუარა მთელ სხეულში კრისტინს, ისე ფრთხილად ეჭირა იგი ბატონს, თან ოდნავ განზე იწეოდა, თითქოს ეშინოდა, ძალიან ახლო არ მიჰკარებოდა. შინ ვინც კი ცხენზე შეჯდომას შველოდა, იმაზე არა ფიქრობდა, ზედ არ მივიკრაო, და გაუკვირდა, რომ ასეთი პატივისცემით მოექცა ვიღაც...

რაინდმა, — როგორც ინგებიერგი უწოდებდა მას, თუმცა მხოლოდ ვერცხლის დეზებით ჰგავდა რაინდს, ხელი შესთავაზა კრისტინის ამხანაგს, მისი მსახურები კი ცხენებს მოასხდნენ. ინგებიერგს უნდოდა, უეჭველად, ქალაქის ჩრდილოეთით რიუენის მთების ძირში და მარტესტოკერის ტყეზე გასულიყვნენ და არა ქალაქის ქუჩებში. ჯერ ის მოიმიზეზა, თავით-ფეხებამდის შეიარაღებული ხართ, ხომ ასეაო? რაინდმა დარბაისლურად მიუგო, მართალია, იარაღის ტარება აკრძალულია, მაგრამ არც ისე მკაცრად უშლიან ამას — მე და ჩემს მსახურებს ხომ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი, — გარდა ამისა, ახლა მთელი ქალაქი გარეულ მხეცებს დასდევსო... მაშინ, ინგებიერგმა ავაზები მოიმიზეზა, ავაზებისა მეშინიაო... კრისტინს მშვენიერად ესმოდა, ინგებიერგს უნდოდა ყველაზე გრძელი და უკაცრიელი გზით გაევლო, რომ უფრო დიდხანს ემუსაიფა ერლენდთან.

— დღეს უკვე მეორედ გაფერხებთ, ბატონო, — უთხრა კრისტინმა ერლენდს.

— ეგ არაფერია, — დინჯად მიუგო ერლენდმა, — დღეს მხოლოდ გერდარიუდამდე მივდივარ, ახლა კი ნათელი ღამეებია...

კრისტინს მოსწონდა, რომ ის არცა ხუმრობდა, და არც დასცინოდა, ისე ელაპარაკებოდა, როგორც ტოლს და თითქმის თავისზე უფრო მეტსაც. მოაგონდა სიმონი; მეფის კარზე მყოფ ყმაწვილების წრიდან სიმონის გარდა სხვას არავის შეხვედროდა. თუმცა, ეს კაცი, უეჭველია, სიმონზე უფროსი იყო...

ისინი ხეობაში ჩავიდნენ რიუენის მთების ძირას და მდინარის ყოლებით აღმართს შეუდგნენ. ვიწრო ბილიკი იყო და ნორჩი ბუჩქების სველი სურნელოვანი ტოტები ხვდებოდა კრისტინს — აქ, დაბლობში, ცოტა უფრო ბნელოდა, მდინარის გაყოლებით ჰაერი გრილი იყო და ფოთლებს ცვარი ეპკურა.

წინ მძიმედ მიიწევდნენ და ფლოქვების ჯლაყუნი ყრუდ გაისმოდა აბალახებულ ნამიან ბილიკზე. კრისტინი უნაგირზე მიქანაობდა, თან უკანიდან ინგებიერგის ტიკტიკი და უცნობის დაბალი, ბშვიდი ხმა ესმოდა. უცნობი სიტყვაზე ძუნწობდა და, თითქოს, უადგილოდ აძლევდა პასუხებს. კრისტინმა გაიფიქრა, მგონი, ისიც ისეთ გუნებაზეა, როგორ გუნებაზეც მე ვარო, თითქოს რაღაც უცნაური რული მორეოდა, მაგრამ გული დამშვიდებული ჰქონდა, მას მერე, რაც ამ დღეს მომხდარმა ამბავმა მშვიდობიანად ჩაიარა.

კრისტინი თითქოს გამოფხიზლდა, როცა ტყიდან ამწვანებულ მდელოებზე გამოვიდნენ, მარტესტოკერის ქვემოდან. დაბლა, ჩამავალი მზის მკრთალ შუქში ქალაქი და ფიორდი ლივლივებდა — აკერის მთების ზემოდან მორუხო-ცისფერ ცას ბაცი ყვითელი ზოლი შემოვლებოდა. საღამოს მდუმარებაში ყოველი გაფაჩუნება შორიდან ისმოდა, თითქოს ხმა უფსკრულიდან მოდისო, — სადღაც გზაზე ურემი მიჭრიალებდა, კარ-მიდამოებზე ძაღლები იყეფებოდნენ... ხოლო უკან დარჩენილ ტყეს ახლა ჩიტების გალობა და ჭიკჭიკი აყრუებდა. მზე ჩავიდა.

ჰაერში ტრუსის სუნი იდგა, ფოთლებისათვის წაეკიდებინათ, შორს, მინდორზე ეცემოდა და თრთოდა ცეცხლის შუქი, ჯერ ძალიან არა ბნელოდა, მაგრამ ისე ბრიალებდა ალი, ყველა იტყოდა, რომ ღამე უკვე ჩამოწვა.

ისინი უკვე მონასტრის მინდვრების ხერგულებს შუა მიდიოდნენ, როცა უცნობი კვლავ გამოელაპარაკა კრისტინს და ჰკითხა, როგორ გგონიათ, უკეთესი ხომ არ იქნება, ალაყაფის კარამდე მიგაცილოთ, ნება ვითხოვო იღუმენიასთან ლაპარაკისა, რომ ვუამბო, როგორ მოხდა ყველაფერი. მაგრამ ინგებიერგს ერჩია, ეკლესიიდან შეპარულიყვნენ; მაშინ, შეიძლება, მონასტერშიაც ისე შესულიყვნენ, ვერავის შეემჩნია, რომ ასე დაიგვიანეს,—ეგებ თავისი სტუმრებით გართულ დაი პოტენციას სულაც არ მოჰგონებია ისინი.

კრისტინს, თვითონაც არ იცის რატომ, არ გაჰკვირვებია, რომ ეკლესიის დასავლეთის კარის წინ, მოედანზე, ასეთი სიჩუმე იყო და

ადამიანის შვილი არა ჭაჭანებდა. ჩვეულებრივ, საღამოობით აქაურობა ძალიან გამოცოცხლდებოდა ხოლმე, მეზობლები იყრიდნენ თავს მოლოზნების ეკლესიაში; გარდა ამისა, აქვე, ეკლესიის გარშემო, კარგა ბევრი სახლი იდგა, სადაც მონასტერს ჩაზიარებულნი და მონასტრის მსახური ერისკაცები ცხოვრობდნენ. აქ გამოემშვიდობნენ ისინი ერლენდს; კრისტინი იდგა და მის ცხენს ეალერსებოდა, — შავი ცხენი იყო, ლამაზი თავი და მშვიდი თვალები ჰქონდა; კრისტინმა ცხენი მურვინს მიამსგავსა, იმაზე იჯდა ხოლმე მუდამ ბავშვობაში.

— თქვენ ცხენს რა ჰქვია?—ჰკითხა კრისტინმა, როცა ცხენი პატრონისკენ მიტრიალდა და მის მკერდს დაუწყო ყნოსვა.

— ბაიარდი, — უთხრა ბატონმა და ცხენის კისრის ზემოდან გადმოსედა კრისტინს. — თქვენ ჩემი ცხენის სახელსა კითხულობთ ჩემსას კი არა?

— ძალიანაც მინდა ვიცოდე თქვენი სახელი, ბატონო! — მიუგო კრისტინმა და ოდნავ დაუკრა თავი.

— ერლენდი გახლავართ, ნიკულაუსის ვაჟი, — მიუგო მან.

— მაშ, მიიღეთ ჩემი მადლობა, ერლენდ, ნიკულაუსის ვაჟიშვილო, იმ კეთილი სამსახურისათვის, რომელიც დღეს გაგვიწიეთ, — უთხრა კრისტინმა და ხელი გაუწოდა.

მაგრამ უცებ სახეზე ალმური ავარდა და ხელის უკან გამორთმევა მოინდომა.

— თქვენი ნათესავი ხომ არ არის დოვრელი გეუტის ქალი ფრუ ოსხილდი? — ჰკითხა მან.

გაოცებულმა კრისტინმა დაინახა, ერლენდი ჭარხალივით გაწითლდა; მოულოდნელად კრისტინს ხელი გაუშვა და მიუგო:

— ფრუ ოსხილდი დეიდაჩემია, სწორედ ეგრეა, მე ერლენდი გახლავართ, ხიუსაბიუელი ნიკულაუსის ვაჟიშვილი. — და ისე უცნაურად შეხედა ყმაწვილ ქალს, რომ კრისტინი ბატონზე მეტად შეკრთა, მაგრამ თავს მოერია და უთხრა:

— თქვენ ღირსი ბრძანდებით უფრო ლამაზად გადამეხადა თქვენთვის მადლობა, ერლენდ ნიკულაუსის ვაჟიშვილო, მაგრამ მართალი მოგახსენოთ, არ ვიცი, რა გითხრათ!..

ერლენდმა თავი დაუკრა და კრისტინმა იფიქრა, ახლა დროა, გამოვეთხოვო, თუმცა არ ეთმობოდა ერლენდთან საუბარი, ეკლესიის

კართან მისული უკან მოტრიალდა, და რაკი დაინახა ერლენდი ისევ თავისი ცხენის გვერდით იდგა, ხელი დაუქნია გამოსალმების ნიშნად.

მონასტერი მღელვარებას მოეცვა, ყველანი ძალიან აფორიაქებულები იყვნენ. ხოკონს ცხენით გამოეგზავნა კაცი და დაებარებინა, იმ არეულობაში ყმაწვილი ქალები ამცდნენ, და ინგებიერგსა და კრისტინს მთელ ქალაქში დაეძებო; მონასტრიდან ხოკონისთვის დასახმარებლად ხალხი გაეგზავნათ. მოლოზნებს გაეგოთ, თითქოს გამოქცეულ გარეულ ნადირებს ქალაქში ორი ბავშვი დაეგლიჯათ და შეეჭამათ. ეს ტყუილი იყო, ერთი — ავაზა გამოჰქცეოდათ — ისიც მწუხრის ლოცვამდე დაეჭირათ სამეფო მამულის მსახურებს.

კრისტინი გაჩუმებული და თავდახრილი იდგა, სანამ იღუმენია და დაი პოტენცია ცეცხლს აყრიდნენ და მრისხანედ ტუქსავდნენ ყმაწვილ ქალებს. კრისტინი ისე მშვიდად იყო, თითქოს იმას არ უჯავრდებოდნენ. ინგებიერგი ტიროდა, ცდილობდა თავი ემართლებინა — ჩვენ ხომ დაი პოტენციას ნებართვით წავედით, პატივსაცემი, დარბაისელი გამყოლის თანხლებით და განა ჩვენი ბრალია, რაც მერე მოხდაო?..

მაგრამ ფრუ გრუას არაფრის გაგონება არ უნდოდა, უთხრა, ეკლესიაში წადით და შუაღამემდე იქ დარჩით; ეცადეთ, სულიერ სამყაროზე იფიქროთ და მადლი შესწიროთ უფალს, რომ სიკვდილს გადაგარჩინათ და ნამუსი შეგინარჩუნათო.

— ღმერთმა ახლა აშკარად დაგანახვათ, მთელი სინამდვილე ამა ქვეყნისა, — უთხრა მან, — გარეული ნადირნი და ეშმაკის მსახურნი ყოველ ნაბიჯზე ემუქრებიან მის შვილებს, და სხვა ხსნა არ არის, უნდა მიენდოთ ღმერთს და ნიადაგ ევედროთ მას და ილოცოთ!

ორივეს თითო ანთებული სანთელი მისცა ხელში და უბრძანა, ბორდის ქალს დაი ცეციილიას გაჰყოლოდნენ, რომელიც ხშირად სულ მარტოდმარტო მთელ ღამეს ლოცულობდა ხოლმე ეკლესიაში.

კრისტინმა თავისი სანთელი საკურთხეველში დადგა, წმინდა ლავრენტის ეკვდერში და სალოცავ სკამზე დაიჩოქა, თვალს არ აშორებ-

და სანთლის ალს, თან ჩუმად „Pater Noster"-სა და „Ave Maria"-ს ბუტბუტებდა. ნელ-ნელა, თითქოს, სანთლის შუქმა დაავიწყა ყველაფერი, რაც მის და ამ სანთლის ელვარების მიღმა იყო. იგრძნო— როგორ გაეხსნა გული და აღევსო სათნო ღვთისმშობლისადმი მადლიერებით, ქებითა და სიყვარულით — ისინი ისე ახლოს იყვნენ მასთან. კრისტინმა წინათაც იცოდა, რომ ღმერთი და ღვთისმშობელი ხედავენ მას, ახლა კი იგრძნო ეს. ეს ქვეყანა თითქოს ზმანებად ექცა: ჩაბნელებულ ოთახში მზის შუქი შეჭრილა, მტვრის უმცირესი ნაწილაკები გუნდ-გუნდად ტრიალებენ და ხან აქეთ, ხან იქით მიექანებიან სიბნელესა და სინათლის შუა — კრისტინმა იგრძნო — აგერა ძლივს! — იგი მზის სხივში ჩაიძირა...

მას ასე ეგონა, სიამოვნებით გაატარებდა რამდენ ხანსაც გნებავთ, ამ სიჩუმითა და ღამის სიბნელით მოცულ ეკლესიაში, — სიბნელეში გამომკრთალი ოქროსფერ ვარსკვლავებივით აქა-იქ დაცემული ეს სინათლის შუქი დიდი ხნის გამჯდარი საკმევლის მოტკბო სურნელება და ანთებული ცვილის სანთლის საამო სუნი... თვით კრისტინი, რომელიც სიმშვიდეს შესთხოვს თავის საკუთარ ვარსკვლავს...

შეწყდა რაღაც დიდი სიხარული, როდესაც დაი ცეცილია, ნარნარით კრისტინთან მივიდა, მხარზე ხელი შეახო და სამმა ქალმა საკურთხევლებს რევერანსებით ჩაუარა, და სამხრეთის პატარა კარიდან მონასტრის ეზოში გავიდნენ.

ინგებიერგს ისე მოერია ძილი, თავისებურად აღარ უჭიკჭიკია, ისე დაწვა. კრისტინს გაუხარდა კიდეც — არ უნდოდა, ვინმე დალაპარაკებოდა და გამოერკვია ასეთი ნეტარი ფიქრებიდან. უხაროდა ისიც, რომ ღამე პერანგების გახდის ნებას არ აძლევდნენ, — ინგებიერგი ისეთი სქელი იყო, თან რა ოფლი იცოდა.

კრისტინს დიდხანს ძილი არ მიჰკარებია, მაგრამ მძლავრად მოწოლილი ნეტარი გრძნობები, რომელთაც ეკლესიაში მუხლმოდრეკილი კრისტინი ოცნებათა სამყაროში წაიღეს, აღარ უგრძვნია. თუმც ჯერ ისევ უვლიდა სხეულში ამ გრძნობათა სითბო და მხურვალე მადლობას სწირავდა ღმერთს, ასე ეგონა, თითქოს, რაღაც სულიერი ძალა მიეცა, როცა ღმერთს ავედრებდა თავის მშობლებს, დებს, და ლოცულობდა, გიურდის ვაჟიშვილის — არნეს სულის მოსახსენიებლად.

მოაგონდა მამა... კრისტინი ნაღვლობდა უიმისობას და სევდასა ჰგვრიდა მოგონება ყველაფერი იმისა, რაც ერთად გადაიტანეს მანამდე, სანამ სიმონ დარეს გაიცნობდნენ და დაუახლოვდებოდნენ. მამისადმი რაღაც სულ სხვანაირი სიყვარულით აღევსო გული, თითქოს, დედობრივი სიყვარულისა და დედობრივი მწუხარების წინაგრძნობაც ჩაქსოვილიყო დღეს მამისადმი სიყვარულში; ბუნდოვნად გრძნობდა, ბევრი რამ იყო ცხოვრებაში, რაც წილად არა ხვდომია მამას და რაზედაც თვალი დარჩა. მოაგონდა გერდარიუდის ძველი, გარუჯული, ჩაშავებული ხის ეკლესია, წელს, აღდგომასა ნახა პატარა საფლავები თავისი სამი ძმისა და ბებიის საფლავი — მამის ღვიძლი დედის — სიგიურდის ასული კრისტინისა, რომელიც ლავრანსის ლოგინობას გადაჰყვა...

გერდარიუდში[1] რა უნდოდა ნიკულაუსის ვაჟიშვილ ერლენდს,— კრისტინს წარმოდგენა არა ჰქონდა...

თვითონაც არ შეუმჩნევია, რომ მთელი საღამო ერლენდზე ფიქრობდა; ჩაბნელებულ ეკლესიაში სანთლის წინ დაჩოქილს სულ თვალწინ ედგა მისი თხელი, შავგვრემანი სახე და მისი წყნარი ხმა ჩაესმოდა.

დილით რომ გაეღვიძა კრისტინს, საწოლ ოთახში მზე კაშკაშებდა, ინგებიერგმა უთხრა, ფრუ გრუას თვითონ უბრძანებია თეთროსან დებისთვის დილის ცისკრისთვის არ გააღვიძოთო. ახლა კი ნება მოგვცეს, სამზარეულოში წავიდეთ და ვჭამოთ. კრისტინი გაახარა იღუმენიის გულკეთილობამ და გულითადი მადლობა აგრძნობინა — თითქოს მთელ ქვეყანას მჩოლოდ სიკეთე სურდა მისთვის.

III

აკერის გლეხთა გილდია თავის მფარველად წმინდა მარგრეტსა სთვლიდა და ყოველწლიურად, 20 ივლისს დღესასწაულს იხდიდა თავისი წმინდანის მოსაგონებლად. ბერ-მოლოზნები ბავშვებთან, სტუმრებთან და აკერის მსახურებთან ერთად ისმენდნენ წირვას

---

[1] ადგილი ოსლოზე უფრო სამხრეთით, სადაც ოსმიუნდის, კრისტინის ბიძის მამული სკუგი მდებარეობდა.

წმინდა მარგრეტის ეკვდერში მდგომნი. ხოლო მერე, ხოფინის თავშესაფრის ახლოს, გილდიის სახლი იდგა, იქ მიდიოდნენ და ხუთი დღე იქა ქეიფობდნენ და ლხინობდნენ.

რადგან აკერის ეკლესია და ხოფინის თავშესაფარი ნონესეტერის ქალთა მონასტერს მიეკუთვნებოდა, ხოლო, გარდა ამისა, ბევრი აკერელი გლეხი მონასტრის მეწილე იყო, ამიტომ ჩვეულებად იქცა, იღუმენიასა და ზოგიერთ უფროს მოლოზნებს პატივი დაედოთ გილდიისათვის და დღესასწაულის პირველ დღეს ნადიმზე სწვეოდნენ. ხოლო იმ ყმაწვილ ქალებს კი, ვინც მონასტერში მხოლოდ იმიტომ იყვნენ, რომ შეესწავლათ რამ და მოლოზნად წასვლას არ აპირებდნენ, ნება ეძლეოდათ, იღუმენიას თან გაჰყოლოდნენ და იქ ეცეკვათ: ამიტომ სადღესასწაულოდ მონასტრის ტანსაცმელს კი არ იცვამდნენ, თავიანთი საკუთარი კაბებით ირთვებოდნენ.

ამიტომ იყო, წმინდა მარგრეტის დღესასწაულის წინა საღამოს ყმაწვილი მორჩილი ქალების საძილე ოთახში ერთ ალიაქოთსა და ფაციფუცში იყვნენ. ნადიმზე წამსვლელ ყმაწვილ ქალებს სკივრები ამოექოთებინათ და წესრიგში მოჰყავდათ თავიანთი ტანსაცმელი. სხვები კი, საწყლები, დასევდიანებულები შეჰყურებდნენ ამხანაგებს. ზოგი ბუხარში ცეცხლზე ქოთნებით წყალს ათუხთუხებდა, რაც ანაზებდა და აფაფუკებდა კანს; ზოგი რაღაცას იხარშავდა თმაზე წასასმელად, მერე წასმულ თმას თუ გაიშლიდი, და მაგრად დაახვევდი ტყავის თასმებზე, თმა ხუჭუჭდებოდა და კულულებად გეფინებოდა.

ინგებიერგმა სულ ამოალაგა, რაც კი რამ ჰქონდა წამოღებული. მაგრამ ვერა და ვერ გადაეწყვიტა, რომელი კაბა ჩაეცვა, — ასე იყო თუ ისე, ყველაზე საუკეთესო ბაც მწვანე ხავერდის კაბას მაინც არ ჩაიცვამდა, — ამ გლეხური ნადიმისათვის მეტისმეტად მდიდრულიაო. მაგრამ ერთმა ტანმორჩილმა გალეულმა მოლოზანმა, ის დღესასწაულზე არ მიდიოდა, — ხელგა ერქვა, მშობლებს აღთქმა ჰქონოდათ მიცემული და ჯერ ისევ ბავშვი მოეყვანათ მონასტერში, — გვერდზე გაიხმო კრისტინი და წასჩურჩულა, ინგებიერგი, რასაკვირველია, მწვანე კაბასაც ჩაიცვამს და ვარდისფერ პერანგსაცაო.

— შენ მუდამ კარგად მექცევი, კრისტინ, — უთხრა ხელგამ. — თუმცა არ შემშვენის მაგისთანა საქმეებში ჩარევა, მაგრამ მაინც უნდა გითხრა: რაინდი, იმ გაზაფხულის საღამოს რომ მოგაცილათ შენ და ინგებიერგი, მას შემდეგ კიდეც ვნახე და კიდეც გავიგონე,

როგორ ელაპარაკებოდა ინგებიერგი... მერე ეკლესიაშიც რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს, ის ხშირად ელოდება ინგებიერგს შუკაში მიმალული, როცა ინგებიერგი ინგიუნთან მიდის ხოლმე ერის კაცების სახლში — მაგრამ რაინდი შენ გეძებს, კრისტინ და ინგებიერგიც დაჰპირდა, აქ მოვიყვანო. მე კი, სანაძლეოს დავდებ, დღემდე შენ არაფერი გსმენია ამის შესახებ!

— მართლაც, ინგებიერგს ჩემთვის არაფერი უთქვამს იმ რაინდზე, — უთხრა კრისტინმა და ტუჩები მაგრად მოკუმა, არ უნდოდა, ხელგას შეენიშნა, თავისდა უნებურად, ბაგეზე გამომკრთალი ღიმილი. მაშ, აი, თურმე, რა ყოფილა ინგებიერგი!.. — ალბათ, ხედავს, რომ მე იმათთანებს არ ვეკუთვნი, ვინც პაემანებზე დარბიან და ფარდულებსა და ღობეებს ამოფარებულები უცხო კაცებსა ხვდებიან! — ამაყად უთხრა კრისტინმა.

— ვხედავ, ტყუილად შევიწუხე თავი და გიამბე, რაზედაც, სჯობდა, გავჩუმებულიყავი! — ნაწყენმა უთხრა ხელგამ, და თავთავისთვის წავიდნენ.

მაგრამ, მთელი საღამო, როცა ვინმე შეხედავდა, კრისტინი ცდილობდა არ გაღიმებოდა.

მეორე დილით ინგებიერგი დიდხანს დადიოდა პერანგისამარა, სანამ კრისტინი არ მიხვდა, მისი ამხანაგი ჩაცმას არ აპირებდა, უცდიდა, ჯერ კრისტინი მორთულიყო.

კრისტინს არაფერი უთქვამს ინგებიერგისთვის, სიცილით მივიდა თავის სკივრთან და ახალთახალი მოოქროსფრო — ყვითელი პერანგი ამოიღო. რომელშიც ჯერ მკლავი არ გაეყო; სხეულზე მსუბუქად ჩასრიალებული პერანგი ძალზე რბილი და გრილი მოეჩვენა; ლამაზად იყო მოსირმული და ლურჯი და ყავისფერი ძაფით ამოქარგული ყელის ირგვლივ და მკერდზე, სწორედ იქამდის, სადამდესაც ჩანდა ამოჭრილი გულიდან. მკლავებიც[1] ამგვარადვე ჰქონდა ამოქარგული. კრისტინმა ფეხებზე სელის წინდები აიკიმა და ყაითანი გაუყარა ლილისფერ ფეხსაცმელს, ხოკონს ბედი ეწია და ეს ფეხსაცმელი

---

1. მკლავებს ცალკე იკეთებდნენ, კაბას არ აკერებდნენ.

მშვიდობით მოიტანა იმ შფოთიან დღეს. ინგებიერგი თვალს არ აშორებდა კრისტინს, და მაშინ, კრისტინმა სიცილით უთხრა:

— მამაჩემი მუდამ მარიგებდა, თავის დღეში არ იუკადრისო ისინი, ვინც ჩვენზე დაბლა დგანანო, შენ კი, ალბათ, ისეთი დიდი გვარისა ბრძანდები, რომ მორთვას არა კადრულობ ვიღაც გლეხუ-ჭებისა და მეწილეებისთვის!..

მწიფე ოოლოსავით გაწითლებულმა ინგებიერგმა, შალის პერანგი თეთრი თეძოებიდან ჩაიცურა და საჩქაროდ გადაიცვა ვარდისფერი აბრეშუმის პერანგი... კრისტინმაც გულამოჭრილი კაბა ჩაიცვა, თავისი საუკეთესო ხავერდის კაბა — იისფერი კაბა იყო, გული დიდად ჰქონდა ამოღებული და გაჭრილი სახელოები მიწაზე სცემდა. წელზე მოოქრული სარტყელი შემოირტყა და ბეჭებზე ციყვის ბეწვით მორთული ლაბადა მოიგდო. მერე ბეჭებსა და მხრებზე ჩამოიშალა გრძელი ქერა თმა და ვარდებით ნაჭედი ოქროს თალა გაიკეთა თავზე.

ამ დროს ხელგას შეხედა, იქვე იდგა და მათ შესცქეროდა, კრისტინმა სკივრიდან ვერცხლის დიდი ბალთა ამოიღო, სწორედ ამ ბალთითა ჰქონდა ლაბადა შეკრული ბენტეინი რომ შეხვდა შარაზე, და მას შემდეგ შესძულდა, და აღარა ხმარობდა. ის ხელგასთან მივიდა და ჩუმად უთხრა:

— მე ვიცი, გუშინ გინდოდა გეჩვენებინა, რომ კარგი გულითა ხარ ჩემთან; არ გეგონოს, კრისტინმა ეს ვერ გაიგოო... — და ხელგას ხელში მიაჩეჩა ბალთა.

ინგებიერგიც მშვენიერი რამ იყო, როცა თავისი მწვანე კაბა ჩაიცვა, ბეჭებზე წითელი აბრეშუმის ლაბადა მოიგდო და მხრებზე მშვენიერი ხუჭუჭი თმა ჩამოიშალა.

„ორივენი ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, რომელი უკეთესად მოირთვებოდა“ — გაიფიქრა კრისტინმა და გაიცინა.

გრილი ნამიანი დილა იყო, როცა პროცესია ნონესეტერიდან დასავლეთისაკენ დაიძრა და ფრიუშიესკენ აიღო გეზი. აქ თიბვა გაეთავებინათ, აქა-იქღა დარჩენილიყო გასათიბი და ტყრუშული ღობეების გაყოლებით ჯერ ისევ ბუჩქ-ბუჩქად ყვაოდა ლურჯი მაჩიტელა და ოქროსფერი ენდრონიკა; ქერს თავთავი გაეკეთებინა და მკრთალ-მოვარდისფრო-ვერცხლისფრად ღელავდა. ბევრგან, სადაც

ბილიკი ვიწროვდებოდა, ყანაზე მიმავალთ მუხლებით უნდა გაერღვიათ თავთავი, ისეთი ხშირი ყანა იყო.

ხალხს წინ მიუძღოდა ხოკონი. მას ხელთ ეპყრა მონასტრის დროშა, ლურჯ აბრეშუმის ქსოვილზე ქალწული მარიამის გამოსახულება იყო. ხოკონს მისდევდნენ მსახურები და მონასტერში მცხოვრები ერისკაცები, ერისკაცების უკან ცხენებით მოდიოდნენ ფრუ გრუა და ოთხი მოხუცი მოლოზანი. მოლოზნებს ქვევითად მისდევდნენ ყმაწვილი ქალები; მათი სადღესასწაულო კაბები მზის შუქზე ათასფერად ელვარებდნენ და ბზინვა გაჰქონდათ. ბოლოს მიჩანჩალებდნენ მონასტერთან მცხოვრები რამდენიმე ერისქალი და ორისამი შეიარაღებული მონასტრის მსახური.

ყველანი გალობით მიდიოდნენ მზით გაკაშკაშებულ მინდვრებზე, და მიმავალი ხალხის შესახვედრად, გზის აქეთ-იქით ბილიკებიდან შარაზე გადმოსული ხალხი გზას აძლევდა მიმავალთ და მოწიწებით უკრავდა თავს, საითაც გაიხედავდი, მინდვრებსა და მდელოებზე, ქვეითად თუ ცხენებით გუნდ-გუნდად მოდიოდა ხალხი, წამოუსვლელი არავინ დარჩენილა, ყველა საყდრისაკენ მიეშურებოდა. პატარა ხნის მერე მიმავალთ უკან, კაცების დაბალი, ხმაშეწყობილი გალობა გაისმა, სახოტბო საგალობელს გალობდნენ. ბექობს იქიდან გამოჩნდა ხუვედეის მონასტრის დროშა — წითელი აბრეშუმის ქსოვილი მზეზე ბრწყინავდა, მიქანაობდა და რამდენიც ნაბიჯს გადადგამდა მედროშე, იმდენი წინ იხრებოდა დროშა.

მძლავრად გუგუნებდნენ სპილენძის ზარები, ზარების გუგუნში აღარ ისმოდა ულაყთა ჭიხვინი, ერთი ბექობიღა დარჩათ ასავლელი და ეკლესიისაკენ მიმავალი ხალხი ახლა ამ ბექობს შეუდგა. კრისტინს თავის დღეში არ ენახა ერთად ამდენი ცხენი — ეკლესიის კართან, პატარა მწვანე მდელოზე ტევა არ იყო, ცხენები ცმუკავდნენ და ზურგები ულაპლაპებდათ. სადღესასწაულოდ ლამაზად მორთული ხალხი — რიგი იდგა, რიგი იჯდა და რიგიც წამოწოლილიყო, მაგრამ ეკლესიისაკენ რომ მიჰქონდათ ნონესეტერელი ქალწული მარიამის დროშა და ხალხზე გაატარეს, ყველა მოწიწებით წამოდგა და მდაბალი სალამი მისცა ფრუ გრუას.

წირვა-ლოცვაზე იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, გეგონებოდა, ეკლესია ვერ დაიტევსო, მაგრამ მონასტრიდან მოსულთათვის, ზედ ამბიონზე შეენახათ ადგილი. მათ ფეხდაფეხ მიჰყვნენ და პატრონი-

კეზე ავიდნენ ცისტერციანელების ორდენის ბერები — ეკლესიაში გაისმა კაცების გალობა და ბავშვების ხმებიც გამოერია.

ახალი დაწყებული იყო წირვა, დაჩოქილი ხალხი რომ უნდა ფეხზე წამომდგარიყო სწორედ მაშინ მოჰკრა თვალი კრისტინმა ნიკულაუსის ვაჟიშვილ ერლენდს. ტანად მაღალი იყო — გარშემო მყოფებზე მთელი თავით მაღალი; გვერდიდან ხედავდა მის სახეს, მაღალი, გამობურცული ვიწრო შუბლი ჰქონდა, სამკუთხედივით გამოწეული დიდი, სწორი ცხვირი — საოცრად თხელი, ლამაზი და მთრთოლვარე ნესტოები, კრისტინმა არ იცოდა რით, მაგრამ ერლენდი ფაფარაყრილ დამფრთხალ ულაყსა ჰგავდა, ისეთი ლამაზი არ იყო, როგორიც კრისტინს წარმოედგინა, როცა მასზე ფიქრობდა,— სევდიანი და მკვეთრი ხაზები მისდევდა პატარა, სუსტი ნებისყოფის გამომხატველ მშვენიერ ბაგეებს, — არა, მაინც ლამაზი იყო ერლენდი!

ერლენდმა თავი მოაბრუნა და კრისტინი დაინახა, კრისტინს არ ახსოვდა, რამდენ ხანს უყურეს ერთმანეთს თვალებში. ხოლო მერე მხოლოდ იმის ფიქრში იყო, როდის გათავდებოდა წირვა: გაფაცებული ელოდა, რა მოხდებოდა წირვის შემდეგ.

ვაჭედილი ეკლესიიდან გამოსასვლელად დაძრული ხალხი ერთმანეთს მიაწვა. ინგებიერგმა უკან დაიწია და კრისტინიც ხალხს უკანა რიგებისკენ გაიყოლია, ამიტომ, ბედი ეწიათ და იმ მოლოდინებს ჩამორჩნენ, რომლებიც უკვე გადიოდნენ ეკლესიიდან და იმათში აირივნენ, ვინც ყველაზე ბოლოს მოვიდა, ბოლოს იღებდა ზიარებას და ეზოში გადიოდა.

ერლენდი უკვე გარეთ ზედ კართან იდგა გერდარიუდელ მღვდლისა და მდიდრულ ლურჯ ხავერდის ტანსაცმელში გამოწყობილ მსუქან ღაჟღაჟა კაცს შუა. თვითონ ერლენდი მუქ აბრეშუმებში იყო ჩაცმული: შავსახიანი ყავისფერი გრძელი ხიფთანი ეცვა და შავი ლაბადა ჰქონდა წამოსხმული. ლაბადაზე პატარა, ყვითელი მიმინოები იყო ამოქარგული.

ისინი ერთმანეთს მიესალმნენ, მერე მდელო გადაჭრეს და იქითკენ წავიდნენ, სადაც ცხენები ჰყავდათ მიბმული. ვიდრე ლაპარაკობდნენ რა მშვენიერი ამინდია, რა ჩინებულად ჩაიარა წირვამ და რა დიდძალი ხალხი დაესწროო, მსუქანმა, ღაჟღაჟა ოქროსდეზებიანმა ბატონმა — რაინდ მიუნანსს ეძახდნენ,—ინგებიერგს ხელში ჩაჰ-

�da ხელი: ეტყობა, ქალი ძალიან მოეწონა. ერლენდი და კრისტინი ორიოდე ნაბიჯით ჩამორჩნენ მათ და — გაჩუმებულები მისდევდნენ.

ეკლესიის გორაკზე დიდი ალიაქოთი ატყდა, ხალხმა რომ დაშლა დაიწყო, ცხენები ერთმანეთს მიაწყდა, ხალხი ყვიროდა, ყაყანებდა, ზოგი ჯავრობდა, ზოგი იცინოდა. ბევრი ორ-ორი ჯდებოდა ცხენზე; ქმრებმა უკან შემოისხეს ცოლები, ან წინ ისხამდნენ ბავშვებს, ყმაწვილი ბიჭები მეგობარს უხტებოდნენ ცხენზე. ეკლესიის მედროშეები, მოლოზნები და მღვდლები წინ წასულიყვნენ და შორს, მთის ძირში მოჩანდნენ.

ერლენდსა და კრისტინს გვერდით ჩაუარა რაინდმა მიუნანმა; ინგებიერგი წინ დაესვა უნაგირზე, და ცალი ხელი წელზე შემოეხვია. ორივენი უყვიროდნენ და ხელებს უქნევდნენ კრისტინსა და ერლენდს. მაშინ ერლენდმა უთხრა კრისტინს:

— ჩემი ორი მსახური აქა მყავს; შეუძლიათ, ერთად იმგზავრონ... ერთ ცხენზე შესხდნენ, მხოლოდ თქვენ ხაფტურის ცხენზე შეჯექით... თუ გსურთ...

კრისტინი გაწითლდა და მიუგო:

— ჩვენ ისედაც ჩამოვრჩით ყველას, და ვერც თქვენს მსახურებსა ვხედავ აქ, ისე რომ...—და სიცილი ვეღარ შეიმაგრა, ერლენდსაც გაეღიმა.

ერლენდი უნაგირს მოახტა, კრისტინს ხელი მიაშველა და უკან შემოისვა. შინ კრისტინი ცხენზე უკან ხშირად შემოსჯდომია მამას, მაშინაც კი, როცა ისე წამოიზარდა, რომ ვაჟურად აღარა ჯდებოდა. მაგრამ მაინც შეკრთა და ეხამუშა, როცა ერლენდს მხარზე ხელი დაადო; მეორე ხელით კი ცხენის ზურგს დაენდო; ისინი ნელი ნაბიჯით დაეშვნენ ხიდისკენ.

პატარა ხნის მერე კრისტინმა გადაწყვიტა, ალბათ მე უნდა გავუბა საუბარი, რაკი თვითონ ერლენდი არ იწყებს ლაპარაკსო და უთხრა:

— რა მოულოდნელია, ბატონო ჩემო, ჩვენი დღევანდელი შეხვედრა!

— განა მოულოდნელია? — ჰკითხა ერლენდმა და კრისტინისკენ მიაბრუნა თავი. — განა ფილიპიუსის ასულმა ინგებიერგმა არ გადმოგცათ ჩემგან მოკითხვა?

— არა, — მიუგო კრისტინმა. — ჩემთვის არავის გადმოუცია თქვენი შემოთვლილი მოკითხვა; ინგებიერგს ერთხელაც არ უხსენებიხართ, მას აქეთ, რაც მაისში იმ გასაჭირიდან გვიხსენით. — ეშმაკურად უთხრა მან. სულაც არ ენაღვლებოდა, თუ ინგებიერგის ვერაგობას გაიგებდნენ.

— არც იმ შავგვრემანმა, ტანმორჩილმა ქალმა გადმოგცათ, მოლოზნად რომ ემზადება, რა ჰქვია, არ მახსოვს... ფული კი მივეცი, რომ მოკითხვა გადმოეცა ჩემგან.

კრისტინი გაწითლდა, მაგრამ სიცილი მაინც ვერ შეიმაგრა.

— დიახ, ხელგეს ამას ვერ დავუკარგავთ, პატიოსნად დაიმსახურა გასამრჯელო! — უთხრა მან.

ერლენდმა ოდნავ შეატოკა თავი, — მისი კისერი შეეხო კრისტინის ხელს. კრისტინმა სწრაფად გადაინაცვლა, მხარზე დადებული ხელი კისრიდან შორს წაიღო და შეშფოთებულმა გაიფიქრა, უფრო დიდი სითამამე ხომ არ გამოვიჩინე, ვიდრე ზრდილობა მოითხოვს და ამ დღესასწაულზე მოვედი მას მერე, რაც ამ კაცმა თითქოსდა პაემანი დამინიშნაო.

პატარა ხნის მერე ერლენდმა ჰკითხა:

— ამ საღამოს არ იცეკვებთ ჩემთან, კრისტინ?

— არ. ვიცი, ბატონო ჩემო, — მიუგო ყმაწვილმა ქალმა.

— ეგებ ეს უწესობადაც მიგაჩნიათ? — ჰკითხა ერლენდმა და რაკი კრისტინმა არ უპასუხა, განაგრძო: — შეიძლება ასეც არის. მაგრამ, ეგებ იფიქროთ-მეთქი, რომ ამით არაფერი დაგაკლდებათ, თუ ცეკვის დროს ჩემთან ერთად ხელიხელ გაყრილი გაივლით. თუმცა რვა წელიწადიც არის რაც აღარ მიცეკვია.

— რატომ, მერე, ბატონო ჩემო? — ჰკითხა კრისტინმა. — ეგებ ცოლიანი ბრძანდებით? — ესა თქვა და გაიფიქრა, თუ ცოლიანია, მაშინ მისი მხრიდან უპატიოსნება იქნებოდა, ამისთანა პაემანის დანიშვნაო და თავის წინდაუხედავი ნათქვამის გამოსასწორებლად დაატანა: — ეგებ საცოლე მოგიკვდათ, ან ცოლი?

ერლენდი სწრაფად მოტრიალდა და უცნაურად შეხედა კრისტინს.

— მე? განა ფრუ ოსხილდს... მაშ, ისე რად გაწითლდით იმ საღამოს, როცა გაიგეთ, ვინც ვიყავი? — ჰკითხა პატარა ხნის დუმილის მერე ერლენდმა.

კრისტინი ისევ გაწითლდა, მაგრამ არაფერი უპასუხია. — მაშინ კვლავ ჰკითხა ერლენდმა.

— ძალიან მინდა, გავიგო, რას გელაპარაკათ დეიდაჩემი ჩემზე?

— კარგის მეტი არაფერი უთქვამს, — საჩქაროდ მიუგო კრისტინმა. — ძალიან გაქებდათ. მეუბნებოდა, ისეთი ლამაზია და ისეთი სახელოვანი გვარის შვილია, რომ... ვერც ერლენდისთანებთან და ვერც ჩემს ნათესავებთან გვარიშვილობით ვერ მოხვალთ ვერც შენა და ვერც შენი ნათესავებიო...

— მაშ, თავისას არ იშლის და იმ თავის მიყრუებულ სავანეშიც ძველებურად ისევ მაგეებზე ლაპარაკობს? — თქვა ერლენდმა და მწარედ გაეცინა, — რას იზამ, თუკი ეგ აძლევს ნუგეშს... მაშ, სხვა არაფერი უთქვამს ჩემზე?

— რა უნდა ეთქვა? — ჰკითხა კრისტინმა; და თვითონაც ვერ გაეგო ასე ძალიან რად შეეკუმშა გული.

— ოჰ, მას შეეძლო... — თავი ჩაღუნა ერლენდმა და წყნარი ხმით მიუგო, — მას შეეძლო ეთქვა, ეკლესიისაგან განკვეთილი იყო და ძვირად დაუჯდება ეკლესიასთან შერიგება და სიმშვიდის მოპოვებაო.

კრისტინი დიდხანს სდუმდა. მერე ჩუმად თქვა:

— ბევრი ხალხია, ვისაც ბედმა არ გაუღიმა, — ხშირად გამიგონია ეს სიტყვები. მე კარგად არ ვიცნობ მაღალ საზოგადოებას. მაგრამ თავის დღეში ვერ დავიჯერებ, ერლენდ, რომ თქვენ რამე უპატიოსნო... საქმისთვის...

— დაე, ღმერთმა დაგაჯილდოვოს მაგ სიტყვებისთვის, კრისტინ, — უთხრა ერლენდმა და ისე ფიცხლად დაიხარა და ხელზე ეამბორა, რომ საკუთარი ცხენი დააფრთხო, რომელზედაც ისხდნენ. როცა ისევ წყნარი ნაბიჯით წავიდა ცხენი, ერლენდმა დაჟინებით უთხრა:

— დღეს ჩემთან უნდა იცეკვოთ, კრისტინ! ჩემს ამბებს მერე გიამბობთ, დღეს კი ვიმხიარულოთ, არა?

კრისტინმა თანხმობა მისცა და ერთ ხანს ისინი გაჩუმებულები მიდიოდნენ.

მაგრამ პატარა ხნის მერე ერლენდმა გამოკითხვა დაუწყო ფრუ ოსხილდზე. კრისტინმაც ყველაფერი უამბო, რაც იცოდა და ძალიან უქო ოსხილდი.

— მაშ, ზოგის კარი ძაიხც ღიაა ბიორნისა და ოსხილდისათვის?

კრისტინმა მიუგო, იმათ დიდ პატივსა სცემენ და მამაჩემი და მრავალი სხვაცა ფიქრობს ბევრი რამ, რასაც იმაზე ლაპარაკობენ, მოჩმახულიაო.

— როგორ მოგეწონათ ჩემი ნათესავი ბორდის ვაჟიშვილი მიუნანი? — ჰკითხა ერლენდმა და გაეცინა.

— იმისთვის არც შემიხედია, — უთხრა კრისტინმა, — ასე მგონია, არცა ღირს, შეხედოს ადამიანმა.

— განა არ იცოდით, ის ხომ ოსხილდის შვილია? — ჰკითხა ერლენდმა.

— ფრუ ოსხილდის შვილი? — შესძახა გაოცებულმა კრისტინმა.

— ერთი იმისი სილამაზე ვერ წაიღეს იმისმა შვილებმა, დანარჩენი კი, აღარაფერი შეარჩინეს დედას, — თქვა ერლენდმა.

— ფრუ ოსხილდის პირველი ქმრის გვარიც არ ვიცოდი, — უთხრა კრისტინმა.

— ორმა ძმამ მიუნანის ვაჟიშვილებმა ბორდმა და ნიკულაუსმა ორი და შეირთო, — უთხრა ერლენდმა. — მამაჩემი უფროსი იყო, დედაჩემი მეორე ცოლად გაჰყვა, პირველ ცოლთან მამაჩემს შვილები არა ჰყოლია. არც ბორდი იყო ახალგაზრდა, ვისზედაც ოსხილდი გათხოვდა, მაგრამ იმათ, ეტყობა, ტკბილად არასოდეს არ უცხოვრიათ... ბავშვი ვიყავი, როცა ეს ამბავი მოხდა, მე ყველაფერს მიმალავდნენ რის დამალვაც შეიძლებოდა... მაგრამ ბორდი რომ გარდაიცვალა, ოსხილდი და ბატონი ბიორნი საზღვარგარეთ ერთად წავიდნენ და ოსხილდს ნათესავებისთვის არაფერი უკითხავს, იქ ისე მისთხოვდა ბიორნს. მათი ქორწინება არ უნდოდათ კანონიერად ეცნოთ. ამტკიცებდნენ, ქმრის სიცოცხლეშივე ჰყვარებოდა ოსხილდს ბიორნი და ბორდის მოშორება იმანა და ოსხილდმა მოახერხესო. ალბათ, ვერ შესძლეს პირდაპირ დაედოთ ხელი, რაკი ვერ გაჰყარეს და ცოლ-ქმრულ კავშირში დატოვეს... სამაგიეროდ, საურავში მიაცემინეს მთელი ქონება... გარდა ამისა, ბიორნმა დისწული მოკლა — მე მინდა ვთქვა, დედაჩემისა და ოსხილდის დისწული მოკლა-მეთქი...

კრისტინს გულმა დაგადუგი დაუწყო. შინ მშობლები სასტიკად ადევნებდნენ თვალყურს, რომ ბავშვებსა და ახალგაზრდებს ბილწი ლაპარაკი არ გაეგონათ, მაგრამ ზოგჯერ მათ სამრეველოშიაც მოხდებოდა ხოლმე ისეთი რამ, რასაც ძალაუნებურად კრისტინიც მოჰკრავდა ყურს. მაგალითად, ერთ კაცზე თქვეს, გათხოვილ ქალთან

არის კავშირშიო, ეს იყო მრუშობა, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ცოდვა; იმასაც ამბობდნენ, ამ გათხოვილ ქალსა და იმ კაცს უნდოდათ ქმრისთვის იმდენი ექნათ, სული ამოეხადათ, — მაშინ კი, საქმე იქამდე მივიდოდა, რომ იმას კანონგარეშე გამოაცხადებდნენ და ეკლესიისაგანაც განკვეთავდნენ. ლავრანსი ამბობდა, ცოლი მოვალე არ არის დარჩეს და ქმართან იცხოვროს, თუ იგი სხვის კანონიერ ცოლს გადაეკიდაო. მრუშობაში დაბადებულ ბავშვების მდგომარეობას ვერას გზით ვერ გამოასწორებდი, მშობლები რომ განთავისუფლებულიყვნენ კიდეც შემდგომში და შესძლებოდათ ერთმანეთთან შეუღლება. კაცს შეუძლია როსკიპისა და მაწანწალა მათხოვრისაგან შვილი შვილიც კი დაიკანონოს და მემკვიდრედ გაიხადოს, მაგრამ მრუშობაში შეძენილ შვილს ვერ დაიკანონებს და ვერც მემკვიდრედ გაიხდის, იმისი შვილის დედა რაინდის ცოლიც რომ იყოსო... კრისტინს მოაგონდა, რომ არასოდეს არ მისდიოდა გული ბიორნზე, მის ფერმკრთალ სახესა და სქელ შეშუპებულ სხეულზე. და ვერას გზით ვერ გაეგო, როგორ შეეძლო ფრუ ოსხილდს მუდამ ალერსიანი და დამთმობი ყოფილიყო იმ ადამიანთან, ვინც ასე მოსჭრა თავი და ან ასეთი მომხიბლავი ქალი როგორ გაიტაცა ბიორნმა. ხოლო ბიორნს არც ებრალებოდა ოსხილდი: მთელი სამუშაო ფრუ ოსხილდს ჰქონდა მინაბრებული და იმის ზურგზე გადადიოდა ყველაფერი. თავად კი ლუდის წრუპვის გარდა არაფერს აკეთებდა, მაგრამ ოსხილდი მაინც მუდამ ალერსიანად და სიყვარულით ელაპარაკებოდა ქმარს. კრისტინი ჩაფიქრდა, იცოდა კი ყველაფერი ეს მამაჩემმა, როცა ბიორნს თავის ოჯახში ეპატიჟებოდაო. და ახლაც ეს რომ გაიფიქრა, მართლაც და უცნაურად მოეჩვენა, ერლენდი თავის უახლოეს ნათესავებზე ასეთ რამეებს რად მიამბობსო. მაგრამ ერლენდს, ალბათ, ჰგონია, რომ მე ადრევე ვიცოდი ეს ამბებიო...

— ძალიან მინდა, — უთხრა პატარა ხნის მერე ერლენდმა, — ერთი ვესტუმრო დეიდაჩემ ოსხილდს, როცა ჩრდილოეთში ვიქნები. ისევ ისეთი ლამაზია, ჩემი ნათესავი ბიორნი?

— არა, — მიუგო კრისტინმა, — ის მთელ ზამთარს მინდორში დარჩენილ თივასა ჰგავს.

— ჰო, მაგისთანა დავიდარაბა დაღს ასვამს ადამიანს, — თქვა ერლენდმა და ისევ მწარედ ჩაეცინა. — ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს მაგაზე ლამაზი კაცი, — მას აქეთ ოც წელიწადზე მეტი გავიდა,

მაშინ ღლაპი ვიყავი, — მაგრამ ბიორნისთანა მოსაწონი ვაჟკაცი მე აღარ შემხვედრია...

მალე დავრდომილთა თავშესაფარს მიადგნენ. თავშესაფარი ძალიან დიდი და ლამაზი იყო: მრავალი ქვიტკირისა და ხის სახლი იდგა, საავადმყოფო, თავშესაფარი გლახაკთათვის, დავრდომილთა თავშესაფარი, სამლოცველო და მღვდლის საცხოვრებელი სახლი. გარეთ დიდი ფაციფუცი იყო, სამზარეულოში აკეთებდნენ საჭმელს მესაკუთრე გლეხობისა და მეწილეთა ნადიმისათვის და ყველა აქ შეფარებულ ღარიბ-ღატაკებსა და ავადმყოფებსაც დღევანდელ დღეს ჩინებულად უნდა გამასპინძლებოდნენ.

მესაკუთრე გლეხების სახლი თავშესაფრის ბაღებს იქით იდგა და ხალხი ბაღების იმ ნაკვეთზე მიდიოდა, სადაც სამკურნალო ბალახები ეთესათ, სწორედ ამ ბალახებით იყო განთქმული ბაღი. ნორვეგიაში პირველად ფრუ გრუამ იხმარა სამკურნალოდ ეს მცენარეები, ამ ბალახების ხმარება წინათ აქ არავინ იცოდა; გარდა ამისა, ყველა მცენარე, რომელიც ჩვეულებრივად ბაღებში იზრდება, ბევრად უკეთესად ხარობდა მის ყვავილნარებსა და ბოსტნებში, — ყვავილებიც, ბოსტნეულიცა და სამკურნალო ბალახებიც. რაც ამ საქმეს შეეხებოდა, ფრუ გრუა, განსწავლულზე განსწავლული ქალი იყო და თავად გადათარგმნა ნორვეგიულად სამკურნალო ბალახებზე დაწერილი სალერნული წიგნები. ფრუ გრუა განსაკუთრებით სწყალობდა კრისტინს, რაკი შეამჩნია, ყმაწვილი ქალი ცოტაოდნად იცნობდა ბალახებით მკურნალობის ხელოვნებას და მოწადინებული იყო კიდევ ესწავლა რამე ამ ხელოვნებისა.

კრისტინი და ერლენდი ბილიკს მისდევდნენ. კრისტინი ეუბნებოდა ერლენდს ბილიკის აქეთ-იქით კვლებში ამოსულ ბალახების სახელებს. შუა დღისას მზის სხივებისაგან დაცხუნებული კამა, ნიახური, ხახვი, ვარდები, ამბრა და ლევკოინი — მხურვალე და მძაფრ სურნელებას აფრქვევდნენ. მზის გულზე გაშენებული ბოსტნის იქით, სადაც სამკურნალო ბალახები ეთესათ, ხილის ბაღების ღობეები გაჭიმულიყო და თითქოს თავის ჩრდილებისაკენ იწვევდა ხალხს. ალუბალი წითლად ღვიოდა მუქ ფოთლებში, ხოლო ვაშლებს სიმძიმისაგან ძირს დაეხარათ დახუნძლული ტოტები.

ხეხილის ბაღის მერე ტყის ასკილის სტე მისდევდა. ბუჩქებზე თითო-ოროლა ყვავილიღა იყო შერჩენილი — ისინი განსხვავდებოდ-

ნენ ჩვეულებრივი ასკილის ყვავილისაგან, მაგრამ ამ მზის გულზე ვაფიცხებული ფოთლები ღვინისა და ვაშლის სურნელებას გამოსცემდნენ. მიმავალი ხალხი გზადაგზა ამტვრევდა ყლორტებს და ტანისამოსზე იბნევდა. კრისტინმაც მოწყვიტა ყვავილები და საფეთქლებთან შეიწყო თავზე შემოჭერილ ოქროს თალას ქვეშ. ერთი ყვავილი ხელში შერჩა. პატარა ხნის მერე ერლენდმა უსმოდ გამოართვა ყვავილი. ჯერ ხელში ეჭირა, მერე მკერდზე მიბნეულ ვერცხლის შესაკრავში გაირჭო — ამ დროს ერლენდი ისეთი შეშფოთებული და შემკრთალი ჩანდა, და ისე უხერხულად ირქობდა ყვავილს, სულ სისხლი დაიდინა ისე დაიჩხვლიტა თითები.

გილდიის სახლის ზემო ოთახში, განიერ მაგიდებზე სუფრა იყო გაშლილი: გრძელი კედლების გასწვრივ ერთ მაგიდაზე კაცებისთვის გაეშალათ, მეორეზე ქალებისთვის, ხოლო შუაში კიდევ ორი მაგიდა იდგა, რომელსაც ბავშვები და ახალგაზრდები შემოსხდომოდნენ.

ფრუ გრუა ქალების სუფრის თავში იჯდა საპატიო ადგილზე; მოლოზნები და უფრო პატივსაცემი მანდილოსნები — კედლის გასწვრივ ისხდნენ, გაუთხოვრები — გარეთა ძელსკამზე, ნონესეტერელი ყმაწვილი ქალები უფრო ახლოს იღუმენიასთან; კრისტინმა იცოდა, რომ ერლენდი იმას უყურებდა, მაგრამ ერთხელაც ვერ გაბედა თავის მობრუნება, არც მაშინ, როცა ყველანი ადგნენ, არც მაშინ, როცა სხდებოდნენ. მხოლოდ როცა ყველანი წამოდგნენ და მღვდელმა დაიწყო გილდიის წევრების გარდაცვალებულ ძმათა და დათა სახელების ჩამოთვლა, კრისტინმა სწრაფად გააპარა თვალი კაცების სუფრისაკენ და ოდნავ მოჰკრა თვალი მაგიდაზე დადგმულ ანთებულ თაფლის სანთლებს უკან კედელთან მდგარ ერლენდს. ერლენდი იმას უყურებდა.

სადილი ძალიან დიდხანს გაგრძელდა; ბევრი დაილია უფალი ღმერთის, ქალწული მარიამის, წმიდა მარგრეტის, წმიდა ულავის, წმიდა ხალვარდის სადიდებლად, თან შიგადაშიგ ლოცულობდნენ და გალობდნენ.

კრისტინი ღია კარიდან ხედავდა, რომ მზე ჩავიდა, მდელოდან ვიოლინოების ხმა და სიმღერა ისმოდა — ახალგაზრდები უკვე აშლილიყვნენ სანადიმო სუფრებიდან, როცა ფრუ გრუამ ყმაწვილ

ქალებს უთხრა: ახლა თქვენც შეგიძლიათ წახვიდეთ და ცოტაოდენი იმხიარულოთ, თუ სურვილი გაქვთო.

მდელოზე სამგან წითლად ბრიალებდა კოცონი, მუქ ტანსაცმელსა და ჭრელჭრულებში ჩაცმულ ხალხს ფერხული ჩაება და ცეცხლს გარშემო უვლიდნენ. ზედიზედ შედგმულ ყუთებზე ჩამომსხდარი მემუსიკენი თავიანთ ვიოლინოებს აწრიპინებდნენ — რამდენი ფერხულიც იყო, იმდენი სიმღერა გაისმოდა. ძალიან ბევრი ხალხი იყო და ყველა ვერ ჩაებმოდა ერთ ფერხულში და ერთად ვერ იცეკვებდა. კარგა ბნელოდა — ჩრდილოეთით ტყიანი მთების ნაწიბური ნახშირივით შავად მოჩანდა მოყვითალო მწვანე ცაზე.

დერეფნის საჩეხის ქვეშ ხალხი ისხდა და სვამდა. როცა კიბეზე ექვსი ნონესეტერელი ქალი ჩავიდა, რამდენიმე კაცი საჩქაროდ წინ წამოდგა, ბორდის ვაჟიშვილი მიუნანი მაშინვე ინგლებიერგთან გაჩნდა და გააქროლა. ხოლო კრისტინს ვიღაცამ ხელში წაავლო ხელი — ერლენდი იყო, იმის ხელს კრისტინი უკვე სცნობდა. ერლენდმა ისე მოუჭირა კრისტინს ხელზე ხელი, რომ ორივეს ბეჭდებმა ჭრიალი დაიწყო და ხორცი დაეჭდიათ.

ერლენდმა განაპირა კოცონისკენ გაიტაცა კრისტინი, იქ ბევრი ბავშვები შეკრებილიყვნენ და ცეკვავდნენ. კრისტინმა მეორე ხელი ვიღაც თორმეტიოდე წლის ბიჭს ჩასჭიდა, ხოლო ერლენდმა — ერთ ვალეულ გოგოს.

ფერხულში რომ ჩაებნენ, სწორედ მაშინ, ამ ფერხულში აღარავინა მღეროდა — მოცეკვავენი ნარნარით როკავდნენ და წინ და უკან ირხეოდნენ ვიოლინოს ხმაზე. უცებ ვიღაცამ დაიძახა, დანიელი სივორდი ახლა საცეკვაოს გვიმღერებსო. მართლაც მაღალ-მაღალი, ქერა კაცი, იმოდენა მუშტები ჰქონდა, ფუთიანები გეგონებოდა, ხელიხელ ჩაბმული ხალხის წინ წამოდგა და შემოსძახა:

მუნკჰოლმი... ცეკვა... ხმა გამყივარი...
დედოფლის ხელი უპყრია ფრთხილად,
იონის ვაჟი ცეკვავს ივარი,
ვაჟს იონისას, თუ იცნობთ ივარს?*

* ლექსები თარგმნა გივი შაბახარძა.

დამკვრელებმა ჰანგი არ იცოდნენ და მხოლოდ ჩუმად ათამაშებდნენ სიმებზე თითებს, დანიელი მშვენიერი მძლავრი ხმით მარტო მღეროდა:

ჰოი, დანიის დედოფალო,
თუ გახსოვთ ისევ?
ოდეს შვეციით მოგიყვანეს,
თუ გახსოვთ ისევ?

ოდეს მოჰყავდით შვეციიდან,
დარდის ისარი
ცრემლიან გულში გაწვალებდა —
ნათილისმარი...

მაშინ დედოფლის ნათელ გვირგვინს
თალხავდა სევდა
და, დედოფალო, სულ პირველად
მე მერგე ბედად!

დამკვრელებმა ნელ-ნელა ბანი მიაშველეს, მოცეკვავენი ღიღიბდნენ ახლადნასწავლ ჰანგს და ხმას აყოლებდნენ მისამღერს.

იონის ვაჟო, თუ ხარ ჩემი
ერთგული პაჟი, —
ხვალ დილით ყულფი არ აგცდება,
დაგსჯიან მაშინ!

იონის ვაჟო, გმირი ივარ
არ იყო მხდალი,
ჯაჭვგაუხდელი ნავში ჩახტა
გაფრინდა მალი.

მოგმადლოს ღმერთმა, დედოფალო,
ღამე სამართლის
იმდენი, რამდენს ზეცა მთიებს
ამოინათებს.

მეფეე, იმდენი წელი გქონდეს
ავბედი, ბერწი,
რამდენიც ცაცხვზე ფოთოლია
და ტანზე ბეწვი...

თუ იცნობთ ივარს, ვაჟს იონისას?

შუაღამე გადასული იყო, დახროვილ მბჟუტაკ ნაკვერჩხლებად იქცა აბრიალებული ცეცხლი, ნაკვერჩხალი ნელ-ნელა ჩაშავდა. კრისტინს და ერლენდს ერთმანეთისთვის ხელები ჩაეჭიდათ და ხეების ქვეშ იდგნენ ბაღის ღობესთან: მათ უკან ნელ-ნელა მიწყდა შეზარხოშებული ხალხის ხმაური და ღრიანცელი — მხოლოდ რამდენიმე ყმაწვილი ბიჭი ღიღინით ცმუკავდა მბჟუტავ კოცონებთან: მემუსიკენი დასაძინებლად დაწოლილიყვნენ, ხალხის უმრავლესობაც უკვე დაშლილიყო. აქა-იქ ქალები დაყიალებდნენ — სადმე მიგდებულ ლუდით გამომთვრალ ქმრებს დაეძებდნენ.

— ნეტავ ლაბადა რა ვუყავი? — ჩურჩულით თქვა კრისტინმა.

ერლენდმა ცალი ხელი წელზე შემოხვია კრისტინს, თავის ლაბადა კრისტინსაც წამოასხა და ასე გავიდნენ ბაღში, სადაც სამკურნალო ბალახები ეთესა.

გრილოდა, ნამიანი ბალახების ისეთი მძაფრი სუნი აღარ იდგა, მაგრამ მაინც მოაგონათ დღევანდელი დღის პაპანაქება. ბნელი ღამე იყო, ხის კენწეროებ ზემოდან ცას შავი ღრუბელი გაჰკროდა, მაგრამ ამ სიბნელეშიც გუმანით მიხვდნენ, რომ ბაღში მარტონი არ იყვნენ. ერლენდმა ყმაწვილი ქალი უფრო ახლო მიიკრა და ჩურჩულით ჰკითხა:

— ხომ არ გეშინია, კრისტინ?

უცებ კრისტინს შორეულ ზმანებასავით წარმოუდგა ამ ღამის მიღმა სამყარო,—აქ, ერლენდთან რა უნდა, ეს ხომ სიგიჟეა! მაგრამ კრისტინი ნეტარ, საამო უღონობას შეეპყრო, მხოლოდ უფრო მაგრად მიეკრა ერლენდს და რაღაც, თვითონაც არ იცოდა რა, ძლივს გასაგონად დაიჩურჩულა.

ბილიკი აქა თავდებოდა, ბაღის გარშემო შემოვლებულ ქვის ყორესთან; ყორეს იქით ტყე იყო. ერლენდმა კრისტინს ყორეზე ასვლა უშველა, როცა კრისტინი ყორეს იქით უნდა ჩამხტარიყო, ერლენდმა ხელები მიაშველა და ცოტა ხანს, ვიდრე ბალახზე დააყენებდა, ხელში აყვანილი ეჭირა.

ერლენდს კრისტინის საფეთქლებზე ეწყო ხელები, თითები თმაში შეეყარა, თავი გადაეწია კრისტინისთვის და სახეს უკოცნიდა.— როგორ ესიამოვნებოდა კრისტინს ერლენდის თითების შეხება, ეგონა მეც რაღაც უნდა ვასიამოვნო ერლენდსო და ორივე ხელი თავში მოჰკიდა, მოინდომა ისევე ეკოცნა, როგორც ერლენდი ჰკოცნიდა მას.

როცა ერლენდმა კრისტინს მკერდზე ჩამოუსვა ხელები, თითქოს მკერდი გადაუხსნა და გული ამოუღო; მერე სულ ოდნავ გაუწია აბრეშუმის პერანგის ნაკეცები და მკერდზე აკოცა. ამ კოცნამ ცეცხლივით დასწვა კრისტინი და შიგ გულის სიღრმემდე ჩაატანა.

— შენ თავის დღეში ვერ შეურაცხყოფდი, — ჩურჩულით უთხრა ერლენდმა. — არასოდეს ცრემლი არ ჩამოგვარდებოდა ჩემი მიზეზით! თავის დღეში არ მეგონა, თუ ყმაწვილი ქალი შეიძლებოდა შენისთანა კარგი ყოფილიყო, კრისტინ...

ერლენდმა ბალახისაკენ წაიყვანა კრისტინი, იქ ყორეს ზურგი შეაქციეს და ბუჩქის ძირში დასხდნენ. კრისტინი ხმას არ იღებდა, მაგრამ როცა ერლენდი აღარ უალერსებდა, კრისტინი ერლენდს სახეზე ალერსით უსვამდა ხელს.

პატარა ხნის მერე ერლენდმა ჰკითხა:

— ხომ არ დაიღალე, ჩემო ძვირფასო? — კრისტინმა მკერდზე მიადო თავი; ერლენდი მოეხვია და წასჩურჩულა:

— იძინე, იძინე, კრისტინ, იძინე აქ, ჩემს უბეში...

კრისტინს ძილმა თავი წაართვა, დასთბა და ბედნიერების მორევში შესცურა ერლენდის მკერდზე მიყუჟულმა.

როცა კრისტინს გამოეღვიძა, ლაღად იწვა ბალახზე. ლოყა ერლენდის აბრეშუმშემოკვართულ მუხლზე ედო. ერლენდი წეღანდელივით ზურგით ყორეს იყო მიყრდნობილი; ნაცრისფერ ბინდბუნდში სახე გასცრეცოდა, მაგრამ ფართოდ გახელილი მოკრიალებული თვალები უკამკამებდა. კრისტინმა დაინახა ერლენდს ის ერთიანად თავის ლაბადაში შეეხვია — ფეხები სასიამოვნოდ ჩასთბობოდა წაფარებულ ბეწვში.

— ხომ გემრიელად გეძინა ჩემს უბეში, — უთხრა კრისტინს ერლენდმა და მკრთალმა ღიმილმა გადაუარა ბაგეზე. — ღმერთმა დაგლოცოს კრისტინ, ისე ტკბილად გეძინა, როგორც დედის მკერდში ჩახუტებულ ბავშვს...

— თქვენ არა გძინებიათ, ბატონო ერლენდ? — ჰკითხა კრისტინმა. ერლენდს გაეღიმა, მისი ნამძინარევი თვალების დანახვაზე.

— ეგება დადგეს ისეთი ღამე, როცა ჩვენ ერთი სარეცელი გვექნება, — არ ვიცი, შენ რას იტყვი ამაზე კრისტინ, როცა დაუ-

ფიქრდები! მე კი მთელი ღამე თვალი არ ძოძიხუჭავს — ჩვენ ჯერ ბევრი დაბრკოლება გვაშორებს. შიშველი შუბიც რომ იდოს ჩვენს შუა, ამაზე მეტად ისიც არ დაგვაშორებდა. მითხარი, ისევ გეყვარები, ეს ღამე რომ გაილევა?

— მეყვარებით, ბატონო ერლენდ, უთხრა კრისტინმა, — მეყვარებით, სანამდისაც თქვენ გესურვებათ, ხოლო როცა ჩემზე გული შეგეცვლებათ, მე მაინც თქვენს გარდა სხვა არავინ მეყვარება!..

— მაშინ, — მძიმე-მძიმედ დაიწყო ერლენდმა, — ღმერთმა ამაღოს ხელი, თუ ოდესმე გულში ჩავიკრა დედაკაცი ან ყმაწვილი ქალი მანამდე, სანამ შენ ჩემი არ იქნები, როგორც ამას პატიოსნება და კანონი მოითხოვს! შენც ასევე დაიფიცე, კრისტინ, — სთხოვა კრისტინს ერლენდმა.

კრისტინმა დაიფიცა:

— დაე, ხელი ამაღოს ღმერთმა, თუ გულში ჩავეკონო სხვას, ვიდრე პირში სული მიდგას!

— ჩვენი წასვლის დროა, — უთხრა ერლენდმა პატარა დაყოვნების მერე, — ვიდრე ხალხი არ წამოშლილა.

ვალაენის გაყოლებით ბუჩქნარს გაუყვნენ.

— იმაზე ფიქრობ, დღეის შემდეგ რა მოხდება? — ჰკითხა ერლენდმა.

— ეგ თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, ერლენდ, — მიუგო კრისტინმა.

— მამაშენი.. — დაიწყო ერლენდმა პატარა ხნის მერე. — გერდარიუდში ამბობენ, ღმობიერი და სამართლიანი კაციაო. როგორა ფიქრობ, დიდ უარზე დადგება და არ მოინდომებს ანდრეს დარესთან შეკრულ პირობის ჩაშლას?

— მამაჩემს ხშირად უთქვამს, მე ძალას არ დავატან ჩემს ქალებს, ვისზედაც უნდათ, იმაზე დათხოვდნენო, — უთხრა კრისტინმა. — ეს ამბავი უფრო იმიტომ მოხდა, რომ ჩვენი მიწები იქვეა, იმათ მიწებთან, მაგრამ მამაჩემი, რა თქმა უნდა, მაგის გულისთვის არ მომისპობს ამქვეყნად სიხარულსა და ბედნიერებას! — გულში კი გაჰკრა წინაგრძნობამ, ვაითუ, ყველაფერი არც ისე ადვილი და უბრალო მოსაგვარებელი გამოდგესო, მაგრამ კრისტინი მოერია ამ წინაგრძნობას.

— მაშინ ყველაფერმა ეგებ უფრო იოლად ჩაიაროს, ვიდრე წუხელ მეგონა, — უთხრა ერლენდმა. — ღმერთო შენ მიშველე, კრის-

ტინ, მე ველარ დაგომობ. თავის დღეში არ მეღირსება ბედნიერება, თუ შენ ჩემი არ იქნები!

ისინი ტყეშივე გამოეთხოვნენ ერთმანეთს, და კრისტინმა დიღლის ბინდბუნდში გაიგნო გზა სტუმრების იმ ოთახისკენ, რომელშიაც ნონესეტერელ მოლოზნებს უნდა გაეთიათ ღამე. ყველა საწოლზე ვინმე იწვა, და კრისტინმა შუაგულ ოთახში ჩალაზე ლაბადა დააგდო და ტანთ გაუხდელად მიწვა.

როცა კრისტინს გაეღვიძა, უკვე მოდღეებულიყო, ინგებიერგი ფილიპუსის ასული კრისტინის შორიახლოს სკამზე ჩამომჯდარი მოგლეჯილ ბეწვის საყელოს აკერებდა ლაბადას, და როგორც ჩუდამ, მზად იყო, სარეკელასავით ეკაკუნებინა.

— მაშ, მთელი ღამე ერთად გაატარეთ შენ და ერლენდმა? — ჰკითხა მან. — გმართებს, ცოტა უფრთხილდე მაგ ვაჟბატონს, კრისტინ, შენა გგონია, სიმონს, ანდრესის ვაჟს, ძალიან მოეწონება, რომ ასე დაუმეგობრდი ერლენდს?

კრისტინმა მიაგნო პირსაბან ჯამს და პირის დაბანვა დაიწყო.

— მერე, შენი საქმრო? შენა გგონია, იმასკი გაუხარდება, წუხელის რომ მსუქან მიუნანთან ცეკვავდი? წუხანდელისთანა საღამოს ყველას შეუძლია იმასთან იცეკვოს, ვინც ამოირჩევს,—ფრუ გრუამ ხომ თვითონ დაგვრთო ნება...

ინგებიერგმა წაიფხუკუნა.

— ეინარი და ბატონი მიუნანი — მეგობრები არიან, თან მიუნანი ხომ ცოლიანი მოხუცი კაცია! ულამაზოც არის, თუმცა ზრდილობიანი და თავაზიანი ადამიანია, — უყურე რა მაჩუქა, წუხანდელი ღამის სახსოვრად, — უთხრა და ოქროს შესაკრავი აჩვენა კრისტინს, რომელიც წინა დღეს კრისტინმა ნახა ბატონ მიუნანს ქუდზე ჰქონდა გაკეთებული, მაგრამ ეს ერლენდი... მართალია, შარშან სააღდგომო განკვეთა მოხსნეს, მაგრამ, ამბობენ, ორმის ასული ელინა ამის შემდეგაც იყო მასთან ხიუსაბიუშიო; ბატონმა მიუნანმა თქვა ერლენდი მამა იონთან გამოიქცა გერდარიუდში, — ეტყობა, თავის თავის იმედი არა აქვს, თუ კვლავ შეხვდა მას, რომ სული არ წასძლევს, და ცოდვას არ ჩაიდენსო!..

მიტკალივით გადაფითრებული კრისტინი ინგებიერგთან მივიდა.

— განა ეგ არ იცოდი? — უთხრა ინგებიერგმა. — სადღაც ჩრდილოეთში, ხოლუგალანდში[1] ამ ქალს ქმარზე გული ააცრუვებინა; თავის მამულში წაიყვანა და იქა ჰყავდა, არც მეფის ბრძანებას დაემორჩილა და არც ეპისკოპოსის განკვეთას შეეპუა, ორი შვილიც გაუჩნდათ; იძულებული იყო, შვედეთში გაქცეულიყო და თავისი ქონებიდან ისეთი ჯარიმა გადაეხადა. რომ ბატონი მიუნანი ამბობს, საბოლოოდ სულ გაღატაკდება, თუ მალე ჭკუას არ მოეგოო...

— ჰო, რა თქმა უნდა, მე ეგ ვიცი, — ძარღვი არ შესთამაშებია სახეზე, ისე უთხრა კრისტინმა. — მაგრამ ახლა ხომ ყველაფერი გაწყვეტილია იმათ შორის...

— ეგ კი ეგრეა, მაგრამ ბატონი მიუნანი ამბობს, მაგათ ბევრჯერ ვაწყვიტეს და ისევ შერიგდნენო, — ჩაფიქრებულმა თქვა ინგებიერგმა, — თუმც შენ რა გესაქმება, შენ სიმონ დარეზე გათხოვდები. მაგრამ ლამაზი კია ეგ ერლენდი...

ნონესეტერიდან ჩამოსულები იმ დღესვე უკან უნდა წასულიყვნენ საღამო ხანს. კრისტინი დაჰპირდა ერლენდს, თუ მოვახერხე მოსვლა, გალავანთან შეგხვდები, სადაც წუხელ ვისხედითო.

ერლენდი პირქვე წაწოლილიყო ბალახზე და თავი ხელებზე დაედო. კრისტინის დანახვაზე წამოხტა, ორივე ხელი გაუწოდა, რომ გალავნიდან ჩახტომა ეშველა.

კრისტინმა მისცა ხელები და პატარა ხანს ასე ხელებჩაჭიდებულები იდგნენ. მერე კრისტინმა უთხრა:

— რად მიამბე გუშინ ბატონი ბიორნის და ფრუ ოსხილდის ამბავი?

— სახეზე გატყობ, შენ ყველაფერი იცი, — უთხრა ერლენდმა და ხელები გაუშვა. — ახლა რასა ფიქრობ ჩემზე, კრისტინ?.. მაშინ მე თვრამეტი წლისა ვიყავი, — ცხარედ თქვა მან, — ამ ათი წლის წინათ მეფემ სხვებთან ერთად ვარგეიხიუსში[2] გამგზავნა. ჩვენ გამოსაზამთრებლად სტეიგენზე დავრჩით. ის ლაგმან სიგიურდზე იყო გათხოვილი, საკსიულვის ვაჟზე; მე მებრალებოდა ის ქალი, სიგიურდი ბებერი და საშინელი გონჯი იყო... არ ვიცი, როგორ მოხდა...

---

[1] ხოლუგალანდი — ოლქი ნორვეგიაში პოლარულ წრესთან.

[2] ვარგეიხიუსი — ახლა ვარდე, ქალაქი ნორვეგიის განაპირა ჩრდილოეთში.

ჰო, მიყვარდა კიდეც! მე ვუთხარი სიგიურდს, რაც გინდა, მომთხოვე-მეთქი, ჯარიმის გადასახდელად, მინდოდა, გამომესწორებინა ბის წინაშე ჩადენილი დანაშაული — იგი ბევრის მხრივ ღირსეული ადამიანი იყო... მაგრამ იმას უნდოდა, ყველაფერი კანონიერად წარმართულიყო და საქმე ტინგს გადასცა. გახურებული რკინით უნდოდათ ჩემი დადაღვა მრუშობისათვის იმ ოჯახის დიასახლისთან, ვისი სტუმარიც ვიყავი, გესმის?..

... მერე მამაჩემმაც გაიგო ყველაფერი, მერე კი მეფე ხოკონის ყურამდეც მივიდა... და იმან... პანღურით გამომაგდო სასახლიდან. და თუ შენ გინდა, ყველაფერი გაიგო, როგორც არის საქმე... მე და ელინას შვილების გარდა აღარაფერი გვაკავშირებს, თუმცა ის არც შვილებისთვისა გიყდება. ჩემი შვილები ესტერდალში ცხოვრობენ, ერთ ჩემს ყოფილ მამულში, ეგ მამული ორმს ვაჩუქე, ჩემს ვაჟიშვილს... მაგრამ ელინას შვილებთან ყოფნა არ უნდა... იმედი აქვს, ალბათ, სიგიურდი ცას არ შეაბერდებაო... მე არ ვიცი, რა სწადიან!

სიგიურდმა ისევ დაიბრუნა ოჯახში ელინა, მაგრამ ელინამ მითხრა, როგორც ძაღლს, როგორც მონას ისე მექცეოდნენო. ჰოდა, შემომითვალა ერთმანეთს ნიდაროსში შევხვდეთო. არც მე ვიყავი დალხინებული ხიუსაბიუში, მამაჩემთან... ყველაფერი გავყიდე, რის ხელში ჩაგდებაც მოვახერხე, წავიყვანე ელინა და ხალანდში[1] გავიქეცით — გრაფი იაკობი მუდამ კეთილი თვალით მიყურებდა... მე სხვანაირად ვერც მოვიქცეოდი, ის ფეხმძიმედ იყო ჩემგან. ვიფიქრე, ბევრს ხახვივით შერჩენია სხვის ცოლთან ცხოვრება... როცა მდიდარი ხარ... მაგრამ მეფე ხოკონი მაგისთანა არ გახლავთ, ყველაზე მკაცრად თავის მახლობლებს ექცევა. ერთი წელიწადი არ გვენახა ერთმანეთი მე და ელინას; ამასობაში მამაჩემიც გარდაიცვალა და ელინა კვლავ დაბრუნდა ჩემთან. მერე მოჰყვა ათასი სხვა უბედურება. ჩემმა გლეხებმა უარი თქვეს გადასახადის გადახდაზე და არც ჩემს მოურავთან მოინდომეს მოლაპარაკება, რაკი განკვეთილი ვიყავი ეკლესიისაგან, — მაშინ აღარც მე დავინდე ისინი, იმათ სასამართლოში მიჩივლეს, გაგვძარცვაო, მე კი ჩემი მსახურებისათვის მისაცემი ფული აღარა მქონდა, მაშ როგორ მოვქცეულიყავი. შენ თვითონ გესმის, ჯერ სულ ახალგაზრდა ვიყავი, და გო-

---

[1] ხალანდი — ოლქი სამხრეთ შვეციაში, იმ დროს დანიას ეკუთვნოდა.

ნივრულად ვერ გავუმკლავდებოდი ამდენ უსიამოვნებას, მიუნანის გარდა არც ერთმა ჩემმა ნათესავმა არ მოინდომა დამხმარებოდა, იმან გამომიწოდა ხელი, — ის მეხმარებოდა, რამდენადაც ნებას აძლევდა ცოლი...

... ახლა შენ იცი კრისტინ, მე ბევრი რამ დავკარგე, აღარც ქონება მაქვს და სახელიც გამიტყდა. შენ გირჩევნია ისევ სიმონ დარეზე იფიქრო.

კრისტინმა კისერზე შემოხვია ხელები.

— ჩვენ კი იმაზე ვიფიქროთ, რაც წუხელღამ შევფიცეთ ერთმანეთს, ერლენდ, თუ შენც თანახმა ხარ!

ერლენდმა გულში ჩაიკრა კრისტინი და ასე უთხრა:

— მერწმუნე, ჩემი მდგომარეობა მალე შეიცვლება, — ახლა მთელ ქვეყანაზე არავისა აქვს უფლება ჩემზე, მხოლოდ შენა ხარ ჩემი მბრძანებელი, ჩემი მეუფე! ო, რამდენ რამეზე ვიფიქრე წუხელ, როცა შენ, კრისტინ ჩემს უბეში გეძინა, ეშმაკიც ვერ შემაცდენს, რომ მე შენ მწუხარება ან რამე ზიანი მოგაყენო, კრისტინ!..

IV

ჯერ ისევ სკუგში ცხოვრობდა ლავრანსი შეწირულება რომ შეეტანა გერდარიუდის ეკლესიაში, მისი მშობლების გარდაცვალების დღეს მოსახსენიებელი წირვა გადაეხადათ ხოლმე. კეტილის ძის ბიერგიულფის გარდაცვალების დღე ცამეტ აგვისტოს მოდიოდა და ლავრანსი მოელაპარაკა ძმას, რომ წელს ოსმიუნდი კრისტინს თავისთან წაიყვანდა და ამ წირვას დაასწრებდა.

კრისტინს სულ გული უკანკალებდა, ვაითუ რამემ შეუშალოს ბიძაჩემს ხელი და პირობა ვერ შეასრულოსო, — ასე ეგონა, ბიძას მაინცდამაინც დიდად არ უყვარდა. მაგრამ მშობლების მოსახსენიებელი წირვა რომ უნდა გადაეხადათ, წინა დღეს ოსმიუნდი მონასტერში მივიდა და ძმისწული წაიყვანა. კრისტინს უთხრეს, საერო კაბა ჩაეცვა მხოლოდ, უფრო მუქი და უფრო სადად შეკერილი. ხალხი ლაპარაკობდა, ნონესეტერელი მოლოზნები მეტისმეტად ხშირად არიან მონასტრის გარეთ, ამიტომ ეპისკოპოსმა ბრძანა, ყმაწვილი ქალები, ვინც მოლოზნად შესვლას არ აპირებენ, თავის

ნათესავებთან სტუმრად ყოფნის დროს ისეთ კაბებს ნუ ჩაიცვამენ, ოომლებიც ორდენის კაბებსა ჰგავს, — მაშინ მრეველის ხალხს ისინი მომავალი მოლოზნები ანდა, უკვე აღკვეცილნი არ ეგონებათო.

კრისტინი სულით და გულით გახარებული მიაჭენებდა ცხენს ბიძის მხარდამხარ სასოფლო შარაზე; ოსმიუნდი, რაც დრო გადიოდა, უფრო ალერსიანად და უფრო ტკბილად ექცეოდა კრისტინს, რაკი შეამჩნია, ყმაწვილ გოგოს თურმე შეუძლია ხალხთან მუსაიფი გაბასო. თუმც ოსმიუნდი ცოტა დადარდიანებული იყო; კრისტინს უთხრა, — ისე ეტყობა, შემოდგომაზე ბრძანებას გასცემენ ლაშქრის შესაიარაღებლად და მეფე შვედეთში შეიჭრება, რომ მოკლული სიძისა და დისწულის[1] შური იძიოსო. კრისტინს უკვე გაგონილი ჰქონდა შვედელი ჰერცოგების მოკვლის ამბავი და უდიდეს სულმდაბლობად მიაჩნდა, მაგრამ ყველა ეს სახელმწიფო საქმეები მისთვის უცხო იყო. იმათ ხეობაში იშვიათად ლაპარაკობდნენ ამისთანა რამეებზე. თუმცა კრისტინს მოაგონდა, იმისმა მამამაც მიიღო მონაწილეობა ლაშქრობაში ჰერცოგ ეირიკის წინააღმდეგ რაგნხილდარხოლმთან და კონუნგახელთან. ოსმიუნდმა ყველაფერი უამბო, რაც მეფესა და ჰერცოგს შორის მოხდა. კრისტინმა ცოტა რამ გაიგო ბიძის ნაამბობიდან, მაგრამ გულისყურით უსმენდა, როცა ბიძა ელაპარაკებოდა მეფის ქალების მომხდარ და ჩაშლილ ნიშნობებზე. მას ახუგეშებდა ის აზრი, რომ ამქვეყნად თურმე, ყველგან ისე არა ჰგონიათ, როგორც ჩვენს ხეობაში, რომ მოლაპარაკება და დანიშვნა თითქმის ისევე მტკიცედ აკავშირებს ქალ-ვაჟს, როგორც ქორწინებაო. კრისტინმა გამბედაობა მოიკრიბა და უამბო ბიძას წმინდა ხალ-

---

1. შვედეთის მეფე ბირგერმა, მუხანათობით ტყვედ ჩაიგდო თავისი ძმები, ჰერცოგები ეირიკი და ვალდემარი და 1318 წელს ციხეში შიმშილით ამოხოცა. ჰერცოგი ეირიკი, რომელიც დიდი ხანია მტრობდა ძმას, კავშირში იყო ნორვეგიის მეფე ხოკონ V-თან, თუმცა ერთ დროს მათ შორის უსიამოვნება ჩამოვარდა ლენების გულისთვის, და ეს უსიამოვნება ბრძოლამდე მიეიდა, და ჰერცოგმა ოლოც კი დაიპყრო; მაგრამ მერე ზავი შეჰკრეს და ჰერცოგმა ეირიკმა ჩაშალა წინანდელი ნიშნობა და 1312 წელს შეირთო მეფე ხოკონის შემკვიდრე ინგებიერგი. ჰერცოგ ეირიკის და ხოკონის ასული ინგებიერგის მცირეწლოვანი შვილი მაგნუსი ფაქტიურად როგორც ნორვეგიის, ისე შვედეთის გვირგვინიანი მემკვიდრე იყო; ამიტომ შვედეთის მეფის ბირგერის მიერ იმისი მამის მოკვლას შეიძლება, ნორვეგიისთვისაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები მოპყოლოდა.

ვარდის უქმის წინადღეს საღამო ჟამს რა ხიფათი გადახდა თავს და ჰკითხა ხიუსაბიუელ ერლენდს ხომ არ იცნობო. ოსმიუნდმა აქო ერლენდი, თქვა უჭკუოდ მოიქცა, მაგრამ უფრო მამისა და მეფის წყალობით მოუვიდა ყველაფერი: ისინი ისე მოექცნენ, თითქოს ის ბიჭი, ვისაც ასეთი უბედურება შეემთხვა, პირდაპირ ქვეყნის ამომგდები იყო. მეფე ხომ მეტისმეტად ღვთის მორწმუნეა, რაინდი ნიკულაუსი კი იმან განარისხა, ერლენდმა ამდენი ქონება როგორ გაფლანგაო, და ასეთი სიტყვებით მიადგნენ, შე მრუშო, და შე ჯოჯოხეთის ცეცხლში დასაწვავოო.

— თუ ვაჟკაცია, ცოტაოდენი ჯიუტობაც უნდა ახლდეს, — თქვა ოსმიუნდმა. — თან ქალიც კალმით ნახატი სილამაზისა იყო! მაგრამ შენ ერლენდისკენ თვალების საბრეკი არაფერი გაქვს, ისე რომ, თავი გაანებე იმის საქმეებს.

ერლენდი კრისტინს დაჰპირდა წირვაზე მოვალო, მაგრამ არ მივიდა და კრისტინი ამაზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე ღვთის მსახურების სიტყვებზე, ის არ ნანობდა ამას, მაგრამ რაღაც უცნაური გრძნობა ჰქონდა, თითქოს რაც წინათ ისე ახლო იყო მისთვის, ახლა უცხო გამხდარიყო.

სცადა ენუგეშებინა თავი — ერლენდი, რასაკვირველია, ფიქრობს, რომ ყველაზე გონივრულია თუ ჩემს პატრონებს ჯერჯერობით არ ეცოდინებათ ჩვენი სიყვარულის ამბავიო. ეს თვითონ კრისტინსაც ესმოდა. მაგრამ მისი გული ისეთნაირად ნაღვლობდა, რომ საღამოთი ტირილით დაწვა დასაძინებლად სტაბიურში, სადაც ოსმიუნდის პატარა გოგონებთან ერთად ეძინა.

მეორე დღეს კრისტინი ტყეში წავიდა და თან გაიყოლა ყველაზე უმცროსი ბიძაშვილი ექვსი წლის გოგონა. ზედ ტყის პირთან, ჯერ საძოვარიც არ გაევლოთ, ერლენდი სირბილით დაეწია. კრისტინი ვიდრე დაინახავდა ვინ მოსდევდათ უკან, უკვე იცოდა რომ ერლენდი იყო.

— მთელი დღე აქ, ამ ბექობზე ვიჯექი და გამოვცქეროდი, რა ხდებოდა თქვენს ეზოში, — უთხრა მან. — მეც სწორედ ეგრე ვფიქრობდი, შემთხვევას იპოვის-მეთქი, სახლიდან გამოსასვლელად...

— მაშ შენა გგონია, სახლიდან შენთან შესახვედრად გამოვედ-? — სიცილით უთხრა კრისტინმა. — მერე არ გეშინია, რომ ძაღლებითა და მშვილდით ბიძაჩემის ტყეში დადიხარ?

— ბიძაშენმა თვითონ მითხრა თავი შეიქციე — ჩემს ტყეში ინადირეო, — უთხრა ერლენდმა. — ძაღლებიც ბიძაშენისაა — ამ დილით მომძებნეს. — ძაღლებს ხელი გადაუსვა და პატარა გოგონა ხელში აიყვანა. — მე მიცნობ, რაგნდიდ? თუ არავის ეტყვი, რომ მე მელაპარაკებოდით, მაშინ აი, ამას მოგცემ. — ქიშმიში ამოიღო პარკით და ბავშვს მისცა. — ქიშმიში შენთვის მოვიტანე, — უთხრა კრისტინს. — როგორა გგონია, ბავშვს ხომ არ წამოსცდება რამე?

გაცხოველებულები ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ. ერლენდს მოკლე და ვიწრო, ყავისფერი კამზოლი ეცვა, ხოლო შავ თმაზე პატარა წითელი აბრეშუმის ქუდი ეხურა, — ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, ბავშვს ეთამაშებოდა და იცინოდა, მაგრამ შიგადაშიგ კრისტინს ხელს ხელზე ისე უჭერდა, რომ სტკენდა.

კრისტინს გახარებულმა უთხრა, ხმები დადის სალაშქროდ აპირებენ წასვლასო.

— მაშინ უფრო გამიადვილდება კვლავ დავიმსახურო მეფის მეგობრობა, — თქვა ერლენდმა, — მაშინ ყველაფერს უფრო ადვილად მოევლება! — ცხარედ დააყოლა.

ცოტა უფრო ღრმად შევიდნენ ტყეში და ბოლოს მდელოზე დასხდნენ. ერლენდმა მუხლებზე დაისვა ბავშვი; კრისტინი ერლენდის გვერდზე იჯდა; ხშირ ბალახში არა ჩანდა, ერლენდი ისე ათამაშებდა კრისტინის თითებს. ხელში ყაითნით შეკრული სამი ოქროს ბეჭედი ჩაუდო.

— მერე კი, — წასჩურჩულა მან, — იმდენი ბეჭდები გექნება, რამდენის წამოცმასაც შეიძლებ თითებზე!..

— ყოველ დღე დაახლოვებით ამ დროს, აქ დაგელოდები ხოლმე, ამ პატარა მდელოზე, ვიდრე სკუგში ხარ, — უთხრა განშორებისას ერლენდმა, მაშ, მოდი, როცა მოახერხებ.

მეორე დღეს ოსმიუნდი ცოლ-შვილით გიურიდის მამა-პაპეულ მამულში წავიდა ხადელანდს. შეშინებულები იყვნენ, ხმები დადიოდა — ომი დაიწყებაო; ოსლოს ახლომახლო მცხოვრებ მოსახლეობას

ჯერ ისევ ახსოვდა ამ რამდენიმე წლის წინათ ჰერცოგი ეირიკის ყაჩაღურად შემოჭრის დროს გამოვლილი შიში და ზარი. ოსმიუნდის მოხუცებულ დედას ისე ეშინოდა, რომ გადაწყვიტა, ნონნესეტერში შეეფარებინა თავი; თანაც, მეტისმეტად იყო დაძაბუნებული, და იმათთან ერთად წასვლა გაუჭირდებოდა. ამიტომ უნდა დარჩენილიყო კრისტინი სკუგში მოხუცთან — კრისტინი ოსმიუნდის დედას დიდედას ეძახდა, — სანამ ოსმიუნდი ხადელანდიდან არ დაბრუნდებოდა.

შუადღის შემდეგ, როცა სკუგში ყველა ისვენებდა, კრისტინი სტაბიურში წავიდა, სადაც ეძინა. ცხვრის ტყავის ტომრითა ჰქონდა ჩამოტანილი კაბები, ახლა ხან ერთი გაისინჯა, ხან მეორე და თან ლიღინებდა.

ერთხელ მამამ ახლო-ახლო დაყრილი წითელყვავილებიანი აღმოსავლური სქელი ბამბის ქსოვილის ცისფერი კაბა აჩუქა; კრისტინმა ეს კაბა ჩაიცვა. თმა სავარცხლითა და ჯაგრისით დაივარცხნა და წითელი აბრეშუმის ბაფთები გადაიკრა, რომ სახეზე არ ჩამოშლოდა, წელზე წითელი აბრეშუმის სარტყელი შემოიკრა და თითებზე ერლენდის ნაჩუქარი ბეჭდები გაიკეთა; ირთობოდა და თან სულ იცის ფიქრში იყო, ლამაზი ვეჩვენები თუ არაო.

ორივე ძაღლს ერლენდს რომ ჰყავდა ტყეში, ღამ-ღამობით კრისტინის სტაბიურში ეძინა, ძაღლებსაც დაუძახა, შეუმჩნეველად გავიდა ეზოდან და დღესაც საძოვარზე იმავე ბილიკით წავიდა.

ტყეში შუადღის მცხუნვარე მზის სხივებით გაკაშკაშებულ განმარტოებულ პატარა მდელოზე ჩამიჩუმი არ ისმოდა, ცხელოდა და გარს შემორტყმული ნაძვნარის მძაფრი სურნელება იდგა. მზე აცხუნებდა, ხის კენწეროების ზემოდან ცა უცნაურად ჩამუქებულიყო.

კრისტინი ტყის პირას ჩრდილში დაჯდა. არა ჯავრობდა, რომ ერლენდი არ დახვდა; დარწმუნებული იყო, მოვიდოდა, განსაკუთრებით ის ახარებდა, რომ ცოტახანს აქ მარტო იჯდებოდა და ისიც, რომ თვითონ დაასწრო მოსვლა.

კრისტინი ყურს უგდებდა, პაწაწინა მწერები როგორ უნიათოდ დაჰბზუოდნენ ყვითელ, მზისაგან გადატრუსულ ბალახს, მოწყვიტა გამხმარი ყვავილები, რომელთაც მძაფრი სურნელება ასდიოდათ, ყვავილების მისაწვდომად ხელის გაწევის მეტი არაფერი უნდოდა,

თითებში ათამაშებდა და ყნოსავდა; თვალები ფართოდ გაეხილა და თითქოს ნახევრად ბურანში იყო წასული.

ტყეში ფლოქვების თქარათქური გაისმა, კრისტინი არ განძრეულა. ძაღლებმა დაიღრინეს და ყალყზე დადგნენ, მერე კი კუდის ქიცინითა და ყეფით ზევითკენ გაიქცნენ. ტყის პირში ერლენდი ცხენიდან ჩამოხტა, ცხენს გავაზე დაჰკრა ხელი, ტყეში გაუშვა და კრისტინისკენ გამოიქცა; ძაღლები გარშემო ურბენდნენ ერლენდს და ზედ ახტებოდნენ. ერლენდმა პირზე ხელები მოუჭირა ძაღლებს და ისე მივიდა კრისტინთან ორ რუხ მგლებივით ძაღლებშუა ჩამდგარი. კრისტინმა გაუღიმა და, არ წანომდგარა, ისე გაუწოდა ხელი.

უეცრად, ერლენდის შავთმიან თავს რომ დასცქეროდა კრისტინი, — ერლენდს კრისტინის კალთაში მის ხელებში ედო თავი, — მოგონებამ გაუელვა. მოგონება ისეთი მკაფიო და შორეული იყო, როგორც ცუდ ამინდში უცებ მზის სხივი მიანათებს და ღრუბლებიდან მკაფიოდ გამოიკვეთება ტყეში მაღლა მთის ფერდობზე წამოდგმული პატარა სახლი. გული თითქოს პირამდე აევსო ალერსითა და სიყვარულით, რომელსაც ოდესღაც არნე სთხოვდა, სთხოვდა მაშინ, როცა კრისტინს ჯერ არც ესმოდა მისი სიტყვების აზრი. შეშინებულმა უფრო ახლო მიიზიდა ერლენდი, მკერდში ჩაიმალა მისი სახე და ისე გაშმაგებით დაუწყო კოცნა, თითქოს წართმევას უპირებდა ვინმე. ერლენდის თავს რომ დახედა, ასე ეგონა ბავშვი ეჭირა, ერთი ხელი თვალებზე დააფარა და გამალებით დაუწყო კოცნა ბაგესა და ლოყებზე.

მზის შუქი აიკრიფა მდელოდან; ტყის თავზე შავი და ლურჯი ღრუბლები მოგროვდა, ტყვიისფერი ცა ჩამუქდა; სპილენძისფერი წითელი ელვა ხან აქ სერავდა ცას ხან იქ და ღრუბლებში როგორც ხანძრის დროს კვამლში, ისე იკლაკნებოდა. ბაიარდიც მივიდა პატრონთან, დაიჭიხვინა, და თითქოს ერთ ადგილზე გაშეშდა. ამ დროს გაიელვა და სულ ახლოს დაიჭექა კიდეც.

ერლენდი წამოდგა და ცხენს აღვირში ჩაავლო ხელი. დაბლა, მინდვრის პირში, ძველი კარაპანი იდგა; კარაპანთან მივიდნენ და ერლენდმა ზედ კართან დარჭობილ მარგილებზე მიაბა ცხენი. შიგნით შუაგულისკენ თივა ეყარა; ერლენდმა თივაზე თავისი ლაბადა

გაშალა და ზედ დასხდნენ, ძაღლებიც იქვე, ფეხებთან გაწვნენ.

მალე წვიმა ფარდასავით ჩამოეშვა ღია კარის წინ. ქარი ზუზუნებდა, წვიმა შხაპუნით ასხამდა — პატარა ხნის მერე სახურავიდან წვიმა ჩამოვიდა და შიგნითკენ გადაანაცვლებინა შეფარებულებს. რამდენიც გაიელვებდა და დაიქუხებდა, იმდენი ჩურჩულით ეკითხებოდა ერლენდი:

— გეშინია, კრისტინ?

— ცოტათი მეშინია, — ჩურჩულებდა კრისტინი პასუხად და ერლენდს ეკვროდა.

ვერ გაიგეს რამდენი ხანი ისხდნენ ასე — მალე გადაიდარა, ახლა უკვე სადღაც შორს ქუხდა, გარეთ მზე დაჰკაშკაშებდა სველ ბალახს, მბრწყინავი წვეთები ახლა კანტიკუნტადღა ეცემოდა სახურავიდან. უფრო ძლიერ ავარდა კარაპანში მოტკბო სუნი.

— ჩემი წასვლის დროა, — თქვა კრისტინმა.

ერლენდმა უპასუხა:

— მართლაც დროა ვგონებ! — მან ხელი შეახო კრისტინის ფეხს. — დასველდები, სჯობია ცხენით წახვიდე, მეც წავალ, ტყეში რაღა მინდა...

უცნაურად უყურებდა ერლენდი კრისტინს.

კრისტინი კანკალმა აიტანა. „ალბათ იმიტომ მაკანკალებს, — გაიფიქრა კრისტინმა, — რომ ასე ძალუმად მიცემს გული“. ხელები გაყინული ჰქონდა და ოფლით დანამული. როცა ერლენდმა მუხლზემოთ შიშველ სხეულზე აკოცა, კრისტინმა უნიათოდ სცადა ხელით მოეშორებინა იგი. ერლენდმა ერთი ახედა, — კრისტინს უეცრად თვალწინ დაუდგა კაცი, მოწყალება რომ მისცეს მონასტერში: ის ემთხვია მიწოდებულ პურს. კრისტინი თივაზე გულაღმა გადავარდა აქეთ-იქით უღონოდ გაშალა ხელები და ნებაზე მიუშვა ერლენდი, როგორც უნდოდა, ისე მოჰქცეოდა.

კრისტინი გაჭიმული გაუნძრევლად იჯდა, როცა ერლენდმა ხელებზე დადებული თავი მაღლა აიღო. ის საჩქაროდ წამოიწია იდაყვზე.

— ეგრე ნუ მიყურებ... კრისტინ!

იმისმა ხმამ ხელახლა ატკინა გული კრისტინს, — მაშ, არც კი უხარია, ესეც უბედურად სთვლის თავს...

— კრისტინ, კრისტინ... ეგება გგონია, განგებ შემოგიტყუე ტყეში, მინდოდა შენთვის მომეყენებინა... ძალით გამეხადე ჩემი? — ჰკითხა პატარა ხნის მერე ერლენდმა.

კრისტინს, ერლენდისთვის არ შეუხედია, ისე გადაუსვა თავზე ხელი.

— შენ ხომ ძალა არ გიხმარია, არც მახლებდი ხელს, ისეთსავეს გამიშვებდი როგორიც მოვედი, მე რომ მეთხოვა... — ნელი ხმით უთხრა კრისტინმა.

— არ ვიცი, — მიუგო ერლენდმა და სახე მის კალთაში ჩამალა. — ეგებ გგონია გიღალატებ? — მგზნებარედ უთხრა ერლენდმა. — ჩემს ქრისტიანულ სარწმუნოებას გეფიცები, მაშ ღმერთმა ამაღოს ხელი ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში, თუ შენი ერთგული არ ვიქნები უკანასკნელ სულის ამოსვლამდე...

კრისტინს ენა არ ემორჩილებოდა და ისევ თავზე უსვამდა ხელს.

— ჩემი წასვლის დრო არ არის? — იკითხა ბოლოს და ისე მოეჩვენა თითქოს საზარელი შიშით შეპყრობილი ელოდა მის პასუხს.

— ვგონებ დროა! — დაღვრემილმა მიუგო ერლენდმა. სწრაფად წამოდგა, ცხენთან მივიდა და აღვირის ახსნა დაიწყო.

მაშინ კრისტინიც წამოდგა. მძიმედ, დაღლილი, ტანჯვით, თანდათან გონს მოეგო... თვითონაც არ იცოდა, რას ელოდა ერლენდისაგან, — როგორ უნდა მოქცეულიყო ერლენდი ცხენზე შეესვა და თან წაეყვანა, რომ არავისთან დაბრუნება აღარ დასჭირვებოდა? განგმირული სხეული თითქოს უკვნესოდა, — ნუთუ ამ ბოროტებას უგალობს ყველა სიმღერა? და ვინაიდან ერლენდმა მიაყენა ეს ბოროტება, კრისტინს იმდენად მიაჩნდა თავი მის ნივთად, მის საკუთრებად, რომ ვერ გაეგო, როგორ უნდა ეცოცხლა ამიერიდან სხვის ხელში მყოფს. უნდა განშორებოდა მას, მაგრამ არ ძალუძდა გულთ ეხმო, რომ ეს მოხდებოდა...

ერლენდი ფეხით მიდიოდა, ერთ ხელში აღვირი ეჭირა და ცხენი მიჰყავდა, მეორე კრისტინისთვის ჩაევლო ხელში, ორივენი დუმდნენ, სიტყვები ვერ ეპოვათ სალაპარაკოდ.

სკუგის შენობები რომ გამოჩნდა, ერლენდი გამოეთხოვა კრისტინს.

— კრისტინ... სევდა გადაიყარე გულიდან... უფრო ადრე, ვიდრე შენა გგონია, დადგება დღე, როცა შენ ჩემი კანონიერი ცოლი გახდები...

მაგრამ კრისტინს გული ჩასწყდა ამის გაგონებაზე.

— მაშ, უნდა წახვიდე? — შეშინებულმა ჰკითხა.

— წახვალ თუ არა სკუგიდან, მეც მაშინვე წავალ, — უთხრა ერლენდმა და მეტი მხნეობა გაისმა მის ხმაში. — თუ ომი არ დაიწყო, მაშინ მიუნასს მოველაპარაკები; დიდი ხანია, მაცივდება, ცოლი შეირთეო; რასაკვირველია, მამაშენთან წამომყვება და შუაკაცობას გამიწევს.

კრისტინმა თავი ჩაქინდრა, — ერლენდის ყოველ სიტყვაზე კრისტინს სულ უფრო გრძელი ეჩვენებოდა დრო, რომელიც უიმისოდ უნდა გაეტარებინა, და ვერ წარმოედგინა როგორ უნდა გაეძლო ამდენი ხანი უერლენდოდ — მონასტერი, იორიუნდგორდი... თითქოს რაღაც ნაკადი მიაცურებდა და შორს მიჰქონდა მონასტრისა და იორიუნდგორდისაგან.

— რაც შენი ნათესავები წავიდნენ, მარტო გძინავს სტაბიურში? — ჰკითხა ერლენდმა. — მაშინ საღამოთი მოვალ შენთან. მოვილაპარაკოთ; — კარს გამიღებ?

— გაგიღებ, — ნელი ხმით უთხრა კრისტინმა და ისინი ერთმანეთს განშორდნენ.

ტყიდან მოსულმა კრისტინმა დანარჩენი დრო დიდედასთან გაატარა. ვახშმის შემდეგ მოხუცებული ლოგინში დააწვინა. მერე სტაბიურში წავიდა, სადაც უნდა დაეძინა. ზევითა ოთახს პატარა ფანჯარა ჰქონდა და ფანჯარასთან მიდგმულ სკივრზე ჩამოჯდა — დაწოლა არ უნდოდა.

დიდხანს ელოდა ერლენდს. გარეთ სულ ჩამობნელდა, როცა დერეფანში ძლივს გაისმა ფრთხილი ნაბიჯები. ერლენდმა კარი დააკაკუნა ლაბადაშემოხვეული ხელის ზურგით. კრისტინი წამოდგა, ურდული გასწია და ერლენდი შემოუშვა.

მან შეატყო, ერლენდს ძალიან გაუხარდა, კრისტინი რომ კისერზე მოეხვია და გულზე მიეკრა.

— მეშინოდა, ვაითუ გაჯავრებულია-მეთქი ჩემზე!.. — უთხრა ერლენდმა. — არ იდარდო იმაზე, რაც ჩავიდინეთ, — განაგრძო პატარა ხნის მერე ერლენდმა. — ეს მაინცდამაინც დიდი ცოდვა არ არის, ღვთის კანონი სულ სხვაა, ხალხის კანონებს არა ჰგავს... გიუნიულფმა, ჩემმა ძმამ, ამიხსნა ერთხელ: თუ ორი ადამიანი ერთმანეთს პირობას მისცემს მუდამ განუყრელნი და ერთგულნი იყვნენ ერთმანეთისა და მერე ერთ სარეცელში დაწვებიან, მაშინ ისინი უკვე ჯვარდაწერილნი არიან ღმერთის წინაშე და დიდ ცოდოდ ჩაეთვლებათ თავიანთი პირობის გატეხვა! ლათინურადაც გეტყვი ამ პირობის სიტყვებს, როცა მომაგონდება, — წინათ ვიცოდი...

კრისტინს ვერ გაეგო, რა შემთხვევის გამო ეტყოდა ამას ერლენდის ძმა ერლენდს, მაგრამ თავიდან იშორებდა უნებურ შიშს, ვაითუ, ეს ნათქვამი იყო ერლენდსა და სხვა ქალზეო, და ცდილობდა ერლენდის სიტყვებში ეპოვა ნუგეში.

ისინი გვერდიგვერდ ჩამოსხდნენ სკივრზე. ერლენდმა ხელი მოხვია კრისტინს და კრისტინმა მაშინ იგრძნო გული საგულეში, — მხოლოდ აქ, ერლენდის გვერდით შეეძლო მშვიდად ყოფილიყო და არაფრის შიში არა ჰქონოდა.

დროდადრო ერლენდი ბევრს და მღელვარედ ლაპარაკობდა, მერე კი დიდხანს გაჩუმებული იჯდა და კრისტინს უალერსებდა. კრისტინი თვითონაც ვერა გრძნობდა ამას, მაგრამ მისი ნათქვამიდან ყოველ წვრილმანს იჭერდა, რაც უფრო მოსაწონდა და უფრო მიმზიდველს ხდიდა მის თვალში ერლენდს და ამცირებდა მის დანაშაულს ყველა იმ ცუდ საქმეში, რაც კრისტინმა მის შესახებ იცოდა.

ერლენდის მამა ნიკულაუსი, როცა შვილები გაუჩნდა, ისეთი მოხუცი იყო, აღარც მოთმინება ჰყოფნიდა, არც ძალა მათ გასაზრდელად; ორივე შვილი ბატონი ბორდის ხესტნესელ პეტერის ვაჟის ოჯახში გაიზარდა. ერლენდს სხვა და-ძმა არა ჰყოლია გიუნიულფის გარდა; ის ერლენდზე ერთი წლით უმცროსი იყო და მაცხოვრის ეკლესიაში მღვდლად ირიცხებოდა.

— შენს გარდა, ყველაზე ძალიან ის მიყვარს მთელს ქვეყანაზე. კრისტინმა ჰკითხა, გგავს გიუნიულფიო? ერლენდს გაეცინა: ხა-

სიათითაც და გარეგნობითაც ჩვენ სულ სხვადასხვანაირები ვართ. ახლა გიუნიულფი საზღვარგარეთ არის, იქ სწავლობს; სამი წელიწადია უკვე, რაც წასულია, მაგრამ ორჯერ გამოგზავნა წერილი, უკანასკნელად შარშან მოიწერა, როცა პარიზელ წმიდა გენოვევადან[1] რომს აპირებდა წასვლასო.

— როგორ გაუხარდება გიუნიულფს, როცა შინ დაბრუნებულს ცოლიანი დავხვდები! — თქვა ერლენდმა.

მერე მშობლების სიკვდილის შემდეგ დარჩენილ თავის დიდ მემკვიდრეობაზე დაიწყო ლაპარაკი. კრისტინი მიხვდა, რომ ერლენდმა თვითონაც არ იცოდა, რა დღეში იყო ახლა მისი საქმეები. თვითონ კრისტინი კი საკმაოდ კარგად იყო ჩახედული მამის საქმეებში — მიწების ყიდვა-გაყიდვაში. მაგრამ ერლენდს სულ სხვანაირად მიჰყავდა საქმე, ჰყიდდა და ანიავებდა თავის მამულებს, აოხრებდა და აგირავებდა, მეტადრე ბოლო წლებში მოესვა ხელი, როცა თავის საყვარელთან უნდოდა განშორება და ფიქრობდა, დროთა ვითარებაში ჩემი ფუქსავატი ცხოვრება დავიწყებას მიეცემა და ნათესავები კვლავ დამეხმარებიანო; თან იმედი ჰქონდა, ბოლოს და ბოლოს, მამაჩემივით ორკედალის ნახევარი ოლქის ვოევოდობას მომცემენო.

— მაგრამ ახლა ვერ მომისაზრებია, რით გათავდება ეს ყველაფერი! — შესაძლოა, საბოლოოდ გიუნარის ვაჟიშვილი ბიორნივით მთაში დავსახლდე, ერთ პატარა მამულში და როგორც უწინდელ დროში მონები ზიდავდნენ, მეც ზურგითა ვზიდო პატივი, ცხენი სად მეყოლება!

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — სიცილით უთხრა კრისტინმა. — მაშინ მე სხვა რა გზა მექნება, შენთან უნდა გადმოვსახლდე, — დარწმუნებული ვარ, შენზე კარგად მესმის სოფლის საქმე.

— ეგ კი ეგრეა, მაგრამ ალბათ გოდრებით პატივი მაინც არ გიზიდია. — უთხრა ერლენდმა სიცილით.

— არა, მაგრამ მინახავს, მინდვრებს როგორ აყრიან პატივს, პურს კი თითქმის ყოველწელიწადს მე ვთესავდი. მამაჩემი, ჩვეულებრივ, თვითონა ხნავდა ახლომახლო მიწებს, მერე კი მე მათესვინებდა პირველ კვალს, რომ ბედნიერება მომეტანა... — ამ მოგონებამ

---

[1] წმ. ჟენევიევის (ნორვეგიულად გენოვიევას) საბატოსთან იყო სორბონის უნივერსიტეტი პარიზში.

მწარედ გაჰკრა გულში კრისტინს და საჩქაროდ განაგრძო: — ქალი ხომ დაგვირდება, ვინც პურს გამოგიცხობს, ლუდს გამოგიხდის, შენ ერთადერთ პერანგს დაგიკემსავს და ძროხას მოგიწველის — ერთი, ან ორი ძროხა იჯარით უნდა მოიყვანო მეზობელი მდიდარი გლეხისაგან...

— ღმერთს მადლობასა ვწირავ, რომ კვლავ მეყურება შენი სიცილი! — უთხრა ერლენდმა, ხელში აიყვანა და ბავშვივით მკერდთან მიიწვინა.

ექვსი ღამე, ვიდრე ოსმიუნდი წასული იყო, ერლენდი ყოველ ცისმარე დღე, მოსაღამოვდებოდა თუ არა, კრისტინთან მოდიოდა.

ბოლო ღამეს ის ისეთივე უბედური ჩანდა, როგორც კრისტინი; ბევრჯერ გაიმეორა, განშორებაში ერთ დღეს არ დავყოფ, იმაზე მეტს, რაც აუცილებელი არ იქნებაო. ბოლოს სულ ჩუმად უთხრა:

— თუ ისე უკუღმა წავიდა საქმე, და ზამთრამდე ვერ მოვახერხე ოსლოში ჩამოსვლა... შენ კი მეგობრების დახმარება დაგვირდა... იცოდე, გულდამშვიდებით შეგიძლია მიმართო გერდარიუდში მამა იონს. ბავშვობიდან მეგობრები ვართ. შეგიძლია, მიუნანის იმედიც იქონიო.

კრისტინმა მხოლოდ თავი გაუქნია, და ეს იყო. მიხვდა, ერლენდიც იმას ეუბნებოდა, რაზედაც ცისმარე დღე თვითონაც ფიქრობდა, მაგრამ ერლენდს ამაზე აღარ გაუგრძელებია სიტყვა. ამიტომ აღარც კრისტინს ამოუღია ხმა, არ უნდოდა დაენახვებინა, რა მწარედ ეკუმშებოდა გული.

იმ ღამეებში, შუაღამე რომ მოახლოვდებოდა, მაშინ ერლენდიც მიდიოდა კრისტინისაგან, მაგრამ ამ უკანასკნელ საღამოს მხურვალედ შეევედრა, ნება მომეცი აქ დავწვე და ცოტა წავიძინოო. კრისტინს ეშინოდა, არავინ მოგვისწროსო, მაგრამ ერლენდმა დიდგულად მიუგო:

— იცოდე, აქ რომ მომისწრონ კიდეც, შენს ოთახში, მე ვიცი, რასაც ვეტყვი...

თვითონ კრისტინიც ვერ შელეოდა ერლენდს და არ ძალუძდა, უარი ეთქვა რამეზე.

მაგრამ კრისტინს ეშინოდა, ვაითუ დაგვეძინოსო და მეტი დრო

ბაკანკალს მიკრდნობილმა გაატარა, დროდადრო ჩასთვლემდა ხოლმე, და ვერ გაეგო, მართლა როდის უალერსებდა ერლენდი და როდის სიზმარში ხედავდა ამას. ერთი ხელი ერლენდის მკერდზე ედო, სადაც გული უცემდა და ასე, პირით ფანჯრისკენ მიბრუნებული იჯდა და უყურებდა, რომ გათენება არ გამოჰპარვოდა.

ბოლოს, მეტი გზა არ იყო ერლენდი გააღვიძა, თვითონაც, რაც მოხდა, წამოისხა და დერეფანში გაჰყვა ერლენდს; ერლენდი მოაჯირზე გადაძვრა, საითკენაც სტაბიური სხვა სახლისკენ იყო მიქცეული და მალე კუთხეს მიეფარა. კრისტინი ოთახში შებრუნდა, ლოგინში შეწვა, ნებაზე მიუშვა თავი და პირველად ატირდა მას შემდეგ, რაც ერლენდის საკუთრება გახდა.

V

მონასტერში დღეები ძველებურად გადიოდა. კრისტინი ხან საძილე ოთახში იყო, ხან ეკლესიაში, ხან საფეიქრო სახელოსნოში, ხან წიგნთსაცავში და ხან სასადილოში. მოლოზნებმა და მონასტრის მუშებმა ბოსტნეულიც აღღეს და ხილიც დაკრიფეს ბაღში; დადგა შემოდგომის დღესასწაული — ჯვართამაღლება და დიდი ამბით გადაიხადეს. მერე მარხვა დაიწყო მიხეილობის წინ. კრისტინს უკვირდა — მონასტერში, როგორც სჩანს, ვერაფერს ამჩნევდნენ. მართალია, აქ უცხოთა შორის არც აქამდე იყო დიდი მოლაპარაკე, არა ჰგავდა ინგებიერგს, ვისთანაც დღედაღამ ერთად იყო. იმას ლაპარაკით ვერ მოღლიდი.

ამრიგად, ვერავინ ამჩნევდა, რომ კრისტინი მთელი თავისი გულის ზრახვებით შორს იყო ყველა იმისაგან, რაც მის გარშემო ხდებოდა. ერლენდის საყვარელი — გულში იმეორებდა, — ახლა ერლენდის საყვარელი ვარ! ყველაფერი სიზმარი ეგონა — წმიდა მარგრეტის დღესასწაულის წინა საღამო, კარაპანში შეხვედრის ის მოკლე ჟამი, და სკუგის სტაბიურში გატარებული ღამეები — ან ეს ყველაფერი ნახა სიზმარში, ან მონასტერია სიზმარი! მაგრამ ოდესმე ხომ გაიღვიძებს და ყველაფერი გამოაშკარავდება. მას წამითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ უკვე მუცლით ატარებდა ერლენდის შვილს.

რა ელის, როცა ერთ მშვენიერ დღეს ამას გაიგებენ — გონებას ვერ იკრებდა. დილეგში ჩასვამენ, თუ შინ გაისტუმრებენ?.. ბუნდოვნად წარმოუდგებოდა თვალწინ თავისი დედ-მამა... კრისტინს გული უღონდებოდა, თავბრუ ეხვეოდა, — თვალებს ხუჭავდა, ქედმოხრილი ელოდა ქარცეცხლს, რომელიც თავს უნდა დასტეხოდა, ცდილობდა გაკაჟებულიყო და შესჩვეოდა იმ ბოროტების გადატანას, რომელიც, როგორცა სწამდა, იმით უნდა დასრულებულიყო, რომ სამუდამოდ ერლენდისა გამხდარიყო, მის მკლავებში ეპოვა მყუდროება, სადაც ახლაც ყველაზე მყუდროდ გრძნობდა თავს.

ამ დღეში მყოფ კრისტინს ხან იმედი ეძლეოდა, ხან თავზარდამცემი შიშით კანკალებდა, ხან ტკბებოდა, ხან დარდი უჭამდა გულს. უბედური იყო, მაგრამ გრძნობდა, რაც დღე გადიოდა, სულ უფრო უძლიერდებოდა, ათასნაირად იფურჩქნებოდა მის გულში ერლენდის სიყვარული, თუმცა უბედურება ერქვა ამ სიყვარულს. ერთად გატარებულ უკანასკნელ ღამეს წამიერ სიტკბოებაში იგრძნო რომ მის გულში ჩაკონებულს, ისეთი ნეტარება და ბედნიერება ელოდა, რაც დღემდე სიზმარშიაც არ ენახა, — ამის ერთ გახსენებაზეც კი თრთოლვა იტანდა — ეს ჰგავდა ჩახურებული, მზისაგან გაფიცხებული ბაღების მცხუნვარე მძაფრ სურნელებას. „ნაბიჭვარი" — ეს სიტყვა პირში მიახალა ინგამ, ახლა ეს სიტყვა ეთაკილებოდა კი არა, გულზე სიამესა ჰფენდა. ნაბიჭვარი — ტყესა და მინდორში მალულად ჩასახული შვილი იყო. კრისტინი ახლაც კი გრძნობდა იმ მდელოზე დაცემულ მზის შუქსა და იქ მოფენილი ნაძვნარის სურნელება სცემდა. რამდენიც რამე შეაწუხებდა ან მაჯისცემა აუჩქარდებოდა, იმდენი ეგონა, ბავშვი ინძრაო, და ეს აგონებდა, რომ ახლა იგი ახალ გზას დაადგა, და რაც უნდა გასძნელებოდა ბოლომდე გასვლა, დარწმუნებული იყო, საბოლოოდ ეს გზა ერლენდთან მიიყვანდა.

კრისტინი ინგებიერგისა და დაი ასტრიდის შუა იჯდა და დიდ ხალიჩასა ქარგავდა, გაფოთლილი ხეების ქვეშ რაინდები და ფრინველები გამოჰყავდა, თან გონებაში წარმოიდგენდა, როგორ გარბის, როცა დადგება დრო და მუცელს ვეღარ დამალავს. აი, ღარიბი დედაკაცივით ჩაცმული შარაგზებს დასდგომია; რაც რამ ოქრო-ვერცხლი აქვს, ბოხჩით მიაქვს თან, სადმე მიყრუებულ ხეობაში თავშესაფარსა ქირაობს, სახლის პატრონს მუშად უდგება, ბეჭებზე

რკალივით ხარისა დაუდგამს და აქეთ-იქით ჩამობმული ვედროებით წყალს ეზიდება, პურს უმკის, უცხობს, სარეცხს ურეცხავს და ლანძღვა-გინებასაც იტანს, იმიტომ, რომ არ უნდა თქმა, ვისგანა ჰყავს შვილი. და აი, ერთ დღეს მოვა ერლენდი და იპოვის...

ზოგჯერ წარმოიდგენდა, ვითომ ერლენდმა მოაგნო, მაგრამ უკვე გვიანღაა. თოვლივით თეთრი, მშვენიერი კრისტინი გლეხის ღარიბულ ლოგინზე ასვენია. ერლენდი იკუზება, რომ თავი არ აჰკრას წირთხლს და ოთახში შემოდის; გრძელი შავი ლაბადა აცვია, რაც სკუგში ეცვა ხოლმე, კრისტინთან რომ მოდიოდა. დიასახლისი, ვისაც კრისტინი ემსახურებოდა, შინ უძღვება ერლენდს, სადაც კრისტინი ასვენია; ერლენდი მუხლს იყრის, იღებს მის გაყინულ ხელებს, თვალებში აუტანელი მწუხარება ეხატება — თურმე სადა ყოფილხარ შენ, ჩემო ერთადერთო სიხარულო... მწუხარებისაგან წელში მოხრილი ოთახიდან გადის, თან გულში იკრავს ლაბადაში გახვეულ თავის პატარა ვაჟიშვილს... არა, არა ჰგონია, ყველაფერი ასე დასრულდეს; არა, ის არ მოკვდება და ერლენდი არ გამოივლის ასეთ მწუხარებას!.. მაგრამ ისეთი ლოდი აწვა გულზე და ისეთი სევდა ღრღნიდა, რომ სწორედ ასეთ ფიქრებში იკლავდა დარდს...

უცებ წამიერად ბურანიდან ერკვეოდა და სინამდვილე შიშის ზარსა სცემდა: ბავშვი — წარმოსახვა კი არა, გარდაუვალი ამბავია; ადრე იქნება თუ გვიან, პასუხი უნდა აგოს იმაზე, რაც ჩაიდინა, — და კრისტინს შიშისაგან გული ეწურებოდა...

გავიდა ცოტაოდენი დრო, და კრისტინი ახლა იმას ფიქრობდა, ჯერ დანამდვილებით ვიცი კი ბავშვი მეყოლება თუ არაო... თვითონაც ვერ გაეგო, რატომ არ გაახარა ამ ამბავმა, — თითქოს თბილი საბნის ქვეშ იწვა და ტიროდა, ახლა კი უნდა ამდგარიყო და სიცივეში გასულიყო. ერთი თვეც გავიდა, ორიც; ახლა კი როცა დარწმუნდა, რომ ამ უბედურებას გადარჩა, მარტოობასა და სიცარიელეს გრძნობდა გარშემო, და უფრო უბედურად მიაჩნდა თავი; გულში შეეპარა წყენა ერლენდის მიმართ. ქრისტესშობა ახლოვდებოდა. ჯერ არც თვითონ ერლენდს შეეტყობინებინა რამე და ვერც სხვისგან გაიგო იმის ამბავი; ისიც კი არ იცოდა, სად იყო ერლენდი.

ახლა ეჩვენებოდა, რომ ვეღარ აიტანდა ამდენ შიშსა და უამბო-

ბას; — თითქოს მათ სიყვარულს ნიადაგი ეცლებოდა და უკვე ნამდვილად შიშობდა — ვაითუ ისეთი რამ მოხდეს, რომ ერლენდი თავის დღეში ვეღარა ვიხილოო. კრისტინი მოსწყდა ყველაფერს, რასთანაც უწინ იყო დაკავშირებული, ახლა კი მისი და ერლენდის ურთიერთობა ბეწვზე ეკიდა. კრისტინს არ უფიქრია ერლენდი ჩემს ღალატს მოინდომებსო, მაგრამ უამისოდაც ბევრი რამ შეიძლებოდა მოხდარიყო... უძნელდებოდა იმის წარმოდგენა, თუ როგორ აიტანდა ამდენ უამბობას და ამ მოლოდინით გამოწვეულ წამებასა და დარდს.

ზოგჯერ მშობლები და დებიც აგონდებოდა, ნაღვლობდა უიმათობას, ასე ეგონა, თითქოს სამუდამოდ დაჰკარგა ისინი.

ზოგჯერ კი ეკლესიაში ან სხვაგან სადმე მყოფს მხურვალედ მოენატრებოდა, იმასაც სხვებთან ერთად ელოცა. ეს ხომ მუდამ მისი ცხოვრების ნაწილი იყო ახლა კი იგი განზე იდგა, მარტოდმარტო, თავისი გაუნდობელი ცოდვით.

თავს იმშვიდებდა, განა სულ მოვწყდი სახლს, ახლობლებსა და ეკლესიას. ისევ ერლენდი მიმიყვანს და კვლავ დამაახლოვებს ჩემს ოჯახს, ჩემს ახლობლებს და ეკლესიას. როდესაც მამაჩემი თანახმა გახდება, მე და ერლენდს გვიყვარდეს ერთმანეთი, მაშინ ძველებურად ვივლი ერლენდთან; და როცა მე და ერლენდი ვიქორწინებთ, შეეძლებთ აღსარება ვთქვათ და გამოვისყიდოთ ჩვენი დანაშაულიო.

ახლა კრისტინი ეძებდა იმის დამამტკიცებელ საბუთებს, რომ არც სხვები არიან უცოდველნი. ახლა უფრო გულდასმით უგდებდა ყურს ჭორებს და უფრო ამჩნევდა ირგვლივ ყველა წვრილმანს, რაც მოწმობდა იმას, რომ არც მონასტერში მყოფი დები იყვნენ დიდი წმინდანები და არც ისე უცხოა მათთვის ყოველივე ამა სოფლისა. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ წვრილმანი იყო. ნონესეტერი, რომელსაც ფრუ გრუა განაგებდა, ქვეყნისათვის იყო მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს მოლოზნების ღვთის მოშიში კრებული. მოლოზნები საეკლესიო მსახურების ერთგულნი და მუყაითნი უნდა იყვნენ და მზრუნველობით ექცეოდნენ ღარიბებსა და დავრდომილთ. ისინი არც ისე მკაცრად უარყოფდნენ ამა სოფელს, რომ ნება არა ჰქონოდათ შეხვედროდნენ თავიანთ მეგობარ-ნათესავებს მისაღებ ოთახში. ან არადა, განსაკუთრებულ შემთხვევაში, თვითონაც წასულიყვნენ ქალაქში მათ სანახავად; მაგრამ მთელი იმ წლების მანძილ-

ზე, რაც ფრუ გრუა მონასტერს განაგებდა, არც ერთ მოლოზანს არ შეურცხვენია მონასტერი თავისი ყოფაქცევით.

ახლა, თითქოს, აქამდე დახშულ ყურებში კრისტინს სმენა მოუვიდა, გაიგო მონასტრის კედლებშიაც ხდებოდა უხამსობა — ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ, ერთმანეთისა შურდათ, ზვიადად და მედიდურად ეჭირათ თავი. მოლოზნები შავ საშინაო საქმეს ერიდებოდნენ, მარტო ავადმყოფთა მოვლას ჰკიდებდნენ ხელს ხალისიანად. ყველას უნდოდა სწავლული და დახელოვნებული ქალი ყოფილიყო; ერთი ცდილობდა მეორისთვის ეჯობნა, ხოლო ისინი, ვისთვისაც ღმერთს ამგვარი კეთილშობილი საქმიანობის ნიჭი არ მიეცა, ყურებჩამოყრილები და გაბრუებულები დადიოდნენ.

თვითონ ფრუ გრუა განსწავლული და ჭკვიანი ქალი იყო, თვალყურს ადევნებდა თავისი სულიერი ასულების ყოფაქცევასა და გულმოდგინებას, მაგრამ მათი სულის საუკუნო ნეტარებას არას დასდევდა. ის მუდამ ალერსიანად და გულთბილად ექცეოდა კრისტინს — თითქოს სხვა ყმაწვილ ქალებზე მეტად მოსწონდა, მაგრამ ეს იმით აიხსნებოდა, რომ კრისტინმა კარგად იცოდა წერა-კითხვა და ყოველგვარი ხელსაქმის მუყაითი და ჩუმი შემსრულებელი იყო. ფრუ გრუა ბოლომდე არასოდეს არ უგდებდა ყურს დებს. სამაგიეროდ, სიამოვნებით ელაპარაკებოდა კაცებს. ქვეყანა შედიოდ-გამოდიოდა მის მისაღებ ოთახში — გლეხები და მონასტრის რწმუნებულები, ეპისკოპოსის გამოგზავნილი ძმები — მქადაგებელნი, ხუვედეიდან მოსული მმართველები, ვისთანაც საჩივარი ჰქონდა ფრუ გრუას. მას ქვეყნის საქმე ეყარა თავზე, მისი საზრუნავი იყო მონასტრის მსხვილი ადგილ-მამულები და ანგარიშებსაც ის აწარმოებდა, აქეთ-იქით უგზავნიდა საეკლესიო შესამოსავს, გზავნიდა და იღებდა გადასაწერ წიგნებს. ყველაზე უფრო მტრულად განწყობილნიც კი ვერაფერს უპოვიდნენ საძრახისსა და უსამართლოს. მაგრამ იმას ლაპარაკი უყვარდა მხოლოდ ისეთ საგნებზე, რომელშიაც ქალები იშვიათად არიან ჩახედულნი.

წინამძღვარს, ვინც ეკლესიის ჩრდილოეთით ცალკე სახლში ცხოვრობდა, როგორც ჩანს, იმდენივე გააჩნდა საკუთარი ნებისყოფა, რამდენიც იღუმენიას კალამდარს ან წკეპლას ფრუ გრუას ხელში. შინა სამეურნეო საქმეებს თითქმის სულ დაი პოტენცია განაგებდა და სხვებზე მეტადა ცდილობდა მონასტერში ასეთივე წესიერება ჰქო-

ნოდა, როგორც განთქმულ გერმანულ ქალთა მონასტრებში ენახა, სადაც მორჩილად იყო ნაპყო�ეი. წინათ რაგნვალდის ასულ სიგრიდს ეკახდნენ, მაგრამ მოლოზნად შესულმა სახელი გამოიცვალა, ასე იყო მიღებული სხვა ქვეყნებში; სწორედ იმას მოუვიდა აზრად ნონსეტერში დროებით ჩამოსულ მოწაფე დებსაც მორჩილთა სამოსელი სცმოდათ.

დაი ცეცილია, ბორდის ასული, სხვა მოლოზნებს არა ჰგავდა. ჩუმი, თვალებდახრილი, ყველას ალერსიანად თავმდაბლად აძლევდა პასუხს და ყველას გასაგზავნ-გამოსაგზავნიც ის იყო, იმაზე ხალისიანადაც არავინა ჰკიდებდა ხელს შავ საქმეს, უფრო ხშირად მარხულობდა, ვიდრე წესდებით უნდა ემარხულა და რამდენადაც აძლევდა ნებას ფრუ გრუა, მწუხრის შემდეგ ან ცისკრის ლოცვამდე მისული საათობით მუხლმოყრილი იდგა ეკლესიაში.

ერთ საღამოს, მთელი დღე წყლის პირას სარეცხი ერეცხათ ცეცილიასა და ორ თეთროსან დას, ვახშმის დროს ის მოულოდნელად ხმამაღლა აქვითინდა. ფილაქანზე დაეცა და მუხლებზე დაწყო ხოსვა მოლოზნებს შორის, მკერდში იცემდა მჯიღს და სახეატკრეცილი მწარედ ატირებული ეეედრებოდა ყველას, მომიტევეთო. ყველაზე უარესი და ყველაზე შემცოდე მე ვარ თქვენს შორის, მთელი ჩემი სიცოცხლე ამპარტავნობამ და გოროზობამ გამაქვავა. გოროზობამ და არა თავმდაბლობამ, და მადლიერებამ იესოსადმი; ის მაძლევდა ძალას, როცა ამქვეყნიურ საერო ცხოვრებაში რამეს უნდა ვეცდუხებინე; აქ იმიტომ კი არ მოვაშურე, რომ ერთი ადამიანი მაინც მიყვარს, არამედ იმიტომ, რომ მხოლოდ ჩემი საკუთარი სიამაყე მიყვარს, გოროზობით ვემსახურებოდი ჩემს დებს, დიდების სიყვარულსა ვსვამდი წყალთან ერთად ჩემი თასიდან და თავმოთნეობას სქლად ვუსვამდი გამხმარ პურს ჩემსას, მაშინ, როცა, დები ლუდსა სვამდნენ და კარაქწასმულ პურს ატანდნენო.

ცეცილიას ნათქვამიდან კრისტინმა მარტო ერთი რამ გაიგო, რომ გულის სიღრმეში ბორდის ასული დაი ცეცილიაც სცოდავდა. ჭერზე ჩამოკიდებულ ჭვარტლისა და აბლაბუდისაგან გაჭუჭყიანებულ აუნთებელ ქონის სანთელს — აი, რას ადარებდა თვითონ ის თავის უბიწოებას, რომელმაც სიყვარული რა იყო, არ იცოდა!

ფრუ გრუა მივიდა აქვითინებულ ყმაწვილ ქალთან და იატაკიდან წამოაყენა, თან მკაცრი კილოთი უთხრა, ამისთანა აურზაურის ატე-

ხისათვის დასასჯელად დების საწოლი ოთახიდან ჩემთან გადმოხვალ და ჩემთან დაიძინებ, ვიდრე ეს ციებ-ცხელება არ გაგივლისო.

— ხოლო მერე, დაო ცეცილია, მთელი კვირა ჩემს ადგილზე შენ იჯდები; შენა გკითხავთ რჩევას სასულიერო საქმეებში და ისეთი პატივით მოგექცევით შენი ღვთისმოშიში ცხოვრებისათვის და იმდენ ქება-დიდებას შეგასხამთ, მოგყირჭდება კიდეც ცოდვილი ხალხის შექება. ამრიგად, შესძლებ, თვითონ განსაჯო, ღირს თუ არა ეგ ყველაფერი მაგდენ შრომად და მცდელობად; ხოლო მერე აირჩიე ჩვენსავით, როგორც წესდება გვიქადაგებს, ისე იცხოვრებ, თუ განაგრძობ შენს ღვაწლმოსილ საქმეებს, რომელთაც შენგან არავინ მოითხოვს. მაშინ თავად გადასწყვეტ, შესძლებ თუ არა ამიერიდან ღვთის სიყვარულით აკეთო ყველაფერი, რათა წყალობით გადმოგხედოს უფალმა, რასაც, როგორც შენ ამბობ, მხოლოდ იმიტომ აკეთებდი, რომ შურითა და აღტაცებით გვეცქირა შენთვის.

ასეც მოიქცნენ. დაი ცეცილია ორი კვირა იღუმენიას ოთახში იწვა: სულ კბილი კბილს აცემინებდა, ისე აციებდა და ფრუ გრუა თვითონ უვლიდა ავადმყოფს. ხოლო როცა ლოგინიდან წამოდგა, მთელი კვირა იღუმენიას გვერდით საპატიო ადგილზე იჯდა ეკლესიაშიც და მონასტერშიც. ყველანი იმას ემსახურებოდნენ, იმის თვალზე კი ცრემლი არა შრებოდა, გეგონებოდა, წკეპლით აჭრელებენო. ამის შემდეგ უფრო დამშვიდდა და უფრო მხიარულადაც იყო. თითქმის ძველებურად ეჭირა თავი, მაგრამ პატარძალივით წითლდებოდა, თუ ვინმე შეხედავდა, იატაკსა ჰგვიდა ამ დროს, თუ მარტო მიდიოდა ეკლესიაში.

ასე იყო თუ ისე, დაი ცეცილიას ამბავმა ძალიან დაასევდიანა კრისტინი და სურვილი აღუძრა სიმშვიდე მოეპოვებინა და შერიგებოდა ყველაფერს, რასაც, ასე ეგონა, თანდათან მოსწყდა. მოაგონდა ძმა ედვინი, და ერთხელ გამბედაობა მოიკრიფა და ფრუ გრუას სთხოვა, ნება მიეცა, ფეხშიშველა ძმებთან წასულიყო და იქ ერთი თავისი მეგობარი ენახა.

კრისტინმა შეატყო, ფრუ გრუას არ ეჭაშნიკა მისი ნათქვამი, — მინორიტებსა და საეპისკოპოსოს სხვა მონასტრებს შორის დიდი მეგობრობა არ იყო. იღუმენია არც მაშინ მოლბა, როცა გაიგო, ვინც იყო კრისტინის მეგობარი. ნან უთხრა კრისტინს, ის ძმა ედვინი —

ღვთის ერთგული მსახური არ არის, თავი აუღია და ერთთავად მთელ ქვეყანას უვლის და სხვადასხვა საეკლესიო წესს ასრულებს უცხო საეპისკოპოსოებში. უბრალო ხალხი წმინდა ადამიანად თვლის, მაგრამ თვითონ თითქმის არ ესმის, რომ ფრანცისკანელისთვის პირველი სათნოება და უფროსების მორჩილებაა. არავის ეკითხება, თავის ნებაზე ათქმევინებს აღსარებას ტყე-ტყე მოხეტიალე მაწანწალებსა და ეკლესიისაგან განკვეთილებს, უნათლავს შვილებს, წესს უგებს იმათ მიცვალებულებს, და ამის ნებართვას არავისგან იღებს, მაგრამ როგორც ჩანს, ეს უგუნურობითაც მოსდის და თავისი ჯიუტი ხასიათის ბრალიც არის, ამიტომ მოთმინებით იტანს ამგვარი საქციელისათვის დადებულ სასჯელს. ედვინის საქციელს აინუნშიაც არავინ აგდებს, რადგან კარგად არის დაოსტატებული თავის ხელობაში; მაგრამ ზოგჯერ მუშაობის დროსაც კი ეჩხუბება ხალხს. ბიერგვინის ეპისკოპოსის მხატვრებმა განაცხადეს, მაგას ჩვენს საეპისკოპოსოში სამუშაოდ არ გავაჭაჭანებთო.

კრისტინმა სითამამე მოიკრიბა და ჰკითხა ფრუ გრუას, საიდან მოვიდა ეს ბერი, ვისაც ასეთი სახელი ჰქვიაო. ფრუ გრუამ სიამოვნებით გაუბა ლაპარაკი. უამბო, ედვინი ოსლოში დაიბადა, მაგრამ მამა ინგლისელი ჰყავდა, რიკარდ აბჯრიანი, მან სკუგხეიმის მაზრიდან გლეხის ქალი მოიყვანა ცოლად და ქალაქში დასახლდა, ედვინის ორი ძმა ყველასაგან პატივცემულები იყვნენ ოსლოში. მაგრამ აბჯრიანის ეს უფროსი ვაჟიშვილი მთელი თავისი სიცოცხლე მეტისმეტად მოუსვენარი რამ იყო. თუმცა ბავშვობიდანვე იზიდავდა მონასტრის ცხოვრება და გახდა თუ არა სრულწლოვანი, მაშინვე შევიდა ნაცრისფერ ძმათა მონასტერში ხუვედეეზე. იქიდან საფრანგეთის ერთ-ერთ მონასტერში გაგზავნეს აღსაზრდელად—ძალიან ნიჭიერი იყო. იქ ყოფნის დროსვე იმდენს ეცადა, რომ ძველ ცისტერციანელების ორდენიდან გამოვიდა და მინორიტების ორდენის წევრი გახდა. ბერებმა ეპისკოპოსის განკარგულების წინააღმდეგ თავისებურად დაიწყეს თავიანთი ეკლესიის აშენება ქალაქის აღმოსავლეთის ერთ მოცარიელებულ ადგილზე, ბერებს შორის ძმა ედვინი ყველაზე მეტად ჯიუტი და მოურიგებელი გამოდგა; მუშაობის შესაჩერებლად ეპისკოპოსის გაგზავნილ კაცს ჩაქუჩი დაარტყა და კინაღამ შემოაკვდაო.

კარგა ხანი იყო, ასე დიდხანს არავის ესაუბრა კრისტინთან: ამიტომ, როცა ფრუ გრუამ უთხრა, ახლა შეგიძლია წახვიდეო, უმაწვილი ქალი

დაიხარა და იღუმენიას გულწრფელი მოწიწებით ემთხვია ხელზე. კრისტინს თვალებზე ცრემლები მოადგა, ფრუ გრუამ კრისტინის ცრემლები დაინახა, იფიქრა, ალბათ წუხს, რომ ედვინი ვერა ნახაო და უთხრა. ეგებ მაინც მოგცე ნება ამ დღეებში ძმა ედვინს ესტუმროო.

გავიდა რამდენიმე დღე და კრისტინს უთხრეს, მონასტრის მსახური მეღის მამულში მიდის დავალებით და ბარემ შენც მიგაცილებს უშენზე ბერებთანო.

ძმა ედვინი შინ დახვდა. კრისტინს არ ეგონა, თუ ერლენდის გარდა კიდევ იყო ვინმე ქვეყანაზე ვისი ნახვაც ასე გაუხარდებოდა. მოხუცი იჯდა და ვიდრე ლაპარაკობდნენ, ხელზე ხელს უსვამდა კრისტინს. მადლობას უხდიდა მისვლისათვის. არა, თქვენკენ აღარა ვყოფილვარ მას აქეთ, რაც იორიუნდგორდში გავათიე ღამე, მაგრამ ის კი გავიგე, გათხოვებენ და ბედნიერებას გისურვებ. ეს რომ უთხრა, კრისტინმა სთხოვა, ეკლესიაში წავიდეთო.

ისინი მონასტრიდან გამოვიდნენ ეკლესიას შემოუარეს და ისე მივიდნენ მთავარ შესასვლელთან; ძმა ედვინმა კრისტინის ეზოზე გატარება ვერ გაბედა. საერთოდ, ძალიან დასევდიანებული ჩანდა და გაუბედავად იქცეოდა, თითქოს სულ იმისი ეშინოდა, არავინ გაეჯავრებინა. რა ძალიან დაბერებულა და გატეხილაო, გაიფიქრა კრისტინმა.

როცა კრისტინმა თავისი წვლილი შესაწირავი გადასცა ეკლესიაში მღვდლის მოვალეობის შემსრულებელ ბერს, მერე კი ძმა ედვინსა სთხოვა, აღსარება მიიღე ჩემგანო, ამან ძალიან შეაკრთო ძმა ედვინი. მაგას ვერ ვიზამ: სასტიკად მაქვს აკრძალული აღსარება ვისმეს მოვუსმინოო.

— ეგებ გაგონილაც გაქვს, — უთხრა მან, — საქმე ის არის, რომ მე არ შემეძლო უარი მეთქვა, საწყალი, უპედური ხალხისთვის სიკეთე არ გამეწია იმით, რაც ღმერთმა უსასყიდლოდ მიბოძა. მაგრამ, რა თქმა უნდა, მე უნდა ჩამეგონებინა იმათთვის ეკლესიასთან შესარიგებლად სხვა, სათანადო ადგილი მოეძებნათ... დიახ... დიახ... მაგრამ შენ, კრისტინ, შენ ხომ შენს წინამძღვარს უნდა უთხრა აღსარება?

— არის ერთი რამ, რაშიც ვერ გავუტყდები აღსარებაზე ჩვენი მონასტრის წინამძღვარს, — მიუგო კრისტინმა.

— მერე შენა გგონია, რამეს გარგია მე რომ გამიტყდე აღსარებაზე

იმაში, რასაც შენს ნამდვილ სულიერ მამას უმალავ? — უთხრა მკაცრად ბერმა.

— თუ ჩემგან აღსარების მიღება არ შეგიძლია, — მიუგო კრისტინმა, — მაშინ ეგებ იმის ნება მაინც მომცე, მოგელაპარაკო და რჩევა გკითხო იმის შესახებ, რაც გულზე მაწვევს.

ბერმა გარშემო მიიხედ-მოიხედა, და რაკი ეკლესიაში არავინ იყო — კუთხეში სკივრი იდგა და იმ სკივრზე ჩამოჯდა.

— შენ უნდა გახსოვდეს, ცოდვებს მე ვერ შეგინდობ, რჩევას კი მოგცემ და ვითომც აღსარებაზე გითქვამს, კრინტს არავისთან დავძრავ იმაზე, რასაც გამანდობ.

კრისტინი მის წინ დადგა და უთხრა:

— მე ვერ გავუვები ცოლად სიმონ დარეს.

— თვითონ იცი, მე სხვას ვერაფერს გირჩევ, გარდა იმისა, რასაც შენი წინამძღვარი გირჩევდა, — უთხრა ძმა ედვინმა, — ღვერთი ბედნიერებას არ ანიჭებს ურჩ შვილებს, და, თავად გესმის, მამაშენს შენთვის კარგი უნდოდა, როცა ეგ საქმე დაიწყო.

— მე არ ვიცი, რა რჩევას მომცემ, თუ ბოლომდის მომისმენ, — მიუგო კრისტინმა. — სიმონისთანა ვაჟკაცი აფსუსია, რომ შემოკორტნილი ტოტი ღრღნას, რომლის ყვავილი უკვე სხვამ მოწყვიტა.

კრისტინმა პირდაპირ სახეში შეხედა ბერს. მაგრამ როცა თვალი გაუსწორა და დაინახა, როგორ შეეცვალა გამხდარი, დანაოჭებული. დაბერებული სახე, რა თავზარი დაეცა და რა მწუხარება გამოეხატა. მაშინ თვითონ კრისტინსაც თითქოს რაღაც ჩასწყდა გულში, ცრემლი ნიაღვარივით წამოსკდა თვალთაგან, მუხლებზე უნდა დაცემულიყო, მაგრამ ედვინმა უცებ ხელი წაატანა:

— არა, არა, სკივრზე ჩამოჯექი, ჩემს გვერდით. მე ვერ მოვისმენ შენს აღსარებას... — ჩაიწია და ადგილი მისცა კრისტინს.

კრისტინი ისევ ტიროდა; ედვინმა ხელზე ხელი გადაუსვა და წყნარად უთხრა:

— კრისტინ, გახსოვს ის დილა, როცა პირველად გნახე ხამარის ეკლესიის კიბეზე ჩამომჯდარი?.. ოდესღაც, საზღვარგარეთ ყოფნის დროს, თქმულება გავიგონე ერთ ბერზე, ვერა და ვერ იჯერებდა თურმე, რომ ღმერთს ყველანი ვუყვარვართ, უღირსნიც და ცოდვილნიც... მაშინ გამოეცხადა ანგელოზი, ხელი შეახო მის თვალებს და ბერმა დაინახა ზღვის ფსკერზე ქვის ქვეშ მოფარებული თეთრი შიშველი ბრმა

ცხოველი და მანამ უყურა, ვიდრე არ შეიყვარა იგი, შეიყვარა იმიტომ, რომ ასეთი პატარა და უმწეო იყო. შენ რომ დაგინახე, როგორ იჯექი, ისეთი პატარა და ისეთი უსუსური, დიდი ქვიტკირის შენობაში, ვიფიქრე, სამართლიანია, რომ ღმერთს ამისთანები უყვარს-მეთქი, ისეთი ლამაზი იყავი, ისეთი უმანკო — ჯერ ისევ გჭირდებოდა სხვისი დახმარება და მფარველობა. და ასე მეგონა, მთელი ეკლესია შენთან ერთად ხელისგულზე ედო უფალს...

კრისტინმა წყნარი ხმით უთხრა:

— ჩვენ მძიმე ფიცითა ვართ შეკრულები... მე კი გამიგონია, რომ ერთმანეთისთვის მიცემულმა ასეთმა პირობამ კურთხეულ უნდა ჰყოს ჩვენი კავშირი ღმერთის წინაშე, სწორედ ისე, თუნდაც მშობლებს მიეცეთ ჩვენი თავი ერთმანეთისათვის!

ამაზე ბერმა ნაღვლიანად მიუგო:

— ახლა მესმის, კრისტინ, ვიღაცას უთქვამს თქვენთვის, ასეთია საეკლესიო სამართალიო, მაგრამ თვითონ იმას კი არა სცოდნია მთელი სიგრძე-სიგანით ეს სამართალი. შენ ვერ შეჰფიცავდი იმ კაცს შენი ვიქნებიო ისე, რომ არ შეგეცოდა შენი მშობლების წინაშე; ღმერთმა ისინი მოგცა მფარველად, სანამ იმ კაცს შეხვდებოდი, ან განა ის კი არ მიაყენებს მწუხარებას და არ შეარცხვენს თავის დედ-მამასა და ნათესავებს, როცა გაიგებენ, ჩვენმა შვილმა შეაცდინა იმ ადამიანის შვილი, რომელიც მთელი სიცოცხლე თავის ფარს პატიოსნად ატარებდაო, — თან დანიშნულიცა ხარ სხვაზე, განა არ მესმის, შენა გგონია, ვითომ დიდი რამ ცოდო არ ჩაგიდენია, მაგრამ აღსარების თქმას კი ვერა ბედავ და ვერ უტყდები შენს სულიერ მამას. ხოლო თუ გგონია, რომ შენ თითქოსდა, ჯვარდაწერილიცა ხარ იმ კაცზე, მაშინ თავზე რატომ არ მოიხვევ ტილოს მანდილს[1] და ისევ უთავშლოდ რად დადიხარ იმ ყმაწვილი ქალებივით, ვისთანაც ბევრი აღარაფერი გაქვს საერთო? ახლა, ალბათ, სულ სხვა რამის გარშემო ტრიალებს შენი ფიქრები, იმათი ფიქრები კი სულ სხვაა.

— მე არ ვიცი, რის გარშემო ტრიალებს იმათი ფიქრები, — გაბეზრებულმა მიუგო კრისტინმა. — მაგრამ ის კი მართალია, რომ მთელი ჩემი ზრახვანი ახლა იმ კაცს ეკუთვნის, ვისზეც ასე ვნაღვლობ. ჩემი

---

[1] მხოლოდ გაუთხოვარი ქალები დადიოდნენ თმაგაშლილები და უთავშლოდ. გათხოვილ ქალებს თავზე თაესაკრავი ან მანდილი უნდა მოეხვიათ.

დედ-მამა რომ არა, სიამოვნებით, თუნდ დღესვე მოვიხვევდი მანდილს,—იმას არ შევხედავდი, თუ საყვარელს დამიძახებენ,—ოღონდ კი მისად ჩამთვალონ!

— დარწმუნებული ხარ, რომ იმ კაცს განზრახული აქვს ისე მოგექცეს, რომ პატიოსანი ქალის სახელით შეგირთოს? — ჰკითხა ედვინმა.

მაშინ კრისტინმა ყველაფერი უამბო, რაც მათ შორის მოხდა, და ვიდრე უამბობდა, ერთხელაც არ მოჰგონებია, რომ ბევრჯერ თვითონაც შეჰპარვია ეჭვი, ვინ იცის, კეთილად კი დაბოლოვდება ყველაფერიო.

— განა არ გესმის, ძმაო ედვინ, — განაგრძო კრისტინმა, — რომ ჩვენი თავი ჩვენ ხელთ აღარ იყო. უფალო, მომიტევე, მაგრამ ახლაც რომ შემხვდეს, შენგან მიმავალს, უკან გავყვებოდი, ოღონდა მთხოვოს... მაშ, იცოდე, ახლა დავრწმუნდი, რომ სხვებიც სცოდავენ, მარტო ჩვენ როდი ვცოდავთ... ვიდრე მონასტერში წამომიყვანდნენ, ვერ წარმომედგინა, თუ არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია ისე დაიპყროს ადამიანის გული, რომ დაავიწყოს შიში ცოდვისა, მაგრამ ახლა ვიცი, ადამიანს რომ არ შეეძლოს ვნებათა ღელვით ან მრისხანებით ჩადენილ ცოდვათა გამოსყიდვა, მაშინ ზეცა დაცარიელდებოდა. შენზეც ხომ ამბობენ, ერთხელ განრისხებულს კაცისთვის დაგირტყამს...

— ეგ მართალია, — მიუგო ბერმა, — და მე მხოლოდ ღვთის მოწყალებას უნდა ვუმადლოდე, რომ კაცის მკვლელს არ მიწოდებენ. დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ეგ ამბავი მოხდა; მაშინ ჯერ ახალგაზრდა ვიყავი, და ასე მეგონა, არ შეიძლებოდა იმ უსამართლობის მოთმენა. რომელიც ეპისკოპოსს უნდა ჩაედინა ჩვენი, საწყალი ძმების მიმართ მეფე ხოკონმა, — მაშინ, ჯერ ისევ ჰერცოგი იყო, — მიწის ნაკვეთი გვაჩუქა ეკლესიის ასაშენებლად; მაგრამ ისეთი ღარიბები ვიყავით, რომ ჩვენი ხელით ვაშენებდით ჩვენს ეკლესიას — მართალია, რამდენიმე მუშაცა გვყავდა, ვინც უფრო იმიტომ გვეშველებოდა, რომ საიქიო ნეტარებას სწეოდა; ვიდრე ჩვენი მიცემული გასამრჯელოს ეშხით. შესაძლოა ჩვენ, კარდაკარ მოსიარულე ბერები, სიამაყისაგან ვიყავით დაგიჟებულები, როცა ასეთი დიდებული ეკლესიის აშენებას მოვეჭიდეთ, მაგრამ ველზე გამოშლილი ბავშვებივითა ვხარობდით, ქვასა ვთლიდით, კედლები აგვყავდა, ვიწურავდით შრომის ოფლს და თან სადიდებელ საგალობლებსა ვგალობდით. საუკუნო ხსენება ძმა რანი-

ულვს: აღმშენებელიც ის იყო და დახელოვნებული ქვის მთლელიც: ყველანაირი მეცნიერება და ყოველნაირი ხელობა, მე მგონია, თვით ღმერთისაგან ჰქონდა ნასწავლი! მაშინ მე ქვის ფილებზე წმინდანების სურათებსა ვჭრეთავდი და ის იყო, დავამთავრე წმინდა კლარას ხატი, რომელიც ანგელოზებმა ქრისტეშობის დღესასწაულის გარიჟრაჟზე მოიტანეს წმინდა ფრანცისკის ეკლესიაში, — ძალიან ლამაზად გამოვიდა ყველაფერი და ყველას ძალიან გვიხაროდა, — და იმ ურჯულოებმა კი კედლები დაგვინგრიეს, ქვები ძირს წამოვიდა და დამიმტვრია ფილები: მაშინ მე ერთ იმათგანს ჩაქუჩი დავარტყი, ვერ შევიმაგრე თავი... ჰო, ახლა შენ გეღიმება, კრისტინ, მაგრამ განა ვერა ხვდები, რომ კარგად ვერ არის შენი საქმე, რაკი სხვების ცუდი ამბების მოსმენა უფრო გეხალისება, ვიდრე კარგი ამბებისა, რაც მაგალითად გამოგადგებოდა.

— ადვილი როდია გირჩიო რამე, — უთხრა კრისტინს ედვინმა, როცა კრისტინმა წასვლა დააპირა. — შენ თუ ისე მოიქცევი, როგორც ყველაზე სწორი იქნებოდა, მაშინ მწუხარებას მიაყენებ შენს მშობლებს და თავს მოსპრი მთელ შენს ნათესაობას. მაგრამ უნდა ეცადო, სიმონისთვის მიცემული სიტყვისაგან გაგანთავისუფლონ, და მერე მოთმინებით ელოდო იმ ბედნიერებას, რომელსაც ღმერთი მოგცემს; გულში, რაც შეიძლება, გულმოდგინედ უნდა ინანიო ჩადენილი ცოდვა; ერლენდი კი კვლავ ნულარ წაგაძლევინებს სულს ცოდვის ჩასადენად, სთხოვე, შერიგებას ეცადოს შენს მშობლებთან და ღმერთთან...

— ცოდვის პატიება მე არ შემიძლია, — უთხრა ძმა ედვინმა განშორების დროს. — ლოცვით კი, რაც ძალა შემწევს, შენთვის ვილოცებ...

მან კრისტინს კეფაზე დააწყო თავისი დამჭკნარი ხელები და გამომშვიდობებისას დალოცა, უფალსა ვთხოვ არ მოგაკლოს ლოცვა-კურთხევა და სიმშვიდეო.

VI

მერე კრისტინმა ნახევარიც ვეღარ მოიგონა, რასაც ედვინი ელაპარაკა, მაგრამ დამშვიდებული და ბედსშერიგებული კი წამოვიდა ედვინისაგან.

წინათ კრისტინი ყრუ და იდუმალ შიშს ებრძოდა და ჯიუტად ცდილობდა დაერწმუნებინა თავისი თავი: არა, არც ისე მძიმედ შეცოდეო! ახლა კი გრძნობდა, რომ მამა ედვინმა აშკარად უთხრა: შენ, რა თქმა უნდა, შესცოდე, შენი შეცოდება ესა და ეს არის, რაიც უნდა აღიარო და ეცადო, ღირსეულად და მოთმინებით ზიღოო. კრისტინი ცდილობდა, მოუთმენლობა არ გამოეჩინა, როცა ერლენდი აგონდებოდა — არც მაშინ, როცა ფიქრობდა, რატომ თავის ამბავს არ მატყობინებსო, არც როცა მისი ალერსი ენატრებოდა. მხოლოდ ის იყო საჭირო, რომ მუდამ ერლენდის ერთგული შთენილიყო და მისი კეთილის მსურველი ყოფილიყო. თავის მშობლებზეც ფიქრობდა კრისტინი, თავის თავს პირობას აძლევდა, მთელი მათი სიყვარულის სამაგიეროს მივუზღავ, მოინელებენ თუ არა იმ მწუხარებას, რომელსაც დიუფრინელ ოჯახთან მომხდარი განხეთქილება მიაყენებთო და, ვგონებ ყველაზე ხშირად ძმა ედვინის ნათქვამზე ფიქრობდა, ნუგეშს სხვების შეცდომებში ნუ ეძებო; თვითონვე გრძნობდა, რომ თავმდაბალი და კეთილი გახდა და მალე დაინახა, რა ადვილი იყო მისთვის ხალხის მეგობრობის მოპოვება. მაშინ ერთი სანუგეშო აზრი მოუვიდა თავში ასეა თუ ისე, არცთუ ძალიან ძნელი ყოფილა ხალხთან შეთვისება და ეგონა, ჩემი და ერლენდის საქმე არცთუ ძალიან უკუღმართად უნდა წავიდესო.

იმ დღემდე, ვიდრე კრისტინი სიტყვას მისცემდა ერლენდს, მუდამ გულმოდგინედ ცდილობდა, მხოლოდ კარგად და სამართლიანად მოქცეულიყო, — მაგრამ ყველაფერ ამას სხვისი რჩევით აკეთებდა. ახლა კი გრძნობდა, რომ ის გასათხოვარი ყმაწვილი ქალი კი არა, უკვე დედაკაცია, და ამას უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მათ მხურვალე ფარულ ალერსს, რომელსაც ერლენდი არ აკლებდა. და მხოლოდ იმას კი არა ნიშნავდა, რომ ახლა ის, მამის მორჩილებიდან გამოსული, ერლენდის ნება-სურვილს დამორჩილდა. ედვინმა მას აჰკიდა ტვირთი და ამიერიდან პასუხი უნდა ეგო თავისა და ერლენდის ცხოვრებაზე. კრისტინიც მზად იყო ღირსეულად და ლამაზად ეტარებინა ეს ტვირთი. აი, ეს ფიქრები უტრიალებდა თავში კრისტინს საშობაო დღესასწაულებზე. თუმცა სადღესასწაულო წირვა-ლოცვის სიმშვიდისა და სიხარულის დროს გრძნობდა, რომ ის ღირსი არ იყო ამ სიმშვიდისა და სიხარულისა, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა, რომ მალე დადგებოდა ჟამი, როცა კვლავ შესძლებდა თავი ემართლებინა.

ახალი წლის მეორე დღეს, სრულიად მოულოდნელად, მონასტერში ანდრეს დარე ჩამოვიდა ცოლითა და ხუთივე შვილით. ქრისტეშობის დღესასწაულების ბოლო დღეები ქალაქელ მეგობრებთან და მოკეთეებთან უნდოდათ გაეტარებინათ, ხოლო მონასტერში შემოიარეს, რომ კრისტინი რამდენიმე დღით სტუმრად წაეყვანათ.

— ვიფიქრე, ასულო ჩემო, — უთხრა ფრუ ანგერდმა, — სასიამოვნოდ დაგრჩება უცხო ხალხის ნახვა.

დიუფრინიდან ჩამოსულები ლამაზ სახლში ცხოვრობდნენ, ეპისკოპოსის ციხე-სიმაგრის ახლოს მდებარე ერთ-ერთ ეზოში, — სახლი ბატონი ანდრესის ძმისწულს ეკუთვნოდა. დაბლა დიდი ოთახი იყო, სადაც მსახურებს ეძინათ, მაღლა კი მშვენიერ ოთახში, ნამდვილი აგურის ღუმელი იყო და სამი საწოლი იდგა; ერთ საწოლში ბატონ ანდრესს, ფრუ ანგერდსა და მათ უმცროს ვაჟიშვილს გიუდმიუნდს ეძინათ, რომელიც ჯერ ისევ ბავშვი იყო, მეორეში კრისტინსა და ფრუ ანგერდის ორ ქალს — ასტრიდსა და სიგრიდს. მესამე საწოლში კი — სიმონსა და მის უფროსს ძმა გიურდს.

ბატონ ანდრესს ყველა შვილები ლამაზები ჰყავდა, მხოლოდ სიმონი ცოტათი ჩამოუვარდებოდა სილამაზით და-ძმას, მაგრამ, ხალხისთვის რომ გეკითხათ, ისიც კარგი სახისა იყო. კრისტინს ახლა უფრო ეცა თვალში, ვიდრე ამ ერთი წლის წინათ, პირველად ჩასვლის დროს დიუფრინში, რომ მშობლებიც და და-ძმებიც განსაკუთრებით უწევდნენ ანგარიშს სიმონის ნათქვამს და ყველაფერს მის ნება-სურვილზე აკეთებდნენ. ოჯახში ყველას მხურვალედ უყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ერთხმად და უშუროდ პირველ ადგილს სიმონს უთმობდნენ.

დარეს ოჯახში ერთთავად ჟრიამული იდგა, ისინი მხიარულად ატარებდნენ დროს. ცისმარე დღე მიდიოდნენ ეკლესიაში და მიჰქონდათ შეწირულება, საღამ-საღამოობით მეგობრები იკრიბებოდნენ და ნადიმობდნენ. ახალგაზრდობა უკრავდა და თამაშობდა. ყველანი წრფელი, მეგობრული სიყვარულით ექცეოდნენ კრისტინს, და თითქოს ვერავინ ამჩნევდა, რომ ის თითქმის არა ჰყვებოდა მათ მხიარულებაში.

საღამ-საღამოობით, როცა ოთახში შუქს ჩააქრობდნენ და ყველა თავთავიანთ საწოლს მიაშურებდა, სიმონს ჩვეულებადა ჰქონდა, წამოდ-

ებოდა და იქით გადავიდოდა, სადაც ყმაწვილი ქალები იწვნენ. სიამოვნებით იყო ხოლმე ერთხანს საწოლის ნაპირზე ჩამომჯდარი, ლაპარაკში მეტ წილად დებს მიმართავდა, მაგრამ ღამის სიბნელეში კრისტინს ჩუმად ადებდა ხელს მკერდზე და დიდხანს ედო ასე—კრისტინს ოფლს ასხამდა, ისეთი უსიამოვნო, მძიმე გრძნობა იპყრობდა.

კრისტინს ახლა, როცა უკვე ყველაფერი იგემა, კარგად ესმოდა, რომ ბევრ რამეს სიმონი თავისი სიამაყითა და მორცხვობით ვერ ეუბნებოდა, რაკი ატყობდა კრისტინს არ უნდოდა. ხოლო კრისტინს უცნაურად გულსაცა სტკენდა და აბრაზებდა კიდეც სიმონი, რადგან ეჩვენებოდა, თითქოს სიმონს უნდოდა იმაზე უკეთესი გამოჩენილიყო, ვინც კრისტინის სხეულს დაეუფლა, თუმც სიმონს აზრადაც არ მოსდიოდა მეტოქის არსებობა.

ერთ საღამოს კი, როცა ყველანი საცეკვაოდ წავიდნენ სტუმრად, ასტრიდი და სიგრიდი ღამე თავიანთ ამხანაგთან დარჩნენ, ხოლო როცა შინ გვიან დაბრუნებული ოჯახის დანარჩენი წევრები დასაძინებლად მილაგ-მოლაგდნენ, სიმონი კრისტინთან მივიდა, მის საწოლზე ავიდა და ბეწვის საბნის ზემოდან დაწვა.

კრისტინმა ნიკაპამდე აიწია საბანი და ხელები მაგრად მიიკრა მკერდზე. პატარა ხნის მერე სიმონმა ხელი გასწია, კრისტინის მკერდზე უნდოდა დაედო. კრისტინს აბრეშუმით ნაქარგი სიმონის პერანგის სახელო გაეხახუნა და მიხვდა, რომ სიმონს არაფერი გაეხადა, ყველაფერი ისევ ზედ ეცვა.

— კრისტინ, დღეც მერიდები და ბნელაშიც მორცხვობ, ხელი ხომ მაინც შეგიძლია მომცე? — უთხრა სიმონმა და ჩაეცინა. — კრისტინმა თითის წვერები გაუწოდა. — როგორა გგონია, ცოტა რამ გვაქვს საალაპარაკო, რაკი დრო მოგვეცა პატარა ხნით მარტონი ვიყოთ? — კრისტინმა გაიფიქრა, ახლა ყველაფერი უნდა ვუამბოო...

— დიახ, — ეს კი უთხრა და ხმა ვეღარ ამოიღო.

— არ შეიძლება, საბნის ქვეშ შემოვწვე? — კვლავ სთხოვა სიმონმა. — ოთახში ისე ცივა... — და სიმონი ბეწვის საბნისა და შალის ზეწრის შუა შეწვა, რომელშიაც კრისტინი გაეხვია. სიმონმა კრისტინის სასთუმალს მოხვია ხელი, მაგრამ ისე, რომ კრისტინს არ მიჰკარებია.

ერთხანს ასე იწვნენ.

— შენი ტრფობა არც ისე ადვილი ყოფილა, — უთხრა სიმონმა და

გაწბილებულს გაეცინა. — პირობას გაძლევ, კოცნითაც კი არ გაკოცებ, ოუკი არ გესიამოვნება, მაგრამ ლაპარაკით ხომ მაინც შეგიძლია მელაპარაკო?

კრისტინმა ენის წვერი მოისვა ტუჩებზე, მაგრამ ხმა მაინც არ ამოუღია.

— ისე მეჩვენება, თითქოს გაკასკალებს, — დაიწყო ისევ სიმონმა. — ეგ იმის ნიშანი ხომ არ არის, რომ არ გესიამოვნები, კრისტინ?

კრისტინი გრძნობდა, სიმონს ტყუილს ვერ ეტყოდა, ამიტომ მხოლოდ „არაო“ უთხრა, და ისევ გაჩუმდა.

სიმონი პატარა ხანს კიდევ იწვა, კვლავ სცადა ლაპარაკის გაბმა, მაგრამ ბოლოს ისევ გაიცინა და უთხრა:

— მე ისე გატყობ, ამ საღამოს მარტო ეს უნდა ვიკმარო და ეს უნდა მისაროდეს, რომ არ გეზიზღები! ძალიან ამაყი კი ყოფილხარ!.. მაგრამ ერთი მაინც უნდა მაკოცო, მაშინ წავალ და აღარ შეგაწუხებ...

კრისტინმა აკოცა. სიმონი წამოდგა და ფეხები იატაკზე ჩაუშვა, კრისტინმა იფიქრა: „ახლა ვეტყვი, რაც სათქმელი მაქვსო!“—მაგრამ სიმონი უკვე თავის საწოლთან იყო და კრისტინი შარიშურზე მიხვდა, რომ ტანისამოსს იხდიდა.

მეორე დღეს ფრუ ანგერდი კრისტინს ისე ალერსიანად აღარ ექცეოდა, როგორც სხვა დროს. ყმაწვილი ქალი მიხვდა ალბათ, წუხელის ცოტა რამეს მოჰკრა ყური და გადაწყვიტა, საცოლე ჩემს შვილს ისე არ მოექცა, როგორც ეკუთვნოდაო.

საღამოთი სიმონმა ცხენის გაცვლაზე ჩამოაგდო ლაპარაკი. ერთ ჩემს ამხანაგს ცხენი უნდა გავუცვალოო. კრისტინს ჰკითხა, ხომ არ გინდა, შენც გამოიარო და ცხენი ნახოო. კრისტინმა თანხმობა უთხრა და ისინი ერთად წავიდნენ ქალაქში.

მშვენიერი კრიალა ამინდი იდგა. ღამე ცოტა ეთოვა. ახლა კი თან მზე კაშკაშებდა, თან ისე ყინავდა, რომ ფეხქვეშ თოვლს ხრაშახრუში გაჰქონდა. კრისტინს ძალიან ესიამოვნა ყინვაში გავლა. ამიტომ, როცა სიმონმა ცხენი გამოიყვანა ჭუჩაში, რომელიც უნდა გაეცვალა, კრისტინმა საკმაოდ გაცხოველებული ლაპარაკი დაუწყო თავის საქმროს ცხენზე; ხშირად იყო ხოლმე შამასთან ერთად და ცხენებისა

ცოტა რამ ესმოდა. ლამაზი ცხენი იყო — მოთაგვისფრო-ნაცრისფერი ულაყი. ზურგზე შავი ზოლი გასდევდა, ფაფარი შეეერცხლილი ჰქონდა, კოხტა და მკვირცხლი ცხენი იყო, მაგრამ ტანად პატარა და არცთუ ძალიან ღონიერი ჩანდა.

— გაუჭირდება დიდხანს ტარება თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი კაცისა, — გადაწყვიტა კრისტინმა.

— მართალი ხარ, გაუჭირდება, მაგრამ მაგისთვის არ მინდა ეგ ცხენი. — მიუგო სიმონმა.

მან ცხენი სახლებს უკან მოცარიელებულ, უშენ ადგილზე გაიყვანა, ხან არბენინა, ხან ნაბიჯით ატარა, თვითონაც შეჯდა და მოინდომა, კრისტინიც შემჯდარიყო და გაევლ-გამოეელო ამ ცხენით. ამიტომ კარგა დიდხანს დარჩნენ თოვლით დაფარულ გაქათქათებულ მინდორზე.

ბოლოს, როცა კრისტინი თავისი ხელით პურს აჭმევდა ცხენს, ცხენის ზურგზე დაყუდებულმა სიმონმა უცებ უთხრა:

— კრისტინ, ასე მგონია, შენ და დედაჩემი ვერა რიგდებით.

— არც მიფიქრია, რითიმე მეწყენინებინა დედაშენისავის, — უთხრა კრისტინმა! — მაგრამ, არ ვიცი, რაზე ველაპარაკო ფრუ ანგერდს!

— მე ისე გატყობ, — უთხრა სიმონმა, — ჩემთანაც არაფერი გაქვს სალაპარაკო! ვიდრე დრო არ მოვა, მე შენ არ გეკიდები, მაგრამ ხომ არ შეიძლება, ასე ვიყოთ ერთმანეთთან,—ვერა და ვერ მოვახერხე შენთან ლაპარაკი!

— დიდი მოლაპარაკე თავის დღეში არა ვყოფილვარ, — მიუგო კრისტინმა, — ეგ მე თვითონაც ვიცი და, დარწმუნებული ვარ, დიდად არ იდარდებ, თუ ჩვენი საქმე ჩაიშლება!

— შენ მშვენივრად იცი ჩემი აზრი მაგაზე.—მიუგო სიმონმა და კრისტინს შეხედა.

კრისტინს სახეზე ალმური ავარდა, გული ეტკინა, რომ მაინც ესიამოვნებოდა სიმონის ტრფობა. პატარა ხნის მერე სიმონმა უთხრა:

— ეგეგ, გიურდის ვაჟიშვილი არნე ვერ დაივიწყე, კრისტინ? — კრისტინი გაშტერებული თვალებით უყურებდა სიმონს; სიმონი კი ისევ ლმობიერად და ალერსიანად განაგრძობდა: — მე მაგის საყვედურს არ გეტყვი — და-ძმასავით ერთად დაიზარდეთ და, დიდი ხანი არ არის წლისთავი შესრულდა. მაგრამ მერწმუნე, შენთვის სიკეთე მინდა...

კრისტინს მიტკლისფერი დაედო. ხმა აღარც ერთს არ ამოუღია, ისე

ვამოიარეს ბინდში გახვეული ქალაქი. ქუჩის ბოლოს მომწვანო-ცისფერ ცაზე ნამგალა მთვარე ჩანდა, მთვარის რქებშუა ვარსკვლავი ბდღვრიალებდა.

„ერთი წელიწადი გავიდა",— ფიქრობდა კრისტინი და ისიც ვერ გაიხსენა, უკანასკნელად როდის მოაგონდა არნე. შიშმა აიტანა — ეგებ, ქარაფშუტა, გარყვნილი და ზნედაცემული ქალი ვარ, — ამ ერთი წლის წინათ, კუბოში ჩასვენებულ არნეს დავცქეროდი და მეგონა, ჩემს სიცოცხლეში აღარაფერი გამახარებდა...—კრისტინმა ყრუდ დაიგმინა თავზარდაცემულმა. — რა მალე მცოდნია გულის შეცვლა და რა წარმავალი ყოფილა ყველაფერი ამქვეყნიურიო. ერლენდ, ერლენდ! ნუთუ დამივიწყებ? და მაინც იმან უფრო შეაკრთო, ვაითუ ოდესმე მე თვითონ დავივიწყო ერლენდიო.

ბატონი ანდრესი დიდ საშობაო დღესასწაულზე მიიწვიეს მეფის სასახლეში და მთელი ოჯახით იქ წავიდა. კრისტინმა ნახა სასახლის ფუფუნება და მორთულობა; იმ დარბაზშიაც შევიდნენ, სადაც მეფე ხოკონი და მეფე ეირიკის[1] ქვრივი ფრუ ისაბელა ბრიუსი სამეფო ტახტზე ისხდნენ. ბატონი ანდრესი წინ წარსდგა და მეფეს მიესალმა, მისი შვილები და კრისტინი კი ცოტა უკან შედგნენ. კრისტინს აგონდებოდა ყველაფერი, რაც ფრუ ოსხილდისაგანა ჰქონდა გაგონილი. მოაგონდა, მეფე ხომ ერლენდის ახლო ნათესავია,—მათი ბებიები მამის მხრიდან დები იყვნენ,—თვითონ კრისტინი კი ერლენდმა შეაცდინა, ერლენდის საყვარელია და რა პირით მოვიდა აქ ამისთანა კარგ და ღირსეულ ხალხთან ერთად, როგორც რაინდ ანდრესის შვილები არიან.

ამ ფიქრებში გართულმა უცებ ერლენდი დაინახა, — ის დედოფალ ისაბელასთან მივიდა, თავი დახარა მკერდზე ხელები მიიწყო და ისე უსმენდა დედოფალს; ერლენდი შავი აბრეშუმის ტანისამოსში იყო გამოწყობილი, გილდიების დღესასწაულზეც ეს ეცვა. კრისტინი ბატონ ანდრესის ქალებს ამოეფარა.

---

[1] მეფე ეირიკს II (1280 — 1290), მეფე ხოკონ V ძმას და წინა მოადგილეს, ცოლად ჰყავდა იზაბელა (ნორვეგიულად ისაბელა), შოტლანდიის მეფე რობერტ ბრიუსის ასული.

როცა ფრუ ანგერდმა, კარგა ხნის მერე, თავისი სამი ქალი დედოფალთან მიიყვანა, კრისტინმა თვალი ვეღარსად მოჰკრა ერლენდს; თუმცა მაღლა ახედვას ვერცა ბედავდა და თავისთავს ეკითხებოდა, ნეტა ერლენდი აქვე დარბაზში ხომ არ არის სადმეო; თითქოს გრძნობდა კიდეც მის მზერას, მაგრამ, ასე ეგონა, მარტო ერლენდი კი არა, ყველანი მე მიყურებენ და დამცინიან, რომ მატყუარა ვარ, გასათხოვარი ქალივით გაშლილ თმაზე ოქროს თალა მიკეთიაო!

ერლენდი არ იყო იმ დარბაზში, სადაც ახალგაზრდობას უმასპინძლდებოდნენ, ახლა კი მაგიდები აალაგეს და ახალგაზრდობა ცეკვავდა. ამ საღამოს კრისტინს და სიმონს ხელიხელ ჩაკიდებულებს უნდა ეცეკვათ.

ერთ-ერთი გრძელი კედლის გასწვრივ იატაკზე დამაგრებულ მაგიდაზე მეფის მსახურებს მთელი ღამე მოჰქონდათ და მოჰქონდათ თაფლუჭი და ღვინო. როცა სიმონმა სუფრასთან მიიყვანა კრისტინი და მის საღღეგრძელოსა სვამდა, კრისტინმა ერლენდი დაინახა, აქვე, გვერდით იდგა, სიმონის უკან და კრისტინს უყურებდა, კრისტინს სელი აუკანკალდა, როცა თასი ჩამოართვა სიმონს და ბაგისაკენ წაიღო. ერლენდი რაღაცას ცხარედ ეჩურჩულებოდა მაღალ და ღონიერ, ხანში შესულ ლამაზ კაცს, იგი უკმაყოფილოდ აქნევდა თავს და, ეტყობა, ძალიან ჯავრობდა. დალიეს თუ არა, სიმონმა კვლავ წაიყვანა კრისტინი საცეკვაოდ.

კრისტინმა არ იცოდა, რამდენ ხანს გაჭიანურდა ეს ცეკვა, აღარა და აღარ გათავდა სიმღერა და ყოველი წუთი ტანჯვად ექცა ისე მოუსვენრად იყო და ისეთი ნაღველი შემოაწვა. როგორც იყო, ცეკვა დამთავრდა და სიმონმა კვლავ სასმელებით სავსე სუფრისაკენ წაიყვანა კრისტინი.

ერთი მეგობარი მივიდა სიმონთან და ლაპარაკი გაუბა, მერე გვერდზე გაიყვანა ჯგუფად მდგარი ყმაწვილი კაცებისაკენ და ერლენდიც გაჩნდა კრისტინის წინ.

— იმდენი რამ მაქვს სათქმელი, — ჩურჩულით უთხრა მან, — მაგრამ არ ვიცი, საიდან დავიწყო... უფალო, იესო ქრისტე, რა მოგვიდა? — საჩქაროდ ჰკითხა, რაკი დაინახა, კრისტინს მიტკლისფერი დაედო.

კრისტინი ბურუსში ხედავდა ერლენდს, თითქოს წყლის ფარდა ჩამოეშვა მათ შუა. ერლენდმა მაგიდიდან თასი აიღო, მოსვა და კრისტინს გაუწოდა. კრისტინს ძალიან მძიმე მოეჩვენა თასი, თითქოს მკლავი მხარში ჰქონდა ამოვარდნილი, თასი ბაგესთან ვერ მიიტანა.

— ეგრეა მაშ, შენ დანიშნულთან სვამ და ჩემთან დალევა კი არ გინდა? — ხმადაბლა უთხრა ერლენდმა; კრისტინს პასუხი არ მიუცია, თასი ხელიდან გაუვარდა და თვითონაც პირდაპირ ერლენდს ჩაუვარდა მკლავებში.

გონს რომ მოვიდა, ძელსკამზე იწვა; თავი ვიღაც უცნობი ყმაწვილი ქალის მუხლებზე ედო. ქამარი მოეფონებინათ, დიდი გულისქინძისთავი რითაც თავშალი ჰქონდა შებნეული მკერდზე, ისიც გაეხსნათ. ვიღაც ხელისგულებზე ხელებს უტყაპუნებდა. პირისახე კი წყლით ჰქონდა დასველებული.

კრისტინმა წამოიწია და დაჯდა. გარშემო შემოხვეულ ხალხში თვალი მოჰკრა ერლენდის სახეს — გაფითრებულსა და გატანჯულს. თვითონ კრისტინს ისე ჰქონდა მოდუნებული მთელი სხეული, ძვალს ვეღარსად გრძნობდა, თავი კი თითქო ერთიორად გასიებოდა და გამოსცარიელებოდა; მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში უღვიოდა ერთადერთი მტკიცე და სასოწარკვეთილებით აღსავსე აზრი — ერლენდს უნდა მოლაპარაკებოდა.

და კრისტინმა მის გვერდით მდგომ სიმონ დარეს უთხრა:

— ძალიან დამცხა, აქ იმდენი სანთლები ანთია... არც ამდენი ღვინის დალევასა ვარ მიჩვეული...

— ახლა უკეთა ხარ? — ჰკითხა სიმონმა. — ყველა შეგვაშინე... იქნებ სახლში გინდა წაგიყვანო?

— სჯობია, მოვიცადოთ, ვიდრე შენი მშობლები დააპირებენ წასვლას, — მშვიდად უთხრა კრისტინმა. — მე ვეღარ ვიცეკვებ. — აქ დაჯექი, — და ხელისგული დაარტყა გვერდით დადებულ ბალიშს, მეორე ხელი კი ერლენდს გაუწოდა.

— აქ დაბრძანდით, ერლენდ, ნიკულაუსის ვაჟიშვილო, მოსალმება ვერც კი მოვასწარი! დიდი ხანი არ არის, ინგებიერგი მეუბნებოდა, ერლენდს სულ დავავიწყდიო.

კრისტინი ხედავდა, ერლენდს ბევრად უფრო უჭირდა თავის დამორჩილება, ვიდრე მას, და ძლივს შეიმაგრა ბაგეზე მომდგარი ნაზი ღიმილი.

— მადლობა მოახსენეთ ყმაწვილ ქალს, რომ ჯერ კიდევ ვახსოვარ, — მიუგო ენის ბორძიკით ერლენდმა. — კიდევაც მეშინოდა, ვაითუ დავიწყდი-მეთქი.

კრისტინმა ცოტა დააყოვნა. არ იცოდა, ისეთი რა ეთქვა, რაც ემგვანებოდა თავქარიანი ინგებიერგის დანაბარებს, თანაც მისი ნათქვამი, როგორც საჭირო იყო, ისე გაეგო ერლენდს. ამასობაში გულისწყრომაც მოაწვა, რომ ეს სამი თვე ასე უმწეოდ გრძნობდა თავს, და, უთხრა:

— ძვირფასო ერლენდ, რამ გაფიქრებინათ, რომ ჩვენ, ქალები, დავიწყებთ ადამიანს, ვინც ისე ლამაზად დაიცვა ჩვენი პატიოსნება და სახელი?..

კრისტინმა დაინახა, ამ სიტყვებზე ისე გახდა ერლენდი, თითქოს სილა გააწნეს, და მყისვე ინანა ნათქვამი, — ამ დროს სიმონმაც ჰკითხა, რაზე ლაპარაკობო და კრისტინმა უამბო რაც გადახდათ იმასა და ინგებიერგს ტყეში ეიკაბერგზე. კრისტინმა შეატყო, რომ სიმონს მაინც-დამაინც არ ეჭაშნიკა ეს ამბავი. მაშინ სიმონსა სთხოვა ფრუ ანგერდთან წადი და ჰკითხე, მალე ხომ არ აპირებენ შინ წასვლას; ვისიამოვნე. მაგრამ მაინც ძალიან დავიღალეო.

როცა სიმონი წავიდა, კრისტინმა შეხედა ერლენდს.

— პირდაპირ საოცარია, — ხმადაბლა უთხრა ერლენდმა, — რა მოხერხებული და მარჯვე ხარ, — თავის დღეში მაგას არ ვიფიქრებდი შენზე!

— მშვენივრად იცი, ტყუილის თქმაც უნდა მესწავლა და დასამალიც დამემალა, — კუშტად მიუგო კრისტინმა.

ერლენდი ისევ გადაფითრებული იყო და მძიმედ სუნთქავდა.

— მაშ, საქმე სხვანაირად არის? — ჩურჩულით ჰკითხა მან. — აკი დამპირდი შენს მეგობრებს მივმართავ, თუ ეგ მოხდებაო! ღმერთია მოწამე, დღე არ იყო, შენზე არ მეფიქრა, ყველაზე ძალიან რისაც მეშინოდა ის ხომ არ მოხდა-მეთქი...

— მე ვიცი, ყველაზე ძალიან რისაც გეშინოდა, — მოკლედ მოუჭრა კრისტინმა. — გული დაიარხეინე მაგის შიში ნუ გაქვს: მე მგონი, ყველაზე უარესი ის არის, რომ ერთი მოკითხვა არ გამომიგზავნე... ან, ნუთუ არ გესმის, რომ იმ მოლოზნებში უცხო ქვეყნიდან შემოფრენილი ჩიტივითა ვარ?.. — კრისტინი გაჩუმდა, ყელში მოწოლილი ცრემლები ახრჩობდა.

— ახლა მაგიტომ ხომ არ ატარებ დროს დიუფრინელ ოჯახთან ერთად? — ჰკითხა ერლენდმა და ამან ისე ატკინა გული კრისტინს, პასუხის გაცემა ვეღარ მოახერხა.

კრისტინმა კარებში შემოსული ფრუ ანგერდი და სიმონი დაინახა. ერლენდს კრისტინთან სულ ახლოს, თავის მუხლზე ედო ხელი, მაგრამ კრისტინმა მაინც ვერ გაბედა მიჰკარებოდა...

— უნდა მოგელაპარაკო, — ცხარედ უთხრა ერლენდმა, — ერთმანეთს ხეირიანად ვერაფერი ვუთხარით!

— ნათლისღებას წირვაზე მოდი, წმიდა მარიამის ეკლესიაში, — ფათიფუთით წასჩურჩულა ფეხზე წამომდგარმა კრისტინმა და სიმონისა და მისი დედისკენ წავიდა.

შინისკენ რომ მიდიოდნენ, ფრუ ანგერდი ყურადღებითა და ალერსით ეჭცეოდა კრისტინს და თავად დააწვინა ლოგინში. სიმონს კი მხოლოდ მეორე დღეს ელაპარაკა კრისტინი, და სიმონმა უსაყვედურა:

— როგორ მოხდა, რომ შენ მოკითხვა გადაეცი ამ ერლენდს ფილიპიუსის ასული ინგებიერგისაგან? მაგათ საქმეში ნუ ჩაერევი, თუ მათ შორის ფარულად არის რამე!

—მათ შორის ალბათ არაფერია, — უთხრა კრისტინმა. — ინგებიერგი ლიკლიკა გოგოა და სხვა არაფერი!

— გარდა ამისა, მე მგონი, — უთხრა სიმონმა, — უფრო წინდახედულად უნდა მოქცეულიყავი, იმ კაჭკაჭს არ უნდა აჰყოლოდი და ტყესა და შარა გზებზე იმასთან ერთად არ უნდა გეხეტიალა.

მაგრამ კრისტინი ცხარედ არწმუნებდა, ჩვენი ბრალი არ იყო, გზა რომ დაგვებნაო. ამის მერე სიმონს აღარაფერი უთქვამს.

მეორე დღეს დარეს ოჯახმა ჯერ კრისტინი წაიყვანა უკან, მონასტერში, და მერე თვითონაც გასწიეს შინისაკენ.

ერლენდი მთელი ერთი კვირა ცისმარე დღე მიდიოდა საღამოს ლოცვაზე მონასტრის ეკლესიაში, მაგრამ კრისტინმა ერთხელაც ვერ მოახერხა გამოლაპარაკება. ასე ეგონა, ხარიხაზე მიბმულ თვალზე ჩაჩჩამოფხატულ შავარდენსა ვგევარო. გარდა ამისა, გულს უსერავდა უკანასკნელი შეხვედრის დროს სასახლეში ერთმანეთისათვის ნათქვამი ყოველი სიტყვა, — ერთმანეთს სულ სხვანაირად უნდა შევხვედროდი-

თო ტყუილად იმშვიდებდა თავს, ისე მოულოდნელად მოხდა ყველაფერი, რომ არც ერთს არ გვესმოდა რას ვამბობდითო.

ერთ საღამოს, უკვე დაბინდებული იყო, მისაღებ ოთახში ერთი ლამაზი ქალი შემოვიდა, მოქალაქის ცოლსა ჰგავდა, და ითხოვა ნება მომეცით ლავრანსის ასული კრისტინი ვინახულოო. თან დაატანა, ტანისამოსით მოვაჭრე ვაჭრის ცოლი ვარ, ჩემი ქმარი ეს არის ახლა დაბრუნდა დანიიდან და ლამაზი ლაბადები ჩამოიტანა; ოსმიუნდს უნდა ერთი ასეთი ლამაზი ლაბადა აჩუქოს თავის ძმისწულს, ამიტომ ლავრანსის ასული უნდა წამომყვეს და ამოირჩიოს, რომელი ლაბადაც უფრო მოეწონებაო.

კრისტინს ნება დართეს გაჰყოლოდა ამ ქალს. მაგრამ კრისტინმა იფიქრა, სად ბიძაჩემი და სად ასეთი ძვირფასი საჩუქრის ჩუქებაო, თან იმის წასაყვანად უცნობი ქალის გამოგზავნაც ეუცხოვა. ქალი ჯერ ხმას არ იღებდა და კრისტინს კითხვებზე კანტიკუნტად აძლევდა პასუხს. მაგრამ როცა ქალაქში გავიდნენ, არც აცია, არც აცხელა და უთხრა:

— ისეთი მშვენიერი რამა ხარ, ვერ მოგატყუებ, ყველაფერ სიმართლეს გეტყვი, და მერე შენ იცი, როგორც გენებოს, ისე მოიქეცი. ბიძაშენს კი არ გამოვუგზავნივარ, ერთმა კაცმა გამომგზავნა — ეგებ მიხვდე, ვინ არის და თუ ვერ მიხვდი, ნუ გამომყვები! მე ქმარი არა მყავს, და რითიმე ხომ უნდა ვირჩინო თავი და ჩემი მახლობლებიც შევინახო. სასტუმრო და ლუდხანა მაქვს და ამით ვირჩენ თავს; მაინცადამაინც არც ცოდვის ჩადენისა მეშინია, არც ქალაქის ასასებისა; მაგრამ ჩემს ჭერქვეშ შენს თავს ვერავის მოვატყუებინებ.

კრისტინი შედგა და გაწითლდა. უცნაურად ეტკინა გული და შერცხვა კიდეც ერლენდის მაგივრად. ქალმა უთხრა:

— უკან მიგაცილებ მონასტერში, მაგრამ ცოტაოდენი გასამრჯელო უნდა გაიმეტო, რაინდი კი დიდ ჯილდოს დამპირდა; მაგრამ ოდესღაც მეც ლამაზი ვიყავი და მეც მომატყუეს. ამიტომ ჩემთვისაც ილოცე მწუხრის ლოცვის დროს — მე ბრიუნხილდ მუხას მეძახიან.

კრისტინმა თითიდან ბეჭედი წაიძრო და ქალს მისცა.

— შენ პატიოსნად მოიქეცი ბრიუნხილდ, ხოლო თუ ის კაცი სწორედ ჩემი ნათესავი ნიკულაუსის ძე ერლენდია და არა სხვა ვინმე, რისა უნდა მეშინოდეს: იმას უნდა ბიძაჩემთან შევარიგო. შენ ნურაფრისა გეშინია, მადლობელი ვარ, რომ გამაფრთხილე.

ბრიუნსხილდ მუხამ თავი მიაბრუნა, რომ პირზე მომდგარი ღიმილი არ დაენახვებინა კრისტინისთვის.

მან შუკებზე ატარა კრისტინი, კლემენტის ეკლესიას უკან ჩაუარეს და ჩრდილოეთით მდინარისაკენ დაეშვნენ. ნაპირზე ერთმანეთის მოშორებით რამდენიმე სახლი იდგა. ორღობეში შევიდნენ და ერლენდიც იმათთან გაჩნდა. ერლენდმა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ლაბადა მოიხადა, კრისტინს შემოახვია და კაპიუშონი პირისახეზე ჩამოუწია.

— რას იტყვი, ხომ კარგად მოვასერხე? — ხმადაბლა ფათიფუთით ჰკითხა მან. — ალბათ ფიქრობ, ცუდად მოიქცაო, მაგრამ უეჭველად უნდა მოგლაპარაკებოდი.

— მე მგონი, ბევრს არაფერს გვარგია იმის ფიქრი, კარგად ვიქცევით თუ ცუდად, — მიუგო კრისტინმა.

— მაგას ნუ იტყვი, — ვედრებით უთხრა ერლენდმა. ყველაფერი ჩემი ბრალია... კრისტინ, უშენობას ვნაღლობდი ცისმარე დღეცა და ღამეც, — ზედ სახესთან წასჩურჩულა.

წამიერად თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს და კრისტინს ტანში ერუანტელმა დაუარა. ბოროტმოქმედად ჩათვალა თავი, როგორ შეძეძლო მისდამი სიყვარულის გარდა სხვა რამეზე მეფიქრა, როცა ასეთი თვალებით მიყურებსო.

ბრიუნსხილდ მუხა დაწინაურდა. ეზოში რომ შევიდნენ, ერლენდმა ჰკითხა კრისტინს:

— თუ გინდა, საცხოვრებელ ოთახში შევიდეთ, ან თუ არა და, ზევით ვისაუბროთ სასტუმრო ოთახში.

— როგორც შენ გინდა, — მიუგო კრისტინმა.

— ზევით ეციება, — ჩუმად უთხრა ერლენდმა. — ლოგინში თუ შევწვებით... — კრისტინმა თავი დაუქნია მხოლოდ.

ერლენდმა კარს ურდული გაუყარა და კრისტინი გულში ჩაიკრა. ლერწამივით გადაზნიქა, თავბრუ დაახვია, ლამის დაახრჩო კოცნით, მოუთმენლად მოგლიჯა ორივე ლაბადა. ძირს დაყარა, მერე მონასტრის თეთრ ტანსაცმელში ჩაცმული ქალი ხელში აიტაცა, მაღლა ასწია და თავისი ლოგინისაკენ წაიღო. ერლენდის შმაგი, გიჟური ალერსითა და საკუთარი უეცარი ლტოლვით შემკრთალი კრისტინი ერლენდს მოეხვია და მის მხარზე ჩამალა სახე.

სასტუმრო ოთახში ისე ციოდა, მაგიდაზე დადგმულ სანთლის შუქ-

ზე სუნთქვის დროს პირიდან გამოსული ორთქლი ჩანდა. მაგრამ ლოგინზე ბლომად ეწყო საბნები და ბეწვეული; ზემოდან დიდი დათვის ტყავი იყო გადაფარებული, ამ ტყავის ქვეშ შეწვნენ და თავზედაც წაიფარეს. კრისტინმა არ იცოდა, რამდენ ხანს ჰყავდა ერლენდს გულში ჩაკრული, როცა ბოლოს ხმა ამოიღო:

— ახლა უნდა მოვილაპარაკოთ, კრისტინ, რაც მოსალაპარაკებელი გვაქვს, — მე ვერ გავბედავ და დიდხანს ვერ დაგაყოვნებ აქ!

— მე კი მთელ ღამეს გავბედავ აქ დარჩენას, თუკი შენ მოინდომებ,—ჩურჩულით უთხრა პასუხად კრისტინმა.

ერლენდი ლოყით ლოყაზე მიეკრო კრისტინს.

— მაშინ ხომ შენი მტერი ვიქნებოდი! ისედაც ჩვენი საქმე უკეთ მართად წავიდა, მაგრამ იმას კი აღარ ვიზამ, ჩემი მიზეზით ხალხის სალაპარაკო გაგხადო.

კრისტინს პასუხი არ გაუცია. მისი სიტყვები მწარედ მოხვდა გულში: რა პირით ამბობდა ამას, როცა ბრიუნხილდ მუხას სახლში თვითონ მოიყვანა! თავადაც არა ჰქონდა წარმოდგენილი კრისტინს, საიდან უნდა მიმხვდარიყო, მაგრამ კი მიხვდა, რომ ამ სახლში ნამუსიან ქალს არ მიესვლებოდა. ერლენდი კი, როგორც ეტყობა, ელოდა, რომ ყველაფერი სწორედ ისე მოხდებოდა, როგორც მოხდა, იმიტომ რომ საწოლის ფარდის უკან უკვე მომზადებული ჰქონდა ტოლჩით თიფლუში.

— ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე, — კვლავ დაიწყო ერლენდმა, — თუ სხვა გზა არ იქნება, შვეციაში გაგიტაცებ. ფრუ ინგებიერგმა[1] კარგად მიმიღო ამ შემოდგომაზე და ისიც მოიგონა, ნათესავები ვართო. მაგრამ მე ჩადენილი ცოდვებისათვის ვისჯები. — შენ ხომ იცი, ერთხელაცა ვარ გაქცეული სამშობლოდან და არ მინდა, რომ შენ იმ ქალს შეგადარონ.

— თან წამიყვანე ხიუსაბიუში, — ჩუმად უთხრა კრისტინმა. — მომკლა უშენობამ. აღარც მონასტერში დარჩენა ძალმიძს სხვა ყმაწვილ ქალებთან! ჩემი მშობლები და შენი ნათესავებიც, ალბათ იმდენ

---

[1] მხედველობაში ჰყავს ჰერცოგინია ინგებიერგი, ნორვეგიის მეფე ხოკონ V ასული და დედა შვეციის რეგირებლოვანი მეფე მაგნუსისა. რომელიც ისის იყო შვედელმა დიდებულებმა ტახტიდან ჩამოგდებული მეფე ბირგერის მაგივრად აირჩიეს.

გულკეთილობას და გონივრულობას გამოიჩენენ, რომ ნებას მოგვცემენ შეეერთდეთ და თვითონაც შეგვირიგდებიან...

ერლენდმა მაგრად ჩაიკრა გულში კრისტინი და დაიგმინა.

— კრისტინ, მე არ შემიძლია თან წაგიყვანო ხიუსაბიუში!

— რა გიშლის ხელს? — ჩუმად ჰკითხა კრისტინმა.

— ამ შემოდგომაზე ელინა ჩამოვიდა ხიუსაბიუში, — უთხრა პატარა ხნის მერე ერლენდმა. — ვერაფრით ვერ დავიყოლიე და ვერ გამოვისტუმრე იქიდან, — ცხარედ განაგრძო ერლენდმა. — სხვა გზა არ არის, ძალით თუ გამოვიტან სახლიდან, მარხილში ჩავსვამ და წავიყვან სადმე! მაგრამ, ვგონებ, ამას ვერ ვიზამ — ჩვენი ორივე შვილიც თან ჩამოიყვანა...

კრისტინს ეგონა, თითქოს ნიადაგი ეცლებოდა და უფსკრულისკენ მიექანებოდა და შიშისაგან შემკრთალი ხმით უთხრა:

— მე კი მეგონა, უკვე გაშორებული იყავი იმასთან...

— მეც ეგრე მეგონა, — მოკლედ მიუგო ერლენდმა, — მაგრამ ესტერდალში, სადაც ელინა ცხოვრობდა, ალბათ, ყური მოჰკრა, ერლენდი ცოლის შერთვას აპირებსო. ხომ ნახე ჩემთან ერთად რომ კაცი იყო შობის დღესასწაულებზე — ჩემი მამობილი ბორდია, ხესტნესელი პეტერის ვაჟიშვილი, შვეციიდან დაბრუნებული, იმასთან წავედი, ჩემს ნათესავ ალფას ვაჟიშვილ ხემინგთანაც ვიყავი სალტვიკში; ორივეს ვესაუბრე, ვუთხარი ცოლის შერთვას ვაპირებ-მეთქი, და დახმარება ვთხოვე. ელინამ ალბათ ამას მოჰკრა ყური...

ელინას ვუთხარი, რაც გინდა მომთხოვე შენთვის და შენი შვილებისთვის, მაგრამ იმის ქმარი სიგიურდი... ამბობენ, ამ ზამთარს ვერ გაატანსო... ასე ჰგონია მაშინ ხელს აღარაფერი შეგვიშლის ერთად კიცხოვროთ...

მე, ხაფტურსა და ულვს ერთად გვეძინა თავლაში, ელინას კი ზევით ოთახში, ჩემს ლოგინში გამოჭიმულს. წარმოდგენილი მაქვს, რა გულიანად იცინეს ჩემს ჩუმად ჩემმა მსახურებმა....

კრისტინს ენა ჩაუვარდა. პატარა ხნის მერე ერლენდმა კვლავ დაიწყო:

— როცა ნიშნობას გადავიხდით, ბოლოს და ბოლოს მაშინ მაინც ხომ უნდა მიხვდეს, რომ იმის საქმე წასულია... რომ იმას ძველებურად აღარა ვმონებ...

მაგრამ ჩემი შვილების ამბავი მაწუხებს. მთელი წელიწადია არ

მინახავს ისინი, ლამაზი ბავშვები არიან... მე კი ბევრი არაფრის გაკეთებ. შემიძლია მათი მომავლის უზრუნველსაყოფად. უშველიდა კი რამეს ჩემს შვილებს, ვთქვათ, და კიდევაც რომ შემერთო იმათი დედა.

კრისტინს ნელ-ნელა ჩამოუგორდა ლოყებზე ცრემლები. მაშინ ერლენდმა უთხრა:

— აკი გითხარი, განა არ იცი, რასაც ველაპარაკე ჩემს ნათესავებს? იმათ ძალიან ესიამოვნათ, რომ ცოლის შერთვას ვაპირებ. მაშინ ვუთხარი, კრისტინი მინდა შევირთო, სხვა არვის შემრთველი არა ვარ-მეთქი.

— ეგ ალბათ არ ეჭაშნიკათ? — ჰკითხა ბოლოს კრისტინმა უიმედოდ.

— ნუთუ არ გესმის, — დაღვრემილმა მიუგო ერლენდმა, — იმათ მხოლოდ ერთი რამ შეეძლოთ ეთქვათ ჩემთვის. არ შეგვიძლია და არც გვინდა წამოგყვეთ კრისტინის მამასთან, ვიდრე კრისტინისა და სიმონის ნიშნობა არ ჩაიშლებაო! იმან უფრო გააუარესა ჩვენი მდგომარეობა, რომ შენ საშობაო დღესასწაულები სიმონის ოჯახთან ერთად გაატარე.

კრისტინმა სულ გადაიწყვიტა იმედი და ჩუმად ტიროდა. წინათაც გრძნობდა, რომ მის სიყვარულში რაღაც იყო დასაძრახისი და უპატიოსნო, ახლა კი დაინახა, რომ თვითონ ედო ბრალი ამაში.

პატარა ხნის მერე, ლოგინიდან რომ ადგა კრისტინი, სიცივისაგან ძაგძაგებდა და ერლენდმა ორივე ლაბადაში გაახვია. ქუჩაში უკვე კარგა ჩამობნელებულიყო, და ერლენდმა წმიდა კლემენტის სასაფლაომდე მიაცილა კრისტინი, დანარჩენ გზაზე კი ნონესეტერამდე ბრიუნხილდი გაჰყვა.

VII

ერთი კვირის მერე ბრიუნხილდ მუხა მოვიდა და შეატყობინა, ლაბადა მზად არისო: კრისტინი გაჰყვა ბრიუნხილდს და იმ დღევანდელივით ისევ ერლენდთან დაჰყო სასტუმრო ოთახში.

როცა ერთმანეთს ეთხოვებოდნენ, ერლენდმა კრისტინს ლაბადა აჩუქა.

— ახლა კი გაქვს, რა აჩვენო მონასტერში, — უთხრა მან.

წითელი აბრეშუმით ამოქარგული ცისფერი ხავერდის ლაბადა იყო,

ერლენდმა ჰკითხა კრისტინს, იცანი თუ არა, შენი კაბის ფერებია. იმ დღეს ტყეში რომ გეცვაო? კრისტინს თვითონვე გაუკვირდა, როგორ გაახარა ერლენდის სიტყვებმა, — ისე ეგონა, ერლენდს ამაზე ძლიერ ჯერ არასოდეს გაუხარებივარო.

მაგრამ ერთმანეთთან შესახვედრად ახლა ეს ხერხი აღარ გამოდგებოდა, ახალი ხერხის პოვნა კი ადვილი არ იყო. ერლენდი დადიოდა მწუხრის ლოცვაზე მონასტრის ეკლესიაში; წირვა-ლოცვის შემდეგ კი კრისტინს ზოგჯერ დააბარებდნენ ხოლმე რაიმეს მონასტერთან მცხოვრებ ერისკაცებთან: და მაშინ ახერხებდნენ ზამთრის საღამოს სიბნელეში ტყრუშულთან გამოსულებს მალულად ერთი-ორი სიტყვა ეთქვათ ერთმანეთისათვის.

მაშინ კრისტინმა მოიფიქრა და დაი პოტენციას ნებართვა სთხოვა მისულიყო ხოლმე და ენახა მოხუცი, მუშაობისაგან ქანცგაწყვეტილი ქალები, ვისაც მონასტერი სამოწყალოდ ინახავდა; ისინი აქვე მიხდორში ჩადგმულ სახლში ცხოვრობდნენ. სახლის უკან ფარდული იყო, სადაც ქალები ძროხას ინახავდნენ; კრისტინმა თავს იდო, როცა იმათთან შევიდოდა, ძროხაც მოეწველა. ჰოდა, სწორედ ამ ფარდულში შეჰყავდა ერლენდი.

ოდნავ გაოცდა კრისტინი, როცა შეამჩნია, მართალია, ძალიან უხაროდა ერლენდს მასთან ფარდულში მისვლა, მაგრამ მაინც გულსტკენდა, რომ კრისტინს შეეძლო ამისთანა ხრიკის მოგონება.

— შენდა საკეთილოდ არ გამიცანი, — უთხრა ერთ საღამოს ერლენდმა კრისტინს. — ახლა ისწავლე ამისთანა ხრიკების მოგონება.

— ვინ, ვინ და შენ კი არ უნდა მისაყვედურებდე მაგას! — გულნატკენმა მიუგო კრისტინმა.

— მე შენ კი არ გისაყვედურებ, — საჩქაროდ მიუგო შეწუხებულმა ერლენდმა.

—მე თვითონაც არ მეგონა, — განაგრძო კრისტინმა, — რომ ასე გამიადვილდებოდა ტყუილის თქმა. მაგრამ, გაჭირვება ყველაფერს გაგაბედვინებს.

—ეგ მუდამ ეგრე არ არის,—უთხრა ერლენდმა იმავე კილოთი.— გახსოვს, ამ ზამთარს როგორ გაგიჭირდა შენი დანიშნულისთვის თქმა, ვერ გამოგყვებიო?

კრისტინს ხმა აღარ ამოუღია ამის პასუხად, მხოლოდ სახეზე მოუსვა ხელი ერლენდს.

არასოდეს არა გრძნობდა, ისე ძლიერ სიყვარულს ერლენდისადმი, როგორც მაშინ, როცა ასეთ რამეს ეტყოდა, აწყენინებდა და თავის ნათქვამით აკვირვებდა. კრისტინი სიხარულით თვითონ დაიბრალებდა ყველაფერს, თუკი რამ სამარცხვინო და საძრახისი ჩაადენინა ორივეს ამ სიყვარულმა. გამბედაობა რომ ჰყოფნოდა და სიმონს, როგორც საჭირო იყო, ისე მოლაპარაკებოდა, დიდი ხანია, კეთილად დაბოლოვდებოდა მათი საქმე. ერლენდმა ყველაფერი იღონა, რაც კი ძალუძდა, როცა ნათესავებს ელაპარაკა თავისი ცოლის შერთვაზე. ამას უმეორებდა კრისტინი თავის თავს, როცა მონასტერში გაჭიანურებული დღეები სევდასა ჰგვრიდა. ერლენდს უნდოდა, ყველაფერი რაც შეიძლება უკეთესად და კანონიერად მოეგვარებინა. ნაზი, ალერსიანი ღიმილი უკრთოდა კრისტინს სახეზე იმის გახსენებაზე, თუ როგორ უხატავდა ერლენდი მათი ქორწილის სურათს: აბრეშუმსა და ხავერდში მორთული ცხენით წახვალ ეკლესიაში. საქორწილო სარეცელისაკენ რომ წაგიყვანენ, მაღალი გვირგვინი გედგმება ჩამოშლილ თმაზე. „შენ მშვენიერ, მშვენიერ თმაზე!“ — ეუბნებოდა ერლენდი და თითებშუა აცურებდა მის ნაწნავებს.

— მაგრამ შენთვის ის ეშხი აღარ ექნება, რა ეშხიც ექნებოდა, წინასწარ რომ შენი არ გავმხდარიყავი!—ჩაფიქრებულმა უთხრა ერთხელ კრისტინმა, როცა ერლენდი ამას ეუბნებოდა!

ერლენდმა გაშმაგებით ჩაიკრა გულში.

— როგორა გგონია, წარიშლება ჩემი მეხსიერებიდან სიხარული პირველი შობის დღესასწაულისა? დამავიწყდება, რა ჟრუანტელმა დამიარა სუსხიანი ზამთრის მერე სამშობლოს მთებზე ჭალა-ტყე რომ ამწვანდა? რა დამავიწყებს, როცა პირველად ჩემი გახდი ან მერე. ყოველი შენთან შეხვედრა შობის დღესასწაულია, მწვანე ჭალა-ტყეში ფრინველზე ნადირობით განცდილი ნეტარებაა!..

კრისტინი ბედნიერებით სავსე მიეკრა ერლენდს. განა წამიერად მაინც დაიჯერა, ყველაფერი სწორედ ისე მოხდება, როგორც ასე მტკიცედ სჯეროდა ერლენდს — კრისტინი ფიქრობდა, ალბათ ორივესთვის მალე დადგება განკითხვის დღე. ხომ არ შეიძლებოდა, ყველაფერს მომავალშიაც ასე მშვიდობით ჩაევლო... მაგრამ ეს არცთუ ძალიან აშინებდა — ბევრად უფრო მეტად აშინებდა ის, ვაითუ ერლენდს იმაზე ადრე მოუხდეს ჩრდილოეთში წასვლა, ვიდრე ყველაფერი გამოაშკარავდება, კვლავ განშორება მელის და მარტო დარ-

ჩენაო. ახლა ერლენდი აკერსნესიეზე[1] ცხოვრობდა კოშკში; ბორდის ვაჟიშვილს, მიუნანს ეპირა ეს კოშკი, ვიდრე ქალაქის მოურავი ტიუნსბერგში[2] იყო წასული, სადაც გადადებული ავადმყოფი იწვა მეფე, მაგრამ ადრე იქნებოდა თუ გვიან, ერლენდი ხომ უნდა წასულიყო თავის სახლში და თავისი მამულებისათვის მიეხედა! კრისტინი თავისთავსაც არ უტყდებოდა, რომ ერლენდის წასვლა ხიუსაბიუში აშინებდა, იმიტომ რომ იქ მას საყვარელი ელოდა; არც იმაში უტყდებოდა, რომ იმისი ისე არ ეშინოდა ვაითუ გაეგოთ, რა ცოდვა ჩაიდინეს იმან და ერლენდმა, ვიდრე იმისი, რომ მარტო იმას ეგო პასუხი და სიმონისა და მამასთვის ეამბნა, რაც გულზე აწვა.

და კრისტინი თითქმის ნატრობდა სასჯელი დასტეხოდა თავს და რაც უფრო ადრე დაატყდებოდა, მით უფრო კარგი. რადგან იმისი ფიქრები ახლა მხოლოდ ერლენდის გარშემო ტრიალებდა; დღისით უიმისობა ავსებდა ნაღველით, ღამე კი სიზმარში ხედავდა; სინანულს არა გრძნობდა, და თავს ინუგეშებდა, რომ მალე დადგებოდა დღე, როცა ძვირად დაუსვამდნენ ყველაფერს, რაც მოახელეს და ქურდულად გამოსტაცეს ცხოვრებას იმან და ერლენდმა. საღამოობით, ხანმოკლე დროს, როცა ერლენდს ცოტა ხნით ხვდებოდა მათხოვარი მოხუცი დედაკაცების გომურში, ისე მხურვალედ ეხვეოდა და ჰკოცნიდა, თითქოს საკუთარი სული მიჰყიდა ეშმაკს, ოღონდ ერლენდისა ყოფილიყო.

დრო კი გადიოდა, ერლენდს, თითქოს ისე ემართებოდა ხელი, როგორც იმედოვნებდა. კრისტინს არასოდეს არ შეუმჩნევია, თუ ვისმეს რამე გუმანი ჰქონდა აღებული რა იყო მათ შორის. მართალია, ინგებიერგმა გაიგო, რომ კრისტინი და ერლენდი ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ კრისტინი მიხვდა, ინგებიერგს აზრადაც არ მოუვიდოდა, თუ უბრალო თავის შექცევის გარდა სხვა რამ შეიძლებოდა ყოფილიყო მათ შორის. კარგი ოჯახის ქალს რომ გაებედა და მშობლების მიერ შეკრული ნიშნობის პირობა დაერღვია, ინგებიერგიც კი

---

[1] აკერსნესი — კონცხია ოსლოს პორტში, სადაც ქალაქის ციხე-სიმაგრეა.

[2] ტიუნსბერგი — ახლა ტენსბერგი, ქალაქი ოსლოფიორდიდან გამოსასვლელში, მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია.

ვერ წარმოიდგენდა, — ამას აშკარად ხედავდა კრისტინი. და კვლავ წუთიერი შიში იტანდა — ეგებ მართლაც გაუგონარ რამეს ვჩაედივარო! და კვლავ ნატრობდა, ყველაფერი მალე გამომქღავნებულიყო და ბოლო მოღებოდა მის ტანჯვას...

დადგა აღდგომა. კრისტინმა ვერც კი გაიგო, სად გაიპარა ზამთარი; უერლენდოდ გატარებული ყოველი დღე, ცუდი წელიწადივით ჭიანურდებოდა, გაჭიანურებული ნაღვლიანი დღეები ჯაჭვის რგოლივით ებმოდნენ ერთმანეთს და დაუსრულებლად მისდევდა კვირა კვირას; ახლა კი დადგა გაზაფხული, აღდგომა მოვიდა და კრისტინს ეჩვენებოდა, თითქოს სულ ახლახან ვიყავით შობის დღესასწაულებზე სასახლეში და ერლენდსა სთხოვა, დღესასწაულებში ნუ ეცდები შემხვდეო. ყველაფერს შემისრულებს, რაც უნდა ვთხოვოო, — ფიქრობდა კრისტინი. დიდმარხვაში რომ ათი მცნების წინააღმდეგ სცოდავდნენ, კრისტინის ბრალიც იყო და ერლენდისაც. მაგრამ კრისტინს უნდოდა აღდგომის დღესასწაული წმინდად შეენახათ. თუმცა ძალიან უმძიმდა ერლენდის უნახაობა. ვინ იცის, ერლენდი მალე წასულიყო — თუმცა ერლენდს ამაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ კრისტინმა იცოდა, რომ მეფე სიკვდილის პირას იყო, და ფიქრობდა, ეგებ ამან როგორმე შეცვალოს ერლენდის მდგომარეობაო.

ასეთი იყო კრისტინის გარემოება, როცა აღდგომის მერე ერთ დღეს უთხრეს, ქვევით, მისაღებ ოთახში, შენს დანიშნულთან ჩადიო.

გადმოდგა თუ არა სიმონმა კრისტინისაკენ ნაბიჯი და ხელი გაუწოდა, კრისტინი მაშინვე მიხედა, რაღაც ამბავიაო, — სულ სხვა სახეზე იყო სიმონი, წვრილი ნაცრისფერი თვალები ჩვეულებრივად არ უცინოდა. კრისტინმა თავისდაუნებურად შენიშნა, რომ სიმონს სიდინჯე უფრო უხდებოდა. თვალს ეამებოდა ისეთი შესახედავი იყო თავის სამგზავრო ტანისამოსში — ლურჯი, ტანზე შემოტკეცილი გრძელი ზედა ჩასაცმელი ეცვა, და ყავისფერი სამხრე კაპიუშონით, რომელიც ხელად გადაიგდო; ისედაც ხვეული თმა ნოტიო ჰაერზე უფრო დახვეოდა.

დასხდნენ და ცოტა ხანს ილაპარაკეს. სიმონს მარხვა ფორმაში გაეტარებინა. თითქმის ყოველ ცისმარე დღე მივდიოდი იორიუნდგორდში, იქ მშვიდობაა, ულეხილი ჯანმრთელად არის, რაც იმის

ავადმყოფობას შეეფერება; რამბორგი მოიყვანეს და ახლა შინა ცხოვრობს; ლამაზი და სიცოცხლით სავსე გოგოაო.

— ამ დღეებში წელიწადი სრულდება, შენ გინდოდა ერთი წელიწადი გაგეტარებინა ნონესეტერში, — უთხრა სიმონმა. — თქვენები უკვე შეუდგნენ მზადებას ჩვენი ნიშნობისათვის.

კრისტინს ხმა არ ამოუღია; მაშინ სიმონმა განაგრძო:

— ლავრანსს ვუთხარი, ოსლოში წავალ და ნიშნობაზე კრისტინს მოველაპარაკები-მეთქი.

კრისტინმა თვალები დახარა და ჩუმად ჩაილაპარაკა:

— სიმონ ძალიან მინდოდა მაგაზე მარტო მოგველაპარაკა.

— თავადაც მესმის, რომ ეგ საჭიროა,—მიუგო სიმონმა.—ეს იყო უნდა მეთხოვა — ჰკითხე ფრუ გრუას, ნებას ხომ არ მოგვცემს პატარა ხანს ბაღში გავიაროთ...

კრისტინი საჩქაროდ წამოდგა და უჩუმრად გავიდა ოთახიდან. დიდი ხანი არ გასულა, შემობრუნდა და თან მოლოზანი შემოჰყვა გასაღებით ხელში.

მისაღები ოთახიდან პატარა კარი გადიოდა ბაღში, სადაც სამკურნალო ბალახები ეთესათ; ბაღი მონასტრის დასავლეთით მდგარი შენობების უკან იყო. მოლოზანმა კარი გააღო და კრისტინმა და სიმონმა ისეთ ხშირ ნისლში ამოყვეს თავი, რომ ხეებშუა ორ ნაბიჯზე ვერაფერსა ხედავდნენ; იქვე მდგარი ხეები ნახშირივით შავი ჩანდა; ნამი მძიეებივით ეკიდა ყოველ ტოტსა და როკზე. სველ მიწაზე აქა-იქ ახალი დადებული თოვლი დნებოდა, ბუჩქის ძირებში ზოგ-ზოგი თეთრი და ყვითელი ბოლქოვანი მცენარეები უკვე აყვავებულიყო, ხოლო იის პაწია ბუჩქებიდან საამო სუნი სცემდა.

სიმონმა იქვე, ძელსკამთან მიიყვანა კრისტინი. ოდნავ წინ წახრილი ღაჯდა და იდაყვებით მუხლებს დაეყრდო. მერე ძლივს შესამჩნევი უცნაური ღიმილით კრისტინს მიაპყრო თვალები.

— მე მგონი, თითქმის ვიცი რაზედაც უნდა მელაპარაკო, — უთხრა მან. — არის სხვა ვინმე ვინც ჩემზე ძალიან მოგწონს?

— სწორედ ევრეა, — ჩუმად მიუგო კრისტინმა.

— მე მგონი, სახელიც ვიცი მისი, — თქვა სიმონმა უფრო კუშტად. — ხიუსაბიუელი ნიკულაუსის ვაჟიშვილი, ერლენდია, არა?

პატარა ხნის მერე ოდნავ გასაგონი ხმით ჰკითხა კრისტინმა:

— მაშ, ჩანს, შენამდისაც მოვიდა ეგ ამბავი?

სიმონი იჯდა და ხელში ხანჯალს ათამაშებდა.

— უცნაურია ამისთანა რამის მოსმენა საკუთარი საცოლისაგან! — თქვა მან. — ორივესათვის კარგი ნიშანია, კრისტინ?

კრისტინმა ძლივს მოითქვა სული.

— შენთვისვე არ იქნება კარგი, სიმონ, ახლა რომ ცოლად წამიყვანო!

— ჰხედავს ყოვლისშემძლე ღმერთი, რომ მგონი ეგრეა! — თქვა სიმონმა, ანდრესის ვაჟიშვილმა.

— მაშ, იმედს ვიქონიებ, — გაუბედავად და მორიდებით უთხრა კრისტინმა, — მხარს დაგიჭერ, რომ ბატონმა ანდრესმა და მამაჩემმა ჩვენი შეუღლების პირობა დაარღვიონ?

— მაგისი იმედი გაქვს? — ჰკითხა სიმონმა. — ღმერთმა არ იცის, გესმის კია რასა ლაპარაკობ!

— დიახ, მესმის, — მიუგო კრისტინმა. — ვიცი, კანონი ამბობს, არავის არა აქვს უფლება, აიძულოს ქალი თავისი სურვილის გარეშე გათხოვდეს: თუ არა და, შეუძლია ტინგში იჩივლოსო...

— მგონი ტინგში კი არა, ეპისკოპოსთან უნდა იჩივლო, — მწარე ღიმილით უთხრა სიმონმა. — იცი, რას გეტყვი, მე არ დამჭირებია იმის შესწავლა, რას ამბობს კანონი ამგვარ შემთხვევებში. და არც შენა ფიქრობ, რომ დაგჭირდება იქ მიმართო, სადაც ჯერ არს! მშვენივრად იცი, მე არ მოგთხოვ, რაკი სიტყვა მომეცი უთუოდ გამომყვე, თუკი ეგ გიმძიმს, მაგრამ, რატომ არ გესმის — ორი წელიწადია, რაც ჩვენი შეუღლების ამბავი გადაწყდა და თუ უარზე იყავი, ერთი სიტყვაც არ გითქვამს. დღემდე, როცა ყველაფერი მომზადებულია ნიშნობისა და ქორწილისათვის! ერთხელ კი დაფიქრებულხარ, რას იფიქრებს ხალხი, ახლა რომ გამოაცხადო ეგ საქმე ჩავშალოთო, კრისტინ?

— მაგრამ თვითონ შენც ხომ აღარ წამიყვან, — უთხრა კრისტინმა.

— არა, წაგიყვან! — მოკლედ მისცა პასუხი სიმონმა. — თუ სხვანაირადა გგონია, გადაიფიქრე...

— ნიკულაუსის ვაჟიშვილმა ერლენდმა და მე ჩვენი ქრისტიანული სარწმუნოებით ფიცი მივეცით ერთმანეთს, — აკანკალებულმა უთხრა კრისტინმა, — რომ თუ ერთმანეთზე ვერ ვიქორწინებთ, არასოდეს არც ის შეირთავს სხვას ცოლად და არც მე გავთხოვდები სხვაზე!..

სიმონი კარგა ხანს სდუმდა. ბოლოს, როგორც იყო, ამოიღო ხმა.

— მაშინ არ მესმის, კრისტინ, რისი თქმა გინდოდა, როცა მეუბ-

ნებოდი, ერლენდს არც გადავუბირებივარ და არც არაფერსა მპირდებოდაო, — სწორედ იმან გადაგიბირა და მშობლების ნება-სურვილზე უარი გათქმევინა. დაფიქრებულხარ, რა ქმარს იშოვი თუ ისეთ კაცზე გათხოვდი, ვინც ჯერ სხვისი ცოლი დაისვა საყვარლად და ახლა სხვისი საცოლის შერთვას აპირებს?..

კრისტინმა ცრემლები ჩაყლაპა და ჩახრინწული ხმით წაიჩურჩულა:

— გული გინდა მატკინო, მაგას იმიტომ მეუბნები.

— შენა გგონია, გული მინდა გატკინო? — ნელი ხმით ჰკითხა სიმონმა.

— ეს არ მოხდებოდა, შენ რომ... — გაუბედავად დაიწყო კრისტინმა. — შენთვისაც ხომ არ უკითხავთ, სიმონ, მამაშენმა და მამაჩემმა მოილაპარაკეს ერთმანეთთან. სულ სხვანაირად იქნებოდა, შენ რომ ამოგერჩიე მე!..

სიმონმა ისეთი ძალით ჩაჰკრა ხანჯალი ძელსკამს, რომ შიგ ჩაარჭო. პატარა ხნის მერე ხანჯალი სკამიდან ამოაძრო და ქარქაშში დააპირა ჩაგება, მაგრამ ვერ მოახერხა, ხანჯალს წვერი მოღუნვოდა. მაშინ სიმონმა ისევ ხელში დაუწყო თამაში ხანჯალს. ერთი ხელიდან მეორეში გადაჰქონდა.

— შენ თვითონ იცი, — უთხრა სიმონმა აკანკალებული, ნელი ხმით. — იცი, რომ ახლა იცრუე, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდაო, შენ რომ... მშვენივრად იცი, ბევრჯერ... რაზე მინდოდა ხოლმე შენთან ლაპარაკი... როცა ასე შორს გეჭირა თავი ჩემთან. და ვაჟკაცი არ ვიქნებოდი, მაინც მეთქვა... იმის შემდეგ... გახურებულ მაშითაც რომ დამდგომოდნენ ერთ სიტყვას ვერ ამომგლეჯდნენ...

ჯერ მეგონა, ის მკვდარი ბიჭი იდგა ჩვენ შუა, და გადავწყვიტე, ჯერჯერობით თავს მივანებებ-მეთქი... შენ მე არ მიცნობდი... ასე მეგონა, ცოდვა იქნებოდა, ამეფორიაქებინე... როცა ის ჯერ გაციებულიც არ იყო. ახლა კი, ვხედავ, ამდენი დრო არც გინდოდა იმის დასავიწყებლად... ახლა... ახლა კი... ახლა...

— ჰო, — მშვიდად ჩაილაპარაკა კრისტინმა. — მე მესმის, სიმონ. ახლა იმის იმედიც დავკარგე, რომ ამის შემდეგაც ისევ ჩემი მეგობარი იქნები.

— მეგობარი!.. — სიმონს უცნაურად გაეცინა. — ვითომ ახლა ასე გჭირდება ჩემი მეგობრობა?

კრისტინი გაწითლდა.

— შენ ვაქკაცი ხარ, — ნელი ხმით უთხრა კრისტინმა. — მომწიფებული ვაქკაცი — შენ თვითონ შეგიძლია გადაწყვიტო, შენი ცოლის შერთვის ამბავი.

სიმონმა გამჭრიახი თვალით თავიდან ფეხებამდე ახედ-დახედა კრისტინს, მერე ისევ წელანდელივით გაეცინა.

— მესმის! შენ გინდა მე ვთქვა, ვითომ მე მინდა... პირობის ჩაშლა მე დავიბრალო?.. — თუ ნამდვილად და მტკიცედ გსურს, და თუ შენ გაბედე და გადაწყვიტე ბოლომდის მიიყვანო საქმე, ისე მოვიქცევი, როგორც შენ გინდა, — დინჯად უთხრა სიმონმა. — შინაც ასე ვიტყვი, რომ მე აღარ მინდა შენი შერთვა, მე ჩავშალე და თქვენებსაც ამასვე ვეტყვი, ერთი ადამიანის გარდა. მამაშენს შენ სიმართლე უნდა უთხრა, როგორც არის საქმე. თუ გინდა, მე დამაბარე და მე გადავცემ და რამდენადაც შეეძლებ, შეგიმსუბუქებ, მაგრამ ბიერგიულფის ვაჟიშვილმა, ლავრანსმა უნდა იცოდეს, რომ მე თუკი რამ მითქვამს მისთვის, არასოდეს არ მიფიქრია, ერთი სიტყვა მაინც გამეტეხა.

კრისტინი ორივე ხელით მაგრად ჩაეჭიდა სკამს: ამ სიტყვების გაგონებამ უფრო მეტად ჩაუკლა გული, ვიდრე სიმონ დარეს სხვა ბევრმა ნათქვამმა. გაფითრებულმა და შეშინებულმა კრისტინმა ახედა სიმონს.

სიმონი წამოდგა.

— დროა, დავბრუნდეთ. — უთხრა მან. — მგონი ცოტა შეგვცივდა კიდეც, მოლოზანიც გველოდება გასაღებით... ერთ კვირას მოგცემ, კიდევ დაფიქრდი, ცოტაოდენი საქმეები მაქვს ქალაქში. წასვლის წინ მოვალ და მოგელაპარაკები, არა მგონია, მანამდე დიდად მოგენატროს ჩემი ნახვა.

VIII

ასეა თუ ისე, ეს გადასატანი გადავიტანე, თავისთვის თქვა კრისტინმა. საშინლად კი იყო დაღლილი, მოწყვეტილი, მოთეთქვილი და ენატრებოდა ერლენდს ჩაეკრა გულში.

კრისტინს თითქმის მთელი ღამე ძილი არ მიჰკარებია და ისეთი რამ გადაწყვიტა, რაზეც უწინ გაფიქრებასაც ვერ გაბედავდა — ვინმე

გაეგზავნა ერლენდთან. ადვილი არ იყო იმისთანა კაცის პოვნა, ვინც ამას იკისრებდა. თეთროსანი დები თავის დღეში არ გადიოდნენ მონასტრის გარეთ, თან კრისტინს არავინ ეგულებოდა მათ შორის, ვინც ამისთანა დავალებას იკისრებდა. კაცები, ისინი სხვადასხვა სამუშაოს აკეთებდნენ მონასტრის მამულში, ხანში შესული ხალხი იყო და იშვიათად მიდიოდნენ იმ სახლებთან, სადაც მოლოზნები ცხოვრობდნენ. მაშინ თუ მივიდოდნენ, როცა თვითონ იღუმენიას უნდა მოლაპარაკებოდნენ. ულავი თუ... ულავი ბაღში მომუშავე მოზარდი ბიჭი იყო; ფრუ გრუას შვილობილი შეარქვეს მას აქეთ, რაც ერთ მშვენიერ დილას ეკლესიის კიბეზე ეპოვათ ახალი დაბადებული. ამბობდნენ, ულავის დედა ერთ-ერთი დაი თეთროსანია; და ვიდრე მოლოზნად აღიკვეცებოდა, ჯერ ექვსი თვე დილეგში უნდა მჯდარიყო—როგორც ამბობდნენ, უტიფარი ურჩობისათვის, თუმცა სწორედ იმ დროისთვის, როცა ბავშვი იპოვეს,—მან თეთროსანი დის ტანსაცმელი ჩაიცვა და მას შემდეგ საძროხეში მუშაობს. კრისტინს ბოლო თვეებში ხშირად უფიქრია დაი ინგრიდის ბედზე, მაგრამ შემთხვევა არ მიეცა ელაპარაკა მასთან. ულავს როგორა ნდობოდა — ის ჯერ ისევ ბავშვი იყო; ფრუ გრუა და სხვა მოლოზნები, როცა ბავშვს შეხვდებოდნენ, მუდამ ელაპარაკებოდნენ და ეხუმრებოდნენ. მაგრამ კრისტინმა იფიქრა, ახლა ამის დრო არ არის სიფრთხილეზე ვიფიქროთო, და ორიოდე დღის მერე, რაკი ულავი დილით ქალაქში აპირებდა წასვლას, კრისტინმა დაავალა, აკერსნესში გადაეცი, ერლენდმა რამე იღონოს, რომ მნახოსო.

იმავ საღამოს მონასტრის ალაყაფის კარს ერლენდის უახლოესი მსახური ულვი მოადგა. თავისი თავი ოსმიუნდის მსახურად გაასაღა და მოახსენა ბატონმა დამაბარა გთხოვოთ, მისი ძმისწული პატარა ხნით ქალაქში გაუშვათ, რადგან ნონესეტერში ჩამოსასვლელად თვითონ არა სცალიაო. კრისტინმა იფიქრა, ასე საქმე ცუდად დაბოლოვდებაო, მაგრამ როცა დაი პოტენციამ ჰკითხა, იცნობ თუ არა ამ კაცსო, კრისტინმა უპასუხა, ვიცნობო. და ის და ულვი ბრიუნხილდ მუხას სახლისაკენ გაემართნენ.

ერლენდი კრისტინს სასტუმრო ოთახში ელოდა, შეშფოთებული და აღელვებული -- კრისტინი მაშინვე მიხვდა, ერლენდს მოსვენებას არ აძლევდა იმის ფიქრი, რისიც ეტყობა ყველაზე მეტად ეშინოდა.

კრისტინს მუდამ გულსა სტკენდა, ასე სიგიჟემდე რად ეშინია

ერლენდს ჩემი დაორსულებისა, როცა უერთმანეთოდ ვერც ერთი ვერა ვძლებთ და ვერც ცდუნებას ვუმკლავდებითო. ამ საღამოს, უამისოდაც აფორიაქებული იყო კრისტინი და გაჯავრებულმა ცხარედ მიაყარა ერლენდს ყველაფერი. ერლენდი ჭარხალივით გაწითლდა და თავი მხარზე დაადო კრისტინს.

— შენ მართალი ხარ, — უთხრა მან, — უნდა ვეცადო აღარ მოგეკარო, და ასე უგუნურად სასწორზე არ დავდო შენი ბედნიერება. თუკი შენ გინდა...

კრისტინი კისერზე შემოეჭნა და გაეცინა, მაგრამ ერლენდმა მაგრად მოხვია წელზე ხელები, ძალით დასვა ძელსკამზე და თვითონ მაგიდის მეორე მხრიდან დაჯდა. კრისტინმა მაგიდის ზემოდან გაუწოდა ხელი და ერლენდმა მგზნებარედ აკოცა მის ხელისგულს.

— მე შენზე მეტი განვიცადე, — მხურვალედ უთხრა ერლენდმა, — ნეტავ გაგაგებინა, კრისტინ, რამდენსა ნიშნავს, მე ასე მგონია, ორივესთვის, რომ სრული პატივით დაგვწერონ ჯვარი!

— მაშინ ჩემთვის ხელი არ უნდა დაგეკარებინა.

ერლენდმა მის ხელში დამალა სახე.

— ჰო, ნეტავ, ღვთის მადლით ეგრე ყოფილიყო და ეს ბოროტება არ მომეყენებინა შენთვის. — მიუგო მან.

— ეგ არც ჩემთვის იყო სასურველი და არც შენთვის, — უთხრა კრისტინმა თამამი სიცილით. — ბოლოს და ბოლოს, ნეტავი, ჩემიანები მაპატიებდნენ, ჩემიანებსა და ღმერთს შევურიგდებოდე და იმას აღარ ვიდარდებ, თუ დედაკაცის თავსაკრავით დავიწერ ჯვარს! ოღონდ მუდამ შენთან ერთად ვიყო მაშინ-მეთქი, ხშირად მიფიქრია, აღარც შერიგებას ვინაღვლებდი...

— შენ უნდა შემოიტანო პატიოსნება და სახელი მოუპოვო ჩემს ოჯახს. — უთხრა ერლენდმა, — მე კი არ უნდა ჩაგითრიო ჩემს უპატიოსნებაში!

კრისტინმა თავი გააქნია. მერე უთხრა:

— მაშინ, ალბათ, გაგეხარდება იმის გაგება, რომ სიმონს ეფლატარაკე, ის არ მაიძულებს შევასრულო პირობა, რომელიც მანამდე დაიდო, სანამ შენ გაგიცნობდი!

ერლენდი კინაღამ გაგიჟდა, ისე გაუხარდა, კრისტინს სთხოვა, ყველაფერი ეამბნა. კრისტინმა უამბო, მაგრამ იმაზე კი ხმა არ ამოუღია, თუ რა შეურაცხმყოფელი სიტყვები თქვა სიმონმა ერლენდზე, თუმცა

ის კი უთხრა, სიმონს არ უნდა ლავრანსის წინაშე დანაშაული თავის თავზე აიღოსო.

— ეგ გასაგებია,—მოკლედ უთხრა ერლენდმა.—იმათ, სიმონსა და მამაშენს ძალიან მოსწონთ ერთმანეთი! ჰო, მე ალბათ ისე არ ვეყვარები ლავრანსს.

კრისტინმა ეს სიტყვები იმის ნიშნად მიიღო, რომ ერლენდს, ასე თუ ისე, მაინც ესმის, რომ კრისტინს წინ კიდევ გრძელი და მძიმე გზა უდევს, ვიდრე მშვიდობიან დასასრულს მიაღწევს. რისთვისაც დიდი მადლობელი იყო ერლენდისა. მაგრამ ერლენდი აღარ დაბრუნებია ამას, უსაზღვროდ გახარებული და ბედნიერი იყო და ეუბნებოდა, როგორ მეშინოდა, ვაითუ სიმონთან მოსალაპარაკებლად გამბედაობა არ ეყოს-მეთქი.

— როგორც გატყობ, მაინც მოგწონს სიმონი, — უთხრა ერლენდმა.

— განა მაგას შენთვის რამე მნიშვნელობა აქვს, — ჰკითხა კრისტინმა, — ყველაფერი იმის შემდეგ, რაც მე და შენს შორის მოხდა, თუ მაინც ვიტყვი, სიმონი სამართლიანი და კარგი ადამიანია-მეთქი?

— მე რომ არ გადამყოლოდი, — უთხრა ერლენდმა,—ის ბევრ ბედნიერ დღეებს გამოგატარებდა, კრისტინ. რა გაცინებს?

— ოჰ! მომაგონდა, რა თქვა ერთხელ ფრუ ოსხილდმა, მაშინ ჯერ ბავშვი ვიყავი. ის ამბობდა, ბედნიერად ცხოვრობს წინდახედული ადამიანი, ხოლო ჭეშმარიტი ბედნიერება იმასა ხვდება წილად, ვინც გაბედავს, არაფერს გაუწიოს ანგარიში და სასწორზე დადოს თავისი კეთილდღეობა ამ ბედნიერების მოსაპოვებლად.

— ღმერთმა დალოცოს დეიდა ოსხილდი, ნუთუ იმან გასწავლა ეგ? — უთხრა ერლენდმა და კრისტინი მუხლზე დაისვა. — რა უცნაურია, არა, კრისტინ, არასოდეს არ შემიმჩნევია, რომ შიში გქონოდა რისამე!

— არასოდეს არ შეგიმჩნევია? — ჰკითხა კრისტინმა და ერლენდს მიეკრა.

ერლენდმა ლოგინის ნაპირზე დასვა კრისტინი, ფეხსაცმელი გაუხსნა და გახადა, მაგრამ მერე ისევ მაგიდასთან მიიყვანა.

— ოჰ, არა, კრისტინ, ახლა მაინც რაღაც იმედი გამოკრთა ჩვენს წინ! უეჭველია, ასე არასოდეს არ მოგექცეოდი, როგორც მოგექეცი, — ეუბნებოდა ერლენდი და თან თავზე ხელს უსვამდა, — მაგრამ ერთი

რამ მაიძულებდა! ყოველთვის, როცა შენა გხედავდი, არა მჯეროდა, თუ ამისთანა მომხიბლავ ლამაზ ცოლს მაღირსებდა ვინმე... აქ დაჯექი და ჩემთან ერთად დალიე, — სთხოვა მან.

ეს უთხრა და კარზეც გაისმა რახუნი — გეგონებოდა ვიღაც მახვილის ტარს ურახუნებსო.

— ერლენდ, ნიკულაუსის ვაჟო, კარი გააღე, თუ მანდა ხარ!

— სიმონ დარეა. — წასჩურჩულა კრისტინმა.

— გააღე, ეშმაკმა დაგლახვროს, თუ ვაქკაცი ხარ! — შესძახა სიმონმა და კვლავ რახარუხი აუყენა კარს.

ერლენდი საწოლთან მივიდა და ლურსმანზე ჩამოკიდებული მახვილი ჩამოიღო. თან ოთახში უმწეოდ მიიხედ-მოიხედა.

— აქ ვერსად დაიმალები, — ლოგინში თუ...

— მეეჭვება, ჩემი დამალვა გვიშველის რამეს, — თქვა კრისტინმა და ადგა, ძალიან მშვიდად ლაპარაკობდა, მაგრამ ერლენდი ხედავდა, რომ ის თავიდან ფეხებამდე კანკალმა აიტანა. — უნდა გაუღო, — უთხრა კვლავ მშვიდად კრისტინმა. სიმონმა ისევ რახარუხი აუყენა კარს.

ერლენდი კართან მივიდა და ურდული გასწია. სიმონი მახვილამოღებული შემოვიდა, მაგრამ, შემოვიდა თუ არა, მახვილი მაშინვე ქარქაშში ჩააგო.

ერთხანს სამივენი ენაჩავარდნილები იდგნენ. კრისტინი კანკალებდა, თან უცნაური ნეტარი მღელვარება იგრძნო, შიგ გულის სიღრმეში რაღაც მოზღვავდა — წინაგრძნობა, რომ ეს ორი მამაკაცი უსათუოდ შეებრძოლებოდა ერთმანეთს და შვებით ამოისუნთქა: აი, რით დასრულდა, რასაც უხმოდ იტანდა მთელი ეს თვეები დარდში და შიშში მყოფი კრისტინი. გაფითრებული და თვალებაელვარებული ხან ერთს უყურებდა, ხან მეორეს — და უცებ ამ მღელვარებას მოჰყვა სასოწარკვეთა, კრისტინს, რომ მომკვდარიყო ის ერჩივნა. სიმონ დარეს თვალები ცივ თავშეკავებულ ზიზღს უფრო გამოხატავდნენ, ვიდრე მრისხანებას ან ეჭვიანობას, ერლენდს კი თუმც სიჯიუტეს მეტყველებდა მისი სახე, მაინც ეტყობოდა სირცხვილისაგან იწვოდა. უცებ კრისტინისთვის აშკარა გახდა, როგორ გაამტყუნებდნენ სხვა კაცები ერლენდს, რომელმაც იკადრა და კრისტინი ამისთანა ადგილას მიიყვანა. მას ესმოდა, რომ

ყველაფერი, რაც მოხდა, ერლენდისათვის სილის გაწვნა იყო: კრისტინმა იცოდა ერლენდს ერთი სული ჰქონდა, მახვილი ეშიშვლა და სცემოდა სიმონს.

— აქ რად მოხვედი, სიმონ? — შეჰყვირა შეშინებულმა კრისტინმა.

ორივენი მისკენ მიტრიალდნენ.

— რად მოვედი და, შენ უნდა წაგიყვანო, — უთხრა სიმონმა. — აქ შენი ადგილი არ არის...

— თქვენ ვეღარაფერს უბრძანებთ ლავრანსის ასულ კრისტინს, — განრისხებულმა უთხრა ერლენდმა, — ახლა ის მე მეკუთვნის!..

— ჩანს, ეგრეა, — უხეშად მიუგო სიმონმა, — და პატარძლისათვის ჩინებულ და საკადრის სახლშიც მოგიყვანია!.. — სიმონი გაჩუმდა. სულს ძლივს ითქვამდა; მერე ხმა დაიმორჩილა და მშვიდად განაგრძო: — მაგრამ საქმე ის არის, რომ მე ჯერ ისევ მაგის საქმროდ ვითვლები — სანამ მამა არ წაიყვანს შინ! მანამდე კი ვაპირებ მახვილით ხელში დავიცვა ის, რისი დაცვაც კიდევ შეიძლება მისი პატიოსნებისა და სახელისათვის სხვათა თვალში...

— შენ არავინ გეკითხება მაგას—მე აქ არა ვარ... — სიმონმა ერლენდს შეხედა და ერლენდი კვლავ ჭარხალივით გაწითლდა. — შენა გგონია შენისთანა ლაწირაკს შევაშინებინებ თავს. — ერლენდი აენთო და ვადაზე იტაცა ხელი.

სიმონმა ორივე ხელი ზურგზე დაიწყო.

— ისეთი ლაჩარი არ გეგონო, იმის შემეშინდეს, ერლენდმა არ იფიქროს, შევაშინეო, — უთხრა კვლავ მშვიდი ხმით სიმონმა. — ხმალში გამოვალ შენთან, ერლენდ, ნიკულაუსის ვაჟიშვილო, შეგიძლია ეშმაკს დაენაძლეო, თუ დროზე არ გაუგზავნი მაჭანკლებს კრისტინის მამას!..

— შენი ბრძანებით არ გავაკეთებ მაგას, სიმონ, ანდრესის ვაჟიშვილო! — ცხარედ უთხრა ერლენდმა; და კვლავ ალმური ავარდა სახეზე.

— კეთილი; თუკი იმ ბოროტების გამოსასწორებლად გააკეთებ ამას, ასეთ ყმაწვილ ქალს რომ მიაყენე, — მშვიდად მიუგო სიმონმა, — მით უკეთესი კრისტინისათვის.

კრისტინმა ხმამაღლა შეჰყვირა, ისიც იმ სატანჯველით იტანჯებოდა, რაც ერლენდსა სტანჯავდა და ფეხები დააბრახუნა:

— რაღას უდგეხარ, სიმონ, წადი, რა ხელი გაქვს ჩვენს საქმესთან?..

— ეს არის აგიხსენი, რა ხელიცა მაქვს, — მიუგო სიმონმა. — როგორმე უნდა ამიტანოთ, ვიდრე მამაშენი არ გაგვაშორებს ერთმანეთს.

კრისტინს მთლად წარეკვეთა სასო.

— წადი, წადი და მეც ახლავ, უკან მოგყვები... ღმერთო ჩემო, ასე რადა მტანჯავ, სიმონ? ალბათ, შენ თვითონაც ფიქრობ, მე იმად არა ვღირვარ, რომ ჩემს საქმეზე ზრუნავდე!..

— შენი გულისთვის არ ვიწუხებ თავს, — უპასუხა სიმონმა. — ერლენდ, რაღას უცდი, უთხარი, წამოვიდეს.

ერლენდს სახე დაეღმიჭა. კრისტინს მხარზე შეახო ხელი.

— მეტი რა გზაა, კრისტინ, უნდა წახვიდე! სიმონ დარე და მე სხვა დროს გავსწორდებით!..

კრისტინი უხმოდ წამოდგა და ლაბადაში გაეხვია. ფეხსაცმელი, როგორც ეწყო ლოგინთან, ისევე დარჩა — ახსოვდა კი, სადაც ეწყო, მაგრამ არ ძალუძდა სიმონის თვალწინ ჩაეცვა.

ქუჩაში ისევ სქლად იყო ჩამოწოლილი ნისლი. კრისტინს თავი დაეღუნა, ლაბადისთვის მაგრად ჩაებღუჯა ხელი და ნიავქარივით მიჰქროდა. შეკავებული ქვითინი ახრჩობდა — სულის სიმწარით უნდოდა თუნდ ერთი პატარა კუთხე ჰქონოდა, იქ შეყუჟული მარტო დარჩენილიყო და ტირილით გული მოეჯერებინა... ყველაზე მძიმე გადასატანი ჯერ კიდევ წინ იყო; ამ საღამოს განიცადა რაღაც ჯერ განუცდელი, და სიმწარისაგან გულ-მუცელი ეშანთებოდა. მან იგემა, როგორია, როცა შენს თვალწინ ამცირებენ ადამიანს, ვისაც შენი თავი აკუთვნე!

სიმონი გვერდით მისდევდა, კრისტინი ჩქარი ნაბიჯით მიჰყვებოდა შუკებს, ქუჩები გადაჭრეს, ერთი მოედანი, მეორე... ისეთი ნისლი ჩამოწოლილიყო, სახლები არა ჩანდა. სიბნელეში კრისტინმა რაღაცას წამოსდო ფეხი, სიმონმა კრისტინს ხელში ხელი სტაცა და შეამაგრა.

— ეგრე ნუ მირბიხარ, — უთხრა მან. — ხალხი გვიყურებს!.. როგორა კანკალებ, — უფრო ლმობიერი კილოთი დაატანა.

კრისტინს ხმა არ გაუცია.

აყალო მიწა იყო და ფეხი უსხლტებოდა, მთლად დაუსველდა ფე-

ხები და გაეყინა — თუმცა წინდები ტყავისა ეცვა, მაინც თხელი ტყავი იყო. კრისტინს, წინდა დაეხა, ტალახმა შეატანა და ტიტველი ფეხები ვაუტალახიანდა.

მონასტრის ღელეზე გადებულ ხიდგაღმა რომ გავიდნენ, აღმართში ფეხი შეანელეს.

— კრისტინ, — უცებ უთხრა სიმონმა, — მამაშენმა თავის დღეში არ უნდა გაიგოს დღევანდელი ამბავი!

— როგორ მიხვდი, რომ მე... იქ ვიყავი? — ჰკითხა კრისტინმა.

— შენთან მოსალაპარაკებლად მოვედი, — მოკლედ მიუგო სიმონმა. — ბიძაშენის მსახურებმა მიამბეს ეგ ამბავი. მე ვიცოდი, ოსმიუნდი ხადელანდში იყო. თქვენზე არ ითქმის, რომ ეშმაკურად გამოაპარეთ ქვეყანას თქვენი ამბავი... გაიგონე, რაც გითხარი?

— ჰო, — წაიჩურჩულა კრისტინმა. — მე თეითონ შევუთვალე ერლენდს, ბრიუნხილდ მუხას სახლში შევხვედროდით, მე ვიცნობდი ის ქალს...

— ოი, გრცხვენოდეს მაინც! კარგი, მაგრამ ის ხომ არ იცოდი, რა შვილიცა ბრძანდება ეგ ქალი... გეყურება? — კუშტად უთხრა სიმონმა. — თუ კიდევ შეიძლება დამალვა, უნდა დაუმალო ლავრანსს, რა ქარაფშუტულად მოექეცი შენს თავს. ხოლო თუ აღარ დაიმალება, მაშინ იმას მაინც ეცადე, ააცდინო მამაშენს ეგ თავის მოჭრა.

— პირდაპირ გასაოცარია, როგორა ზრუნავ მამაჩემზე, — უთხრა აკანკალებულმა კრისტინმა. უნდოდა, მკვახე-მკვახეები ეთქვა, ვაგრამ ცრემლებისაგან ხმა უწყდებოდა.

სიმონი პატარა გზაზე კიდევ გაჰყვა კრისტინს. მერე შედგა, ამ ნისლში მარტონი იდგნენ, კრისტინი ძლივს არჩევდა მის სახეს; სიმონი ასეთი თავისდღეში არ ენახა.

— მუდამ ვგრძნობდი, როცა კი თქვენს ოჯახში ვყოფილვარ,— უთხრა სიმონმა,— რომ ლავრანსის ფასი არ იცით, თქვენ, ლავრანსის ოჯახის ქალებმა! „ვერ გიძღვებათო“,—ამბობს ის ტრონდ იესლინგი! ძალიან არ ესაჭიროება ლავრანსს თქვენი გაძღოლა, როცა იმისთვის დაიბადა, რომ ვაჟკაცებს გასძღოლოდა! ის ბელადად არის დაბადებული, ვისაც მებრძოლები, სადაც გნებავს, სიხარულით გაჰყვებოდნენ! ახლა მაგისთანა ხალხის დრო არ არის — მამაჩემს ახსოვს იგი ბოგახიუსთან ბრძოლაში.... მაგრამ მოხდა ისე, რომ გლეხივით მთელი თავისი სიცოცხლე მთიან ხეობაში გაატარა... ძალიან ადრე შერთეს

ცოლი... დედაშენი კი, თავისი კუშტი ხასიათით, ეტყობა, იმ ქალთა რიცხვს არ ეკუთვნის, ვინც ამისთანა შეუფერებელ ცხოვრებას შეუმსუბუქებდა. მართალია, ბევრი მეგობარი ჰყავს მამაშენს, მაგრამ როგორა გგონია, არის თუნდაც ერთი, რომელიც მისი ტოლი და სწორია?.. ღმერთმა ვაჟიშვილების დაზრდა არ აღირსა — მისი სიკვდილის შემდეგ გვარი თქვენ, მის ქალებს უნდა გაგეგრძელებინათ; იმისმა ერთმა ქალმა ჯანმრთელობა დაკარგა, და ნუთუ იმ დღესაც უნდა მოესწროს, რომ გაიგოს მეორემ — პატიოსნება დაკარგაო?..

კრისტინმა ხელები გულზე მაგრად მიიწყო — ასე ეგონა, რაც შეიძლება მაგრად უნდა დავიჭირო გული, რათა მოვიკრიბო ის სიმტკიცე, რომელიც ასე მჭირდებაო.

— მაგას რად მეუბნები? — ჩურჩულით უთხრა პატარა ხნის მერე კრისტინმა. — შენ ხომ აღარ მინდომებ მე!..

— რა თქმა უნდა, მე... არ... გინდომებ! — გაუბედავად, ყოყმანით უთხრა სიმონმა. — უფალო შემიწყალე, კრისტინ, მე მაგონდება ის საღამო, დარბაზში რომ გნახე, ფინსბრეკენში... მაგრამ იმ დღესვე ცოცხლად წამიღოს ეშმაკმა, თუ კიდევ დავუჯერო ყმაწვილი ქალის თვალებს!

— პირობა მომეცი, რომ მამაშენის ჩამოსვლამდე ერლენდს აღარ შეხვდები, — უთხრა სიმონმა, როცა ალაყაფის კართან შეჩერდნენ.

— მაგის პირობას ვერ მოგცემ, — მიუგო კრისტინმა.

— მაშინ ის მომცემს მაგ პირობას, — უთხრა სიმონმა.

— აღარ შევხვდები ერლენდს, — საჩქაროდ უთხრა კრისტინმა.

— ის პატარა ძაღლი, მე რომ ოდესღაც გაჩუქე, — უთხრა განშორების წინ სიმონმა, — შენ დებს მიეცი — ისე უყვართ �ათ... თუ მეტისმეტად არ შეგაწუხებს შენს სახლში დანახვა იმ ძაღლისა!.. ხვალ დილაადრიან ჩრდილოეთში მივდივარ, — დაუმატა და გამოსამშვიდობებლად მოლოზან-მეკარის თვალწინ ხელი ჩამოართვა კრისტინს.

სიმონ დარე ქალაქისკენ დაეშვა. მუშტების ქნევით მიდიოდა, თან ხმადაბლა თავის თავს ელაპარაკებოდა და ვიღაცას უკურთხებდა. თავის თავს ეფიცებოდა, ოდნავაც არა ვწუხვარ კრისტინზეო... თითქოს რაღაც ნიეთი ოფაზისა ეგონა, მაგრამ უფრო ახლო რომ დააკვირდა,

სპილენძისა და კალისა გამოდგა. თოვლიკით თეთრმა კრისტინმა მუხლი მოიყარა, ხელი გასწია და ცეცხლზე დაიჭირა — ეს შარშან იყო, წრეულს კი — ღვინოსა სვამდა ეკლესიისგან განკვეთილ, გარყვნილ და უნამუსო კაცთან ბრიუნხილდ მუხას ზევითა ოთახში... დალახვროს ეშმაკმა, არა, მხოლოდ ლავრანსის ხათრით, რომელიც მთაში ცხოვრობს, იორიუნდგორდში, და სწამს... არა, ლავრანსს არასოდეს ფიქრად არ მოსვლია, რომ ასე მოატყუებდნენ! ახლა თვითონ სიმონი წაუღებს ამბავს და ხელს შეუწყობს კვლავაც ატყუონ ეს ადამიანი—აი, ამიტომ უდუღდა სიმონს გული რისხვითა და სევდით.

კრისტინი არც აპირებდა სიმონ დარესთვის მიცემული პირობის შესრულებას და მხოლოდ ორიოდე სიტყვის თქმა მოახერხეს ერთმანეთთან იმან და ერლენდმა — ერთ საღამოს, გზაზე რომ შეხვდნენ.

კრისტინს ერლენდის ხელი ეჭირა და საოცრად დამშვიდებული და ყველაფერს შერიგებული უსმენდა, ვიდრე ერლენდი იგონებდა ბრიუნხილდის სახლში მომხდარ ამბავს. ასე არ დავტოვებ, შემთხვევა მომეცემა და პასუხს მოვთხოვ სიმონსო, ამბობდა ერლენდი.

— იქ რომ შევტაკებოდით ერთმანეთს, მთელ ქალაქში დახრიალდებოდა ხმა, — ცხარედ თქვა ერლენდმა. — ეგ სიმონმაც კარგად იცოდა.

კრისტინს ესმოდა ამ შემთხვევამ რა მწარედ შეულახა ერლენდს თავმოყვარეობა. მას აქეთ თვითონ კრისტინიც ერთთავად ამაზე ფიქრობდა — არ შეიძლებოდა ადამიანს არ ეღიარებინა, რომ ამ დავიდარაბაში კრისტინი ხომ შერცხვა და შერცხვა, მაგრამ ერლენდს ამაზე უარესად მოეჭრა თავი. და კრისტინი გრძნობდა, რომ ახლა ისინი მართლაც ერთ არსებად იქცნენ. — ამიერიდან ის აგებს პასუხს, რასაც ერლენდი ჩაიდენს, რომ არც მოეწონოს მისი საქციელი, და საკუთარ თავზე იგრძნობს, როცა ერლენდი ცხვირს წაიმტვრევს სადმე.

სამი კვირის მერე ლავრანსი ოსლოში ჩამოვიდა თავისი ქალის წასაყვანად.

კრისტინს ეშინოდა კიდეც და გულიცა სტკიოდა, მისაღები ოთახისკენ რომ მიდიოდა მამის შესახვედრად. პირველი, რაც თვალში ეცა ლავრანსის დანახვაზე, — ის იდგა და დაი პოტენციას ელაპარაკებოდა, — ისეთი აღარ იყო, როგორც კრისტინს ახსოვდა. შეიძლება ლავ-

რანსი არც გამოცვლილა ამ ერთ წელიწადში, რაც კრისტინი წამოვიდა, მაგრამ მთელი თავისი სიცოცხლე კრისტინი მას ახალგაზრდას, მშნესა და ლამაზ ვაჟკაცსა ხედავდა, ვინც ისე ეამაყებოდა ბავშვობაში, გაიფიქრებდა თუ არა ეს მამაჩემიაო. რასაკვირველია, იქ, სახლში მის თავზე გადავლილი ყოველი ზამთარი და ყოველი ზაფხული თავის დაღს ასვამდა ლავრანსს და ხანსაც მატებდა, ისევე, როგორც თვითონ კრისტინიც თანდათან დამჯდარ ყმაწვილ ქალად აქციეს ამ წლებმა, — მაგრამ კრისტინი ამას ვერა ხედავდა. ვერ ამჩნევდა, რომ მამას ალაგ-ალაგ თმა გამოუხუნდა, საფეთქლებთან კი მოწითალო ჟანგისფერი დაედო — როგორც ქერა თმამ იცის გაჭაღარავება. ყბებმა ხორცი დაკარგეს, სახე დაუგრძელდა და ბაგესთან კუნთები სიმებივით დაეჭიმა; ახალგაზრდული ელფერი წაუვიდა და კანი აექეცა. ახლაც ბეჭებში გაშლილი დადიოდა, მაგრამ მაინც ლაბადის ქვეშ ბეჭის ფრთები სხვანაირად ამოსჯდომოდა. ხელგაწვდილი მსუბუქი და მტკიცე ნაბიჯით წამოვიდა კრისტინისაკენ, მაგრამ სადღა იყო ძველებური მოქნილი და სწრაფი მიხრა-მოხრა. ალბათ შარშანვე იყო ასე გამოცვლილი, მაგრამ კრისტინს არ შეუმჩნევია, ან შეიძლება დარდმა თავისი დაღი დაასვა და უფრო გატეხილი ჩანდა, სწორედ ამიტომ ეცა თვალში, როგორ გამოცვლილიყო. კრისტინს ტირილი წასკდა.

ლავრანსმა ერთი ხელი ბეჭებზე მოხვია, მეორეთი კი თავი აუწია.

— ნუ, ნუ, ტირი, თავი შეიმაგრე, ჩემო შვილო! — ალერსიანად უთხრა შვილს.

— მამა, ჯავრობთ, ჩემზე? — ჩუმად ჰკითხა კრისტინმა.

— შენ თვითონ უნდა მიხვდე, რომ ვჯავრობ, — მიუგო ლავრანსმა, — თან ისევ ხელს უსვამდა ლოყაზე. — თუმც, შენ, რა თქმა უნდა, იცი, რომ ჩემი არ უნდა გეშინოდეს! — სევდიანად დაუმატა. — მართლა გეუბნები, თავი უნდა შეიმაგრო, კრისტინ, — რატომ არა გრცხვენია, რასა ჰგავს შენი საქციელი! — კრისტინი ისე ტიროდა, რომ სკამზე უნდა ჩამომჯდარიყო. — აქ ნუ ვილაპარაკებთ შენს საქმეზე, სადაც ამდენი ხალხი მიდი-მოდის, — კრისტინს მიუჯდა გვერდით, ხელში ხელი მოსჭიდა და უთხრა: — რატომ არაფერსა მკითხავ დედაშენსა და შენს დებზე?..

— დედაჩემი რაღას ამბობს? — ჰკითხა შვილმა.

— ოჰ, ხომ წარმოგიდგენია რასაც იტყვის დედაშენი! მაგრამ მაგაზე ახლა ნუ ვილაპარაკებთ, — კვლავ გაიმეორა ლავრანსმა. — საერთოდ კი,

დედაშენი კარგად არის... — ოჯახის ამბები ყველაფერი უამბო, რაც მოაგონდა, ვიდრე კრისტინი ნელ-ნელა დაწყნარდებოდა.

კრისტინი თითქოს იმან უფრო შეაშფოთა, რომ მამამ არაფერი უთხრა ნიშნობის ჩაშლაზე. ლავრანსმა კრისტინს ფული მისცა მონასტერში მცხოვრებ ღარიბებისთვის დასარიგებლად, და ამხანაგებისთვის საჩუქრების საყიდლად; თვითონ კი დიდი შეწირულება შეიტანა მონასტერში, და არც მოლოზნები დავიწყებია; ყველას ისე ეგონა, კრისტინი შინ ნიშნობისა და ქორწილის გადასახდელად მიდიოდა. კრისტინმა და ლავრანსმა უკანასკნელად ისადილეს იღუმენიასთან, და იღუმენიამ დიდად შეაქო კრისტინი.

აჰა, ძლივს ყველაფერი გათავდა! ალაყაფის კართან კრისტინი გამოეთხოვა მოლოზნებსა და ტოლებს. ლავრანსმა ცხენთან მიიყვანა და უნაგირზე შესვა. უცნაურად ეჩვენებოდა კრისტინს, რომ ის მამისა და იორიუნდგორდელი მსახურების თანხლებით ხიდისკენ სწორედ იმ გზით დაეშვა, რა გზითაც ჩუმად მიიპარებოდა ხოლმე სიბნელეში; უკვირდა, რომ ასე თავისუფლად და პატივით მიდიოდა ოსლოს ქუჩებში. კრისტინს მოაგონდა ის მშვენიერი საქორწილო მაყრიონი, რომელზედაც ხშირად ელაპარაკებოდა ერლენდი, — გულზე ჯავრი შემოაწვა; უკეთესი იქნებოდა ერლენდს წაეყვანა თავისთან! ჯერ კიდევ დიდხანს უნდა ითვალთმაქცოს და სულ სხვა იყოს თავისთავთან მარტო დარჩენილი, და სულ სხვა, როცა ხალხში იქნება, მაგრამ ამ დროს ჩაფიქრებულსა და დაბერებულ მამას შეხედა და თავი დაირწმუნა: დიახ, ასეა თუ ისე, ერლენდი მაინც მართალიაო.

ფუნდუკში კიდევ რამდენიმე მგზავრი იყო. საღამოთი ერთად ივახშმეს პატარა ბუხრიან ოთახში, სადაც ორად ორი საწოლი იდგა; ლავრანსი და კრისტინი აქ მოასვენეს, რაკი ყველაზე საპატიო სტუმრები იყვნენ. ამიტომ, როცა დაღამდა, დანარჩენი მგზავრები სუფრიდან წამოდგნენ, გულთბილად უსურვეს მამა-შვილს ღამე მშვიდობისა და გასწიეს ღამის გასათევის მოსაძებნად. კრისტინს მოაგონდა, ჩუმ-ჩუმად მე არ მოვიპარებოდი ბრიუნხილდ მუხას სახლში და ხვევნა-კოცნის ნებას ვაძლევდი ერლენდსო; თითქმის ავადმყოფი მწუხარებისა და შიშისაგან, ვაითუ თავის დღეში აღარ დადგეს ის დღე, რომ კვლავ ერლენდისა ვიყოო, კრისტინი ფიქრობდა: „არა, აქ მე ვეღარ გავჩერდები!..“

ლავრანსი მოშორებით იჯდა ძელსკამზე და შვილს უყურებდა.

— სკუგში არ გავივლით? — ჰკითხა კრისტინმა, რომ სიჩუმე დაერღვია.

— არა, — მიუგო ლავრანსმა. — ისიც მეყოფა, რაც ბიძაშენი ტრონდისაგან მოვისმინე, — რატომ შენს მამობრივ უფლებას არ იყენებო — განუმარტა, როცა კრისტინმა მამას შეხედა.—დიახაც, შეგასრულებინებდი სიმონისთვის მიცემულ სიტყვას, — უთხრა პატარა ხნის მერე, — თვითონ სიმონს რომ არ ეთქვა, ძალით მოყვანილი ცოლი არ მინდაო.

— მე არასოდეს არ ძიმიცია სიმონისთვის სიტყვა. — საჩქაროდ უთხრა კრისტინმა. — შენ კი მუდამ იმას ამბობდი, ძალით არავისზე გაგათხოვებო!..

— იძულებით გათხოვება არ იქნებოდა, მე რომ შენგან პირობის შესრულება მომეთხოვა, ეს ამბავი ხალხმა კარგა ხანია იცოდა. — მიუგო ლავრანსმა. — ორი ზამთარია, თქვენ დანიშნულებს გეძახდნენ და თუ შენ წინააღმდეგი იყავი, სიტყვაც არ წამოგცდენია, არც გულნაკლულობა გამოგითქვამს, ვიდრე ქორწილის დღე არ დაენიშნეთ. თუ გინდა, თავი იმით იმართლო, რომ შარშან ქორწილი გადაიდო და შენ სიმონისთვის ერთგულება არ შეგიფიცია, მაშინ მე მაგას პატიოსნურ საქციელს არ ვუწოდებ!

კრისტინი იდგა და ცეცხლს ჩასცქეროდა.

— არ ვიცი, რა უფრო უარესია, — განაგრძო ლავრანსმა, — ისა თქვან, კრისტინმა აღარ ინდომა სიმონი, თუ კრისტინი დაიწუნესო! ბატონმა ანდრესმა კაცი გამომიგზავნა და იმ კაცის პირით შემომითვალა... — ამის თქმაზე ლავრანსი გაწითლდა, — ჩემს შვილს გავუჯავრდი და გთხოვ, ისეთი ფულადი დაკმაყოფილება მოითხოვო, როგორსაც საკმარისად ჩასთვლიო. მე სიმართლე ვუთხარი, — მაგრამ არ ვიცი, ვითომ ტყუილის თქმა უკეთესი იქნებოდა, — მე შევუთვალე, თუ დანაშაულის გამოსყიდვაა საჭირო, მაშინ ჩვენ უფრო გვმართებს დანაშაულის გამოსყიდვა, ვიდრე თქვენ-მეთქი! მაგრამ ასე იქნება თუ ისე, მაინც ჩვენ მოგვეჭრება თავი.

— ვერ გამიგია, რატომ არის ეგ ასეთი სამარცხვინო, — წყნარი ხმით უთხრა კრისტინმა. — თუ მე და სიმონი შეითანხმდით ერთმანეთთან!

— შეთანხმდით? — სიტყვა ჩამოართვა ლავრანსმა. — იმას არ დაუ-

მალავს თუ როგორა სწუხდა ამ ამბავს, მაგრამ ისიც თქვა, ჩვენი მოლაპარაკების შემდეგ, მე ვფიქრობ, უბედურების მეტი არაფერი მოჰყვება, თუ კრისტინს მოვთხოვ მოცემული სიტყვა შეასრულოსო!.. ახლა კი შენ უნდა მითხრა, როგორ და რანაირად დაგემართა ეგ საქმე?

— განა სიმონს არაფერი უთქვამს? — ჰკითხა კრისტინმა.

— როგორც ჩანს, იმას ჰგონია, შენ სხვა შეგიყვარდა, — უთხრა ლავრანსმა. — ახლა უნდა მითხრა, რა მოხდა, კრისტინ!

კრისტინი პატარა ხანს დაფიქრდა.

— ხედავს ღმერთი, — წყნარის ხმით თქვა მან, — მე მშვენივრად მესმის, რომ სიმონი ძალიან კარგი და კარგზე მეტიც არის ჩემთვის! მაგრამ, სიმართლეს გეტყვი, მე სხვა გავიცანი და მივხვდი, რომ ჩემს ცხოვრებაში ერთი ბედნიერი დღე აღარ მეღირსება, თუ იძულებულს გამხდიან სიმონთან გავატარო ჩემი ცხოვრება; ინგლისის მთელ ოჭროსაც რომ ფლობდეს სიმონი, მე მაინც მეორეს ვირჩევდი, თუნდ ერთადერთი ძროხის გარდა არაფერი ებადოს...

— იმედია, იმას არა ფიქრობ, რომ მოჯამაგირეს მიგცემ ცოლად? — უთხრა ლავრანსმა.

— წარმოშობით ჩემი სწორია და უფრო მეტიც, — მიუგო კრისტინმა. — ეს მხოლოდ ისე ვთქვი, სიტყვის მასალად, მიწებიც საკმარისადა აქვს და ქონებაც, მაგრამ იმასთან ჩალაზე წოლა მირჩევნია სხვასთან, ვინც არ უნდა იყოს, აბრეშუმის ლოგინში წოლას...

ლავრანსი ერთხანს სდუმდა.

— ერთია, კრისტინ, მე იძულებით არ მიგათხოვებ იმას, ვინც შენ არ გინდა, თუმცა მხოლოდ ერთმა ღმერთმა და წმიდა ულავმა უწყიან, რას უწუნებ ჩემ ამორჩეულ საქმროს! მაგრამ მეორეა, ღირსია ის, ვინც შენ შეგიყვარდა, რომ იმას მიგცე ცოლად. შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ და გონებადაუმჯდარი, ხოლო თვალი დაადგას ყმაწვილ ქალს, სხვის დანიშნულს, მაგას წესიერი ადამიანი არ იკადრებს.

— ამისთანა რამ ადამიანის ხელთ არ არის! — საჩქაროდ მიუგო კრისტინმა.

— ვთქვათ ეგრეა, მაგრამ შენ, უეჭველია, თავად გესმის, მე არ მოვინდომებ ასეთი შეურაცხყოფა მივაყენო დარეს ოჯახს, რომ უარი უთხარი თუ არა სიმონს, მაშინვე სხვაზე დაგნიშნო. მით უმეტეს ისეთ ადამიანზე, ვინც შეიძლება სიმონზე უკეთესი ჩამომავლობისა, ან უფრო

მდიდარი გამოდგეს! შენ უნდა თქვა, ვინ არის ის კაცი,—უთხრა კრისტინს ლავრანსმა პატარა ხნის მერე.

კრისტინმა სიმწარისაგან ხელები ერთმანეთს მაგრად გადააჭდო და მძიმედ სუნთქავდა. მერე ძალიან მძიმე-მძიმედ უთხრა:

— მამა, მე ვერ გეტყვი იმის სახელს! თუ იმას არ მიმცემ ცოლად, მაშინ შეგიძლია მონასტერში გამაბრუნო და აღარც გამომიყვანო იქიდან—არა მგონია, იქ დიდხანს ვიცოცხლო. მაგრამ არ შემფერის გითხრა მისი სახელი, ვიდრე არ მეცოდინება, რომ იმასაც ისევე სურს ჩემი ცოლად შერთვა, როგორც მე მასზე გათხოვება. შენ... შენ არ უნდა მაიძულებდე გითხრა ვინ არის ის, ვიდრე არ გამოირკვევა, რომ მას... განზრახული აქვს ნათესავები გამოგიგზავნოს ჩემს სათხოვნელად!

ლავრანსი დიდხანს იყო დადუმებული. არ შეიძლებოდა არ მოსწონებოდა შვილის ასეთი გადაწყვეტილება; ბოლოს უთხრა:

— კარგი, ეგრე იყოს, მესმის, რომ არ გინდა მისი სახელის თქმა. ვიდრე შენ თვითონაც არ იცი, რას აპირებს!.. ახლა კი, კრისტინ, დაწექი და დაიძინე,—უთხრა პატარა ხნის მერე. მივიდა და აკოცა შვილს.—ბევრი მწუხარება და ჯავრი მოგვაყენე ყველას, ჩემო შვილო. შენი ახირებული თავნება საქციელით, მაგრამ კარგად იცი, ყველაზე მეტად შენი კეთილდღეობისათვის შემტკივა გული—ღმერთო, შენ შემწეობას ნუ მომაკლებ, და ასე იქნება მუდამ, რაც არ უნდა ჩაიდინო... ღმერთი და მისი სათნო მშობელი თავისი მოწყალე თვალით გადმოგვხედავენ, და შესაძლოა, ყველაფერი წაღმა დატრიალდეს. მაშ, წადი და ეცადე. კარგად გამოიძინო!

როცა ლავრანსი ლოგინში ჩაწვა, თითქოს ტირილის ხმა მოესმა კედლის მხრიდან, სადაც კრისტინი იწვა, მაგრამ თავი მოიმძინარა. ვერ გაუბედა ეთქვა შვილისთვის, მეშინია, ვაითუ ისევე დაიწყონ ლაპარაკი შენზე, არნეზე და ბენტეინზეო, თან ისიც უკლავდა გულს, რომ ვერ გაიჩუმებდა ხალხს, ვინც მის ზურგს უკან მოინდომებდა ჩირქი მოეცხო კრისტინის პატიოსანი სახელისათვის, მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო, რომ ლავრანსი ფიქრობდა, კრისტინმა თავისი თავქარიანობით დაიტეხა თავს ყველაფერიო.

ძველი ნაწერი

ოსეური, ალბანური ენა

I

კრისტინი რომ იორიუნდგორდში დაბრუნდა, გაზაფხულის მშვენიერი დარები იდგა. მდინარე ლოგენი მქუხარედ მოსჩქეფდა სახლსა და მინდვრებს იქით: წყალი ვერცხლისფრად ლაპლაპებდა, მზეზე ბრჭყვიალი გაჭქონდა და თეთრად ელავდა გაბარდულ მურყნარის ნაზ ფოთლებში. თითქოს მზის ათინათსაც ხმა ჰქონდა და მდინარის ჩხრიალსა და ხმაურთან ერთად ისიც მღეროდა. როცა ბინდი ჩამოწვებოდა, წყალი თითქოს ისე აღარ ხმაურობდა და ყრუდ მოედინებოდა. დღე და ღამე იქაურობა გაყრუებული იყო წყლის გრიალით და კრისტინს ეჩვენებოდა, თითქოს სახლების ძელური კედლებიც კი ვიოლას დეკასავით ცახცახებდნენ.

მაღლა ჩახრამულ, მუდამ მოცისფრო ნისლში გახვეულ მთის ფერდობებზე ბრწყინვა გაჭქონდა სიმებივით ჩამობმულ ნაკადულებს. თბილი ჰაერი თრთოდა მინდვრებში, და მინდვრებს ნაზი ოხშივარი ასდიოდა; ჯეჯილს თავი ამოეყო და გადაშავებული მოხნული მიწა აემწვანებინა, ველებზე ბალახი შესქელებულიყო და ქარის შემობერვაზე აბრეშუმივით ლივლივებდა. მოტკბო სუნი სცემდა ჭალასა და ფერდობებიდან, ხოლო მზის ჩასელის მერე ირგვლივ ხეებში ჩამდგარი წვენისა და ამოსული ნათესების გრილი მომჟავო სუნი ტრიალებდა. — თითქოს მიწა ნეტარებით ფშვინავსო. კრისტინს თრთოლვით აგონდებოდა, შემოხვეულ მკლავებს როგორ გაუშვებდა ხოლმე ერლენდი. ყოველღამ ნაღველისაგან ავადმყოფივითა წვებოდა და დილით სიზმრებისაგან მოქანცული თავით ფეხამდე ოფლში გაღვრილი იღვიძებდა.

კრისტინს ვერა და ვერ გაეგო, როგორ ითმენდნენ იმისიანები და კრინტს არა სძრავდნენ იმ ერთადერთზე, რასაც ეპყრო მისი გონება. მაგრამ კვირა კვირას მისდევდა და არავინ ხმას არ იღებდა მისი და

სიმონის ქორწილის ჩაშლაზე, არც იმასა ცდილობდნენ გაეგოთ, რა ხდებოდა მის გულში. ლავრანსი მეტ დროს ტყეში ატარებდა, — საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები მოთავებული იყო,—მიდიოდა ფისის გამომხდელებთან, მიჰყავდა მიმინოები და ძაღლები და რამდენიმე დღით იკარგებოდა. როცა შინ იყო, შვილს ისევ ძველებურად ელაპარაკებოდა, მაგრამ თითქოს სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდა იმასთან და, როცა სადმე მიდიოდა სახლიდან, არ ეუბნებოდა შენც წამოდიო.

კრისტინს შინ დაბრუნებისა ეშინოდა, ასე ეგონა, დედა ჩივილს დაიწყებდა და საყვედურს ეტყოდა, მაგრამ რაგნფრიდი ხმას არ იღებდა და ეს უფრო უკლავდა გულს.

ლავრანსს წესადა ჰქონდა: ყოველ ივანობას თავისი მრევლის ღარიბ ხალხს უნაწილებდა, რაც ოჯახში ამ დღეობის წინა კვირას — მარხვაში დაიზოგებოდა. ვინც იორიუნდგორდის ახლომახლო ცხოვრობდა, ჩვეულებისამებრ თავისი ფეხით მოდიოდა მოწყალებისათვის; აქ კარგად უმასპინძლდებოდნენ მათ, ხოლო ლავრანსი თავისი სტუმრებით, ჯალაბითა და მოჯამაგირეებით ღარიბებთან გადიოდა, ყველანი ღარიბებს ეხვეოდნენ, რადგან მათ შორის იყვნენ მოხუცები, ვინც ბევრი თქმულება და საგმირო ამბავი იცოდა, მერე ყველანი კერასთან ჩამოსხდებოდნენ და დროსა ჰკლავდნენ ლუდის სმასა და მეგობრულ საუბარში, საღამოობით კი კარ-მიდამოზე გამოიშლებოდნენ და ცეკვა-თამაში ხურდებოდა.

იმ წელიწადს ივანობა ცივი და ღრუბლიანი დღე გამოვიდა, მაგრამ ამას არავინა სწუხდა, ვინაიდან გლეხებს უკვე ეშინოდათ გვალვები არ დაიჭიროსო. წმინდა ხალვარდის დღესასწაულიდან მოყოლებული ცვარი არ ჩამოვარდნილა, მთაში აქა-იქ იდო თოვლი და აქაურები ამბობდნენ აგერა ცამეტი წელიწადია არ გვახსოვს, შუა ზაფხულში ასე დამშრალიყო ლოგენიო.

ძალიან მხიარულად იყვნენ ლავრანსიცა და იმისი სტუმრებიც, როცა ქვევით, კერიან ოთახში ჩავიდნენ მათხოვრებთან მისასალმებლად. სუფრას შემომსხდარი ღატაკები რძის ფლავს შეექცეოდნენ, თან მადლიან ლუდს აყოლებდნენ, კრისტინი კი სუფრასთან ტრიალებდა და მოხუცებსა და დავრდომილებს უმასპინძლდებოდა.

ლავრანსი თავის სტუმრებს მიესალმა, თან ჰკითხა, გამასპინძლებას

ხომ არ ემდურითო. მერე ერთ მათხოვარ ცოლ-ქმართან მივიდა, ისინი დღეს გადმოსულიყვნენ იორიუნდგორდში, და მიესალმა. მოხუც კაცს ხოკონი ერქვა; მოხუცი მეფე ხოკონის[1] მებრძოლი იყო და მეფის უკანასკნელ შოტლანდიის ლაშქრობაში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა. ძალიან ღარიბი იყო და თვალითაც ძლივსღა ხედავდა; გლეხებმა შესთავაზეს, ცალკე სახლში დასახლებულიყო და თავისთვის ეცხოვრა, მაგრამ მოხუცს მამულ-შამულ სიარული ერჩივნა, ყველგან საპატიო სტუმარივით იღებდნენ — იშვიათად გამოვა, იმისთანა მარჯვე კაცი იყო და, ბევრიც რამ ენახა, რაც თავი ახსოვდა.

ლავრანსი ფეხზე იდგა და მხარზე დაედო ხელი ძმისთვის — ისმიუნდი სტუმრად სწვეოდა იორიუნდგორდში, — და ხოკონსა ჰკითხა, გამასპინძლებას ხომ არ მიწუნებო.

— შენ ლუდს ვერავინ დაიწუნებს, ლავრანს ბიერგიულფის ვაჟიშვილო, ფაფა კი წრეულს ალბათ, ვიღაც ფეთხუმ დედაკაცს მოუხარშია, ხომ გაგიგონია ანდაზა „ფაფა მომწვარიაო. გამკეთებელს ვიღაც მიჰპარვიაო,“ — ფაფა მიმწვარა!

— აფსუს, — უთხრა ლავარანსმა, — რომ ძალაუნებურად მიმწვარი ფაფით გაგიმასპინძლდით, მაგრამ, ეტყობა, ძველი ანდაზა მუდამ არ არის მართლის მთქმელი, ვინაიდან დღეს ჩემმა ქალმა თავისი ხელით მოხარშა ფაფა! — მას გაეცინა და კრისტინსა და ტურდისს უთხრა საჩქაროდ შემოეტანათ შემწვარი კერძი!

კრისტინი სწრაფად გაიძურწა და სამზარეულოსაკენ წავიდა. მის გულს დაგადუგი გაჰქონდა — თვალი შეასწრო თავისი ბიძის სახეს, როცა ხოკონი ფაფაზე და ფაფის გამკეთებელზე ლაპარაკობდა.

საღამოთი გვიან კრისტინმა დაინახა, რომ მამა და ბიძა ლაპარაკით დიდხანს ბოლთასა სცემდნენ ეზოში. კინაღამ გული შეუწუხდა, ისე შეეშინდა და არც მეორე დღეს მოშვებია გულზე, ხედავდა მამა ლაპარაკის გუნებაზე არ იყო და დაღვრემილი დადიოდა, მაგრამ კრისტინისთვის არაფერი უთქვამს.

ერთი სიტყვა არ უთქვამს არც ბიძის წასვლის შემდეგ, მაგრამ კრისტინმა შეამჩნია, რომ ისე ხშირად აღარ ესაუბრებოდა ხოკონს როგორც უწინ და როცა გაიარა მოხუცის ლავრანსის ოჯახში შენახვის ჯერმა, ლავრანსს არ უთქვამს ცოტა ხანს კიდეე დარჩიო და ხელი არ შეუშალა მეზობელ მამულში გადასულიყო.

[1] იგულისხმება მეფე ხოკონ IV მოხუცი (1217 — 1263).

საერთოდ კი, რომ ვთქვათ, ცოტა მიზეზი როდი ჰქონდა ლავრანსს უგუნებოდ და მოღუშული ყოფილიყო იმ ზაფხულს. მაზრაში იმ წელიწადს მოსავალს კარგი პირი არ უჩანდა: გლეხები იკრიბებოდნენ და ბჭობდნენ რა ექნათ, როგორ დახვედროდნენ მოახლოებულ ზამთარს. ჯერ შემოდგომის პირშივე ბევრისთვის აშკარა გახდა, რომ ან უნდა დაეკლათ მეტი წილი თავიანთი პირუტყვისა ანდა, სამსრეთისკენ გასაყიდად გადაერეკათ და პურიც შეესყიდათ ზამთრისთვის. არც წინა წელიწადი იყო დიდი მოსავლიანი. ამიტომ, ძველი ხორბლის მარაგი წელს უფრო ნაკლები ჰქონდათ ვიდრე სხვა დროსა ჰქონიათ.

ერთ დილას, შემოდგომის პირი იყო, რაგნფრიდი თავისი სამივე ქალით გამოვიდა გასათეთრებლად გაფენილი ტილოს დასახედად. კრისტინი ძალიან აქებდა დედის ნაქსოვს. მაშინ რაგნფრიდმა თავზე ხელი გადაუსვა რამბორგს.

— ეს ტილო შენი ზანდუკისთვის იქნება, პატარავ!

— დედი, — უთხრა ულვხილდმა, — განა მე კი არ მომცემთ ზანდუკს, როცა მონასტერში წავალ?

— განა. არ იცი, რომ შენ, შენ დებზე ნაკლებ მზითვს არ მოგცემთ. — უთხრა რაგნფრიდმა. — მაგრამ შენ უფრო სხვა ნივთები დაგჭირდება, ვიდრე ამათ. გარდა მაგისა, ხომ იცი, ვიდრე ცოცხლები ვიქნებით, მამაშენთან და ჩემთან იცხოვრებ, თუ გენდომება.

— ხოლო როცა მონასტერში შეხვალ, — უთხრა კრისტინმა მთრთოლვარე ხმით,—შეიძლება მე დიდი ხნის მოლოზნად აღკვეცილი დაგხვდე.

კრისტინმა დედას შეხედა, მაგრამ რაგნფრიდს ხმა არ ამოუღია.

— მე რომ ისეთი ვიყო, რომ გათხოვება შემეძლოს,—თქვა ულვხილდმა. — თავის დღეში უარს არ ვეტყოდი სიმონს, ის კეთილია; თან როგორა სწუხდა, როცა ჩვენ გვეთხოვებოდა!

— ულვხილდ, ხომ იცი, მამაშენმა მაგაზე ლაპარაკი აგვიკრძალა,— უთხრა რაგნფრიდმა, მაგრამ კრისტინმა ჯიუტად წარმოთქვა:

— დიახ, მე ვიცი, სიმონი თქვენთან განშორებას უფრო სწუხდა, ვიდრე ჩემთან.

დედამ განრისხებულმა მიუგო:

— მაშინ სად ექნებოდა თავმოყვარეობა, შენთვის რომ ეჩვენებინა, როგორა სწუხდა შენთან განშორებას,—ულამაზოდ მოექეცი ანდრესის

შვილს, სიმონს, ჩემო ქალო! და მაინცა გვთხოვა არ დატუქსოთ და ნურც ნურაფერს დაემუქრებითო...

— ის ალბათ ფიქრობს, მე თვითონ იმდენი ვლანძღე, — უთხრა კრისტინმა წეღანდელივით მთრთოლვარე ხმით, — რა საჭიროა სხვამაც არ უთხრას რა საზიზღარიც არისო. მაგრამ არასოდეს არ შემიმჩნევია დიდად ვყვარებოდე სიმონს მანამ, სანამ არ მიხვდა, რომ სხვა უფრო მიყვარს!

— აბა, შინისაკენ გაიქეცით, — უთხრა რაგნფრიდმა თავის ორ უმცროს გოგონას. იქვე ჩამოჯდა და კრისტინიც გვერდზე მოისვა.

— შენ უეჭველია იცი, კრისტინ, მიღებულიც არ არის და არც ღირსეულია კაცისთვის აღარ გაუთავოს ლაპარაკი საცოლეს თავის სიყვარულზე, ან მარტოდმარტო იჯდეს საცოლესთან და მეტისმეტი გზნება გამოიჩინოს...

— ოჰ, ნეტავ გამაგებინა, — თქვა კრისტინმა, — ზოგჯერ ხომ არ ეძლევიან თავდავიწყებას ახალგაზრდები, როცა ერთმანეთი უყვართ, თუ მუდამ ახსოვთ, რასაც მოხუცები წესიერ მოქცევად სთვლიან.

— იცოდე, კრისტინ, — უთხრა დედამ, — და ეგ არამც და არამც არ დაივიწყო! — რაგნფრიდი პატარა ხანს სდუმდა. — როგორც მე მივხვდი, მამაშენს ეშინია, რომ შენ ისეთი კაცი შეგიყვარდა, ვისაც დიდი სიხარულით არ მიგცემს ცოლად.

— ბიძაჩემმა რა თქვა? — პატარა ხანს მოიცადა და ჰკითხა კრისტინმა.

— ბიძაშენმა მარტო ისა თქვა, — უთხრა დედამ, — ხიუსაბიუელი ერლენდი კარგი ჩამომავლობის კაცია, მაგრამ სახელი გატეხილი აქვსო. ჰო, მას ულაპარაკნია ოსმიუნდთან და უთხოვნია ლავრანსთან სიტყვა დამაწიეო. მამაშენს გულს ია-ვარდი არ დაჰფენია ამის გაგონებაზე.

კრისტინს სიხარულისაგან სახე გაებადრა. ერლენდს ბიძაჩემთან ულაპარაკია! მე კი ისე ვიტანჯებოდი, რატომ არაფერი ამბავი არ არის ერლენდისაგან-მეთქი!

რაგნფრიდმა ისევ დაიწყო:

— კიდევ ერთი რამ უნდა გითხრა. ოსმიუნდმა სხვათა შორის ისიცა თქვა, ოსლოში ხმები დადის, თითქოს ის ერლენდი მონასტრის ახლო-

მახლო ქუჩებში დაეხეტებოდა, შენ კი გამოდიოდი და ხან ერთ, ხან მეორე ღობესთან ატუზული ელაპარაკებოდი.

— მერე? — ჰკითხა კრისტინმა.

— ოსმიუნდი კი გვირჩევს უარს ნუ ეტყვითო, ხომ გესმის,—უთხრა რაგნფრიდმა. — მაგარმ ლავრანსი ისე განრისხდა, არც კი მახსოვს ოდესმე ასეთი განრისხებული მენახოს! მამაშენმა თქვა, ისეთ საქმროს, რომელიც ორღობეებში ხვდება ჩემს ქალს, შემართული მახვილით დავხვდებიო. უმაგისოდაც უპატიოსნოდ მოვექეცით დარეს ოჯახს, მაგრამ თუ ერლენდმა დაგიყოლია ბნელაში ქუჩა-ქუჩა გერბინათ, ისიც მაშინ, როცა მონასტერში იყავი, მამაშენი ფიქრობს, ეგ იმის უტყუარი ნიშანია, რომ შენთვის ბევრად უკეთესია მაგისთანა ქმრის ყოლას ახლავე უარი უთხრა.

კრისტინმა მუხლებზე დაწყობილი ხელები ერთმანეთს მოუჭირა, ფერფური მისდიოდა და ხან წითლდებოდა, ხან ყვითლდებოდა. დედამ ერთი ხელი წელზე შემოხვია, მაგრამ კრისტინი გაუსხლტა და გააფთრებისაგან გონდაკარგულმა შეჰყვირა:

— თავი დამანებეთ, დედა! ეგებ, ხელი გინდათ შემომისვათ, განზე ხომ არ გავედი?..

წამი არ გასულა, კრისტინმა ხელი ლოყაზე მიიდო, — დაბნეული და შემკრთალი უყურებდა დედის ალმურავარდნილ სახეს. ბავშვობის მერე კრისტინისათვის არავის უცემია.

— დაჯექი, — უთხრა დედამ. — დაჯექი, — ისე გაუმეორა, რომ კრისტინი დაჯდა. რაგნფრიდი ერთხანს ენაჩავარდნილი იჯდა; მერე დაიწყო მთრთოლვარე ხმით:

— განა არ ვხედავდი, კრისტინ, ძალიან თავის დღეში არა გყვარებივარ. ვფიქრობდი, ეგებ იმის ბრალია, რომ შენ გეგონა, თითქოს მე ისე ძლიერ არ მიყვარდი, როგორც მამაშენს. მე არცა ვცდილობდი თავი შემეყვარებინა შენთვის — ვფიქრობდი, როცა მოვა დრო და შვილები ეყოლება, მაშინ გაიგებს-მეთქი...

ჯერ ისევ ძუძუს რომ გაწოვებდი, მაშინაც კი, როცა ლავრანსი მოვიდოდა, ძუძუს თავს ანებებდი და მამისაკენ მიიწევდი: იცინოდი. თან რძე ტუჩებზე ჩამოგდიოდა. ლავრანსს შენს ცქერას არაფერი ერჩივნა. ხედავს ღმერთი, მე არა ვჯავრობდი ამაზე. არც შენზე ვჯავრობდი. მამაშენი რომ მუდამ გეთამაშებოდა და იცინოდა, როცა შენა გხედავდა, ჩემდა თავად ვფიქრობდი: ისეთი პაწაწკინაა-მეთქი და

თვალზე ცრემლი არ მაშრებოდა შენი სიბრალულით. მე ვკანკალებდი, ესეც არ დავკარგო-მეთქი. სად მეცალა სიხარულით დავმტკბარიყავი, რომ შენა მყავდი, მაგრამ მხოლოდ ერთმა ღმერთმა და ქალწულმა მარიამმა იცის, რომ მე ლავრანსზე ნაკლებად არ მიყვარდი!—რაგნფრიდს ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, მაგრამ არც სახეზე, არც ხმაზე, აღელვება არ ეტყობოდა.

— ხედავდა ღმერთი, არასოდეს გული არ დამწყვეტია არც ლავრანსზე და არც შენზე. რომ ასე გიყვარდათ ერთმანეთი. ასე მეგონა, ბევრი არაფერი სიხარული მიმინიშებია ჩემი ქმრისათვის, რაც ჩვენ ერთად ვიცხოვრეთ, და მიხაროდა, რომ შენ ჰყავდი. იმასაც ეფიქრობდი, მამაჩემი ივარიც რომ ისე მომქცეოდა, როგორც კრისტინს თავისი მამა ექცევა-მეთქი...

ბევრი რამ არის ისეთი, კრისტინ, რაზედაც დედამ უნდა უთხრას შვილს, რომ შვილი გაფრთხილდეს. მე მეგონა, შენ ეს არა გჭირდებოდა, შენ, ვინც ასე ახლო იყავი მამასთან, — ხომ უნდა გცოდნოდა, რა არის სამართლიანი და კეთილშობილური, ეგ როგორ ამოუშვი პირიდან, — ნუთუ შენა გგონია, გულში კი გავიელებდი, რომ, ლავრანსს ასეთ მეხს დასცემ...

მხოლოდ ერთი რამ მინდა გითხრა, შვილო, ჩემი ნატვრაა, ისეთი ქმარი მოგცეს ღმერთმა, ვინც შენ გეყვარება. მაგრამ კეთილგონივრულად უნდა მოიქცე—ლავრანსს არ აფიქრებინო, კრისტინმა ამოირჩია ბედუკუღმართი და თანაც ისეთი ადამიანი, ვინც არც ქალის სიმშვიდესა სცემს პატივს და არც მის პატიოსნებას. მამაშენი ასეთ კაცზე არ გაგათხოვებს — ამით აშკარა თავის მოჭრასაც რომ გადაგარჩენოს. მაშინ ლავრანსი უმალ რკინას მიანდობს, დე, იმან განსაჯოს ლავრანსი და ის, ვინც შენ დაგასამარა...

ეს უთხრა რაგნფრიდმა, ადგა და განშორდა კრისტინს.

II

24 აგვისტოს, წმიდა ბართლომეს დღესასწაულის დღეს, სამხრეთ ნორვეგიაში, ტინგზე გამოაცხადეს, რომ ტახტზე ავიდა განსვენებული მეფე ხოკონის შვილიშვილი — ქალის მხრიდან! [1]

---

[1] იგულისხმება შვედეთის მცირეწლოვანი მეფე მაგნუსი.

ჩრდილოეთ გიუდბრანდსდალიდან გაგზავნილ ამორჩეულ კაცებში ბიერგიულფის შვილი, ლავრანსიც იყო. ლავრანსი ახალგაზრდობიდანვე მეფის დაახლოებულ კაცად ითვლებოდა, მაგრამ მთელი ამ წლების გახშავლობაში იშვიათად იყო რაზმში და თავის დღეში არა ცდილა ჰერცოგ ეირიკის წინააღმდეგ ლაშქრობაში სანაქებო სახელი, დამსახურებული ანგარებით გამოეყენებინა. არც ახლა იყო დიდი მოწადინებული ამ საზეიმო შეკრებაზე წასვლისა, მაგრამ უარს ვერ იტყოდა. გარდა ამისა, ამ ოლქის არჩეულ ხალხს დაავალეს შეცდილიყვნენ ხორბალი შეესყიდათ სამხრეთ ნორვეგიაში და გემით გამოეგზავნათ რეუმსდალში.

ახლომახლო სამრევლოებში მოახლოვებული ზამთრის შიშმა ხალხი დააჯავრიანა. თანაც, გლეხებისათვის რომ გეკითხათ, არც ის იყო კარგი საქმე, რომ ნორვეგიის მეფედ ისევ ბავშვი დასვეს ტახტზე. ბოხუცები იგონებდნენ იმ დროს, როცა მეფე მაგნუსი გარდაიცვალა და მცირეწლოვანი ვაჟიშვილები დატოვა; მამა ეირიკი ამბობდა: „Vae ferrae, ubi puer ret est“ [1]. ნორვეგიულად კი ასე იტყვიან: „თაგვებისაგან მოსვენება არ არის იმ სახლში, სადაც კატა ჯერ ისევ კნუტია!“

ქმრის არყოფნაში რაგნფრიდი უძღვებოდა მამულსა და ოჯახს და ორივეხთვის რაგნფრიდისთვისაც და კრისტინისთვისაც დიდი ბედნიერება იყო, რომ თავის მოსაფხანად არ ეცალათ. მთელი - იმ ოლქის მცხოვრებლები მთაში ხავსს აგროვებდნენ და ხეებს მერქანს აცლიდნენ, რადგან სულ ერთი ბეწო თივაღა ჰქონდათ დარჩენილი და ჩალა ხომ თითქმის ერთი ბღუჯაც აღარ იყო, ხოლო ივანობის შემდეგ პირუტყვისათვის ზამთრის საკვებად შეგროვილი ფოთოლი სულ გაყვითლდა და დაჭკნა. როცა ჯვართამაღლებას მამა ეირიკმა მინდვრებში ჯვარცმა გაიტანა, ლიტანიის დროს ბევრნი ტიროდნენ და ხმამაღლა ევედრებოდნენ ღმერთს, ჩვენც შეგვიბრალე და პირუტყვიც შეიბრალეო.

ერთი კვირა გავიდა ჯვართამაღლებიდან და ლავრანსიც დაბურნდა ტინგიდან.

---

[1] ეაი იმ მიწა-წყალს, სადაც ბავშვია მეფედ (ლათ.).

ძალიან გვიან იყო უკვე, ყველანი დასაძინებლად დაწოლილიყვნენ, რაგნფრიდი კი ისევ საქსოვ ოთახში იჯდა. ახლა მთელი დღე იმდენი საქმე ეყარა თავზე, რომ ხშირად შუაღამემდე ან საქსოვ დგიმთან იჯდა და ქსოვდა, ან საკერავსა ჰკერავდა. ესეც რომ არა ყოფილიყო, რაგნფრიდს ძალიან უყვარდა საქსოვ ოთახში ჯდომა. ეს, როგორც ამბობდნენ, ყველაზე ძველთაძველი შენობა იყო მთელ კარ-მიდამოზე; „ნაზღვლევსაც“ ეძახდნენ, და ხალხი ამბობდა, კერპთაყვანისმცემლობის დროინდელი შენობაა. კრისტინი და ერთი გოგო, სახელად ასტრიდი, რაგნფრიდთან ერთად კერასთან ართავდნენ.

დიდი ხანი იყო, რაც აქ ისხდნენ, ძილი წამორეოდათ და ხმას არ იღებდნენ, რომ უცებ ცხენის თქარათქური გაისმა. — ვიღაც ცხენს სველ ეზოზე ოთხით მოაჭენებდა. ასტრიდი დერეფანში გავიდა და კარიდან გაიხედა — მაშინვე უკან შემობრუნდა და ლავრანსიც თან შემოჰყვა.

ცოლმაც და შვილმაც ხელად შეატყეს ლავრანსს კარგად დაეღია, ბარბაცებდა, სასულე თვალის ლატანს ეჭიდებოდა, ვიდრე რაგნფრიდმა დასველებული ლაბადა გახადა, ქუდი მოხადა და ქამარი და მახვილი შემოხსნა.

— ხალვდანი და კოლბეინი რაღა უყავი? — ჰკითხა ცოტა შეშინებულმა რაგნფრიდმა, — თუ ისინი დატოვე და შენ აქეთ გამოუხვიე?

— არა, იმათ ლოპტსგორდშივე დავცილდი, — უთხრა ლავრანსმა და გაეცინა. — ისე მომეჩქარებოდა შინისაკენ, ვერა და ვერ მოვისვენე — ყველანი დასაძინებლად მიწვნენ-მოწვნენ, მე კი გიულდსვეინი გამოვიყვანე და შინისკენ გამოვაქროლე... ასტრიდ, საჭმელი მომიტანე რამე, — უთხრა გოგოს. — ერთბაშად წამოიღე ყველაფერი და მაშინ ღარ მოგიხდება იმ სიშორეზე წვიმაში წინ და უკან სიარული! მარდად გაინძერი, ადრიანი დილიდან არაფერი მიჭამია...

— განა ლოპტსგორდში არაფერი უჭმევიათ? — გაკვირვებულმა ჰკითხა ცოლმა.

ლავრანსი ძელსკამზე იჯდა და ტორტმანებდა, თან ულვაშებში ეცინებოდა:

— საჭმელს როგორ არ მაჭმევდნენ, მაგრამ იქ ჭამის გუნებაზე არ ვიყავი. მე და სიგიურდმა ცოტა გადავკარით, მაგრამ... მერე ვიფიქრე... ამ საღამოსვე შეიძლება შინ წასვლა და რაღა ხვალ დილამდე ვიცადომეთქი...

ასტრიდი შემოვიდა, ლუდი და საჭმელი შემოიტანა, არც მშრალი ფეხსაცმელი დავიწყებოდა თავისი პატრონისათვის.

ლავრანსმა დეზების მოხსნა დაიწყო, მაგრამ კინაღამ წინ წავარდა თავით.

— აქ მოდი, კრისტინ, — სთხოვა შვილს, — და მამაშენს დეზების მოხსნა უშველე. ვიცი, შენ ამას შენი მოსიყვარულე გულით გააკეთებ... ჰო, მოსიყვარულე გულით... დღეს...

კრისტინმა მაშინვე მამის წინ დაიჩოქა, ლავრანსმა ორივე ხელი მოჰკიდა თავზე და კრისტინის სახე თავისკენ მიაბრუნა.

— შენ კარგად იცი, ჩემო შვილო, მამაშენს შენთვის მხოლოდ კარგი სწადია, გულს არ გატკენდი, ის რომ არ ვიცოდე, ამით ბევრ უსიამოვნებას აგაცდენ მომავალში! ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ, კრისტინ, ჩვიდმეტი წელი წელს შეგისრულდა — ხალვარდობის მესამე დღეს... ჯერ ჩვიდმეტი წლისა, მეტისა არა ხარ...

კრისტინმა უშველა მამას დეზების მოხსნა. ოდნავ გაფითრებული წამოდგა ფეხზე და კვლავ ძელსკამზე დაჯდა კერასთან.

პურის ჭამაში ლავრანსს ღვინო თითქოს ცოტა გამონელდა. ლავრანსი პასუხებს აძლევდა ცოლსა და მოახლეს, ისინი ტინგის ამბებს ეკითხებოდნენ, — დიახ, ყველაფერმა მშვენივრად ჩაიარა! ფქვილის ყიდვაც მოვახერხეთ, ხორბლისაც და ალაოც ვიყიდეთ, ზოგი ოსლოში, ზოგიც ტიუნსბერგში; ყველაფერი საზღვარგარეთული იყო, შეიძლებოდა უკეთესიც ყოფილიყო, მაგრამ შეიძლებოდა უარესიც შეგვხვედროდა. ჰო, ბევრ ნათესავსა და ნაცნობს შევხვდი და ყველამ მოკითხვა დამაბარაო. მაგრამ ლავრანსი პასუხს მძიმე-მძიმედ აძლევდა და ყოველ სიტყვას დაყოვნებით ამბობდა.

— ბატონ ანდრესს ველაპარაკე გიუდმიუნდის ვაჟიშვილს, — თქვა მან, როცა ასტრიდი გავიდა,—სიმონს ახალგაზრდა მანდვიკელი ქვრივი დაუნიშნავს. ქორწილს დიუფრინში გადაიხდიან, წმ. ანდრიას ღვესასწაულის დღეებში. ამჯერად სიმონმა თვითონ მოუარა თავის საქმეს. ტიუნსბერგში გან-გან დავდიოდი ბატონ ანდრესისაგან, მაგრამ თვითონ მომძებნა—ის უნდოდა ეთქვა, ნამდვილად ვიცი, სიმონმა ფრუ ხალფრიდი პირველად წელს შუა ზაფხულში ნახაო. ჩვენი ეფიქრებოდა, არ გვგონებოდა, თითქოსდა უკვე ბდიდარ საცოლეზე ფიქრობდა იმისი შვილი, როცა ჩვენი საქმე ჩაიშალა! — ლავრანსი პატარა ხანს გაჩუმებული იჯდა, მერე ნაღვლიანად გაეცინა. — თქვენ წარმოიდგინეთ, იმ

კეთილშობილ ადამიანს ძალიან ეშინოდა, ვაითუ ამისთანა რამ იფიქრონ ჩემს ვაჟიშვილზეო.

კრისტინმა შვებით ამოისუნთქა. იფიქრა, ალბათ სწორედ ამან აღელვა მამაჩემი. ეგებ, მამაჩემს იმედი ჰქონდა, რომ ჩემი და სიმონის საქმე მაინც მოხდებოდაო. თავდაპირველად იმის შეეშინდა, ყური ხომ არაფერს მოჰკრა რაც სამხრეთში, ოსლოში ამბები გადამხდაო.

კრისტინი წამოდგა და მშობლებს ღამე მშვიდობისა უსურვა. მაგრამ მამამ უთხრა, ცოტა ხანს მოეცადა.

— კიდევ ერთი ახალი ამბავი უნდა გითხრათ,—თქვა ლავრანსმა, — შემეძლო შენთვის დამემალა, კრისტინ, მაგრამ სჯობია, თუ ყველაფერს გაიგებ. საქმე ის არის, რომ, ვინც შენ ამოირჩიე, უნდა დაიეწყო.

კრისტინი ხელებჩაშვებული და თავდახრილი იდგა. ახლა კი ახედა მამას. ტუჩებს ანძრევდა, მაგრამ ხმა არ ამოსდიოდა.

ლავრანსმა კრისტინის ცქერას ვერ გაუძლო, თვალი მოაშორა და ხელი ჩაიქნია.

— შენ თვითონ იცი, მე წინააღმდეგი არ წავიდოდი, ჭეშმარიტად რომ მჯეროდეს, ეს საქმე კეთილად დაბოლოვდება!

— რა ახალი ამბები გაიგეთ, მამა, წასული რომ იყავით? — ჰკითხა კრისტინმა წკრიალა ხმით.

— ერლენდი, ნიკულაუსის ვაჟი, და მისი ნათესავი მიუნანი, ბორდის ვაჟი, ჩემთან იყვნენ გიუნსბერგში,—მიუგო ლავრანსმა.—ბატონმა მიუნანმა შენი თავი მთხოვა ერლენდისათვის და მე უარით გავისტუმრე.

კრისტინი მძიმედ სუნთქავდა. ცოტა ხანს ასე იდგა.

— რატომ არ გინდათ ნიკულაუსის ვაჟიშვილს, ერლენდს მიმათხოვოთ? — ჰკითხა მან.

— იცი რამე იმ ადამიანისა, ვინც ქმრად გინდა? — უთხრა ლავრანსმა. — თუ შენ თვითონ ვერ მიხვედრილხარ, რა მიზეზით ვუთხარი უარი, შენთვის მაინცდამაინც სასიამოვნო არ იქნება ჩემგან გაიგო. იმისი ამბები.

— იმიტომ ხომ არ უთხარით უარი, რომ ეკლესიისგან განკვეთილი და კანონგარეშე იყო გამოცხადებული? — ჰკითხა კრისტინმა ისევ წკრიალა ხმით.

— იცი თუ არა, რად დაითხოვა სასახლიდან მეფე ხოკონმა თავისი ახლო ნათესავი ერლენდი? იცი თუ არა, რომ ის არ დაემორჩილა არქი-

ეპისკოპოსის ბრძანებას და იმიტომ განკვეთეს ეკლესიისაგან? და რომ ხორვეგიიდან მარტო არ წასულა?

— დიახ, — უთხრა კრისტინმა გაუბედავად. — მე ისიც ვიცი, რომ ის თვრამეტი წლისა, მეტისა არ იყო, როცა გაიცნო ის... თავისი საყვარელი!

— სწორედ იმისი ხნისა ვიყავი, როცა ცოლი შევირთე, — მიუგო ლავრანსმა. — და ჩემს ახალგაზრდობაში ასე ვფიქრობდი, რომ თვრამეტი წლის კაცს თავის თავზეც თვითონ უნდა ეგო პასუხი და საკუთარი და სხვისი კეთილდღეობაც დაეცვა!

კრისტინი დადუმებული იდგა.

— შენ საყვარელი უწოდე იმ ქალს, ვისთანაც ათი წელიწადი ცხოვრობდა ის და შვილებიც გაიჩინა, — უთხრა ლავრანსმა პატარა ხნის მერე. — დიდი გასახარელი იქნებოდა ჩემთვის გამეთხოვებინა შვილი ისეთი კაცზე, ვინც ცოლის შერთვამდე, წლითიწლობით ახდილად ცხოვრობდა საყვარელთან! შენ თვითონ იცი, რომ ეს უბრალო სამიჯნურო კავშირი არ იყო!

— თქვენ ასე მკაცრად არ განგისჯიათ ფრუ ოსხილდი და ბატონი ბიორნი, — ჩუმი ხმით უთხრა კრისტინმა.

— მაგრამ მაინც ვერ გეტყვი, დიდად მეპიტნავება მასთან დანათესავება-მეთქი, — მიუგო ლავრანსმა.

— მამა, განა თქვენ ისე უცოდველად გაატარეთ თქვენი ცხოვრება, რომ გადაწყვიტეთ, ესოდენ მკაცრად განსაჯოთ ერლენდი?..

— ჰხედავს ღმერთი, — მკვახედ მიუგო ლავრანსმა, — მე თვითონ ვიცი, სხვაზე ნაკლები არ შემიცოდია! მაგრამ იმიტომ, რომ ყველას გვესაჭიროება წყალობა ღვთისა, განა პირველ გამვლელს უნდა მივცე შვილი, ვისაც ჩემი შვილის ცოლად შერთვა მოეპრიანება?

— თქვენ იცით, მე მაგის თქმა არ მინდოდა, — ცხარედ მიუგო კრისტინმა. — მამა... დედილო... თქვენც ხომ იყავით ახალგაზრდები — თუ უკვე ყველაფერი დავიწყებას მიეცით; ნუთუ არ შეგიძლიათ, გაიგოთ, რა ძნელია, თავი აარიდო ცოდვას, რომელშიაც სიყვარული გითრევს?..

ლავრანსი ჭარხალივით გაწითლდა.

— არ შემიძლია, გავიგო, — მოკლედ მოუჭრა მან.

— მაშინ თქვენ არ უწყით, თუ რას სჩადიხართ, — სასოწარკვეთილმა შეჰყვირა კრისტინმა, — უკეთუ ჩემი და ერლენდის განშორება გწადიათ.

ლავრანსი კვლავ ძელსკამზე დაჯდა.

— ჯერ ჩვიდმეტი წლისა, მეტისა არა ხარ, კრისტინ, — კვლავ დაიწყო მან. — შეიძლება, შენ და იმას... ორივეს უფრო ძლიერ შეგიყვარდათ ერთმანეთი, ვიდრე მე მეგონა. მაგრამ ის არც ისე ახალგაზრდაა, რომ არ ესმოდეს... კარგი ადამიანი რომ ყოფილიყო, სიყვარულზე ლაპარაკს არ დაუწყებდა შენისთანა ნორჩ, მოუმწიფებელ ბავშვს... ხოლო ის, რომ სხვაზე იყავი დანიშნული, ეგ ხომ სულ არაფრად ჩათვალა!..

მაგრამ მე ჩემს შვილს ცოლად ვერ მივცემ ისეთ კაცს, ვინც ორი შვილი გაუჩინა სხვის კანონიერ ცოლს. იცი, რომ იმას შვილები ჰყავს?..

შენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ და ვერ გაიგებ, რომ ასეთი ავი საქმე წარმოშობს გაუთავებელ განხეთქილებას და შუღლს... ოჯახში!.. ადამიანს არ ძალუძს ზურგი შეაქციოს თავის საკუთარ ნაშობს, არც თავისი შეცდომის გამოსწორება შეუძლია — და ძნელად იპოვის გზას, რომ კაცად გამოიყვანოს თავისი უკანონო ვაჟიშვილი ან ქალი გაათხოვოს, მსახურს ან წვრილ გლეხს თუ მისცემს! და ეს ბავშვებიც — სისხლისა და ხორცისაგან არ იქნებიან შექმნილნი, რომ არ შეგიძულონ შენ და შენი შვილები...

განა არ გესმის, კრისტინ... ასეთ ცოდვებს... შესაძლოა ღმერთი უფრო ადვილად უტევებს, ვიდრე მრავალ სხვა ცოდვას, მაგრამ ასეთი ცოდვები ისე ძირფესვიანად ანგრევენ ოჯახს, რომ, მერე მორჩა, თავის დღეში ვეღარ შეაკავშირებ! მეც მომაგონდნენ ბიორნი და ოსხილდი — ჩემ წინ იდგა მიუნანი, ოსხილდის ვაჟიშვილი, თავიდან ფეხებამდის ოქროში ბრჭყვიალებს, მეფის მრჩევლებთან ერთად სათათბიროშია ვამოჭიმული, ისა და მისი ძმები ფლობენ დედისეულ მემკვიდრეობას და მთელი ეს წლები ერთხელაც არ უნახავთ სიღარიბეში ჩავარდნილი თავიანთი დედა! დიახ, და სწორედ მაგისთანა კაცი ამოირჩია შენმა მიჯნურმა შუაკაცად!..

არა, გიმეორებ, არა! შენ ვერ დაუნათესავდები მაგ ხალხს, ვერ დაუნათესავდები, ვიდრე ჩემთვის ჯერ მიწა არ დაუყრიათ გულზე!

— მაშინ დღედაღამ შეევედრები უფალს, დღედაღამ, თავისთან წამიყვანოს, უკეთუ თქვენს გადაწყვეტილებას არ შეცვლით!

— დღეს ამაოდ გავაგრძელებთ ამ ლაპარაკს, — თქვა დამშვენებულმა ლავრანსმა. — შენ სხვანაირად ფიქრობ ალბათ, მაგრამ მე მაბარია შენი ბედ-იღბალი, და ისე უნდა ვიზრუნო, რომ პასუხი არ მომეთხოვოს, წადი ახლა და დაისვენე, ჩემო კარგო.

მამამ ხელი გაუწოდა კრისტინს, მაგრამ კრისტინმა ისე დაიჭირა თავი, ვითომ ვერ დაინახა მამის გაწვდილი ხელი და აქვითინებული ოთახიდან გავიდა.

მშობლები ერთხანს დადუმებულები ისხდნენ, მერე ლავრანსმა უთხრა ცოლს:

— ცოტა ლუდს ხომ კერ მომიტან? არა, სჯობია ღვინო მომიტანო, — სთხოვა მან. — დავიღალე...

რაგნფრიდმა თხოვნა შეუსრულა. როცა ოთახში შემობრუნდა და დიდი თასით ღვინო შემოუტანა, ლავრანსს სახეზე ხელები მიეფარებინა და ისე იჯდა, ცოლს შეხედა, მერე თავშალსა და ბეჭებზე მოუსვა ხელი.

— საწყალო, დასველებულხარ! ჩემი სადღეგრძელო დალიე, რაგნფრიდ!

რაგნფრიდმა ოდნავ მოსვა ღვინო.

— აბა, დავლიოთ, — მხურვალედ უთხრა ლავრანსმა, თავისკენ მოსწია ცოლი, მუხლებზე უნდოდა დაესვა. რაგნფრიდმა უხალისოდ შეუსრულა სურვილი. ლავრანსმა უთხრა:

— შენ ხომ მხარს დამიჭერ ამ საქმეში, ჩემო ცოლო? კრისტინისთვისვე სჯობია, თუ ერთი თქმით გაიგებს, რომ იმ კაცზე აღარ უნდა იფიქროს!

— გაუჭირდება ჩვენს შვილს, — უთხრა რაგნფრიდმა.

— ჰო, მესმის ეგ, — მიუგო ლავრანსმა.

ცოტა ხანს გაჩუმებულები ისხდნენ, მერე რაგნფრიდმა ჰკითხა:

— შესახედად როგორია ის ხიუსაბიუელი ერლენდი?

— ო-ო... — მიუგო ლავრანსმა ტკეპნით, — ლამაზი ბიჭია, მაგრამ მე მგონია, მარტო იმის შნო აქვს, რომ ქალები დააგიჟოს!

კვლავ გაჩუმდნენ, მერე ისევ ლავრანსმა დაიწყო:

— მან ისე მოუარა ბატონი ნიკულაუსის დატოვებულ დიდ მემკვიდრეობას, რომ, მგონი, გაანახევრა. მაგისთანა სიძისთვის კი არა ვშრომობდი მთელი ჩემი სიცოცხლე, როცა ვცდილობდი ჩემი შვილების უზრუნველყოფას!

აღელვებული რაგნფრიდი ბოლოსა სცემდა ოთახში. ლავრანსმა განაგრძო:

— კოლბეინის მოსყიდვა სცადა ვერცხლით და ყველაზე ძალიან ეს არ მომეწონა. — იმას ჩუმად უნდა გადაეცა კრისტინისთვის ერლენდის წერილი!

— წაიკითხე ის წერილი? — ჰკითხა რაგნფრიდმა.

— არა, წერილის წაკითხვა არ ვისურვე, — მოკლედ მიუგო ლავრანსმა. — წერილი უკან ჩავაბარე ბატონ მიუნანს და ისიც ვუთხარი, რა აზრისა ვარ ასეთ საქციელზე. წერილისათვის თავისი ბეჭედიც დაესვა — არც კი ვიცი, რა ვთქვა ასეთ ბალღურ საქციელზე. ბატონმა მიუნანმა ბეჭედი მაჩვენა და ისიც მითხრა, ეს მეფე სკიულეს პირადი ბეჭედია, და ერლენდმა მემკვიდრეობით მამისაგან მიიღოო. ალბათ, უნდოდა გამეგო, თუ რა დიდი პატივია ჩემთვის, რომ ისინი მე ქალსა მთხოვენ! მაგრამ მე მგონი ბატონ მიუნანს ესმის, რომ ეს ადამიანი დასცემს მთელ ძლიერებასა და დიდებას, რომელიც ხიუსაბიუელთა გვარმა მოიხვეჭა ნიკულაუსისა და ბორდის სიცოცხლეში და ასე მხურვალედ ამიტომ ჩაერია ერლენდის საქმეში, — ერლენდს ახლა ვიღა პისცემს ცოლად იმის ჩამომავლობისა და მდგომარეობის საკადრის ქალს!

რაგნფრიდი ქმრის წინ შედგა.

— რა ვიცი, რა გითხრა, ჩემო ქმარო, მართალი ხარ თუ არა მაგაში! ჯერ ერთი, უნდა ითქვას, ახლანდელ დროში მთელი ჩვენი მაზრის დიდრონი მამულების მფლობელებს აღარც ის გავლენა აქვთ და აღარც ის პატივი, რაც იმათ მამებსა ჰქონდათ უწინ. ჩემზე უკეთ მოგეხსენება, ახლა უფრო ძნელია ადამიანისათვის სიმდიდრის შეძენა, ვიდრე წინათ — მიწის მფლობელია თუ ვაჭრობას მისდევს...

— ვიცი, ვიცი, — მოუთმენლად შეაწყვეტინა ქმარმა, — მით უფრო მეტი წინდახედულება უნდა გამოიჩინო და ისე მოუარო შენს მემკვიდრეობას!..

მაგრამ რაგნფრიდმა განაგრძო:

— იცი, კიდევ რა უნდა გითხრა. არა მგონია, ერლენდი კრისტინზე მეტი იყოს. შვედეთში შენი გვარი საუკეთესო გვარების გვერდით იხსენიება, მამაშენი და პაპაშენი ჩვენს ქვეყანაში რაინდის წოდებას ატარებდნენ. ჩემი წინაპრები კი მრავალი საუკუნის მანძილზე ლენის მფლობელები იყვნენ და ეს ტიტული მამიდან შვილზე გადადიოდა, ივარ მოხუცამდის ასე იყო, მამაჩემი და პაპაჩემი კი მხედართმთავ-

რები იყვნენ. ისე მოხდა, რომ ვერც შენა და ვერც ტრონდმა ვერც სიგელები მიიღეთ და არც მიწები გიბოძათ მეფემ. მაშინ, მე თუ მკითხავ, შეიძლება ითქვას, რომ ნიკულაუსის ვაჟს ერლენდსაც თქვენი ბედი სწვევია.

— ჩვენი ბედი რადა სწვევია! — ცხარედ მიუგო ლავრანსმა. — ერლენდს თითი რომ გაენძრია, რაინდის წოდებასაც მიიღებდა და უფლებასაც, მან კი ყველაფერი ფეხებზე დაიკიდა და მრუშობას გადაჰყვა! მაგრამ, მე ვხედავ, შენც ჩემს წინააღმდეგა ხარ. ეგებ, შენც, ოსმიუნდისა და ტრონდისა არ იყოს, ფიქრობ, რომ დიდ პატივსა მდებენ, რაკი ამ სახელოვან ხალხს უნდა ჩემი ქალი ერთ-ერთ თავიანთ ნათესავს შერთონ ცოლად?

—უკვე გითხარი, — ცოტა ცხარედ მიუგო ცოლმა. — მე მგონი, არა ღირს ფხუკიანობა, ან იმის შიში, ვაითუ ერლენდის ნათესავებს ეგონოთ, თავს ვიმცირებთ ლავრანსთან დანათესავებითო! ან ის როგორ არ გესმის: ხათრიან და ლმობიერ გოგოს გამბედაობა ეყო ჩვენი სურვილის წინააღმდეგ წასულიყო და უარი ეთქვა სიმონ დარესთვის... ან, ნუთუ ვერა ხედავ, რომ კრისტინი ველარ იცნობა, ისეა გამოცვლილი, რაც ოსლოდან ჩამოვიდა. ვერა ხედავ, მოჯადოებულივით დადის?.. განა არ გესმის, ისე უყვარს ის კაცი, რომ თუ დათმობაზე არ წახვალ, შეიძლება დიდი უბედურება დაგვატყდეს თავს?

— რისი თქმა გინდა მაგით? — ჰკითხა ლავრანსმა.

— ხდება, რომ ზოგჯერ, ესალმები ვინმეს, და არ იცი, რომ ის შენი სიძეა, — უთხრა რაგნფრიდმა.

ლავრანსი გაშეშდა; თანდათან ფერი მისდიოდა.

— შენ ხომ დედა ხარ იმისი! — ჩახლეჩილი ხმით უთხრა. — თუ შენ... თუ შენ შეამჩნიე... ნამდვილად რამე შეამჩნიე... რომ ამისთანა რამესა სწამებ საკუთარ შვილს?..

— არა, არა, — საჩქაროდ უთხრა რაგნფრიდმა. — იმის თქმა არ მინდოდა, რაც შენ იფიქრე, მაგრამ ვინ იცის, რა მოხდა, ან მომავალში რა მოხდება. ის სხვა არაფერზე ფიქრობს იმ ადამიანის სიყვარულის გარდა... ამას კი ვხედავ... და ერთ მშვენიერ დღეს შეუძლია დაგვიმტკიცოს, რომ თავის სახელსა... და თავის სიცოცხლეზე მეტად უყვარს.

ლავრანსი ფეხზე წამოიჭრა:

— ნამდვილად ჭკუაზე შეიშალე! ეგ რამ გაფიქრებინა ჩვენ საყვარელ კარგ შვილზე! იმას, რა თქმა უნდა, ცუდი არაფერი შეემთხვეო-

და მოლოზნებთან! ვიღაც მენახირე დედაკაცივით ღობის ძირას ხომ არ მიუწვებოდა ვისმეს. ხომ უნდა იფიქრო, რომ იმ კაცს ხშირად ვერსად შეხვდებოდა და ვერც ხშირად ილაპარაკებდა იმასთან — ყველაფერი, რა თქმა უნდა, გაუვლის, ეგ მხოლოდ ყმაწვილი ქალის ახირებაა, ღმერთმა იცის, როგორ მიკვდება და მეტანჯება გული, როცა ვხედავ როგორა სწუხს, მაგრამ, უნდა დამეთანხმო, დრო თავისას წაიღებს...

მეუბნები, სიცოცხლეზე და სახელზე მეტადო... აქ, ჩემს საკუთარ სახლში, შევძლებ დავიფარო ჩემი შვილი და არა მგონია, რომელიმე კარგი გვარის, ქრისტიანული სულისკვეთებით და პატიოსნური ზნე-ადათებით აღზრდილმა ქალმა ასე ადვილად დასთმოს სახელიცა და სიცოცხლეც! ეე! მაგაზე ლექსებს გამოსთქვამს ხალხი, მაგრამ ასე მგონია, როცა ქალს ან კაცს ცთუნება წასძლევს და ამისთანა რამის ჩადენას მოინდომებს, მაშინ ლექსს გამოსთქვამს ხოლმე და ამით ინუგეშებს თავს, ჩადენით კი არა სჩადის ამას... თავად შენ... — უთხრა და ცოლის წინ შეჩერდა. — ხომ იყო სხვა, ვისზედაც უფრო გინდოდა გათხოვება, როცა მე და შენ სამუდამოდ შეგვაუღლეს. როგორა გგონია, ეგრე დატრიალდებოდა შენი ცხოვრება მამაშენს რომ უფლება მოეცა, შენ თვითონ გადაგეწყვიტა, როგორ მოქცეულიყავი...

ახლა რაგნფრიდს დაედო მკვდრის ფერი.

— იესო ქრისტე, წმიდაო მარიამ! შენ ვინ გითხრა?..

— ლოპტსგორდელმა სიგიჟრდმა მითხრა, რაღაც მაგის შესახებ... სულ ახალი გადმოსულები ვიყავით მაშინ ხეობაში, — უთხრა ლავრანსმა. — მაგრამ, მე რასაც გეკითხები, შენ იმაზე მიპასუხე: როგორა ფიქრობ, უფრო ბედნიერი იქნებოდი, ივარს რომ იმ კაცზე გაეთხოვებინე?

რაგნფრიდს თავი დაბლა ჩაეღუნა და ისე იდგა.

— იმ კაცს, — თითქმის ვერ გაიგონებდი, ისე ჩუმად უპასუხა რაგნფრიდმა, — ჩემი ცოლად შერთვა არ უნდოდა! — მას გააჟრჟოლა და ჰაერში მუშტი მოიქნია.

ლავრანსმა ფრთხილად დაადო მხრებზე ხელები.

— მაშ, ეგრე იყო საქმე? — ჰკითხა გაოცებულმა და თავზარდაცემულმა და ხმაში მწუხარება და დიდი გაოცება გამოეხატა. — აი, თურმე როგორა ყოფილა საქმე... მთელი ეს წლები... იმაზე დარდობდი, რაგნფრიდ?

რაგნფრიდი მთელი ტანითა თრთოდა. ისე აძაგძაგებდა, მაგრამ ხმა ვერ ამოეღო.

— რაგნფრიდ... — ჰკითხა გაოცებულმა ლავრანსმა კვლავ სავსეს მწუხარებით, — მაგრამ მერე... ბიერგიულფი რომ მოგვიკვდა... და მერეც... როცა შენ... როცა შენ გწყუროდა... შენთან ისეთი... შმაგი ვყოფილიყავი... მე კი არ აგდევდი... მაშინ შენ სხვაზე ფიქრობდი?—დაიჩურჩულა მან შეშინებულმა, შემკრთალმა და გაწამებულმა.

— ეგ როგორ გაივლე გულში? — ჩურჩულითვე უთხრა რაგნფრიდმა და თან ცრემლებს ძლივს იმაგრებდა.

ლავრანსი შუბლით ცოლის შუბლს მიეკრო და წყნარად გააქნია თავი.

— არ ვიცი. რაგნფრიდ, ისეთი უცნაური ხარ... უცნაურია ყველაფერი ისიც, რაც ამ საღამოთი მითხარი. მე შემეშინდა, რაგნფრიდ. მე, ალბათ, ბევრი არაფერი მესმის, რა ხდება ქალის გულში...

რაგნფრიდს მკრთალმა ღიმილმა გადაუარა სახეზე და კისერზე ხელები შემოხვია ქმარს.

— ხედავს ღმერთი, ლავრანს... მოწყურებული გთხოვდი სიყვარულს, მე უფრო მეტად მიყვარდი, ვიდრე ადამიანის გულს სწადია! და ისე მძულდა ის, რომ ვგრძნობდი, როგორ ვახარებდი ეშმაკს!

— მე კარგად გექცეოდი, ჩემო ცოლო, — წყნარი ხმით უთხრა ლავრანსმა და აკოცა, — წრფელი გულით! შენც ხომ იცი ეს და მგონია, ჩვენ ტკბილად ვიცხოვრეთ ერთად... რაგნფრიდ?

— შენ იყავი საუკეთესო ქმარი უკეთესთა შორის, — უთხრა აქვითინებულმა რაგნფრიდმა, ქმარს მიეკრო და სახე მის მკერდში ჩამალა.

ლავრანსმა მაგრად ჩაიკრა გულში.

— ამაღამ სიამოვნებით დავიძინებდი შენთან, რაგნფრიდ! და შენ რომ ისეთი ცეცხლი მომიდო, როგორც ძველად, ახლა მე ისე... სულელურად აღარ მოვიქცეოდი!..

ცოლმა ოდნავ გაიწია და ქმრის მკლავებში გაირინდა.

— ახლა მარხვაა, — უთხრა რაგნფრიდმა უცნაური სიკუშტით.

— ეგ კი ეგრეა, — ლავრანსს ჩაეცინა.—მე და შენ, რაგნფრიდ, ყველა მარხვას ვინახავდით და მთელი ჩვენი სიცოცხლე ვცდილობდით ღმერთის ყველა აღთქმას ერთგულად მივყოლოდით. ახლა კი,

ასე მგონია... ვინ იცის, უფრო ბედნიერები ვყოფილიყავით, უფრო მეტი რომ შეგვეცოდა და უფრო მეტი გვქონოდა მოსანანიებელი...

— შენ არ უნდა მეუბნებოდე მაგას, — სასოწარკვეთილმა მიუგო რაგნფრიდმა და ლავრანსს საფეთქლებში თავისი გამხდარი ხელები წაავლო, — შენ კარგად იცი, მე მინდა მხოლოდ ისე მოიქცე, როგორც შენ მიგაჩნია მართებულად.

ლავრანსმა ერთხელ კიდევ ჩაიკრა გულში რაგნფრიდი და დაიგმინა.

— ღმერთი იყოს კრისტინის შევწე! და ჩვენც შეგვეწიოს ღმერთი, ჩემო რაგნფრიდ!... დავიღალე,—უთხრა და ხელი გაუშვა ცოლს. — ალბათ, შენც წახვალ დასაძინებლად!

კარებში ლავრანსი შედგა, ელოდა, ვიდრე რაგნფრიდი კერაში ცეცხლს ჩაანელებდა და საფეიქრო დაზგასთან პატარა რკინის ლამპის აბჟუტებულ პატრუქს ჩააქრობდა. ერთად გაიარეს გზა წვიმაში საცხოვრებელ სახლამდე.

ლავრანსმა შედგა კიდეც ფეხი ზემოთა ოთახისაკენ ამავალი კიბის საფეხურზე, რომ უცებ ისევ მოტრიალდა ცოლისკენ, რაგნფრიდი ჯერ ისევ დერეფნის კარებში იდგა, ერთხელ კიდევ მხურვალედ ჩაიკრა გულში და სიბნელეში აკოცა; მერე პირჯვარი გადასახა და კიბეს აჰყვა.

რაგნფრიდმა კაბა გაიხადა და ლოგინში შეწვა. ერთხანს, ლოგინში ჩაწოლილი, ქმრის ფეხის ხმას უგდებდა ყურს, ზემოთა ოთახში დადიოდა, მერე საწოლმა გაიჭრიალა და იქაურობა მიჩუმდა. რაგნფრიდმა გამხდარი ხელები დამჭკნარ მკერდზე მიიკრა.

ღმერთო, შენ მიშველე! ან რა დედაკაცი ვარ, ან დედა მქვია მე! საცაა ბებერს დამიძახებენ! და მაინც ისევ ისა ვარ, რაც ვიყავი! ახლა მოწყალებასავით აღარა ვთხოვ სიყვარულს და ალერსს, როგორც სიყმაწვილეში ვთხოვდი, ახალგაზრდები რომ ვიყავით. როცა ისე გაშმაგებული ვეძალებოდი და ვემუდარებოდი ამ ადამიანს, ვისაც ერიდებოდა, ერცხვინებოდა და სულაც არ მეკარებოდა, როცა მე მგზნებარედ ვუალერსებდი, და ყინულად იქცეოდა ხოლმე, როცა მე მინდოდა უფრო მეტი მხურვალებით მეალერსა, ვიდრე ქმარს ეკუთვნოდა. ასე ვცხოვრობდით, თავს ვიმცირებდი, ასე ვორსულდებოდი ერთმანეთზე მიყოლებით, სირცხვილისაგან გაგიჟებული, რომ ჩემს ვნებას ვერ აოკებდა მისი უნდილი ცოლქმრული ალერსი. მაგრამ როცა ქმრის

თანაგრძნობა და სიყვარული მესაჭიროებოდა. ლავრანსი არაფერს იშურებდა — მისი დაუცხრომელი ნაზი მზრუნველობა არ მაკლდა, და როცა ავად ვიყავი და ვიტანჯებოდი, ცის ნამივით ეპკურებოდა ჩემს ალმოდებულ გულს. ხალისიანად და უსაყვედუროდ კისრულობდა და ზიდავდა ჩემს წილ ტვირთს, მაგრამ რაღაც თავისას, საკუთარს თავისთვის ინახავდა, მე არ მიზიარებდა. გაგიჟებით მიყვარდა შვილები, და შვილის დაკარგვაზე მკერდიდან თითქოს ცოცხლად მგლეჯდნენ გულს, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ღმერთო. მაშ, მე ქალი მქვია, თუ ამისთანა ტანჯვა-წამებაში ჩავარდნილსაც კი შემეძლო შემეტკბო თუნდ ერთი წვეთი სიტკბოებისა, როცა ვხედავდი, რომ ლავრანსის გულსაც ისევე ჰკოდავდა ჩემი მწუხარება, როგორც ჩემსას, და როგორც მე ვიტანჯებოდი, ისე ის იტანჯებოდა!

კრისტინი... ერთს არ დავიკვნესებ, ისე ჩავარდები ცეცხლში იმის გულისთვის — მაგრამ არც ერთს, არც ლავრანსს, არც კრისტინს ეს არა სჯერა, — ფიქრობდა რაგნფრიდი. ახლა კი მაინც მრისხანებით იყო აღსავსე შვილის მიმართ, რაც სიძულვილს უფრო ჰგავდა: მხოლოდ იმიტომ მოინდომა ლავრანსმა ცოლთან ცოლქმრულ ალერსსა და სიყვარულში გაეტარებინა ეს ღამე... რომ შვილის მწუხარებით შემოწოლილი დარდი გაექარვებინა...

რაგნფრიდი ადგომას ვერა ბედავდა, არ იცოდა, ეძინა კრისტინს თუ არა. მაგრამ უჩუმრად მუხლებზე წამოიწია. საწოლის ფეხთით ფიცარს მიაყრდნო თავი, და სცადა ელოცა და უფლისთვის შეევედრებინა კრისტინი, ქმარი და თავისი თავი. და ვიდრე სიცივე ნელ-ნელა უვლიდა გაფიჩხებულ სხეულში, გონებაში კვლავ ისევ იმ ფიქრებს მიეცა, ღამე რომ შემოწვებოდა ხოლმე, და ცდილობდა, გულისთვის გზა გაეკვლია მშვიდობის სავანისაკენ...

III

ხეუგი მაღლა მთებში ხეობის ტყიან დასავლეთ ფერდობზე იყო შეფენილი. ამ მთვარიან ღამეს მთელი ქვეყნიერება თეთრად ქათქათებდა. თოვლიანი მთაგრეხილები მისდევდა ერთმანეთს, მკრთალი ლურჯი აქა-იქ მოციმციმე, ვარსკვლავებივით მობნეული ცა დაჰყუ-

რებდა. მთვარე ძალიან მაღლა მიცურავდა და თოვლით დაფარულ ვაკეზე დაცემული კლდეებისა და მწვერვალების ჩრდილებიც ბაცი და ჰაეროვანი გეჩვენებოდა.

დაბლა, მთის კალთებზე, თოვლისა და ჭირხლისაგან თეთრად გადაპენტილი საიდუმლოებით მოცული ტყე გარშემო უყურდა თოვლით დაფარულ მინდვრებსა და მინდვრებზე გაფანტულ ღობეებსა და სახლებს. ხეობის ძირში კი ჩრდილები მუქდებოდა.

ფრუ ოსხილდი ბოსლიდან გამოვიდა, კარი მიხურა და ცოტა ხანს თოვლში შედგა. მთელი ქვეყანა თეთრ საბურველშია გახვეული, შობამდე კი ჯერ სამ კვირაზე მეტია. წმინდა კლემენტის დღესასწაულზე რომ ყინვებს დაიჭერს. ეს იმის ნიშანია, ზამთარი აღარა ხუძრობს! ჰო-ო, ასე იცის მოუსავლიან წლებში...

მოხუცმა ქალმა მძიმედ ამოიოხრა — მარტონი იყვნენ ისა და უდაბნოდ ქცეული ქვეყანა. კვლავ დადგა ზამთარი, სიცივე და მარტოობა... მერე საწველელსა და ფარანს დაავლო ხელი და სახლისაკენ გასწია თან ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ხეობას.

აქედან ნახევარი გზის სავალზე, ხეობის ფერდობზე ტყიდან ოთხი შავი წერტილი გამოჩნდა: ოთხი ცხენოსანი — მთვარის შუქზე გაიბრწყინა შუბის წვერებმა, ისინი ნელი ნაბიჯით მოდიოდნენ აღმართში. რაც თოვლი დადო, ჯერ აქ ფეხი არავის დაედგა. აქეთ ხომ არ მოდიან?..

ოთხი შეიარაღებული მხედარი... ფრუ ოსხილდის არც ერთი მშვიდობიანი სტუმარი არ მოვიდოდა ამდენი ხალხის თანხლებით. გონება ზანდუკისაკენ გაუქანდა, სადაც მისი და ბიორნის ავლა-დიდება ეწყო. ეგებ ფარდულში დაიმალოს და არ გამოჩნდეს?..

თვალი მოავლო ზამთრის სამოსელში გახვეულ უდაბნოდქცეულ არემარეს და შინ შევიდა. ცეცხლის წინ გაწოლილი ორი ბებერი ძაღლი ფიცრის იატაკს კუდებს უკაკუნებდა. ლეკვები ბიორნმა თან წაიყვანა მთაში.

ოსხილდმა ღუმელში ნაკვერჩხალი გააღვივა და ზემოდან შეშა დაეყარა, თუჯია თოვლით გაავსო და ცეცხლისკენ მისწია. ხის ორკამიანში ხაძე გაწურა და დერეფნის საკუჭნაოში წაიღო.

მერე ბოსლის სუნით გაჟღენთილი შინ ნაქსოვი ხამი შალის ჭუჭყიანი ტანისამოსი გაიხადა, მუქი ლურჯი კაბა გადაიცვა. მსხვილი ტილოს თავშალი მოიხადა, თეთრი ტილოს თავსაკრავი წაიკრა და კოხტად მიაწ-

ყო ნაკეცები თავისა და კისრის გარშემო. მოთელილი ბეწვის ჩექმები გაიხადა და ვერცხლისბალთიანი ფეხსაცმელი ჩაიცვა.

მერე ოთახის მილაგებას შეუდგა — გაასწორა ბალიშები და ლოგინზე გაშლილი ტყავები, დდე ბიორნი წამოწვა და იმას დაეჭმუჭნა, ტილო გადაუსვა გრძელ მაგიდას და ბალიშებიც გაასწორა ძელსკამებზე.

ფრუ ოსხილდი ღუმელთან იდგა და ვახშმისთვის შედგმულ ფაფას ურევდა, როცა ძაღლებმა ყეფა ატეხეს. ეზოში გაისმა თქარათქური, მოსულები დერეფანში შემოვიდნენ და ერთ-ერომა შუბი ჰკრა კარს. ოსხილდმა ცეცხლთან მიდგმული კარდალა გადმოდგა, კაბაზე ხელი ჩამოისვა. კართან მივიდა, ძაღლებიც იმას გაჰყვნენ, და კარი გააღო.

მთვარის შუქით გაკაშკაშებულ ეზოში სამი ყმაწვილი კაცი იდგა და ოთხი შეჭირხლული ცხენი ეჭირა აღვირით. ხოლო დერეფანში შემოსულმა სიხარულით შესძახა:

— დეიდა ოსხილდ, რაკი შენ თვითონ გამიღე კარი, მაშინ მე უნდა გითხრა: „Ben trouvé!!"[1]

— ჩემო დსწულო, შენა ხარ? მაშინ მეც იგივეს გეტყვი! რაღას უცდი, შინ შემოდი, ვიდრე შენს მსახურებს თავლაში წავიყვან.

— შინ მარტო ხარ? —ჰკითხა ერლენდმა და ისიც თან გაჰყვა დეიდას, ვიდრე ოსხილდი გზას ასწავლიდა მის მსახურებს.

— ჰო, ბატონმა ბიორნმა მოჯამაგირე წაიყვანა და მარხილით ტყეში წავიდნენ, პირუტყვისათვის ცოტაოდენი საკვები უნდა ჩამოიტანონ, მთაში მოვაგროვეთ, — უთხრა ოსხილდმა. — მოახლე კი არა მყავს, — სიცილით დაუმატა მან.

ღიდი ხანი არ გასულა, ოთხი ახალგაზრდა კაცი მაგიდისკენ ზურგშექცეული ძელსკამზე იჯდა და მოხუც ქალს უყურებდა, ოსხილდი ოთახში უხმაუროდ და მარდად ფუსფუსებდა, ვახშამს უმზადებდა მოსულებს. მაგიდას სუფრა გადააფარა, ანთებული სანთელი დადგა მაგიდაზე, კარაქი მოიტანა, ყველი, დათვის შაშხი და თხელი ლავაშების ხორა დააყენა. სახლის ქვეშ ამოყვანილი სარდაფიდან ლუდი და თაფლუჭი ამოიტანა, ფაფა ლამაზ ხის ჯამებში ამოიღო, სუფრასთან მიიწვია სტუმრები და სთხოვა პურის ჭამას შესდგომოდნენ.

— ეს საჭმელი პირისქარად არ გაუხდება თქვენისთანა ახალგაზ-

---

[1] ხეირსა ვნახავ (ძველი ფრანგ.).

რდებს, — უთხრა ფრუ ოსხილდმა სიცილით. — მეტი რა გზაა. ერთი ქვაბი ფაფა კიდევ უნდა შევდგა. ხვალ კი სხვანაირად გაგიმასპინძლდებით — ზამთრობით სამზადი დაკეტილი მაქვს, მაშინ ვაღებ, როცა პურს ვაცხობ, ანდა, ლუდს ვადუღებ. ჩვენ ბევრნი არა ვართ, და ეგეც რომ არ იყოს, სიბერე შემომეპარა, ჩემო დისწულო!

ერლენდმა თავი გადააქნია და გაეცინა. — მან შეამჩნია, რომ მისი მსახურები ძალიან ზრდილობიანად ექცეოდნენ მოხუც ქალს, თავის დღეში არ შეუმჩნევია, ასე მოქცეოდნენ ვისმეს.

— უცნაური ქალი ხარ, დეიდაჩემო! ჩვენ რომ უკანასკნელად ვიყავით შენთან, დედაჩემი ათი წლით ახალგაზრდა იყო, ვიდრე შენა ხარ ახლა და მაინც მას უფრო მეტს მისცემდა ადამიანი, ვიდრე შენ მოგცემს ახლა!

— ჰო, ხანი ადრე დაეტყო მაგნხილდს, — წყნარი ხმით თქვა ფრუ ოსხილდმა. შენ ეს მითხარი, აქ საიდან გაჩნდი? — ჰკითხა პატარა ხნის მერე დისწულს.

— ცოტა ხანს ლეშიაში ვცხოვრობდი, ერთი მამულია აქედან ჩრდილოეთით, იქ ბინა მქონდა დაქირავებული ჩემთვის. არ ვიცი, მიხედი თუ არა, რა საქმეზე ვარ აქ, ამ თქვენს მხარეში?

— იმის თქმა გინდა, გავიგე თუ არა, რომ შენ ბიერგიულფის ვაჟიშვილის ლავრანსის ქალს მაჭანკლები გაუგზავნე იორიუნდგორდში?—ჰკითხა ფრუ ოსხილდმა.

— დიახ, — მიუგო ერლენდმა, — მე, როგორც კეთილშობილება და პატიოსნება მოითხოვს, ისე ვთხოვე ლავრანსს ქალი, ბიერგიულფის ვაჟიშვილმა ლავრანსმა კი ცივი უარი მტკიცა. ახლა, რაკი კრისტინს და მე არ გვინდა ერთმანეთს დაგვაშორონ, სხვა გზას ვერა ვხედავ, კრისტინი უნდა მოვიტაცო... მე... მე კაცი გავგზავნე ხეობაში დასაზვერად და ვიცი, რომ კრისტინის დედა სიუნდბიუში უნდა წასულიყო წმიდა კლემენტის დღესასწაულზე და ცოტა ხანს დარჩება იქ, ხოლო ლავრანსი და სხვა კაცები კონცხზე წასულან რეუმსდალში, საზამთროდ შესყიდული საქონელი უნდა გადმოიტანონ სილში.

ფრუ ოსხილდს პატარა ხანს ხმა არ ამოუღია.

— მაგ განზრახვაზე გირჩევნია ხელი აიღო, ერლენდ, — უთხრა მან. — არცა მგონია, ქალი თავისი ნებით გამოგყვეს, და შენ ხომ ძალით არ წაიყვან!

— არა, გამომყვება. ჩვენ ბევრჯერ გვილაპარაკია მაგაზე, და თვითონ კრისტინს ბევრჯერ უთხოვია წამეყვანა.

— როგორ, კრისტინმა გთხოვა, წამიყვანეო?.. — შესძახა ფრუ ოსხილდმა მერე გაეცინა. — მაგრამ, მაინც იმედი ნუ გექნება, წამოგყვეს, როცა გამოეცხადები და მოინდომებ, სიტყვა შეასრულებინო, რაკი ერთი წამოსცდა.

— წამომყვება!—მიუგო ერლენდმა.—ჰოდა, ვიფიქრე, დეიდაჩემო, ხომ არავის გაგზავნი იორიუნდგორდში და არ შეუთვლი კრისტინს, ასე, ერთი კვირით, ვიდრე მშობლები წასულები იქნებიან, სტუმრად გეწვიოს? მაშინ, სანამ ვინმე შეამჩნევს, რომ კრისტინი შინ არ არის, ჩვენ მოვასწრებთ ხამარამდე ჩასვლას,—უთხრა ერლენდმა.

ფრუ ოსხილდმა უპასუხა, თან შიგადაშიგ ეცინებოდა:

— ის კი აღარ იფიქრე, დეიდაჩემსა და ბიორნს მოუხდებათ პასუხის გაცემა, როცა ლავრანსი მოვა და მოგვთხოვს, ჩემი ქალი რა უყავითო?

— ეგეც ვიფიქრე, — მიუგო ერლენდმა. — თქვენც უთხარით, ოთხი შეიარაღებული კაცი მოვიდა და ქალი თავის ნებით გაჰყვა-თქო.

— მე ხელს არ შეგიწყობ მაგ საქმეში, — ცხარედ უთხრა ფრუ ოსხილდმა. — ლავრანსი ჩვენი ერთგული მეგობარი იყო მრავალი წელი, ისიც და ივისი ცოლიც ღირსეული ადამიანები არიან, და მე ხელს არ შეგიწყობ, რომ ისინი მოატყუო და შეარცხვინო. თავი გაანებე იმ გოგოს, ერლენდ! დროა შენს ნათესავებს შენს ჩადენილ სხვა საგმირო საქმეებზე გააგონო რამე, გარდა მოტაცებული ქალებით საზღვარზე აქეთ-იქით სირბილისა...

— ამაზე მე და შენ პირისპირ უნდა მოვილაპარაკოთ, დეიდაჩემო, — მორჩილად მიუგო ერლენდმა.

ფრუ ოსხილდმა სანთელი აიღო, საკუჭნაოში გავიდა და კარი ჩაკეტა, ფრუ ოსხილდი ფქვილით სავსე კიდობანზე ჩამოჯდა; ერლენდს კი ხელები სარტყელში ჩაეწყო, ფეხზე იდგა და ოსხილდს ზემოდან დასცქეროდა.

— აგრეთვე შეგიძლია უთხრა ლავრანსს, მამა იონმა გერდარიუდში ჯვარი გადასწერა, სანამ შვეციისკენ ხოკონის ქალიშვილ ფრუ ინგებიერგისკენ გასწევდნენ-თქო.

— კარგი, — მიუგო ფრუ ოსხილდმა. — მერე დარწმუნებული ხარ,

რომ ფრუ ინგებიერგი კარგა მიგიღებთ. როცა მოულოდნელად წყვილად გამოეცხადებით?

— ტიუნსბერგში[1] ველაპარაკე, — უთხრა ერლენდმა. — როგორც ძვირფასი ნათესავი ისე მიმიღო და მადლობა გადამიხადა, როცა ჩემი სამსახური შევთავაზე თუნდ აქ, თუნდ შვედეთში. ხოლო მიუნანი დამპირდა, წერილს გაგატან ინგებიერგთანო.

— შენ ისიც კარგად იცი,—უთხრა ფრუ ოსხილდმა,—მღვდელიც რომ იშოვო, ვინც ჯვარს გადაგწერთ, კრისტინს მაინც აღარავითარი უფლება აღარ ექნება მემკვიდრეობაზე მამის სიკვდილის შემდეგ. არც იმის შვილებს ჩათვლიან შენს კანონიერ მემკვიდრეებად. ისიც საეჭვოა, რომ კრისტინი შენს კანონიერ ცოლად ჩათვალონ!

— შესაძლოა აქ, ნორვეგიაში არ ჩათვალონ ჩემს კანონიერ ცოლად! სწორედ ეგეც არის ერთ-ერთი მიზეზი ჩემი შვედეთში გაქცევისა. კრისტინის წინაპარმა ლავრენტიუს ლაგმანმაც სწორედ ეგრე დაიწერა ჯვარი ბენგტეზე — ისინი ხომ არცა ღირსებიან ბენგტეს ძმის თანხმობას და მაინც ბენგტეს იმის კანონიერ ცოლადა თვლიდნენ...

— ლავრენტიუსი და ბენგტე უშვილოები იყვნენ, — მიუგო ფრუ ოსხილდმა. — ნუთუ გგონია, რომ შენი სიკვდილის შემდეგ ჩემი ვაჟიშვილები არ წამოედავებიან შენს მემკვიდრეობას, თუ კრისტინს შვილები დარჩა, და სადავოდ არ გახდიან შენი კანონიერი შვილები არიან თუ არა?

— მაგას უსამართლოდ ამბობ მიუნანზე, — მიუგო ერლენდმა. — შენს სხვა შვილებს მე არ ვიცნობ, — მავრამ მე ვიცი, შენ საბაბი გაქვს გაჰკიცხო ისინი! მიუნანი კი მუდამ ჩემი ერთგული ნათესავი იყო და ძალიანაც არის მოწადინებული ცოლი შევირთო. ის იყო ჩემი მაჭანკალი ლავრანსთან. მაგრამ მე შემიძლია ჩვენი, ჩემი და კრისტინის შვილები ჩემს კანონიერ შვილებად ვაღიარო და ჩემი გვარი მივცე...

— სწორედ მაგით სამუდამოდ საყვარლის სახელი შერჩება იმათ დედას, — უთხრა ფრუ ოსხილდმა, — მაგრამ მაინც ვერ გამიგია, ისეთი წუნარი და მორიდებული, როგორიც იონია, ხელგეს ვაჟიშვილი, როგორა ბედავს უკანონოდ დაგწეროთ ჯვარი და არ ერიდება უსიამოვნებას, რომელიც შეიძლება მაგის გულისთვის შეხვდეს ეპისკოპოსისაგან?

---

[1] ტიუნსბერგში გარდაიცვალა ხოკონ XV, ინგებიერგის მამა.

— აღსარება ვუთხარი ამ ზაფხულს იონს, — შეგუდული ხმით ჩაილაპარაკა ერლენდმა.—და მაშინ დამპირდა, მე დაგწერთ ჯვარს, თუ სხვა გზა არ იქნებაო!

— ოჰ, მაშ, ეგრეა საქმე, — გაიკვირვა ფრუ ოსხილდმა. — მაშინ დიდი ცოდო ჩაგიდენია, ერლენდ! კრისტინი მყუდროდ ცხოვრობდა თავის დედ-მამის ოჯახში; გადაწყვეტილი იყო კარგი ჩამომავლობის მშვენიერ და ღირსეულ კაცზე გაეთხოვებინათ.

— კრისტინმა კი მიამბო, — ჩაილაპარაკა ერლენდმა, — თითქოს შენ გეთქვას, შენ და ერლენდი ძალიან შესაფერისები იქნებით ერთმანეთისაო. სიმონი, ანდრესის შვილი კი შენ ქმრად არ შეგფერისო.

— ოჰ, ვუთხარი, ვუთხარი! — სიტყვა გააწყვეტინა დეიდამ. — მერე რა, რომ ოდესღაც რაღაც წამომცდა!.. ვერ გამიგია, ასე ადვილად როგორ მიაღწიეს საწადელს კრისტინთან! მაინცდამაინც არც ისე ხშირად შეგეძლოთ შეხვედროდით ერთმანეთს. და თავის დღეში ვერ დავიჯერებდი, თუ ასე ადვილი იქნებოდა იმ გოგოს დამორჩილება...

— ოსლოში ვხვდებოდით ერთმანეთს, — უთხრა ერლენდმა. — მერე ბიძასთან იყო სტურმად გერდარიუდში. ტყეში გამოდიოდა ჩემთან შესახვედრად. — ერლენდმა თვალები დახარა და ოდნავ გასაგონად თქვა: — იქ სულ მარტონი ვიყავით და იქ იყო ხოლმე ჩემი...

ამის გაგონებაზე ფრუ ოსხილდი გველნაკბენივით წამოვარდა, ერლენდმა უფრო დაბლა ჩაღუნა თავი.

— მაგის შემდეგ... მაგის შემდეგ ისევ მეგობრობდა შენთან კრისტინი? — დაეჭვებულმა ჰკითხა ოსხილდმა.

— დიახ. — ერლენდს მკრთალი ღიმილი აუთრთოლდა სახეზე. — მას აქეთ ვმეგობრობდით და ისე აღარ უმძიმდა ის ამბავი... მაგრამ იმის ბრალი არ არის! მაშინ იყო ხწორედ, რომ მოინდომა ჩემთან წამეყვანა, არ უნდოდა თავის მშობლებთან დაბრუნება...

— მერე შენ არ მოინდომე?

— არა, მე მინდოდა ვცდილიყავი, მამის თანხმობით წამეყვანა ცოლად!

— დიდი ხანია, რაც ეგ ამბავი მოხდა? — ჰკითხა ფრუ ოსხილდმა.

— ამ ერთი წლის წინათ, წმ. ლავრანსის დღესასწაული დგებოდა, — მიუგო ერლენდმა.

— მაინცადამაინც დიდად არ გიჩქარია მაჭანკლების გაგზავნა. — უსაყვედურა დეიდამ.

— ის ჯერ ისევ სხვის დანიშნულად ითვლებოდა, — მიუგო ერლენდმა.

— მას შემდეგ კიდევ იყო კრისტინი შენი?— ჰკითხა ოსხილდმა.

— ჩვენ მოვახერხეთ და რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს...—ერლენდს კვლავ გადაუარა სახეზე გაუბედავმა ღიმილმა. — ერთ-ერთ საზოგადო სახლში...

— უი, ღმერთო ჩემო, — შესძახა ოსხილდმა. — რითაც კი შევძლებ, დაგეხმარებით, მესმის, კრისტინს მეტისმეტად გაუჭირდება მშობლებთან ცხოვრება, როცა ასე მძიმე ტვირთად აწევს ეგ ამბავი. სხვაც ხომ არაფერი მომხდარა?

— არა, რამდენადაც ვიცი, — მოკლედ უთხრა ერლენდმა.

— ნუთუ ის არ გიფიქრია, — ჰკითხა ფრუ ოსხილდმა პატარა ხნის შემდეგ, — რომ ხეობაში კრისტინს ყველგან ჰყავს მეგობრები და ნათესავები?

— მაშინ ისე უნდა ვიაროთ, არავინ გაიგოს, რამდენადაც მოხერხდება, — უთხრა ერლენდმა. — ამიტომ, საჩქაროდ უნდა გავემგზავროთ, შოვშორდეთ აქაურობას, ვიდრე ლავრანსი დაბრუნდება. მარხილი შენ უნდა გვათხოვო, დეიდაჩემო.

ოსხილდმა მხრები აიჩეჩა.

— დაგავიწყდა კრისტინის სკუგელი ბიძა... ვთქვათ, იმის ყურამდე მივიდა, რომ იმის ძმისწული შეირთე და ქორწილს იხდი გერდარიუდში?

— ოსმიუნდმა სიტყვა დამაწია ლავრანსთან, — უთხრა ერლენდმა. — რა თქმა უნდა, ის ჩვენს საქმეში ვერ ჩაერევა, ეგ ეგრეა; მაგრამ ალბათ თვალებს დახუჭავს; მეტი რა გზა გვაქვს, ღამე უნდა მივადგეთ მღვდელს და ღამევე უნდა გავაგრძელოთ გზა და მე მგონია, ოსმიუნდი მერე კი ეტყვის ლავრანსს, შენისთანა ღვთისმოშიშ ადამიანს არ შეჰფერის მათი დაშორება, როცა მღვდელმა უკვე ჯვარი გადასწერა და ამიტომ გირჩევნია თანხმობა მისცეო, მაშინ ჩვენ კანონიერი ცოლ-ქმარი გავხდებით. შენც იგივე უნდა ურჩიო ლავრანსს. დაე, რა პირობაც უნდა, დამიდოს შესარიგებლად და ისეთი ჯარიმა მომთხოვოს, რომელსაც ღირსეულად ჩათვლის!

— არა მგონია, ამისთანა საქმეში ლავრანსმა რჩევა მოისმინოს, — თქვა ფრუ ოსხილდმა. — ხედავს ღმერთი და წმიდა ულავიც, რაღაც ჭკუაში არ მიჯდება ეგ შენი ამბავი, ჩემო დისწულო! მაგრამ მესმის, რომ ეგ ერთადერთი გამოსავალია, რომელსაც შეგიძლია მიმართო, თუ

გინდა გამოასწორო ის ბოროტება, რაც კრისტინს მიაყენე! ხვალ მე თვითონ წავალ იორიუნდგორდში, თუ ერთ-ერთ შენს მსახურს გამატან; ჩვენ ზემოთ მთაზე ინგრიდი ცხოვრობს და იმასა ვთხოვ, ვიდრე შინ არ ვიქნები, ძროხებს მიმიხედოს.

ფრუ ოსხილდი მეორე საღამოს ჩავიდა იორიუნდგორდში, ჯერ ისევ დღის შუქი იდგა, მაგრამ მთვარეც ამოვიდა. სტუმარს ეზოში გამოეგება კრისტინი, და მაშინვე თვალში ეცა ოსხილდს, როგორ დაჰკარგოდა ფერი კრისტინს და ლოყებიც ჩასცვივნოდა.

ოსხილდი ღუმელთან იჯდა და კრისტინის ორ უმცროს დას ეთამაშებოდა. თან თვალს აპარებდა კრისტინისკენ, ის სუფრასა შლიდა. ძალიან გამხდარიყო და დადინჯებულიყო. კრისტინი წინათაც მუდამ წყნარი ხასიათისა იყო, იმის ხმას ვერავინ გაიგონებდა, მაგრამ ახლა რაღაც სხვანაირად გარინდებულიყო. ფრუ ოსხილდი მიხვდა, კრისტინს დარდი აწუხებდა და ამ დარდს ებრძოდა, ამიტომ იყო ასე გაკერპებული და გაჩუმებული.

— თქვენ, ალბათ, გაიგეთ, — ოსხილდთან მივიდა და უთხრა კრისტინმა, — რაც აქ მოხდა ამ შემოდგომაზე.

— ჰო, გავიგე, ჩემმა დისწულმა რომ მაჭანკლები გამოგიგზავნა?

— ნეტავი გახსოვთ, — ჰკითხა კრისტინმა, — ერთხელ მითხარით, შენ და ერლენდი ერთმანეთის შესაფერისი იქნებოდით, მაგრამ შენი ოჯახი ვერც სიმდიდრით მოვა იმასთან და ვერც ჩამომავლობითო.

— ლავრანსი კი თურმე სულ სხვა აზრისაა, — ცივად მიუგო ფრუ ოსხილდმა.

კრისტინს თვალები გაუბრწყინდა და ოდნავ გაეღიმა. „დიახაც, ერლენდის დასაწუნი ქალი არ არის, — გაიფიქრა ფრუ ოსხილდმა, — ძალიანაც არ მესიამოვნება, მაგრამ მეც ისე უნდა მოვიქცე, როგორც ერლენდი მთხოვს, და დასახმარებლად ხელი გავუწოდოო“.

კრისტინმა მშობლების საწოლზე გაუშალა ლოგინი სტუმარს და ფრუ ოსხილდმა სთხოვა ყმაწვილ ქალს დასაძინებლად იმასთან ერთად დაწოლილიყო. როცა დაწვნენ და ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, ფრუ ოსხილდმა უთხრა, რისთვისაც იყო ჩამოსული.

უცნაურად ღაუმძიმდა გული ოსხილდს, როცა დაინახა, რომ ყმაწვილი ქალი თითქოს სულაც არა ფიქრობდა, რა მწუხარებას მიაყენებდა თავის მშობლებს. „მწუხარებასა და ტანჯვაში მაინც ოც წელზე მეტი გავატარე ბორდთან, — გაიფიქრა ფრუ ოსხილდმა. — მაგრამ, ეტყობა, ჯველანი ერთნაირები ვართ!“ თითქოს კრისტინი ვერც კი ამჩნევდა, რა ძალიან გაჰხარიყო და დასუსტებულიყო ულვხილდი ამ შემოდგომაზე. ოსხილდი ფიქრობდა, ალბათ კრისტინი თავის დას ცოცხალს ვეღარა ხახავსო! მაგრამ ამაზე ხმა არ ამოუღია. ვგონებ, რაც უფრო დიდხანს იქნება კრისტინი ასე უსაზღვროდ გახარებული, მით უკეთესია.

კრისტინი წამოდგა, სიბნელეში მთელი თავისი სამკაულები ზარდახში ჩააწყო და ლოგინისკენ წამოიღო. მაშინ ფრუ ოსხილდმა მაინც უთხრა:

— ასეა თუ ისე, მე მგონი, მაინც უკეთესი იქნებოდა, ერლენდი მამაშენის ჩამოსვლის მერე ჩამოსულიყო აქ, გულახდილად უთხრას, რა სიბოროტეც მოგაყენა, და ლავრანსს მიანდოს, როგორც უნდა, ისე გადაწყვიტოს.

— მე მგონია, ეგ რომ გაეგო, მამაჩემი მოკლავდა ერლენდს,—უთხრა კრისტინმა.

— ლავრანსი არ იზამდა მაგას, თუ ერლენდი არ აღმართავდა მახვილს თავისი სიმამრის წინააღმდეგ, — მიუგო ფრუ ოსხილდმა.

— მე არ მინდა, ერლენდი ასე დამცირდეს, — უთხრა კრისტინმა, — მე არ მინდა მამაჩემმა იცოდეს, რომ ერლენდმა ხელი დამაკარა, ვიდრე კეთილშობილურად და პატიოსნად სთხოვდა მამაჩემს ჩემს თავს.

—შენა გგონია, მამაშენს ნაკლებად განარისხებს. — ჰკითხა ოსხილდმა, — შენი გაქცევა ერლენდთან ერთად სახლიდან, და, შენა გგონია, ამას უფრო ადვილად გადაიტანს? კანონის თანახმად შენ ერლენდის საკუთარად ჩაგთვლიან, სანამ მამაშენის თანხმობა არ გექნება და ისე იცხოვრებ ერლენდთან.

— ეგ უკვე სხვა საქმეა, — უთხრა კრისტინმა, — ვიქნები თუ არ ვიქნები ერლენდის საკუთარელი, თუკი კანონიერი გზით ვერ შემირთავს ცოლად!

ფრუ ოსხილდი გაჩუმდა. ის ფიქრობდა: სახეში როგორღა შევხედო ლავრანსს, როცა შინ დაბრუნდება და თავისი ქალის მოტაცების ამბავს გაიგებსო.

მაშინ კრისტინმა უთხრა:

— მე მესმის, ფრუ ოსხილდ, თქვენ ფიქრობთ, რა ცუდი შვილი ყოფილაო, მაგრამ სწორედ იმ დროიდან, რაც მამა ტინგიდან დაბრუნდა, ყოველი დღე წამებად იქცა ჩემთვისაც და მამაჩემისთვისაც, ყველასთვის უკეთესი იქნება, თუ ყველაფერ ამას ბოლო მოეღება.

მეორე დღეს ისინი დილაადრიან წამოვიდნენ იორიუნდგორდიდან და, შუადღე ახალი გადასული იყო, ხეუგს რომ ავიდნენ. ერლენდი ეზოში დახვდათ. კრისტინი გულში ჩაეკრა ერლენდს, ის სულ არ მორიდებია მსახურს, რომელიც იმასა და ფრუ ოსხილდს გამოჰყვა.

სახლში შესული კრისტინი ბიორნს მიესალმა, გიუნარის ვაჟიშვილს, მერე ერლენდის ორ მსახურს ისე მიესალმა, როგორც კარგ ნაცნობებს. ფრუ ოსხილდს იოტისოდენა მორიდება ან შიში არ შეუმჩნევია კრისტინისთვის. ხოლო მერე, როცა ყველანი სუფრას მიუსხდნენ და ერლენდი თავის გეგმას აცნობდა, კრისტინიც ჩაურთავდა ხოლმე სიტყვას საერთო საუბარში და რჩევასაც იძლეოდა, რომელი გზით აჯობებდა წასვლა: ხეუგიდან მეორე საღამოს მოგვიანებით უნდა გასულიყვნენ, რომ როსტას ხეობამდე მიეღწიათ, როცა მთვარე ჩავიდოდა, სილი ბნელში უნდა გაევლოთ და ლოპტსგორდისთვისაც სიბნელეში ჩაევლოთ, იქიდან კი მდინარე ოტას აღმა აპყოლოდნენ ხიდამდის და მდინარე ოტასა და ლოგენის დასავლეთ ნაპირებით შარაგზით ეევლოთ უდაბურ ადგილებზე, სანამ ცხენები ივლიდნენ. დღისით ტყით დაფარულ ფერდობებზე ერთ-ერთ გაზაფხულის სეტერზე უნდა მოეცადათ. „იმიტომ, რომ ხოლედის ტინგის მაზრაში შეიძლება ისეთ ხალხს წავაწყდეთ, ვინც მე მიცნობსო!“ — თქვა ერლენდმა.

— მერე, ცხენების საკვებზე იზრუნე? — ჰკითხა ფრუ ოსხილდმა ერლენდს. — არ შეიძლება თივა მოჰპაროთ ხალხს გაზაფხულის საძოვრებზე, ისიც ამისთანა მოუსავლიან წელიწადში, — თუკი აქვთ იქ თივა, — ან ის თუ იცი, რომ წელს ჩვენს ხეობაში ვერავისთან იშოვი საყიდლად საკვებს?

— მაგაზე ვიფიქრე, — მიუგო კრისტინმა. — თქვენ უნდა გვასესხოთ სამი დღის სამყოფი საკვები ცხენებისთვის და საჭმელი ჩვენთვის. სწორედ ამიტომ არა ღირს ყველას ერთად გამგზავრება, მეტისმეტად ბევრნი ვიქნებით, — ერლენდმა უკან, ხიუსაბიუში გაისტუმროს იონი. ტრონდჰეიმის ოლქში უფრო კარგი მოსავალი მოვიდა წელს და ალბათ

ზობამდე მოვახერხებთ რამდენიმე ურემი თივა გადმოვიტანოთ მთაზე.[1] მრევლის სამხრეთ ნაწილში ღარიბი ხალხი სახლობს; ძალიან მინდა, ფრუ ოსხილდ, ჩემი და ერლენდის სახელით მოწყალება მისცეთ და დახმარება გაუწიოთ.

ბიორნმა უსიამოდ გადაიხარხარა. ფრუ ოსხილდმა თავი გადააქნია. ერლენდის მსახურმა ულვმა კი ასწია შავგვრემანი ეაკკაცური სახე და კრისტინს მეტისმეტად უტიფარი ღიმილით შეხედა:

— ხიუსაბიუში თავისდღეში მოჭარბებულად არაფერია, კრისტინ. ლავრანსის ასულო, არც მოსავლიან წელიწადს, არც მოუსავლიანს. მაგრამ, შესაძლოა ყველაფერი სხვანაირად დატრიალდეს, როცა თქვენ შეუდგებით მამულის მოვლას. თქვენს ლაპარაკს რომ ვუგდებ ყურს, სწორედ ისეთი დიასახლისი ყოფილხართ, როგორიც ერლენდს ესაჭიროება.

კრისტინმა მშვიდად დაუქნია თავი ულვს და განაგრძო, საჭირო იქნება, რამდენადაც შეეძლებთ, შარაგზით სიარულს ვერიდოთ. და, ჩემის აზრით, გონივრული არ იქნება გეზი ხამარისკენ ავიღოთო. ერლენდმა ამაზე უპასუხა, ხამარში ხომ მიუნანი უნდა ვნახოთ და — ჰერცოგის მეუღლესთან წერილი გამოვართვათო.

— მაშინ ფაგაბერგთან ულვმა ბატონი მიუნანისკენ გადაუხვიოს, ჩვენ კი მიოსენის ტბიდან დასავლეთისკენ წავალთ, პირდაპირ ლანდს გადავჭრით, ასაქცევი გზებით ხადელანდზე გავივლით და ხაკედალის ხეობაში ჩავალთ. იქიდან, როგორც ბიძაჩემისაგან გამიგონია, მგონი სამხრეთით მაგრეტადალისკენ ისეთი მიყრუებული გზა მიდის, იშვიათად შეხვდები მგზავრს. გონივრული არ იქნება რეუმარიკზე გავიაროთ ახლა, როცა დიუფრინში დიდი ამბით შეუდგებიან ქორწილის გადახდას, — სიცილით თქვა მან.

ერლენდი უკანიდან მივიდა კრისტინთან და მხრებზე მოხვია ხელები, ხოლო კრისტინს სულაც არ მიუქცევია ყურადღება იქ მყოფთათვის, უკან გადაიწია და ერლენდს მიეკრო. ფრუ ოსხილდმა გაჯავრებულმა უთხრა:

— ვინ დაიჯერებს რომ შენ პირველად მირბიხარ სახლიდან!

ბიორნმა კვლავ გადაიხარხარა.

პატარა ხნის მერე ფრუ ოსხილდი წამოდგა, სამზარეულოში უნდა

---

[1] ესე იგი, ხიუსაბიუდან.

გასულიყო საჭმლის მოსამზადებლად. იქ ადრევე დაანთო კერაში ცეცხლი რადგან ერლენდის მსახურები იქ უნდა დაწოლილიყვნენ დასაძინებლად. ფრუ ოსხილდმა კრისტინს სთხოვა თან გაჰყოლოდა სამზარეულოში.

— იმიტომ მიმყევხარ, რომ შემეძლოს დავიფიცო ლავრანსთან, რომ ერთი წამით მარტონი არ დარჩენილხართ შენ და ერლენდი ჩემს სახლში! — გაჯავრებულმა უთხრა კრისტინს.

კრისტინს გაეცინა და ოსხილდს გაჰყვა უკან. მალე ერლენდიც იქ შეუყიალდა. სამფეხა სკამი კერასთან მიდგა და ზედ გამოიჭიმა. კერასთან ჩამომჯდარი ხელს უშლიდა ქალებს თავიანთი საქმე გაეკეთებინათ. რამდენჯერაც წინ გაურბენდა თავისი საქმით გართული კრისტინი, იმდენჯერ ხელსა სტაცებდა. ბოლოს ერლენდმა კრისტინი თავისკენ მიიზიდა და მუხლებზე დაისვა.

— მართალი გითხრა ულვმა, შენ ისეთი დიასახლისი ხარ, როგორიც მე მჭირდება!

— ოჰ, დიახ! — გაჯავრებულმა, სევდიანი სიცილით უთხრა ოსხილდმა, — ბედი გეწია, რომ კრისტინისთანა ქალი შეგხვდა. ამ უჭკუოდ დაწყებულ საქმეში კრისტინმა შეიძლება ყველაფერი დაკარგოს — შენ კი თითქმის დასაკარგი აღარაფერი გაქვს.

— ეგ მართალია, — მიუგო ერლენდმა. — მაგრამ მე ხომ დავამტკიცე, რომ კანონიერი გზით მინდოდა მისი შერთვა. მაშ, ეგრე ნუღარა ჯავრობ, დეიდა ოსხილდ!

— როგორ არ უნდა გავჯავრდე? — მიუგო ფრუ ოსხილდმა. — ეს არის მოაწესრიგე შენი საქმეები და ისევ ძველებურად აირიე ცხოვრება, კვლავ თავი უნდა მიანებო ყველაფერს და ქალთან ერთად გაიქცე!

— ნუ გავიწყდება, დეიდაჩემო, — უთხრა ერლენდმა, — მუდამ ისე იყო, რომ ყველაზე უარესი კაცები კი არ გაებმოდნენ ხოლმე ქალების გულისთვის დავიდარაბაში, — ამას გვეუბნება ყველა საგა...

— უფალო, შეგვიწყალე, — თქვა ოსხილდმა. სახეზე ახალგაზრდული იერი დაედო და ალერსი გამოეხატა.—ეგ სიტყვები მე წინათაც გამიგონია, ერლენდ! — თავზე ხელები მოხვია ერლენდს და თმა მოუჩეჩა.

სწორედ ამ დროს ულვმა ყურთამდე გააღო კარი, შემოვიდა და მაშინვე მოხურა.

— აქ სტუმარი გვეწვია, ერლენდ... ვის ნახვასაც მგონი ყველაფერი გერჩივნა!

— ლავრახსი მოვიდა, ბიერგიულფის ვაჟი? — ჰკითხა ერლენდმა და ზეზე წამოიჭრა.

— კარგი იქნებოდა, ეგრე ყოფილიყო! — ელინა ჩამოვიდა, ორმის ასული.

გარედან ვილაცამ მოსწია კარს და გააღო; შემოსულმა ქალმა ხელი ჰკრა ულვს და წინ შუქზე წამოდგა. კრისტინმა ერლენდს შეხედა. ერლენდი ჯერ ჩაიფერფლა, მერე წელში გასწორდა და ჭარხალივით გაწითლდა.

— რა ეშმაკმა მოგიყვანა, აქ რა გინდა?

ამ დროს ფრუ ოსხილდი წამოდგა წინ და სტუმარს უთხრა:

— ოთახში გამომყევით, ელინა, ორმის ასულო; ჩვენი ოჯახი, ასე თუ ისე, იმდენად მისდევს ზრდილობის წესებს, რომ სტუმარი სამზარეულოში არ მიიღოს!

— მე იმას არ მოველი, ფრუ ოსხილდ, — მიუგო ქალმა, — რომ ერლენდის ნათესავებმა სტუმარივით მიმიღონ, შენ მკითხე ერლენდ, საიდან ჩამოხვედიო? მე ხიუსაბიუდან ჩამოვედი, მაგას შენ თვითონაც უნდა მიხვედრილიყავი. მოკითხვა შემოგითვალეს ორმმა და მარგრეტმა — ისინი კარგად არიან.

ერლენდს პასუხი არ მიუცია.

— რაკი გავიგე, გისიურისთვის, არნფიხის ვაჟიშვილისთვის დაგივალებია ფულის მოკრეფა და კვლავ სამხრეთისაკენ აპირებ წასვლას, — განაგრძო მან. — ვიფიქრე, ამჯერად, სხვაგან სად იქნება, ალბათ, თავის ნათესავებთან ჩამოხდა-მეთქი, გიუდბრანდსდალში. ვიცოდი, რომ ძაჭანკლები გაუგზავნე ივათი მეზობლის ქალს.

ახლა პირველად შეხედა კრისტინს ელინამ და თვალი თვალში გაუყარა ყმაწვილ ქალს. კრისტინს ფერი აღარ ედო, მაგრამ მშვიდად და დაკვირვებით უყურებდა ელინას.

ვგონებ ვერაფერი შეარყევდა კრისტინის სიმშვიდეს. ის მაშინვე მიხვდა ამას, გაიგო თუ არა, ვინც ჩამოვიდა; ეს აზრი იყო სწორედ, რომელსაც მუდამ იშორებდა; უნდოდა ჩაეხშო, მუდამ იმასა ცდილობდა არ ეფიქრა იმაზე, სულ ჩამოსცილდა ერლენდი ყოფილ საყვარელს თუ არა, ახლა კი მოულოდნელად თავზე დააღგნენ. ამის მერე ამაო იყო ბრძოლა. მაგრამ კრისტინი შეწყალებას არა თხოულობდა.

კრისტინი ხედავდა, რომ ორმის ასული ელინა, თუმც ახალგაზრდა არ ეთქმოდა, მაგრამ მაინც ლამაზი იყო, ხოლო ერთ დროს კალმით ნახატი იქნებოდა. ელინამ უკან გადაიგდო ლაბადის კაპიუშონი. კოხტა, მრგვალი თავი ჰქონდა, მკვეთრი ნაკვთები, ოდნავ წამოწეული ყვრიმალის ძვლები, მაგრამ ყველასათვის აშკარა იყო, რომ ოდესღაც ნამდვილი მზეთუნახავი უნდა ყოფილიყო. თავშალი მარტო კეფას უფარავდა; ელინა თან ლაპარაკობდა, თან თავშლის ქვეშ იწევდა შუბლზე ჩამოშლილ ოქროსფერ ტალღასავით თმას. კრისტინს ჯერ ქალი არ ენახა, რომ ამისთანა დიდრონი თვალები ჰქონოდა; მუქი ყავისფერი, მრგვალი თვალები მკაცრად გიმზერდნენ კუპრივით შავ, სირმასავით წარბებ ქვემოდან; ამ ოქროსფერ თმასთან შეხამებული, გრძელი წამწამებით შემოჯარული თვალები, მეტისმეტად ლამაზი უჩანდა. პირის კანი აჰქეცოდა და ტუჩები დახეთქოდა ყინვაში მგზავრობით, მაგრამ ეს მაინცდამაინც არ აფუჭებდა, იმდენად ლამაზი იყო. ტანთ მძიმე, მოუხეშავი სამგზავრო ტანსაცმელი ემოსა, მაგრამ ელინას ისე ეჭირა თავი, როგორც უჭირავს თავი ქალს დარწმუნებულს თავის ხორციელ სილამაზეში და ამით ამაყობს; ვგონებ, ისეთი მაღალი არც იყო, როგორც კრისტინი, მაგრამ ამაყად ეჭირა თავი, წელში გაჭიმული იყო და ამიტომ მოქნილი და ახალგაზრდული სხეულის პატრონ ყმაწვილ ქალზე უფრო მაღალი ჩანდა.

— ეს ქალი მუდამ შენს მამულში, ხიუსაბიუში, ცხოვრობდა? — ხმადაბლა ჰკითხა კრისტინმა ერლენდს.

— მე ხიუსაბიუში არა ვცხოვრობდი, — მოკლედ მიუგო ერლენდმა და კვლავ გაწითლდა. — თითქმის მთელი ზაფხული ხესტნესში გავატარე.

— იცი, რა ახალი ამბავი უნდა მეთქვა შენთვის, ერლენდ, — უთხრა ელინამ. — შენ აღარ დაგჭირდება თავშესაფარის ძებნა შენს ნათესავებსა და მეგობრებთან და მათი სტუმართმოყვარეობის შემყურე აღარ იქნები, როგორც აქამდე, რაკი მე განვაგებდი შენს მამულს. ამ შემოდგომაზე მე დავქვრივდი.

ერლენდი გაქვავებულივით იდგა.

— მე არ მითხოვნია შენთვის შარშან ხიუსაბიუში ჩამოსულიყავი და იქაურობისთვის მოგეევლო, — ძლივს ამოილუღლუღა ერლენდმა.

— გავიგე, რომ იქ ყველაფერი აოხრდა და გავერანდა, — უთხრა ელინამ. — ხოლო მე კიდევ იმდენი სიყვარული შემრჩა შენი, რომ ჩე-

მი თავი მოვალედ ჩავთვალე მეზრუნა შენს კეთილდღეობაზე, თუმცა, ხედავს ღმერთი, შენ ცუდად მოგვექეცი, — ჩვენ შვილებსაც და მეც!

— ჩემი შვილებისოვის ყველაფერი გავაკეთე, რაც კი შემეძლო, — უთხრა ერლენდმა. — ისიც მშვენივრად მოგეხსენება, რომ მხოლოდ იმათი გულისთვის ვითმენდი შენს ყოფნას ხიუსაბიუში! შენ, რა თქმა უნდა, იმას ვერ იტყვი, რომ შენი იქ ყოფნით ან შენ შვილებს არგებდი რამეს, ან მე, — დამცინავი ღიმილით უთხრა ერლენდმა. — გისიური უშენოდაც მოუვლიდა იქაურობას.

— ჰო, შენ მუდამ ძალიან ენდობოდი გისიურს. — მიუგო ელინამ და წყნარად ჩაეცინა. — მაგრამ, იცი, რას გეტყვი, ერლენდ, ამიერიდან აღარაფერი მიშლის ხელს და თუკი გინდა, ახლა შეგიძლია შეასრულო პირობა, რომელიც ოდესღაც მომეცი.

ერლენდი ხმას არ იღებდა.

— გახსოვს ის ღამე, — ჰკითხა ელინამ, — ვაჟიშვილი რომ გაგიჩინე? მაშინ დამპირდი, როცა სიგიურდი მოკვდება, შეგირთავო.

ერლენდმა ხელი გადაისვა გახვითქულ თმაზე.

— დიახ, მახსოვს.

— შეასრულებ ახლა შენს დაპირებას? — ჰკითხა ელინამ.

— არა, — მიუგო ერლენდმა.

ორმის ასულმა ელინამ შეხედა კრისტინს, გაუღიმა და თავი დაუქნია. მერე თვალი აღარ მოაშორა ერლენდს.

— მას აქეთ ათი წელიწადი გავიდა, ელინა! — მიუგო ერლენდმა. — მას აქეთ წელიწადი წელიწადს მისდევდა და ჩვენ ისე ვცხოვრობდით, როგორც ორი ცოდვილი ჯოჯოხეთში.

— სიმართლე რომ ვთქვათ, ზოგჯერ სხვანაირადაც ვიყავით ხოლმე ერთმანეთთან! — ისევ ღიმილით უთხრა ელინამ.

— მას შემდეგ, რაც ჩვენ სხვანაირად ვიყავით, კიდევ გავიდა წლები! — უთხრა გასავათებულმა ერლენდმა. — ჩვენს შვილებს მაგ ლაპარაკით ვერ უშველი! შენ იცი... შენ იცი, მე თითქმის არ ძალმიძს შენთან ერთ ოთახში ყოფნა, — თითქმის დაუყვირა ერლენდმა.

— მე ეგ არ შემიმჩნევია, ამ ზაფხულს რომ ხიუსაბიუში იყავი. — უთხრა ელინამ მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით. — მაშინ მეგობრულადაც ვიყავით ხოლმე... ზოგჯერ!

— თუ შენა გგონია, რომ ჩვენ მეგობრულად ვიყავით, ღმერთმა მაგ სიმართლით გატაროს! — მოღლილმა მიუგო ერლენდმა.

— დაჯდომას აღარ აპირებთ? — უთხრა ფრუ ოსხილდმა. ქვაბიდან დიდრონ ხის ჯამებში ფაფა ამოიღო და ერთი ჯამი კრისტინს მიაჩეჩა ხელში. კრისტინმა ჯამი გამოართვა. — ოთახში წაიღე! ხოლო შენ, ულვ, მეორე ჯამი წაიღე. მაგიდაზე დადგით: ლაპარაკი ლაპარაკია, მაგრამ ხომ უნდა ვიკამეშმოთ!

კრისტინმა და ულვმა ჯამები წაიღეს და გავიდნენ. ფრუ ოსხილდმა კი იქ დარჩენილთ უთხრა:

— თქვენც წადით, რასა დგეხარო და თათხაეთ ერთმანეთს!

— სჯობია მე და ელინამ ერთხელ და სამუდამოდ მოვილაპარაკოთ, — მიუგო ერლენდმა.

ფრუ ოსხილდს ამაზე პასუხი არ მიუცია სამზადიდან გავიდა.

ოთახში კრისტინს სუფრა გაეშალა და სარდაფიდან ლუდი ამოეტანა. ის გარეთა ძელსკამზე იჯდა, კელაპტარივით გაჭიმული და სახე დამშვიდებული, მაგრამ პირს არაფერს აკარებდა. არც ბიორნსა და ერლენდის მსახურებს მისდიოდათ სული საჭმლისათვის. ყბას უსვამდნენ მხოლოდ ბიორნის მოჯამაგირე და ელინას მსახური. ფრუ ოსხილდი სუფრას მიუჯდა და ცოტაოდენი ფაფა შეჭამა. ხმას არავინ იღებდა.

კაი ხნის მერე მარტო ელინა შემოვიდა. — ფრუ ოსხილდმა ანიშნა, ჩემსა და კრისტინის შუა დაჯექიო; ელინა დაჯდა და ჭამა დაიწყო. დროდადრო ჩუმად ჩაეღიმებოდა ხოლმე, თან კრისტინისკენ აპარებდა თვალს.

პატარა ხნის მერე ოსხილდი სამზარეულოში გავიდა.

კერაში ცეცხლი ოდნავღა ბეუტავდა. ერლენდი კერასთან მიდგმულ სამფეხზე წაკუზული იჯდა და თავი ხელებზე დაენდო. ოსხილდი მიუახლოვდა ერლენდს და ხელი მხარზე დაადო.

— ღმერთმა გაპატიოს, ერლენდ, აქამდე როგორ მიიყვანე საქმე?

ერლენდმა თავი ასწია; ტანჯვას დაემახინჯებინა მისი სახე.

— ორსულად არის, — თქვა და თვალები დახუჭა.

ფრუ ოსხილდს სახეზე ალმური ავარდა და მხარზე მოუჭირა ხელი.

— რომელია ამ ორში ორსულად? — მკვახედ და დაცინვით ჰკითხა მან.

— მაგრამ ბავშვი ჩემი არ არის, — მიუგო ერლენდმა კვლავ ჩამწყდარი ხმით. — შენ, რა თქმა უნდა, არ დამიჯერებ — ალბათ არავინ დამიჯერებს... — და კვლავ ჩაქინდრა თავი.

ფრუ ოსხილდი ერლენდის წინ ჩამოჯდა კერის კიდეზე.

— გამაგრდი, ერლენდ! არც ისე ადვილია ეგ დაგიჯეროს ადამიანმა! შეგიძლია დაიფიცო, რომ ბავშვი შენი არ არის?

ერლენდმა ტანჯული სახით ახედა ოსხილდს.

— ნამდვილად ჩემი არ არის, ეს ისეთი სიმართლეა, როგორც მე ვსაჭიროებ ღვთის მოწყალებას... როგორც ვიმედოვნებ... ვიმედოვნებ, რომ ღმერთმა ამქვეყნად გადატანილი ტანჯვისათვის ზეცაში სცა ნუგეში დედაჩემს, — ისე მე ელინას არ მივკარებივარ მას აქეთ, რაც პირველად ვიხილე კრისტინი! — ერლენდმა ისე ხმამაღლა შესძახა ეს სიტყვები, რომ ფრუ ოსხილდმა — სუუ! სუუ! დაუტია.

— მაშინ, მე მგონი, ეგ არც ისეთი დიდი უბედურებაა. უნდა გაივო ვინ არის ბავშვის მამა, ფული მისცე და შეართვეეინო ელინა.

— გისიური უნდა იყოს, არნფინის ვაჟიშვილი, ჩემი მამულის ხიუსაბიუს მოურავი, — მოქანცულმა მიუგო ერლენდმა. — მე და იმას ლაპარაკი გვქონდა ამაზე შარშან შემოდგომას — და მერეც... სიგიურდს ხომ დიდი ხანია სააქაო პირი აღარ უჩანდა. გისიური თანახმა იყო ელინა შეერთო, როცა დაქვრივდებოდა, თუ ხეირიან მზითვს მივცემდი...

— მერე? — ჰკითხა ფრუ ოსხილდმა.

— ელინა უარზეა და იფიცავს, გისიურს ცოლად არა და არ გავყვებიო. მას უნდა თქვას, რომ ჩემია ბავშვი და კიდეც რომ დავიფიცო, ეგ ტყუილია, ბავშვის მამა მე არა ვარ-მეთქი, როგორა გგონია, განა არ იფიქრებენ, ცრუ ფიცს იძლევაო?..

— უნდა მოახერხო და ეგ გადააფიქრებინო, — უთხრა ფრუ ოსხილდმა. — ახლა სხვა გზა არა გაქვს, ხვალვე ხიუსაბიუში უნდა წახვიდეთ, იქ გამოიჩინო მთელი შენი ძალა და სიმტკიცე და ელინა შენს ოურავს შერთო!

— ჰო, — თქვა ერლენდმა, თავი ხელებზე ჩამოუვარდა და დიდი ხმით აქვითინდა:

— განა არ გესმის, დეიდა?.. როგორ გგონია, რას იფიქრებს კრისტინი?

ერლენდმა და მსახურებმა სამზადში გაათიეს ღამე. ოთახში ერთ საწოლში კრისტინსა და ოსხილდს ეძინათ, მეორეში — ელინას. ბიორნი თავლაში დაწვა დასაძინებლად.

მეორე დილით კრისტინი და ოსხილდი ბოსელში გავიდნენ. მერე ოსხილდი სამზადში შემობრუნდა საუზმლის მოსამზადებლად. ხოლო კრისტინმა რძე ამოიტანა ოთახში.

მაგიდაზე სანთელი ენთო. ელინას ჩაეცვა და თავის საწოლზე ჩამომჯდარიყო. კრისტინმა წყნარად მისცა სალამი, ორჯამიანი მოიტანა და რძის გაწურვას შეუდგა.

— რძე დამალევინე, — სთხოვა ელინამ. კრისტინმა კუტლით ელინას რძე მიაწოდა; ის ხარბად დაეწაფა თან კუტლის ზემოდან კრისტინს გამოსცქეროდა.

— მაშ შენა ხარ ის კრისტინი, ლავრანსის ასული, ვინც ერლენდის მეგობრობა წამართვა? — უთხრა და კუტალი მიაწოდა.

— თქვენ თავად მოგეხსენებათ, რა იყო წასართმევი, — მოუჭრა ყმაწვილმა ქალმა.

ელინამ ტუჩი ჩაიკვნიტა.

— შენ როგორღა მოიქცევი, ერლენდს რომ მობეზრდე და ერთ მშვენიერ დღეს გითხრას, ჩემს მოჯამაგირეს ცოლად გაჰყევიო? მაშინაც შეუსრულებ სურვილს?

კრისტინს პასუხი არ მიუცია, ელინას გაეცინა და უთხრა:

— მე მგონია, ახლა შენ ყველა სურვილს უსრულებ. როგორა ფიქრობ, კრისტინ... ზარში ხომ არ გავითამაშოთ ჩვენი ქმარი — ჩვენ, ერლენდის, ნიკულაუსის ვაჟიშვილის საყვარლებმა. — პასუხი რომ არ მისცა კრისტინმა, ელინამ კვლავ გაიცინა: — თუ ისეთი მიამიტი ხარ, რომ უარს იტყვი, ერლენდის საყვარელი არა ვარო?

— შენთან ტყუილის თქმა არ შემშვენის, — მიუგო კრისტინმა.

— ტყუილის თქმა ბევრს ვერაფერს გიშველიდა, — მიუგო ელინამ იმავ კილოთი. — ვიცნობ მაგ ვაჟბატონს! წარმოშიდგენია, მეორედ გნახა თუ არა, მამლაყინწასავით როგორ დაგეძგერა. მებრალები, ლამაზო ბავშვო!..

კრისტინს მიტკლისფერი დაედო, ისე შეზიზღდა ელინა და უთხრა:

— შენთან ლაპარაკი არ მინდა...

— შენა გგონია შენ ჩემზე უკეთესად მოგექცევა? — განაგრძო ელინამ. მაშინ კრისტინმა მკვახედ მიახალა:

— ჩივილს მაინც არ დავიწყებ ერლენდზე, როგორც არ უნდა მომექცეს. თავად შევდგი ფეხი ამ სახიფათო ბილიკზე — არც საყვედურს ვიტყვი მაგისას და არც სამდურავს, თუნდ კლდეზე გადამჩეხოს.

ელინას პატარა ხანს ხმა არ ამოუღია. მერე სახეალეწილმა გაუბედავად უთხრა:

— მეც უმანკო ყმაწვილი ქალი ვიყავი, კრისტინ, როცა ერლენდმა თავისად გამიხადა, თუმცა შვიდი წელიწადი ცოლი მერქვა მოხუცი ქმრისა. მაგრამ განა გაიგებ, რა ტანჯვა იყო ჩემი ცხოვრება.

კრისტინი თავით ფეხამდე კანკალმა აიტანა. ელინა კრისტინს უყურებდა. მერე თავის სამგზავრო ზარდახშიდან რომელიც გვერდით ედგა საწოლის საფეხურზე, მომცრო ყანწი ამოიღო. ბეჭედი წაატეხა და წყნარი ხმით უთხრა:

— შენ ყმაწვილი ხარ, კრისტინ, მე კი დავბერდი, ვიცი, ამაოა შენთან ბრძოლა, ახლა შენი დრო დადგა! არ გინდა დავლიოთ, კრისტინ?

კრისტინი არ განძრეულა. მაშინ ელინამ ყანწი ბაგესთან მიიტანა. კრისტინს არ გამოჰპარვია, რომ ის არა სვამდა. ელინამ უთხრა კრისტინს:

— ეს პატივი ხომ მაინც შეგიძლია დამდო, ჩემი სადღეგრძელო შესვა... და პირობა მომცე, რომ კაი დედობას გაუწევ ჩემს შვილებს.

კრისტინმა ყანწი ჩამოართვა. სწორედ ამ დროს ერლენდმა შემოაღო კარი. შედგა და ხან ერთს შეხედა, ხან მეორეს.

— ეს რა ამბავია? — იკითხა მან.

კრისტინმა უპასუხა გულისგამგმირავი საზარელი ხმით:

— ჩვენ ერთმანეთის სადღეგრძელოსა ვსვამთ — ჩვენ, შენი საყვარლები.

ერლენდი კრისტინს ხელში ეცა და ყანწი გამოჰგლიჯა.

— გაჩუმდი! — მკვახედ გააწყვეტინა, — არ არის საჭირო მაგასთან ერთად დალიო!

— ვითომ რატომ არ უნდა დავლიო? — მიუგო კრისტინმა იმავე კილოთი, რა კილოთიც ერლენდმა მიმართა. — ისიც ჩემსავით უმანკო და სპეტაკი ყოფილა, როცა შენ შეგიცდენია!

— ამას იმდენჯერ უთქვამს ეს, რომ ეტყობა, თვითონაც დაიჯერა, — მიუგო ერლენდმა. — გახსოვს, როგორ გამგზავნე სიგიურდთან და ეგ ზღაპარი მათქმევინე, სიგიურდმა კი მოწმეებს მოუხმო, რომელთაც დაადასტურეს, ჩემამდე სხვასთან როგორ მიგასწრო?

ზიზღისაგან გაფითრებული კრისტინი მიტრიალდა. ელინა ჭარხალივით გაწითლდა; ცოტა ხნის მერე გამომწვევად თქვა:

— ასეა თუ ისე, მე მგონი, ჩემი ყანწით თუ დალევს, კეთრი არ შეეყრება!

ერლენდი რისხვით მიტრიალდა ელინასკენ — უცებ სახე ჩამოუგრძელდა და თითქოს გაუქვავდა; თავზარდაცემულს ვაი აღმოხდა.

— უფალო იესო ქრისტე! — ოდნავ გასაგონად წარმოთქვა, და ელინას ხელში სტაცა ხელი.

— მაშ, იმის მაგივრად შენ დალიე! — უთხრა ერლენდმა შეუბრალებელი, სიბრაზისაგან აკანკალებული ხმით. — ჯერ შენ დალიე, და მერე ის დალევს!

ელინამ ამოიგმინა, ხელიდან დაუსხლტა ერლენდს და უკან-უკან წავიდა ოთახის სიღრმისკენ. ერლენდი ფეხდაფეხ მიჰყვა.

— დალიე! — უთხრა ერლენდმა. ხანჯალი იშიშვლა და ხანჯალამოღებული მისდევდა ელინას, — შენ დალიე სასმელი, რომელიც კრისტინს მოუმზადე!.. — ხელი სტაცა ელინას, მაგიდასთან მიითრია და ყანწისკენ დაახრევინა თავი.

ელინამ შეჰყვირა და სახეზე ხელი აიფარა.

აკანკალებულმა ერლენდმა ხელი გაუშვა და გაჩერდა.

— ჯოჯოხეთი იყო ჩემთვის სიგიურდთან ცხოვრება, — შეჰყვირა ელინამ. — შენ, შენა მპირდებოდი... მაგრამ სიგიურდზე უარესად მომექეცი, ერლენდ!

მაშინ კრისტინი წინ წადგა და ხელი დასტაცა ყანწს.

— ჩვენ ორში ერთმა უნდა დალიოს — ორივეს ვერ გვიკუთნებ!..

ერლენდმა კრისტინს ყანწი წაართვა და გვერდზე მიაგდო კრისტინი. კრისტინი ფრუ ოსხილდის საწოლთან დაეცა იატაკზე. ერლენდი ელინას გვერდზე ძელსკამს ცალი მუხლით დაენდო, თავზე ხელი მოხვია ელინას, და სცადა ძალით ჩაესხა სასმელი პირში.

ელინამ ჩუმად გასწია ხელი ხანჯლისკენ, მაგიდიდან ხანჯალი აიტაცა და ერლენდს ჩასცა. ხანჯალმა ტანისამოსი გაუჭრა ერლენდს და ოდნავ გაუკაწრა კანი. მაშინ ელინამ ხანჯლის წვერი თავისკენ მიატრიალა უცებ ლაფანივით მოეშვა და ერლენდის მუხლზე ჩაიკეცა.

კრისტინი წამოდგა და მივიდა იმათთან, ერლენდს ეჭირა ელინა,

თავი გადავარდნოდა ერლენდის მკლავიდან. თითქმის მაშინვე ახრიალდა — პირიდან გადმოსული სისხლი ახრჩობდა, ელინამ ბლომად გადმოაფურთხა სისხლი და თქვა:

— შენ მოგიმზადე ეს სასმელი... მთელი შენი ტყუილებისათვის... როცა ძღალატობდი...

— დეიდა ოსხილდს დაუძახე, — დაბალი ხმით უთხრა ერლენდმა. კრისტინი არ განძრეულა.

— ელინა კვდება. — ისევ დაბალი ხმით უთხრა ერლენდმა კრისტინს.

— თუ ეგრეა, ნეტავი მაგას, — ჩაილაპარაკა კრისტინმა. ერლენდმა შეხედა — მის თვალებში სასოწარკვეთილება ისატებოდა, ამან მოიღბო კრისტინი და ოთახიდან გავიდა.

— რა ამბავია? — ჰკითხა ფრუ ოსხილდმა, როცა კრისტინმა ის სამზადიდან გამოიძახა.

— ორმის ასული ელინა მოვკალით, — უთხრა კრისტინმა... — სულსა ლევს.

ფრუ ოსხილდი ოთახისკენ გავარდა, მაგრამ ელინას ცოცხალს ველარ მიუსწრო. ელინამ სული დალია, როცა ფრუ ოსხილდმა ზღურბლზე გადადგა ფეხი.

ფრუ ოსხილდმა მიცვალებული ძელსკამზე დაასვენა, სახიდან სისხლი მობანა და თავშალი წააფარა. ერლენდი მიცვალებულის უკან იდგა კედელს მიყრდნობილი.

— იცი, რას გეტყვი, — თქვა ფრუ ოსხილდმა, — ამაზე უარესი ნეტა რაღა მოხდებოდა!

ღუმელში ნაფოტები და შეშა შეუმატა; მერე ცეცხლში შედო ყანწი და ცეცხლი გააღვივა.

— ენდობი შენს მსახურებს? — ჰკითხა ოსხილდმა ერლენდს.

— მე მგონი, ულვსა და ხაფტურს შემიძლია ვენდო... იონსა და იმას, ელინას რომ ჩამოჰყვა, კარგად არ ვიცნობ.

— შენ, რა თქმა უნდა, გესმის, — უთხრა ფრუ ოსხილდმა,—თუ გამოაშკარავდა, რომ შენ და კრისტინი აქ შეხვდით ერთმანეთს, და შენ, კრისტინი და ელინა მარტონი იყავით, როცა ის მოკვდა, მაშინ სჯობდა კრისტინისთვის მიგეცა ელინას მომზადებული სასმელი და თუ ლაპარა-

კი ატყდა საწამლავზე, მაშინ ხალხი იმასაც გაიხსენებს, რა ბრალსაც მდებდნენ უწინ... ელინას ჰყავს ვინმე? ნათესავები ან მეგობრები?

— არა, — მოგუდული ხმით მიუგო ერლენდმა. — ჩემს გარდა არავინა ჰყავდა!

— არავინა ჰყავს, მაგრამ მაინც, — განაგრძო ფრუ ოსხილდმა, — ძნელი იქნება ამის ჩაფარცხვა და, ისე წასვენება, რომ ეს საშინელი ეჭვი შენზე არ მიიტანონ!

— ელინა ნაკურთხ მიწაში უნდა დაიმარხოს, — უთხრა ერლენდმა, — ხიუსაბიუს ფასადაც რომ დამიჯდეს, შენ რას იტყვი, კრისტინ?

კრისტინმა თავი დაუქნია.

ფრუ ოსხილდი ენაჩავარდნილი იჯდა. რაც უფრო მეტსა ფიქრობდა, მით უფრო შეუძლებლად ეჩვენებოდა, რომ ამ საქმეს ეშველებოდა რამე. სამზადში ოთხი მსახური იჯდა — ერლენდს რომ მოეხერხებინა კიდეც მოესყიდა ისინი, და პირობა ჩამოერთმია კრინტი არ დაეძრათ და ყველანი ან თუნდ იმათგან რომელიმე, თუნდაც ელინას მსახური, ფულს დახარბებოდა და ნორვეგიიდან გადაკარგულიყო, ესენი მაინც მუდამ შიშში იქნებოდნენ, ვაითუ ეს ამბავი გამოაშკარავდესო, ხოლო იორიუნდგორდში იცოდნენ, რომ კრისტინი აქ იყო; ლავრანსს რომ ეს ამბავი გაეგო, წარმოდგენაც კი ძნელია, რას იზამდა! გარდა ამისა: ან ეს მიცვალებული როგორ წაესვენებინათ აქედან? ახლა დასავლეთისაკენ მთებში მიმავალი გზით წასვლაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა; რეუმსდალისკენ თუ წავიდოდნენ. ან ისევ მთებში უნდა ევლოთ და ტრონდაჰეიმში ისე ჩასულიყვნენ, ან არადა, ხეობას გაჰყოლოდნენ სამხრეთისაკენ. მაგრამ თუ სიმართლე გამოაშკარავდა, მაშინ, სულ ერთია, არავინ დაიჯერებს, რომ ელინამ თვითონ მოისპო სიცოცხლე, თუნდაც თავი ისე დაიჭირონ, ვითომ ეჭვიც არ ეპარებათ იმათ ნათქვამში.

— ბიორნს უნდა მოველაპარაკო! — თქვა ფრუ ოსხილდმა, წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

ბიორნი, გიუნარის ვაჟიშვილი, ერთი არ შეცვლილა სახეზე და არც თვალი მოუშორებია ერლენდისათვის, ისე მოისმინა ცოლის ნათქვამი.

— ბიორნ, — უთხრა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ოსხილდმა, — ვინმემ ხატზე და ჯვარზე უნდა დაიფიცოს, რომ თავისი თვალითა ნახა, როგორ მოიკლა ელინამ თავი!

ბიორნს თვალები ნელ-ნელა ჩაუმუქდა და რაღაც სიცოცხლის ნაპერწკალი აუციმციმდა; ცოლს შეხედა და ბაგე ღიმილმა დაუბრიცა:

— შენ გინდა თქვა, რომ მე უნდა ვიყო ის ვინმე?

ფრუ ოსხილდმა ხელები ერთმანეთს გადააჭდო და მისკენ გაიწოდა:

— ბიორნ, შენ თვითონ გესმის, რას ნიშნავს ეგ ამათთვის!

— შენა ფიქრობ, ბიორნის საქმე მაინც წასულიაო? — მძიმე-მძიმედ ჰკითხა მან. — ან, შენა გგონია, კიდევ შემრჩა რამე იმ ძველი ვაჟკაცობისა, რომ გავბედო და ტყუილად დავიფიცო, ოღონდ დაღუპვისაგან ვიხსნა ეს ჭაბუკი? მე, ვისაც ნელ-ნელა წვეთ-წვეთობითა მცლიდნენ სისხლიდან მთელი ეს წლები, იმ ამბის მერე! წვეთ-წვეთობით მცლიდნენ-მეთქი სისხლისაგან, გეუბნები მე! — გაიმეორა მან.

— ეგ ჩემმა სიბერემ გათქმევინა, — ჩურჩულით ჩაილაპარაკა ოსხილდმა.

ოთახში უცებ გაისმა კრისტინის ხმამაღალი ქვითინი. გაქვავებული და დადუმებული კრისტინი ფრუ ოსხილდის საწოლის კუთხეში მიყუჟული იჯდა. ახლა კი უცებ ხმამაღლა აქვითინდა. თითქოს ფრუ ოსხილდის ნათქვამმა გული შუაზე გაუპო. ოსხილდის ჩურჩულზე მიხვდა, როგორ ჰყვარებიათ ერთმანეთი ოსხილდსა და ბიორნს. კრისტინმა თითქოს პირველად ახლა იგრძნო მთელი სიგრძე-სიგანით, როგორ უყვარდათ ერთმანეთი იმას და ერლენდს, უცებ მოაწვა მოგონებები მღელვარე და მგზნებარე ბედნიერებაზე და ამან დაავიწყა წუხელღამ განცდილი დიდი სიძულვილი და სასოწარკვეთილება. ახლა მხოლოდ ის ახსოვდა, რომ ერლენდი უყვარდა და ნებისყოფა უნდა ჰყოფნოდა ბოლომდე აეტანა ყველაფერი.

სამივემ კრისტინს შეხედა. მერე ბატონი ბიორნი მივიდა, ხელი წაავლო ნიკაპში და თვალებში ჩახედა:

— მაშ, შენ ამბობ, კრისტინ, ელინამ თავად მოიკლა თავი?

— ყველაფერი, რაც თქვენ მოისმინეთ, სიმართლეა, ერთი სიტყვა არ არის ტყუილი, — მტკიცედ მიუგო კრისტინმა. — ჩვენ ვემუქრებოდით, ვიდრე თავი არ მოვაკვლევინეთ.

— ის კრისტინს უფრო საზარელ ხვედრს უმზადებდა, — თქვა ოსხილდმა.

ბატონმა ბიორნმა ხელი გაუშვა ყმაწვილ ქალს. გვამთან მივიდა, ხელში აიყვანა, იმ საწოლისაკენ წაიღო, სადაც წინა ღამეს ეძინა ელინას, პირით კედლისკენ დაასვენა და კარგად დახურა საბნები.

— იონი და ის მსახური, ვისაც კარგად არ იცნობ, შინ გაგზავნე ხიუსაბიუში და დაბარე, ელინა და მე სამხრეთში მივდივართ-თქო. სჯობია, სადილობის ხანს გაუდგნენ გზას. უთხარი, ოთახში ქალებსა სძინავთ-თქო, სამზადში ჭამოს პური. მერე ულვსა და ხაფტურს მოელაპარაკე. წინათაც ხომ არ იმუქრებოდა, თავს მოვიკლავო? მაშ, შეგიძლია, მოწმეები დაასახელო, თუ გკითხავენ?

— ყველას, ვინც კი ჩემს მამულში ყოფილა ამ უკანასკნელ წლებში, რაც მე და ელინამ იქ გავატარეთ, — მოქანცულმა თქვა ერლენდმა, — შეუძლია დაადასტუროს, რომ ელინა მემუქრებოდა, თავს ავუტეხავ რამეს, ზოგჯერ მეც მეუბნებოდა, შენც სიცოცხლეს გამოგასალმებო, როცა ვეტყოდი, უნდა გაგშორდე-მეთქი.

ბიორნი უშნოდ გაიღრიჭა:

— მეც სწორედ ეგრე მეგონა. ამ საღამოს სამგზავრო ტანსაცმელს ჩავაცმევთ და მარხილში ჩავსვამთ. შენ მოუჯდები გვერდით...

ერლენდი დატორტმანდა:

— ეგ არ შემიძლია!

— ეშმაკმა იცის, ვაჟკაცობისა რაღა შეგრჩება, ერთი ოცი წელიწადი თუ კიდევ მაგ ჭკუით იცხოვრე. — უთხრა ბიორნმა, — სადავის დაჭერას მოახერხებ? მაშინ, მე დავჯდები ელინას გვერდით. ღამღამობით ვივლით, მიყრუებული გზებით უნდა ვიაროთ, სანამ ფრუნუს არ ჩავალთ. ამ ყინვაში ვერავინ შეატყობს, როდის მოკვდა. რუალსტადში დავრდომილთა თავშესაფარში შევივლით ბერებთან. იქ მე და შენ დავამოწმებთ, რომ მარხილში წაიჩხუბეთ. ყველამ კარგად იცის, რომ შენ ქმასთან ცხოვრება აღარ გინდოდა მას აქეთ, რაც განკვეთა მოგხსნეს, შენ მაჭანკალი გაუგზავნე ქალს, ვინც ჩამომავლობით შენი სწორია. ულვმა და ხაფტურმა მთელი გზა ჩვენგან მოშორებით უნდა იაროს, თუ მოხდა და საჭირო შეიქმნა, უნდა შეეძლოთ დაიფიცონ, ელინა ცოცხალი იყო უკანასკნელად რომ ვნახეთო. ამაზე დაყოლიებას ხომ მოახერხებ? ბერებთან კუბოში ჩავასვენებინოთ, მერე მღვდელს მოვურიგდები ელინა დამარხოს და შენთვისაც იზრუნოს მოსანანიებელ სულიერ განკანონებაზე... მართალია, ვერ იტყვი, ყველაფერი ეს, ლამაზიაო! მაგრამ შენ ისე აიწეწ-დაიწეწე შენი ცხოვრება, უკეთესს ვერაფერს ამოიფიქრებს ადამიანი. ორსული დედაკაცივით ნუ დგეხარ, რომელიც საცაა გულწასული გადაიფშიკება! ღმერთი იყოს შენი შემწე, ბიჭო,

უეშველია, ჯერ არ გიგეშნია, რას ნიშნავს როცა ხვანჩის ქვემოდან შუბის წვერს დაგაჭერენ!

მთებიდან ცივი სუსხიანი ქარი უბერავდა და ძვალ-რბილში უვლიდა ადამიანს — თოვლის ზვინებს წვრილად ასდიოდა ვერცხლივით ბრეშუვალა ობშივარი მთვარის შუქზე ცისფრად მოლივლივე ჰაერში, როცა კაცები გასამგზავრებლად მოემზადნენ.

ორი ცხენი წალიკად იყო შებმული. ერლენდი წინა მარხილში ჩაჯდა. კრისტინი მასთან მივიდა.

— ახლა კი, ერლენდ, ეცადე, ამბავი შემატყობინო, როგორ იმგზავრებთ და რა ბედი გეწია.

ერლენდმა კრისტინს ხელზე ხელი მოუჭირა და კრისტინს მოეჩვენა, რომ საცაა ფრჩხილებიდან სისხლი გადმოასხამდა.

— მაშ, ამ ამბის შემდეგაც ჩემი ერთგული ხარ, კრისტინ?

— ამ ამბის შემდეგაც! — უთხრა კრისტინმა და დაატანა: — რაც მოხდა, ორივეს ბრალია, მე გაქეზებდი, იმისი სიკვდილი მინდოდა და იმიტომ.

ფრუ ოსხილდი და კრისტინი დიდხანს იდგნენ და გასცქეროდნენ წასულებს. მარხილები თოვლის ზვიხებში ხან დაბლა ჩასრიალდებოდა, ხან მაღლა ასრიალდებოდა. ის იყო ბექობს მიეფარნენ, რომ კვლავ გამოჩნდნენ ქვემოთ, თოვლით დაფარულ ფერდობზე. მაგრამ ეს, კაცები მაღალი კლდის ჩრდილში შევიდნენ და სულაც მიეფარნენ თვალს...

ორივე ქალი ღუმელთან იჯდა, ზურგი ცარიელი საწოლისთვის შეექციათ, ფრუ ოსხილდმა სულ გაიტანა, რაც ამ საწოლზე საბნები და ჩალა ეწყო. ორივენი გრძნობდნენ, მათ უკან მოცარიელებული იდგა ის საწოლი.

— გინდა ამაღამ სამზადში დავიძინოთ? — სხვათაშორის ჰკითხა ფრუ ოსხილდმა კრისტინს.

— ჩემთვის სულ ერთია, სადაც უნდა დავწვეთ! — უთხრა კრისტინმა.

ფრუ ოსხილდი ეზოში გავიდა და გახედა როგორი ამინდი იყო.

— ჰო, თუ ქარი ამოვარდა, ან თუ თოვლმა დნობა დაიწყო, გაშორე-

ბულებიც არ იქნებიან აქაურობას, რომ ყველაფერი გამოაშკარავდება,— თქვა კრისტინმა.

— აქ, ხეუგში, მუდამ ქარი ქრის, — მიუგო ფრუ ოსხილდმა. — არაფერზე ეტყობა, რომ ამინდი გამოიცვლება.

ისინი ისევ ღუმელს მიუსხდნენ.

— შენ ის არ უნდა დაივიწყო, — უთხრა ფრუ ოსხილდმა კრისტინს, — რა ხვედრს გიმზადებდათ ელინა ორივეს!

კრისტინმა წყნარი ხმით მიუგო:

— ვინ იცის, ეგებ იმის ადგილზე მეც იგივე მომენდომებინა.

— შენ თავის დღეში არ მოინდომებდი, რომ ვინმე კეთრით დაავადებულიყო! — ცხარედ მიუგო ფრუ ოსხილდმა.

— არ გახსოვთ, დეიდა ოსხილდ, ოდესღაც მითხარით, კარგია, თუ ადამიანი ვერა ბედავს იმის ჩადენას, რაც ულამაზოდ მიაჩნია, მაგრამ ის კი არც თუ ისე კარგია, როცა ადამიანი ულამაზოდა სთვლის რამეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამის ჩადენა ვერ გაუბედიაო.

— შენ თავის დღეში ვერ გადაწყვეტდი ამისთანა რამის ჩადენას, ცოდვის შიშით, — უთხრა ფრუ ოსხილდმა.

— არ ვიცი, — მიუგო კრისტინმა. — მე ხომ ბევრი რამ ისეთი ჩავიდინე, რასაც, მეგონა, თავის დღეში არ გავაკეთებდი ცოდვის ჩადენის შიშით, მაგრამ მაშინ არ მესმოდა, რომ ვინც ცოდოს სჩადის, იმან ფეხით უნდა გათელოს სხვები.

— ჯერ შენ სად იყავი, როცა ერლენდმა გადაწყვიტა თავი დაენებებინა გარყვნილი, თავაშვებული ცხოვრებისათვის, — გაცხარებულმა უთხრა ოსხილდმა. — დიდი ხანია, რაც მათ შორის ყველაფერი გათავდა.

— ეგ ვიცი, — უთხრა კრისტინმა. — მაგრამ ალბათ საბაბი არა ჰქონდა ელინას ეფიქრა, ერლენდის განზრახვა ისე მტკიცე გამოდგეს, რომ ვერ გადავაფიქრებინოო.

— კრისტინ, — მუდარითა და შიშით სავსე ხმით უთხრა ოსხილდმა, — ახლა თავს ხომ არ დაანებებ ერლენდს? ახლა სხვა ხსნა არა გაქვთ, გარდა იმისა, რომ ერთმანეთის გადარჩენაზე იფიქროთ!

— მაგისთანა რჩევას ვგონებ მღვდელიც არ მომცემდა, — უთხრა კრისტინმა და ცივად გაეღიმა. — მაგრამ მე ერლენდს თავს არ დავანებებ, საკუთარი მამის ფეხით გათელვაც რომ დამჭირდეს.

ფრუ ოსხილდი წამოდგა.

— ასე ჯდომას, სჯობია, ხელი გავანძრიოთ, — თქვა მან. — ალბათ არც დაგვეძინება, კიდეც რომ დავწვეთ.

ფრუ ოსხილდმა საკუჭნაოდან სადღვებელი და დიდრონი ბადიებით რძე გამოიტანა, სადღვებელში ჩაასხა და შესადღვებად მოემზადა:

— მე შევდღვებავ, — სთხოვა კრისტინმა. — მე თქვენზე ცოტა უფრო ღონიერი ვარ.

უხმოდ შეუდგნენ მუშაობას; კრისტინი საკუჭნაოს კართან სდღვებავდა, ოსხილდი კი კერასთან იჯდა და მატყლსა ჩეჩავდა. მხოლოდ როცა კრისტინმა სადღვებლიდან ჩუმა გადაწურა და კარაქს დაუწყო გადაზელვა, უეცრად ჰკითხა მოხუც ქალს:

— დეიდა ოსხილდ, არასოდეს არ შეგშინებიათ იმ დღისა, როცა უფლის სამსჯავროს წინაშე წარსდგებით?

ფრუ ოსხილდი წამოდგა, კრისტინთან მივიდა და მის წინ გაჩერდა იქ, სადაც შუქი ეცემოდა:

— ეგებ მეყოს სიმამაცე ვკითხო მას, ვინც მე ასეთი შემქმნა, როგორიცა ვარ, არ შემიწყალებს, როცა მისი ნების აღსრულების ჟამი დადგება? მე ხომ არასოდეს არ მითხოვნია მოეტევებინა, როდესაც მის მცნებებს ვარღვევდი. და არასოდეს არ მითხოვნია არც ღმერთისა და არც კაცისათვის იოტისოდენა შეღავათი მოეცათ იმ მიზდისა, რაც ამ ქვეყნად მომეთხოვებოდა.

პატარა ხნის მერე ჩუმად თქვა:

— მიუნანს, ჩემს უფროს ვაჟს, ოცი წელი შეუსრულდა მაშინ და ისეთი როდი იყო, როგორიც, ვიცი, ახლაა. ისინი, ჩემი შვილები, მაშინ ძაგისთანები არ იყვნეს...

კრისტინმა ჩუმად უთხრა:

— ასეა თუ ისე, ბატონი ბიორნი მთელი ამ წლების მანძილზე ერთ დღესა და ერთ ღამეს არ მოგშორებიათ.

— ჰო, ეგეც მართალია, — მიუგო ოსხილდმა.

პატარა ხნის მერე კრისტინმა დღვება გაათავა. მაშინ ფრუ ოსხილდმა უთხრა, მაინც მივწვეთ და ვცადოთ, ეგებ დაგვეძინოსო.

თბილ ლოგინში მწოლარე ოსხილდმა ერთი ხელი კრისტინს მოხვია და ყმაწვილი ქალის თავი გულში ჩაიკრა. დიდი დრო არ გასულა, გაიგონა მისი თანაბარი და წყნარი სუნთქვა, კრისტინს დაეძინა.

ისევ ყინვები იდგა. მრევლში ბოსელი არ იყო, სადაც საცოდავად არა ზმუოდა დამშეული, უპმელობისგან გაძვალტყავებული და სიცივისგან გატანჯული საქონელი. ხალხს, როგორც შეეძლო, უკვე ყირათობდა საკვებს.

ამ წელიწადს საშობაოდ თითო-ოროლა ვინმე თუ წავიდა სტუმრად ერთმანეთთან; ყველანი მეტწილად სახლებში ისხდნენ, თავიანთ ჭერქვეშ შეყუჟულები.

საშობაოდ უფრო დიდი ყინვები დაიჭირა — გეგონებოდა ყოველ დღე წინა დღეზე უფრო ძალიანა ჰყინავდა. იქაურ მცხოვრებლებს ამისთანა მკაცრი ზამთარი არ ახსოვდათ — მთაშიაც კი აღარ მოსულა თოვლი, ხოლო წმ. კლემენტის დღესასწაულის დღეს რომ თოვლი დადო, გაიყინა და ქვასავით გამაგრდა. მოკრიალებულ ცაზე მზე კაშკაშებდა, დღემ იმატა. ღამღამობით ჩრდილოეთით მთის ქედებს კაშკაში გაჰქონდა, ნახევარი ცა ისე აჭრელდებოდა ხოლმე ჩრდილოეთის ელვარებით. მაგრამ მაინც ისევ ჰყინავდა; ზოგჯერ ღრუბლიანი დღეც გამოერეოდა, ცოტა მშრალ თოვლსაც ჩამოჰყრიდა, მაგრამ მერე ისევ მოკრიალებული დღეები დგებოდა და მკაცრ ყინვებს იჭერდა. ლოგინი ყრუდ ბუყბუყებდა და ღრიალებდა ყინულის ქვეშ გათანგული.

კრისტინს ყოველ დილით ისე ეჩვენებოდა, ძალა აღარ მეყოფა ეს დღე დავაღამოო. და ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ყოველი დღე — ორთაბრძოლა იყო მამასა და მის შორის. როგორ შეიძლებოდა ასე მოჰქცეოდნენ ერთმანეთს ასეთ დროს, როცა გარშემო ყოველი სულდგმული, ადამიანი იყო თუ პირუტყვი, იტანჯებოდა ერთსა და იმავე განსაცდელში ჩავარდნილი. მაგრამ დადგებოდა საღამო, და კრისტინი ხედავდა, რომ ეს დღეც დააღამა

იმას ვერავინ იტყოდა, კრისტინს მამა უკმეხად ექცევაო. ისინი არასდროს არა ლაპარაკობდნენ იმაზე, რამაც ერთმანეთს დააშორა და თუმცა ლავრანსი არაფერს ეუბნებოდა, კრისტინი მაინც გრძნობდა, რომ მამას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ბოლომდე უარზე მდგარიყო. ისედაც გულჩამკვდარ კრისტინს ძალიან აკლდა მამის ტკბილი სიტყვა. გული ეტანჯებოდა, იცოდა რამდენი სხვა საზრუნავი და დარდი აწვა მძიმე ტვირთად ლავრანსს, — და ერთმანეთთან რომ ძველებურად ყოფილიყვნენ, მამა ყველაფერს გაუზიარებდა კრისტინს. მართალია, იორი-

ენდგორდში უფრო ნაკლები გაჭირვება იყო, ვიდრე მეტ წილ სხვა ადგილებში, მაგრამ აქაც ყოველ ცისმარე დღე აწუხებდათ საკვების ნაკლებობა.

წინათ ლავრანსი ზამთარში ეზოში გამოვიდოდა ხოლმე და კვიცებსა ხედნიდა, წელს კი, რაც კვიცები ჰყვდა, შემოდგომაზევე სამხრეთ ნორვეგიაში დაყიდა. კრისტინს სევდასა ჰგვრიდა, რომ არ ეყურებოდა მამის ხმა ეზოში, ვერა ხედავდა, როგორ უტრიალებს კოხტა ბანჯგვლიან უხედნებს და ათამაშებს, რაც ასე უყვარდა. მართალია, მოუსავლიანი წელიწადი იყო, მაგრამ, იმათი არც საკუჭნაოები იყო გამოცარიელებული, არც ამბრები და არც ბეღლები. სამაგიეროდ, იორიუნდგორდში ბევრი ხალხი მოდიოდა. ზოგი დახმარებასა სთხოვდა, ზოგს ყიდვა უნდოდა, და აქედან ხელცარიელს არავის ისტუმრებდნენ.

ერთ საღამოს, გვიან იყო, ბეწვეულში ჩაცმული ვიღაც ბრგე მოხუცი მოვიდა თხილამურებით. ლავრანსი ეზოში ესაუბრა მოსულს, ხოლო ხალვდანმა ძველ ოთახში გაუტანა საჭმელი. შინაურებიდან. ვინც კი ნახა ეს კაცი, ვერავინ იცნო, ვინ იყო,—შეიძლება ის ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც მთებში იმალებოდა; შეიძლება, ლავრანსი იქა ხედებოდა მას. მაგრამ ლავრანსს არაფერი უთქვამს, რისთვის მოვიდა ის კაცი და არც ხალვდანი იღებდა ხმას.

ერთ საღამოს კი, კაცი მოვიდა, ვისთანაც ლავრანსს დიდი ხანია უკმაყოფილება ჰქონდა. ლავრანსი და ის კაცი ბეღელში გავიდნენ. ოთახში შემობრუნებულმა ლავრანსმა თქვა:

— წამდაუწუმ ყველანი მთხოვენ დახმარებას. აქ, ჩემს საკუთარ ოჯახში კი ყველანი ჩემს წინააღმდეგა ხართ. შენცა, ჩემო ცოლო! — გაჯავრებით უთხრა რაგნფრიდს.

რაგნფრიდი აინთო და კრისტინს მიახალა:

— გეყურება, რას მეუბნება მამაშენი? მაგრამ მე შენს წინააღმდეგ კი არა ვარ, ლავრანს. შენც ხომ იცი, კრისტინ, რა მოხდა ამ შემოდგომაზე სამხრეთში, რუალსტადს, როცა ხეუგიდან ბარისკენ მიდიოდნენ ხეობაზე ისა და კიდევ ერთი იმასავით მრუში, იმისი ნათესავი, — თავი მოუკლავს, იმ უბედურ ქალს, რომელიც იმ ვაჟბატონმა შეაცდინა და ყველა ნათესავებს ჩამოაშორა!

მკაცრი და კუშტი პასუხი მისცა კრისტინმა:

— მე ვხედავ, თქვენ იმ წლებისათვისაც ჰკიცხავთ, როცა ცდილობდა ცოდვისაგან განწმენდილიყო, და იმ წლებისათვისაც, როცა სცოდავდა!

— იესო მაცხოვარო, ღვთისმშობელო მაოიამ! — ხელები გაასავსავა და შესთხოვა რაგნფრიდმა. — რა არის შენს თავს შვილო? ნუთუ ეს ამბავი მაინც არ შეგაცვლევინებს შენს გადაწყვეტილებას?

— არა, — მიუგო კრისტინმა, — მე ისევ ჩემს გადაწყვეტილებაზე ვდგევარ.

ამის თქმაზე ულვხილდის გვერდით ძელსკამზე ჩამომჯდარმა ლავრანსმა კრისტინს ახედა.

— მეც, კრისტინ, — ჩახშული ხმით თქვა მან.

მაგრამ გულის სიღრმეში კრისტინმა იცოდა, რომ მან ბევრად თუ არ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება, ზოგიერთ რამეს მაინც ახლა უფრო სხვა თვალით უყურებდა. ამბავი მოუვიდა, როგორ დაბოლოვდა ის საზარელი მგზავრობა. ყველაფერმა იოლად ჩაიარა, ვიდრე ელოდხეხ. ყინვამ დაჰკრა, თუ სხვა რამ იყო მიზეზი, ერლენდს დანით მიყენებული ჭრილობა გაუავჭირდა; ასე იყო თუ ისე, ავად გახდა და რამდენიმე ხანს მოუხდა წოლა მწირთა მისაღებ სახლში რუალსტადს; ბიორნი უვლიდა, რაც ხანი იქ იწვა. მაგრამ იმან, რომ ერლენდი დაჭრილი იყო, სხვა შუქი მოჰფინა ყველაფერს და იმათი ნაამბობი დაიჯერეს.

როცა ერლენდმა გზის გაგრძელება შესძლო, კუბოთი წაასვენა ელინა ოსლომდე. იქ მამა იონის დახმარებით ნებართვა მიიღო წმიდა ნიკულაუსის დანგრეული ეკლესიის სასაფლაოზე მიწა ეყიდნა ელინას ცხედრისთვის, მერე კი აღსარება უთხრა თვით ოსლოს ეპისკოპოსს, რომელმაც ეპიტემია დაადო, შვერინში წასულიყო, სადაც „წმიდა სისხლი ინახებოდა“[1]. ამჟამად კი ერლენდი წასული იყო ნორვეგიიდან.

ხოლო კრისტინს არსად არ შეეძლო სალოცავად წასვლა, რომ ცოდვები მიეტევებინათ. ის უნდა მჯდარიყო სახლში; ლოდინსა და ფიქრში მოეკლა დრო და მშობლებთან ბრძოლაში მაინც თავისი გაეტანა. ახლა ერლენდთან შეხვედრებსაც სულ სხვა, უცხო თვალით შეხედა კრისტინმა. მოაგონდა რა გიჟურად იცოდა ერლენდმა სიყვარულიც და მწუხარებაც, და ფიქრობდა, მეც რომ შემძლებოდა ასე მხურვალედ, ახლო

---

[1] „წმიდა სისხლი“ — ვითომდა ჯვარცმული ქრისტეს სისხლის წვეთები, რომელიც ინახებოდა შვერინის (ჩრდილოეთ გერმანია) მონასტერში და განსაკუთრებით სცემდნენ პატივს სკანდინავიელი პილიგრიმები.

მიმეტანა გულთან ყველაფერი, რაც ცხოვრებაში შემხვდა, ასე წინდაუ-
ხედავად მოვქცეულიყავი, ვინ იცის, იქნებ ყველაფერი უფრო იოლი
მომჩვენებოდა და ჩემთვის ასე მძიმე გადასატანი არა ყოფილიყოო.
ზოგჯერ ფიქრობდა — ვინ იცის, ერლენდმა ხელიც აიღოს ჩემზე! კრის-
ტინს ეჩვენებოდა, და მუდამ შიში უღრღნიდა გულს, რომ თუ შეუპო-
ვარი ბრძოლა დასჭირდებოდათ, ერლენდი ხელს აიღებდა. მაგრამ
კრისტინი ვერ დასთმობდა ერლენდს, ვიდრე თვითონ ერლენდი არ
ეტყოდა, შეგიძლია მოცემული ფიცი დაარღვიოო.

ამ ფიქრებში იწურებოდა ზამთარი. კრისტინს აღარ შეეძლო თავის
მოტყუება და უნდა ეღიარებინა, რომ მათი ოჯახისათვის მძიმე განსაც-
დელი მოახლოვდა, ულვხილდის დღეები დათვლილი იყო. მწარედა
სწუხდა დას და თან თავზარდაცემული გრძნობდა, რომ ჩადენილმა
ცოდვამ გზას ააცდინა და მოწამლა — უყურებდა მომაკვდავ ბავშვს,
ენით აუწერელ მწუხარებაში ჩავარდნილ მშობლებს და მაინც ერთსა
ფიქრობდა: „ულვხილდი რომ მოკვდეს, ძველებურად როგორ შევხედო
თვალებში მამაჩემს, არ დავუჩოქო, არ ვაღიარო ყველაფერი
და არა ვთხოვო მომიტევოს და, როგორც სურდეს, ისე მომექ-
ცესო?“...

დიდი ხანია დამარხვდა. ხალხმა წვრილ რქოსან პირუტყვსაც და-
უწყო დაკვლა, რის გადარჩენასაც ფიქრობდნენ, სულ ერთია, პირუტყვი
მაინც შიმშილით დაიხოცებოდა. მოსახლეობა დააავადმყოფა ცარიელი
თევზის ჭამამ, თუმცა იშვიათად უვარგის ცომეულსაც მიაშველებდნენ
ხოლმე. მამა ეირიკმა მთელ მრეველს ნება დართო მარხვაში რძე ესვათ
მაგრამ იშვიათი ოჯახი იყო, ვისაც ერთი ჯამი რძე მაინც მოეპოვე-
ბოდა!

ულვხილდი ლოგინიდან ვეღარა დგებოდა. მარტო ის იწვა დების
საწოლში და ყოველლამ ვინმე ფხიზლობდა იმის ლოგინთან. ზოგჯერ
ლავრანსი და კრისტინი უსხდნენ ავადმყოფს. ერთ ასეთ ღამეს ლავრან-
სმა მოაგონა თავის ქალს:

— გახსოვს, მამა ედვინმა რა გვითხრა, ულვხილდი რა ბედისა იქნე-

ბაო? მაშინვე გულზე მიკბინა, ვაითუ სწორედ ეს იგულისხმა-მეთქი! მაგრამ მაშინ თავიდან მოვიშორე ეს ფიქრი.

ასეთ ღამეებში ლავრანსი ხან ამას უამბობდა კრისტინს, ხან იმას. სასოწარკვეთილებისაგან გაფითრებული კრისტინი იჯდა და გრძნობდა, რომ მამის ყოველ ნათქვამში უსიტყვო ვედრება იფარებოდა.

კარ-მიდამოს ჩრდილოეთით ტყიანი მთები იყო, ერთხელ ლავრანსი და კოლბეინი იქით წავიდნენ — დათვის ბუნაგი უნდა შეეთვალიერებინათ, და შინ ძუ დათვი მოიტანეს მარხილით, ლავრანსმა კი უბით ცოცხალი ბელი მოიყვანა. ბელის დანახვამ ცოტა გაართო ულვხილდი. რაგნფრიდმა კი უსაყვედურა ქმარს, მაგის დროა ახლა ტყის ნადირი გაიჩინო შინ, ან მაგ ბელს რას უპირებო?

— მინდა გამოვზარდო და ჩემ ქალების კოშკის კართან დავაბა, — მწარე სიცილით მიუგო ლავრანსმა.

მაგრამ გაჭირდა ბელის გამოსაკვებად მოუხდელი რძის შოვნა და რამდენიმე დღის მერე ლავრანსმა მოკლა ბელი.

მზე უკვე ისე აცხუნებდა, რომ მოშუადღევდებოდა თუ არა, ზოგჯერ სახურავებიდან თოვლი სწვეთავდა. წყალწყალები ეკოწიწებოდნენ ძელების კედლებს, საითაც მზე ადგებოდა სახლს, და ერთი კაკაკუკი გაჰქონდათ ნისკარტით, ნარიმანდში მიძინებულ ბუზებს ეძებდნენ. ახლომახლო მინდვრებზე ქვასავით გაყინული თოვლი ვერცხლივით ბრწყინავდა.

ძლივს, ერთ საღამოს, ღრუბლები გადაეფარა მთვარეს. დილით იორიუნდგორდის მცხოვრებლებს გაეღვიძათ და დაინახეს, ისე ბარდნიდა, თვალთა წინ აღარაფერი ჩანდა.

იმ დღეს ყველა მიხვდა, რომ ულვხილდი სიცოცხლეს ესალმებოდა.

ყველანი შეიკრიბნენ — შინაურები და მოჯამაგირეები. მამა ეირიკიც მოვიდა. ოთახში ბევრი სანთელი ენთო. ახალი შებინდებული იყო, როცა დედის მკერდში ჩაკრულმა ულვხილდმა მშვიდად და უშფოთველად დალია სული.

ულვხილდის სიკვდილი რაგნფრიდმა უფრო ადვილად გადაიტანა, ვიდრე ეგონათ. მშობლები ერთმანეთს მისხდომოდნენ და უხმოდ იმდუღრებოდნენ. ოთახში მყოფნი ყველანი ტიროდნენ. კრისტინი მამას-

თან მივიდა, მამამ ხელი მოხვია და აკანკალებული და ათრთოლებული კრისტინი გულში ჩაიკრა. მაგრამ კრისტინს მაინც ეგონა, რომ მამისთვის ახლა ის უფრო შორს იყო, ვიდრე ლოგინზე უსულოდ გაშოტილი პატარა ულვხილდი.

კრისტინს ვერ გაეგო, როგორ მოხდა, რომ თავი შეიკავა. თვითონაც არ ახსოვდა, რამ შეამაგრებინა თავი; მაგრამ გაშეშებული, მეუხარებისაგან ენაჩავარდნილი მაინც თავს მოერია და ფეხებში არ ჩაუვარდა მამას.

... ეკლესიაში წმიდა თომასის საკურთხეველის წინ იატაკის რამდენიმე ფიცარი აყარეს, ქვასავით გამაგრებული მიწა ძლივს გაჭრეს და საფლავი გაუთხარეს ლავრანსის ასულ ულვხილდს.

სულ თოვდა ის დღეები, რაც ხანი ბავშვი სასიკვდილო ჩალის სარეცელზე ესვენა; თოვდა იმ დღესაც, როცა ულვხილდს ასაფლავებდნენ, და მთელი ის თვეც თითქმის სულ თოვდა...

გასაჭირში ჩავარდნილი ხალხი, მოუთმენლად ელოდა გაზაფხულს. ასე ეგონა, გაზაფხული გაჭირვებიდან ამოიყვანდა, მაგრამ იმედი გადაუწყდა, ასე ეგონა, თავის დღეში აღარ გაზაფხულდებაო. დღემ იმატა და უფრო მზიანი დღეებიც დადგა. ვიდრე მზე იდგა, თოვლი დნებოდა და ხეობა, როგორც ბურუსში, ისე იყო გახვეული. ჰაერში კი ისევ სიცივე ტრიალებდა, სითბოს ჯერ ძალა არა ჰქონდა. ღამე უბედურად ყინავდა. მდინარეზე ყინულს ჭახჭახი გაჰქონდა, მთებში ერთთავად გრგვინავდა. მგლები და მელიები ხომ სულ დაბლა ჩამოვიდნენ და როგორც შუა ზამთარში, ზედ კარზე ღმუოდნენ. მოსახლეობა ხეებს ქერქს აცლიდა პირუტყვის გამოსაკვებად, მაგრამ შიმშილისაგან, თვლა არა ჰქონდა, იმდენი იხოცებოდა. ვერავინ იტყოდა, რით გათავდებოდა ყველაფერი.

ერთ ამისთანა თბილ დღეს, კრისტინი სახლიდან გავიდა გზაზე: ნაურმალში წყალს ჭყაპაჭყუპი გაჰქონდა, თოვლი ვერცხლივით ბზინავდა ბიხდვრებში. თოვლის ზვინები, საითკენაც მზე ადგა, ადგილ-ადგილ ისე იყო ამოჭმული, რომ მაქმანივით თხლად დაფენილი ლიპი თოვლი კრისტინს ფეხქვეშ ემტვრეოდა და ვერცხლივით წკრიალებდა. მაგრამ სულ პატარა ჩრდილიც კი თუ იყო სადმე, ყველგან ზამთრის სუსხი ტრიალებდა, და თოვლიც ქვასავით იდო.

კრისტინი ეკლესიისკენ აპყვა გზას, და თუმცა თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა იქ, გული მაინც იქით მიუწევდა. იქ იყვნენ კრისტინის მამა და კიდევ რამდენიმე გლეხი, გილდიის ძმობის წევრები. როგორც კრისტინმა იცოდა, ეკლესიის გარშემო შემოვლებულ დერეფანში სოფლის ყრილობა ჰქონდათ დანიშნული.

კრისტინს ნახევარი აღმართი არ აევლო, რომ გზაზე თავქვე მომავალი გლეხები შემოხვდნენ. მამა ეირიკიც იმათთან იყო. შეჯგუფული, დაძმარებული ხალხი აცაბაცა მოდიოდა, მოღუშული და გაჩუმებული. შუბლი არ გაუხსნიათ, კრისტინს ისე ჩაუარეს და ისე დაუბრუნეს სალამი.

კრისტინს გულში გაჰკრა: რამდენი დრო გავიდა მას აქეთ, რაც ჩვენ მრევლში ყველას კარგი უნდოდა ჩემთვის! ახლა, რასაკვირველია, ყველამ გაიგო, რა ცუდი შვილი გამოვდექი და, ვინ იცის, სხვაც ბევრი რამ იციან ჩემი! ახლა, რა თქმა უნდა, ყველანი დარწმუნდნენ, ძველად რომ ჭორი გავარდა არნესა და ბენტეინზე, ალბათ ცოტაოდენი სიმართლეც ერიაო. შეიძლება ძალზე ცუდი ხმებიც დადის უკვე ჩემზე. კრისტინმა თავი მაღლა ასწია და ეკლესიისაკენ განაგრძო გზა.

ეკლესიის კარი ნახევრად ღია დაეტოვებინათ. ეკლესიაში ციოდა. მაგრამ კრისტინს ამ ჩაშავებული, ძელური შენობის, მისი ცისკენ აზიდული ხის სვეტებისა და ჩაბნელებული თაღის დანახვაზე გულში სასიამოვნო სითბომ დაუარა. საკურთხეველზე სანთლები არ ენთო, მაგრამ მზის სხივები ოდნავ ატანდა კარის დარნებში და მკრთალად ირეკლებოდა ხატებსა და წმიდა ჭურჭელზე.

წმიდა თომასის საკურთხეველთან კრისტინმა მამა დაინახა, მუხლმოყრილი იდგა, თავი დაეხარა, გულზედაკრეფილ ხელებით ქუდს მკერდზე იკრავდა.

დასევდიანებული კრისტინი მოკრძალებით გამოვიდა ეკლესიიდან, დერეფანში შედგა და მაღლა თაღით შეერთებულ ორ სვეტს მოსჭიდა ხელი, ჩარჩოში ჩასმულივით იდგა და გასცქეროდა თვალწინ გადაშლილ იორიუნდგორდს, დედ-მამისეულ სახლს იქიდან ხევში ჩამდგარ მკრთალ მოცისფრო, ლეჩაქივით ნისლს. მდინარეში კი ხან აქ, ხან იქ რძესავით წყალი და ყინული ბრჭყვიალებდა მზეზე. მაგრამ მდინარის ნაპირებზე ატეხილი მურყნარი უკვე შემოსილიყო მოყვითალო მრეში ალყავებული საყურეებით, ნაძვნარი აქ, ზევით, ეკლესიასთან, უკვე სა-

გაზაფხულო სამოსში გამოწყობილიყო, ხოლო მეზობელ ჭალაში ჩიტების ჭიკჭიკ-ჟღურტული და სტვენა ისმოდა. დიახ, ახლა ჩიტები, მზე ჩავიდოდა თუ არა, ჭიკჭიკ-გალობას იწყებდნენ.

ყველაფერმა ამან კრისტინს კვლავ აგრძნობინა, რომ დიდი ხნის წამებისა და ტანჯვის ფასად თითქოსდა გულიდან უკვე ამოგდებული ნაღველი, რომელიც სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი და ღრღნიდა, — კვლავ აჩუჩუნდა გაუბედავად და უძალოდ, ისიც თითქოს ზამთრის ძილს მიცემული ახლა იღვიძებდა.

ლავრანსი, ბიერგიულფის ვაჟიშვილი, ეკლესიიდან გამოვიდა და კარი მიხურა. შვილთან მივიდა, მის გვერდით შედგა და იმანაც გახეღა ძიდამოს გვერდზე თაღიდან. კრისტინამ დაინახა, ამ ზამთარს რა დიდი დაღი დაესვა მამისათვის. თვითონაც ესმოდა, ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ იყო, მაგრამ სიტყვები თავისთავად მოსწყდა ბაგეს:

— მართალია, რაც დედამ ამას წინათ მითხრა, თითქოს შენ გითქვამს, ეს რომ არნე ყოფილიყო, ისე მოვიქცეოდი, როგორც კრისტინს ენდომებოდაო?

— მართალია, — შვილისთვის არ შეუხედია, ისე მიუგო ლავრანსმა.

— მაგას არ ამბობდი, როცა არნე ცოცხალი იყო, — უთხრა კრისტინმა.

— მაგაზე არასოდეს არც ჩამოვარდნილა ლაპარაკი. მე, რა თქმა უნდა, ვხედავდი, რომ იმ ბიჭს უყვარდი... მაგრამ თვითონ არაფერს ძეუბნებოდა, თან ძალიან ახალგაზრდაც იყო, და არც ის შემიმჩნევია არასოდეს, რომ შენ მაგისთანა რამეზე გეფიქრა. იმას ხომ არ ელოდი, რომ მე თვითონ შევთავაზებდი ჩემ ქალს იმ ადამიანს, ვისაც არაფერი გააჩნდა! — ლავრანსს ჩაეცინა. — მომწონდა კი ის ბიჭი, — ჩუმად ჩაილაპარაკა. — და რომ დამენახა, შენ იმის სიყვარულით იტანჯებოდი...

ორივენი ისევ იდგნენ და მიდამოს გაჰყურებდნენ. მაგრამ კრისტინი გრძნობდა, რომ მამა მას უყურებდა, და რაც ძალა შესწევდა, ცდილობდა, არ აღელვებულიყო, ის კი იგრძნო, რომ ფერი წაუვიდა. მაშინ მამა ძივიდა, მოეხვია და მაგრად ჩაიკრა გულში. თავი გადაუწია, სახეში ჩახედა შვილს და კვლავ თავის მხარში ჩაუმალა სახე.

— უფალო, იესო ქრისტე, ჩემო საყვარელო შვილო, ნუთუ ასეთი უბედური ხარ?

— ალბათ ეს ამბავი გადამიტანს, მამი, — უთხრა კრისტინმა, მამას მიეკრო და ცრემლები წასკდა. მაგრამ ტიროდა იმიტომ, რომ მამის

ალერსზე იგრძნო და თვალებზედაც შეამჩნია, ახლა იმდენად იყო გატანჯული ლავრანსი, რომ წინააღმდეგობის გაწევის ძალა აღარ შესწევდა. კრისტინმა აჯობა მამას.

შუაღამისას კრისტინი გამოაღვიძა ბნელაში მამის მხარზე ხელის შეხებამ.

— ადექი, — ჩუმად უთხრა, — გესმის?..

კრისტინმა გაიგონა, გარეთ როგორა ღმუოდა ქარი, — სამხრეთის ქარი უბერავდა, გამუდმებით გრიალებდა, თან წვიმდა, სახურავებიდან სამ ტოტად ჩამოდიოდა წყალი, ისმოდა გაფაფუკებულ თოვლში დაცემული წვიმის წვეთების შრიალი.

კრისტინმა კაბა გადაიცვა და ისიც მიჰყვა მამას კართან. ერთად იდგსენ და გაჰყურებდნენ შაისის კაშკაშა ღამეს; თბილი ქარი და წვიმა სახეში სცემდა ორივეს, ამღვრეულ ცაზე შავი ღრუბლების ნაფლეთები მოჰქროდა; ტყე შრიალებდა, სახლებსა და სახლებს შუა ქარი ღმუოდა, — მაღლა მთებიდან კი მოზვავებული თოვლის ყრუ გრუხუნი ისმოდა.

კრისტინმა მამას ხელში ხელი ჩასჭიდა და აღარც გაუშვია. მამამ დაუძახა, უნდოდა კრისტინისაც ენახა გაზაფხულის მოსვლა. წინათაც ასე იყო, — მაშინაც დაუძახებდა ხოლმე. და აი, ახლაც დაუძახა.

როცა ოთახში შემობრუნდნენ დასაძინებლად, ლავრანსმა უთხრა:

— ამ კვირია აქ უცხო მსახური რომ იყო, ბატონ მიუნანის, ბორდის ვაჟიშვილის წერილი მომიტანა. ამ ზაფხულს განზრახული მაქვს დედაჩემის სანახავად ჩამოსვლა და ხომ არ მომცემთ ნებას თქვენც გინახულოთ და მოგელაპარაკოთო...

— რა პასუხს მისცემთ? — ჩურჩულით ჰკითხა კრისტინმა.

— ახლა ვერ გეტყვი მაგას, — მიუგო ლავრანსმა. — მაგრამ მოველაპარაკები, მერე კი ისე გადავწყვეტ, რომ ღმერთის წინაშე პასუხის გაცემა შემეძლოს, შვილო.

კრისტინი კვლავ რამბორგს შეუწვა ლოგიხში, ლავრანსი კი მძინარე ცოლის გვერდით დაწვა და ფიქრობდა, ვაითუ უცებ წყალი ძალიან ადიდდესო. ბევრი კარ-მიდამო როდია ისე ახლოს წყლის პირთან, როგორც იორიუნდგორდი და მგონი ვიღაცას უთქვამს კიდეც, ერთხელაც, იქნება, იორიუნდგორდს წყალი წაიღებსო!

— უცებ დადგა გაზაფხული. თოვლმა დნობა დაიწყო და რამდენიმე ღღეში ერთიანად გადაშავებულ დაბას კოკისპირული წვიმა წამოუშინა. წყალი ჩანჩქერებად მოშხეოდა მთის ფერდობებზე; მდინარე დღითი დღე მატულობდა და ახლა ტყვიისფერ ტბასავით იდგა, აქა-იქ კუნძულებივით შერჩენილიყო ჭალები, ზოლივით გაჭიმული შუა წყალი კი მეხანათურად ბობოქრობდა. იორიუნდგორდში ადიდებული წყალი შორს გადავიდა მინდვრებზე, მაგრამ იმდენი ზარალი არ მოსულიათ, როგორც ეშინოდათ.

საგაზაფხულო ხვნა-თესვა გვიან დაიწყეს, და ხალხი, რაღაც თითო მუჭა ხორბალი რომ ჰქონდა სათესლედ გადანახული, იმასა თესავდა, თან ღმერთს ევედრებოდა შემოდგომაზე ღამის ყინვებისაგან დაეფარა. და თითქოს ამჯერად ღმერთმა ისმინა იმათი ვედრება და ცოტად თუ ბევრად შეუმსუბუქა გასაჭირი. ივლისში ქარიანი ამინდები დაიჭირა, კარგი ზაფხული დადგა და ხალხს იმედი მიეცა, მოუსავლიანი წელწადით დაზარალებულები ნელ-ნელა წელში გავიშლებითო.

თიბვა გათავებული იყო, ერთ საღამოს იორიუნდგორდში ოთხი ცხენოსანი ჩამოვიდა. ორი ბატონი თავიანთი მსახურებით: მიუნანი, ბორდის ვაჟიშვილი, და ბორდი, ხესტნესელი პეტერის ვაჟიშვილი.

რაგნფრიდმა და ლავრანსმა მსახურებს ზევითა ოთახში გაამლევინეს სუფრა სტუმრებისათვის, ლოგინები კი სტაბიურში დაუგეს. ლავრანსმა ჩამოსულებს სთხოვა, ნამგზავრები ხართ და ხვალამდის, ვიდრე არ დაისვენებთ, ნურაფერს მეტყვით, რისთვისა ხართ ჩამოსულებიო.

სუფრაზე ყველაზე მეტს მიუნანი ლაპარაკობდა; ხშირად მიმართავდა კრისტინს და თან კაი ნაცნობივით ელაპარაკებოდა, კრისტინი ხედავდა, რომ მამას ეს არაფრად ესიამოვნებოდა. ბატონი მიუნანი ჯმუხი, ჩაყვიყირებული, უსახური და ყბედი კაცი იყო, თანაც მასხარასავით ეჭირა თავი, მას მეტსახელად დონდლო მიუნანს, ან ჯამბაზ მიუნანს ეძახდნენ. და თუმც მასხარასავით ეჭირა თავი, მაინც ფრუ ოსხილდის შვილი გახლდათ, ჭკვიანი და საქმიანი კაცი იყო, და ბევრჯერ მეფის ნდობით აღჭურვილი პირიც ყოფილა სხვადასხვა საქმის გადაწყვეტის დროს. ხოლო ძის ნათქვამს ანგარიშს უწევდნენ ისინი, ვინც სახელმწიფო საქმეებს გა-

ნაგებდა. სკუგჰეიმის ოლქში დედის საგვარეულო მამულში ცხოვრობდა. ძალიან მდიდარი იყო და ცოლადაც მდიდარი ქალი შეერთო. ფრუ კატრინი, იმისი ცოლი, მეტისმეტად უსახური ქალი იყო და ერთთავად პირმოკუმული იჯდა. მაგრამ ქმარი ისე იხსენიებდა ცოლს, როგორც ჭკვიანზე ჭკვიან ქალს, ამიტომაც ხალხმა ხუმრობით ფრუ კატრინ ბრძენთა ბრძენი, ან კატრინ მჭევრმეტყველი შეარქვა. ეტყობა, კარგად და შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ. თუმც ბატონი მიუნანი განთქმული იყო თავისი აღვირახსნილი გარყვნილი ცხოვრებით ცოლის შერთვამდე და ცოლის შერთვის შემდეგაც.

ბატონი ბორდი, პეტერის ვაჟიშვილი, ლამაზი და ყველასაგან პატივცემული მოხუცი იყო, თუმც ახლა ცოტა გასუქებულიყო და დამძიმებულიყო; თმა და წვერიც ოდნავ გამოხუნებოდა, მაგრამ ჯერ ისევ ოქროსფერი უფრო ეთქმოდა, ვიდრე ჭაღარა. რაც ხოკონის ძე მეფე მაგნუსი მიიცვალა, მას შემდეგ[1] თავისთვის ცხოვრობდა და თავის დიდ მამულებს განაგებდა ჩრდილოეთ მიორში. მეორედ იყო დაქვრივებული და ბევრი შვილებიცა ჰყავდა; როგორც ამბობდნენ, ყველანი ძალიან ლამაზები იყვნენ, კარგი აღზრდილები და კარგადაც დაებინავებინა მამას.

მეორე დღეს ლავრანსი თავისი სტუმრებით ზევითა ოთახში ავიდა მოსალაპარაკებლად. ლავრანსმა სთხოვა ცოლს, ისიც დასწრებოდა მოლაპარაკებას, მაგრამ რაგნფრიდმა არ ინდომა.

— შენ თავად უნდა გადაწყვიტო! იცოდე ლავრანს, თუ ვერ მორიგდით, დიდ მწუხარებაში ჩავარდება ჩვენი შვილი, მაგრამ იმასაცა ვხედავ, რომ ბევრი რამ არის ისეთი, რამაც შეიძლება უარი გათქმევინოს.

ბატონმა მიუნანმა ნიკოლაუსის ვაჟიშვილის ერლენდის წერილი გადასცა ლავრანსს. ერლენდი სწერდა ლავრანსს: თქვენ წამოაყენეთ, რა პირობებსაც მოისურვებთ, უკეთუ თანახმა იქნებით თქვენი ქალი დავნიშნო. მე კი თანახმა ვარ პირუთვნელ ხალხს შევაფასებინო ჩემი ადგილ-მამული და იმათვე დავავალო გამოარკვიონ ჩემი შემოსავალი და კრისტინს გამოვუყოფ დამატებით და საქორწილო საჩუქრებისათვის იმდენს, რომ თუ კრისტინი უშვილოდ დაქვრივდა, მთელი ჩემი ქონების

[1] ესე იგი, 1280 წლიდან, მაშასადამე — თითქმის უკვე ორმოცი წელიწადი.

მესამედი კრისტინისა იქნება, გარდა თავისი მზითვისა და მთელი იმ შემკვიდრეობისა, რომელიც თავისი მშობლების მერე დარჩება და მოვიოხოვ კრისტინს სრული უფლება მიეცეს თავისი წილი ქონება, რომელსაც მშობლებისაგან მიიღებს და აგრეთვე რომელსაც ჩემგან მიიღებს, როგორც უნდა, ისე მოიხმაროს. მაგრამ თუ თქვენ მოისურვებთ და ქონების გაყოფის სხვა პირობებს წამოაყენებთ, თანახმა ვარ მოგისმინოთ და ჩემი გადაწყვეტილება თქვენი სურვილის შესაფერისად შეეცვალო. ერთადერთი პირობა, რომელზეც გთხოვთ, თანხმობა მომცეთ კრისტინის ნათესავებმა, შემდეგია: თუ მათ ოდესმე მოუხდებათ მეურვეობა გაუწიონ ჩემსა და კრისტინის შვილებს, არ უნდა მოინდომონ, ჩემს შვილებს, რომლებიც ორმის ასული ელინასაგან მყავს, ჩამოართვან ჩემი ნაჩუქარი ადგილ-მამული და უნდა ჩასთვალონ, რომ ეს ადგილ-მამული ჩემი მამულების სიიდან გამორიცხული იყო თქვენი ქალის — კრისტინის შერთვამდე. ბოლოს ერლენდი წინადადებას იძლეოდა, რომ თავის ოჯახში, ხიუსაბიუში გადაიხდიდა ისეთ დიდებულ ქორწილს, როგორიც მათ შეეფერებოდათ.

ლავრანსმა წერილი წაიკითხა და ასეთი პასუხი მისცა:

— ეს კეთილშობილური წინადადებაა. მე ვხედავ თქვენი ნათესავი დიდი მოსურნეა თანხმობას მიაღწიოს ჩემთან. ამას აგრეთვე იქიდანაც ვხედავ, რომ დაგიყოლიათ, თქვენ, ბატონო ძიუხახო, ძეორედ წაძოსულიყავით მისი დავალებით ჩემისთანა კაცთან, ვისაც ამ მრევლის იქით დიდი არაფერი გავლენა აქვს, და ისეთმა პატივსაცემმა ადამიანმა, ბატონო ბორდ, როგორიც თქვენა ბრძანდებით, ასეთი მგზავრობა იკისრეთ, რათა ერლენდის თხოვნისთვის მხარი დაგეჭირათ. მაგრამ მე შემდეგი უნდა მოგახსენოთ მისი წინადადების შესახებ; ჩემი ქალი ისე არ არის აღზრდილი, რომ თვითონ განაგოს თავისი ქონება, და მეც მუდამ ვიმედოვნებდი ისეთ კაცზე გამეთხოვებინა, ვისი იმედიც მექნებოდა და სრული რწმენით ჩავაბარებდი ჩემი შვილის კეთილდღეობას. მე არ ვიცი, შესძლებს თუ არა კრისტინი მოიხმაროს ეს უფლება და მე მგონი არც თუ სასიკეთო იქნება ეს მისთვის! კრისტინი ლმობიერი და დამთმობი ხასიათისაა, და სწორედ ის, რომ ერლენდმა ბევრ რამეში გამოიჩინა არაგონივრულობა, ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ წინააღმდეგი ვიყავი მათი შეუღლებისა. კრისტინი რომ უფლების მოყვარული, მტკიცე ხასიათის, ჭირვეული და თავნება ქალი იყოს, მაშინ სხვა საქმეა.

ბატონმა მიუნანმა გადაიხარხარა და უთხრა:

— ძვირფასო ლავრანს, ნუთუ იმასა სჩივით, რომ საკმაოდ ჭირვეული ქალი არა გყავთ.

ბატონმა ბორდმაც ოდნავ ჩაიცინა და ჩაილაპარაკა:

— ვგონებ, თქვენ ქალს ვერ დაემდურებით საკმაო ნებისყოფა არ გამოიჩინაო, ის ხომ ორი წელიწადია მტკიცედ დგას თავისზე, წინააღ-' მდეგ თქვენი სურვილისა.

ლავრანსმა მიუგო:

— მე მშვენივრად მახსოვს ეგ, მაგრამ ვიცი, რასაც ვამბობ! ჩემს შვილს თვითონაც უჭირდა და სიცოცხლე უმწარდებოდა, როცა ჩემი ნება-სურვილის წინააღმდეგ მიდიოდა, მაგრამ დიდი ხნის ბედნიერება არ უწერია ისეთ ქმართან, რომელიც ხელში ვერ დაიჭერს მას.

— გაგონილა! — შესძახა ბატონმა მიუნანმა. — მაშ, თქვენი ქალი სულ არა ჰგვანებია ყველა იმ ქალებს, ვისაც მე ვიცნობდი, ქალი არ მინახავს, რომელსაც არ სდომებოდა თვითონა ყოფილიყო ბატონ-პატრონი თავის თავისაც და თავისი ქმრისაც!

ლავრანსმა მხრები აიჩეჩა, პასუხი კი არ მიუცია.

მაშინ ბორდმა დაიწყო, პეტერის ვაჟიშვილმა:

— მე მესმის, ლავრანს, თქვენი ქალისა და ჩემი შვილობილის ქორწინების უფრო დიდი წინააღმდეგი გახდით მას შემდეგ, რაც ქალი, რომელიც ერლენდს ოჯახში ჰყავდა, ისეთნაირად მოკვდა. მაგრამ იცოდეთ: გამოირკვა, რომ იმ უბედურს სხვა კაცისთვის შეუცდენინებია თავი, ხიუსაბიუს მოურავისათვის. ერლენდს სცოდნია ის, როცა ერთად მიემგზავრებოდნენ. უთქვამს კარგ მზითევს მოგცემ, თუ ის თანახმა იქნება შეგირთოსო.

— დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ეგრე იყო? — ჰკითხა ლავრანსმა. — მაგრამ ჩემის აზრით, ამით საქმეს არაფერი შველებია! კარგი გვარის ქალისთვის ძნელია ალბათ მამულში შევიდეს მამულის პატრონთან ხელიხელ გაყრილი, იქიდან კი მოჯამაგირეს გამოჰყვეს.

მიუნანმა, ბორდის ვაჟიშვილმა, ამის პასუხად უთხრა:

— მე ვხედავ ლავრანს, ბიერგიულფის ვაჟიშვილო, ჩემს დეიდაშვილს ყველაზე მეტად იმას უწუნებთ, რომ ასეთი უბედურება შეემთხვა საკსიულვის ვაჟიშვილ სიგიურდის ცოლთან. და, უნდა ვაღიარო, მოსაწონი ამაში მართლაც დიდი არაფერია, მაგრამ, უფალო ღმერთო ჩემო, არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ყმაწვილი ბიჭი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს ახალგაზრდა ლამაზ ქალთან, ამ ქალის ქმარი კი მოხუცი, გამოცი-

ებული, ცოლ-ქმრული ცხოვრების უნარმოკლებული კაცია; იმ მხარეში კი ნახევარი წელიწადი ღამეა, ვგონებ, ძნელია სხვა რამ მომხდარიყო, ერთადერთი—თუ ერლენდი ნამდვილი წმინდანი იქნებოდა! მაგის უარყოფა არ შეიძლება, რომ ერლენდი თავის დღეში არა ყოფილა ბერი, მაგრამ არა მგონია, თქვენ ყმაწვილ, ლამაზ ქალს მადლობა ეთქვა თქვენთვის, ბერისთვის რომ მიგეთხოვებინათ! რასაკვირველია, შემდეგშიც სულელურად იქცეოდა ერლენდი, და უფრო უარესადაც, მაგას თქმა არ უნდა... მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხომ ბოლო უნდა მოღებოდა მაგეებს; ჩვენ, მისი ნათესავები ვეცადეთ დავხმარებოდით, რომ ყმაწვილი კაცი ფეხზე დამდგარიყო, ის ქალი მოკვდა. ერლენდმა ყველაფერი გაიკეთა მისი გაპატიოსნებისათვის, ოსლოში თვით ეპისკოპოსმა მიუტევა შეცოდებანი მისნი. და ახლა ის შვერინის წმიდა სისხლით განპანილი დაბრუნდა შინ. ნუთუ თქვენ გინდათ ოსლოს ეპისკოპოსსა და არქიეპისკოპოსზე, თუ რა ვიცი ვინც განაგებს ამ ძვირფას სისხლს, იმათზე მეტი სიმკაცრე გამოიჩინოთ!... ძვირფასო ლავრანს, უბიწოება, რასაკვირველია, კარგი რამ არის, მაგრამ, ღმერთმანი, იგი არ ენიშება მოწიფულ ვაჟკაცს ისე, თუ ღვთის განსაკუთრებული მიმადლება არ იქნება! წმიდა ულავსა ვფიცავ — გაიხსენეთ, თვით წმიდა მეფესაც არ მიემადლა ეს ჯილდო მანამ, სანამ მისი მიწიერი ცხოვრება დასასრულს არ მიუახლოვდა; ალბათ ასეთი იყო ნება უფლისა, რომ ჯერ მშვენიერი ჭაბუკი გაეჩინა, როგორიც მეფე მაგნუსი გახლდათ, ვინც გატეხა წარმართების ძლიერება ჩრდილოეთ ქვეყნებში. მეფე ულავს დედოფალთან არ შესძენია იგი, და მაინც სასუფეველში ყველაზე უმაღლეს წმიდანთა შორის სუფევს, თუმც სახეზე გატყობთ, ჩემი ლაპარაკი უხამსი გეჩვენებათ...

ბატონმა ბორდმა სიტყვა ჩამოართვა მიუნანს:

— ლავრანს, ბიერგიულფის ვაჟიშვილო, თქვენი არ იყოს, არც მე დამფენია გულზე ია და ვარდი, როცა პირველად მომმართა ერლენდმა და მითხრა ქალი შემიყვარდა, რომელიც უკვე სხვაზეა დანიშნულიო. მაგრამ მერე მივხედი, ამ ორ ახალგაზრდას ისე უყვართ ერთმანეთი, რომ დიდი ცოდვა იქნებოდა მათი დაშორება. ერლენდი ჩემთან ერთად იყო უკანასკნელ საშობაო მიღებაზე, რომელიც მეფე ხოკონმა თავის ქვეშევრდომების პატივსაცემად გამართა, — ერლენდი და თქვენი ქალი იქ შეხვდნენ ერთმანეთს; და დაინახეს თუ არა ერთმანეთი, თქვენი ქალი უგონოდ დაეცა და დიდხანს მკვდარივით იდო, ჩემს ნაშვილებს

კი შევატყე, რომ სიცოცხლეს უფრო ადვილად დასთმობს, ვიდრე იმ ქალს!

ლავრანსი პატარა ხანს სდუმდა, ვიდრე პასუხს მისცემდა:

— დიახ, ყველაფერი ძალიან ლამაზი გეჩვენება, როდესაც ამაზე რომელიმე სამხრეთის ქვეყნის რაინდულ საგებში კითხულობ. მაგრამ ახლა ჩვენ ბრეტანში არა ვართ და თქვენც, უეჭველია, უფრო მეტს მოსთხოვდით ადამიანს, ვის დასიძებასაც აპირებთ, ვიდრე შნოსა და ენარს ისე შეაყვაროს თავი თქვენს ქალს, რომ თქვენი შვილის სიყვარულისაგან უგრძნობლად დაეცეს მთელი ხალხის თვალწინ...

მის თანამოსაუბრეებს არაფერი უთქვამთ, და ლავრანსმა განაგრძო.

— მე მგონია, პატივცემულო ბატონო ჩემო, ერლენდს რომ არ გაეფლანგა იმდენი საცხოვრებელი და ამით ჩრდილი არ მიეყენებინა თავისი სახელისათვის, თქვენ არ ისხდებოდით და ასე ძალიან არ დაუწყებდით თხოვნას ჩემი მდგომარეობის კაცს, ქალი მოგვეციოთ. მაგრამ მე არ მინდა კრისტინზე ილაპარაკონ, მისთვის დიდი პატივია ნორვეგიაში ერთ-ერთი საუკეთესო გვარის ჩამომავალ ხიუსაბიუს მფლობელზე გათხოვება მას მერე, რაც ამ კაცმა ისე მოიჭრა თავი, რომ უკეთესად დაქორწინებისა, ან თავისი გვარის პატიოსანი სახელის შენარჩუნების იმედი აღარა ჰქონდაო.

ლავრანსი უცებ წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, ამ დროს ბატონი მიუნინიც ფეხზე წამოიჭრა:

— არა, ლავრანს, უკეთუ თქვენ თავის მოჭრაზე ლაპარაკობთ, მაშინ გულწრფელად გეტყვით სიმართლეს, რომ თქვენ მეტისმეტად ამპარტავანი ყოფილხართ!..

ბატონმა ბორდმა სიტყვა გააწყვეტინა და ლავრანსთან მივიდა:

— თქვენ მართალაც ამპარტავანი ყოფილხართ, ლავრანს! თქვენ მაგონებთ იმ ძველი დროის გლეხებს, რომელთაც არავითარი ტიტულის მიღება არ უნდოდათ მეფისგან, — სიამაყე ნებას არ აძლევდა ხალხს ელაპარაკა, რომ ისინი ვიღაცის მადლიერნი უნდა იყვნენ და არა თავიანთი თავისაო. მე გეუბნებით: ერლენდს სახელიც რომ არ შეებღალა და იმ სიმდიდრის პატრონი ყოფილიყო, რაც დაბადების დროს ჰქონდა, მაშინაც კი არ ჩავთვლიდი თავს დამდაბლებულად, რომ კარგი გვარისა და შეძლებული ადამიანის ქალი მეთხოვა ჩემი შვილობილის-

თვის, რაკი ვხედავ, რომ ორივეს გული შეიძლება შუაზე გაიპოს, უკეთუ მათ ერთმანეთს დააშორებენ. განსაკუთრებით, — მხარზე ხელი დაადო ლავრანსს და ჩუმად უთხრა, — თუ საქმე ისეა, რომ მათი სულიერი სისპეტაკისთვის უკეთესი იქნებოდა შეუღლებულიყვნენ.

ლავრანსმა თავი გაინთავისუფლა მოსაუბრის ხელიდან და უკმეხად და ცივად შეხედა:

— რაღაც არ მესმის, რისი თქმა გსურთ!

ორივემ ერთხანს უცქირეს ერთმანეთს; მერე ბატონმა ბორდმა დაიწყო:

— იმის თქმა მსურს, რომ ერლენდმა მითხრა, თითქოს მათ საშინელი ფიცით შეჰფიცეს ერთმანეთს ერთგულება. შესაძლოა ამაზე მიპასუხოთ, რომ გაქვთ უფლება ფიცისაგან გაანთავისუფლოთ თქვენი შვილი, რაკი თქვენი ნების გარეშე მისცა ფიცი. მაგრამ ერლენდის განთავისუფლება ფიცისგან თქვენ არ შეგიძლიათ!.. და მე მხოლოდ ერთსა ვხედავ: მთავარი დაბრკოლება მდგომარეობს თქვენს ამპარტავნობასა და თქვენ სიძულვილში ცოდვის ჩადენისადმი, მაგრამ მე მგონია, რომ თქვენ გინდათ უფალ ღმერთზე მეტი სიმკაცრე გამოიჩინოთ, ლავრანს, ბიერგიულფის ვაჟიშვილო!..

ლავრანსმა უპასუხა, მაგრამ გაუბედავად კი ლაპარაკობდა:

— შესაძლოა თქვენს სიტყვებში არის ცოტაოდენი სიმართლე, ბატონო ბორდ, მაგრამ ყველაზე მეტად იმიტომ ვიყავი წინააღმდეგი ამ ქორწინებისა, რომ ერლენდს ისეთ საიმედო ადამიანად არა ვთვლი, რომ მას ჩავაბარო ჩემი შვილის ბედ-იღბალი.

— ვფიქრობ, ახლა შემიძლია თავდებად დავუდგე ჩემს შვილობილს, — ყრუდ წარმოთქვა ბორდმა. — მას ისე უყვარს კრისტინი, თუ თქვენ ქალს მისცემთ, ცუდს აღარაფერს ჩაიდენს და აღარაფერი გექნებათ სიძის დასამდური.

ლავრანსმა პასუხი დააყოვნა. მაშინ ბატონმა ბორდმა ხელი გაუწოდა და გულში ჩამწვდომი კილოთი უთხრა:

— ღვთის გულისათვის, ლავრანს, ბიერგიულფის ვაჟიშვილო, თანხმობა მოგვეცით!

ლავრანსმა ხელი გაუწოდა ბორდს:

— ღმერთი იყოს იმათი მფარველი!

რაგნფრიდსა და კრისტინს ზევით დაუძახეს და ლავრანსმა აუწყა თავისი გადაწყვეტილება. ბატონი ბორდი მოწიწებით მიესალმა ქალებს.

ბატონმა მიუნანმა ხელი ჩამოართვა რაგნფრიდს, და ცერემონიული მისალმებით მიმართა დიასახლისს: მაგრამ კრისტინს კი უცხოურ ყაიდაზე კოცნით მიესალმა, და ვეღარ გაათავა კოცნა. კრისტინმა იგრძნო მამა უყურებდა.

— როგორ მოგწონს შენი ახალი ნათესავი ბატონი მიუნანი? — დაცინვით ჰკითხა ლავრანსმა შვილს, საღამოთი ერთი წუთით მარტონი რომ დარჩნენ.

კრისტინმა ვედრებით შეხედა მამას. ძაშინ მან რამდენჯერმე ალერსით ხელი მოუსვა სახეზე კრისტინს და აღარაფერი უთქვამს.

როცა ბატონი ბორდი და ბატონი მიუნანი დასაძინებლად წავიდნენ, მიუნანმა თქვა:

— რას არ მივცემდი, ერთი დამენახა ლავრანსის, ბიერგიულფის ვაჟის სახე, მთელი სიმართლე რომ გაეგო თავის სათაყვანებელ ქალზე! ჩვენ კი დაჩოქილებს გვახვევწნინებს ერლენდისთვის ცოლად მოგვცეს ის ქალი, რომელიც სასიძოს ბევრჯერ მიუყვანია საეშმაკოდ ბრიუნხილდის სახლში...

— ენას კბილი დააჭირე. — გაანჩხლებულმა მიუგო ბატონმა ბორდმა. — ყველაზე დიდი საზიზღრობა ერლენდის მხრიდან ამ ბავშვის შეტყუება იყო იმისთანა საუკეთესოდ მართო ადგილებში, როგორც ბრიუნხილდის სახლია; ეცადე, ლავრანსმა თავის დღეში ექვი არ აიღოს ამაზე. ყველასათვის სჯობია, თუ ახლა ისინი დამეგობრდებიან.

გადაწყვიტეს ნიშნობა იმ შემოდგომასვე გადაეხადათ. ლავრანსმა უთხრა, შარშან მოუსავლიანი წელიწადი იყო და ნიშნობისთვის დიდ წვეულებას ვერ გავმართავ; სამაგიეროდ ქორწილის მთელ ხარჯს მე ვკისრულობო, რომელიც იორიუნდგორდში უნდა გადაეხადათ შესაფერისი დიდებითა და პატივით. მოუსავლიანობა მოიმიზეზა და კვლავ მოითხოვა, ნიშნობიდან ქორწილამდე ერთი წელიწადი გასულიყო.

VI

ნიშნობა ხან რა მიზეზით და ხან რა მიზეზით ბევრჯერ გადაიდო; ახალგაზრდებისთვის ძლივს გადაიხადეს, მაგრამ ლავრანსი თანახმა გახდა

ამის მიზეზით ქორწილი აღარ გადაედოთ; მიხეილობა გაივლიდა თუ არა, როგორც პირობა იყო, ქორწილი მაშინვე უნდა გადაეხადათ.

ამრიგად, კრისტინი იორიუნდგორდში ცხოვრობდა, იგი ახლა კანონიერი საცოლე იყო ერლენდისა. იმან და დედამისმა ხელახლა გადასინჯეს კრისტინისათვის დამზადებული მზითვი, და ცდილობდნენ რაც შეიძლება ბევრი მიემატებინათ ლოგინის თეთრეულისა და ტანსაცმლისათვის, იმიტომ, რომ ლავრანსი აღარაფერს იშურებდა, რაკი გადაწყვიტა თავისი ქალი ხიუსაბიუს მფლობელისათვის მიეცა.

კრისტინს თავადვე აკვირვებდა თავისი თავი; რატომ არ არის გახარებული ახლა? მაგრამ საერთოდ არავინ იყო გახარებული იორიუნდგორდში, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფეხზე იდგა და ფუსფუსებდა.

მშობლები ძალიან იტანჯებოდნენ, ისე გლოვობდნენ ულვხილდს — ეს კრისტინს ესმოდა. მაგრამ ისიც ესმოდა, რომ მარტო ამიტომ არ იყვნენ ასე დადუმებულები და დასევდიანებულები. კრისტინს ალერსიანად ეექცეოდნენ, მაგრამ როცა დანიშნულზე ჩამოუგდებდნენ ხოლმე ლაპარაკს, კრისტინი გრძნობდა, თავს ძალას ატანდნენ, და მხოლოდ იმიტომ ელაპარაკებოდნენ ერლენდზე, რომ ის გაეხარებინათ, ეგრძნობინებინათ, გაჯავრებულები არა ვართ შენზეო, და არა იმიტომ, რომ სურდათ იმაზე ლაპარაკი. არც მაშინ დარჩნენ დიდად მოხარულები იმისი გათხოვებისა ერლენდზე, როცა თავიანთი ქალის საქმრო გაიცნეს. თვითონ ერლენდიც არ აბეზრებდა თავს ლაპარაკით და მორიდებულად იყო იმ რამდენიმე დღეს, იორიუნდგორდში რომ გაატარა, როცა ნიშნობა გადაიხადეს, და კრისტინი ფიქრობდა, სხვანაირად ვერც მოიქცეოდა ერლენდი — ხომ იცის, რომ მამაჩემმა დიდი სიხარულით არ მისცა თანხმობაო.

თვითონ კრისტინსა და ერლენდს ათი სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისთვის პირისპირ. უცნაური იყო და ეუცხოვებოდა ყველას თვალწინ გვერდი-გვერდ ჯდომა ერლენდთან; ახლა თითქმის სალაპარაკო არაფერი ჰქონდათ ერთმანეთთან, იმიტომ, რომ უწინ იმდენი რამ იყო მათ შორის საიდუმლო და ხალხისაგან დაფარული. გულში რაღაც შიში ჰქონდა კრისტინს, ბურუსით მოცული და გაუგებარი, რომელიც არა შორდებოდა, ეშინოდა, ახალ შეუღლებულებს ვაითუ გაგვიჭირდეს, რადგან ადრევე ვიყავით ერთმანეთთან დაახლოებულნი, მერე კი ძალიან დიდიხნით დავშორდითო.

მაგრამ კრისტინმა სცადა ეს შიში გულიდან ამოეგდო. ვარაუდობ-

დნენ, რომ ერლენდი იორიუნდგორდს სამებობას ესტუმრებოდა; მან ჰკითხა ლავრანსსა და რაგნფრიდს, ხომ არაფერი გექნებათ ჩემი ჩამოსვლის საწინააღმდეგო; ლავრანსს გაეცინა და მიუგო, რასაკვირველია, კარგად მივიღებ ჩემს სიძეს, შეგიძლია ამაში დარწმუნებული იყო!

სამებობას ერთად ისეირნებენ, ერთმანეთთან ილაპარაკებენ კიდეც როგორც უწინ, და მაშინ ალბათ გაქრება ის ეჭვები და წყენა, რომელიც მათ შორის გაჩნდა განშორების გამო, როცა თვითეული თავის თავს იყო მინაბრებული და თავისთვის იტანჯებოდა.

სააღდგომოდ სიმონი, ანდრესის ვაჟი, ცოლით თავის მამულ ფორმოში ჩამოვიდა. კრისტინმა ეკლესიაში ნახა ისინი. სიმონის ცოლი მის შორიახლოს იდგა.

„ეტყობა სიმონზე ბევრად ხნიერია, — გაიფიქრა კრისტინმა, — კაი ოცდაათი წლისაც იქნება". ფრუ ხალფრიდი ნაზი, ტანდაბალი, გამხდარ-გამხდარი ქალი იყო, მაგრამ სახით საოცრად მშვენიერი. ტილოს თავსაფრიდან ტალღებად გამოშლილი მუქი ქერა თმის მქრქალ ანაბზინზე ეტყობოდა, აბრეშუმივით თმა ჰქონდა, მისი დიდრონი ნაცრისფერი ოქროსფრად ჩაწინწკლული თვალები სიკეთესა და ლმობიერებას გამოხატავდნენ. სახის ნაკეთები თხელი და ფაქიზი, მაგრამ ოდნავ სიწხლნაკლები ჩანდა, ფერმკრთალ პირისკანს მიწისფერი დაჰკრავდა, ხოლო ბაგეს რომ გახსნიდა, უჩანდა, რომ კბილები არ უვარგოდა. სუსტი ქალი ჩანდა, ალბათ ხშირადაც ავადმყოფობდა — როგორც ამბობდნენ, რამდენჯერმე კიდეც წახდენოდა მუცელი. კრისტინი ფიქრობდა, ნეტავი როგორა ცხოვრობენ სიმონი და თავისი ცოლიო.

იორიუნდგორდის და ფორმოს მცხოვრებნი რამდენჯერმე ეკლესიის ბექობზე შეხვდნენ ერთმანეთს და შორიდან მიესალმნენ, მაგრამ გამოლაპარაკებით არ გამოლაპარაკებიან. მესამე დღეს სიმონი უცოლოდ იყო ეკლესიაში. ახლა კი მივიდა ლავრანსთან და ცოტახანს ისაუბრეს. კრისტინმა ყური მოჰკრა, ულვხილდი ახსენეს. მერე სიმონმა რაგნფრიდს დაუწყო ლაპარაკი. რამბორგმა, რომელიც დედის გვერდით იდგა, ძალიან ხმამაღლა უთხრა:

— მე კარგად მახსოვხარ, ვიცი ვინცა ხარ!

სიმონმა გოგონას მკლავებში ხელი მოსჭიდა და თავის გარშემო შემოატრიალა.

— მაგას რა სჯობია, რამბორგ, რომ არ დაგვიწყებივარ!

კრისტინს სიმონმა შორიდან დაუკრა თავი. ეს იყო და ეს. მშობლებსაც არ უხსენებიათ მერე სიმონთან შეხვედრა.

კრისტინმა კი ბევრი იფიქრა სიმონთან შეხვედრაზე. უცნაური იყო მაინც კვლავ შეხვედრა სიმონ დარესთან, უკვე ცოლიან კაცთან. ამ შეხვედრამ რამდენი ძველი მოგონება გააცოცხლა: მოაგონდა, როგორ ბრმად უყვარდა მაშინ ერლენდი, როგორ უსიტყვოდ ემორჩილებოდა. ახლა სულ სხვაგვარი იყო მათი სიყვარული. ისიც გაიფიქრა კრისტინმა, ნეტავ უამბო თუ არა სიმონმა თავის ცოლს, ერთმანეთს რა მიზეზით დავშორდითო; მაგრამ არა, რასაკვირველია, არაფერს უამბობდა. „მამაჩემის ხათრით", — დაცინვით გაიფიქრა. ნეტავი გათხოვილი ვიყო და ისევ მამაჩემის ოჯახში არა ვცხოვრობდე! მაგრამ მე და ერლენდი ასე თუ ისე ხომ მაინც დანიშნულები ვართ, და სიმონს შეუძლია დარწმუნდეს, რომ მაინც ჩვენი გავიტანეთ, და რისი ჩამდენიც არ უნდა იყოს ერლენდი, ჩემთვის მაინც არ უღალატია და არც მე მოვქცეულვარ ქარაფშუტულად და თავქარიანად.

ერთ საღამოს, ადრე გაზაფხული იყო, რაგნფრიდს ვინმე უნდა გაეგზავნა, რაღაც ჰქონდა შესათვლელი, მოხუც გიუნხილდთან, იმ ქვრივთან, ბეწვის ტანსაცმელსა და ნივთებს რომ ჰყერავდა. ისეთი მშვენიერი საღამო იყო, რომ კრისტინმა თვითონ მოინდომა წასვლა; და, როგორც იყო, დაითანხმა დედა, კაცებს მაინც არ ეცალათ იქ წასასვლელად.

მზე უკვე ჩავიდა და დედამიწიდან მოოქროსფრო-მწვანე ცისაკენ თითქოს თხელი თეთრი გაყინული ნისლი ადიოდა. ცხენის ფლოქვების ყოველ დადგმაზე კრისტინს ეყურებოდა, საღამოს სუსხზე გაყინული თოვლი როგორ იმსხვრეოდა და წკრიალით იფანტებოდა აქეთ-იქით ყინული, მაგრამ როგორც გაზაფხულზე იცის, გზის გაყოლებით ბუჩქებიდან ჩამოწოლილი საღამოს ბინდის შესაგებებლად ჩიტების ისეთი ატეხილი ზეიმით აღსავსე ალერსიანი ჭიკჭიკი ისმოდა.

კრისტინს ჩქარი ნაბიჯით მიჰყავდა ცხენი, ხეობაზე თავქვე მიდიოდა და განსაკუთრებით არაფერზე ფიქრობდა, მხოლოდ იმას გრძნობდა, რა კარგი იყო კვლავ მარტო ლაღად ყოფნა. მიდიოდა და თან თვალს არ აშორებდა ახალ მთვარეს, ხეობის გაღმა მხარეს მთის ქედებს რომ უნდა მოფარებოდა. ამიტომ იყო, კინაღამ ცხენიდან გადმოვარდა, როცა ცხენი მოულოდნელად დაფრთხა და ყალყზე შედგა.

კრისტინმა დაინახა გზის პირას ოთხად მოკუნტული მუქი სხეული, ჯერაც ვერ მოეშორებინა ის საძაგელი შიში, რომელიც აიტანდა ხოლმე, როცა გზად მარტო მიმავალი ვინმე მგზავრს გადაეყრებოდა. ვაითუ ვინმე მწირია და გზაში ავად გახდაო, გაიფიქრა და, როცა ცხენი დაიმორჩილა, უკან გამოტრიალდა, თან ხმამაღლა კითხულობდა, მანდ ვინა ხარო.

ოთხად მოკუნტული სხეული შეინძრა და ხმა გამოიღო:

— მგონი, თვითონ კრისტინი ლავრანსის ასული უნდა იყოს?..

— ძმა ედვინი ხართ? — წყნარის ხმით ჰკითხა კრისტინმა. მზად იყო ეფიქრა, ეს მოჩვენება ან ეშმაკეულია, რაღაც ჩემს მოსატყუებლადო. მაგრამ მაინც მივიდა; მართლაც მოხუცი ბერი იყო და სხვის დაუხმარებლად ფეხზე წამოდგომა არ შეეძლო.

— ძვირფასო მამაო, ნუთუ ამ ცივ ზამთარში დაადექით გზას? — ჰკითხა გაოცებულმა კრისტინმა.

— დიდება უფალ ღმერთს, რომელმაც ამ საღამოს აქეთკენ წამოგიყვანა, — უთხრა ბერმა კრისტინს. კრისტინმა შეამჩნია, რომ ბერი მთელი სხეულით კანკალებდა. — განზრახული მქონდა თქვენთან, ჩრდილოეთში გადმოვსულიყავი, მაგრამ დღეს ვეღარ შევძელი სიარული. მე მეგონა, რომ ასეთია ღვთის ნება, გზაზევე უნდა დავეცე და გზაზევე უნდა ამომივიდეს სული, როგორც დავხეტიალობდი გზებზე მთელი ჩემი სიცოცხლე. მაგრამ ძალიან მინდოდა აღსარება მეთქვა და უკანასკნელი ზიარება მიმეღო. შენი ნახვაც მენატრებოდა, შვილო ჩემო...

კრისტინმა ცხენზე შეჯდომა უშველა ბერს, თვითონ აღვირს მოსჭიდა ხელი, ცხენი მიჰყავდა და თან მოხუცსაც აშველებდა ხელს. მოხუცი წუხდა, ახლა ფეხი დაგისველდება ამ თოვლშიო, თან დროდადრო ჩუმად კვნესოდა ტკივილებისაგან.

ბერმა კრისტინს უამბო, შობის შემდეგ ეიაბიუში ეცხოვრობდი: რამდენიმე მდიდარმა გლეხმა მოუსავლიანობის დროს ღმერთს აღთქმა მისცა თავიანთი ეკლესია გაემშვენიერებინათ და ხელახლა მოეპირკეთებინათ. მაგრამ მუშაობა კუს ნაბიჯით მიდიოდა. მთელ ზამთარს ვიავადმყოფე, ერთთავად მუცელი მტკიოდა, სისხლს მაღებინებდა და ბერაღერსა ვეჭიდი. მე მგონი, დიდი დღე აღარა მაქვს და შინისკენ, მონასტრისაკენ მეწევა გული, იქ მინდა მოვკვდე ჩემს ძმათა შორის. მაგრამ სურვილი მქონდა, ერთხელ კიდევ, უკანასკნელად გამეევლო ხეობაზე ჩრდილოეთისაკენ და ამიტომ გამოვყევი ხამარელ ბერს, ის

მღვდლობდა კიდეც და ახლა წინამძღვრად დანიშნეს რუალსტადის მწირთა მისაღებ სახლში, ფრუნიდან კი მარტო მოვდივარო.

— გავიგე, დანიშნულხარ, — უთხრა მან, — იმ კაცზე... და ეს რომ გავიგე, ძალზე მომინდა შენი ნახვა. ისე მტკიოდა გული, ვაითუ ჩვენი შეხვედრა მონასტრის ეკლესიაში უკანასკნელი იყო-მეთქი!.. მძიმე ლოდივით მაწვა გულზე, კრისტინ, რომ შენ ისეთ გზაზე შესდგი ფეხი, რომელიც სიმშვიდეს უკარგავს ადამიანს...

კრისტინი ბერს ხელზე ემთხვია და უთხრა:

— ვერ გამიგია, მამაო, რა გავაკეთე და რით დავიმსახურე თქვენი ასეთი დიდი სიყვარული!

ბერმა წყნარი ხმით მიუგო:

— ხშირად მიფიქრია, კრისტინ, ჩვენ არ გვეწერა, თორემ ხშირ-ხშირად რომ შევხვედროდით ერთმანეთს, შეიძლება, ასე ვთქვათ, ჩემი სულიერი შვილი გამხდარიყავი.

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ მე ეს იქამდის მიმიყვანდა, რომ მონასტრის გარდა სხვა არაფერზე ვიფიქრებდი? — ჰკითხა კრისტინმა. პატარა ხანს მერე კი დააყოლა: — მამა ეირიკმაც მიანდერძა, თუ მამა-შენისაგან ერლენდზე გათხოვების თანხმობას ვერ მიიღებ, რომელიმე ღვთისმოშიშ საზოგადოებაში შედი და ცოდვები მოინანიეო...

— ხშირად ვლოცულობდი, რომ გაგღვიძებოდა სურვილი მონასტერში ცხოვრებისა, — უთხრა ძმა ედვინმა. — ვიდრე იმას მიამბობ-დი, რაც თვითონ იცი. მე მინდოდა, რომ ღმერთთან უბიწოების გვირგვინით მისულიყავი, კრისტინ!

იორიუნდგორდში რომ მივიდნენ, ფეხზე დგომის თავი აღარა ჰქონდა და ხელში აყვანილი შეიყვანეს შინ ძმა ედვინი. ძველი საზამ-თრო სახლის კერიან ოთახში ლოგინში ჩააწვინეს და ცივ ნიავს არ აკა-რებდნენ, ისე უვლიდნენ. ძალიან იყო ავად ედვინი. მამა ეირიკიც ხში-რად მიდიოდა სანახავად, წამლებსაც აძლევდა ხორცისა და სულის გა-მამხნევებლადაც. მაგრამ ის კი თქვა, მოხუცს cancer-ი აქვს და დიდი ხანის სიცოცხლე აღარ უწერიაო. თვითონ ედვინი ამბობდა, მოვიკრებ თუ არა ცოტაოდენ ძალ-ღონეს, მაინც წავალ სამხრეთისაკენ და ვეცლები ჩემს მონასტერს მივაღწიოო. მამა ეირიკმა კი გარშემომყოფებს უთხრა, მე მგონი, მაგის წასვლაზე ფიქრიც არ შეიძლებაო.

იორიუნდგორდის მცხოვრებლებს ისე ეგონათ, თითქოს ძმა ედვინმა სიმშვიდე და დიდი სიხარული შემოიტანა ოჯახში. მთელი დღის განმავლობაში რიგი მიდიოდა, რიგი მოდიოდა და მოხუცისათვის ღამის გათევის მსურველი არ ილეოდა. ყველა, ვისაც კი დრო ჰქონდა, ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ, ისხდნენ ოთახში და უსმენდნენ მამა ეირიკს, როცა მოვიდოდა, მომაკვდავს საღმრთო წიგნებს უკითხავდა და სულიერ ცხოვრებაზე ესაუბრებოდა. თუმცა ბევრი რამ, რასაც ეირიკი ლაპარაკობდა, გაუგებარი და ბუნდოვანი იყო, როგორც საერთოდ მისი ქადაგება, მაგრამ ხალხს მაინც ეგონა, მამა ეირიკი ამხნევებდა და ნუგეშსა სცემდა მათ გულებს, ვინაიდან უკლებლივ ყველას სჯეროდა, რომ ძმა ედვინი მთელი თავისი არსებით აღსავსე იყო ღვთისადმი სიყვარულით.

ბერი საღმრთო წიგნების წაკითხვისა და სულიერ ცხოვრებაზე ბაასის გარდა სიამოვნებით ისმენდა სხვა ამბებსაც; კითხულობდა, ახალი რა იყო ახლომახლო სამწყსოებში, და ლავრანსსა სთხოვდა ეამბნა რა გაჭირვება გადაიტანა ხალხმა მოუსავლიან წელიწადს. ზოგზოგები ამ საშინელ გაჭირვებაში ცუდ გზას მიმართავდნენ და ისეთ დამხმარეებს იყენებდნენ, რომელთაც მონათლული ხალხი უნდა არიდებოდა. ხეობის დასავლეთით, ცოტა მაღლა თუ ავიდოდით მთის კალთებისაკენ, ერთი ადგილი იყო, სადაც რამდენიმე ლოდი იდო, ეს ლოდები ადამიანის სხეულის სასირცხო ნაწილებს მოგაგონებდა; ჰოდა, რამდენი კაცი შეცდა და ამ საიაგელ ადგილთან ტახეებისა და კატების შეწირვა დაიწყო. მაშინ მამა ეირიკმა იხმო, ვინც უფრო ღვთის მოშიში და გამბედავი გლეხები იყვნენ, თან წაიყვანა, ღამე მივიდნენ იმ ადგილას და ჩამტვრევებად აქციეს ის ლოდები. ლავრანსიც იმათთან ერთად იყო და შეეძლო დაეშოწშებინა, რომ ქვები ერთიანად სისხლით იყო მოსვრილი, ირგვლივ კი ძვლები ეყარა. ასე ამბობდნენ, ხეიდალში, ვითომ ხალხმა ერთი დედაბერი აიძულა მინდორში ქვაზე დამჯდარიყო და ძველებური შელოცვები ემღერა სამ ხუთშაბათ ღამესო.

ერთ საღამოს კრისტინი მარტო უთევდა ღამეს ძმა ედვინს.

"შუაღამე იქნებოდა, ედვინს გაეღვიძა, ეტყობა, მწარე ტკივილები აწუხებდა და სთხოვა კრისტინს, მამა ეირიკის ნათხოვარი წიგნი აეღო,

რომელიც ქალწული მარიამის სასწაულებზე იყო დაწერილი და ხმამაღლა წაეკითხა.

ხმამაღლა კითხვა კრისტინისთვის უცხო ხილი იყო, მაგრამ მაინც ჩამოჯდა საწოლის საფეხურზე, გვერდზე მოიდგა სანთელი, წიგნი მუხლებზე დაიდო და კითხვა დაიწყო, თან ცდილობდა, რაც შეიძლება კარგად წაეკითხა.

დიდი დრო არ გასულა, კრისტინმა დაინახა, რომ კრიჭაშეკრული იწვა ავადმყოფი; ტკივილებს მოევლო და გამწარებული იმტვრევდა გამხმარ ხელებს.

— მძიმედ იტანჯებით, ძვირფასო მამაო, — შეწუხებულმა ჰკითხა კრისტინმა.

— ახლა ასე მგონია, მაგრამ ვიცი, ღმერთმა ისევ ბალღად გადამაქცია და, რასაც უნდა, იმას მიშვრება!.. ერთი შემთხვევა მომაგონდა ჩემი პატარაობისა... ოთხი წლისა ვიყავი. სახლიდან ტყეში გავიქეცი... იქ გზა დამებნა და ბევრი დღე და ბევრი ღამე გავატარე ტყეში... იმათ შორის, ვინც მე მიპოვა, დედაჩემიც იყო და მახსოვს, ხელში რომ ამიყვანა, კეფაში მიკბინა. მე მეგონა, გაჯავრებული იყო ჩემზე და ასე იმიტომ მომექცა, მაგრამ მერე უკეთესად გავიგე... ახლა მე თვითონ მონატრებული მივისწრაფვი შინისაკენ ამ ტყიდან. საღვთო წერილში ნათქვამია: „დაუტევე ყველაფერი და შემომიდექ მე“, მაგრამ, ამქვეყნად მეტისმეტად ბევრი იყო ისეთი რამ, რაც დასატევებლად მაინცა და მაინც არ მეთმობა...

— თქვენა, მამაო? — ჰკითხა კრისტინმა. — მუდამ ის მესმოდა ყველასაგან, მამა ედვინი შეიძლებოდა მაგალითი ყოფილიყო უმწიკვლო ცხოვრების, სიღარიბისა და თავმდაბლობისაო.

ბერმა ღიმილით უთხრა:

— შენისთანა ყმაწვილ გოგოებს ალბათ ჰგონიათ, რომ ამქვეყნად ავხორცობის, სიმდიდრისა და ძლევამოსილების გარდა სხვა რამ მაცდუნებელი არაფერია. მე კი გეტყვი: ყოველივე წვრილმანია, რაც ადამიანს გზის პირში ხვდება, ხოლო მე... მე მიყვარდა თვით გზები — არა უმნიშვნელო საერო საგნები, არამედ მთელი ქვეყნიერება! ღმერთმა წყალობა მოიღო და სიჭაბუკიდანვე შემიყვარდა ქალბატონი სიღარიბე და ქალბატონი უბიწოება, ამიტომ მეგონა, ასეთი მეგობრებით ჩემს გზას მშვიდად გავლევდი; მეც დავხეტიალებდი მხოლოდ ერთი სურვილით გამსჭვალული — დამეევლო ყველა ამქვეყნიური გზე-

ბი. ჩემი გული და ფიქრები ჩემთან ერთად დაღიოდნენ და დახეტიალებდნენ — ვშიშობ, რომ ხშირად ვცდებოდი, როდესაც ყველაზე იდუმალ რამეზე ვფიქრობდი. მაგრამ ახლა დადგა ჟამი აღსასრულისა. კრისტინ, ახლა შინისაკენ მიმიწევს გული, ჩემი მონასტრისაკენ, მინდა თავი გავანებო საკუთარ ფიქრებს და ძოვისმინო გონიერული სიტყვა მოძღვრისა იმაზე, თუ როგორ უნდა მწამდეს ღმერთი და რა უნდა ვიფიქრო ჩემს ცოდვებსა და ღვთის მოწყალებაზე...

დიდ ხანს არ გაუვლია, მამა ედვინს ჩაეძინა. კრისტინი კერას მიუჯდა, თვალყურს ადევნებდა ცეცხლი არ ჩამქრალიყო. მაგრამ გათენებისას, როცა ცოტას გასწყდა თვითონ კრისტინსაც არ ჩასთვლიმა, მოულოდნელად ლოგინიდან ძმა ედვინის ხმა გაისმა:

— მიხარია, კრისტინ, რომ შენი და ერლენდის, ნიკულაუსის ვაჟის საქმე საკეთილოდ დასრულდა.

ამის გაგონებაზე კრისტინს ტირილი წასკდა.

— ჩვენ ბევრი ცუდი ჩავიდინეთ, ვიდრე ჩვენსას გავიტანდით და ყველაზე მეტად ის მიკლავს და ის მიკოდავს გულს, რომ ამდენი მწუხარება მივაყენე მამაჩემს. ახლაც არ არის მოხარული ჩვენი შეუღლებისა. მაგრამ იმან ხომ ჯერ არ იცის... იმან რომ ყველაფერი იცოდეს, ალბათ სულ აღარ ჩამთვლიდა თავისი მეგობრობის ღირსად!

— კრისტინ, — ალერსით უთხრა ძმა ედვინმა, — ნუთუ არ გესმის, ბავშვო, რომ სწორედ მაგიტომ არ უნდა ამოიღო ხმა და სწორედ მაგიტომ არ უნდა მიაყენო კვლავ მწუხარება, ეინაიდან ის თავისდღეში არავითარ საურავს არ მოგთხოვს? რაც არ უნდა ჩაიდინო, მამაშენის გულს მაინც ისევ ისე მხურვალედ ეყვარები.

გავიდა რამდენიმე დღე და ძმა ედვინი იმდენად მომჯობინდა, რომ სამხრეთისაკენ გამგზავრებაც კი მოინდომა. რაკი დაინახა ლავრანსმა, რომ აღარ დაიშლიდა ისე უნდოდა წასვლა, მოჯამაგირეებს უთხრა საკაცესაკით გაეკეთებინათ რამე, საკაცე ორ ცხენს შუაში ჩამოკიდეს, და ამგვარად ჩაიყვანა ედვინი ლისტადამდე; აქ ძმა ედვინს სხვა ცხენები და სხვა გამცილებლები მისცეს და ასე ჩაიყვანეს ხამარში. იქ, ძმა-მქადაგებელთა მონასტერში გარდაიცვალა და იქვე დაასაფლავეს მონასტრის ეკლესიაში. მაგრამ კარდაკარ მოსიარულე ბერებმა მოითხოვეს იმათთვის მიეცათ ედვინის ნეშტი, რადგან ახლომახლო მრევლში ძმა ედვინს ბევრი წმინდანად თვლიდა და წმიდა ევენს [1]

[1] ევენი — ედვინის ხალხური სახელი.

უწოდებდნენ. გლეხები მას ლოცულობდნენ მთელი ოპლანდის გაყოლებით და ზევითკენაც ხეობებში,[1] ჩრდილოეთისკენ, თვით ტრონდჰეიმის ოლქამდე. ამიტომ ამ ორ მონასტერს შორის ატყდა და დიდხანს არ გათავებულა დავა და კამათი ედვინის ნეშტი სად დაესაფლავებინათ.

ყველაფერი ეს კრისტინმა ბევრად უფრო გვიან გაიგო. მაგრამ უნუგეშოდ წუხდა, როცა ედვინს ეთხოვებოდა. კრისტინს ასე ეგონა, რომ მხოლოდ მან იცოდა თავიდან ბოლომდე მთელი მისი ცხოვრება, -- ის იცნობდა კრისტინს, როცა ჯერ კიდევ უგუნური ბავშვი იყო, და მამა ზრუნავდა მასზე, იცოდა ერლენდთან მისი ფარული ურთიერთობის ამბავიც. ამიტომ ეჩვენებოდა, რომ ედვინი აკავშირებდა ყველაფერ იმას, რაც კრისტინს ოდესღაც ისე უყვარდა, და რითაც ჰქონდა ახლა მთელი გული აღვსილი, ახლა კი კრისტინი სრულიად მოსწყდა იმ კრისტინს, რომელიც ოდესღაც უმანკო ქალი იყო.

VII

— მე მგონი, — თქვა რაგნფრიდმა და გეჯებში ნელთბილ ტკბილ ამბოხს გემო გაუსინჯა; — ისე გაგრილებულა, შეიძლება ახლა ნელნელა საფუარი ჩავურიოთ.

კრისტინი, იმის მოლოდინში, ვიდრე ნახარში გაცივდებოდა, ლუდსახდელის კარებში იჯდა და მატყლს ართავდა. თითისტარი ზღურბლზე დადო, ჩვარი შემოხსნა, რომელშიაც კათხა იყო გამოსვეული შიგ გახსნილი ლუდის საფუარით, და ამორწყვა დაიწყო.

— ჯერ კარი მიხურე, -- უთხრა დედამ. — თორემ გამკრავი ქარი დაუბერავს! ადამიანს ეგონება სძინავსო, ისე დადიხარ, კრისტინ, --- გაჯავრებით დაატანა რაგნფრიდმა.

კრისტინი ლუდის გეჯაში საფუარს სწურავდა, რაგნფრიდი კი ურევდა.

„დრიეის ასულმა გეირხილდმა, შეღაღადა ხატს, მაგრამ ხატი კი არა, ოდინი იყო[2]. ჩამოვიდა და უშველა გეირხილდს ლუდის გამოხდა; და ჯილდოდ მოსთხოვა ის, რაც გეჯასა და გეირხილდს შუა იყო“.

---

[1] ესე იგი გიუდბრანდსდალისა და ესტერდალის ხეობაში.

[2] ხატი — ოდინის, სკანდინავიის უძველესი მითოლოგიის მთავარი ღმერთის ერთ-ერთი განსახიერება.

ასეთია ძველებური საგა, რომელიც ერთხელ უამბო ლავრანსმა კრისტინს, როცა ის პატარა იყო.

„... ის რაც გეჯასა და გეირხილდს შუა იყო!.. კრისტინს თავბრუ დაეხვა და თითქოს გულიც ერეოდა, ისე ცხელოდა, ისეთი მძაფრი სუნი იდგა ბნელ, ჩახუთულ სალუდეში.

გარეთ რამბორგს ფერხული ჩაება ბავშვებთან და მღეროდა:

კლდის კენწეროზე ზის არწივი ფრთადაკეცილი
და ყვითელ კლანჭებს ილესავს და აფრენას ლამობს...

კრისტინმა და რაგნფრიდმა პატარა დერეფანი გაიარეს, სადაც ლუდის ცარიელი კასრები და ათასნაირი საცექველი ელაგა. აქედან კარი პატარა მიწის ნაკვეთზე გადიოდა ლუდსახდელის უკანა კედელსა და ტყრუშულს შუა, რომელიც ქერის ნათესს ჰქონდა შემოვლებული. გოჭები ჭყვიტინით მიხვეოდნენ გადაყრილ ნელთბილ ბარდას და ერთმანეთს არ აცდიდნენ ჭამას.

კრისტინმა ხელით მოიჩრდილა შუადღის მზის ბრჭყვიალა შუქი. რაგნფრიდმა ღორების კოლტს შეხედა და უთხრა:

— თვრამეტ ირემზე ნაკლებით ვერ გადავრჩებით.

— თქვენა გგონიათ, მაგდენი ირემი დაგვჭირდება? — გონებაგაფანტულმა ჰკითხა შვილმა.

— ჰო, ყოველდღე ნანადირევითა და ღორის ხორცით უნდა გამასპინძლება, — მიუგო დედამ. — და ვიშოვით კი იმაზე მეტ ფრინველსა და კურდღელს, რამდენიც მარტო ზევით ოთახის სტუმრებს მოუნდებათ! უნდა გახსოვდეს, თითქმის ორას კაცამდე მოიყრის თავს, მსახურებსა და ბავშვებსაც თუ ჩავთვლით; ახლა კიდევ მათხოვრები, იმათაც ხომ უნდა აჭამო. შენ და ერლენდი მეხუთე დღესაც რომ წახვიდეთ, ზოგიერთი სტუმარი მაინც დარჩება აქ ალბათ, მეტს თუ არა, კვირის ბოლომდე მაინც!.. აქ იყავი და ლუდს მიხედე, — უთხრა რაგნფრიდმა, — მე კი წავალ და საჭმელზე ვიზრუნებ მამაშენისა და მთიბავებისთვის.

კრისტინმა თითისტარი მოიტანა და უკანა კარის ზღურბლზე ჩამოჯდა. თითისტარი აიღო და ის იყო ფბილიანი ჯოხი იღლიის ქვეშ უნდა ამოედო, რომ უღონოდ ჩამოუცვივდა ხელები.

ტყრუშულს იქით ქერის თავთავები მზეზე აბრეშუმივით და ვერცხლივითა ლივლივებდნენ. მდინარის ჩუხჩუხში კრისტინის ყურამდე დროდადრო აღწევდა კუნძულზე გაშლილი ველების მხრიდან ცელების წკრიალი — რკინა ხანდახან ქვას მოხვდებოდა ხოლმე. ლავრანსსაც და მუშებსაც ეჩქარებოდათ, მალე გაეთავებინათ თიბვა. კიდევ რამდენი საქმე იყო გასაკეთებელი საქორწილო სამზადისისათვის.

თბილი ბარდის სუნი იდგა, ღორებს კი საძაგელი მყრალი სუნი ასდიოდათ—კრისტინს კვლავ წამოაზიდა. შუა დღის პაპანაქება სიცხისგან კი თავბრუ ეხვეოდა და სისუსტეს გრძნობდა მთელ სხეულში. გაფითრებული და გაჭიმული იჯდა კრისტინი იმის მოლოდინში, როდის გადაუვლიდა გულისრევა, — არ უნდოდა ისევ არეოდა გული.

...ასე თავისდღეში არა ყოფილა, ტყუილად ინუგეშებდა თავს: ჯერ ნამდვილად არ ვიცი, ეგებ შემეშალაო... „...ის რაც გეჯისა და გეირხილდის შუა იყო...“

...თვრამეტი ირემიო... თითქმის ორასამდე სტუმარი... გასაცინი კი ექნება ხალხს, როცა გაიგებენ, რომ მთელი ეს ფაციფუცი, ამდენი ხარჯი მხოლოდ და მხოლოდ ორსული დედაკაცისთვის გასწიეს, რომელიც ჰაიჰარად უნდა გაეთხოვებინათ!

... ოჰ, არა!.. სართავი გვერდზე მოისროლა და ფეხზე წამოხტა. შუბლი ლუდსახდელის კედელს მიაყრდნო, გული აერია და კედლის ძირში გათამამებულ ჭინჭარზე ამოაღებინა. ჭინჭარში ყავისფერი მუხლუხები ფუთფუთებდნენ — ამის დანახვაზე კრისტინს უფრო ძალიან აერია გული.

ხელები მოისვა გაოფლიანებულ საფეთქლებზე. ოჰ, შეუძლებელია, მაშ ეს არის!

მიხაილობის მეორე კვირას, კვირა დღეს უნდა დაგვწერონ ჯვარი, ქორწილი კი ხუთ დღეს გაგრძელდება. მანამდე ორ თვეზე მეტია. მაშ, იმ დროისთვის ალბათ უკვე ძალიან დამეტყობა მუცელი — დედაც და სხვა გათხოვილი ქალებიც უეჭველად შემამჩნევენ. ამისთანა რამეს ვერ გამოაპარებ, მუდამ იციან, ვინ არის ორსულად, ვინ იცის რამდენი თვით ადრე შეატყობენ ხოლმე, ვიდრე მე მოვიფიქრებ და მივხვდები. „საცოდავი, როგორ დაკარგა ფერი და ჩამოჭკნაო!..“ იტყვიან ხოლმე. კრისტინმა მოისრისა ლოყები, იცოდა, რომ ძველებურად აღარ ჰქონდა დატკრუცული.

წინათ, მართალია, ხშირად ფიქრობდა, ადრე თუ გვიან ეს უსათუოდ

მოხდებაო, და არც თუ ძალიან ეშინოდა ამისა. მაშინ სულ სხვანაირად იქნებოდა საქმე, ვიდრე ახლა, — მაშინ ხომ ის და ერლენდი კანონიერი გზით ვერ გახდებოდნენ ერთმანეთისა და ამას, რასაკვირველია დიახ, სამარცხვინოდაც და ცოდვადაც თვლიდნენ. მაგრამ თუ ახალგაზრდებს უნდოდათ ერთმანეთი, სხვები კი ცდილობდნენ იმათ დაშორებას, მაშინ ასეთი ამბავი მალე ეძლეოდა დავიწყებას და ხალხი იმათზე უბოროტოდ ლაპარაკობდა. და ასე რომ ყოფილიყო, კრისტინს არ შერცხვებოდა! მაგრამ თუ ამგვარი რამ მოხდებოდა დანიშნულებს შორის, მაშინ კი დასცინოდნენ და უხეშადაც ხუმრობდნენ იმათზე. თვითონაც ესმოდა, ეს მართლა სასაცილო იყო; ახლა აქ ერთ ფაციფუცში არიან — ლუდსა ხდიან და ღვინოს აზავებენ, საქონელს დაკლავენ, შესწვავენ და მოხარშავენ ქორწილისათვის, რომ მთელ მაზრაში გავარდეს ხმა რა დიდებული ქორწილი გადაიხადესო. ამასობაში კი იმას, საპატარძლოს, საჭმლის სუნზე გული ერევა, ცივ ოფლს ასხამს და ფარდულებსა და მიშენ-მოშენებულებს უკან მოფარებულს აღებინებს...

ერლენდი... კრისტინმა მრისხანებით შეჰკრა კრიჭა. ეს სირცხვილი და თავის მოჭრა მაინც უნდა აეცდინა კრისტინისთვის. კრისტინს ხომ არ უნდოდა. ერლენდს არ უნდა დავიწყებოდა, რომ უწინ, როცა იმათი მომავალი ბურუსით იყო მოცული, როცა კრისტინს არაფრის იმედი არა ჰქონდა გარდა ერლენდის სიყვარულისა, მაშინ ის მუდამ, მუდამ სიხარულით ემორჩილებოდა ერლენდის სურვილს! ერლენდი ახლა მაინც აღარ უნდა მიჰკარებოდა, როცა კრისტინი ცდილობდა უარი ეთქვა, ვისაიდან ფიქრობდა, რომ კარგი არ იყო ქურდულად გამოეტაცათ რამე მას მერე, რაც მამამ ნათესავების თანდასწრებით შეაერთა იმათი ხელები, როგორც დანიშნულებისა. მაგრამ ერლენდმა თითქმის ძალა იხმარა, თან სიცილითა და ალერსით მაინც აისრულა თავისი; კრისტინს კი არ ძალუძდა ერლენდისათვის ეგრძნობინებინა, რომ მართლა უძალიანდებოდა და უარს ეუბნებოდა.

... კრისტინი ლუდსახდელში შევიდა და ლუდს დახედა, მერე ისევ მიტრიალდა, ტყრუშულთან შედგა და ზედ გადაეყუდა. ქარის წამობერვაზე ქერის თაკთაკი წყნარად ლივლივებდა. კრისტინს არ ახსოვდა, თუ ოდესმე ენახა წლევანდელისთანა ხვავიანი და თამამი თავთავი... შორს წყალი ბრჭყვიალებდა, ისმოდა ლავრანსის ხმა — რაღაცას ყვიროდა, სიტყვებს ვერ გაარჩევდი, მაგრამ კუნძულზე მთიბავი მოჯამაგირეები იცინოდნენ.

...მამაჩემთან რომ წავიდე და ვუთხრა, იქნება სჯობდეს თავი მიანებონ ამდენ მზადებას და სამუდამოდ ისე შეგვაკავშირონ მე და ერლენდი, რომ არც ეკლესიაში დაგვწერონ ჯვარი და არც დიდი გამასპინძლება გამართონ, — რაკი საქმე ახლა მარტო ის არის, რომ ერლენდის მეუღლის სახელი მეწოდოს სანამ ხალხს არ გაუგია, რომ ერლენდის შვილს უკვე მუცლით ვატარებ.

არც ერლენდს ასცდება დაცინვა, ისევე როგორც კრისტინს — ან შეიძლება უფრო მეტიც, ის ხომ უკვე ჭაბუკი აღარ არის. მაგრამ თვითონ მისი სურვილი იყო ამ ქორწილის გადახდა, იმას სურდა კრისტინი ეხილა აბრეშუმსა და ხავერდში გამოწყობილი თავზე დადგმული მაღალი ოქროს გვირგვინით, — მას უნდოდა ეს, თან ვერც ის დაეთმო, რომ კრისტინი მისი არა ყოფილიყო მთელ ამ სიტკბოებით აღსავსე იდუმალ წუთებში! კრისტინი მუდამ უსრულებდა ყოველგვარ სურვილს. და როგორც მუდამ, ერლენდის ეს სურვილიც უნდა შეესრულებინა.

მაგრამ ერლენდი ბოლოს და ბოლოს დარწმუნდება, რომ ერთად არავის მიუღია ჩიჩიაცა და ბაბაც. ის იმდენსა ლაპარაკობდა დიდ საშობაო დღესასწაულზე, რომელსაც გადაიხდის მათი შეუღლების იმ პირველ წელიწადს, როცა კრისტინი იმის ოჯახში შევა, — მაშინ აჩვენებს ყველა თავის ნათესავს, მეგობარსა და ახლომახლო მრეველის მცხოვრებლებს რა ლამაზი ცოლიც შეხვდა. კრისტინს მწარედ ჩაეცინა. დიახ, მაგისთანა ნადიმი სწორედ მისწრება იქნება საშობაოდ!

ეს დაახლოებით გრიგორობას მოხდება. ათასნაირი ფიქრი დაუტრიალდა გონებაში, როცა გაიფიქრა წმ. გრიგორის დღეობისათვის შვილი გამიჩნდებაო. ცოტათი მშობიარობისაც ეშინოდა — ახსოვს, ორი დღე და ღამე მთელ სახლში გაისმოდა დედის საშინელი წივილი, როცა ულვხილდი გაჩნდა. მთაში, ულვსვოლდში ორი ყმაწვილი ქალი ზედიზედ გადაჰყვა მშობიარობას, ლოპტსგორდელი სიგიურდის ორივე ცოლიც მუცელს გადაჰყვა, მისი საკუთარი ბებიაც, მამის დედა, ვის პატისაცემადაც დაარქვეს კრისტინი...

მაგრამ საქმე შიში როდი იყო. ამ წლების მანძილზე, როცა კი დარწმუნდებოდა ფეხმძიმედ არ იყო, კრისტინი ხშირად ფიქრობდა, შეიძლება ამით დაგვსაჯოს ღმერთმა მე და ერლენდი, სამუდამოდ ასე უშვილძიროდ დავრჩეთ. ამაოდ გვექნება გაუთავებელი მოლოდინი

იმისა, რისაც წინათ გვეშინოდა და ისევე ფუჭი იქნება ჩვენი იმედი, როგორიც წინათ უმიზეზო იყო ჩვენი შიში, და ასე იქნება მანამდე, სანამ არ დადგება დრო, როცა მე და ერლენდს სახლიდან გაგვიტანენ და ამით მოისპობა ერლენდის შთამომავლობა: იმისი ძმა ხომ მღვდელია, ხოლო ერლენდის შვილები, თავის დღეში მამის მემკვიდრენი ვერ გახდებიან. ზანტი მიუნანი და მისი შვილები შემოვლენ და ერლენდისა კი არა, ბატონ-პატრონებივით მიუნანი და იმისი შვილები გამოიჭიმებიან იმათ ადგილზე. ხოლო ერლენდის სახელი სამუდამოდ ამოიგვება მისი საგვარეულოდან და დავიწყებას მიეცემა.

ხელები მაგრა მიიკრა მუცელზე. იქ იყო ის — მასა და ტყრუშულს შუა, კასრსა და მის შუა! მასა და მთელ სამყაროს შუა იყო ის — ერლენდის კანონიერი ვაჟიშვილი! კრისტინმა უკვე გამოსცადა ხერხი, რომელზედაც ერთხელ თქვა ფრუ ოსხილდმა, — სისხლის გასინჯვა მარცხენა და მარჯვენა ხელიდან. ბიჭზეა ორსულად. ნეტავ, რას მოუტანს შვილი? მოაგონდა თავისი გარდაცვლილი პატარა ძმები, მშობლების მწუხარე სახეები, როცა იმათ გაიხსენებდნენ, მოაგონდა ის დღეები, როცა ულვხილდის დარდით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ დედ-მამას უყურებდა, მოაგონდა ის ღამე, როცა ულვხილდი გარდაიცვალა. მოაგონდა მთელი ის მწუხარება, რომელიც კრისტინმა მიაყენა მშობლებს, მოაგონდა მამის ტანჯული სახე... და მაინც დასასრული არ უჩანს მწუხარებას, რომელსაც კიდევ მიაყენებს კრისტინი დედ-მამას...

და მაინც, მაინც! კრისტინს თავი ტყრუშულზე დადებულ ხელზე ჩამოუვარდა, მეორე ხელი ისევ მუცელზე ედო... ამან თუნდ მწუხარება მოუტანოს, თუნდ ამის გაჩენას გადაჰყვეს, მაინც ურჩევნია ერლენდის ვაჟიშვილს შეეწიროს, ერლენდს ვაჟიშვილი გაუჩინოს, ვიდრე იცოდეს, რომ ოდესმე ორივენი დაიხოცებიან, და იმათი სიკვდილის შემდეგ სახლიც გამოცარიელდება და ყანებიც სხვისთვის იშრიალებენ...

დერეფანში ვიღაც შევიდა. „ლუდი!“ — მოაგონდა კრისტინს. — რა ხანია ლუდისთვის უნდა მიმეხედნა. წელში გასწორდა, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა ერლენდი ზედა წირთხლის ქვეშ დაიღუნა და სიხარულისაგან სახეგაბრწყინებული კაშკაშა მზის შუქზე გამოვიდა.

— აი, თურმე სადა ხარ! — უთხრა მან. — ნაბიჯიც კი არ გაუ-ძოდგი შესაგებებლად? — და მოეხვია.

— ძვირფასო, როგორ ჩამოხვედი? — გაკვირვებით უთხრა კრისტინმა.

ერლენდი, ეტყობა ის იყო ჩამოხტა ცხენიდან; ლაბადა ჯერ ისევ მხარზე ჰქონდა გადაგდებული, მახვილი გვერდზე ეკიდა, პირგაუპარსავი იყო, ჭუჭყიანი და გამტვრიანებული. გვერდებზე თითქმის იღლიებამდე შეჭრილი წითელი ხიფთანი ეცვა, რომელიც საყელოდანვე ნაკეცებად ეცემოდა. ერლენდი და კრისტინი ვიდრე ლუდსახდელსა და ეზოზე მოდიოდნენ, ქარი ტანისაძოსს უფრიალებდა ერლენდს და თეძოებამდე უჩენდა ფეხებს. რა უცნაურია, უწინ კრისტინს არასოდეს არ შეუმჩნევია, თუ ის ოდნავ ჩორთა იყო სიარულის დროს, წინათ მხოლოდ ერლენდის მაღალ ჩამოსხმულ ფეხებს ხედავდა, ვიწრო თეძოსთავებსა და კოხტა ლამაზ ტერფებს.

ერლენდი მარტო არ ჩამოსულა თან ჩამოჰყვა ოთხი მსახური, და სამი ცხენიც ჩამოიყვანეს მარქაფად. ერლენდმა უთხრა რაგნფრიდს, კრისტინის მზითევის წასაღებად ჩამოვედი — კრისტინსაც ხომ ურჩევნია, თავისი ნივთები ხიუსაბიუში დახვდეს, როცა იქ ჩამოვაო. ისე გვიან ვაპირებთ ქორწილის გადახდას შემოდგომაზე, რომ მაშინ ალბათ ძნელი იქნება მზითვის წაღება, თანაც ადვილი შესაძლებელია ზღვის წყალმა გააფუჭოს, თუ გემით წავიღებთ. ახლა კი ნიდარჰოლმის აბატმა შემომთავაზა მზითევს წმინდა ლავრენტის სანდალით გაგიგზავნიო—ასე ფიქრობენ რომ სანდალი კუნძულ ვეედან ღვთისმშობლის ძიძინებისთვის გავა. სწორედ ამიტომ ჩამოვედი, რეუმსდალზე გავიარო და მზითევი კონცხზე[1] ცხენით გადავიტანოთ.

ერლენდი ლუდსახდელის კარებში იჯდა, ლუდსა სვამდა და ლაპარაკობდა ვიდრე რაგნფრიდი და კრისტინი იხვებსა პტკვნიდნენ. წინადღით სანადიროდ ყოფილიყო ლავრანსი და ნანადირევი მოეტანა. დედა-შვილი მარტონი იყვნენ შინ; დედაკაცები ყველანი მდელოზე წასულიყვნენ თივის დასაბულულებლად. ერლენდი ძალიან მხიარულად გამოიყურებოდა, დიდად კმაყოფილი იყო თავისი თავისა, რომ ასეთი გონივრული მიზნით ჩამოვიდა აქ.

---

[1] მხედველობაში აქვს კონცხი რეუმსდალის ხეობაში — ამჟამად ქალაქ ონდალსნესთან აქედან იწყებოდა გზა ზღვიდან გიუდბრანდსდალის ხეობისკენ.

რაგნფრიდი გარეთ გავიდა, კრისტინი კი დარჩა შამფურზე წამოგებული ფრინველის მისახედად. ღია კარიდან ოდნავ ჩანდნენ ეზოს თავში ჩრდილში წამოწოლილი ერლენდის მსახურნი: თასი ხელიდან ხელში გადადიოდა. თვითონ ერლენდი ზღურბლზე იჯდა, ლაპარაკობდა და იცინოდა. — მზე ადგა კუპრივით შავ თმაზე; კრისტინმა თმაში ჭალარა შენიშნა. ერლენდი ხომ მალე ოცდათორმეტისა გახდება, მაგრამ განებივრებული ბიჭივით იქცევა! კრისტინმა იცოდა, რომ ერლენდისთვის თავის გასაჭირის სათქმელად ენა არ მოუტრიალდებოდა, — დრო მოვა და თვითონ დაინახავსო. ისე იყო გახარებული, სულ დაავიწყდა გაჯავრება, მოკისკასე მდინარეს რომ ვუყურებთ, ასე გვავიწყდება, რომ მის ფსკერზე ცივი ქვები აწყვია.

ამქვეყნად ერლენდზე ძალიან არავინ უყვარდა, სიყვარულით ჰქონდა აღსავსე გული, თუმცა კვლავ თვალწინ ედგა და ახსოვდა სხვა ყველაფერი. სულ არ შეეფერება ეს ლამაზ ხიფთანში გამოწყობილი, ვერცხლის დეზებიანი, ოქრომკერდით ნაქარგ სარტყელშემორტყმული კარისკაცი გახურებულ თიბვას, აქ იორიუნდგორდში! კრისტინს არც ის გაძოჰპარვია, რომ მამა არ გამოქცეულა სათიბიდან, თუმც რაგნფრიდმა რამბორგი გაგზავნა მდინარეზე და ლავრანსს შეუთვალა ვინც ეწვიათ.

ერლენდი კრისტინთან მივიდა და ბეჭებზე მოხვია ხელები.

— თუ გესმის კრისტინ, — უთხრა სახეგაბრწყინებულმა, — ან არ გიკვირს, რომ მთელი ეს ფაციფუცი და ალიაქოთი ჩვენი ქორწილისათვის არის?

კრისტინმა აკოცა, ხელი ჰკრა და მოიშორა, — შამფურზე წამოგებულ ფრინველს მიუტრიალდა, ცხიმის წასმა დაუწყო და სთხოვა ხელს ნუ შემიშლიო. არა, კრისტინი იმაზე არაფერს ეტყვისს..

ლავრანსი თავისი მთიბავებით ვახშმობისათვის მოვიდა შინ. თითქმის თავისი მოჯამაგირეებივით ეცვა: შინსაქსოვი მაუდის მუხლებამდის ხიფთანი და იმავე ქსოვილის განიერი შარვალი. მხარზე ცელი გაედო და ფეხშიშველა მოდიოდა. ერთადერთი, რითაც განსხვავდებოდა იმის მორთულობა მუშების ტანისამოსისაგან, ტყავის სამჯრე იყო

მიმინოსათვის, რომელიც მარცხენა მხარზე უჯდა. ლავრანსს ხელჩაჭიდებული მოჰყვებოდა რამბორგი.

ლავრანსი საკმაოდ გულთბილად მიესალმა სიძეს და ბოდიში მოიხადა, ადრე ვერ მოვედიო, — მეტი გზა არ არის, წელშიც რომ გავწყდეთ, უნდა ვიჩქაროთ და ეს მინდვრის სამუშაოები დროზე მოვთაოთ, იმიტომ, რომ თიბვასა და მკის შუა ქალაქში წასვლაც უნდა მოვასწროო, მაგრამ როდესაც სუფრაზე ერლენდმა უთხრა, რისთვისაც იყო ჩამოსული, ლავრანსს შეეტყო არაფრად ეჭაშნიკა.

ახლა ვერც ოთხთვალებს შეველევი, ვერც ცხენებსო. ერლენდმა მიუგო, თან ოთხი მარქაფი ცხენი ჩამოვიყვანეო. ლავრანსის ვარაუდით, სულ ცოტა, სამი ურემი მაინც დასჭირდებოდა ერლენდს. გარდა მაგისა, ქალს აქაც უნდა ჰქონდეს თავისი ტანსაცმელი. ხოლო ლოგინი და ლოგინის თეთრეული, რასაც კრისტინს მზითვად ვაძლევთ, იორიუნდგორდშიც დასჭირდებათ ქორწილის დროს იმდენი სტუმრები იქნება მოსასვენებელიო.

— მერე რა, — მიუგო ერლენდმა. — რასაკვირველია, შემოდგომაზეც მოხერხდება როგორმე მზითვის წაღება. მაგრამ ძალიან გამეხარდა, როცა წინამძღვარმა მირჩია, და ჩემი აზრით კარგადაც მირჩია, მზითვები მონასტრის ორანძიანი ნავით გაგვეგზავნა. წინამძღვარმა ისიც მომაგონა, რომ ნათესავები ვართ. ახლა ყველას აგონდება ვისი ნათესავიცა ვარ! — ღიმილით სთქვა ერლენდმა, როგორც ჩანს, სასიმამროს უკმაყოფილებამ ერთი წუთითაც არ შეაკრთო ის.

საბოლოოდ გადაწყდა, რომ ერლენდს ერთ ოთხთვალას მისცემდნენ და ის ისეთ ნივთებს წაიღებდა, რაც პირველ რიგში დასჭირდებოდა თავის ახალ ოჯახში ჩასულ კრისტინს.

მეორე დღეს დაიწყეს მზითვის ჩალაგება. რაგნფრიდმა გადაწყვიტა დიდი და პატარა საფეიქრო დაზგებიც ახლავე სხვა ბარგთან ერთად გაეგზავნა. კრისტინს სადღა ექნება დრო ქორწილამდის, მოსაქსოვად რას მოიცლისო. რაგნფრიდმა და კრისტინმა ქსოვილი ჩამოხსნეს ყდიდან. თუმც შეუღებავი, მაგრამ საუკეთესო რბილი აბრეშუმივით მატყლის შალის ქსოვილი იყო, შიგადაშიგ შავი ცხვრის მატყლის ფთილები ჰქონდა ჩაქსოვილი და მშვენიერი სახე გამოდიოდა. დედაშვილმა ქსოვილი დაკეცა და ტყავის ტომარაში ჩასდო. კრისტინმა გაიფიქრა ამისგან კარგი და ძალიან ლამაზი არტახები გამოვა, წითელი ან ლურჯი ყაითანი რომ შემოვავლოო.

სამუშაო დაზგაც სკამში მოთავსებული უჯრით, რომელიც ოდესღაც არნემ გამოჭედა, შეიძლებოდა ახლავე გაეგზავნათ. კრისტინმა უჯრიდან ამოალაგა ყველა ნივთი, რომელიც ამა თუ იმ დროს ერლენდს ეჩუქებინა. კრისტინმა დედას აჩვენა წითელი ნაყშით მორთული ცისფერი ხავერდის ლაბადა, რომლითაც უნდა წასულიყო ეკლესიაში ჯვრის დასაწერად. რაგნფრიდმა გაშალა და თვალიერება დაუწყო. ხელით სინჯავდა ქსოვილს და ქვეშ გამოკრულ ბეწვს.

— ძალიან ძვირფასი ლაბადაა, — უთხრა რაგნფრიდმა. — ეს ლაბადა როდის გაჩუქა ერლენდმა?

— მოხასტერში რომ ვცხოვრობდი, მაშინ, — უთხრა შვილმა.

ზანდუკიდან, რომელშიაც რაგნფრიდმა იმ დროიდან დაიწყო კრისტინისთვის მზითევის ჩალაგება, როცა კრისტინი ჯერ სულ პატარა იყო, ყველაფერი ამოალაგეს და ხელახლა ჩაალაგეს. მთელი სკივრი გარედან ჩუქურთმებით იყო აჭრელებული. სახურავსა და გვერდებზე ოთხკუთხედებით იყო ამოჩუქურთმებული, ოთხკუთხედებში კი გამოსახული იყო გაქცეული ნადირი, ან გაფრენილი ჩიტები. რაგნფრიდმა თავისი ქალის საქორწილო კაბა კრისტინის ზანდუკიდან ამოიღო და ერთ-ერთ თავის ზანდუკში ჩადო. კაბა ჯერ დამთავრებული არ იყო, მხოლოდ ამ ზამთარს დაიწყეს მისი კერვა. ალისფერი აბრეშუმის კაბა ისე იყო გამოჭრილი, რომ ზედა ჰქონდა შემოტმასნილი. კრისტინმა გაიფიქრა, ახლა ალბათ მკერდში ძალიან ვიწროდ მომივაო.

საღამო ხანისათვის დაბარგებული და თოკებგადაჭერილი ოთხთვალა ფარდულის ქვეშ იდგა. მეორე დღეს დილაადრიან უნდა წასულიყო ერლენდი.

ერლენდი კრისტინის გვერდით იდგა ჭიშკარზე დანდობილი და ჩრდილოეთს გასცქეროდა, მთელ ხეობაში ცა მოლურჯო შავი ღრუბლებით იყო დაფარული. მთაში ქუხდა, მაგრამ ჩამოწოლილი ღრუბლების სამხრეთით მდინარესა და ველებს ყვითელი კაშკაშა მზის შუქი ადგა.

— გახსოვს, რა ჭექა-ქუხილი და ქარიშხალი იყო მაშინ, გერდარიუდთან ტყეში? — ჩუმად ჰკითხა ერლენდმა, თან მის თითებს ათამაშებდა ხელში.

კრისტინმა თავი დაუქნია და გაღიმება სცადა. ჰაერი საშინლად

იყო დამძიმებული და შეხუთული, თავი სტკიოდა და ყოველ ამოსუნთქვაზე ოფლს ასხამდა.

ლავრანსი მივიდა მათთან და ამინდზე ჩამოუგდო ლაპარაკი: ჩვენ მრეველში იშვიათია, ქარიშხალმა ვინმეს რამე ზიანი მიაყენოს, მაგრამ ღმერთმა უწყის, რა მოხდება, ვინ იცის, ჩვენც გავიგონოთ, რომ სადმე მთაში ამ ქარიშხალმა რქოსანი საქონელი ან ცხენები დააზარალაო.

ეკლესიის წინ ბექობზე ღამესავით იყო ჩამობნელებული. ელვის შუქზე თვალი გაარჩევდა სასაფლაოს ალაყაფის კართან შექუჩებულ, დამფრთხალ ცხენებს. ლავრანსმა თქვა, მე მგონი, ჩვენი ცხენები არ უნდა იყოს — უფრო დოვრეს ჯოგისასა ჰგვანან, იეტის ქვემოდანა ჰყავთ მთაში საძოვრებზე გაშვებული, მაინც ეკლესიისკენ ავალ და ვნახავ, — დაიყვირა ლავრანსმა, რომ გაეგონებინა ქუხილში, — ჩემი ცხენებიც ხომ არ ურევია ამ სხვის ცხენებშიო!..

საზარელმა ელვამ გაკვეთა ეკლესიასთან ჩამოწოლილი წყვდიადი, საზარლად დაიქუხა და ყურთასმენა წაიღო, ისე გადაიგრიალა. მთის ძირში მდელოზე გაშლილი ცხენები ზოგი საით გავარდა, ზოგი საით. საშიენმ პირჯვარი გადიისახა

... კვლავ გაიელვა: გეგონებოდა, სწორედ თავზე ცა გაეპოთო, უზარმაზარი ალი თეთრად ავარდა. ისინი ერთმანეთს მიაწყვიტა და თვალდაბნელებულები, თვალდახუჭულები იდგნენ და თითქოს ატრუსული ქვის სუნიც კი ეცათ, ხოლო მეხის საზარელმა ჭახანმა ყურთასმენა წაართვა.

— წმიდაო ულავო, შენ გვიშველე! — წაიბუტბუტა ლავრანსმა.

— გაიხედეთ, არყი, არყი! — დაიძახა ერლენდმა.

იქვე მინდორზე ვეებერთელა არყს, გეგონებოდა დაბარბაცდაო, უზარმაზარი ტოტი მოსწყდა, მიწაზე დაეცა, და ხატოტარი შავი ორმოსავით დარჩა.

— როგორა გგონიათ, არყს ხომ არ წაეკიდება?.. იესო ქრისტე! ელკესიის სახურავს უკიდია! — შეჰყვირა ლავრანსმა.

ეკლესიას თვალს არ აშორებდნენ — წაეკიდება, არა! — ჰო, წაეკიდება! — სახურავის გვირგვინის ქვეშ ყავრიდან ცეცხლის წითელი ენები გამოვარდა.

ლავრანსი და ერლენდი უკან გაიქცნენ ეზოზე. ლავრანსი საჩქაროდ აღებდა საცხოვრებელი სახლების კარებს, და უყვიროდა ხანძარიო; ხალხი ჯგუფ-ჯგუფად გამორბოდა გარეთ.

— ცულები წამოიღეთ, ცულები! სადურგლო ცულები! — ყვიროდა ლავრანსი. — ბარჯები არ დაგავიწყდეთ!.. — ის ახლა თავლისაკენ გავარდა, მაშინვე გამოვიდა თავლიდან. ფაფარში ხელი ჩაევლო გიულდსვეინისათვის, მოახტა უბელო ცხენს და ჩრდილოეთისკენ გაქუსლა; ხელში ჩუგლუგი ეჭირა. ერლენდიც მიჰყვა ცხენდაცხენ, კაცებიც მათ გაჰყვნენ, ზოგი ცხენით, ზოგმა კი ვერ დაიჭირა დამფრთხალი ცხენები, თავი მიანებეს და გაიქცნენ. მათ რაგნფრიდი და სხვა დედაკაცებიც მიჰყვნენ უკან, თან ვედროები და კათხები მიჰქონდათ.

თითქოს ვეღარავინ ამჩნევდა ქარიშხალს. ელვის შუქზე ჩანდა, რომ ხეობაში გაფანტული სახლებიდან ხალხი მორბოდა და მორბოდა ეკლესიისკენ. მამა ეირიკმა თავისი შინაურებით თითქმის კიდეც აირბინა მთის ფერდობი და ზედ ეკლესიასთან გაჩნდა. დაბლა ხიდს გრიალი გაჰქონდა, ცხენების ფლოქვების ქვეშ — რამდენიმე ყმაწვილმა ბიჭმა ჩაუქროლა იმათ; გაფითრებული, თავზარდაცემული სახეები ცეცხლწაკიდებული ეკლესიისკენ ჰქონდათ მიქცეული.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ნელი ქარი უბერავდა. ცეცხლი მოედო ეკლესიის მთელ კედელს ჩრდილოეთის მხრიდან; დასავლეთის მხრიდან კი ეკლესიის კარებში უკვე ვეღარ შეხვიდოდი. მაგრამ ცეცხლი ჯერ არ მოჰკიდებოდა არც სამხრეთ კედელს, არც საკურთხეველს და არც ქანდარას.

კრისტინმა და იორიუნდგორდელმა სხვა დედაკაცებმა სასაფლაოზე მიირბინეს, იქ, ეკლესიის სამხრეთით, სადაც გალავანი დანგრეული იყო.

ცეცხლის უზარმაზარ წითელ ალს გაეკაშკაშებინა ეკლესიის ჩრდილოეთით ჭალა და ის ადგილი, სადაც ცხენების საბმურები იყო. იქით მორჩა, ვეღარავინ გავიდოდა, ისეთი სიცხის ბუღი ტრიალებდა. იქ მხოლოდ ერთი ჯვარი იდგა, რომელსაც ალის გამონაშუქი გარშემო უვლიდა და გეგონებოდა ჯვარი ცოცხალია და ინძრევაო.

ცეცხლის ღმუილსა და ღრიალში ისმოდა სამხრეთის კედლის ძელებზე დარტყმული ცულების ხმა. დახურულ დერეფანში კაცები სჩეხავდნენ და ლეწავდნენ კედლებს, ვიდრე სხვები თვითონ დერეფნის მონგრევას ცდილობდნენ. ვიღაცამ დაუძახა იორიუნდგორდელ ქალებს, ლავრანსი და რამდენიმე კაცი მამა ეირიკს მიჰყვნენ და შიგ ეკლესიაში შევიდნენ. კედელი საჩქაროდ უნდა გამოვანგრიოთო. — აქეთა მხრიდანაც, სახურავის ყავრის ქვემოდანაც გამოჩნდა ცეცხლის

ენები. ქარი რომ ამოვარდეს, ან სულაც ჩადგეს, ალი უცებ მთელ ეკლესიას მოედაბაო.

ცეცხლის ჩაქრობაზე ვიღა ფიქრობდა, დრო აღარ იყო ჯაჭვივით გაბმულიყვნენ მდინარემდე, მაგრამ რაგნფრიდმა მაინც გაამწკრივა ქალები და დაიწყეს წყლის გადმოწოდება ღელიდან, დასავლეთისკენ გზის პირად რომ მოჩხრიალებდა, — წყალი მხოლოდ სამხრეთის კედლისა და იქ მომუშავე კაცებისთვის მისასხმელად ჰყოფნიდათ. ქალები თან წყალს ასხამდნენ, თან ხმამაღლა ქვითინებდნენ შეშინებულები და შეშფოთებულები იმათ გამო, ვინც შენობაში იყვნენ, თან თავიანთი ეკლესიის დაღუპვასა და დანგრევასა წუხდნენ.

კრისტინი პირველი იდგა ქალებში და ვედროებს აწოდებდა; სუნთქვაშეკრული თვალს არ აშორებდა ეკლესიას, ორივენი იქ იყვნენ — მამაც და, ალბათ, ერლენდიც!

დერეფნის მოგლეჯილი სვეტები ერთად მიყრილი ძელების, ხის მასალისა და კარიბჭის სახურავის ყავრის ნამტვრევებთან ერთად ეყარა. კაცები, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მიაწვნენ ეკლესიის შიგნითა ძელების კედელს — მთელი ხალხი მიეხვია — ერთად ასწიეს ძელი და ამ ძელით ანგრევდნენ კედელს.

ერლენდი და ერთ-ერთი მისი მსახური ქანდარისკენ მიმავალ სამხრეთის პატარა კარიდან გამოვიდნენ; შესამოსელთა საცავიდან დიდი სკივრი გამოეტანათ. მამა ეირიკი, ჩვეულებრივ, ამ სკივრზე ჩამომჯდარი იღებდა ხოლმე აღსარებას. ერლენდმა და თავისმა მსახურმა სკივრი სასაფლაოზე გადმოაგორეს.

კრისტინმა ვერ გაარჩია, რასა ყვიროდა ერლენდი; ის უკან გაიქცა და ისევ დერეფანს მიეფარა. კატასავით მოქნილი, შურდულივით მიჰქროდა ეკლესიისკენ, — ზემოდან რაც ეცვა, გაიხადა და პერანგის, შარვლისა და წინდების ამარა დარჩა.

სხვებმა ხმა მისცეს ერლენდის ყვირილს — ცეცხლი ეკიდა შესამოსელთა საცავს და პატრონიკეს; ვერავინ ვედარ გამოვიდოდა ეკლესიის სამხრეთ კარიდან — ცეცხლმა გადაუჭრა, ორივე გამოსასვლელი, კედლის ორი-სამი ძელი გასეთქილი იყო, ერლენდმა ხელი დასტაცა სახანძრო ბარჯს, ჩამოჩეხა და ნგრევა დაუწყო ძელებს თუკი რამ იყო კიდევ დარჩენილი. ამგვარად ეკლესიის კედელი გაანგრია; მაგრამ ხალხი უყვიროდა ერლენდს — გაგრთხილდი, სახურავი არ ჩაწვეს და ვინც ეკლესიაში არიან, იქ არ მოიმწყვდნენო; ახლა აქეთაც, სახურავის ხეანა-

ფენსაც მისწვდა ცეცხლი და გაძლიერდა, ახლო ვერ მივიდოდა ადამიანი, ისეთი სიმხურვალე მოდიოდა.

ერლენდი შევარდა გარღვეულ კედელში და მამა ეირიკს მიეშველა. მღვდელს საკურთხevლიდან სავსე კალთა წმიდა ჭურჭელი მოჰქონდა.

მღვდლის უკან გამოჩნდა ბიჭი, ერთი ხელი სახეზე აეფარებინა, მეორეთი კი წინ დახრილი მოჰქონდა მაღალი ჯვარი, რომელსაც ლიტანიის დროს ეკლესიის გარშემო შემოატარებდნენ ხოლმე. მერე ლავრანსი გამოვიდა. ბოლი თვალებსა სთხრიდა, ბარბაცით მოდიოდა და გულში ჩაკრული მძიმე ჯვარცმა ძლივს მოჰქონდა: ჯვარცმა ლავრანსზე ბევრად დიდი იყო.

ხალხი იმათკენ გაიქცა და სასაფლაოზე გასვლა უშველა. მამა ეირიკმა ფეხი წამოსდო რაღაცას, წაიჩოქა და მთელი წმიდა ჭურჭელი ბექობზე დაუგორდა. ვერცხლის მტრედი გაიხსნა და წმინდა ნაწილები მიწაზე გადმოცვივდა; მღვდელმა აიღო ისინი, მტვერი ჩამობერტყა და აქვითინებული ეამბორა; ეამბორა ოქროსწყალში გავლებულ თავსაც, მუდამ საკურთხevლის ზემოდან რომ იდგა და იმაში ინახებოდა წმინდა ულავის თმა და ფრჩხილები.

ლავრანსი, ბიურგიულფის ვაჟიშვილი, იდგა და ისევ ჯვარცმაზე ეჭირა ხელი. ხელი ჯვრის კადონზე ედო, ხოლო თავი ქრისტეს მხარზე: მაცხოვარს თავისი მშვენიერი სევდიანი სახე თითქოს ნუგეშისცემით ლავრანსისკენ დაეხარა...

ეკლესიის მარცხენა მხარეს სახურავი აქა-იქ უკვე ჩაწვა, — მუგუზლადქცეული ვეებერთელა თავხე გარეთ გადმოვარდა და სასაფლაოს ალაყაფის კართან სამრეკლოს დიდ ზარს დაეცა. ზარი აგუგუნდა, თითქოს ბოხი ხმით ქვითინებსო, მერე თითქოს გაბმით დაიგმინა და ცეცხლის ღმუილმა ჩანთქა.

ამ დროის განმავლობაში არავინ აქცევდა ყურადღებას უამინდობას, მით უმეტეს, რომ ქარიშხალმა მალე გადაიარა, მაგრამ ხალხმა ალბათ ვერც ეს შენიშნა, ახლა შორს, ხეობის სამხრეთით ელავდა, ქუხდა და გრგვინავდა, წვიმა დიდი ხანი არ იყო, რაც დაიწყო, ახლა კი წამოუშინა; ქარი სულ ჩადგა.

მაგრამ უცებ თითქოს ალმოდებული იალქანი აფრიალდა, საძირკვლიდან — თვალის დახამხამებაზე ცეცხლი ღმუილით მოედო მთელ ეკლესიას.

ხალხი თავქუდმოგლეჯილი გაეცალა ყოველისჩანძთქძელ ცეცხლს, ამ დროს ერლენდი კრისტინის გვერდით მოხვდა და ბექობიდან კრისტინი თავქვე გაიტაცა. ერლენდს ტრუსის სუნი ასდიოდა და, როცა კრისტინმა თავზე და სახეზე ხელი გადაუსვა, ხელში მთელი ბღუჯა ატრუსული თმა შერჩა.

კრისტინსა და ერლენდს ცეცხლის ღმუილში ერთმანეთისა არაფერი ეყურებოდათ. მაგრამ ის კი დაინახა კრისტინმა, წარბები ძირამდე ატრუსოდა ერლენდს, სახე ალაგ-ალაგ დამწვარი ჰქონდა, ხოლო პერანგი ბევრგან გამოსწვოდა. ერლენდი სიცილით მისდევდა ხალხს და კრისტინსაც თან მიარბენინებდა.

ხალხი მიაცილებდა მოხუც, ატირებულ მღვდელს და ლავრანსს, რომელსაც ჯვარცმა მიჰქონდა.

სასაფლაოს ბოლოში ლავრანსმა ჯვარი მიწაზე დადგა და ხეს მიაყუდა, თვითონ კი ჩამონგრეულ გალავანზე ჩამოჯდა. მამა ეირიკი ეკვე იქ იჯდა და ხელებს ალმოდებული ეკლესიისკენ იშვერდა:

— მშვიდობით, მშვიდობით, ულავის ეკლესიავ! დაე, დაგლოცოს ღმერთმა, ჩემო ულავის ეკლესიავ, დაე, დაგლოცოს ღმერთმა ყოველი საათისთვის, რომელიც შენს კედლებში გამიტარებია გალობისა და ღვთის მსახურების დროს! ღამე მშვიდობისა, ჩემო ეკლესიავ, ღამე მშვიდობისა!..

ეირიკთან ერთად ხალხიც ქვითინებდა. წვიმა კოკისპირულად ასხამდა, მაგრამ ჯგუფ-ჯგუფად შეყრილი ხალხი წასვლას არა ფიქრობდა. ასე გეგონებოდა, ეს კოკისპირული წვიმაც ვერ ჩაანელებდა ცეცხლს გაფისულ ხის შენობაში — მუგუზლებადქცეული ძელები და ცეცხლმოკიდებული ყავარი აქეთ-იქით ცვიოდა, მალე ეკლესიის თავხეც ჩანთქა ცეცხლმა და ქვეყნის ნაპერწკლები ავარდა ცაში.

ლავრანსს ერთი ხელი სახეზე აეფარებინა, მეორე მუხლზე ედო და ისე იჯდა: კრისტინმა დაინახა, სახელო მხრიდან ბოლომდე გასისხლიანებული ჰქონდა და თითებზე სისხლი ჩამოსდიოდა. კრისტინი მამასთან მივიდა და ხელზე ხელი შეახო.

— არაფერია, შვილო ზემოდან რაღაც დამეცა მხარზე, — შეხედა და უთხრა. ლავრანსი ისე იყო გაფითრებული, ტუჩის ფერი აღარა ჰქონდა. — ულვხილდ! — გულსაკლავად წაიჩუჩრჩულა, გაგიზგიზებულ ცეცხლს რომ უყურებდა.

მამა ეირიკმა ყური მოჰკრა ამას და მხარზე ხელი დაადო ლავრანსს.

— ეგ ვერ გააღვიძებს შენს შვილს, ლავრანს, იმას როგორც ეძინა, ისევ ისე გულის ძილითა სძინავს, თუმც მის სარეცელს ცეცხლი დაჰგიზგიზებს! — უთხრა მან. — მას არ დაუკარგავს სავანე სულისა, როგორც ჩვენ დავკარგეთ დღეს.

კრისტინმა ერლენდის მკერდზე ჩამალა თავი, უძრავად იდგა და გრძნობდა მხრებზე მოხვეულ ერლენდის ხელებს. მერე გაიგონა, ლავრანსმა რაგნფრიდი მოიკითხა.

ვიღაცამ უპასუხა, ერთ ორსულ ქალს შიშისაგან მშობიარობა დაეწყო, მღვდლის სახლში წაიყვანეს და რაგნფრიდიც იქ წავიდაო.

ამის გაგონებაზე კრისტინს კვლავ მოაგონდა ის, რაც დაავიწყდა იმ წუთიდან, როცა აბრიალებული ეკლესია დაინახეს. ალბათ, კარგი იყო არ ეცქირა ცეცხლის ალში გახვეული ეკლესიისათვის! სამხრეთისაკენ ხეობაში ერთი კაცი ცხოვრობდა, ნახევარ სახეზე ტყირპი ჰქონდა გადაკრული; ამბობდნენ, ტყირპი იმიტომ დაჰყვა დაბადებიდან, რომ მაგის დედას ხანძრისთვის უცქერია, როცა მაგაზე ორსულად ყოფილაო.

„ძვირფასო, უწმინდესო ქალწულო მარიამ! — შეევედრა თავის გულში კრისტინი. — ისე ჰქენ, რომ ამ ხანძარმა ზიანი არ მიაყენოს ჩემს შვილს!..“

ერთი დღის მერე მთელ მრევლს თავი მოუყარეს სოფლის ყრილობაზე, ეკლესიის აღდგენაზე უნდა მოელაპარაკათ.

კრისტინი რუმიუნდგორდში წავიდა და მამა ეირიკი მოინახულა, ვიდრე ის სოფლის ყრილობაზე წავიდოდა, და მღვდელს ჰკითხა, ხომ არა ფიქრობთ, რომ ეს ზეგარდმო ნიშნად უნდა მივიღო. ეგებ ღვთის ნებაა, რომ ვთქვა, ღირსი არა ვარ დავიდგა პატარძლის გვირგვინი; და უფრო კარგი ხომ არ იქნებოდა ერლენდს ცოლად საპატიო ნადიმის გარეშე მიმცენო.

მაგრამ მამა ეირიკი გაჯავრებული ეცა და თვალები მრისხანედ დაუბრიალა.

— შენა გგონია, ღმერთს შენისთანა ძუკნებისთვისა სცალია, თქვენ გიყუროთ, როგორ დარბიხართ და მრუშობთ, და შენი გულისთვის გადასწვაცდა ამ ლამაზ, სიწმინდის სავანეს? თავი გაანებე ამპარტავნობას, დედაშენსა და ლავრანსს აკმარე მწუხარება, რომელსაც მალე ვერ მოინელებენ! უკეთუ შენ შენი ცხოვრების ყველაზე დიდებულ დღეს

გვირგვინის დადგმის ღირსად არა თვლი შენს თავს, მით უარესი შენთვის; და მით უფრო საჭიროა ჯვრის დაწერა შენთვისაც და ერლენდისთვისაც, როცა სამუდამოდ დაუკავშირდებით ერთმანეთს. ყველა ადამიანს თავისი წილი ცოდვა აქვს, რომლისთვისაც მან უნდა აგოს პასუხი: ჰოდა, ალბათ ამიტომ ყველას დაგვატყდა თავს ეს უბედურება. ეცადე, ეგ გაკვეთილად გამოიყენო მომავლისათვის, ხოლო შენ და ერლენდი დაგვეხმარეთ, კვლავ ავაშენოთ ეკლესია!

კრისტინმა ის იყო გაიფიქრა, ყველაზე მძიმე რაც შემემთხვა, ის კი არ ვუთხარი მამა ეირიკსაო, მაგრამ გადაწყვიტა აღარაფერი ეთქვა.

კაცებთან ერთად კრისტინიც წავიდა სოფლის ყრილობაზე. ლავრანსი ხელჩამობმული მივიდა, ხოლო ერლენდს ბევრგანა ჰქონდა სახე დამწვარი; პირდაპირ საზარელი სანახავი იყო, მაგრამ მას სასაცილოდ არა ჰყოფნიდა. ძალიან არსად დასწოდა, და იმედოვნებდა სახედამახინჯებული არ ვიქნები ქორწილის დღესო. წამოდგა თუ არა ლავრანსი, ერლენდიც მაშინვე წამოდგა და დაჰპირდა ჩემს წილად ეკლესიის ასაშენებლად ოთხი მარკა[1] ვერცხლი შემომიწირავს, ხოლო ჩემი საცოლის წილად, ლავრანსის თანხმობით, კრისტინის მზითვიდან — სამოც ძროხად ღირებულ ამავე მრეველის მიწის მონაკვეთს ვწირავო.

იორიუნდგორდში ერლენდს მთელი კვირა უნდა გაეტარებინა, ვიდრე დამწვარი პირისახე მოუშუშდებოდა. კრისტინმა შეამჩნია, რომ ხანძრის შემდეგ ლავრანსს თითქოს უფრო მეტად მოსწონდა სიძე: თითქოს კაცები ახლა ნამდვილად დამეგობრდნენ, და გაიფიქრა: იქნებ მაძახემს ისე შეუყვარდეს ერლენდი, რომ როცა დრო გავა და გაიგებს როგორ შევცოდეთ მის წინაშე, ძალიან მკაცრად არ განგვსაჯოს და არც ისე ჩაიკლას გული, როგორც ამისი მეშინიაო.

VIII

იმ წელიწადს ზღვად გასკდა, მთელ ხეობაში ისეთი მოსავალი მოვიდა. ბევრი თივაც მოითიბა და დროებედაც გაძოზიდეს მდელოებიდან; სეტერებიდან ხალხმა ბევრი რძე, ერბო, კარაქი ჩამოზიდა და გასუქ-

[1] ე. ი. ერთ კილოგრამ ხალის ვერცხლზე ცოტა ნაკლები.

ბული პირუტყვი ჩამორეკა — წლევანდელ წელიწადს ნადირმაც კი დაზოგა პირუტყვი და ზიანი არ მიაყენა. ყანებში პურმა ისეთი თავთავი გაიკეთა, იქაურებს მგონი არც ახსოვდათ ასეთი პურის ყანები, ასე კარგად შემოსული და ასეთი მსხვილი მარცვალი. ამინდიც საუკეთესო იდგა. წმიდა ბართლომეს დღესასწაულსა და ღვთისმშობლობის შუა, როცა ყველაზე მეტად ეშინიათ ხოლმე ყინვებისა, შიგადაშიგ წამოწვიმა, მაგრამ თბილი და ღრუბლიანი ამინდი იდგა, ჭირნახულიც მზიანსა და ქარიან ამინდში აიღეს, ღამეები კი თბილი და ნისლიანი იყო. მიხაილობის შემდეგ ერთი კვირა გავიდა და მთელ მრევლში პური თითქმის სულ მომკეს.

იორიუნდგორდში დიდი ფაციფუცი და მზადება იყო ქორწილისათვის. უკანასკნელ ორ თვეს ყოველ ცისმარე დღე კრისტინი ისე მოუცლელად იყო, რომ დრო თითქმის აღარა რჩებოდა, ნაღველს მისცემოდა და საქმის გარდა სხვა რამეზე ეფიქრა. მკერდი დაუმძიმდა; პატარა, ვარდისფერ ძუძუსთავებს ყავისფერი მიეცა და ხელს ვერ იკარებდა, ისე სტკიოდა, მეტადრე დილდილაობით, დილის სუსხზე რომ დგებოდა. მაგრამ მუშაობაში გახურებულს გაუვლიდა ხოლმე, თან მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, კიდევ რა უნდა გაეკეთებინა საღამომდის, როცა დროდადრო წელში გაიშლებოდა, რომ ცოტა დაესვენა, გრძნობდა, რომ მუცელი სულ უფრო და უფრო დაუმძიმდა, მაგრამ გარეგნულად კრისტინი ძველებურად ტანწვრილი და მოხდენილი იყო. ხელს ჩამოისვამდა ხოლმე თავის მაღალ ლამაზ თეძოებზე. არა, ჯერ სადარდებელი არაფერი აქვს! ზოგჯერ კი გულშეკუმშული ნაღვლიანად ფიქრობდა: ერთ თვეში ან ეგებ უფრო ადრეც, ალბათ ბავშვი ინძრევა... ამ დროისთვის ხიუსაბიუში ვიქნებიო. ეგებ, ერლენდს გაუხარდეს... კრისტინი თვალებს ხუჭავდა, კბილებს ჩაავლებდა თავის ნიშნობის ბეჭედს და თვალწინ უდგებოდა ერლენდის სახე, მღელვარებისაგან გაფითრებული, როდესაც ზევითა ოთახში იდგა და ხმამაღლა მკაფიოდ ამბობდა ნიშნობის სიტყვებს:

„მაშ, დაე მოწმეებად ჩემად იყვნენ ღმერთი და აქ მდგომი ვაჟკაცები, რომ მე, ერლენდი, ნიკულაუსის ვაჟიშვილი, ვნიშნავ კრისტინს, ლავრანსის ასულს. ღვთისა და ადამიანის კანონის თანახმად, და იმ პირობათა თანახმად, რომლებიც დასახელებული იყო აქ მდგომ მოწმეთა

დასწრებით. რომ მე გიუფლებ შენ, ვითარცა ცოლსა ჩემსას, და შენც მეუფლები, ვითარცა ქმარსა შენსას: რომ ჩვენ ერთად ვიცხოვრებთ ცოლ-ქმრულად ისე შეხმატკბილებულად, როგორადაც წინასწარ დასახულია ღვთისა და ჩვენი ქვეყნის კანონებით".

კრისტინი რაღაც საქმეზე მირბოდა ერთი სახლიდან მეორეში და წამით შედგა: წელს იმდენი ცირცელი მოვიდა — თოვლიანი ზამთარი იქნება. მზე კი გადახუნებულ მინდვრებს დაჰნათოდა, სადაც დიდრონი ბულულები იდგა, ღმერთმა ქნას, რომ ქორწილის დღეებში ასეთი ამინდი დაიჭიროს.

ლავრანსი ურყევად იდგა იმ აზრზე, რომ მის ქალს ეკლესიაში უნდა დაეწერა ჯვარი. ამიტომ გადაწყვიტეს, რომ ჯვარს სიუნდბიუს ეკვდერში დასწერენ. საქორწილო მაყრიონი შაბათს წავა, მთებს გადაივლის და ვოგეში ჩავლენ. ყველანი სიუნდბიუში და ახლომახლო მაშულებში გაათენებენ ღამეს, ხოლო კვირას, ჯვრის წერის მერე უკან გამობრუნდებიან. იმავ საღამოს მწუხრის ლოცვის მერე, როცა დღესასწაული გაივლის, ქორწილს გადაიხდიან და ლავრანსი თავის ქალს ერლენდს ჩააბარებს, ხოლო შუაღამის მერე ნეფე-დედოფალს წაიყვანენ საქორწილო სარეცელში მოსასვენებლად.

პარასკევს საღამო ჟამს კრისტინი ზედა ოთახის წინ დერეფანში იდგა და ჩრდილოეთის მხრიდან ბექობზე ცხენებით ჯგუფად მომავალ ხალხს გასცქეროდა, ცხენოსნებმა გადამწვარ ეკლესიას ჩაუარეს. ერლენდი იყო თავისი მაყრებით. კრისტინმა თვალები დაძაბა, რომ იმათში ერლენდი გამოერჩია. იმასა და ერლენდს ერთმანეთის ნახვა აღარ შეეძლოთ, — ახლა არც ერთ კაცს არ აჩვენებდნენ კრისტინს ხვალამდე, როცა საქორწილო კაბით გამოიყვანდნენ.

იქ, სადაც გზა იორიუნდგორდისკენ უხვევდა, ცხენოსნებს რამდენიმე ქალი გამოეყო. კაცებმა გზა განაგრძეს ლეუგარბრუსკენ; ეს ღამე იქ უნდა გაეტარებინათ.

კრისტინი ქვევით ჩავიდა ჩამოსულების მისაგებებლად. ძალიან დაღლილი იყო განბანვის შემდეგ, თავის კანიცა სტკიოდა, — რაგნ-

ფრიდმა მაგარი ტუტით დაბანა თავი, რომ ხვალისთვის რაც შეიძლება ქერა ჰქონოდა თმა.

გეუტის ასული ფრუ ოსხილდი უნაგირიდან ლავრანსის ხელებზე ჩამოცურდა. „რა ახალგაზრდულად და რა მსუბუქად უჭირავს თავი“, — გაიფიქრა კრისტინმა. მისი რძალი, ბატონი მიუნანის ცოლი კატრინი, თითქმის იმაზე უფროსი გეგონებოდა—წარმოსადეგი ქალი იყო, მსუქანი, უფერული პირის კანი და გამორეცხილი თვალები ჰქონდა. „რა უცნაურია, — გაიფიქრა კრისტინმა, — ეს ქალი მახინჯია, ქმარი ღალატობს და ამათზე მაინც ლაპარაკობენ ტკბილად ცხოვრობენო!“ ჰათ გარდა პეტერის ვაჟიშვილ ბორდის ქალებიც ჩამოვიდნენ, ერთი გათხოვილი და მეორე გაუთხოვარი. ისინი არც მახინჯები იყვნენ, არც ლამაზები, გარეგნულად კარგი და კეთილი გოგოები ჩანდნენ, მაგრამ უცხოებთან თავისუფლად ვერ ეჭირათ თავი. ლავრანსმა თავაზიანად გადაუხადა მადლობა, ასეთი პატივი რომ დასდეთ ჩემი ქალის ქორწილს და ასე შორ გზაზე წამოხვედით ამ გვიან შემოდგომაზეო.

— ერლენდი მამაჩვენთან იზრდებოდა პატარაობისას, — სთქვა უფროსმა დამ, კრისტინთან მივიდა და მიესალმა.

ამ დროს ეზოში ორმა ჭაბუკმა შემოაქროლა ცხენი; ცხენებიდან ჩამოხტნენ და სიცილით გამოეკიდნენ კრისტინს, ის სახლში შევარდა და იქ დაიმალა. ესენი ტრონდ იესლინგის ჭაბუკი ვაჟიშვილები იყვნენ, ლამაზი ბიჭები იყვნენ და ეტყობოდათ კარგი ადამიანებიც დადგებოდნენ, სიუნდბიუდან ზარდახშით პატარძლის გვირგვინი ჩამოიტანეს. ტრონდი თავისი ცოლით იორიუნდგორდში კვირას ჩამოვიდოდა წირვის შემდეგ.

კრისტინი ძველ კერიან ოთახში შევარდა; ფრუ ოსხილდი ფეხდაფეხ მიჰყვა, მხრებზე ხელები დააწყო და საკოცნელად მიიზიდა.

— მიხარია, რომ ამ დღეს მოვესწარი! — უთხრა ფრუ ოსხილდმა.

კრისტინს ხელები დაუჭირა და დაინახა რა გამხდარი ჰქონდა, საერთოდ პატარძალი გამხდარიყო, მკერდი კი მაღლა დასდგომოდა. სახის ნაკვთები უწინდელზე უფრო ნატიფი და ნაზი უჩანდა და უფრო დამშვეხებულიყო. მძიმე ნაწნავები ისე ჰქონდა შემოხვეული, რომ საფეთქლები თითქოს ოდნავ ჩავარდნოდა. ლოყები ისე აღარა ჰქონდა დამრგვალებული, სახის ფერიც ჩასტეტკოდა. მაგრამ თვალები უფრო დიდრონი უჩანდა და ჩამუქებოდა.

ფრუ ოსხილდმა ისევ აკოცა კრისტინს.

— მე ვხედავ, კრისტინ, ბევრი გაჭირვება გადაგიტანია! — უთხრა ძახ. — აძაღამ სასმელს დაგალევინებ და ხვალ დილით ჩიტივით წამოფრინდები.

კრისტინს ტუჩები აუთრთოლდა.

— სსს... — ხელზე ხელი მოუთათუნა და უთხრა ფრუ ოსხილდმა, — როგორ მიხარია, რომ ხვალ მოგრთავ, — ალბათ თავის დღეში არავის უნახავს ისეთი კალმით ნახატი პატარძალი, როგორიც შენ იქნები ხვალ!

ლავრანსი ცხენზე შეჯდა და ლეუგარბრუსკენ გასწია — იქ ჩამომხტარ სტუმრებთან ერთად უნდა ევახშმა.

კაცებმა მირთმეული საჭმელების ქება ვეღარ გაათავეს — რაც პარასკევ დღეს შეეფერება, ამაზე უკეთესი საჭმლით ყველაზე მდიდარ მონასტერშიც კი ვერავის გაუმასპინძლდებოდნენო! სუფრაზე მოიტანეს ჭვავის ფქვილის ფაფა, მოხარშული ცერცვი, თეთრი პური, ხოლო თევზეულიდან მხოლოდ დამარილებული და ნედლი კალმახი მოჰქონდათ და მსუქანი კარიდი.

რაც უფრო მეტსა სვამდნენ ლუდს კაცები, მით უფრო გამხიარულდნენ და სულ უფრო და უფრო უხეშად ოხუნჯობდნენ სანეფოზე. ერლენდის მაყრები ერლენდზე ბევრად უმცროსები იყვნენ — მისი ტოლები დიდი ხანია დაცოლშვილდნენ. ახლა კაცები იმას ეხუმრებოდნენ, ასეთი ბებერი ხარ და პატარძალთან პირველად უნდა დაწვეო. ერლენდის ზოგიერთ ხანში შესულ ნათესავს, იმათ ღვინო ჯერ თითქმის არ მოჰკიდებოდა, სული კბილით ეჭირათ, გაფაციცებულები უგდებდნენ ყურს ყოველ სიტყვას, ეშინოდათ, ვაითუ ლაპარაკი ისეთ რამეს შეეხოს, რაც, სჯობია, სულაც არ ახსენონო. ხესტნესელი ბატონი ბორდი თვალს არ აშორებდა ლავრანსს. ლავრანსი მასპინძლის საპატიო ადგილზე იჯდა, ხშირ-ხშირად სცლიდა სასმისს, მაგრამ, ეტყობა, ლუდი არ ამხიარულებდა, სახე სულ უფრო მოეღუშა, რაღაც უფრო დაბღვერილი იყურებოდა, მაგრამ ერლენდი, ის სიმამრის ხელმარჯვნივ იჯდა, მხიარულად უპასუხებდა დაცინვას და შეეინეღილებული და თვალებგაბრწყინებული გულიანად იცინოდა.

ლავრანსს, ეტყობა, მოთმინების ფიალა აევსო, მკვახედ უთხრა:

— ოთხთვალა რა უყავი, სიძე, — ვიდრე არ დამვიწყებია, — სად წაიღე, ამ ზაფხულს რომ გათხოვე?

— ოთხთვალა?.. — გაიმეორა ერლენდმა.

— ეგებ დაგავიწყდა, კიდეც, ამ ზაფხულს რომ ითხოვე ოთხთვალა? ხედავს ღმერთი, ისეთი კარგი იყო, უკეთესს ვერც იხილავს კაცი. თავზე ვადექი, ისე გავაკეთებინე ჩემს სამჭედლოში! შენა მპირდებოდი და იფიცებოდი, ღმერთია მოწამე, და ყველა ჩემმა შინაურებმაც იციან, უკან ჩამოვიტანო, მაგრამ სიტყვის კაცი არა ყოფილხარ!..

სტუმრებმა აქეთ-იქიდან შესძახეს, ახლა მაგაზე ლაპარაკი არა ღირსო. მაგრამ ლავრანსმა მუშტი დასცხო მაგიდას და დაიფიცა, კაცი არ ვიყო თუ არ გავიგო, ერლენდმა ჩემი ოთხთვალა რა უყოო.

— რა ვუყავი და, ალბათ, იმ მამულშივე დგას კონცხზე, სადაც ნავი ვიშოვეთ კუნძულ ვეეიზე გადასასვლელად, — არხეინად მიუგო ერლენდმა. — არ ვიცოდი, რომ ოთხთვალა ასე გჭირდებოდათ, იცით, რას გეტყვით, ჩემო სიმამრო, დატვირთული ოთხთვალათი მგზავრობა ხეობაზე ძალიან ძნელი იყო და დიდი დროც დაგვჭირდა, ამიტომ, როცა ძლივძლივობით ფიორდს მივაღწიეთ, არც ერთმა ჩემმა მსახურმა არ მოინდომა უკან წამოსულიყო, ოთხთვალა წამოეღო და მერე მთებზე გადმოსულიყო ჩრდილოეთით ტრონდჰეიმის ოლქისკენ. მაშინ ვიფიქრე, ალბათ შეიძლება, ჯერჯერობით, ოთხთვალა აქ დავტოვოთ-მეთქი...

— მაშ, ეშმაკმა წამიღოს, თუ ოდესმე ვისგანმე მსმენოდეს ასეთი რამ! — გაცხარდა ლავრანსი. — ეგ რა წესები გქონია ოჯახში? ვინა სწყვეტს, შენა თუ შენი მსახურები, საით უნდა წავიდნენ და საით არა?..

ერლენდმა მხრები აიჩეჩა.

— ეგ მართალია, ბევრი რამ ჩემს ოჯახში ისე არ იყო, როგორც უნდა ყოფილიყო! ოთხთვალას კი უკან გამოგიგზავნით, როცა მე და კრისტინი იმ ადგილებში გავივლით, ჩემო ძვირფასო სიმამრო, — ღიმილით უთხრა ერლენდმა და ხელი გაუწოდა ლავრანსს, — იცოდეთ, ახლა ყველაფერი სულ სხვანაირად წავა და მეც გამოვიცვლები, როცა კრისტინს ჩემს ოჯახს ჩავაბარებ! კარგად ვერ მოვიქეცი, ოთხთვალა რომ არ გამოვგზავნე. მაგრამ პირობას გაძლევთ: უკანასკნელად მოგეცით საბაბი, რომ ჩემზე გაჯავრებულიყავით!

— ძვირფასო ლავრანს, — სთხოვა პეტერის ვაჟიშვილმა ბორდ-

მა, — მაშ შეურიგდით თქვენს სიძეს, და ასეთი უბრალო რამისათვის ნუ დაემდურებით.

— უბრალო რამეა თუ არა... — ის იყო დაიწყო ლავრანსმა. მაგრამ თავი შეიმაგრა და ხელი გაუწოდა ერლენდს.

პატარა ხნის მერე ლავრანსმა სუფრიდან ადგომის ნიშანი მისცა და სტუმრები დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ.

შაბათს შუადღემდე დიდი ჯაფა დაადგათ ძველ სტაბიურში მოფუსფუსე გათხოვილ ქალებსაც და გაუთხოვარ გოგოებსაც. ზოგი საქორწილო საწოლს ამზადებდა, ზოგი პატარძალსა რთავდა.

რაგნფრიდმა ახალ ჯვარდაწერილებისათვის სწორედ ეს შენობა იმიტომ ამოარჩია, რომ ეს სტაბიური ყველაზე პატარა იყო — ახალ შენობაში ბევრად უფრო მეტი სტუმრები დაეტეოდნენ, ამას კი თავადაც საძილე ოთახად ხმარობდნენ ზაფხულობით, როცა კრისტინი ჯერ ისევ პატარა იყო, და ვიდრე ლავრანსი დიდ, ახალ სახლს ააშენებდა, სადაც ახლა ზამთარ-ზაფხულს ცხოვრობდნენ. გარდა ამისა, ძველი სტაბიური თითქმის ყველაზე ლამაზი შენობა იყო მთელ ეზოში, მას აქეთ, რაც ლავრანსმა შეაკეთა. ის ხომ დანგრევაზე იყო, როცა იორიუნდგორდში გადმოვიდნენ საცხოვრებლად. შენობა შიგნიდანაც და გარედანაც მშვენივრად იყო მოჩუქურთმებული; და თუმცა ზემოთა ოთახი დიდი არ იყო, მით უფრო ადვილად შეიძლებოდა ხალიჩა-ფარდაგების, ფარდებისა და ბეწვეულის კედლებზე გაკვრა და ოთახის მორთვა.

საქორწილო სარეცელი უკვე გამზადებული იდგა აბრეშუმგადაკრული ბალიშებით; ლამაზი ხალიჩა-ფარდაგები საწოლის გარშემო მიჩიგდანივით ჩამოეფარებინათ; ბეწვეულისა და ჩარსავების ზემოდან მოქარგული აბრეშუმი იყო გადაფარებული. რაგნფრიდი და კიდევ რამდენიმე ქალი ძელურ კედლებზე ფარდაგ-ხალიჩებს აკრავდნენ და ძელსკამებზე ბალიშებს აწყობდნენ.

კრისტინი საგანგებოდ შემოტანილ დიდ სავარძელში იჯდა. მას ალისფერი საგვირგვინო კაბა ეცვა. კაბა დიდრონი ბალთებით იკვრებოდა მკერდზე და ყვითელი აბრეშუმის პერანგის საყელოს ჰფარავდა, ოქროს სამაჯურები უბრჭყვიალებდა ყვითელი აბრეშუმის სახელოებზე. ოქროს წყალში გავლებული ქამარი სამჯერ ჰქონდა წელზე შემო-

ხვეული, ხოლო კისერსა და მკერდზე ვერ დასთვლიდი, რამდენი ასხმული ძეწკვი ეკეთა და ამ ძეწკვებს ზეზოდან მაბის ძველი ოქროს ძეწკვი ეკიდა დიდი ჯვრითა და წმიდა ნაწილებით. მუხლებზე დაწყობილი ხელები დამძიმებული ჰქონდა ბეჭდებისაგან.

ფრუ ოსხილდი სავარძლის უკან იდგა და კრისტინს ჯაგრისით უვარცხნიდა მოოქროსფრო-წაბლისფერ ხშირ, მძიმედ ჩამოყრილ თმას.

— ხვალ უკანასკნელად გაიშლი თმას! — უთხრა ღიმილით ფრუ ოსხილდმა კრისტინს და თავზე შემოაკრა წითელი და მწვანე ბაფთები, რომელთაც გვირგვინი უნდა დაეჭირათ. ქალები შემოეხვივნენ პატარძალს.

რაგხფრიდმა და სკუგელმა გიურიდმა მაგიდიდან იესლინგების საგვარეულო დიდი საქორწილო გვირგვინი აიღეს. გვირგვინი ერთიანად დაოქრული იყო, კუწუბებს წვერში ალაგ ჯვარი ჰქონდა და ალაგ სამყურა, ხოლო თვითონ რკალი ერთიანად მთის ბროლით იყო მოჭედილი.

ქალებმა გვირგვინი თავზე კარგად მოარგეს პატარძალს. რაგნფრიდი გაფითრებული იყო და ხელები უკანკალებდა, გვირგვინს რომ ადგამდა შვილს.

კრისტინი მძიმე-მძიმედ წამოდგა. უფალო იესო ქრისტე, რა მძიმე ყოფილა მთელი ამ ოქრო-ვერცხლის ტარება!.. ამ დროს ფრუ ოსხილდმა მოჰკიდა ხელი და წყლით სავსე დიდ გეჯასთან მიიყვანა, მდადეებმა კი ყურთამდე გააღეს კარი, რომ მზის შუქს გაენათებინა ოთახი.

— შეხედე შენს თავს, კრისტინ, — უთხრა ფრუ ოსხილდმა. კრისტინიც გეჯისაკენ დაიხარა და წყალში დაინახა თავისი გაფითრებული სახე. ისე ახლო იყო, რომ სახის ზემოდან ოქროს გვირგვინიც კი გაარჩია. გვირგვინის ირგვლივ თრთოდნენ შავი და თეთრი ჩრდილები,— ის იყო, თითქოს რაღაც მოაგონდა კიდეც, მაგრამ უცებ მოეჩვენა, რომ გონებას ჰკარგავდა და გეჯას ჩასჭიდა ხელი. ამ დროს ფრუ ოსხილდმა ხელზე ხელი დაადო კრისტინს და ისე მწარედ ჩაუყარა ფრჩხილები, რომ კრისტინი ხელად მოვიდა გონს.

ქვევით, ხიდთან, ბუკის ხმა გაისმა. ეზოდან ზემოთ ასძახეს, ნეფე მობრძანდება თავისი ამალითაო. ქალებმა კრისტინი სტაბიურის დერეფანში გამოიყვანეს.

ეზოში დარახტულ ცხენებსა და სადღესასწაულოდ მორთულ

ხალხს ბზინვა გაუდიოდა მზეზე. კრისტინმა შორს გახედა ხეობას. მზის შუქი ადგა გარინდებულ, თხელ ლეგა ნისლში გახვეულ მშობლიურ სოფელს. ნისლიდან რუხად ამოზიდულიყვნენ პიტალო კლდეები, ზოგან კი შავად აღმართულიყვნენ ტყით შეფენილი მთები, ხოლო მოკრიალებული ციდან მზე მთელ ხეობას დაჰკაშკაშებდა.

კრისტინს აქამდე არ შეუმჩნევია, რომ ფოთოლი უკვე გასცვივნოდა ხეებს და გაძარცული რუხი ჭალები ახლა ვერცხლისფრად ელვარებდნენ. წყლის პირას ჩაყოლებულ თხმელასღა შერჩენოდა კენწეროებზე ფერმკრთალი ფოთლები, და არყს ტოტების ბოლოებში, აქა-იქღა ება თითო-ოროლა გაყვითლებული ფოთოლი. სხვა ხეები გატიტვლებულები იდგნენ. მხოლოდ ცირცელის სისხლივით წითელი მტევნები იყო ისევ დაბურული ყავისფრად და წითლად აჭრელებული ფოთლებით. თბილი, უქარო დღე გამოვიდა, შემოდგომის მომჟავო სურნელება ასდიოდა ხალიჩასავით ნაცრისფრად დაფენილ ჩამოცვივნულ ფოთლებს.

წითლად დამკვრახული ცერცელი რომ არა, ადრე გაზაფხულის დღე გეგონებოდა. ისევე იყო მიჩუმებული არემარე... მაგრამ არა, ისე იყო მიჩუმებული, როგორც მხოლოდ შემოდგომაზე იცის ხოლმე! მიჩუმდებოდა თუ არა ნაღარა, სოფელში ჩამიჩუმი არ ისმოდა, ზანზალაკების წკარუნს თუ გაიგონებდი — ნაწვერალებსა და სათიბებზე საქონელს აძოვებდნენ.

მდინარე შევიწროვდა და გათხელდა, ისე აღარ მოშხუოდა, პატარა ტოტები მარდად მირბოდნენ ჭოროხებსა და დიდრონ წყლისაგან შემოჩარხულ თეთრ ლოდებშუა. მთის კალთებიდან აღარ ისმოდა ღელეების ჩუხჩუხი — მშრალი შემოდგომა იყო. ირგვლივ გაშლილი მინდვრები კი მაინც ნამისაგან ბრწყინავდა, ეს ის ნამი იყო, რომელსაც მაინც დაიყრის ხოლმე მიწა, რაც არ უნდა თბილი დღეები გამოვიდეს და კრიალა ჰაერი იყოს.

დაბლა ეზოში თავმოყრილმა ხალხმა აქეთ-იქით მიიწ-მოიწია და ნეფის მაყრიონს ადგილი მოუცალა. სწორედ ახლა გამოვიდნენ წინ ახალგაზრდა მაყრები; დერეფნიდან გადმომდგარი ქალები აჩოჩქოლდნენ.

ფრუ ოსხილდი პატარძლის გვერდით იდგა.

— თავი შეიმაგრე, კრისტინ,—უთხრა მან, — ცოტაც და, გათხოვილი ქალის მანდილს მოიხვევ და მორჩა, გულის საკანკალო აღარაფერი გექნება.

კრისტინმა უმწეოდ დაუქნია თავი. გრძნობდა, რა საზარლად იყო ალბათ გაფითრებული.

— პატარძალს არ შეჰფერის, ისე ძალიან ვარ ალბათ გაფითრებული, — ჩუმად სთქვა მან.

— შენისთანა მშვენიერი პატარძალი მეორე არ იქნება ქვეყანაზე! — მიუგო ოსხილდმა. — აგერ, ერლენდიც მოდის — შენზე და ერლენდზე ლამაზ ნეფე-დედოფალს მე მგონი, თვალი ვერ იხილავს.

ეხლა თვითონ ერლენდმაც მოაგდო ცხენი დერეფანთან. ცხენიდან მსუბუქად ჩამოხტა, მძიმე ტანსაცმელი სულ არ უშლიდა მოძრაობას. თავი თავისუფლად ეჭირა. ერლენდი ისეთი ლამაზი ეჩვენა კრისტინს, რომ მთელ სხეულში თითქოს ტკივილმა დაუარა.

ერლენდი თავიდან ფეხებამდე მუქ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. დამჭკნარი ფოთლებისფერი გვერდებში შეჭრილი თეთრი და შავი ნაუშით ამოქარული გრძელი აბრეშუმის ხიფთანი ეცვა, რომელიც მუხლქვემოდან სცემდა. წელზე სარტყელი ჰქონდა შემოკრული, მარცხენა თეძოსთან მახვილი ეკიდა, რომლის ტარი და ქარქაში ოქროთი იყო მოვარაყებული. მხრებზე მოეგდო მუქი ლურჯი მძიმე ხავერდის ლაბადა, ხოლო შავ თმაზე შავი ფრანგული პატარა ქუდი ეხურა, ქუდს აქეთ-იქიდან ნაკეცები ფრთებივით ჰქონდა დამდგარი და ორი გრძელი ბოლო მისდევდა; ერთი ბოლო მარცხენა მხრიდან მკერდზე გადმოტანილ მარჯვენა მხრის უკან ჰქონდა გადაგდებული.

ერლენდი მიესალმა პატარძალს, მერე კრისტინისთვის მომზადებულ ცხენთან მივიდა, მის გვერდით დადგა და უნაგირს ხელი დაადო, ვიდრე ლავრანსი კიბეზე ავიდოდა. კრისტინი შეაკრთო და თავბრუ დახვია ასეთმა მდიდრულმა და დიდებულმა მორთულობამ — ლავრანსი ვიღაც უცხოსა ჰგავდა თავის სადღესასწაულო მწვანე ხავერდის ტანისამოსში, რომელიც მუხლქვემოდან ედგა. ხოლო წითელ აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი ტილოს თავსაკრავწაკრულ დედას სახეზე მიწისფერი ედო. რაგნფრიდი შვილთან მივიდა და ლაბადა შემოახვია.

აგერა, ლავრანსმა პატარძალს ხელში მოჰკიდა ხელი და ძირს ჩაიყვანა ერლენდთან. ერლენდმა ცხენზე შესვა კრისტინი და თვითონაც უნაგირს მოახტა. ორივენი ერთმანეთის გვერდით იდგნენ ახალი, ნეფე-დედოფლისთვის განკუთვნილი სტაბიურის წინ, ვიდრე მაყრიონი ნელ-ნელა ეზოდან დაიძრებოდა. ჯერ მღვდლები გავიდნენ. მამა ეირიკი, ულვსვოლდელი მამა ტურმუდი და ერთი ლავრანსის მეგო-

ბარი ხამარელი ბერი, მერე წყვილ-წყვილად მიჰყვებოდნენ ნეფე-დედოფლის მაყრები. ბოლოს კრისტინისა და ერლენდის წასვლის ჯერიც მოვიდა. ნეფე-პატარძალს უკან გაჰყვნენ პატარძლის მშობლები, ნათესავები, მეგობრები და სტუმრები, რომლებიც გრძლად გაიჭიმნენ საურმე გზისაკენ მიმავალ ორღობეში. კარგა დიდ მანძილზე გზა დაფენილი იყო ცირცელის მტევნებით, ნაძვის ტოტებით და თეთრი გვირილებით. რომელიც შემოდგომის მიწურულში იცის. მთელ გზაზე გამოფენილიყო ხალხი და ხმამაღალი შეძახილებით ესალმებოდა მექორწილეებს.

კვირას, მზე ჩავიდა თუ არა, მექორწილეები იორიუნდგორდში დაბრუნდნენ. ჩამოწოლილ ბინდში წითლად ღვიოდა ეზოში აქა-იქ აბრიალებული კოცონები. მეფანდურეები და მესაკრავეები მღეროდნენ, და დოლს უკრავდნენ, ვიდრე მექორწილეები აპრიალებულ წითელ დაფიონს უახლოვდებოდნენ.

კრისტინს მუხლები მოეკვეთა, როცა ერლენდმა ზევითა ოთახის დერეფნის კიბესთან ცხენიდან ჩამოსვა.

— ისე გავიყინე, მთაზე რომ გადმოვდიოდით, — ჩურჩულით უთხრა კრისტინმა, — და ისე დავიღალე!.. — ცოტა ხანს შეჩერდა და, კიბეზე რომ ადიოდა, ყოველ საფეხურზე ბარბაცებდა.

გაყინული სტუმრები მალე გათბნენ. ზევით — ოთახში უთვალავი სანთელი ენთო და ძალიან ცხელოდა. ამას ემატებოდა ცხელ-ცხელი საჭმელების ოხშივარი, ღვინოს, თაფლუჭსა და მაგარ ლუდს ხომ ზედიზედა სცლიდნენ. ხალხის ლაპარაკი და პირის ჭლაპაჭლუპი ყურებში გუგუნივით ედგა კრისტინს.

კრისტინი ვერა და ვერ გათბა. ცოტა ხანმა რომ გაიარა, ლოყები აუწითლდა, მაგრამ ფეხები ისევ გათოშილი ჰქონდა და ზურგშიც ცივად აჟრიალებდა. კრისტინი ერლენდის გვერდით იჯდა საპატიო ადგილზე. ოქროს გვირგვინი და სხვა ოქროს ნივთები თავსა სძლევდა და თავისდა უნებურად წინ იხრებოდა.

რამდენიც ნეფემ მისი სადღეგრძელო დალია, იმდენი შეხედა კრისტინმა და თვალი ვეღარ მოაშორა. ყინვაში ცხენით ნასიარულევი ერლენდი ნელ-ნელა გათბა და სახეზე მკვეთრად დაეტყო წითელი ლაქები და ზოლები, ამ ზაფხულს რომ სახე დაეწვა, მას აქეთ დარჩა.

გუშინ საღამოს საზარელმა შიშმა შეიპყრო კრისტინი, ვახშმად რომ

ისხდნენ სიუსდბიუში, თვალი თვალში გაუყარა ბიორნის ჩამქრალ თვალებს. ბიორნი იმას და ერლენდს უყურებდა, — თვალები გაშტერებოდა. ბატონი ბიორნი რაინდის ტანსაცმელში გამოეპრანჭათ და ასე მოპრანჭული რაღაც მანქანებით საიქიოდან უკან დაბრუნებულ მკვდარსა ჰგავდა.

ღამე კრისტინსა და ფრუ ოსხილდს ერთად ეძინათ — ქორწილში მოსული სტუმრებიდან ოსხილდი ნეფის ყველაზე მახლობელი ნათესავი იყო.

— რა მოგივიდა, კრისტინ? — ცოტა არ იყოს, გაჯავრებულმა უთხრა ოსხილდმა. — სადაც აქამდე გაუძელი, ახლაც გამხნევდი და ამ სიკეთის დროს სულით ნუ დაეცემი!..

— მე ვფიქრობ, — უთხრა აკანკალებულმა კრისტინმა, — ყველა იმათზე, ვისაც ჩვენ ბოროტება მივაყენეთ, რომ ამ დღეს მოვსწრებოდით...

— არც თქვენ იყავით დალხინებულები, — მიუგო ფრუ ოსხილდმა. — ერლენდი მაინც! — თუმც, მგონი, შენ იმაზე უარეს დღეში იყავი!

— იმის უმწეო შვილებზე ვფიქრობ, — თქვა კვლავ პატარძალმა, და აკანკალდა, — ნეტა გამაგებინა, იციან კი, რომ დღეს იმათი მამა ქორწილს იხდის.

— შენ, შენ საკუთარ შვილზე იფიქრე, — უთხრა ოსხილდმა. — და გიხაროდეს, რომ შენი და შენი შვილის მამის ქორწილია!

ერთხანს კრისტინი ჩუმად იწვა, ხმას არ იღებდა, თითქოს თავბრუდახვეული უფსკრულში მიექანებოდა. უცნაური იყო ოსხილდისგან მოსმენა იმისა, რაზეც სამ თვეზე მეტია, ცისმარე დღე ფიქრობდა და რაზედაც ძე ხორციელთან კრინტს ვერ ძრავდა. მაგრამ ამან ცოტა ხნით დააშოშმინა.

— მე ვფიქრობ იმაზე, ვისაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა ერლენდის სიყვარული, — წაიჩურჩულა კანკალით კრისტინმა.

— შეიძლება თვითონ შენც სიცოცხლის ფასად დაგიჯდეს, სანამ ნახევარი წლით უფროსი გახდები! — მკვახედ მიუგო ფრუ ოსხილდმა. — მაშ, გაიხარე, ვიდრე დრო გაქვს!.. სხვა რა გითხრა, კრისტინ, — უთხრა სასოწარკვეთით მოხუცმა ქალმა, — თუ სულ დაკარგე მხნეობა? დრო მოვა და თქვენც მოგეთხოვებათ იმის საზღაური, რაც ცხოვრებას გამოჰგლიჯეთ, მაგის დარდი ნუ გაქვს!..

კრისტინი გრძნობდა, სულ დაემსხვრა, ნელ-ნელა ხელიდან გამოეცალა იმედი, რითაც სულდგმულობდა, ხეუგში მომხდარი იმ საშინელი ამბის შემდეგ. პირველ ხანებში გიჟივით სულ ამას იმეორებდა, ნეტავ, ცოტაც გამაძლებინა, ცოტაც კიდევ გამაძლებინაო. ამასობაში დარდი შეუმსუბუქდა და ბოლოს სულ გადაეყარა გულიდან. ახლა მხოლოდ იმასა ფიქრობდა, ძლივს დადგა ჩვენი ქორწილის დღე, დღე ერლენდის ქორწილისაო!

წირვის დროს ის და ერლენდი ერთმანეთის გვერდით იდგნენ მუხლმოყრილნი. მაგრამ ყველაფერი ეს კრისტინს ზმანება ეგონა: სანთლები, ხატები, ჭურჭელზე შუქის ციალი, თეთრ ტილოს ტანსაცმელსა და მოკლე წამოსასხამებში გამოწყობილი მღვდლები. კრისტინი თითქოს სიზმარში ხედავდა ამ ხალხს, ვინც მას წინათაც იცნობდა, და ახლა აქ, მის გვერდით იდგნენ თავის უჩვეულო სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილნი, და მთელი ეკლესია გაეჭედათ. ბატონი ბიორნი კი სვეტს ჰიჰყუდებოდა და მკვდარივით გაციებული თვალებით უყურებდა გვირგვინის ქვეშ მდგომთ — კრისტინს ეჩვენებოდა, რომ მეორე მიცვალებულიც უნდა დაბრუნებულიყო ბიორხთან ერთად ხელიხელგაყრილი!

კრისტინმა სცადა წმინდა ულავის ხატისთვის მიეპყრო თვალები—ეს თეთრი, ღაჟღაჟა და მშვენიერი წმინდანი, ჩუგლუგზე დაყრდნობილი იდგა და ფეხით სთელავდა თავის საკუთარ ცოდვილ ადამიანურ არსს, — მაგრამ კრისტინს თავისდა უნებურად ისევ ბატონი ბიორნისკენ გაურბოდა თვალები. მის გვერდით კი კრისტინი ხედავდა ორმის ასულ ელინას უსულო სახეს, ის გულგრილად უყურებდა კრისტინსა და ერლენდს. მათ ხომ იმიტომ გათელეს ელინა, რომ აქ, ეკლესიაში მოსულიყვნენ და ჯვარი დაეწერათ, ელინაც გზას უთმობდა მათ!

კრისტინი ბევრს ეცადა ქვა და ღორღით ამოევსო მისი სამარე, მაგრამ მიცვალებულმა გადაიყარა ეს ქვა და ღორღი და აღსდგა საფლავიდან. ერლენდის ფუქსავატად გატარებული ახალგაზრდობა, მისი პატიოსნება და კეთილდღეობა, მეგობრების სიყვარული, საუკუნო ნეტარება... მკვდარს ყველაფერი ეპატია. „მას სურდა, ჩემი სხეულის მეუფე ყოფილიყო, მე კი მინდოდა ჩემი ყოფილიყო იგი, შენ მოინდომე დაგესაკუთრებინა იგი და იმანაც მოინდომა მისი გამხდარიყავი!—ეუბნებოდა ელინა.—მე დავისაჯე, ისიც დაისჯება და შენც დაისჯები, როცა შენი განკითხვის დღე დადგება. ჩადენილ ცოდვას სიკვდილი მოსდევს“...

კრისტინს ასე ეგონა, თითქოს ის და ერლენდი ცივ ქვაზე იდგნენ მუხლმოყრილები. ერლენდს მუხლი მოედრიკა, გაფითრებულ სახეზე სიდამწვრის ლაქები წითლად აჩნდა. კრისტინს თავზე მძიმე საქორწილო გვირგვინი ედგა, მუცელში მძიმედ რაღაც ეწეოდა — ცოდვის ტვირთი, რომელსაც მუცლით ატარებდა. ამ ცოდოს ხან არაფრად აგდებდა, ხან ეგონა დიდი ცოდვა ჩავიდინეო. თითქოს ბავშვური თამაში იყო... ყოველად წმინდაო ქალწულო მარიამ, ხომ მალე დადგება დრო, როცა ცხრა თვეს მუცლით ნატარებ შვილს წინ დამიგორებენ, შემომხედავს ცოცხალი თვალებით, დამანახვებს ცოდვის მწველ ნიშნებს, ცოდვის საზარელ სიმახინჯეს, სიძულვილით დაბეწყებს მკერდში ცემას მახინჯი ხელებით! როდესაც შვილს შობავს, როდესაც თავის შვილში დაინახავს ცოდვის ნიშნებს და შეიყვარებს მას, ისე როგორადაც შეიყვარა ცოდვა თვისი, მაშინ ამ ჩქმალვა-მალვასაც ბოლო მოეღება.

კრისტინმა გაიფიქრა: რა იქნება, ამ შუა წირვის დროს ისე დავიკიელო, რომ ჩემი კივილი გაისმას მგალობელ კაცთა გუგუნში, და აქ შეკრებილმა ხალხმაც გაიგონოს?.. ნეტავ, გაქრება ელინას სახე, სიცოცხლე დაეტყობა გარდაცვალებულთა თვალებს? მაგრამ დაწივლების მაგივრად კრიჭა შეჰკრა.

„...წმიდაო მეფე ულავო, შენ გევედრები! მხოლოდ შენ ერთს ყველა იმათგან, ვინც ზეცაში სუფევს, გემუდარები, რამეთუ ვიცი, რომ ყველაზე ძლიერ შენ შეიყვარე სამართლიანობა! გიხმობ შენ, რათა განაპყრო ხელნი შენნი ჩემს გვამში მყოფ უმანკოს! შენ ააშორო უფლის რისხვა უცოდველ არსებას და მე დამატეხო თავს იგი, ამინ „სახელითა წმინდითა მეფისათა!..“

„ჩემი შვილებიც ხომ უცოდველნი არიან, — ამბობდა ელინა,— უფლება კი აქვთ აყრილი ამ ქვეყანაში, სადაც ქრისტიანები ცხოვრობენ! შენი შვილიც ჩემი შვილებივით უკანონო კავშირშია ჩასახული! შენ ვერავითარ უფლებას ვერ მოითხოვ შენი შვილისათვის იმ ქვეყანაში, რომელიც თვითონ შენ დატოვე ისევე, როგორც მე ვერ მოვითხოვდი ვერავითარ უფლებებს ჩემი შვილებისათვის!..“

„წმინდაო ულავო, მაინცა გთხოვ, მოწყალება მოიღე, შეავედრე ჩემი შვილი ღმერთს და წყალობა გამოსთხოვე ჩემი ვაჟიშვილისათვის, გადააფარე შენი კალთა, მაშინ ხელში ავიყვან ჩემს შვილს, ფეხშიშველი მოვალ შენს ეკლესიაში, მოგიტან რაც კი ოქროს სამკაულები მაქვს, და შენ შემოგწირავ, უკეთუ ჩემს შველას მოინდომებ, ამინ!..“

კრისტინი გაირინდა და თითქოს გაუქვავდა სახე: უნდოდა, თავს მორეოდა და სიმშვიდე ეპოვა, მაგრამ მთელი სხეულითა თრთოდა, ვიდრე მუხლმოდრეკილი იდგა და ერლენდზე ჯვარსა სწერდნენ.

ისა და ერლენდი კრისტინის მშობლების ოჯახში სუფრაზე საპატიო ადგილზე სხედან და, რაც გარშემო ხდება, ყველაფერი ისე ეჩვენება, როგორც ხურვებისაგან გაბრუებულ ადამიანს!

ოთახში ქნარებისა და ვიოლინოების ხმები ისმოდა, ქვემოთა ოთახიდან და ეზოდანაც სიმღერა და მუსიკის ხმა ამოდიოდა. ცეცხლის ანარეკლი ოთახშიაც ატანდა, როცა საჭმლის შემოსატან-გასატანად კარს აღებდნენ.

ყველანი წამოიშალნენ სუფრიდან. კრისტინი მამისა და ერლენდის შუა იდგა. მამამ ხმამაღლა, საჯაროდ გამოაცხადა, რომ ცოლად მისცა ნიკულაუსის შვილს ერლენდს, თავისი ასული კრისტინი. ერლენდმა მადლობა გადაუხადა ხიმამრს, და მის და მისი ცოლის, კრისტინის პატივსაცემად აქ შეკრებილ ყველა კეთილის მოსურნეს.

კრისტინს უთხრეს, ახლა დაჯექი, და ერლენდმა მუხლებზე დაუწყო საქორწილო საჩუქრები. მამა ეირიკმა და ბატონმა მიუნანმა, ბორდის შვილმა, სიგელები გაშალეს და წაიკითხეს, როგორ განაწილდა ახალდაქორწინებულთა ქონება. ვიდრე სიგელებსა კითხულობდნენ და მაგიდაზე საჩუქრებსა და ფულით ტოპრაკებს აწყობდნენ, შუბებით ხელში გარშემო შემომწკრივებული მაყრები შუბის ტარებს იატაკზე არტყამდნენ.

როდესაც ოთახში შემოტანილი ტაბლები გაიტანეს, ერლენდმა ოთახის შუაგულში გაიყვანა კრისტინი და აცეკვა.

კრისტინმა გაიფიქრა:

„ჩვენი მაყრები ჩვენზე ბევრად ახალგაზრდები არიან; ჩვენი ტოღები უკვე წავიდნენ აქედან; მაშ, ჩვენ რად მოვბრუნდით უკან?..“

— ვერა გცნობ, კრისტინ, — ჩურჩულით უთხრა ერლენდმა, როცა ცეკვავდნენ.—შენი დარდი მაქვს, ჩვენი ქორწილი იქნებ არც გიხარია?..

ისინი ერთი ოთახიდან მეორეში გადადიოდნენ და თავიანთ სტუმრებს ესალმებოდნენ. ყველგან ბევრი სანთელი ენთო და სავსე იყო

ხალხით, ყველგან ცეკვა-თამაში გაეხურებინათ. სვამდნენ და მღეროდ-ნენ. კრისტინი თითქოს ვეღარც თავის სახლსა სცხობდა და არც ის იცოდა, რა დრო იყო, ხალხსაც ბურუსში გახვეულსა ხედავდა.

შემოდგომის თბილი საღამო დადგა: გარეთაც უკრავდა მუსიკა, ხალხი ცეკვავდა კოცონის გარშემო. გაისმა შეძახილები, ნეფე-დედო-ფალმა ჩვენც პატივი დაგვდოსო და კრისტინი ეცეკვა ერლენდს ცივ, ხაძიან ეზოში. ამან თითქოს გაძოაფხიზლა კრისტინი, გონს მოვიდა და გამოერკვა.

შორს მოჩხრიალე მდინარეზე ჩამოწოლილ წყვდიადში ნისლი თეთ-რი ზოლივით დაცურავდა. ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე ნახშირი-ვით შავად მოჩანდა აყუდებული მთები.

ერლენდმა მოცეკვავეებიდან განზე, ერთ-ერთი დერეფნის ქვეშ სიბნელეში გაიყვანა კრისტინი და მხურვალედ ჩაიკრა გულში.

— ვერც კი მოვასწარი, ერთხელ მეთქვა შენთვის, რა მშვენიერი და რა მომხიბლავი ხარ! ლოყები ცეცხლივით გიხურს... — ამ სიტყვე-ბით ლოყით ლოყაზე მიეკრა. — კრისტინ, რა დაგემართა?

— როგორ დავიღალე, როგორ დავიღალე, — ჩურჩულით უთხრა პასუხად.

— მალე წავალთ დასაძინებლად, — უთხრა ნეფემ და ცას ახედა. ირმის ნახტომი მოტრიალებულიყო და ახლა თითქმის პირდაპირ ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიდიოდა. — მოიგონე, ჩვენ ერთად არა გვძინებია იმ ერთადერთი ღამის გარდა, რომელიც შენს ოთახში გავა-ტარე, სკუგში...

პატარა ხნის შერე მამა ეირიკმა ეზოში გადმოსძახა ხალხს, ორშა-ბათი დღე დადგაო. ქალები პატარძალთან მივიდნენ საქორწილო სარე-ცელზე წასაყვანად, — კრისტინი ისე იყო დაღლილი, თავი აღარა ჰქონ-და გაპრანჭულიყო, თუმცა წესი კი მოითხოვდა ამას. მან ნება მისცა ფრუ ოსხილდსა და სკუგელ გიურიდს ზევითა ოთახში წაეყვანათ. მაყ-რები ანთებული ჩირაღდნებითა და გაშიშვლებული მახვილებით ხელ-ში კიბის ბოლოში იდგნენ; ისინი გარს შემოერტყნენ ქალებს, ეზო გადაკვეს, და კრისტინი ძველ სტაბიურში წაიყვანეს.

ქალები კრისტინს საქორწილო მორთულობას ხდიდნენ და გვერ-დზე აწყობდნენ. კრისტინმა საწოლის ბოლოში დაკიდული ლილისფე-რი ხავერდის კაბა დაინახა, რომელიც ხვალ უნდა ჩაიცვას, კაბის ზე-მოდან კი გრძელი, თოვლივით თეთრი, ლამაზად დაკეცილი ტილოს

მანდილი იდო. ეს იყო გათხოვილი ქალის თავსაბური, ერლეხდმა ჩამოუტანა, ხვალ უკან უნდა შემოიხვიოს თმა და ეს მანდილი წაიკრას. ამ მანდილის დანახვამ სიძ'ვიდე და სიაძე მოჰფინა მის გულს.

ძლივს კრისტინი საქორწილო სარეცელთან დგას ფეხშიშველი, მკლავებგაშიშვლებული, მოოქროსფრო-ყვითელი პერანგი კოჭებამდე სცემს. ქალებმა კვლავ დაადგეს თავზე გვირგვინი, ის ხომ ნეფემ უნდა მოხადოს, როცა მარტონი დარჩებიან.

რაგნფრიდმა მხრებზე ხელები დააწყო შვილს და ლოყაზე აკოცა. რაგნფრიდს სახეც და ხელებიც ყინულივითა ჰქონდა; გეგონებოდა გული ბოღმით აქვს სავსეო. მერე ლოგინი გადაშალა და პატარძალს უთხრა, ლოგინზე დაჯექიო. კრისტინი დაჯდა და ზურგი სასთუმალთან მიწყობილ აბრეშუმის ბალიშებს მიაყრდნო — ოდნავ წინ დახარა თავი, რომ გვირგვინი არ გადასცურებოდა. ფრუ ოსხილდმა წელამდე მიაფარა საბანი, ხელები აბრეშუმის საწოლის გადასაფარებელზე დაუწყო და პატარძალს აბრეშუმივით თმა მკერდზე და შიშველ ნაზ მხრებზე გადმოუშალა.

კაცებმა ოთახში ნეფე შემოიყვანეს. ბორდის ვაჟიშვილმა მიუნანმა, ერლენდს ოქროს სარტყელზე შებმული მახვილი შემოხსნა. სარტყელს რომ საწოლის თავზე ჰკიდებდა, პატარძალს რაღაც წასჩურჩულა: კრისტინი ვერ მიუხვდა, რა უთხრა მიუნანმა, მაგრამ რაც შეეძლო თავაზიანად გაუღიმა.

მაყრებმა ერლენდს აბრეშუმის ტანსაცმელი შეუხსნეს და მძიმე, გრძელი ხიფთანი წამოხადეს. ერლენდი სავარძელში ჩაჯდა და დეზების მოხსნაც უშველეს.

მხოლოდ ერთხელ გაბედა პატარძალმა შეეხედა და თვალი თვალში გაეყარა ნეფისთვის.

მერე ნეფე-დედოფალს ყველამ ცალ-ცალკე უსურვა ღამემშვიდობისა, ოთახი დაცარიელდა, სტუმრები ნელ-ნელა გალაგდნენ. სულ ბოლოს ლავრანსი გავიდა და ახალდაქორწინებულთა საწოლი ოთახის კარი ჩაკეტა.

ერლენდი წამოდგა, ტანისამოსი ფათიფუთით გაიხადა, ძელსკამზე მიყარა, საწოლთან მივიდა, კრისტინს თავიდან გვირგვინი და აბრეშუმის ბაბთები მოხსნა და მაგიდაზე დააწყო. მერე მობრუნდა, სარეცელ-

ზე ავიდა, კრისტინის გვერდით დაჩოქილმა ორივე ხელით კრისტინი მიიზიდა, გახურებულ მკერდში ჩაიკრა და გვირგვინისაგან ჩაჭდეული შუბლი დაუკოცნა.

კრისტინი ერლენდს მოეხვია და ხმამაღლა აქვითინდა, მთელ ტანში ნეტარების ჟრუანტელი უვლიდა სიხარულისაგან, რომ მორჩა, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და უკვალოდ გაქრა მთელი იმათი ტანჯვა-წამება, უძილოდ გატარებული ღამეები, ახლა ისინი ერთად არიან და ვეღარავინ დააშორებს! უცებ ერლენდმა კრისტინს თავი აუწია, სახეში ჩახედა, ხელი მოუთმენლად და ტლანქად გადაუსვა სახესა და სხეულზე, თითქოს საბურველი უნდა მოგლიჯოსო.

— დაივიწყე! — შეევედრა მხურვალე ჩურჩულით. — ყველაფერი დაივიწყე, ჩემო კრისტინ, ყველაფერი, გახსოვდეს მხოლოდ, რომ დღეიდან მე ვარ შენი ქმარი და შენ ჩემი ცოლი ხარ!

ხელით ჩააქრო უკანასკნელი სანთელი, სიბნელეში კრისტინის გვერდით სარეცელზე დაეცა და ისიც აქვითინდა:

— არასოდეს არ მეგონა, არასოდეს, მთელი ამ წლების მანძილზე, რომ ამ დღეს მოვესწრებოდით!..

გარეთ ნელ-ნელა მინელდა ხმაური. მგზავრობისაგან დაღლილი და ღვინისა და ლუდისაგან დაგიჟებული ხალხი პატარა ხანს ზრდილობის გულისთვის კიდევ დაბრაცუნებდა, მაგრამ მერე სათითაოდ გაიკრიფნენ მათთვის მომზადებული ღამის გასათევის მოსაძებნად.

რაგნფრიდი თვითონ მიუძღვებოდა ყველაზე უფრო საპატიო სტუმრებს მათთვის მიჩენილ შენობაში და ღამე მშვიდობისას უსურვებდა. ქმარს კი, ვინც უნდა დახმარებოდა სტუმრების დაბინავებაში, სულაც ვეღარსად მოჰკრა თვალი.

ჩაბნელებულ კარ-მიდამოზე აქა-იქ შეჯგუფული თითო-ოროლა ახალგაზრდა თუ ჩანდა — უფრო მსახურები და მოახლე გოგოები იყვნენ, როცა რაგნფრიდი შეუმჩნევლად გამოვიდა სახლიდან ქმრის მოსაძებნად. ისინიც უნდა მოესვენებინა და თვითონაც დასაძინებლად დაწოლილიყო. რაგნფრიდმა დაინახა, რომ ქეიფის ბოლოს ლავრანსი ძალიან დათვრა.

ლავრანსის ძებნაში რაგნფრიდი ბაკის უკან გავიდა და ფეხი წამოსდო ქმარს, ლავრანსი აბანოს უკან ბალახზე პირქვე წაწოლილიყო.

ბნელაში ხელი მიუსვ-მოუსვა რაგნფრიდმა და იცნო: დიახ, ის იყო! იფიქრა, სძინავსო, მხრებში მოჰკიდა ხელი, უნდოდა წამოეყენე-

ბინა გაყინული მიწიდან. მაგრამ ლავრანსს არ ეძინა, ბურანში იყო წასული.

— რა გინდა? — ენა ძლივს მოაბრუნა ლავრანსმა.

— აქ ნუ წევხარ, — უთხრა რანგფრიდმა, ცალი ხელი მიაშველა ქმარს და ვიდრე ის ბარბაცით წამოდგა, მეორე ხელით ტალახი ჩამოსწმინდა ტანისამოსიდან. — ჩვენი დაძინების დროც არის, ჩემო ქმარო! — ლავრანსი ფეხზე ძლივს იდგა, რანგფრიდმა ხელი მკლავში გაუყარა ქმარს და სახლისკენ წაიყვანა. ბოსლებსა და თავლებს უკან ჩაუარეს.

— რაგნფრიდ, შენ მაღლა არ აგიხედია, როცა გვირგვინდადგმული საქორწილო სარეცელზე იჯექი, — უთხრა ლავრანსმა თან ეხლაც ძლივს აბრუნებდა ენას. — ჩვენი ქალი შენსავით მორიდებული როდია, მის თვალებში მოკრძალებას ვერ დაინახავდი, როცა თავის ქმარს უცქეროდა!

— ჩვენი ქალი წელიწადნახევარი ელოდა იმას, — ჩუმად მიუგო რაგნფრიდმა, — რად ამტყუნებ...

— როგორ არა! ელოდა, მეტი საქმე არა ჰქონდათ! — ისე დაუყვირა ლავრანსმა, რომ ცოლმა შეშინებულმა მიაძახა სუ, სუო.

ამასობაში ვიწრო გასასვლელში ზარულსა და ტყრუშულს შუა, ამოყვეს თავი. ლავრანსმა მუშტი დასცხო ორმოზე გადებულ საძირკვლის კოჭს.

— მე აქ შენ შესარცხვენად და ქვეყნის დასაცინად დაგდე, ძელო! უწმინდურობამ უნდა შეგჭამოს, იმიტომ დაგდე აქ! აქ დაგდე და ამით დაგსაჯე, იმიტომ რომ ჩემი პატარა გოგო, ჩემი თვალისჩინი წუთისოფელს გამოასლამე! თურმე ჩემი ყველაზე საუკეთესო ოთახის კარის კოჭად კი უნდა გამომეჭიმე, პატივი მეცა, მადლობა მეთქვა შენთვის, ძვირფასად მომეჩუქურთმებინე, რადგან თავის მოჭრა და მწუხარება ამაშორე და ჩემს შვილს, ჩემს ულვხილდს, ჯერ ისევ უმანკო ბავშვს მოუსწრაფე სიცოცხლე!..

ლავრანსი გატრიალდა და ბარბაცით გაჰყვა ღობეს, ზედ მიენარცხა და ცხარე ცრემლით ატირდა. ტიროდა და თან გმინავდა. ცოლმა მხრებზე მოხვია ხელი.

— ლავრანს, ლავრანს! — აშოშმინებდა იგი, მაგრამ ვერა და ვერ დააშოშმინა. — ჩემო ქმარო!..

— ეჰ, არასოდეს, არასოდეს, არასოდეს, არ უნდა მიმეცა მაგ კა-

ცისათვის ჩემი შვილი! უფალო ღმერთო ჩემო, მე ხომ მუდამ ვიცოდი რა კაციც იყო! მან მოუწამლა ჩემს შვილს ყმაწვილქალობა და წაართვა პატიოსანი ქალის სახელი! არა მჯეროდა, განა მაგას ვიფიქრებდი კრისტინზე? და მაინც ვიცოდი! როგორც არ უნდა იყოს საქმე, კრისტინი მაინც მეტია ამ უნდილისათვის, ვინც თვითონაც გაიმწარა სიცოცხლე და ჩემს კრისტინსაც გაუმწარა, მაგრამ თუნდა ათჯერაც შეეცდინა, მაინც მაგისთვის არ უნდა მიმეცა, მაგის ხელში ვერც გაიხარებს და ვერც ბედნიერებას ეღირსება!

— სხვა რა გზა გვქონდა, — უთხრა რაგნფრიდმა ჩამწყდარი ხმით. — კრისტინი უკვე ეკუთვნოდა მას, ეს ხომ შენც გესმის!..

— ძალიან არ მესაჭიროებოდა ასეთი ამბით ქორწილის გადახდა, იმიტომ, რომ ერლენდისათვის მებოძებინა ის, რაც უჩემოდაც იბოძა! — ძიუგო ლავრანსმა. — ლაპარაკი არ უნდა, ჩინებული ქმარი შეხვდა ჩემს კრისტინს!.. — გაბრაზებულმა ტყრუშული ღონივრად მოსწია და კვლავ აქვითინდა. რაგნფრიდს მოეჩვენა, თითქოს ცოტა გამოფხიზლდა, მაგრამ ლავრანსს ჯერ არ გამონელებოდა ღვინო.

რაგნფრიდს ძველ ოთახში უნდა წაეყვანა ლავრანსი, სადაც უნდა დაეძინათ, მაგრამ ასეთ მთვრალსა და გაჯავრებულს, იქ ვეღარ წაიყვანდა, — ოთახი სტუმრებით იყო სავსე. გარშემო მიიხედ-მოიხედა — მოშორებით პატარა ფარდული იდგა, იქ ინახავდნენ საუკეთესო თივას და გაზაფხულის ხვნა-თესვის დროს აჭმევდნენ ცხენებს. რაგნფრიდი ფარდულთან მივიდა, შიგ შეიხედა, რაკი დაინახა, იქ არავინ იყო, ქმარი ფარდულში შეიყვანა და კარი მოხურა.

რაგნფრიდმა თივა მოაგროვა და ზემოდან ლაბადები გაშალა. ლავრანსს წამდაუწუმ ტირილი ერეოდა, თან რაღაცას ისე ლუღლუღებდა, რომ რაგნფრიდს ვერ გაეგო, რის თქმა უნდოდა. პატარა ხნის მერე ქმარს თავი წამოუწია და კალთაში ჩაიდო.

— ჩემო კარგო ქმარო, რაკი ასე შეუყვარდათ ერთმანეთი, იქნებ ყველაფერი უკეთესად დატრიალდეს, ვიდრე ჩვენა გვგონია...

ლავრანსმა მიუგო, თან ხმა უწყდებოდა, — თითქოს ცოტა გამოფხიზლდა კიდეც:

— ეგებ შენ არ გესმის, რომ ახლა ის სრული მეუფე გახდა შენი ქალისა, ის, ვისაც თავის დღეში არ შეეძლო თავი დაეჭირა! ჩემს შვილს გაუჭირდება იმდენი ძალა მოიკრიბოს, რომ წინ აღუდგეს ქმრის სურვილსა და ნებას, რა საქმეც არ უნდა იყოს, და თუ ოდესმე მოუხდა

წინააღმდეგობის გაწევა, თვითონვე მწარედ დაიტანჯება ჩემი ლმობიერი, Lათნო გოგო... ვეღარ გამიგია, რის სამაგიეროდ დამსაჯა ასე ღმერთმა და ამდენი ენით უთქმელი ტანჯვა რისთვის მარგუნა. მუდამ ვცდილობდი, მისი ერთგული და მისი ნების შემსრულებელი ვყოფილიყავი. მაშ, შვილები რაღად წაგვართვა, რაგნფრიდ, ჯერ ერთი, მერე სხვებიც — ჯერ ვაჟიშვილები, მერე პატარა ულვხილდი? და აი, ახლა გულიდან მოვიგლიჯე ის, ვინც ქვეყანას მერჩივნა, მივეცი სახელშებღალულ, გაუტანელ, დაუნდობელსა და უგუნურ ადამიანს! აწ მარტო ჩვენი უმცროსი გოგონაღა გვრჩება, მაგრამ ვგონებ სისულელე იქნება, ვხარობდე ჩემი შვილით, ვიდრე არა ვნახავ, როგორ დატრიალდება მისი — ჩემი რამბორგის ცხოვრება.

რაგნფრიდი ფოთოლივით თრთოდა. მაშინ ქმარმა ხელი მოხვია.

— დაწექი, — სთხოვა ცოლს, — დავიძინოთ!.. — ცოლის მკლავზე დადო თავი, ცოტა ხანს ასე იწვა, და ოხვრაში ძლივს ჩაეძინა.

ფარდულში ისევ უკუნეთი იყო, რაგნფრიდი რომ შეიშმუშნა — და გაოცდა, თურმე მძინებიაო. გვერდზე ხელი მიუსვ-მოუსვა. ლავრანსი წამომჯდარიყო და მუხლებზე ხელებშემოჭდობილი იჯდა.

— შენც გაგღვიძებია? — გაკვირვებულმა ჰკითხა რაგნფრიდმა. — გცივა?

— არა,—მიუგო წახრინწული ხმით ლავრანსმა, — აღარ დამეძინა.

— კრისტინზე ფიქრობ? და იმაზე ფიქრი არ გასვენებს? — ჰკითხა ცოლმა. — ვინ იცის, ეგებ ყველაფერი უფრო უკეთესად მოტრიალდეს, ვიდრე ჩვენა გვგონია, ლავრანს, — გაუმეორა ცოლმა.

— ჰო, მეც სწორედ მაგასა ვფიქრობ, — უთხრა ქმარმა. — ქალწული ქალი თუ დედაკაცი საქორწილო სარეცელში მაინც იმასთან დაწვა, ვინც უყვარდა. ჩვენი საქმე კი ეგრე არ იყო, ჩემო საბრალო რაგნფრიდ!

ქალმა ყრუდ ამოიგმინა და გვერდზე გადავარდა თივაზე. ლავრანსმა მხარზე ხელი დაადო.

— მაგრამ მე არ შემეძლო... — მგზნებარედ და თანაგრძნობით უთხრა ლავრანსმა. — არა, მე არ შემეძლო, ისეთი ვყოფილიყავი ჩვენს ახალგაზრდობაში, როგორც შენ გინდოდა! მე ისეთი არ...

პატარა ხანი გავიდა და რაგნფრიდმა ჩუმად უთხრა ცრემლნარევი ხმით.

— რაც ჯვარი დავიწერეთ, ძაინც ტკბილად ვცხოვრობდით მე და შენ, ლავრანს!

— მეც ეგრე მგონია, — მოღუშულმა მიუგო ლავრანსმა.

ფიქრები არ ასვენებდა ლავრანსს. ნეფისა და დედოფლის ის ერთი თამამი გადახედვა, ალმოდებული სახე ორი ახალგაზრდისა, — ლავრანსს ურცხვობად მიაჩნდა. ამით თითქოს სილა შემოჰკრეს ლავრანსს, — და ამის ჩამდენი იმისი შვილი იყო! იმათი თვალები ვერ დაევიწყებინა და გაშმაგებული ახლა იმას ებრძოდა, ისიც არ დაენახა, რაც ამ გადახედვაში იფარებოდა, — ლავრანსს არასოდეს არ უნდოდა გამომტყდარიყო, რომ თავის საკუთარ ცოლთანაც კი არ იჩენდა სითამამეს. როცა რაგნფრიდი ისე იყო მოწყურებული სიყვარულსა და ალერსს...

მე არ შემეძლო, ჯიუტად იმეორებდა თავისთვის ლავრანსი. ეშმაკმა დალახვროს, პირტიტველა ბიჭი ვიყავი, ცოლი რომ შემრთეს, საცოლე მე არ ამომირჩევია, ჩემზე უფროსიც იყო და არც მიზიდავდა როგორც ქალი. არ მინდოდა პირველად მასთან შემეტკბო... ტრფობა და ალერსი! ახლაც კი სირცხვილი სწვავდა ამის გაფიქრებაზე... რაგნფრიდი ძალით იწვევდა საალერსოდ, როცა ლავრანსს სულ არ უნდოდა მისთვის ეალერსა როგორც ქმარს. სირცხვილი სწვავდა იმის გაფიქრებაზე, რომ ცოლი სთავაზობდა ყველაფერ იმას, რაც ლავრანსს არ უთხოვნია.

ლავრანსი კარგ ქმრობას უწევდა რაგნფრიდს, თავადაც ასე ფიქრობდა. რაც კი შეეძლო, პატივსა სცემდა, იმის ნება იყო, როგორც უნდოდა, ისე გაეწია თადარიგი, ყველაფერში რჩევას ეკითხებოდა, მისი ერთგული იყო, ექვსი შვილი შეეძინა... ლავრანსს მარტო ის უნდოდა, მშვიდად ეცხოვრა ცოლთან, ოღონდ ისე, რომ რაგნფრიდს არ ჩაეხედა რა ხდებოდა იმის გულში, არ ენახა რაც საიდუმლოდ ჰქონდა შეხახული და არ უნდოდა მისთვის გადაეშალა...

მას კი არავინ, არავინა ჰყვარებია... ინგიუნი, ბრიუელი კარლის ცოლი? ლავრანსი გაწითლდა სიბნელეში. როცა ხეობაში ჩაივლიდა, მუდამ იმათ ესტუმრებოდა ხოლმე, მაგრამ ვგონებ, ერთხელაც არ დარჩენილან მარტოდმარტონი და არ დალაპარაკებია დიასახლისს; ხოლო, როცა ხედავდა, და მაშინაც კი, როცა გაიფიქრებდა მასზე, იმგვარი სიაჩოვნების ჟრუანტელი დაუვლიდა, როგორიც დაუვლის ხოლმე ადამიანს გაზაფხულზე, ახლად რომ დადნება თოვლი და გაღვიძებული მინ-

დვრების სუნი დატრიალდება. ახლა იცის, რომ მასაც შეიძლებოდა განეცადა ამგვარი რამ — მასაც შეიძლებოდა ჰყვარებოდა ვინმე.

ძალიან ახალგაზრდას შერთეს ცოლი, დაირცხვინა და გაუბედაობა დასჩემდა. ამიტომ იყო რომ ცოლის შერთვის მერე დაბურულ ტყესა და მიუვალ მთებში უფრო მიუხაროდა, სადაც ყველა ცოცხალი არსება ფართო იალაღს ეძებს, — იალაღს გასაქცევად — გაუბედავად და ეჭვით უთვალთვალებს ყველა მოსულს, ვინც მასთან მიპარვას ცდილობს!..

მაგრამ წელიწადში ერთხელ დგება დრო, როცა ტყესა და მთას შეფარებული ნადირი სიფრთხილეს ივიწყებს, უშიშრად ეძებს და მოურიდებლად აცხრება დედალს. ლავრანსს კი ცოლი მზამზარეულად მიუყვანეს, საჩუქრად მიართვეს! და ცოლი სთავაზობდა იმას, რის მოპოვებასაც ის არა ცდილა...

მერე ბუდეში გაჩნდნენ ბარტყები... ეს ერთადერთი ყველაზე ძლიერი და ყველაზე დიდი სიხარული იყო მაშინ მის ეულ ცხოვრებაში-- თავზე რომ ხელს გადაუსვამდა ქერათმიან გოგონებს.

რა ერქვა მის დაქორწილებას — მგონი, არც უკითხავთ, ისე აიღეს და შერთეს ცოლი. მეგობრები — ბევრი მეგობარი ჰყავდა, გულითადი მეგობარი კი არა ჰყოლია. ომში წასვლა უხაროდა, მაგრამ აღარა ომობდნენ, მისი აბჯარი თითქმის უქმად ეკიდა სხვენზე... და ის მიწის მუშად გადაიქცა... გოგოები შეეძინა და მის სიცოცხლეს მეტი ფასი დაედო, ის ზრუნავდა და იფარავდა ყოველგვარი გასაჭირისაგან თავის პატარა შვილებს, რომლებიც მის იმედად იყვნენ. მოაგონდა მხარზე შესმული ორი წლის პატარა კრისტინი, მისი სელივით ქერა, რბილი თმა, თითქოს ახლაც ლოყაზე იგრძნო. მის სარტყელს ჩაჭიდებული პაწაწინა ხელები, მამის ცხენზე უკან შემოსმული, პატარა შუბლს რომ მიაბჯენდა ხოლმე მის ზურგს.

ახლა კი კრისტინს ვნებით აქვს სავსე თვალები — თავისიც გაიტანა. იჯდა ლოგინზე, აბრეშუმის ბალიშებზე მიყრდნობილი, სანთლების ფარფატა შუქში, ერთიანად ოქროსფერი ჩანდა — ოქროს გვირგვინი, ოქროსფერი პერანგი, ოქროსფერ შიშველ მხრებზე ჩამოშლილი ოქროსფერი თმა... ახლა მისი თვალები კდემამოსილებით აღარ გიმზერდნენ...

ლავრანსი შეძრწუნდა სირცხვილისაგან.

თუმცა გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, რომ თვითონ მას ამგვარი ნეტარება არა ხვდომია წილად! რომ ცოლს, ვინც აქვე, მის გვერდით

იწვა, ვერ განაცდევინა ცოლქმრული ალერსის ის სიტკბოება, რაც აგრერიგად ენატრებოდა.

გულს უთუთქავდა რაგნფრიდისადმი სიბრალული. და სიბნელეში მისი ხელი მოძებნა.

— ჰო, ვგონებ, ტკბილად ვცხოვრობდით, — უთხრა მან. — მე მეგონა, შენ, ჩვენ შვილებსა გლოვობდი... და ბუნებით ხარ ასეთი სევდიანი. ის კი არასოდეს არ მომსვლია აზრად, რომ ეგებ კარგ ქმრობას ვერ გიწევდი!..

რაგნფრიდი ისე კანკალებდა, კაცი იფიქრებდა კრუნჩხვები მოუვიდაო.

— შენ მუდამ კარგი ქმარი იყავი, ლავრანს!

— ჰმ!.. — ლავრანსს ნიკაპი მუხლებზე დაენდო და ისე იჯდა. — მაგრამ მაინც იქნებ გერჩია, შენც ისე გათხოვილიყავი, როგორც ჩვენი შვილი ვათხოვდა დღეს...

რაგნფრიდი წამოხტა და დაბალი ხმით შესძახა:

— მაშ, იცი?.. როგორ გაიგე? დიდი ხანია გაიგე?

— მე არ ვიცი, რას მეუბნები, — უთხრა პატარა ხნის მერე უცნაური ყრუ ხმით ლავრანსმა.

— მე იმას გეუბნები, რომ ქალწული არ ვიყავი, როცა შემირთე, — მიახალა რაგნფრიდმა, სასოწარკვეთილებისაგან მისი ხმა მკაფიოდ ისმოდა და წკრიალებდა.

პატარა ხნის მერე უცნაური ყრუ ხმით ამოღერღა ლავრანსმა.

— ეგ ჩემთვის პირველი გაგონებაა.

თივაზე წაწოლილი აქვითინებული რაგნფრიდი მთელი ტანითა თრთოდა. როცა ქვითინით გული მოიოხა, თავი წამოსწია. კედლის დარანში უკვე შემოატანა მკრთალმა შუქმა. რაგნფრიდმა უკვე გაარჩია ქმარი—ხელები მუხლებზე შემოეჭდო და გაქვავებულივით იჯდა.

— ლავრანს... მითხარი რამე! — მუდარით უთხრა ქმარს.

— რა გითხრა, რის გაგონება გსურს ჩემგან? — ისე ჰკითხა ლავრანსმა არ განძრეულა.

— ოი, რა ვიცი... გამლანძღე, მცემე!..

— ახლა, მგონი ნაგვიანები იქნებოდა ცემა, — უთხრა ქმარმა და რაგნფრიდმა ხმაზე შეამჩნია, თითქოს ოდნავ დაცინვით ჩაეღიმა.

რაგნფრიდი ისევ აქვითინდა.

— მაშინ არ მიფიქრია, თუ გატყუებდი. ისეთ მოტყუებულად და დაჩაგრულად მიმაჩნდა ჩემი თავი! არავინ მზოგავდა. მოვიდნენ ჩემ-

თან და მოგიყვანეს. — ქორწილამდე სულ სამჯერა გნახე, მეჩვენებოდა, რომ ღლაპი იყავი, ლოყებღაჟღაჟა, ნამდვილი ბავშვივით მიამიტი...

— სწორედ მაგისთანა ვიყავი, — უთხრა ლავრანსმა, და ახლა უფრო მტკიცედ გაისმა მისი ხმა: — ამიტომ, მე მგონი, შენ, როგორც ქალს, უფრო უნდა მოგრიდებოდა... მოტყუება ჭაბუკისა, რომელიც სულ ახალგაზრდა იყო, და ამქვეყნისა ჯერ არაფერი გაეგებოდა.

— მერე თავადაც მიეხვდი, — ქვითინით უთხრა რაგნფრიდმა, — როცა გაგიცანი, და მალე დადგა დრო, როცა ასჯერ წავიწყმიდავდი სულს, ოღონდ ჩადენილი არა მქონოდა შენს წინაშე ეგ დანაშაული.

დადუმებული ლავრანსი გაუნძრეველად იჯდა; ცოლმა კვლავ უთხრა:

— არაფერს მეკითხები?

— რა საჭიროა? ის იყო... იმისი კუბო მოჰქონდათ, ფეგინსბრეკეში, ულვხილდი რომ მიგვყავდა ნიდაროსში?..

— ჰო, — მიუგო რაგნფრიდმა. — გზიდან მდელოზე გადავედით და გზა ავუქციეთ. მე დავინახე, როგორ გაატარეს საკაცეზე დასვენებული მისი გვამი, მღვდლები, ბერები და იარაღასხმული მსახურები მისდევდნენ! ასე თქვეს, ღმერთს შეურიგდა და ღირსეულადაც მოკვდაო. მე ვლოცულობდი, — ვიდრე საკაცე გვეჭირა და ვიდექით, საკაცეზე ულვხილდი გვეწვინა, — რომ ცოდვანი ჩემნი და მწუხარება ჩემი მის ფერხთით დაედო საშინელი განკითხვის დღეს!..

— ჰო, რა თქმა უნდა, სწორედ ამაზე ლოცულობდი! — უთხრა ლავრანსმა, და ისევ დაცინვა გამოკრთა მის ხმაში.

— ჯერ ყველაფერი არ იცი, — უთხრა სასოწარკვეთილებისაგან გაქვავებულმა რაგნფრიდმა. — გახსოვს, ის სკუგში მოვიდა ჩვენთან, ჯვარი რომ დავიწერეთ იმ პირველ ზამთარს?..

— მახსოვს, — მიუგო ქმარმა.

— ბიერგიულფი რომ სულს ებრძოდა... ო, მაშინ მე არავის დავუზოგივარ! სიმთვრალეში მიყო ის საქმე... მერე კი მითხრა, თავის დღეში არა მყვარებიხარ და არც ვაპირებ შენს შერთვასო, მთხოვდა, ყველაფერი დაივიწყეო... მამაჩემმა ამისი არაფერი იცოდა, იმას არ მოუტყუებიხარ, ეგ თავისდღეში არ იფიქრო! ტრონდი კი... მაშინ მე და ის დიდი მეგობრები ვიყავით, იმას შევჩივლე. მუქარით უნდოდა შეეერთვევინებინე!.. მაგრამ პატარა ბიჭი იყო, ერთი მიბეგვეს და... ბერე მირჩია, მაგაზე ხმას ნუღარ ამოიღებ და ლავრანსს გაჰყევი ცოლადო...

რაგნფრიდი ცოტა ხანს დადუმებული იჯდა.

— როცა სკუგში ჩამოვიდა... ერთი წელიწადი იყო გასული; მაინც და მაინც დიდაღ არ დავუფიქრებივარ ამას. მაგრამ ჩამოვიდა და მითხრა, ვნანობ, ეგრე ცუდად რად მოგექეცი, ახლა შეგირთავდი, გათხოვილი რომ არ იყო... მიყვარხარო. ასე მეუბნებოდა! ერთმა ღმერთმა იცის, მართალს კი მეუბნებოდა! როცა სკუგიდან წავიდა, ვერ გავბედე ფიორდში გადავარდნა, ცოდვის ჩადენისა მეშინოდა... ბავშვის გულისათვისაც, მაშინ ხომ ფეხმძიმედ ვიყავი... ხოლო მერე... თანდათან ისე შემიყვარდი! — შეჰყვირა ისე, თითქოს აუტანლად იტანჯებოდა.

ქმარმა უცებ მოხედა.

— ბიერგიულფი რომ გამიჩნდა — ო, ისე მეგონა, ჩემს თავს მერჩივნა! როცა სიკვდილს ებრძოდა, ვფიქრობდი: გამომეცლება ხელიდან და მეც თან გავყვები! მაგრამ ღმერთს არ ვევედრებოდი, ნუ გასწირავ-მეთქი ჩემს შვილს...

ლავრანსს დიდხანს არ ამოუღია ხმა, ვიდრე ჰკითხა მკვდარივით და ბოღმით სავსემ:

— იმიტომ, რომ ჩემი არ იყო?

— მე არ ვიცოდი, შენი იყო თუ არა! — უთხრა რაგნფრიდმა, და თავით ფეხამდის სიცივემ აიტანა.

დიდხანს ისხდნენ დადუმებულები, სამარისებურ სიჩუმეში. უცებ გაბრაზებულმა ჰკითხა ქმარმა:

— ღვთის გულისათვის, რაგნფრიდ, რისთვის მიამბობ ახლა ყველაფერ მაგას?

— ოჰ, რა ვიცი! — რაგნფრიდი ისე იმტვრევდა თითებს, სახსრებმა ტკაცატკუცი დაუწყო. — რომ სამაგიერო მომიზღო, გამაგდო შენი სახლიდან!..

— ნუთუ გგონია, შენი სახლიდან გაგდება მიშველის? — ლავრანსს ხმა უკანკალებდა ზიზღითა და დაცინვით. — ეგეც რომ არ იყოს, შვილები გვყავს, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა, — კრისტინი... და პატარა.

რაგნფრიდს ხმა არ ამოუღია, გაჩუმებული იჯდა.

— მახსოვს, როგორ ჰკიცხავდი ნიკულაუსის ვაჟიშვილ ერლეხდს, — ჩუმად ჩაილაპარაკა რაგნფრიდმა. — მაშ, მე რაღა განაჩენს გამომიტან?

ლავრანსს მთელ ტანზე ეკალმა დააყარა, და ამან ცოტა გამოაფხიზლა.

— ამდენ ხანს იცხოვრე... ჩვენ თითქმის ოცდაშვიდი წელიწადი ერთად გავატარეთ! მე არ შემიძლია შენ, როგორც უცხო ისე განგსაჯო! მე მესმის, მთელი ეს წლები რა ცეცხლშიაც იწვოდი.

ამის გაგონებაზე რაგნფრიდი ქვითინით დაეცა თივაზე, მაგრამ ხელი მაინც გასწია და ლავრანსს ხელი დაუჭირა. ლავრანსი არ განძრეულა, მკვდარივით იჯდა დადუმებული. რაგნფრიდს უფრო ამოუჯდა გული, — ქმარი კვლავ გაუხძრევლად იჯდა და კართან მომდგარ მკრთალ ნაცრისფერ შუქს უყურებდა. — ბოლოს რაგნფრიდი გაჩუმდა და ასე იწვა გაჩუმებული, თითქოს ცრემლი გაუშრაო. ლავრანსმა უცებ დასაშოშმინებლად ხელი გადაუსვა მხარზე. რაგნფრიდს კვლავ ამოუჯდა გული და ტირილი აუვარდა.

— გახსოვს, — უთხრა ტირილით, — ერთხელ ჩვენთან კაცი მოვიდა, სკუგში რომ ვცხოვრობდით? ძველებური სიმღერები იცოდა. გახსოვს, ერთი ძველებური სიმღერა იმღერა — ტანჯვის ქვეყნიდან მობრუნებულმა მიცვალებულმა შვილს უამბო, რაც იქა ნახა? რა ღრჭიალი ისმოდა ჯოჯოხეთიდან — მოღალატე ცოლები პურის მაგივრად თურმე ბიწას უფქვავდნენ თავიანთ ქმრებს! სისხლში იყო მოსვრილი ხელსაფქვავის ქვები და მოღალატე ცოლებს გასისხლიანებული გულები გადმოჰკიდებოდათ მკერდიდან!..

ლავრანსს ხმა არ ამოუღია.

— მთელი ეს წლები ამ სიტყვებზე ვფიქრობდი, — თქვა რაგნფრიდმა. — ყოველ ცისმარე დღე გული სისხლისაგან მეცლებოდა, იმიტომ რომ ერთი დღე არ იყო, არა მგონებოდა ლავრანსს პურის მაგივრად მიწას ვუფქვავ-მეთქი!..

ლავრანსმა თვითონაც არ იცოდა, ამის პასუხად ასე რად მიუგო, გრძნობდა, მკერდი ისე გამოუცარიელდა და ჩაუვარდა, თითქოს ბეჭებზე „სისხლიანი არწივი“ [1] ამოსჭრესო.

მოქანცულმა ლავრანსმა თავზე მძიმედ დაადო ხელი ცოლს და უთხრა:

— მიწაც ხომ უნდა გადაიხნას, ჩემო რაგნფრიდ, რომ პურმა გაიხაროს.

როცა რაგნფრიდი ხელზე დასწვდა ქმარს საკოცნელად, მან ფიცხლავ გასწია ხელი. მერე შეხედა ცოლს, მისი ხელი აიღო, მუხლებზე დაიდო და თავისი გაყინული, გაქვავებული სახე დაადო. ასე ისხდნენ გაუნძრევლად, და აღარც ამოუღიათ ხმა...

---

[1] „სისხლიანი არწივი“ — დასჯა-წამება ვიკინგების დროს. მსჯავრდადებულს ამოსჭრიდნენ ნეკნებს და ამ ჭრილობიდან ჰგლეჯდნენ ფილტვებსა და გულს. ზოგჯერ მსჯავრდადებულნი თავად სთხოვდნენ ამოეჭრათ „არწივი“ და ამით დაემტკიცებინათ თავიანთი მამაცობა, რომ სიკვდილს არაფრად აგდებენ.

Сигрид Унсет

Кристин, дочь Лавранса

Книга I

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5
1969 г.

რედაქტორი გ. ქველაძე
გამომცემლობის რედაქტორი ე. გოგოლაშვილი
მხატვარი ს. ციცაძე
მხატვრული რედაქტორი რ. მახარაძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორები: ე. მესხი, ლ. არეშიძე

გადაეცა წარმოებას 15/VII-69. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/XII-69. ქაღალდის ზომა 60 × 84 1/16. ნაბეჭდი თაბახი 20,23. სააღრ.-საგამომც. თაბახი 17,67. ტირაჟი 50 000. შეკვ. № 1262
ფასი 89 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5

Комбинат печати Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по печати.
Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.